


გურამ ლონლაძე
მარიამ ახალკაციშვილი

გეოლოგიის საფუძვლები



გეოლოგის საფუძვლები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამ ღონიშვილი
მარიამ ახალკაციშვილი

გეოლოგიის საფუძვლები



თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
გამომცემა

სახელმძღვანელოში თანამედროვე დონეზე არის განხილული გეოლოგიური მეცნიერების უმთავრესი მიმართულებები. აქცენტი გაკეთებულია დედამიწისა და მისი ქერქის აგებულებაზე, ამ უკანასკნელის ნივთიერ შედგენილობაზე (მინერალები, ქანები), დედამიწის შიგნეთში და მის ზედაპირზე მიმდინარე გეოდინამიკურ პროცესებზე. წიგნში გადმოცემულია დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია უძველესი, არქეული დროიდან დაწყებული დღემდე.

სახელმძღვანელო კარგ სამსახურს გაუწევს სხვადასხვა სპეციალობის იმ სტუდენტებს, რომელთაც გეოლოგიური მეცნიერების გაცნობა და დაუფლება სურთ. ამავე დროს ეს წიგნი მნიშვნელოვნად დაეხმარება საშუალო სკოლის გეოგრაფ-მასწავლებლებს გეოლოგიურ პროცესთა და მოვლენათა შინაარსისა და მათი ამსახველი ტერმინების სწორი ინტერპრეტაციაში.

რედაქტორი

გურამ ქუთელია,

ასოცირებული პროფესორი, გეოლოგიის დოქტორი

რეცენზენტები:

ბეჟან თუთბერიძე,

პროფესორი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მიხეილ კაკაბაძე,

პროფესორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-659-7 (PDF)

შინაარსი

წინასიტყვა	9
შესავალი	11
ნაწილი I. დედამიწისა და მისი ქერქის აგებულება	13
თავი 1. დედამიწის ფორმა და სიდიდე	13
თავი 2. დედამიწის შინაგანი აგებულება. გეოსფერობი	15
თავი 3. დედამიწის ქერქის ნივთიერი შედგენილობა	19
3.1. დედამიწის ქერქის ქიმიური შედგენილობა	19
3.2. მინერალები	20
3.3. ქანები	28
3.3.1. მაგმური ქანები	29
3.3.2. დანალექი ქანები	32
3.3.3. მეტამორფული ქანები	37
3.3.4. ქანების წოლის ფორმები	38
ძირითადი საკითხები	49
საკონტროლო კითხვები	52
ნაწილი II. გეოდინამიკური პროცესები	53
ეგზოგენური (გარედინამიკური) პროცესები	53
თავი 4. ფიტვა	53
თავი 5. გრავიტაციული პროცესები	60
თავი 6. ქარის გეოლოგიური მოქმედება (ეოლური პროცესები)	65
თავი 7. მიწისქვეშა წყლების გეოლოგიური მოქმედება	71
7.1. კარსტი	76
თავი 8. მდინარი წყლის გეოლოგიური მოქმედება	80
თავი 9. მყინვარის გეოლოგიური მოქმედება	89
თავი 10. ოკეანეების და ზღვების გეოლოგიური მოქმედება	101
10.1. ოკეანის ფსკერის რელიეფის ფორმები	101
10.2. ოკეანის (ზღვის) წყალი	105

გეოლოგიის საუკუნეები

10.3. სიცოცხლე ოკეანეში (ზღვაში)	106
10.4. ოკეანის (ზღვის) დინამიკა და გეოლოგიური მოქმედება	108
ენდოგენური (შიგადინამიკური) პროცესები	116
თავი 11. მაგმატიზმი	116
11.1. ეფუზიური მაგმატიზმი ანუ ვულკანიზმი	117
11.1.1. ვულკანის ამოფრქვევის პროდუქტები	118
11.1.2. ვულკანური აპარატი (აგებულება და ტიპები)	121
11.1.3. ვულკანების ტიპები	122
11.1.4. პოსტვულკანური პროცესები	124
11.1.5. თანამედროვე ვულკანების გეოგრაფიული გავრცელება	126
11.2. მაგმატიზმის პრაქტიკული მნიშვნელობა	127
თავი 12. მეტამორფიზმი	129
თავი 13. მიწისძვრები	132
თავი 14. ლითოსფეროს მთავარი სტრუქტურული ერთეულები	137
14.1. ოკეანური ქერქი	137
14.2. კონტინენტური ქერქი	138
თავი 15. ლითოსფეროს ტექტონიკური მოძრაობა	142
15.1. ფილების ტექტონიკა	142
15.2. ოროგენეზისი	149
15.3. ეპეიროგენეზისი	150
ძირითადი საკითხები	152
საკონტროლო კითხვები	157
ნაწილ III. დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორია	159
თავი 16. სიცოცხლე დედამინაზე	161
16.1. რას შეისწავლის პალეონტოლოგია	162
16.1.1. ორგანული სამყაროს კლასიფიკაცია	164
16.1.2. სამეფო <i>Bacteria</i> – ბაქტერიები	165
16.1.3. სამეფო <i>Cyanobionta</i> – ციანობიონტები	165
16.1.4. სამეფო <i>Phyta (Plantae)</i> – მცენარეები	166
16.1.5. სამეფო <i>Fungi</i> – სოკოები	172
16.1.6. სამეფო <i>Zoa (Animalia)</i> – ცხოველები	172
16.1.7. სიცოცხლის ევოლუცია და ორგანიზმთა გადაშენება	190

თავი 17. პალეოგეოგრაფია	193
თავი 18. გეოქრონოლოგია (გეოლოგიური წელთაღრიცხვა)	196
18.1. შეფარდებითი გეოქრონოლოგია	196
18.2. აბსოლუტური გეოქრონოლოგია	198
18.3. გეოქრონოლოგიური სკალა	199
დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორია	
არქეულიდან დღემდე	201
თავი 19. არქეული ეონი	201
თავი 20. პროტეროზოური ეონი	205
20.1. სიცოცხლე პროტეროზოურში	205
20.2. დედამინის გეოლოგიური განვითარების ადრეპროტეროზოური ეტაპი	207
20.3. გვიანპროტეროზოური (რიფეულ-ვენდური) ეტაპი	209
20.4. პრეკამბრიულის წიაღისეული	213
თავი 21. ფანეროზოული ეონი	214
21.1. პალეოზოური ერა	214
21.1.1. სიცოცხლის განვითარება პალეოზოურში	214
21.1.2. კამბრიული პერიოდი – E	216
21.1.3. ორდოვიციული პერიოდი – O	221
21.1.4. სილურული პერიოდი – S	227
21.1.5. დევონური პერიოდი – D	233
21.1.6. კარბონული პერიოდი – C	242
21.1.7. პერმული პერიოდი – P	251
21.1.8. დედამინის გეოლოგიური განვითარების პალეოზოური ისტორია	260
21.1.9. პალეოზოურის წიაღისეული	265
21.2. მეზოზოური ერა	266
21.2.1. ტრიასული პერიოდი – T	266
21.2.2. იურული პერიოდი – I	274
21.2.3. ცარცული პერიოდი – K	281
21.2.4. დედამინის გეოლოგიური განვითარების მეზოზოური ისტორია	290
21.2.5. მეზოზოურის წიაღისეული	293
21.3. კაინოზოური ერა	293

გეოლოგიური საფუძვლები

21.3.1. პალეოგენური პერიოდი – E	294
21.3.2. წეოგენური პერიოდი – N	300
21.3.3. მეოთხეული (ანთროპოგენური) პერიოდი – Q	307
21.3.4. დედამიწის გეოლოგიური განვითარების კაინოზოური ისტორია	309
21.3.5. კაინოზოურის წიაღისეული	312
ძირითადი საკითხები	314
საკონტროლო კითხვები	316
ტერმინთა საძიებელი	317
ლიტერატურა	326

ვუძღვნით
დიდი მასწავლებლისა და აღმზრდელის,
ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის,
აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის, ხსოვნას

ნინასიტყვა

„გეოლოგის საფუძვლები“ ათეული წლების განმავლობაში სხვა სახელწოდებით („ზოგადი და ისტორიული გეოლოგია“) ეკითხებოდა გეოგრაფიულ სპეციალობათა სტუდენტებს. რამდენადმე განსხვავებული სახით იგივე საგანი იყითხებოდა ძიების გეოფიზიკური მეთოდებისა და ჰიდროლოგის სპეციალობათა სტუდენტებთანაც. ბოლო წლებში შეცვლილი სახელწოდებით („გეოლოგის შესავალი“), როგორც საფა-კულტეტო არჩევითი საგანი, ისწავლება თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმ-ეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

ნინამდებარე სახელმძღვანელო „გეოლოგის საფუძვლების“ მეორე გამოცემაა. პირველი გამოცემიდან /გ. ღონდაძე „გეოლოგის საფუძვლები“, 2001წ./ განვლილი დროის განმავლობაში დაგროვდა ბევრი ახალი ინფორმაცია განხილული საკითხების შესახებ; ერთი მხრივ, ამ საკითხების ახლებურად გააზრება და მეორე მხრივ, სახელმძღვანელოს ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა წარმოდგენილი სახელმძღვანელოს მომზადებისა და მეორედ გამოცემის მთავარი საფუძველი.

ნიგნის მეორე გამოცემაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი. ეს განსაკუთრებით ეხება მესამე ნაწილს „დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია“ და დედამიწის ქერქის ნივთიერ შედგენილობას, რომლებიც სტუდენტებისათვის უფრო გასაგები და, შესაბამისად, მისაღები ენით არის დაწერილი. წიგნში გადახალისებულია ფოტომასალა. სახელმძღვანელოს ყველა თავის დასასრულს მოცემულია ძირითადი საკითხები და კითხვები გამეორებისთვის, წიგნის შინაარსის ადვილად და ღრმად ათვისების მიზნით.

წიგნის ავტორთა აზრით, წინამდებარე სახელმძღვანელო კარგ სამ-სახურს გაუწევს სტუდენტობას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის – გეოლოგიის არსის გაგებასა და ათვისებაში.

ავტორები აცნობიერებენ იმასაც, რომ წიგნი ვერ იქნება დაზღვეული გარკვეული უზუსტობებისაგან. ამიტომ ამ მიმართებით ნებისმიერ შენიშვნას ან წინადადებას მიიღებენ მადლობით.

ავტორები გულწრფელ მადლობას მოახსენებენ წიგნის რეცენზენტებს, პროფესორებს ბეჭან თუთბერიძესა და მიხეილ კაკაბაძეს, აგრეთვე რედაქტორს – ასოცირებულ პროფესორს გურამ ქუთელიას, სახელმძღვანელოს დეტალური გაცნობის, საყურადღებო შენიშვნებისა და საჭირო რჩევებისათვის.

გურამ ლონდაძე
მარიამ ახალკაციშვილი

შესავალი

გეოლოგია არის მეცნიერება დედამიწის შესახებ. მაგრამ თუ გავიხ-სენებთ, რომ დედამიწა არაერთგვაროვანი სხეულია და ის ცალკეული ნაწილებისაგან, ე.ნ. გეოსფერობისაგან შედგება, ზემოთქმული განმარტება შეიძლება დავაზუსტოთ და დავძინოთ, რომ გეოლოგია უპირველესად შეისწავლის დედამიწის ქერქს.

დედამიწას შეისწავლის აგრეთვე სხვა მეცნიერებები: გეოგრაფია, გეოფიზიკა, გეოქიმია. მსგავსად გეოლოგიისა, ყველა მათგანის კვლევის ობიექტი დედამიწაა, მაგრამ კვლევის მიზნები და მეთოდები განსხვავებულია.

გეოლოგიური კვლევის მიზანი რამდენიმე ძირითად მიმართულებაში შეიძლება გამოვხატოთ. ერთ-ერთი პირველი არის **დედამიწის ნივთიერი შედგენილობის შესწავლა**. ლითოსფერო, განსაკუთრებით კი მისი ზედა ნაწილი – დედამიწის ქერქი, შედგება მინერალებისა და ქანებისაგან. სწორედ მათ შესწავლას გულისხმობს ეს მიმართულება. მეორე მიმართულება, რომელსაც **დინამიკური გეოლოგია** შეიძლება ვუწოდოთ, მიზნად ისახავს დედამიწაზე (როგორც ზედაპირზე, ისე შიგნეთში) მიმდინარე თანამედროვე გეოლოგიური პროცესების შესწავლას, აგრეთვე ლითოსფეროს ტექტონიკური აღნაგობის გარკვევას. ამ პროცესებს, მათი მამოძრავებელი ძალების მიხედვით, ეგზოგენურს (გარედინამიკურს) ან ენდოგენურს (შიგადინამიკურს) უწოდებენ. ფაქტობრივად, ამ ორი მიმართულებით წარმოებული კვლევა ამზადებს საფუძველს გეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაჭრელად – **დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიის შესასწავლად** (მესამე მიმართულება). აქ ბევრი რამ არის ნაგულისხმევი – დედამიწაზე ზღვისა და ხმელეთის განაწილების ცვალებადობიდან ან, რაც პრაქტიკულად იგივეა, კონტინენტების წარმოშობიდან დაწყებული ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის ევოლუციამდე. მეოთხე მიმართულება წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობისაა და სახელიც შესაბამისი აქვს – **გამოყენებითი გეოლოგია**. აქ ნაგულისხმევია სხვადასხვა ტიპის წიაღისეულის საბადოთა კვლევა, გამადნების კანონზომიერებათა დადგენა, დედამიწის ქერქის საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავ-

ლა და ბევრი სხვა რამ. ვფიქრობთ, რომ, მიმართულების სპეციფიკან
გამომდინარე, პირველს ემესტრელ სტუდენტებს გაუძნელდებათ მისი
შინაარსის გაგება და კარგად ათვისება. ამიტომ სახელმძღვანელოში არ
განვიხილავთ გამოყენებითი გეოლოგიის საკითხებს.


რაც შეეხება საგანს „გეოლოგიის საფუძვლები“, ის არ არის მეც-
ნიერული დისციპლინა. მისი მიზანია, დამწყებ სტუდენტებს ზოგადად
გააცნოს გეოლოგიური მეცნიერება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმარ-
თულების თვალთახედვით. ამით საფუძველი ეყრდნობა მომავალ ბუნები-
სმეტყველთა (მათ შორის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა პრო-
ფილის სტუდენტთა) გეოლოგიურ განათლებას, რაც ესოდენ საჭირო და
სასურველია ამ მეცნიერებათა მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო.

ნაწილი I

დედამიწისა და მისი ქარქის აგებულება

თავი 1. დედამიწის ფორმა და სიზიდე

ძველთაგანვე ცნობილი იყო, რომ დედამიწას სფერული ფორმა აქვს. ხოლო ი. ნიუტონი ის მეცნიერი იყო, რომელმაც დაასაბუთა დედამიწისთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა ციური სხეულისთვის, სფერული ფორმის აუცილებლობა. ცოდნა დედამიწის სფერული ფორმის შესახებ შესანიშნავად გამოიყენა ცნობილმა ბერძენმა მეცნიერმა ერატოსთენემ, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში შესაშური სიზუსტით განსაზღვრა დედამიწის რადიუსი. ი. ნიუტონისავე მოსაზრებით, დედამიწას ნამდვილი სფეროს ფორმა ვერ ექნება – რადგანაც დედამიწა ბრუნავს საკუთარი დერძის გარშემო, პოლუსებზე ის რამდენადმე შეზნექილი იქნება, ხოლო ეკვატორზე – გამობურცული. თუმცა ეს შეზნექა მეტად უმნიშვნელოა (სხვაობა ეკვატორულ და პოლარულ რადიუსებს შორის სულ 21 კმ-ს შეადგენს), მაგრამ დედამიწის ფორმა სფეროსაგან მაინც განსხვავებული არის. უფრო მეტიც, აღმოჩნდა რომ მცირედი შეზნექა ეკვატორზეც აღინიშნება, სადაც სხვაობა მცირე და დიდ რადიუსებს შორის 210 მეტრს შეადგენს. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ დედამიწას აქვს **ბრუნვითი ელიფსოიდის** (სამღერძიანი ელიფსოიდის) ფორმა. ზოგჯერ მას სფეროიდსაც (სფეროსებურს) უწოდებენ. სფეროიდის ზედაპირად იგულისხმება წყნარ მდგომარეობაში მყოფი მსოფლიო ოკეანის საშუალო ზედაპირი, ნარმოდგენით გავრცელებული კონტინენტებზეც. მაგრამ დედამიწა ხომ არა-ერთგვაროვანი სხეულია, მასში მასები არათანაბრადაა გადანაწილებული (მთები, მატერიკები, ოკეანეები, სხვადასხვა სიმკვრივის ქანები). ამიტომ დედამიწას ვერ ექნება წესიერი გეომეტრიული სხეულის ფორმა სწორედ არაერთგვაროვანი აგებულების გამო. თანაც ეს ფორმა დედამიწის აგებულების დროში ცვალებადობის მიზეზით ასევე ცვალებადი იქნება. დედამიწის ამ ცვალებად ფორმას **გეოიდი** ეწოდება. გეოიდი არის მსოფლიო ოკეანის ნარმოსახვითი ზედაპირი, პირობითად გატარებული კონტინენტების ქვეშაც, რომლის ყველა წერტილში სიმძიმის ძალა ამ ზედაპირის მართობულია. გეოიდი, ფაქტობრივად, იგივე სფეროიდია, მხოლოდ იმ მცირე განსხვავებით, რომ კონტინენტებზე ის სფეროიდის თავზე მდებარეობს (მიზიდება კონტინენტის მიერ), ხოლო ოკეანეებში – სფეროიდის ქვეშ (მიზიდება შიგნეთის მიერ) (სურ. 1.1).




სურ. 1.1. რელიეფის ზედაპირი. სფეროიდი და გეოიდი
(Короновский, Якушова, 1991)

დედამიწა მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტაა, რომელიც სიდიდით აღემატება მხოლოდ მერკურს, მარსსა და ვენერას. დედამიწის ზედაპირის ფართობი დაახლოებით $510 \text{ მლნ. } \text{კმ}^2$, რომლის $70,8\%$ ($361 \text{ მლნ. } \text{კმ}^2$) მსოფლიო ოკეანეზე მოდის, ხოლო $29,2\%$ ($149 \text{ მლნ. } \text{კმ}^2$) ხმელეთზე. ეკვატორული რადიუსი შეადგენს $6378,1 \text{ კმ-ს}$, პოლარული – $6356,89 \text{ კმ-ს}$; საშუალო რადიუსი კი 6370 კმ-ია . სიმძიმის ძალის აჩქარება პოლუსებზე 983 სმ/სეკ^2 -ია, ეკვატორზე 978 სმ/სეკ^2 . დედამიწის მოცულობა $1,083 \times 10^{12} \text{ კმ}^3$ -ია, მასა – $5.98 \times 10^{27} \text{ გ}$.

თავი 2. დედამიწის შინაგანი აგრძულება. გეოსფერობი

დედამიწა როგორც შედგენილობით, ისე აგებულებით არაერთგვაროვანი სხეულია. თუმცა ამ არაერთგვაროვნებაში გარკვეული კანონზომიერებაა დაცული. საქმე ისაა, რომ დედამიწის ზედაპირიდან შიგნეთისკენ (ცენტრისკენ) ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე კონცენტრული ფენა გამოიყოფა, რომლებიც გეოსფეროების (ge – დედამიწა და sphaira – ბურთი, ბერძნ.) სახელითაა ცნობილი (სურ. 2.1).




სურ. 2.1. დედამიწის შინაგანი აგებულება. გეოსფერობი

ძირითადი გეოსფერო სამია: **დედამიწის ქერქი, მანტია და პიროვი.**

ადამიანის წარმოდგენა დედამიწის შინაგან აგებულებაზე არაპირდაპირი და-კვირვებით მიღებულ ცნობებს ემყარება, რადგანაც დაკვირვებებისათვის ხელმი-საწვდომია მხოლოდ დედამიწის ქერქის ნაწილი – 13 კილომეტრამდე სისქის ზედა ფენა (ყველაზე ღრმა ჭაბურღლილი მდებარეობს კოლის ნახევარკუნძულზე, მურმან-სკის ოლქში – 12262 მ). დედამიწის შინაგანი აგებულების შესწავლა უმთავრესად გეოფიზიკური მეთოდებით ხდება. სეისმური ტალღების (როგორც გრძივის P, ისე განივის S) გავრცელების მეშვეობით. გეოსფეროებს შორის საზღვრები გავლებუ-ლია იქ, სადაც სეისმური ტალღების გავრცელებაში მკვეთრი ნახტომები აღინიშნება. იგულისხმება, რომ მკვეთრ ნახტომს სეისმური ტალღების გავრცელებაში იწვევს ერთი გარემოდან მეორე – განსხვავებულ გარემოში გადასვლა (აქ მხედველობაში იღებენ მეზობელი გეოსფეროების განსხვავებულ ქიმიურ შედგენილობას ან ფიზი-კურ მდგომარეობას, ან ორივეს ერთად). კერძოდ, დედამიწის ქერქის ყველაზე ღრმა ნაწილებში გრძივი ტალღების სიჩქარე 6.5-7.4 კმ/სეკ-ია, განივისა – 3.7-3.8. მის ქვე-ვით მომყოლი მანტიის სულ ზედა ნაწილში კი შესაბამისად – 7.9-8.2 და 4.5-4.7. რო-გორც ვხედავთ, განსხვავება სიჩქარეებში მნიშვნელოვანია. საზღვარს ქერქსა და მანტიას შორის მოჰოროვიჩიჩის ზედაპირი (მოჰო) ენოდება. მანტიის სულ ქვედა ნაწილებში სეისმური ტალღების სისწრაფე მაქსიმალურია – 13.6 კმ/სეკ გრძივი ტალღებისათვის და 7.2-7.3 განივისათვის. ქვეშმდებარე ბირთვის (უფრო ზუსტად გარე ბირთვის) სულ ზედა ნაწილებში გრძივი ტალღების სისწრაფე ეცემა 8.1 კმ/სეკ-მდე. რაც შეეხება განივ ტალღებს, ისინი გარე ბირთვში საერთოდ არ გადიან. რო-გორც ცნობილია, განივი ტალღა წარმოიქმნება როგორც გარემოს რეაქცია ფორმის ცვლაზე, ფორმა კი მხოლოდ მყარ სხეულებს გააჩნია. აქედან გამომდინარე, მეც-ნიერები ასკვნიან, რომ გარე ბირთვი არა მყარ, არამედ თხევად მდგომარეობაში უნდა იყოს, შიგა ბირთვი კი მყარია. საზღვარი მანტიასა და ბირთვს შორის **გუცენ-ბერგის ზედაპირად** იწოდება.

რას წარმოადგენენ ეს გეოსფეროები? **დედამიწის ქერქი** მყარი ფენის სახით გარედან არის გადაკრული მთელ დედამიწაზე. ქერქი, სხვა გეოსფეროებთან შედარ-ებით, ძალზე მცირე სისქისაა, თანაც ცვალებადი – მინიმალური სისქეები (6-7 კმ) აღინიშნება ოკეანეებში, მაქსიმალური (50-75 კმ) – ნაოჭა მთების ზოლებში (ყველაზე სქელია ანდებსა, ჰიმალაისა და ტიბეტში), ხოლო საშუალო (35-40 კმ) – კონტი-ნენტური პლატფორმების ვაკე ადგილებში. ქერქი უწყვეტად ზევიდან გადაფარე-ბულია **მანტიაზე**. ეს უკანასკნელი ვრცელდება 2900 კმ-მდე. მანტიაში ორ ნაწილს გამოყოფენ: ზედა და ქვედა მანტიას (ბოლო ხანებში მათ შორის გარდამავალ ფე-ნასაც აღნიშნავენ, ე.წ. გოლიცინის ფენას ან მეზოსფეროს, 400-670 კმ სიღმეებზე). ზედა მანტია სიღრმეში 670-1000 კმ-მდე ვრცელდება. მასში, სეისმური ტალღების გავრცელების მიხედვით, სამი ფენა გამოიყოფა, რომელთაგან განსაკუთრებით შუა, ე.წ. **ასთენოსფეროა** საინტერესო („ასთენოს“ – სუსტი, ბერძ.). ასთენოსფერო ხა-სიათდება სეისმური ტალღების, განსაკუთრებით განივის, დაბალი სიჩქარეებითა

და მაღალი ელექტროგამტარობით. ის, განსხვავებით ზედა მანტიის ზედა და ქვედა ფენებისაგან, პლასტიკურია. ეს თვისება მას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც წამყვან გეოლოგიურ პროცესთა დიდი ნაწილი სწორედ ასთენოსფეროში იღებს სათავეს. ასთენოსფერო სხვადასხვა სიღრმეზე მდებარეობს და სისქეც ცვალებადი აქვს. ოკეანების ქვეშ ის შეიძლება სულ რამდენიმე კმ-დან დაიწყოს (3-4 კმ-დან შუაოკეანური ქედების ზოლში), ხოლო კონტინენტების ქვეშ 150-200 კმ და გაცილებით უფრო მეტ სიღრმეზეც კი. მისი სისქე ერთი-ორი ასეული კმ-ია. ჩვეულებრივ, ასთენოსფერო დედამინის ზედაპირთან ახლოს დედამინის ქერქის მოძრავ ზონებში ამოდის, ხოლო ყველაზე ღმად არის განლაგებული, თანაც არცოთუ მკაფიოდ გამოხატული, კონტინენტების ყველაზე „წყნარ“ უბნებში, კრატონების თხემური ნაწილების ქვეშ (ფარებზე) (სურ. 2.2).



სურ. 2.2. ლითოსფერო, ასთენოსფერო, ტექტონოსფერო
(Короновский, Якушова, 1991)

- I – დედამინის ქერქი, II – ასთენოსფეროს თავზე მდებარე ზედა მანტიის მყარი ნაწილი,
- III – ასთენოსფერო, IV – ასთენოსფეროს ქვეშ მდებარე ზედა მანტიის მყარი ნაწილი,
- V – ლითოსფერო, VI – ტექტონოსფერო. კ – კონტინენტი, მ – ოკეანე


ასთენოსფეროს თავზე მდებარე ზედა მანტიის მყარ ნაწილს (ე.წ. პერიდოსფერო) დედამინის ქერქთან ერთად ლითოსფეროს უნდებენ („ლითოს“ – ქვა, ბერძნ.). აქვე შევნიშნავთ, რომ ეს არ არის ლითოსფეროს ერთადერთი განსაზღვრა. ზოგჯერ ლითოსფეროს შინაარსობრივად დედამინის ქერქთან აიგივებენ. წინამდებარე წიგნში ლითოსფეროს გაგების პირველი ვარიანტია მიღებული. გამოდის, რომ ლითოსფერო (დედამინის ქერქი + პერიდოსფერო) ზის ასთენოსფეროზე.

ლითოსფეროსა და ასთენოსფეროს ერთად ტექტონოსფერო ეწოდება. მყარი ქვედა მანტიია მოთავსებულია 670-2900 კმ სიღრმეზე.

ბირთვი დედამინის გულში მდებარე სფეროა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: გარე ბირთვი (2900-5120 კმ სიღრმე) და შიგა ბირთვი (5120-6370 კმ). როგორც უკვე აღინიშნა, გარე ბირთვი თხევადია, შიგა – მყარი. ბირთვი ძირითადად რკინისა და ნიკელისაგან შედგება.

გიოლოგის საფუძვები

დედამიწის ქერქზე მიწის მთელი მოცულობის 1,5% მოდის, მანტიაზე – 82,3%, გარე ბირთვზე – 15,4%, ხოლო შიგა ბირთვზე – 0,8%.




სურ. 2.3. დედამიწის გეოსფეროების მოცულობა

თავი 3. დედამინის ქარქის ნივთიერი შედგენილობა

უკვე ითქვა, რომ გეოლოგიური კვლევის ძირითადი ობიექტი დედამინის ქერქია. ის აგებულია სხვადასხვა ტიპის ქანებით. ეს უკანასკნელი მინერალთა ბუნებრივი აგრეგატებია, ხოლო თვით მინერალები ელემენტთა ნაერთები ან ფალკეული ელემენტები.

3.1. დედამინის ქარქის ქიმიური შედგენილობა

დედამინის ქერქი მენდელეევის სისტემის ყველა ელემენტია ცნობილი. მათგან რვა ელემენტის დასახელება შეიძლება (O , Si , Al , Fe , Ca , Na , K , Mg), რომლებზეც მოდის ელემენტთა საერთო მასის $98\%-ზე$ მეტი (ზოგი მონაცემით – 99.5%). ამ უკანასკნელთაგან $80\%-ზე$ მეტს სამი ელემენტი შეადგენს: უანგბადი, სილიციუმი (კაჟბადი) და ალუმინი. უანგბადი იმდენად ბევრია (თითქმის 50%) დედამინის ქერქში, რომ ამ უკანასკნელს ზოგჯერ უანგბადის გარსსაც კი უწოდებენ.



სურ. 3.1. დედამინის ქერქის ნივთიერი შედგენილობა

რაც შეეხება დარჩენილ ელემენტებს, მათი შემცველობა ქერქში უაღრესად მცირეა (სურ. 3.1). თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უმნიშვნელოა მათი როლი. მიუხედავად იშვიათ ელემენტთა (Li , Rb , Cs , Be , Ga , Sr , La , U და სხვ.) უმნიშვნელო საშუალო შემცველობისა (რომელიც კლარკებში იზომება), ისინი არცთუ იშვიათად დედამინის ქერქის ფალკეულ უბნებში მნიშვნელოვან დანაგროვებს ქმნიან საბადოების სახით. მეცნიერებას, რომელიც დედამინის ქიმიურ შედგენილობას და ელემენტთა განაწილებისა და მიგრაციის კანონზომიერებებს სწავლობს, გეოქიმია ენოდება.

3.2. მინერალები

მინერალი („მინერა“ – მადნის ნატეხი, ლათ.) არის განსაზღვრული ქიმიური შედგენილობისა და კრისტალური აღნაგობის მქონე მყარი ბუნებრივი სხეული, რომელიც დედამიწის ქერქში ან მის ზედაპირზე მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების პროდუქტია. ბუნებაში 4000-ზე მეტი მინერალი არსებობს. მინერალების შემსწავლელ მეცნიერებას მინერალოგია ეწოდება.

მინერალოგიის კვლევის ობიექტი კრისტალური აღნაგობის მქონე მყარი სხეულებია, თუმცა გამონაკლისის სახით შეისწავლის ამორფულ („ამორფოს“ – უფორმო, ბერძნ.) სხეულებსაც (მაგ., ოპალი).

მინერალი გარეგნულად შეიძლება წარმოდგენილი იყოს მრავალწახნაგოვანი სხეულის, კრისტალის, სახით. ცალკეულ მინერალებს მათვის დამახასიათებელი ფორმა გააჩნიათ: ქვამარილს (NaCl) – ჰექსაედრის (კუბის), კვარცს (SiO_2) – ექვსწახნაგა პრიზმის, კალციტს (CaCO_3) – რომბოედრის, სკალენოედრის, მაგნეტიტს (Fe_3O_4) – ოქტაედრის.



სურ. 3.2. გრაფიტის და ალმასის სტრუქტურა

გარეგნული ფორმის მიხედვით შესაძლებელია კრისტალთა დაჯგუფება შვიდ დიდ სისტემად ანუ **სინგონიად**. ეს სინგონიებია: 1. რომბული, 2. მონოკლინური, 3. ტრიკლინური, 4. ტრიგონული, 5. ტეტრაგონული, 6. ჰექსაგონური, 7. კუბური. მინერალთა გარეგნული ფორმა არაა შემთხვევითი, იგი განპირობებულია ნივთიერების შინაგანი აღნაგობითა და სტრუქტურით. მინერალის კრისტალური სტრუქტურის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ-ქიმიურ და თერმოდინამიკურ პირობებს. სხვადასხვა პირობებში ერთი და იმავე ქიმიური შედგენილობის ნივთიერებისაგან სხვადასხვა სტრუქტურის და, შესაბამისად, სხვადასხვა ფორმისა და თვისებების მინერალები წარმოიქმნება (მაგ., C – ალმასი და გრაფიტი (სურ.).

3.2), CaCO_3 – კალციტი და არაგონიტი). ერთნაირი ქიმიური შედგენილობის მქონე ნივთიერებათა უნარს, დაკრისტალდეს სხვადასხვა კრისტალურ სტრუქტურაში, პოლიმორფიზმი („პოლი“ – მრავალი, „მორფო“ – ფორმა, ლათ.) ეწოდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია, განსხვავებული შედგენილობის მინერალებს ერთნაირი ფორმები ჰქონდეთ (მაგ., გალენიტი, პირიტი).



სურ. 3.3. სელენიტის კრისტალები ნაიკის გამოქვაბულში, მექსიკა

მინერალთა კრისტალების ზომაც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ყველაზე დიდი კრისტალები აღმოჩენილია მექსიკის შტატში, ნაიკის გამოქვაბულში, რომელთა სიგრძე 11 მეტრს აღწევს, დიამეტრი 4 მეტრია, წონა კი – 55 ტონა (სურ. 3.3). ბუნებაში უფრო მეტად გავრცელებულია მცირე ზომის კრისტალები, რომელთა დანახვაც მხოლოდ მიკროსკოპით არის შესაძლებელი.

მინერალები კარგად განვითარებული კრისტალების სახით იშვიათად გვხვდება, ხშირ შემთხვევაში ისინი წარმოდგენილია კრისტალთა აგრეგატების (კონკრეციების, სეკრეციების, დრუზების, დენდრიტების, ოოლითების, პიზოლითების, ნადენი ფორმების, მრჩობლების და სხვ.) სახით.

მინერალებისთვის დამახასიათებელი განსაზღვრული ქიმიური შედგენილობა, აღნაგობა და წარმოშობის პირობები განაპირობებს მათ განსხვავებულ თვისებებს. მინერალთა ფიზიკური თვისებებიდან აღსანიშნავია ფერი, ხაზის ფერი, სიმაგრე, ტკერადობა, მონატეხი, ელვარება, გამჭვირვალობა და სხვ. მინერალთა ფიზიკური თვისებების ცოდნა გვაძლებს საველე პირობებში მინერალთა დიაგნოსტირების საშუალებას.

ფერი. მინერალის ფერი განპირობებულია მისი ქიმიური შედგენილობით, სტრუქტურით, მექანიკური მინარევებით და არაერთგვაროვნებით. ზოგი მინერალი მხოლოდ ერთი ფერით არის ცნობილი. მაგალითად, მწვანე ფერის მაღაქიტი ან წითელი სინგური. ზოგი მინერალი – კვარცი, კალციტი, ფლუორიტი, კორუნდი და სხვ.

ფერთა თითქმის მთელი გამით არის წარმოდგენილი. სხვადასხვა ფერის კვარცს სახელებიც განსხვავებული აქვს, გამჭვირვალეს **მთის ბროლი** ჰქვია, იისფერს – **ამ-ეთვისტო**, შავს – **მორიონი**, ოქროსფერს – **ციტრინი** და ა.შ. ფერთა ცვალებადობა აისხება მინარევების ე.წ. ქრომოფორ ელემენტების (Fe, Cr, Mn, Al, Co, Ni, Ti, Cu და სხვ.), მექანიკური მინარევებისა და სტრუქტურული დეფექტების არსებობით.

ხაზის ფერი (მინერალის ფხვნილის ფერი) არის ფხვნილის ფერი, რომელსაც მინერალი ტოვებს ფაიფურის ფირფიტის (ბისკვიტის) თეთრ, მოუჭიქვა ზედაპირზე გასმისას. ხშირად მინერალის ფერი და ხაზის ფერი ემთხვევა ერთმანეთს (მწვანე მალაქიტისთვის მწვანე ხაზის ფერია დამახასიათებელი), თუმცა შესაძლებელია ისინი განსხვავებულიც იყოს (მაგალითად, თითბრისებრ ყვითელ პირიტს აქვს შავი ხაზის ფერი).

ხაზის ფერი მნიშვნელოვანი მადიაგნოსტირებელი ნიშანია ზოგიერთი მინერალისთვის. რკინის მინერალებს, გარეგნულად ერთმანეთის მსგავს შავ ჰემატიტსა და მაგნეტიტს, ხაზის ფერით ადვილად გავარჩევთ. მაგნეტიტს ხაზის ფერი შავი აქვს, ჰემატიტს კი (წითელსაც და შავსაც) – მხოლოდ ალუბლისფერ ნითელი.

მინერალები, რომელთა სიმაგრე 7 ან 7-ზე მეტია, ფაიფურის ზედაპირზე ხაზის ფერს არ ტოვებენ (ფაიფურის მოუჭიქვა ზედაპირის სიმაგრე 6.5-7-ია), მათი გასმისას რჩება ნაკანი.

გამჭვირვალობა დამოკიდებულია მინერალის მიერ სინათლის სხივის გატარების უნარზე. გამჭვირვალობის ხარისხის მიხედვით მინერალები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: გაუმჭვირვალე – არ ატარებენ სინათლის სხივებს (პირიტი); გამჭვირვალე – სინათლის სხივებს ატარებენ მინის მსგავსად (მთის ბროლი, კალციტი, ტოპაზი) და ნახევრად გამჭვირვალე – სინათლის სხივებს ატარებენ მხოლოდ თხელ ფირფიტაში (ქალცედონი). გამჭვირვალობის ხარისხი დამოკიდებულია მინერალთა აგრეგატების აგებულებაზე, ჩანართებზე.

ელვარება დამოკიდებულია მინერალის ზედაპირზე სინათლის სხივის გარდატეხა-არეკვლის უნარზე. ელვარების მიხედვით მინერალების ორი ჯგუფი გამოიყოფა: მეტალური და არამეტალური ელვარებით. მეტალური ელვარება დამახასიათებელია მეტალებისთვის, სულფიდებისთვის და უანგეულების ზოგიერთი მინერალისთვის. არამეტალური ელვარება ძირითადად დამახასიათებელია გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე მინერალებისთვის. არამეტალურ ელვარებაში გამოიყოფა: მინისებური (კვარცი, კალციტი), ალმასისებური (ალმასი, სფალერიტი), აბრეშუმისებური (აზბესტი, სელენიტი), სადაფისებური (ტალკი, ქარსები), ცხიმოვანი (გოგირდი, ნეფელინი, ტალკი), მქრქალი (კაოლინიტი), მეტალოიდური (სინგური, კუპრიტი) ელვარება. აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე მინერალს შესაძლებელია სხვადასხვა სახის ელვარება ახასიათებდეს (მაგ., ტალკი ხასიათდება ცხიმოვანი, სადაფისებური ელვარებით).

სიმაგრე მინერალთა ფიზიკური თვისებებიდან მნიშვნელოვანი თვისებაა და

გულისხმობს მინერალის წინააღმდეგობის უნარს მექანიკური ძალების მიმართ. მინერალის სიმაგრე განისაზღვრება **მოოსის სკალით** (1812 წელს იქნა შემოთავაზებული გერმანელი მინერალოგის ფ. მოოსის მიერ). სკალაში სხვადასხვა სიმაგრის 10 მინერალი ისეა შერჩეული, რომ ყოველი მომდევნო კანრავს წინ მდგომს. მოოსის სკალის მინერალებიდან ყველაზე რბილია ტალკი (სიმაგრე 1), ხოლო ყველაზე მაგარი – ალმასი (სიმაგრე 10). მოოსის სკალით განისაზღვრება მინერალის შეფარდებითი სიმაგრე, (ცხრილი 3.1) აბსოლუტური სიმაგრის განსაზღვრისათვის გამოიყენება სპეციალური ხელსაწყო – სკლერომეტრი.


ცხრილი 3.1

მინერალი	სიმაგრე		
	მოოსის სკალით	აბსოლუტური, კგ/მმ ²	
ტალკი	Mg ₃ Si ₄ O ₁₀ (OH) ₂	1	2.4
თაბაშირი	CaSO ₄ ·2H ₂ O	2	36
კალციტი	CaCO ₃	3	109
ფლუორიტი	CaF ₂	4	189
აპატიტი	Ca ₅ (PO ₄) ₃ (OH ⁻ , Cl ⁻ , F ⁻)	5	536
ორთოკლაზი	K(AlSi ₃ O ₈)	6	795
კვარცი	SiO ₂	7	1120
ტოპაზი	Al ₂ SiO ₄ (OH ⁻ , F ⁻) ₂	8	1427
კორუნდი	Al ₂ O ₃	9	2060
ალმასი	C	10	10060

ცნობისათვის შეიძლება ალინიშნოს, რომ ფანქრის (გრაფიტის) სიმაგრეა 1, ადამიანის ფრჩხილის – 2-2.5, სპილენის მონეტის – 3-3.5, მინის – 5-5.5, ფოლადის დანის – 5.5-6, ქლიბის – 6.5-7. ბუნებაში გავრცელებული მინერალების უმეტესობა ხასიათდება 2-6 სიმაგრით.

ტკეჩადობა მინერალის თვისებაა, მექანიკური ძალების ზემოქმედებით გაიპოს გარკვეული სიბრტყის გასწვრივ სწორ ზედაპირებად. ტკეჩადობა ყოველთვის მიმართულია რეალური ან პოტენციურად შესაძლებელი წახნაგის პარალელურად. ტკეჩადობა დამოკიდებულია მინერალის სტუქტურასა და ქიმიური პმის ტიპზე. ტკეჩადობის სიბრტყის გასწვრივ, კრისტალურ მესერში, ელემენტთა ნაწილაკებს შორის კავშირები უფრო სუსტია, ვიდრე სხვა მიმართულებით. შესაბამისად, სწორედ ამ მიმართულებით აღინიშნება ტკეჩადობა. მინერალებში ტკეჩადობის სიბრტყე

შეიძლება იყოს ერთი მიმართულებით (ქარსები, სურ. 3.4.ა), ორი მიმართულებით (ორთოკლაზი, რქატყუარა), სამი მიმართულებით (კალციტი, ჰალიტი) (სურ. 3.4.ბ), იშვიათად ოთხი (ფლუორიტი) და ექვსი (სფალერიტი) მიმართულებით.



სურ. 3.4. ტკეჩადობა

ა – ერთი მიმართულებით; ბ – სამი მიმართულებით

ტკეჩადობის სხვადასხვა ხარისხი არსებობს: ფრიად სრული (იდეალური), სრული, საშუალო, არასრული, ფრიად არასრული. იდეალური ტკეჩადობა ახასიათებს ქარსებს, თაბაშირს და სხვ., ფრიად არასრული – კვარცს, ოქროს და სხვ.

მონატები არის უსწორმასწორო ზედაპირი, რომელიც მიღება მინერალის მსხვრევისას. მონატები შეიძლება იყოს ნიჟარისებური (კვარცი, ქალცედონი), ხინვისებრი (აზბესტი, რქატყუარა), მიწისებრი (გოგირდი), საფეხურისებრი (გალენიტი, ჰალიტი), კაუჭისებრი (ოქრო, სპილენდი). მონატები არ ემთხვევა მინერალის ტკეჩადობის სიბრტყეს.

ხვედრითი წონა. საველე პირობებში მინერალთა ხვედრითი წონა განისაზღვრება ხელში შენონვით. გამოყოფენ „მსუბუქ“ (1-დან 3 გ/სმ³-მდე), „საშუალო სიმძიმის“ (3დან-4 გ/სმ³-მდე) და „მძიმე“ (4 გ/სმ³-ზე მეტი) მინერალებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია მინერალები, რომელთა ხვედრითი წონა 2-დან 5 გ/სმ³-მდე მერყეობს. ხვედრითი წონა მაქსიმუმს პლატინის ჯვეფის მინერალებში აღწევს (19-23 გ/სმ³). ხვედრითი წონით გამოიჩინევა ასევე ოქრო 15-19 გ/სმ³, სინგური 8.09-8.2 გ/სმ³, გალენიტი 7.4-7.6 გ/სმ³, ბარიტი 4.0-4.8 გ/სმ³.

სსნადობა. ზოგიერთ მინერალს ახასიათებს წყალში ან სხვა გამხსნელებში – მუავებში (მარილმუავა, გოგირდმუავა, აზოტმუავა და სხვ.) სსნადობა. მაგალითად, კარბონატებისთვის დამახასიათებელია რეაქცია მარილმუავასთან (კალციტი), რასაც თან ახლავს ნახშირორჟანგის გამოყოფა; სულფიდების მარილმუავასთან რეაქციისას გამოიყოფა გოგირდწყალბადი, დამახასიათებელი ლაპე კვერცხის სუნით.

გემო. ამ თვისებით ხასიათდება მარილები: ჰალიტი და სილვინი, რომელთაგან პირველს მლაშე, ხოლო მეორეს – მომნარო-მლაშე გემო აქვს.

მინერალთა სხვა ფიზიკური თვისებებიდან შეიძლება დაგასახელოთ მაგნიტურობა, სუნი, ჭედადობა, ელექტროგამტარობა, ლუმინესცენცია და სხვ.

მინერალთა კლასიფიკაცია. მინერალთა დაჯგუფება შესაძლებელია წარმოშობის, გავრცელების, ქანში მათი რაოდენობრივი თანაფარდობისა და როლის, შეფერილობის, ქიმიური შედგენილობისა და სტრუქტურის მიხედვით.

წარმოშობის ანუ გენეზისის მიხედვით მინერალთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1) **ენდოგენური** („ენდონ“ – შიგნით; ბერძნ.) და 2) **ეგზოგენური** („ეგზო“ – გარეთ; ბერძნ.). პირველთა გენეზისი დაკავშირებულია მინის შიგნეთში – ქერქსა და მანტიაში (ზედა მანტიაში) მიმდინარე გეოლოგიურ პროცესებთან – მაგმატიზმსა და მეტამორფიზმთან, ხოლო მეორენი – დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე ფიტვითი პროცესების, ხსნარებიდან გამოლექვის ან ორგანიზმების ცხოველმოქმედების შედეგად მიიღებიან.

წარმოშობის მიხედვით მინერალები შეიძლება იყოს: **პირველადი**, რომელთა ფორმირება მაგმის კრისტალიზაციის პროცესში ხდება (ოლივინი, რქატყუარა და სხვ.) და **მეორეული**, რომლებიც პირველადი მინერალების გარდაქმნის შედეგად ჩნდება (სერპენტინი, ტალკი და სხვა).

განსხვავებულია მინერალების როლი ქანების აგებულებაში. გამოიყოფა: **მთავარი ქანმაშენი, მეორეხარისხოვანი და აქცესორული** მინერალები. მინერალებს, რომლებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით მონაწილეობენ დედამიწის ქერქის ამგებ ქანებში და განსაზღვრავენ ქანის თვისებებს, **ქანმაშენი მინერალები** ენოდება. ბუნებაში არსებული 4000 მინერალიდან ქანმაშენ მინერალებს მიეკუთვნება 50-მდე მინერალი, თუმცა მათგან მხოლოდ 30-35 შეიძლება ჩაითვალოს მთავარ ქანმაშენ მინერალად. ქანმაშენი მინერალებია: კვარცი, კალიუმის მინდვრის შპატები, პლაგიოკლაზები, პიროქსენები, ამფიბოლები, ოლივინი, ქარსები, მაგნეტიტი, აპატიტი, და სხვა. მათი შემცველობა ქანში 5%-ს უნდა აღემატებოდეს. მთავარი ქანმაშენი მინერალების რაოდენობა განსაზღვრავს ქანის ტიპს. ქანში შეიძლება გამოიყოს **მეორეხარისხოვანი მინერალები**, რომელთა რაოდენობა მხოლოდ ერთეული პროცენტებია. აღსანიშნავია, რომ ესა თუ ის მინერალი ქანების ერთ ჯგუფში შეიძლება იყოს მთავარი ქანმაშენი მინერალი, სხვაში – მეორეხარისხოვანი (მაგ., რქატყუარა, მთავარი ქანმაშენი მინერალია საშუალო შედგენილობის ქანებისთვის, მეორეხარისხოვანია – ფუძე ქანებისთვის). **აქცესორული** („აქცესორიუს“ – დამატებითი, ლათ.) **მინერალები** უმნიშვნელო რაოდენობით ($<1\%$) გვხვდება ამა თუ იმ ქანში. აქცესორული მინერალებია: აპატიტი, ცირკონი, რუტილი, შპინელი, ქრომიტი, ორთიტი, მონაციტი და სხვა. ზოგიერთი მათგანი დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული ტიპის ქანებისათვის და წარმოადგენს მათ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

შეფერილობის მიხედვით ქანმაშენი მინერალები იყოფა: **სალურ ანუ ლეიკოკრატულ (ლია)** და **ფემურ ანუ მელანოკრატულ (ფერად)** მინერალებად. სალურ მინერალებს მიეკუთვნება: კვარცი, ფელდშპატები (ორთოკლაზი, მიკროკლინი, პლაგიოკლაზები), ფელდშპატოიდები, მუსკოვიტი და სხვ. ფემურს – ოლივინი, ავგიტი, რქატყუარა, ბიოტიტი და სხვ.

ქიმიური შედგენილობისა და სტრუქტურის (კრისტალოქიმიური პრინციპის) მიხედვით გამოიყოფა მინერალთა შემდეგი კლასები: სილიკატები, ხალასი (თვითნაბადი) ელემენტები, სულფიდები და სულფომარილები, უანგეულები და ჰიდროჟანგეულები, ჰალოგენიდები, კარბონატები, სულფატები, ვოლფრამატები, მოლიბდატები, ფოსფატები, არსენატები, ვანადატები, ნიტრატები, ბორატები, ქრომატები. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

სილიკატები. სილიკატები დედამინის ქერქის 92%-ს შეადგენს. ამ კლასში გაერთიანებული მინერალების უმეტესობა მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანების მთავარი ქანმაშენი მინერალებია. სილიკატების ძირითადი სტრუქტურული ერთეულია სილიციუმ-უანგბადოვნი ტეტრაედრი $[SiO_4]^{4-}$, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნული კლასის სისტემატიკას. გამოიყოფა შემდეგი ქვეკლასები / ქანმაშენი მინერალებისთვის / (ცხრილი 3.2).

კუნძულისებრი სილიკატები (ნებისილიკატები, „ნებო“ – კუნძული; ბერძნ.) – სილიკატები იზოლირებული ტეტრაედრებით $[SiO_4]^{4-}$: ოლივინი $(Mg,Fe)_2[SiO_4]$, გრანატები (მაგ., პიროპი $Mg_3Al_2[SiO_4]_3$, ცირკონი $Zr[SiO_4]$ და სხვ.).





ძენკვისებრი სილიკატები (ინოსილიკატები) – სილიკატები ერთმაგი $[Si_2O_6]^{4-}$ და ორმაგი ძენკვით $[Si_4O_{11}]^{6-}$. მასში გაერთიანებულია პიროქსენები და ამფიბოლები. პიროქსენებიდან დავასახელებთ ავგიტა $(Ca,Na)(Mg,Fe,Al,Ti)[(Si,Al)_2O_6]$, ხოლო ამფიბოლებიდან რქატყუარას $(Ca,Na)(Mg,Fe^{2+})_4(Al,Fe^{3+})[(Si,Al)_4O_{11}]_2[OH]_2$.

შრეებრივი სილიკატები (ფილოსილიკატები, „ფილოს“ – ფურცელი, ბერძნ.) $[Si_2O_5]^{2-}$ სტრუქტურით. ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული ნარმომადგენლებია ქარსები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ბიოტიტი $K(Fe,Mg)_3[AlSi_3O_{10}][OH,F]_2$ და მუსკოვიტი $KAl_2[AlSi_3O_{10}][OH]_2$, ტალკი $Mg_3[Si_4O_{10}][OH]_2$, კაოლინიტი $Al_4[Si_4O_{10}]_2[OH]_8$.

კარკასული სილიკატები (ტექტოსილიკატები) – ამ ქვეკლასში გაერთიანებულია კაუმინის, ფელდშპატების (მინდვრის შპატები), ფელდშპატოიდებისა და ცელიტების ჯგუფები. **კაუმინის** ჯგუფის მინერალები (კვარცი, ოპალი და სხვ.) გვხვდება თითქმის ყველა გენეტიკური ტიპის ქანებში (მაგმური, დანალექი, მეტამორფული) ძირითადი ქანმაშენი მინერალების სახით. **მინდვრის შპატები** ცნობილ ქანმაშენ მინერალთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფია. მათ უკავიათ დედამინის ქერქის 50%-ზე მეტი. მინდვრის შპატებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია K-იანი მინდვრის შპატები – ორთოკლაზი $K(AlSi_3O_8)$, მიკროკლინი $K(Al-Si_3O_8)$ და **პლაგიოკლაზები**. ეს უკანასკნელი ნარმოადგენს ალბიტისა $Na[AlSi_3O_8]$ და ანორთიტის $Ca[Al_2Si_2O_8]$ უწყვეტ იზომორფულ რიგს. იზომორფიზმი („იზო“ – ერთნაირი, „მორფო“ ფორმა, ლათ.) არის ელემენტთა ჩანაცვლების უნარი კრისტალურ სტრუქტურაში, მათი აღნაგობის მნიშვნელოვანი შეცვლის გარეშე. ცნობილია პლაგიოკლაზების ექვსმინერალიანი რიგი (მუავე პლაგიოკლაზები – ალბიტი და ოლიგოკლაზი, საშუალო – ანდეზინი, ფუძე – ლაბრადორი, ბიტოვნიტი და ანორთიტი). **ფელდშპატოიდები** მინდვრის შპატების მსგავსია შედგენილობით, მაგრამ

უკანასკნელთაგან SiO_2 -ის (კაფმინის) სიმცირით და ტუტე მეტალთა (Na, K) სიჭარბით გამოირჩევიან. ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული მინერალებია: ნეფელინი ($\text{Na}, \text{K}[\text{AlSi}_2\text{O}_6]$), ლეიციტი $\text{K}[\text{AlSi}_2\text{O}_6]$ და სხვ.

ცხრილი 3.2

მინერალი/ვორმულა	სტრუქტურა
ოლივინის ჯგუფი ოლივინი (Mg, Fe) $[\text{SiO}_4]$	 იზოლირებული $[\text{SiO}_4]^4$ სილიკატები ნეზოსილიკატები
პიროქსენების ჯგუფი (ავგიტი) (Ca, Na) ($\text{Mg}, \text{Fe}, \text{Al}, \text{Ti}$) $[(\text{Si}, \text{Al})_2\text{O}_6]$	 სილიკატები ერთმაგი $[\text{Si}_2\text{O}_6]^{12-}$ ძენცვით ინოსილიკატები
ამფიბოლების ჯგუფი (რქატყუარა) (Ca, Na) ($\text{Mg}, \text{Fe}^{2+}$) $_4$ ($\text{Al}, \text{Fe}^{3+}$) $[(\text{Si}, \text{Al})_4\text{O}_{11}]_2[\text{OH}]_2$	 სილიკატები ორმაგი $[\text{Si}_4\text{O}_{11}]^{6-}$ ძენცვით ინოსილიკატები
ბიოტიტი $\text{K}(\text{Fe}, \text{Mg})_3[\text{AlSi}_3\text{O}_{10}]_2[\text{OH}, \text{F}]_2$	
	 შრეებრივი სილიკატები $[\text{Si}_2\text{O}_5]^{2-}$ ფილოსილიკატები
K და K-Na მინდვრის შპატები (ორთოკლაზი და მიკროკლინი) $\text{K}[\text{AlSi}_3\text{O}_8]$	
	 კარკასული სილიკატები ტექტოსილიკატები
კვარცი SiO_2	

ხალასი (თვითნაბადი) ელემენტები. ამ კლასის მინერალები ერთი ელემენტით არის წარმოდგენილი. ისინი არ წარმოადგენენ ქანმაშენ მინერალებს. მათი რაოდენობა დედამინის ქერქში სხვა მინერალებთან შედარებით უმნიშვნელოა (სულ 45-მდე ასეთი მინერალია), მათი წილი დედამინის ქერქის მთლიანი მასის 0.1%-ს შეად-

გენს. თუმცა დიდია მათი პრაქტიკული გამოყენება. ასეთებია: ოქრო Au, ვერცხლი Ag, სპილენი Cu, გოგირდი S, პლატინა Pt, გრაფიტი C, ალმასი C და სხვა.

სულფიდები. სულფიდები გოგირდწყალბადის(H_2S) მარილებია. მასში გაერთიანებულია ისეთი ცნობილი მადნეული მინერალები, როგორებიცაა გალენიტი PbS („გალენა“ – ტყვიის მადანი, ლათ.), სფალერიტი ZnS , პირიტი FeS_2 (გოგირდის ალმადანი), ქალკოპირიტი $CuFeS_2$ (სპილენის კოლჩედანი), მოლიბდენიტი MoS_2 (მოლიბდენის კრიალა), სინგური HgS (არაბულად დრაკონის სისხლი), რეალგარი AsS და აურიპიგმენტი As_2S_3 (დარიშხანის მინერალები), სტიბნიტი Sb_2S_3 (ანთიმონიტი) და სხვ.

ჰალოგენიდები ქლორის (ქლორიდები) ან ფტორის(ფტორიდები) ნაერთებია. აქ, პირველ რიგში, დავასახელოთ ჰალიტი $NaCl$ (ქვამარილი, იგივე საჭმელი მარილი), ასევე სილვინი KCl , ფლუორიტი CaF_2 და სხვ.

უანგეულები და ჰიდროჟანგეულები. ეს არის სხვადასხვა ელემენტთა ნაერთები უანგბადთან ან უანგბადთან და ჰიდროჟესილის (OH) ჯგუფთან. ფართოდ გავრცელებული მინერალებია, რომელთაც დედამინის ქერქის საერთო მასის 17% უკავიათ. ამ ჯგუფშია მნიშვნელოვანი მადნეული მინერალები: მაგნეტიტი Fe_3O_4 , ჰემატიტი Fe_2O_3 (რკინის კრიალა), პიროლუზიტი MnO_2 , კორუნდი Al_2O_3 , ლიმონიტი $FeO(OH) \cdot nH_2O$ და სხვ.

კარბონატები ნახშირმჟავას (H_2CO_3) მარილებია. მისი ნარმომადგენელია დედამინის ქერქში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მინერალი კალციტი $CaCO_3$. კალციტის გამჭვირვალე სახესხვაობას ისლანდიური შპატი (ოპტიკური კალციტი) ეწოდება. ამ კლასის მინერალებია ასევე: არაგონიტი $CaCO_3$, დოლომიტი $CaMg(CO_3)_2$, მაგნეზიტი $MgCO_3$, სპილენის შემცველი წყლიანი კარბონატები – მალაქიტი $Cu_2CO_3(OH)_2$ და აზურიტი $Cu_3(CO_3)_2(OH)_2$, და სხვ.

სულფატები. ამ კლასში შემავალი მინერალები გოგირდმჟავას (H_2SO_4) მარილებს ნარმოდგენენ. მათ შორისაა ცნობილი მინერალი თაბაშირი $CaSO_4 \cdot 2H_2O$. ასევე: ანჰიდრიტი $CaSO_4$, ბარიტი $BaSO_4$ (მძიმე შპატი) და სხვ.

ფოსფატებიდან ყველაზე გავრცელებულია აპატიტის ჯგუფის მინერალები: ფტორაპატიტი $Ca_5(PO_4)_3F$, ქლორაპატიტი $Ca_5(PO_4)_3Cl$, ჰიდროჟესილაპატიტი $Ca_5(PO_4)_3OH$ და კარბონატაპატიტები ანუ ფოსფორიტები (ფოსფორის, ანუ აგრონომიული მადანი), აპატიტის $[CO_3]$ ჯგუფის შემცველი ნაირსახეობა $Ca_5[PO_4, CO_3]_3$.

3.3. ქანები

ქანი არის მინერალთა ბუნებრივი აგრეგატი, რომელიც ნარმოიქმნება დედამინის ქერქში ან მის ზედაპირზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესების შედეგად. ქანების ნივთიერ შედგენილობას, აგებულებას, კლასიფიკაციას, ნარმოშობის პირბებსა და დედამინის ქერქში გავრცელების კანონზომიერებებს შეისწავლის მეცნიერება ჰეტროლოგია („ჰეტროს“ – ქვა, კლდე, ბერძნ).

ქანი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე მინერალისგან. **მონომინერალური** ანუ ერთმინერალიანი („მონოს“ – ერთი, ბერძნ.) ქანია მარმარილო, კვარციტი და სხვ. **პოლიმინერალურ** ანუ მრავალმინერალიან („პოლის“ – მრავალი, ბევრი, ბერძნ.) ქანებს მიეკუთვნება გრანიტი, ანდეზიტი და სხვ.

ნარმოშობის მიხედვით ქანებში სამი მთავარი ჯგუფი გამოიყოფა: 1. **მაგმური;** 2. **დანალექი** და 3. **მეტამორფული.** დედამიწის ზედაპირის 75% აგებულია დანალექი ქანებით და მხოლოდ 25% უკავია მაგმურ და მეტამორფულ ქანებს.

3.3.1. მაგმური ქანები

მაგმური ქანი წარმოიქმნება დედამიწის ქერქში ან მის ზედაპირზე მაგმის კრისტალიზაციის შედეგად. **მაგმა** არის გაზებითა და წყლის ორთქლით მდიდარი მაღალტემპერატურული, სილიკატური მდნარი. ზედაპირზე ამოსულ, გაზებით გაღარიბებულ მაგმას **ლავა** ეწოდება. მაგმური კერქი ძირითადად დედამიწის ქერქში ან ზედა მანგიაში მდებარეობს.

მაგმური ქანები ხასიათდება მინერალური და ქიმიური შედგენილობით, სტრუქტურით, ტექსტურით, წარმოშობის პირობებით და სივრცეში განლაგებით.

წარმოშობის გეოლოგიური პირობების მიხედვით მაგმური ქანები შეიძლება იყოს: **ინტრუზიული** („ინტრუზიონ“ – შეჭრა, ლათ.) ანუ სილრმის და **ექსტრუზიული** (ეფუზიური, „ეფუზიონ“ – გადმოღვრა, გადმოდინება; ლათ.) ანუ **ვულკანური** (ზედაპირული). ინტრუზიულ ქანებს სილრმის მიხედვით ყოფენ ორად: **პლუტონური** („პლუტონი“ – მინისქვეშეთის ღმერთი ძველ რომაელთა მითოლოგიაში), იგივე **აპისალური** („აპისოს“ – უფსკრული, ბერძნ.) და **პიპაბისალური** (წახევრად სილრმის). ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება კრისტალიზაციის ხარისხით, სტრუქტურითა და ტექსტურით. **სტრუქტურა** გულისხმობს ქანის შემადგენელ კრისტალთა მარცვლების ფორმასა და ზომას და ამ მარცვალთა ურთიერთგანლაგებას („სტრუქტურა“ – აგებულება, ლათ.), **ტექსტურა** კი მათი განაწილებაა სივრცეში („ტექსტურა“ – ქსოვილი, ლათ.).

პლუტონური მაგმური ქანებისთვის დამახასიათებელია სრულკრისტალური, თანაბარმარცვლოვანი სტრუქტურა, რაც განპირობებულია სილრმეში ტემპერატურისა და წნევის თანდათან შემცირებით. რაც შეეხება **ვულკანურ ქანებს**, მათი წარმოშობა ზედაპირზე (სუბარალურ ან სუბაკტურ პირობებში) ლავის სწრაფი გაცივების შედეგად ხდება. სწრაფად გაცივებული ლავა ვერ ასწრებს სრულად დაკრისტალებას. ამიტომ აქ უკვე საქმე გვაქვს არასრულკრისტალურ სტრუქტურასთან, როდესაც სახეზეა დაუკრისტალებელი მინებრივი ძირითადი მასა და მასში ჩართული ცალკეული კრისტალები (ე.წ. ფენოკრისტალები). ასეთ სტრუქტურას **პორფირულს** უწოდებენ. ზოგჯერ მთელი მასა იმდენად სუსტადაა დაკრისტალებული, რომ მიკროსკოპის გარეშე ვერც შეიმჩნევა დაკრისტალება. ესაა **აფანიტური** („აფანეს“ – უჩინარი; ბერძნ.) სტრუქტურა. არის შემთხვევები, როცა ეფუზიური მაგმური ქანი სრულიად დაუკრისტალებელია, ანუ მინებრივი აგებულებისაა. ასეთი ქანის კარგი მაგალითია **ვულკანური მინა** ანუ **ობსიდიანი** (სურ. 3.5).



სურ. 3.5. ობსიდიანი – ლავის სწრაფი გაცივების შედეგად წარმოშობილი
მინისებრი (დაუკრისტალებელი) ვულკანური ქანი

ჰიპაბისალური ქანები წარმოიქმნება დედამინის ზედაპირთან ახლოს, მცირე სიღრმეებზე, და გარდამავალია პლუტონურ(აბისალურ) და ვულკანურ ქანებს შორის.

მაგმური ქანები განსხვავდებიან ქიმიური შედეგების მინისებრის მინისებრის მინისებრის: SiO_2 , TiO_2 , Al_2O_3 , FeO , Fe_2O_3 , MnO , MgO , CaO , Na_2O ; K_2O ; H_2O ; P_2O_5 ; CO_2 ; მათგან მაგმური ქანების კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანია SiO_2 -ის შემცველობა და Na_2O , K_2O , CaO და Al_2O_3 უანგეულების რაოდენობრივი თანაფარდობა. კაუმინის (SiO_2) შემცველობის მიხედვით გამოიყოფა: ულტრაფუძე (<45 %), ფუძე (45–52%), საშუალო (52–65%) და მუდავე (65%–75%) ქანები (ცხრილი 3.3). ტუტების $\text{Na}_2\text{O}+\text{K}_2\text{O}$ შემცველობის მიხედვით კი: ნორმული (კირ-ტუტე), ტუტე და სუბ-ტუტე რიგის ქანები.

მაგმური ქანების მინერალური შედეგები (სალური და ფერმური მინერალების შემცველობა) განაპირობებს მათ შეფერილობას. ამ ნიშნის მიხედვით გამოიყოფა ლეიკორატული (ლია) და მელანოკრატული(მუქი) ქანები.

მაგმური ქანები ერთმანეთისგან წამყვანი მინერალების შემცველობითაც განსხვავდება. **მუდავე ქანების** ჯგუფში, რომლის წარმომადგენლებია გრანიტი (აბისალური), რიოლიტი (ვულკანური), წამყვანი მინერალებია: კვარცი, ორთოკლაზი, მიკროკლინი, მუდავე პლაგიოკლაზი, ბიოტიტი, იშვიათად – რქატყუარა და პიროქსენები. **საშუალო ქანებს** მიეკუთვნება: დიორიტი (აბისალური) და ანდეზიტი (ვულკანური). წამყვანი მინერალებია: საშუალო პლაგიოკლაზი, რქატყუარა, თითქმის არ არის ბიოტიტი და კვარცი, რომელიც მუდავე ქანებში წამყვანი მინერალებია. **ფუძე ქანებიდან** ცნობილია გაბრო-ბაზალტის ჯგუფი (გაბრო – აბისალური; ბაზალტი – ვულკანური). წამყვანი მინერალებია: ფუძე პლაგიოკლაზები და პიროქსენები, ნაკლებად – რქატყუარა და ოლივინი, ულტრაფუძე ქანები (დუნიტი, პერიდოტიტი, პიროქსენიტი და სხვ.) ძირითადად მხოლოდ პიროქსენებითა და ოლივინითაა წარმოდგენილი, ძალიან იშვიათად არის ფუძე პლაგიოკლაზი. რაც შეეხება ტუტე ქანებს, ისინი ზემოთ დასახელებულ ქანებთან შედარებით ნაკლებადაა გავრცელე-

ბული დედამიწის ქერქში. მათში გამოიყოფა უფელდშპატო და ფელდშპატონიდები-ანი ქანები, თუმცა ორივე ამ ჯგუფს ტუტე მინერალების შედარებით მაღალი შემცველობა ახასიათებს. ტუტე ქანებს მიეკუთვნება ნეფელინიანი სიენიტები (აბის-ალური), რომელშიც წამყვანი როლი ტუტე მინდვრის შპატებსა და ნეფელინს ეკუთვნის. სიენიტები და ნეფელინიანი სიენიტები ტუტე საშუალო მუვანობის ქანებია. არსებობს ფუძე ქანების ტუტე რიგიც (ტუტე გაბრო-ბაზალტების ჯგუფი).

ცხრილი 3.3

გაგმური ჩანების კლასიფიკაცია

კაჟმონის /SiO ₂ / შემცველობა	მზავი 65-75%	საშუალო 52-65 %	ფუძე 45-52%	ულტრაფუძე <45%
მოვარი მარგარიტი მინერალები	კვარცი, მაგავე ალაზინის და კ-მინდვრის შეატები	აფინგრი, საშუალო ალაზინის და კ-მინდვრის შეატები	აირისანი, ფუძე ალაზინის და კ-მინდვრის შეატები	ოლივინი აირისანი
მარიანარი სამავალი მინერალები	ამფიბოლი, კიოტიტი, გუსტონიტი	აირისანი, მინტიტი	ამფიბოლი, მუნიტი	ფუძე ალაზინის და კ-მინდვრის შეატები
აგისალური სრული კრისტალური, მარცვლებელი	მრავილი	დიორიტი	გაპრო	პერიდოტიტი
ავაგანისალური, არეალის და დოკოდვალვალი	მიკროგრანიტი	მიკროდიონიტი	მიკროგაბრო	აიკრიტი
ველური არასალური არაკრისტალური მინერალების გარეულება	რიოლიტი	ანდეზიტი	ბაზალტი	მიკროგრანიტი
გავერის ვაჭარილობა /მუქი მინერალების % რაოდენობა/	0-25%	25-45%	45-85%	85-100%
SiO ₂ - ის რაოდენობის ზრდა				
K, Na- ის რაოდენობის ზრდა				
Ca, Mg, Fe- ის რაოდენობის ზრდა				
650 °		პრისტალიზაციის ტემპერატურა		1250°

მაგმურ ქანებში საინტერესო კანონზომიერება შეიმჩნევა – მუვედან ულტრაფუძე ქანებისაკენ თანდათან იზრდება ქანების ხვედრითი წონა და ამავე დროს ქანების ფერი სულ უფრო მუქი ხდება. ეს ადვილად გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ მიმართულებით (მუვედან ულტრაფუძისკენ) თანდათან კლებულობს მსუბუქი და ამავე დროს ღია ფერის ელემენტების, სილიციუმისა და ალუმინის რაოდენობა და, პირიქით, იზრდება მძიმე და მუქი ფერის ელემენტების – რკინისა და მაგნიუმის – შემცველობა.

3.3.2. დანალექი ქანები

დედამიწის ქერქის ამგები ქანები ზედაპირზე ნგრევა-დაშლას განიცდის. იშვიათად რომ ნაშალი მასალა ადგილზე დარჩეს, როგორც წესი, ის გადაიტანება ქარის, მდინარის, მყინვარის, ზღვის ან სხვა გადამტანი აგენტის მიერ. გადატანილი მასალის დიდი ნაწილი ზღვებში იღექება ცალკეულ ფენებად. შემდგომში, მიმდინარე პროცესების წყალობით, დალექილი მასალა განმტკიცდება, შეცემენტდება და წარმოქმნება დანალექი ქანი. მაგრამ ეს არ არის დანალექი ქანის წარმოქმნის ერთადერთი გზა. დანალექი ქანი მიიღება ზღვაში (და არა მარტო ზღვაში) მცხოვრები ნიუარიანი წყალმცენარეებისა და ცხოველების სკელეტური ნაწილების ზღვის ფსკერზე დაგროვებისა და შეცემენტებისას, ან ზღვის წყლიდან ქიმიური და ბიოქიმიური გზით გამოლექვის, აორთქლების და სხვა პროცესების შედეგად. დანალექ ქანს უწოდებენ აგრეთვე შეუცემენტებელ ფხვიერ მასალასაც. მაგალითად, უდაბნოს ქვიშა, ნამსხვრევი მასალისგან შემდგარი ფხვიერი მასა ისევე ითვლება დანალექ ქანად, როგორც ქვიშაქვა – შემტკიცებული, შეცემენტებული, „გაქვავებული“ ქვიშა. თუ ზემოთქმულს დავუკირდებით, დავასკვნით, რომ დანალექი ქანები წარმოიშობა როგორც ზღვაში (ძირითადად), ისე ხმელეთზე (წყლიან ან უწყლო გარემოში).

დანალექი ქანები ფართოდ არის გავრცელებული დედამიწის ქერქის ზედა ნაწილში, რომლის გამოც ამ უკანასკნელს სტრატისფეროსაც უწოდებენ („სტრატუმ“ – ნაფენი, ლათ).

რთულია დანალექი ქანების კლასიფიკაცია. ამიტომაცაა, რომ დღემდე არც არსებობს ასეთი კლასიფიკაციის საყოველთაოდ მიღებული სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ამ მეტად რთული და მრავალფეროვანი ჯგუფის წარმოშობის თუ შედგენილობის ამსახველი ყველა მნიშვნელოვანი მხარე. მასალის რამდენადმე იოლად გადმოცემის მიზნით, საფუძვლად ვიღებთ კლასიფიკაციის ტრადიციულ ვარიანტს. აღნიშნული კლასიფიკაციით, დანალექ ქანებში გენეზისის (წარმოშობის) მიხედვით სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. კლასტური, 2. ორგანოგენული (ბიოგენური) და 3. ქემოგენური (ქიმიური) დანალექი ქანები. დანალექი ქანების მომცემი მასალა მართლაც ამ სამგვარი ბუნებისაა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თიხებს კარგა ხანია ცალკე ჯგუფად გამოყოფენ და, მათი განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე, აღარ ათავსებენ კლასტურ ქანებში. ამის მიზეზი შესაძლოა ის გარემოებაც იყოს, რომ თიხები დანალექი ქანების ყველაზე უფრო გავრცელებული ჯგუფია, რომელზეც მთელი დანალექი ქანების 50%-ზე მეტი მოდის, თანაც მათი საკმაო ნაწილი ქემოგენურია (ცხრილი 3.4).

კლასტურ დანალექ ქანებში უნდა გაერთიანდეს ვულკანოგენურ-დანალექი ქანები, სადაც მასალის დიდი ნაწილი ვულკანური წარმოშობისაა, ხოლო ცემენტი – სხვადასხვა გენეზისის, თუმცა ზოგჯერ ისიც მთლიანად ვულკანურია. ვულკანოგენურ-დანალექი ქანებია: ტუფოგენური ქვიშაქვები, ვულკანური ბრექჩიები, ტუფიტები, ტუფები და სხვ.

ცხრილი 3.4

დანალექი ქანების კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია	<p>>288-ზე ფსეფიტები ღონდები, ღორლი, დრესვა ან კაჭარი, რიყე, ხეინჭა ფსეფიტოლითები ბრექჩია, კონგლომერატი</p> <p>2-0,1მმ ფსამიტოლითები ქვიშები ფსამიტოლითები ქვიშაქვები/არკოზული, გრაუვაკული/</p> <p>0,1-0,01მმ ალევრიტები და ალევროლითები ლიოსი</p> <p><0,01მმ პელიტები და პელიტოლითები თიხები /კაოლინიტური, მონტმორილიტური/, არგილიტები</p> <p>ფიტოგენური დიატომიტი, ქვანახშირი</p> <p>ზოოგენური ლუმაშელი</p> <p>ფიტოგენურ-ზოოგენური საწერი ფარცი</p> <p>კირქვები, დოლომიტები, კაუები, ევაპორიტები /მარილები/ - ჰალიტი, თაბაშირი</p>
--------------	--

კლასტური („კლასტეს“ – ნამსხვრევი, ბერძნ.) დანალექი ქანების შემდგომი დანაწილება ხდება მასალის (მარცვლის) სიმსხოს მიხედვით. გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: 1. **ფსეფიტები** („პსეფოს“ – რიყის ქვა, ბერძნ.) მასალის სიმსხო 288-ზე მეტი;
2. ფსამიტები („პსამიტეს“ – ქვიშიანი, ბერძნ.) – 2-0,1მმ; **3. ალევრიტები** („ალევრონ“ – ფქვილი, ბერძნ.) – 0,1-0,01მმ; **4. პელიტები** („პელოს“ – თიხა, ბერძნ.) – 0,01მმ-ზე ნაკლები; ასე უნდებენ შეუცემენტებელ კლასტურ დანალექ ქანებს. შეცემენტებული ქანების სახელები შესაბამისად იქნება **ფსეფიტოლითები**, **ფსამიტოლითები**, **ალევროლითები** და **პელიტოლითები**. მაგალითისათვის, თუ ქვიშა (შეუცემენტე-

ბელი ქანი) ფსამიტია, ქვიშაქვა (შეცემენტებული ქანი) ფსამიტოლითი იქნება. შეცემენტებული ქანის შემთხვევაში ამ უკანასკნელის ამგებ ორ კომპონენტთან გვაქვს საქმე – მასალასა და ცემენტთან. მათი თანაფარდობა ქანში სხვადასხვანაირია, ზოგჯერ ცემენტი სჭარბობს მასალას, ზოგჯერ პირიქითაა, ხოლო ზოგ შემთხვევაში მათი წილი ერთნაირია. ცემენტის როლს ასრულებენ სხვადასხვა ქიმიური ნაერთები და მექანიკური ნაწილაკები, რომლებიც მარცვლებს შორის მოძრავი ხსნარებიდან გამოიყოფა. ცემენტი შეიძლება იყოს თიხის, კარბონატული, კაჟის და ა.შ.

ფსეფიტოლითების ჯგუფში ორი ცნობილი ქანია გაერთიანებული. ესენია **კონგლომერატი** და **ბრექჩია**. მათ შორის უმთავრესი განსხვავება ერთადერთ ნიშანში – მასალის ფორმაში, დამუშავების ხარისხში გამოიხატება. კონგლომერატებში მასალა ყოველთვის დამუშავებულია (სურ. 3.6ა), მაშინ როცა ბრექჩიაში მასალა დაუმუშავებელია, კუთხედია (სურ. 3.6ბ). არის შემთხვევები, როცა ქანში ერთდროულად არის როგორც დამუშავებული, ისე დაუმუშავებელი მასალა. ასეთ ქანს **ბრექჩია-კონგლომერატს** ან **ფანგლომერატს** უწოდებენ.



ა



ბ

სურ. 3.6. ფსეფიტოლითები – კონგლომერატი /ა/ და ბრექჩია /ბ/

კონგლომერატი ფსეფიტოლითების ცნობილი წარმომადგენელია, რომლის მასალის სიმსხო 10მმ-ს აჭარბებს (2-დან 10მმ-მდე სიდიდის მასალის შემცველ კონგლომერატებს გრაველიტი ეწოდება). ქანი შედგება მასალისა და ცემენტისაგან. მასალა კარგად არის დამუშავებული და სხვადასხვა ზომის შედარებით გამძლე ქანების ქვარგვალებითაა წარმოდგენილი. ამავე დროს ეს მასალა სხვადასხვა ტიპის ქანით (მაგმური, დანალექი, მეტამორფული) შეიძლება იყოს დახასიათებული. მრავალგვარია ცემენტიც – ქვიშა, ალევრიტი, თიხა, კალციტი, კაჟი და სხვა. კონგლომერატებში განსხვავებულია მასალისა და ცემენტის თანაფარდობა. როცა ცემენტი საგრძნობლად აჭარბებს მასალას და ეს უკანასკნელი ცალკეული (თითო-ოროლა) ქვარგვალების სახით არის ჩართული ქანში, ვიღებთ კონგლომერატის ნაირსახეობას, რომელსაც **პუდინგი** ეწოდება.

კონგლომერატები ზღვიური წარმოშობისაც არის და კონტინენტურისაც. ამ უკანასკნელში შედის მდინარეული, ტბიური, მყინვარული (ფლუვიოგლაციალური) და სუბარალურიც კი. უაღრესად საინტერესოა ე.წ. **ბაზალური ანუ ფუძის კონგლომერატები**, რომლებიც, როგორც წესი, უთანხმოდ დევს ქვეშმდებარე წყებებზე და რომელთა არსებობა ზღვიური ტრანსგრესის (შემოჭრის) უტყუარი საბუთია.

ზოგჯერ კონგლომერატების ცემენტში ვხვდებით ოქროსაც, რომელიც ზოგან მსოფლიო მნიშვნელობის საბადოებსაც კი ქმნის (სამხრეთ აფრიკა, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები). ამდენად, შეიძლება ლაპარაკი კონგლომერატების დიდ პრაქტიკულ ღირებულებაზეც.

უხეშულასტური შეუცემენტებელი ქანებიდან – **ფსეფიტებიდან** გვხვდება **ლოდები, ლორლი, დრესვა** (დაუმუშავებელი) ან **კაჭარი, რიყე, ხვინჭა** (დამუშავებული).

ფსამიტოლითები ერთადერთი ქანით, ქვიშაქვით არის წარმოდგენილი, რომელიც ქვიშების (ფსამიტების) შეცემენტების შედეგად მიიღება. ქვიშაქვები თიხების შემდეგ ყველაზე გავრცელებული ქანებია დანალექ ქანთა შორის. ქვიშაქვებს ანაწილებენ მასალის სიმსხოს მიხედვით, რომლის შესაბამისადაც გამოყოფენ ჯავუებს მსხვილმარცვლოვანიდან – წვრილმარცვლოვნამდე. უფრო მნიშვნელოვანია ქვიშაქვების კლასიფიკაცია მათი ქიმიური და მინერალური შედგენილობის მიხედვით. ქვიშაქვები მრავალფეროვანი შედგენილობისაა. თუმცა წამყვან კომპონენტებს მასში კვარცი, მინდვრის შპატები, ქარსები ან სხვადასხვა ქანების ნამსხვრევი მასალა წარმოადგენს. ასევე მრავალფეროვანია ქვიშაქვების ცემენტიც, რომელიც შეიძლება იყოს თიხის, კალციტის, კაჟის, რკინის და სხვ.

ქვიშაქვები შეიძლება, ფაქტობრივად, ერთი მინერალით (ძირითადად კვარცით) იყოს წარმოდგენილი. ასეთ ქვიშაქვებს ერთი მინერალისაგან შემდგარი ანუ **მონომინერალური** ეწოდება. ასეთია საყოველთაოდ ცნობილი კვარცის ქვიშაქვები. ბუნებაში უფრო ფართოდაა გავრცელებული მრავალმინერალიანი ანუ **პოლიმიქტური** ქვიშაქვები („პოლი“ – ბევრი, ბერძნ. „მიქტოს“ – შერეული, ბერძნ.), რომელთა შორის აღსანიშნავია: **არკოზული ქვიშაქვები** – ძირითადად კვარცითა და მინდვრის შპატებით აგებული ქანი, რომლის მასალაც მუავე ქანების დაშლის შედეგად მიიღება. პოლიმიქტური ქვიშაქვების უფრო დიდ ჯგუფს შეადგენს **გრაუვაკური** ქვიშაქვები („რუხი ქვიშაქვები“), რომლებიც მრავალფეროვანი შედგენილობით გამოირჩევიან და ძირითადად ფუძე მაგმური ქანების ნაშალი მასალით არიან აგებული. ერთობ საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს **ტუფოგენური ქვიშაქვები**, რომლებიც კლასტური მასალის გვერდით დიდი რაოდენობით არის ვულკანური მასალაც (პიროკლასტები). ცნობილია აგრეთვე **გლაუკონიტიანი ქვიშაქვები**, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ მნვანე ფერის მინერალ გლაუკონიტს, რის გამოც ქანსაც მომწვანო ფერი აქვს. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები თხელი ზღვის პირობებში წარმოიშობა.

ალევროლითები გარდამავალი ჯგუფია ფსამიტოლითებსა და პელიტოლითებს შორის. მასალის სიმსხო ამ ჯგუფის ქანებში, როგორც უკვე აღინიშნა, 0,1-0,01 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. ალევროლითების ერთ-ერთი წარმომადგენელია **ლიოსი**

– მოთეთრო-ჩალისფერ-მოყვითალო სუსტად შეცემენტებული ქანი, რომელიც ძირითადად კვარცისაგან შედგება, ნაკლებადაა ფერლდშპატები და სხვა მინერალები. ლიოსი არაშრებრივი ქანია, ამავე დროს ძალზე ფორიანი, რაც მისი წარმოშობით არის განპირობებული – როგორც ფიქრობენ, ლიოსები წარმოიშობა უდაბნოებისა და მყინვარების პერიფერიებზე განვითარებულ სტეპებისა და ტუნდრის ზოლში. ქარის მიერ მოტანილი ალევრიტული მასალა მცენარეებზე ილექტა. ლიოსის ქანად გადაქცევის პროცესში მცენარეულობა ისპობა და ქანშიც ფორები ჩნდება. მიუხედავად მაღალი ფორიანობისა, ლიოსი სუსტად წყალგამტარია.

ლიოსს დიდი გამოყენება აქვს ფაიფურის წარმოებაში.

პელიტოლითები ყველაზე წმინდამარცვლოვანი ქანების ჯგუფია, სადაც მარცვლის სიმსხო 0,01 მმ-ზე ნაკლებია. ამ ჯგუფის წარმომადგენელად განვიხილოთ თიხები.

თიხები დედამინის ქერქში ფართოდ გავრცელებული ქანებია. ეს არის ძალზე წვრილმარცვლოვანი ქანები, რომლებიც ძირითადად თიხის მინერალებისგან შედგებიან, თუმცა მათში ქლორიტი, გლაუკონიტი, ოპალი და ბევრი სხვა მინერალია შერეული. არის აგრეთვე სხვადასხვაგვარი ნამსხვრევი მასალა მექანიკური მინარევის სახით.

თიხების დიდ ჯგუფში შედის საკუთრივ თიხები – დამბალ მდგომარეობაში პლასტიკურობის მქონე ქანები და **არგილიტები** (მკვრივი თიხები) – პლასტიკურობის არმქონე ქანები. თიხების ფერი მრავალნაირია, რაც ძირითადად მინარევებითაა განპირობებული.

მინერალური შედგენილობის მიხედვით თიხებში ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: **კაოლინური** (ცეცხლგამძლე), **ჰიდროქარსული**, **მონტმორილონიტური** (ბენტონიტური, ე.ნ. მათეთრებელი) და **პოლიმინერალური**.

თიხებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებით ბენტონიტურსა და კაოლინურს. ისინი გამოიყენება: მშენებლობაში, მედიცინაში, მეტალურგიაში, ნავთობპროდუქტების გასაწმენდად, კერამიკაში; სალებავების, ცხიმის, ღვინის, ქალალდის, რეზინის, საპნის ნარმოებაში; ფრინველებისა და პირუტყვის საკვებად და ა.შ.

ბენტონიტური თიხების ცნობილი საბადოებია საქართველოში: ზედაცარცული ასაკის „გუმბრინი“ (ქუთაისის მახლობლად) და ზედაეოცენური ასკანის თიხა (ოზურგეთის მახლობლად).

ორგანოგენული (ბიოგენური) დანალექი ქანები წარმოიშობა ცოცხალი ორგანიზმების (როგორც მცენარეების, ისე ცხოველების) სკელეტური წარმონაქმნების დაგროვებისა და შეცემენტების შედეგად. შესაბამისად, განასხვავებენ ფიტოგენურ (მცენარეულ) და **ზოოგენურ** (ცხოველურ) დანალექ ქანებს. ფიტოგენურს მიეკუთვნება **დიატომიტი** – ერთუჯრედიანი მიკროსკოპული წყალმცენარეების – დიატომების კაჟის ნიჟარებისაგან შემდგარი ქანი. ამავე ფიტოგენურ ქანს წარმოადგენს ქვანახშირიც. **ზოოგენური** დანალექი ქანის კარგი მაგალითია მარჯნიანი კირქვა, რომელიც ზღვის ცხოველების ერთ-ერთი ცნობილი ჯგუფის, მარჯნების, სკელეტური წარმონაქმნებით არის აგებული. ასევე ზოოგენურია **ლუმაშელი** – სხვა-

დასხვა უხერხემლო ცხოველთა ნიუარების ან ნიუარების ნამსხვრევების შეცემნ-ტების შედეგად მიღებული ქანი და სხვ. არის შერეული, ფიტოგენურ-ზოოგენური ქანებიც. ამის საუკეთესო მაგალითია **სანერი ცარცი**, რომელიც შედგება ერთუ-ჯრედიანი წყალმცენარეების, კოკოლითოფორიდების და აგრეთვე ერთუჯრედიანი ცხოველების, ფორამინიფერების მიკროსკოპული ზომის კირქვის ნიუარებისაგან.

ქემოგენური (ქიმიური) დანალექი ქანები წყლიდან (ძირითადად ზღვის წყლი-დან) ქიმიური დალექვის შედეგად მიიღება. ამ ტიპის ქანებს მიეკუთვნება **კირქვები**, დოლომიტები, კაჟები, ევაპორიტები („ევაპორაციო“ – აორთქლება, ლათ.) ანუ მარილები (ქვამარილი, თაბაშირი და სხვა.).

3.3.3. მეტამორფული ქანები

მეტამორფული („მეტამორფომაი“ – გარდავიქმნები, ბერძნ.) **ქანები** წარ-მოიშობა ადრე არსებული მაგმური, დანალექი და მეტამორფული ქანების გარდაქმ-ნის შედეგად, დედამინის შიგნეთში, მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში.

მეტამორფული ქანები მაგმური და დანალექი ქანებისაგან განსხვავდება როგორც მინერალური შედგენილობით, ასევე ტექსტურითა და სტრუქტურით. მეტამორფული ქანებისთვის დამახასიათებელი ქანმაშენი მინერალებია: ანდალუზ-იტი, სილიმანიტი, დისტენი, სტავროლიტი, გრანატები, ტალკი, ქლორიტი, სერიც-იტი და სხვ. ასევე მაგმური და დანალექი ქანების ქანმაშენი მინერალები: კვარცი, ქარსები, რქატყუარა, ავგიტი, პლაგიოკლაზები, კალციტი და სხვ.

მეტამორფული ქანებისთვის ძირითადად დამახასიათებელია ფიქლებრივი, ზოლებრივი, გნაისისებრი, სათვალისებრი და მასიური ტექსტურა. სტრუქტურის მიხედვით გამოყოფენ ოთხ ჯგუფს: კრისტალობლასტურს, კატაკლაზურს, რელიქ-ტურსა და მეტასომატურს. მარცვლების ზომების მიხედვით კი წვრილმარცვლოვანი, საშუალომარცვლოვან და მსხვილმარცვლოვან სტრუქტურებს.

მეტამორფული პროცესების შესახებ ცალკე თავში გვექნება საუბარი. ახლა კი უბრალოდ გავეცნოთ ზოგიერთ მეტამორფულ ქანს.

მეტამორფულ ქანებში ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა: ფიქლებრივი და არაფიქ-ლებრივი. ფიქლებრივობა ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქანზე მიყენებული ორიენტირებული (ცალმხრივი) ძალის გავლენით ერთმანეთის პარალელურად (ზოლებრივად) განლაგდებიან მეტ-ნაკლებად კარგად ტკეჩადი პრიზმული ან ფირ-ფიტისებური ფორმის მინერალები. შედეგად ვიღებთ ფიქლებრივი აგებულების მეტამორფულ ქანს. ფიქლებრივი მეტამორფული ქანების საუკეთესო წარმომად-გენელია: თიხაფიქალი (ასპიდური ფიქალი), ფილიტი, კრისტალური ფიქალი, გნაისი. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მათგანი მეტამორფიზმის სხვადასხვა ხარისხ-ის მაჩვენებელია – მეტამორფიზმი იზრდება თიხაფიქალიდან გნაისამდე ფილიტისა და კრისტალური ფიქალის გავლით.

არაფიქლებრივ (მარცვლოვანი) მეტამორფულ ქანებს მიეკუთვნება: მარმარი-ლო, კვარციტი, ანთრაციტი და სხვ.

3.3.4. ქანების წოლის ფორმები


ქანების სივრცობრივი განლაგება გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქანებს ახასიათებს მათთვის კუთვნილი, სპეციფიკური წოლის ფორმები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკუთარი წოლის ფორმები გააჩნიათ მხოლოდ მაგმურ და დანალექ ქანებს. რაც შეეხება მეტამორფულ ქანებს, რადგანაც ისინი მაგმური და დანალექი ქანებისაგან წარმოიშობიან, შეძლებისდაგვარად ინარჩუნებენ იმ წოლის ფორმებს, რომლებიც მათ მომცემ დედაქანებს ჰქონდა.

მაგმური ქანების წოლის ფორმები. როგორც აღვნიშნეთ, მაგმური ქანების ორი გენეტიკური ტიპი გამოიყოფა – ინტრუზიული, ანუ შიგნეთში წარმოშობილი და ეფუზიული, ანუ მიწის ზედაპირზე წარმოქმნილი. შესაბამისად, არჩევენ ინტრუზიული და ეფუზიული მაგმური ქანების წოლის ფორმებს.

ინტრუზიული ქანების წოლის ფორმები. შიგნეთში ქვედა ფენებიდან ზედაში შემოჭრილი მაგმა გარკვეული დროის შემდეგ გაცივდება და იძლევა ინტრუზიულ მაგმურ სხეულს, რომელიც იმისდა მიხედვით, თუ როგორ სივრცეშია შეჭრილი, მიიღებს შესაბამის ფორმას. ინტრუზიული მაგმური ქანების წოლის ფორმები შეიძლება იყოს **უთანხმო ანუ გამკვეთი და თანხმობითი ანუ არაგამკვეთი.** გავეცნოთ მათ შორის ყველაზე გავრცელებულებს.

უთანხმო წოლის ფორმებია: ბათოლითი, შტოკი, დაიკი, ნეკი, აპოფიზი.

ბათოლითი („ბათოს“ – სიღრმე, ბერძნ.) გრანდიოზული ზომების, დიდ სიღრმეებზე წარმოშობილი გამკვეთი მაგმური სხეულია. მიწის ზედაპირზე გაშიშვლებული ნაწილის ფართობი (რასაც შიგნეთში მიმდინარე ტექტონიკური პროცესები განაპირობებს) ასეული და მეტი კვადრატული კილომეტრებით განისაზღვრება. სიღრმეში მისი ფართობი კიდევ უფრო იზრდება. ბათოლითი იმდენად ღრმად ვრცელდება, რომ ერთ დროს ის უძიროდაც მიაჩნდათ. ბათოლითები ძირითადად გრანიტული შედგენილობისაა და ყველაზე ფართოდ ნაოჭა სარტყელებშია გავრცელებული (სურ. 3.7).



სურ. 3.7. ბათოლითი – ინტრუზიული სხეული
(Короновский, Якушова, 1991)

შტოკი („შტოკი“ – ჯოხი, ლერო. ბერძნ.) იზოდიამეტრული გამკვეთი სხეულია, ციცაბო კედლებით, რომლის ფართობი მიწის ზედაპირზე 100 კმ^2 -ზე ნაკლებია (სურ. 3.8.2.).

დაიკი („დაიკი“ დამბა, ქვის კედელი, ინგლ.) შედარებით მცირე ზომის ვიწრო და წაგრძელებული ინტრუზიული სხეულია, რომლის სიგრძე ათეული მეტრებიდან ასეულ კილომეტრებამდე, ხოლო სიგანე ათეული სანტიმეტრიდან 5-10 კმ-მდე მონაცვლეობს. დაიკი შემცველი ქანების ნაპრალებშია შეჭრილი და, ამდენად, ტიპურ გამკვეთ სხეულს წარმოადგენს. სახელწოდება კი მიიღო იმის გამო, რომ დაიკის მომცემი მაგმური ქანი ზედაპირზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესებისადმი უფრო მდგრადია, ვიდრე მისი შემცველი დანალექი ქანები, ამიტომ ამ უკანასკნელთა დაშლის შემთხვევაში დაიკი მათში კედელივით არის ამოჩრილი. დაიკები ფუძე, საშუალო და მჟავე შედგენილობის მაგმური ქანებითაა წარმოადგენილი. მსოფლიოში ყველაზე დიდი დაიკია ზიმბაბვეში /სამხრეთ აფრიკა/, რომელიც 550 კმ-მდე ვრცელდება (სურ. 3.8.1).

ნეკი („ნეკ“ – ყელი, ინგლ.) სვეტისებრი ფორმის სხეულია, რომელიც მაგმის ამომყვან არხს წარმოადგენს.

აპოფიზი („აპოფიზის“ – ყლორტი, ბერძნ.) ინტრუზიული გამომავალი, შემცველ ქანებში შეჭრილი პატარა გამკვეთი ძარღვული სხეულია.

არაგამკვეთი, თანხმობითი ინტრუზიული სხეულების ცნობილი წარმომადგენლებია: **სილი, ლაკოლითი, ლოპოლითი, ფაკოლითი.**

ლაკოლითი („ლაკოს“ – ორმო, ბერძნ.) სოკოსებური ან ლინზისმაგვარი ინტრუზიული სხეულია, რომლის ფუძე ჰორიზონტალურია, ხოლო სახურავი – ამობურცული. ლაკოლითის ფორმა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვედა ფენებიდან ნაპრალში მომდინარე მაგმამ ზედა შემცველი შრე ვერ გაკვეთა, თუმცა ამოზნიქა. ლაკოლითები შიგნეთში შედარებით ნაკლებ სილომებზე წარმოიშობა (სურ. 3.8.3).

ლოპოლითი („ლოპას“ – თასი, ბერძნ.) ლაკოლითის მსგავსი ინტრუზიული სხეულია, მაგრამ მისგან განსხვავებით შრები ჩაზნექილია. ლოპოლითის დიამეტრი ათეული კილომეტრია, აგებულია ძირითადად ფუძე შედგენილობის ქანებით.



სურ. 3.8. ინტრუზიული სხეულები

1 – დაიკი, 2 – შტოკი, 3 – ლაკოლითი, 4 – შრეძარღვი (სილი)

(Короновский, Якушова, 1991)


ფაკოლითი („ფაკოს“ – ლინზა, ბერძნ.) ნაოჭა სტრუქტურების დამახასიათებელი ინტრუზიული სხეულებია და სინკლინისა და ანტიკლინის თაღურ ნაწილებში ლინზისებურად ვითარდება.

სილი („სილის“ – ზღურბლი, ინგლ.), ანუ **შრეძარლვი** (იგივე ფენებრივი ინტრუზივი) შრეთაშორის მოთავსებული შრეებრივობის პარალელურად გაწოლილი მაგმური სხეულია. ხშირად სილი მრავალსართულიანია (სურ. 3.8.4).

ეფუზიური ქანების ნოლის ფორმების წარმოშობა დამოკიდებულია ვულკანის ამოფრქვევის ტიპზე, ლავის შედგენილობასა და რელიეფზე. ეფუზიური ქანები წარმოდგენილია ვულკანური ზენრების, ლავური ნაკადების, ვულკანური კონუსებისა და გუმბათების სახით.

კაუზმინით ღარიბი ლავა (ბაზალტური და ანდეზიტური შედგენილობის) დენადია, ადვილად მოძრავი, დიდ მანძილზე გადაადგილდება, მოიცავს დიდ ფართობს და წარმოქმნის ვულკანურ ზენრებსა და ლავურ ნაკადებს (ვულკანურ ზენრებთან შედარებით მცირე ფართობის სხეულებია).

კაუზმინით გაჯერებული ლავა კი ბლანტია, ნაკლებ მოძრავი. ამოფრქვევის ცენტრიდან მცირე მანძილზე გადაადგილდება და წარმოქმნის ვულკანურ კონუსებსა და გუმბათებს (სურ. 3.9).



სურ. 3.9. ვულკანური კონუსები აბულ-სამსარის ქედზე /ჯავახეთის ზეგანი/

დანალექი ქანების ნოლის ფორმები

დანალექ ქანებს აქვს ერთადერთი ნოლის ფორმა. ეს არის **შრე**. შრე შემოსაზღვრულია როგორც ქვევიდან, ისე ზევიდან. შესაბამისად, მას გააჩნია ქვედაპირი, ანუ **საგები** და ზედაპირი, ანუ **სახურავი**. არსებობს არაერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელთა მიხედვით შეიძლება საგებისა და სახურავის ამოცნობა. საგებსა და სახურავს შორის გავლებული მართობი ხაზი კი გვაძლევს შრის სისქეს ანუ სიძლავრეს. სიმძლავრის მიხედვით გამოყოფენ **თხელ**, **საშუალო**, **სქელ** და **მასიური** შრეებრიობის მქონე დანალექ ქანებს.


დანალექი ქანების დიდი უმეტესობა წყალში (ზღვაში, ტბაში და ა.შ.) წარმოიშობა. ამიტომ მათი საწყისი განლაგება, ანუ შრეებრიობა ჰორიზონტული ან თითქმის ჰორიზონტულია. მხოლოდ მდინარეთა დელტებში, კონტინენტური ბექობის ციცაბო ზედაპირზე ან ზოგ სხვა ადგილში თუ ხდება დახრილ შრეთა წარმოშობა.

როგორც წესი, შრეები ერთმანეთის პარალელურია. თუმცა დალექვის პროცესში შეცვლილი გეოლოგიური პირობების გამო შეიძლება ე.წ. ხლართული შრეებრიობა მივიღოთ.

შრეები გარკვეულ ფართზეა გადაჭიმული. ამიტომ მათ საწყისიც აქვთ და დასასრულიც. შრეთა დასასრულს გამოსოლვა ეწოდება. მცირე განზომილებისა და სპეციფიკური ფორმის შრეს **ლინზა** ჰქვია.

როგორც ალვნიშნეთ, შრეების პირვანდელი განლაგება პორიზონტულია. ბუნებაში მართლაც არცთუ იშვიათად შევხვდებით პორიზონტული განლაგების შრეთა კომპლექსებს. მაგრამ კიდევ უფრო ხშირად ნახავთ შრეებს, რომელთაც ტექტონიკური მოძრაობების გავლენით დეფორმაცია – დანაოჭება ან დაწყვეტა და, ამგვარად, გადაადგილება (დისლოკაცია) („დისლოკაციონ“ – გადაადგილება, ლათ.) განუცდიათ. შრეთა დისლოკაციის ორი სახე არსებობს: ნაოჭა (პლიკატური) და წყვეტითი (დიზუნქტიური).

შრეთა დისლოკაციის შემთხვევაში საჭირო ხდება დისლოცირებული შრეების (ნაოჭების, სხლეტების) ორიენტაციაში მოყვანა ქვეყნის მხარეების მიმართ. ასეთი რამ პორიზონტული შრეებრიობის შემთხვევაში შეუძლებელია, რამდენადაც შრეები ყველა მიმართულებით ერთნაირადაა განფენილი.



სურ. 3.10. შრის განლაგების ელემენტები:

ა – მიმართება, ბ – დაქანება, ა – დაქანების კუთხე (ა. ჯანელიძე, 1972)


დახრილად განლაგებულ შრეებში შემდეგ ელემენტებს არჩევენ: **მიმართებას**, **დაქანებასა და დაქანების კუთხეს**. მიმართების ხაზი იქნება ის ხაზი, რომელსაც მივიღებთ მიმართების პორიზონტულ სიბრტყესთან გადაკვეთის შემთხვევაში. დაქანების ხაზი დაქანების სიბრტყეში მდებარეობს და მიმართების ხაზის მართობია. **შრის დაქანების კუთხეს** ქმნის დაქანების ხაზი და მისი პროექცია პორიზონტალურ სიბრტყეზე (სურ. 3.10.). აქვთ შევნიშვნავთ, რომ შრის მიმართებას (ან მიმართების ხაზს) ორი ბოლო აქვს, რომელთა შორის სხვაობა 180° -ს შეადგენს. ამიტომ საკმარისია ერთი ბოლოს გაზომვა (სივრცეში ორიენტაციაში მოყვანა), რომ მიმართება ცნობილი გახდეს. შრის დაქანება კი ერთმიმართულებიანია, თანაც ეს მიმართულება ყოველთვის მიმართების მართობულია. ამიტომ შრის დაქანების გაზომვით ვიგებთ არა მარტო დაქანების მიმართულებას, არამედ მიმართებისასაც (დაქანების მიმართულებას პლუს ან მინუს 90°). შრეთა როგორც დაქანების,

ისე მიმართების სივრცეში ორიენტაციაში მოყვანა ხდება აზიმუტური კუთხეების გაზომვით, რაც სამთო კომპასის მეშვეობით ხორციელდება.

ნაოჭა, ანუ პლიკატური დისლოკაციები („პლიკ“ – ვკეცავ, ლათ.).


ნაოჭა დისლოკაციის დროს შრეების მთლიანობა, უწყვეტობა შენარჩუნებულია, თუმცა შრეები დეფორმირებულია. ამგვარად, ნაოჭები მიიღება არა შრეთა განყვეტით, არამედ გაღუნვით.

ნაოჭში რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი გამოიყოფა: **ფრთები**, რომლებიც შრეთა გაღუნვის შედეგად მიიღება; **გული** – ნაოჭის შიგა ნაწილი; **თაღი ან ძირი** – შრეთა გაღუნვის ადგილი; **შარნირი** – ცალკეული შრის მაქსიმალური გადაღუნვის ადგილი; **ნაოჭის ლერძი** – ნაოჭის ორად გამყოფი სიბრტყე ან მრუდე ზედაპირი; **ლერძის ხაზი** – ხაზი, რომელიც მიიღება ნაოჭის სიბრტყის გადაკვეთისას ჰორიზონტულ სიბრტყესთან (სურ. 3.11).



სურ. 3.11. ნაოჭის ელემენტები


ნაოჭის ორი ძირითადი სახე არსებობს – **ანტიკლინი და სინკლინი**. ანტიკლინის („ანტი“ ნინააღმდეგ და „კლინოს“ ვხრი, ბერძნ.) შემთხვევაში ნაოჭის ფრთები ერთმანეთის საწინააღმდეგოდაა დახრილი და, რაც მთავარია, მის გულში ყოველთვის უფრო ძველი ქანებია განლაგებული, ვიდრე ფრთებში. ანტიკლინი უმეტესად ამოზნექილ, დადებით სტრუქტურას გულისხმობს. **სინკლინში** („სინ“ – თან, ბერძნ.) ნაოჭის ფრთების ამგები შრეები ერთმანეთისკენაა დახრილი, გული კი ყველაზე ახალგაზრდა ქანებითაა ამოვსებული. სინკლინი უმეტესად ჩაზნექილი, უარყოფითი სტრუქტურაა. ანტიკლინისა და სინკლინის გარდა არის აგრეთვე **მონოკლინი** – ცალმხრივ დაქანებული შრეების უბნები (სურ. 3.12) და **ფლექსურა** („ფლექსურა“ – გაღუნვა, ლათ.) – შრეთა საფეხურისებრი გაღუნვა, როდესაც გაღუნვის ადგილებში შრეები მკვეთრადაა დაქანებული, ხოლო გაღუნვის ორივე მხარეს – ნაკლებად (სურ. 3.12დ).



სურ. 3.12. ნაოჭა სტრუქტურები:

ა – სინკლინი, δ – მონოკლინი, α – ანტიკლინი, θ – ფლექსურა
(Allison, Palmer, 1984)


ნაოჭების კლასიფიკაციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ ფორმას განივევეთში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნაოჭების დანაწილება დერძული სიბრტყის მდებარეობის მიხედვით. გამოყოფენ **ამართულ** (დერძული სიბრტყე ვერტიკალურია), **დახრილ** (დერძული სიბრტყე დახრილია), **დაწოლილ** (ნაოჭის დერძი ჰორიზონტალურია) და **გადაბრუნებულ** (ნაოჭის დერძი ჰორიზონტის ქვევითაა) ნაოჭებს (სურ. 3.13.). კუთხე, რომელიც იქმნება ნაოჭის დერძსა და ფრთებს შორის, შეიძლება დანაოჭების სიძლიერის მაჩვენებლად გამოდგეს – რაც უფრო დიდია ეს კუთხე, მით უფრო სუსტია დანაოჭება და პირიქით. ძლიერი დანაოჭების შემთხვევაში ეს კუთხე შეიძლება გაქრეს კიდეც – ნაოჭის ფრთები ნაოჭის დერძის პარალელური გახდეს. ასეთ ნაოჭებს იზოკლინური ჰქვია. კიდევ უფრო ძლიერი დანაოჭების შემთხვევაში მიიღება **მარაოსებური** ნაოჭი (სურ. 3.14ა).

სურ. 3.13. ნაოჭის ტიპები დერძის მდებარეობის მიხედვით:
1 – ამართული, 2 – დახრილი, 3 – დაწოლილი, 4 – გადაბრუნებული


როგორც წესი, ნაოჭების თაღები ან ძირები მომრგვალებულია. თუმცა არის შემთხვევები, როცა ისინი კუთხედოვანი ფორმისაა. როდესაც გვაქვს თითქმის შვეული ფრთების მონაცვლეობა ფართო და ბრტყელ (სწორ) ნაოჭის თაღებთან და ძირებთან, მიიღება ე.ნ. კოლოფური ნაოჭი (სურ. 3.14.ბ).

პლასტიკურ ქანებში (ქვამარილი, თაბაშირი, თიხა და სხვა) გავრცელებულია ე.ნ. დიაპირისებური და დიაპირული ნაოჭები (ანტიკლინები). დიაპირისებური ნაოჭი ჩნდება, როდესაც პლასტიკური ქანი იწყებს დენას, ქვევიდან აწვება მის თავზე მდე-

ბარე წყებებს და იწვევს მათ ამოზნექას ანტიკლინის სახით. ასეთ ნაოჭს ახასიათებს მძლავრი გული და თაღურ ნაწილში ძალიან გათხელებული გულის მომყოლი წყებები. ზოგჯერ პლასტიკურმა წყებამ შეიძლება მომყოლი წყებები გაგლიჯოს კიდეც. მაშინ მიიღება დიაპირული ნაოჭი (ანტიკლინი) (სურ. 3.15).




სურ. 3.14. ა – მარაოსებური და ბ – კოლოფური ნაოჭები



სურ. 3.15. დიაპირული ნაოჭი
(Аллison, Palmer, 1984)


თუ ნაოჭებს გეგმაში ანუ ჰორიზონტულ კვეთში განვიხილავთ, რამდენიმე საინტერესო სტუქტურას მივიღებთ. ზოგჯერ ნაოჭის სიგრძე ბევრად აჭარბებს მის სიგრძეს. ასეთ ნაოჭს **ხაზობრივი ენოდება**. არის ე.წ. **ბრაქიმორფული ნაოჭები** (ან ბრაქინაოჭები), როცა ოვალური ნაოჭის სიგრძე სულ 2-3 ჯერ აღემატება სიგრძეს. **თაღისებური** – ანტიკლინური ნაოჭი თითქმის თანაბარი სიგრძე-განით და **მულდა** – სინკლინური ნაოჭი, ასევე თანაბარი განზომილებებით (სურ. 3.16).



სურ. 3.16. ნაოჭთა ტიპები გეგმაში: 1 – ხაზობრივი, 2 – ბრაქიმორფული,
3 – თაღისებური ანტიკლინი, 4 – სინკლინის მულდა

ანტიკლინური ნაოჭის დაბოლოებაზე ქანები ცენტრიდან სხვადასხვა მიმართულებით არის დაქანებული. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ ანტიკლინური ნაოჭის ჰერიკლინურ დაბოლოებაზე. მსგავს დაბოლოებას სინკლინის შემთხვევაში, როცა ქანები ცენტრისკენ არის დაქანებული, ცენტრიკლინური ჰქვია.


ბუნებაში არსებობს ცალედი ნაოჭები (ანტიკლინები, სინკლინები). უფრო ხშირად კი ისინი ურთიერთგადაბმული გვხვდება (შევნიშნავთ, რომ ერთმანეთის მომყოლ ანტიკლინსა და სინკლინს შემაერთებელი ფრთა საერთო ექნებათ). ანტიკლინებისა და სინკლინების ერთობლიობას, რომელსაც საერთო სინკლინური მოხაზულობა (ჩაზნექილი) აქვს, სინკლინორიუმი ეწოდება. თუ ანტიკლინებისა და სინკლინების ერთობლიობა საერთო ანტიკლინური მოხაზულობით (ამოზნექილი) ხასიათდება, მიიღება ანტიკლინორიუმი. მათ ზოგჯერ თხზულ ნაოჭებსაც უწოდებენ (სურ. 3.17). კიდევ უფრო რთულ სტრუქტურებს მეგაანტიკლინორიუმები და მეგასინკლინორიუმები ჰქვია (მაგალითად, კავკასიონის მეგაანტიკლინორიუმი).



სურ. 3.17. ა – ანტიკლინორიუმი, ბ – სინკლინორიუმი

წყვეტითი ანუ დიზუნქტიური დისლოკაციები
 („დიზუნქტიო“ – გათიშვა, ლათ.)

ქანებში ხშირად ჩნდება სხვადასხვა ტიპის ნაპრალი. მაგრამ წყვეტითი (სხლეტითი) დისლოკაცია მხოლოდ მაშინ დაერქმევა მოვლენას, თუ ნაპრალების გასწვრივ ქანების გადაადგილება გვექნება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში **ნასხლეტი** მიიღება. ნასხლეტი ბევრნაირი არსებობს და სახელიც შესაბამისი აქვს. ნასხლეტებში რამდენიმე ელემენტის არჩევენ. ნაპრალის იმ ზედაპირს, რომლის გასწვრივაც ქანები გადაადგილდება, **სხლეტის სიბრტყე** ეწოდება. სხლეტის სიბრტყე შეიძლება მართლაც სიბრტყე იყოს, თუმცა უფრო ხმირად ის მრუდე ზედაპირს ნარმოადგენს. სხლეტის სიბრტყე შეიძლება ვერტიკალური იყოს ან ჰორიზონტალური თუ დახრილი. სხლეტის სიბრტყის აქეთ-იქით მდებარე ქანების ბლოკებს **ბაგეები** ეწოდება. დახრილი სიბრტყის შემთხვევაში გვექნება **ზედა** (სხლეტის სიბრტყის თავზე მდებარე) და **ქვედა** (სხლეტის სიბრტყის ქვეშ მდებარე) **ბაგეები**. ვერტიკალური ნასხლეტის შემთხვევაში ლაპარაკობენ არა ზედა და ქვედა, არამედ **ანეულ** და **დანეულ** ბაგეებზე, ხოლო ჰორიზონტული ნასხლეტის დროს – **მარჯვენა** და **მარცხენა** ბაგეებზე.




სურ. 3.18. სხლეტის სახეები: α – ნასხლეტი, ბ – შესხლეტა, გ – ნანევი, დ – ნასხლეტ-ნანევი, ე – შესხლეტა-ნანევი.
ქ.ბ. – ქვედა ბაგე, ზ.ბ. – ზედა ბაგე
(Болт и др., 1978-ის მიხედვით)

ნასხლეტის ელემენტია აგრეთვე **სხლეტის ამპლიტუდა**. არჩევენ სამგვარ ამპლიტუდას: ვერტიკალურს, ჰორიზონტულსა და ირიბს. სამივე შემთხვევაში იგულისხმება მანძილი ერთი ბაგის რომელიმე შრის საგებიდან ან სახურავიდან მეორე ბაგის იმავე შრის საგებამდე ან სახურავამდე. ადვილი მისახვედრია, რომ სამივე სახის ამპლიტუდა გვექნება მხოლოდ დახრილი სიბრტყის მქონე სხლეტის შემთხვევაში. დახრილი სიბრტყის სხლეტები კი სხვადასხვა სახელითაა ცნობილი. თუ ზედა ბაგე დაწეულია, ხოლო ქვედა აწეული, გვექნება **ნასხლეტი** (სურ. 3.18ა.). თუ ზედა ბაგე აწეულია, ხოლო ქვედა დაწეული და ამავე დროს სხლეტის სიბრტყე დახრილია $90-45^{\circ}$ -ის ფარგლებში, გვექნება **შესხლეტა** (სურ. 3.18ბ.). მსგავს შემთხვევაში, ოღონდ სხლეტის სიბრტყის $45^{\circ}-\text{ზე}$ ნაკლები კუთხის დახრით, მიიღება **შეცოცება**. აღსანიშნავია, რომ ნასხლეტის დროს დაწყვეტილი ბლოკების სივრცობრივი დაშორება ხდება ურთიერთისაგან, შესხლეტისა და შეცოცებისას კი – დაახლოება (ერთი ბლოკი „ჯდება“ მეორეზე). სხლეტის სიბრტყის ამართულად ყოფნის შემთხვევაში მიიღება **ვერტიკალური ნასხლეტი**, ხოლო თუ ბლოკები გადაადგილებულია ნაპრალების გასწვრივ ჰორიზონტალურად (ერთმანეთის საპირისპიროდ), გვექნება **ნაწევი** (სურ. 3.18.გ). გამოყოფენ **შარიაჟებსაც** – თითქმის ჰორიზონტული სხლეტის სიბრტყის მქონე გრანდიოზული ზომის სტრუქტურებს, რომელთა გადაადგილების ამპლიტუდა ათეული და ასეული კილომეტრებით იზომება. **შარიაჟებში** განარჩევენ **ალოქტონს** – სხლეტის სიბრტყის თავზე მდებარე გადაადგილებულ ბლოკს, და **ავტოქტონს** – სხლეტის სიბრტყის ქვეშ მდებარე გადაუადგილებელ ბლოკს. თვით ალოქტონში (ტექტონიკურ ზენარში) განასხვავებენ ფრონტალურ ნაწილსა და ფესვს (ადგილს, საიდანაც დაიწყო მისი გადაადგილება). ზოგან ალოქტონის ქანები იმდენადა გადარეცხილი, რომ ზედაპირზე შიშვლდება ავტოქტონი. ასეთ ადგილებს **ტექტონიკური სარკმლები** ეწოდება. არცთუ იშვიათად ალოქტონების ნარმოშობა ზღვაში ხდება. მოძრაობისას მისი ფრონტალური ნაწილი იმსხვრევა და ამ ნამსხვრევი მასალის (ხშირად დიდი ლოდების) შეცემენტების შედეგად მიიღება თავისებური ქანები, რომელთაც **ოლისტოსტრომები** ეწოდება. ოლისტოსტრომებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ნამსხვრევი მასალა უფრო ძველი ასაკის ქანებით არის ნარმოდგენილი, ვიდრე მათი შემაცემენტებელი მასალა.

სხლეტის სიბრტყეები, ქანების გადაადგილებისას დიდი ხახუნის გამო, არცთუ იშვიათად ძლიერ მოპრიალებულია. ასეთ მოპრიალებულ ზედაპირებს **სხლეტის (დრესვის) სარკეებს** უწოდებენ. ისინი ხშირად დაღარულია. ღარების განლაგების მიხედვით შეიძლება გამოვიცნოთ ბლოკების გადაადგილების მიმართულება. ხახუნის ზოლში ხშირად ჩნდება ბლოკების ზედაპირებიდან მომტვრეული მასალა, რომლისგანაც ხახუნის ბრექჩია, ანუ **მილონიტი** მიიღება („მილოს“ – ნისქვილი, ბერძ.). ამგვარი ტიპის ბრექჩიებს, ნარმოშობილს შარიაჟულ ზონებში, **ტექტონიკური ბრექჩია** ჰქვია. ის შეიცავს როგორც ალოქტონის, ისე ავტოქტონის ნამსხვრევ მასალას.

სხლეტები სხვადასხვა ზომისაა, ალბათ ერთეული სანტიმეტრებიდან ათასეულ კილომეტრებამდე. მაგალითად, სან-ანდერეას (ჩრდილო ამერიკა) ტექტონიკური ნაწევი 2000 კილომეტრზე ურცელდება.

ზემოთ განხილული წყვეტითი სტრუქტურები მარტივი ფორმებით იყო წარმოდგენილი. არსებობს უფრო რთული ფორმის ამგვარი სტრუქტურები, რომლებიც მთელ სისტემებს ქმნიან. მაგალითად, ნასხლეტები შეიძლება განლაგდეს ერთმანეთის გვერდით, პარალელურად, თანაც ისე, რომ ყოველი მომდევნო ბლოკი წინასთან შედარებით უფრო დაწეული იყოს. მიიღება ე.წ. **საფეხურისებური ნასხლეტი.** შეიძლება ორი პარალელური ნასხლეტი ისე განვითარდეს, რომ მათი საერთო ზედა ბაგე დაწეული აღმოჩნდება, ხოლო ქვედა ბაგე – აწეული. მიიღება უარყოფითი სტრუქტურა, რომელსაც **გრაბენი** ეწოდება („გრაბენ“ – თხრილი, გერმ.). ასევე პარალელური ნასხლეტებით შეიძლება განვითარდეს დადებითი სტრუქტურა – **ჰისტორიუმი** („ჰისტორიუმი“ – არწივის ბუდე, გერმ.). ჰისტორიუმი და გრაბენები ფართოდაა გავრცელებული დედამინაზე და ხშირად ერთმანეთის მიყოლებითაც არის განლაგებული (სურ. 3.19).



სურ. 3.19. წყვეტითი დისლოკაციის რთული ფორმები

ნამდვილი ჰისტორიუმია ვოგეზები (საფრანგეთში) და შვარცვალდი (გერმანიაში), რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია მდ. რაინის ხეობის ფართო გრაბენით. დედამინაზე ცნობილია გრაბენების მთელი კომპლექსი, რომელთაც ათასეული კილომეტრების გამწეობა აქვთ. ასეთ სტრუქტურებს რიფტს უწოდებენ („რიფტი“ – ნაპრალი, რღვევა, ინგლ.). ცნობილია თანამედროვე რიფტული სისტემები: შუალედური ქედების ღერძულ ზოლში, აღმოსავლეთ აფრიკის რიფტი (რომელიც მიჩნეულია სპრედინგის თანამედროვე ზონად) და სხვ. აღმოსავლეთ აფრიკის რიფტი მოიცავს გრაბენების სერიას, რომელთა ერთი ნაწილი დაფარულია ტბებით (ტანგანიკა, ნიასა და სხვ.). გრაბენებს წარმოადგენენ წითელი და მკვდარი ზღვის დეპრესიები.

პირითადი საკითხები

დედამიწის ფორმა და სიდიდე

დედამიწის შინაგანი აგებულება

- ✓ დედამიწის გეოსფერობები: დედამიწის ქერქი, მანტია /ზედა მანტია და ქვედა მანტია, ბირთვი /გარე ბირთვი და შიგა ბირთვი/;
- ✓ ასთენოსფერო;
- ✓ ლითოსფერო;
- ✓ ტექტონოსფერო;
- ✓ მოჰოროვიჩიჩის ზედაპირი;
- ✓ გუტენბერგის ზედაპირი.

დედამიწის ქერქის ნივთიერი შედგენილობა

დედამიწის ქერქის ქიმიური შედგენილობა.

მინერალები

- ✓ ცნება მინერალის შესახებ;
- ✓ მინერალთა გავრცელების ფორმები: კრისტალები (სინგონიები: რომბული, მონკლინური, ტრიკლინური, ტრიგონული, ტეტრაგონული, პექსაგონური, კუბური) და მინერალთა აგრეგატები;
- ✓ მინერალთა ფიზიკური თვისებები:
 - ფერი;
 - ხაზის ფერი;
 - გამჭვირვალობა;
 - ელვარება /მეტალური და არამეტალური – მინისებური, სადაფისებური, ცხიმოვანი, მქრქალი, ალმასისებური/;
 - სიმაგრე. მოოსის სკალა: ტალკი, თაბაშირი, კალციტი, ფლუორიტი, აპატიტი, ორთოკლაზი, კვარცი, ტოპაზი, კორუნდი, ალმასი;
 - ტკეჩადობა;
 - მონატეზი;
 - ხვედრითი წონა;
 - გემო;
 - სუნი;
 - ხსნადობა და სხვ.
- ✓ მინერალთა კლასიფიკაცია: ნარმოშობის, გავრცელების, ქანში მათი რაოდენობრივი თანაფარდობისა და როლის, შეფერილობის, ქიმიური შედგენილობისა და სტრუქტურის მიხედვით.

- ✓ მთავარი ქანიაშები, მეორეხარისხოვანი და აქცესორული მინერალები.
- ✓ მინერალთა კლასები /სილიკატები, ხალასი ელემენტები, სულფიდები და სულფომარილები, ჰალოგენიდები, ფანგეულები და ჰიდროფანგეულები, კარბონატები, სულფატები, ფოსფატები და სხვ./ და მინერალები.

ქანები

ცნება ქანების შესახებ; მონომინერალური და პოლიმინერალური ქანები.

მაგმური ქანები

- ✓ მაგმა და ლავა;
- ✓ მაგმური ქანების კლასიფიკაცია:
 - წარმოშობის მიხედვით: ინტრუზიული (პლუტონური და ჰიპაბისალური) და ექსტრუზიული (ეფუზიური, ვულკანური);
 - სტრუქტურის მიხედვით: სრულკრისტალური, პორფირული, აფანიტური, მინებრივი;
 - SiO_2 შემცველობის მიხედვით: ულტრაფუძე, ფუძე, საშუალო, მუავე /შესაბამისი ქანები/;
 - ტუტების ($\text{Na}_2\text{O} + \text{K}_2\text{O}$) შემცველობის მიხედვით.

დანალექი ქანები

- ✓ კლასტური დანალექი ქანები:
 - ვულკანოგენურ-დანალექი ქანები /ტუფოგენური ქვიშაქვები, ვულკანური ბრექჩიები, ტუფიტები, ტუფები/;
 - ფსეფიტები /ლოდები, ლორდი, დრესვა (დაუმუშავებელი) ან კაჭარი, რიყე, ხვინჭა (დამუშავებული) / და ფსეფიტოლითები /კონგლომერატი, პუდინგი, ბრექჩია, ფანგლომერატი/;
 - ფსამიტები /ქვიშა/-ფსამიტოლითები /ქვიშაქვები – მონომინერალური, პოლიმინერალური: არკოზული და გრაუვაკური, ტუფოგენური, გლაუკონიტიანი/;
 - ალევრიტები-ალევროლითები /ლიოსი/;
 - პელიტები-პელიტოლითები /თიხები: კაოლინური, ჰიდროქარსული, მონტორილონიტური და პოლიმინერალური, არგილიტები/.
- ✓ ორგანოგენული (ბიოგენური) დანალექი ქანები:
 - ფიტოგენური /დიატომიტი, ქვანახშირი/;
 - ზოოგენური /მარჯნიანი კირქვა, ლუმაშელი/;
 - ფიტოგენურ-ზოოგენური /სანერი ცარცი/.
- ✓ ქემოგენური დანალექი ქანები / კირქვები, დოლომიტები, კაჟები, მარილები ანუ ევაპორიტები/.

მეტამორფული ქანები

- ✓ ფიქლებრივი /ასპიდური ფიქალი, ფილიტი, კრისტალური ფიქალი, გნაისი/;
- ✓ არაფიქლებრივი /მარმარილო, ანთრაციტი, კვარციტი/.

ქანების წოლის ფორმები

მაგმური ქანების წოლის ფორმები

- ✓ ინტრუზიული ქანების წოლის ფორმები:
 - გამკვეთი სხეულები (უთანხმო წოლის ფორმები) /ბათოლითი, შტოკი, დაიკი, აბოფიზი/;
 - თანხმობითი ფორმები / სილი, ლაკოლითი, ფაკოლითი/.
- ✓ ეფუზიური ქანების წოლის ფორმები /ვულკანური ზენრები, ლავური ნაკადები, ვულკანური კონუსები/.

დანალექი ქანების წოლის ფორმები

შრე და შრეთა დისლოკაცია – ნაოჭა (პლიკატური) და წყვეტითი (დიზუნქტიური) დისლოკაცია;

- ✓ ნაოჭა დისლოკაცია
 - ნაოჭები და მისი ელემენტები /გული, თაღი ან ძირი, შარნირი, ნაოჭის ღერძი, ღერძის ხაზი/;
 - ნაოჭის სახეები /ანტიკლინი, სინკლინი, მონოკლინი, ფლექსურა/;
 - ნაოჭები ღერძული სიბრტყის მდებარეობის მიხედვით / ამართული, დახრილი, დაწოლილი, გადაბრუნებული/;
 - ნაოჭები: დიაპირული, კოლოფური, ხაზობრივი, ბრაქიმორფული, თაღისებური, მულდა;
 - სინკლინორიუმი და ანტიკლინორიუმი; მეგაანტიკლინორიუმი და მეგასინკლინორიუმი.
- ✓ წყვეტითი დისლოკაცია
 - ნასხლეტი და ნასხლეტის ელემენტები /სხლეტის სიბრტყე, ბაგეები, სხლეტის ამპლიტუდა/;
 - წყვეტითი დისლოკაციის ფორმები: მარტივი /ნასხლეტი, შესხლეტა, შეცოცება, ნაწევი/ და რთული /ჰორსტი, გრაბენი, საფეხურისებური ნასხლეტი, რიფტი/.

საკონტროლო კითხვები

1. რას შეისწავლის გეოლოგია? დაასახელეთ გეოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები;
2. რა შეხედულებები არსებობს დედამინის ფორმის შესახებ; როგორია დედამინის ძირითადი მახასიათებლები /ფართობი, მოცულობა, რადიუსი, მასა/?
3. ჩამოთვალეთ დედამინის ძირითადი გეოსფეროები. როგორია მათი აგებულება და გავრცელება?
4. რომელ გეოსფეროებს გამოყოფს მოხოროვიჩის ზედაპირი; გუტენბერგის ზედაპირი?
5. რა მეთოდებით შეისწავლება დედამინის შინაგანი აგებულება?
6. რომელი მეცნიერებები შეისწავლის დედამინის ნივთიერ შედგენილობას?
7. დაასახელეთ ძირითადი ქიმიური ელემენტები, რომლებიც მონაწილეობენ დედამინის ქერქის აგებულებაში;
8. რა არის მინერალი? დაასახელეთ მინერალთა ფიზიკური თვისებები;
9. რით არის განპირობებული მინერალთა ფიზიკური თვისებები?
10. რომელი თვისებებით ხდება მინერალთა დიაგნოსტირება საველე პირობებში?
11. რა არის სიმაგრე? ჩამოთვალეთ მოასის სკალის მინერალები;
12. რა უდევს საფუძვლად მინერალთა კლასიფიკაციას? დაასახელეთ მინერალთა კლასები და შესაბამისი მინერალები;
13. როგორია სილიკატების როლი დედამინის ქერქის აგებულებაში; რა უდევს საფუძვლად სილიკატების სისტემატიკას?
14. რა არის ქანი?
15. როგორ ხდება ქანების კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით?
16. რა ნიშნების მიხედვით ხდება მაგმური, დანალექი და მეტამორფული ქანების კლასიფიკაცია?
17. რა განსხვავებაა მაგმასა და ლავას შორის?
18. როგორ არის შესაძლებელი მაგმური ქანების სტრუქტურისა და ტექსტურის მიხედვით ქანების წარმოშობის პირობების დაგენერაცია? დაასახელეთ მაგალითები;
19. რა კანონზომიერება შეიმჩნევა მაგმური ქანების კლასიფიკაციაში მჟავედან ულტრაფუძე ქანებისკენ; რით აიხსნება ეს კანონზომიერება?
20. როგორ წარმოიქმნება დანალექი ქანები? დაასახელეთ დანალექი ქანების მაგალითები;
21. რა არის მეტამორფული ქანი? დაასახელეთ მაგალითები;
22. როგორაა განლაგებული სივრცეში მაგმური ქანები? დაასახელეთ მათი წოლის ფორმები;
23. რაზეა დამოკიდებული ეფუზიური მაგმური ქანების წოლის ფორმები?
24. რით არის განპირობებული და როგორ ხდება დანალექი ქანების დეფორმაცია?
25. დაასახელეთ და დაახასიათეთ დანალექი ქანების წოლის ფორმები;
26. დაასახელეთ ნაოჭის ელემეტები, სახეები, ტიპები;
27. დაასახელეთ წყვეტითი დისლოკაციის მარტივი და რთული ფორმები.

ნაწილი II

გეოდინამიკური პროცესები

დედამიწაზე, მისი წარმოშობიდან დღემდე, მრავალი გეოლოგიური პროცესი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ამჟამადაც. ეს პროცესები საბოლოოდ სახეს უცვლიან დედამიწას. პროცესების ერთი ნაწილი წარიმართება დედამიწის გარეთ არსებული ძალით. აქ, პირველ რიგში, მზის ენერგია იგულისხმება. პროცესთა მეორე ნაწილი განპირობებულია დედამიწის შიგნეთში არსებული სითბური ენერგიით. უნდა ითქვას, რომ ზოგი გეოლოგიური პროცესი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს (მიწისძვრები, ვულკანიზმი), ზოგი კი, პირიქით, უალრესად ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ლითოსფერული ფილების მოძრაობა, მთების წარმოშობა და სხვა).

გეოლოგიურ პროცესებს, რომლებიც გარეგანი ძალებით წარიმართება, ეგზოგენური (გარედინამიკური) პროცესები ენდოდება, ხოლო შინაგანი, საკუთრივ დედამიწისეული ენერგიით წარმართულ პროცესებს ენდოგენური (შიგა-დინამიკური).

ეგზოგენური (გარედინამიკური) პროცესები

თავი 4. ფიტვა

ფიტვა მეტად საინტერესო გარედინამიკური გეოლოგიური პროცესია. ის გულისხმობს დედამიწის ზედაპირზე გაშიშვლებული ქერქის ამგები ქანების დაშლა-გარდაქმნას. რა უნდა იყოს ფიტვის მიზეზი? ალბათ ის გარემოება, რომ მიწის შიგნეთში ან ზედაპირზე, მაგრამ წყლიან გარემოში წარმოშობილი სხვადასხვა ტიპის ქანები ხმელეთზე სრულიად განსხვავებულ გარემოში ხვდებიან და, ბუნებრივია, ცდილობენ, შეეგუონ ამ ახალ გარემოს. ეს შეეგუბა კი მათი ფიზიკური ფორმისა და ქიმიური შედგენილობის ცვლაში გამოიხატება.

ფიტვითი პროცესების ორ ძირითად სახეს არჩევენ – ფიზიკურ ფიტვასა და ქიმიურ ფიტვას. პირველი გულისხმობს ქანების მექანიკურ დაშლა-დაქუცმაცებას შემადგენელი მასალის შეცვლის გარეშე. ასეთ პროცესს შეიძლება დეზინტეგრა-ციაც ვუწოდოთ. ქიმიური ფიტვის დროს კი ქანების ქიმიურ-მინერალური შედეგის ცვლასთან გვაქვს საქმე. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთისაგან განმხოლოებულად კი არ მიმდინარეობს, არამედ, ფაქტობრივად, ერთად

და ერთდროულად. მხოლოდ ისაა, რომ, ადგილზე არსებული ფიზიკურ-ქიმიური პი-რობების მიხედვით, ან ერთია უფრო კარგად გამოხატული, ან მეორე. არც ის უნდა დავივინწყოთ, რომ ფიტვით პროცესებში საკმაოდ შესამჩნევ როლს ასრულებს ცოცხ-ალი ორგანიზმები, რომელთა მოქმედება ფიტვის ორივე სახეობაში მულავნდება.

ფიზიკური ანუ მექანიკური ფიტვის ყველაზე მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს თერმული ფიტვა, რომელიც განპირობებულია ტემპერატურის დღედამური და სეზონური ცვალებადობით. ტემპერატურის ცვლა იწვევს ქანის გაფართოება (გათბობისას)-შეკუმშვას. ამ პროცესის მრავალჯერ განმეორების შემთხვევაში ქანში არსებული ბზარები თუ ნაპრალები თანდათან ფართოვდება და საბოლოოდ ქანი ცალკეულ ლიდებად ან უფრო პატარა ზომის ნატებად დაიშლება. იგივე დაემართება უნაპრალო, მასიური აგებულების ქანსაც. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ქანი პოლიმინერალურია, ანუ სხვადასხვა მინერალისაგან შედგება. ეს, პირველ რიგში, ეხება მაგმურ და მეტამორფულ ქანებს (გრანიტი, გნაისი და სხვა), რომლებიც მუქი და ღია ფერის მინერალებისაგან შედგებიან. მუქი ფერის მინერალები, როგორიცაა, მაგალითად, ბიოტიტი ან რქატყუარა, სითბოს ითვისებენ და გასცემენ კიდევ უფრო იოლად, ვიდრე ღია ფერის მინერალები (მაგალითად, კვარცი ან პლაგიოკლაზი). ამ მიზეზით ქანების გარკვეული ტიპები (იგივე გრანიტები) საკმაოდ ადვილად იშლება, იფიტება. ამიტომ გამოთქმამ „გრანიტივით მტკიცე“ გეოლოგიაში განსწავლულ კაცს შეიძლება ერთგვარი ღიმილიც კი მოჰვევაროს. ზოგიერთი მინერალი (მაგალითად, კვარცი, კალციტი) სხვადასხვა კრისტალური ღერძის გასწვრივ შეკუმშვა-გაფართოების განსხვავებული კოეფიციენტით ხასიათდება, რის გამოც ისეთი ცნობილი მონომინერალური ქანები, როგორიცაა კვარციტი და კვარცის ქვიშაქვა (შედგება ძირითადად კვარცისაგან) ძნელად, მაგრამ მაინც იფიტება.

თერმული ფიტვის ეფექტი განსაკუთრებით დიდია უდაბნოებში, სადაც ტემპერატურის დიდ დღელამურ მერყეობას ($40-50^{\circ}$) ერთვის მშრალი, არიდული კლიმატი და მცენარეული საფარის უქონლობა. უდაბნოებში ასევე კარგად არის განვითარებული ქანების აქერცვლა ანუ **დესქვამაცია** („დესქვამო“ – აქერცვლა; ლათ.), როდესაც დიდი ტემპერატურული მერყეობის გამო ლიდებს ზედაპირიდან ამ უკანასკენელის პარალელური ცალკეული ქერცლები ან უფრო სქელი ფირფიტები სცილდება. ალ. ჯანელიძე ამას ექსფოლიაციას („ექსფოლიო“ – ფურცლებს ვაცლი, ლათ.) უწოდებს (სურ. 4.1.).

ფიზიკური ფიტვის ერთ-ერთი საინტერესო სახეა ფიტვა **ყინვის მეშვეობით**. ქანის ფორებსა და ბზარებში მოხვედრილი წყალი გაყინვისას ფართოვდება და შესაბამისად იწვევს ქანის მსხვრევას. ამგვარი პროცესით ადვილად იშლება ის ქანები, რომლებიც ძლიერ გაბზარულ-დანაპრალებულია ან მაღალფორიანია. უკანასკენელის მაგალითად ქვიშაქვა გამოდგება. ყინვის მეშვეობით ფიტვა განსაკუთრებით ეფექტურია მაღალ მთებში და კიდევ უფრო მეტად – პოლარულ მხარეებში.

ფიტვისას კუთხედი ქანები მრგვალდებიან იმის გამო, რომ დაკუთხული ზედაპირის ფართობი მეტია და ის უფრო მეტად არის ჩათრეული ამ პროცესში. შედეგად ვითარდება ე.ნ. **სფერული გამოფიტვა**.



სურ. 4.1. დესქვამაცია

ქიმიური ფიტვა. ფიტვის ეს სახეობა განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში. თანაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფართო მცენარეული საფარის არსებობასაც. ყველა ეს პირობა კარგად არის დაცული ეკვატორულ და ტროპიკულ სარტყელებში, სადაც ქიმიური ფიტვა ყველაზე ეფექტურია. ამის საპირისპიროდ არქტიკის ცივი და მშრალი კლიმატის პირობებში, ფაქტობრივად, მხოლოდ ფიზიკური ფიტვითი პროცესებია განვითარებული.

ქიმიური ფიტვის მთავარი აგენტებია: წყალი, ჟანგბადი, ნახშირორჟანგი და ორგანული მჟავები. სწორედ ამ უკანასკნელთა მომცემ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მცენარეული საფარი. ამ ფაქტორთა გავლენით მნიშვნელოვნად იცვლება ქანების ამგები მინერალების ქიმიური შედგენილობა და სტრუქტურა, ჩნდება ახალი მინერალები. ქიმიური ფიტვის არსიც სწორედ ამაში გამოიხატება.

ქიმიური ფიტვის პროცესი წარმოდგენილია ოთხი ძირითადი რეაქციით: ჟანგვა-ალდგენა, ჰიდრატაცია, გახსნა და ჰიდროლიზი.

დაჟანგვის პროცესი, რომელიც მინერალებში ჟანგბადის მიერთებას გულისხმობს, მიმდინარეობს როგორც წყლიან გარემოში, ისე ხმელეთზე. პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს, პირველ რიგში, რკინის შემცველ მინერალებში, სადაც ორგალენტიანი რკინა სამვალენტიანში გადადის. ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია მაგნეტიტის (Fe_3O_4) გადასვლა ჰემატიტში (Fe_2O_3).

ჰიდრატაცია მინერალებში წყლის (H_2O ან OH სახით) ქიმიური მიერთების პროცესია, რომლის შედეგადაც ახალი მინერალები ჩნდება, ძირითადად ჰიდროჟანგები და ჰიდროსილიკატები. მაგალითად, იმავე ჰემატიტზე წყლის მიერთებით მიიღება ძალზე გავრცელებული მინერალი $(Fe_2O_3 \cdot nH_2O)$. ასევე ცნობილია ანჰიდრიდის ($CaSO_4$) მიერ წყლის მიერთებით თაბაშირში ($CaSO_4 \cdot 2H_2O$) გადასვლა – $CaSO_4 + 2H_2O \rightarrow CaSO_4 \cdot 2H_2O$.

უნდა აღინიშნოს, რომ წყლის მიერთება ქანებში მოცულობის ზრდას იწვევს, რაც მეორეული ტექტონიკური მოვლენების (დანაოჭების) საბაბი ხდება.

გახსნა ხდება წყლის მეშვეობით, თანაც ამ პროცესს დიდად უწყობს ხელს წყალში ჟანგბადის, ორგანული მჟავების და განსაკუთრებით ნახშირორჟანგის გარევეული რაოდენობით არსებობა. ქიმიური ნაერთებიდან ხსნადობის მაღალი ხარისხით გამოიჩინა ქლორიდები (მაგალითად, საჭმელი მარილი – ჰალიტი). შემდეგ მოდის სულფატები (ვთქვათ, თაბაშირი, ანჰიდრიტი). მათთან შედარებით ნაკლებად კარგად იხსნება კარბონატები (კირქვა, დოლომიტი). გახსნის შედეგად მინერალებიდან (და შესაბამისად ქანებიდან) ხდება ზოგი კომპონენტის გამოტანა. ამდენად, ეს პროცესი ქიმიური ფიტვის ნაირსახეობას წარმოადგენს. აღნიშნულ პროცესთან არის დაკავშირებული ზედაპირული და მინისქვეშა წყლების მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფორმები: მღვიმეები, კარსტული ძაბრები ანუ დოლინები და სხვ.

ჰიდროლიზი, შეიძლება ითქვას, ქიმიური ფიტვის ყველაზე შორს წასული, ღრმა პროცესია, რომელიც, ფაქტობრივად, მთლიანად ცვლის მინერალის სტრუქტურას, და მიიღება განსხვავებული აღნაგობისა და თვისებების მქონე მინერალი. კარგად არის ცნობილი ორთოკლაზის ($K[AlSi_3O_8]$) ჰიდროლიზის გზით გადასვლა კაოლინიტში ($Al_4[Si_4O_{10}](OH)_8$). $K[AlSi_3O_8] + H_2O + 2CO_2 = Al_4[Si_4O_{10}](OH)_8 + K_2CO_3 + SiO_2$. კაოლინიტი თიხის მინერალია და პროცესს შეიძლება გათიხებაც ვუწოდოთ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორთოკლაზს საკმაო რაოდენობით შეიცავს გრანიტები (ვარდისფერი გრანიტები). არცთუ იშვიათად ნახავთ ვარდისფერ გრანიტებს, რომელთაც ერთი შეხედვით თავისი სახე თითქოს არ დაუკარგავთ, თუმცა შეხებისას ხელში გრანიტის ნაცვლად თიხის მასა აგყვებათ.

ორგანოგენული ფიტვა ამ პროცესის (ფიტვის) თავისებურ სახეობას წარმოადგენს, რადგანაც მასში ცოცხალი ორგანიზმები მონაწილეობენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ორგანოგენული ფიტვა ვლინდება ფიზიკური ან ქიმიური ფიტვის სახით. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, კლდეში ანუ ქანებში ამოსული ხეები, რომელთაც ზრდის პროცესში ეს ქანები დაუმსხვრევიათ (სურ. 4.2.). ასევე პატარ-პატარა მცენარეები თავისი ფესვებით შლიან ნებისმიერი სიმაგრის ქანებს და საბოლოოდ აფხვიერებენ მათ. კარგად არის ცნობილი მღრღნელები ან სხვა ცხოველები, რომლებიც შლიან ქანებს და, ამდენად, ხელს უწყობენ მათ ფიზიკურ ნგრევას. მცენარეებისა და ცხოველების მიერ ფიზიკური ფიტვის სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, თუმცა ალბათ ზემოთ თქმულიც საკმარისი არის.

რაც შეეხება ორგანიზმთა მიერ ქიმიურ ფიტვას, აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ორგანიზმთა ხრწნის დროს გამოიყოფა ორგანული მჟავები და ნახშირორჟანგი, რომლებიც აძლიერებენ წყლის აგრესიულობას ქიმიური ფიტვის თვალსაზრისით. ამასთანავე ამ პროცესში მცენარეებთან და ცხოველებთან ერთად დიდი როლი ბაქტერიებსაც ენიჭებათ.



სურ. 4.2. ორგანოგენული ფიტვა

ფიტვითი პროცესების შედეგად რელიეფში შეიძლება მეტად თავისებური ფორმები განვითარდეს. ცნობილია, მაგალითად, ეული სვეტები, რომლებიც ვერტიკალურ ნაპრალში განვითარებული ძლიერი გამოფიტვის გამო დედაქანისაგან განცალკევებულა (სურ. 4.3.). კიდევ უფრო ფართოდ არის ცნობილი ე.წ. ეროზიული



სურ. 4.3. ეული სვეტი – „ვენერას ნემსი“ გამოფიტვის შედეგად დედაქანისგან განცალკევებული (Аллison, Палмер, 1984)

სვეტები (ისტუკანები), სადაც ქვეშმდებარე ქანებს საპოლოო დაშლისაგან იცავს თავზე ქუდივით მდებარე შედარებით მაგარი ქანები (სურ. 4.4.). ანდა შერჩევითი გამოფიტვის გამო ქანებში (კირქვები, ქვიშაქვები და სხვ.) განვითარებული კავერნები და ბევრი სხვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ფორმების წარმოშობა თუმცა ძირითადად ფიტვითი პროცესებითაა განპირობებული, მაგრამ მათ ფორმირებაში სხვა გეოლოგიური აგენტებიც მონაწილეობს (ქარი, წვიმა, გრავიტაციული დენუ-დაცია).



სურ. 4.4. ეროზიული სვეტები
(ისტუკანები; კაბადოკია, თურქეთი)

ფიტვითი პროცესების განვითარების შედეგად მიღებული მასალის ერთი ნაწილი გაიტანება, ნაწილი კი ადგილზე რჩება. ადგილზე დარჩენილ ფიტვით მასალას **ელუვიონი** ეწოდება („ელუვიო“ – გამოვრეცხავ, ლათ.). გასაგებია, რომ ელუვიონი დედაქანის ნაშალ მასალას წარმოადგენს და ამ უკანასკნელის თავზე მდებარეობს. ელუვიონის განვითარებას დიდად უწყობს ხელს მეტ-ნაკლებად მოსწორებული რელიეფი. ელუვიონის ფენები გვაძლევს **გამოფიტვის ქერქს** ანუ **რეგოლითს**, რომლის ზედა ნაწილი **ნიადაგია**. გამოფიტვის ქერქი არაერთგვაროვანი აგებულებისაა. შეიმჩნევა ერთგვარი ზონალობა – სილრმიდან (დედაქანებიდან) ზედაპირისაკენ ფიტვითი პროცესების ინტენსივობის ზრდა და, შესაბამისად, ზედა ნაწილებში უფრო ინტენსიურად გამოფიტული მასალის არსებობა. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც ზედაპირთან ახლოს მეტია სინესტე, CO_2 , ორგანული მჟავები, რაც ხელს უწყობს ინტენსიურ ფიტვას (პირველ რიგში, ქიმიურს). ელუვიონის სულ ზედა ნაწილი თიხამინის (Al_2O_3) და რკინის უანგებისა და ჰიდროჟანგების შემცველობის პირობებში სიმაგრით და ფერით(წითელი) გამომწვარ აგურს ემსგავსება. ამიტომ ასეთი ტიპის გამოფიტვის ქერქს **ლატერიტულს** („ლატერ“ – აგური, ლათ.) უწოდებენ.

გამოფიტვის ქერქის ფორმირება რთულად მიმდინარეობს და დამოკიდებულია ისეთ ბუნებრივ ფაქტორთა კომპლექსებზე, როგორიცაა ქანების შედგენილობა, რელიეფი, კლიმატი, მიწისქვეშა წყლები, ორგანული სამყაროს (ბიოსის) ხასიათი და სხვ. გამოფიტვის ქერქის სისქე რამდენიმე ათეული მეტრით იზომება. თუმცა ზოგჯერ მიუთითებენ 200-250მ და კიდევ უფრო მეტი სისქის ქერქზეც.

ბუნებაში ცნობილია ძველი გამოფიტვის ქერქი – კაინოზოური, მეზოზოური, პალეოზოური და პროტეროზოური ასაკისაც კი. ეს უაღრესად საინტერესოა, რამდენადაც მიუთითებს მოცემულ დროსა და სივრცეში დედამიწაზე გარკვეული გეოლოგიური პირობების არსებობაზე. ეს კი დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში მისი ცალკეული ეპიზოდების აღდგენის საშუალებას იძლევა.

ძველ გამოფიტვის ქერქთან არის დაკავშირებული მრავალფეროვანი წიაღისეულის საბადოები – ალუმინის (ბოქსიტები), რკინის, მანგანუმის, ნიკელის, კობალტის, ვოლფრამის, კალის, სპილენდის, კერამიკული და ცეცხლგამძლე თიხების და სხვ.

ელუვიონურ ქვიშრობებში გვხვდება პლატინა, ოქრო, ალმასი, ტიტანი და ა.შ.

თავი 5. გრავიტაციული პროცესები

ეგზოგენური პროცესების განვითარებაში სიმძიმის ძალას (გრავიტაცია) არ-სებითი მნიშვნელობა აქვს. რომ არა გრავიტაცია, არ გვექნებოდა ლაპარაკი არც მდინარის, არც მყინვარის, არც, თუ გერბავთ, ქარისა და ზღვის გეოლოგიურ მოქმედებაზე. საკუთრივ გრავიტაციულ პროცესებზე ლაპარაკი ხომ სულ ზედმეტი იქნებოდა.

გრავიტაციული პროცესები ყველაზე აქტიურად მთან მხარეებში ვითარდება, რადგანაც ამ პროცესებთან დაკავშირებულია ძირითადად მასალის ზევიდან ქვევით გადატანა. ამ პროცესებიდან ზოგი თითქმის უწყვეტად მიმდინარეობს, ზოგი კი წყვეტილად. სხვადასხვა მათი სიჩქარეც – ზოგი ძალიან სწრაფია, ზოგი კი, პირიქით, ძალიან ნელი. უკიდურესი ციფრები რომ ავილოთ – 100 მ/სეკ-დან რამდენიმე მეტრამდე ასწლეულში.

გრავიტაციული პროცესების ერთ ნაწილში მხოლოდ სიმძიმის ძალაა წამყვანი, სხვებში კი მასთან ერთად წყლის როლია მნიშვნელოვანი. ყველა შემთხვევაში ეს არის მასალის გადაადგილება ფერდობზე (ხმელეთზე ან წყალს ქვეშ) ზევიდან ქვევით. იმისათვის, რომ მასალა ადგილიდან დაიძრას, ფერდობის დაქანება ხმელეთზე ხუთი ან მეტი გრადუსი უნდა იყოს, ზღვაში კი ერთი-ორი გრადუსიც საკმარისია. მასალის გადაადგილება სხვადასხვაგვარად ხდება: ვარდნით (ლოდების ცვენა), დაგორებით (ლოდების დაგორება), დაცურებით (მეწყერი), პლასტიკური დინებით (კრიპი) ან უბრალოდ დინებით (სელი, ლახარი).

გრავიტაციული პროცესების გამომწვევი უშუალო მიზეზებია: მიწისძვრა, წვიმა, ჩამოცვენილი მასალის დაზვინვა, წყლის მიერ ქანების საყრდენის გამორეცხვა (ეროზია, აბრაზია), ანთოპოგენური ქმედება და ა.შ.


გრავიტაციული პროცესების კლასიფიკაციის განსხვავებული სქემები არსებობს.

გავეცნოთ გრავიტაციული პროცესების ზოგიერთ სახეს. **ჩაქცევების** გაჩენას განაპირობებს მიწის შიგნეთში სიღრუეებისა და სიცარიელეების წარმოშობა. პროცესი კი, რომელიც ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, წარიმართება მხოლოდ სიმძიმის ძალის გავლენით. ჩაქცევების გამომწვევი მიზეზი შეიძლება მიწისძვრა იყოს ან სიღრუეების თავზე სიმძიმის გაზრდა. ძალიან გავრცელებულია ჩაქცევები სამთო გამონამუშევრებში, განსაკუთრებით მათი ჭერის ცუდი გამაგრების შემთხვევაში. კარსტულ რეგიონებში ცნობილია ჩაქცეული პოლიები. ჩაქცევების შედეგად ხშირ შემთხვევაში მიწის ზედაპირზე უარყოფითი რელიეფის ფორმები ჩნდება.

ასევე მხოლოდ სიმძიმის ძალის გავლენით ხდება **ქვების ცვენა** – ფიტვითი პროცესების გავლენით კლდოვანი ქანები ნაპრალიანდება ან უკვე არსებული ნაპრალები ფართოვდება. პროცესის გაღრმავების შედეგად ცალკეული, დიდი თუ პატარა,

ლოდი წყდება დედაქანს, ვარდება ფერდობზე და შესაძლოა ძირს ჩამოგორდეს კიდეც. ეს მოვლენა უფრო მასშტაბური იქნება, თუ ჩამონგრევა, ჩამომზღვლევა არათუ ცალკეულ ლოდებს, არამედ დიდ ბლოკებს შეეხება. შედეგად კლდეზვავი (ნამზღვლევი) მიიღება, ხოლო თვით პროცესს ჩამოქცევა (ჩამომზღვლევა) შეიძლება ეწოდოს.

ზემოთ დასახელებული გრავიტაციული პროცესები დროში სწრაფად ვითარდება, თანაც წყვეტილად. მათ გვერდით ცნობილია გამოფიტული და მონგრეული მასალის ფერდობზე გადაადგილება, რომელსაც, ფაქტობრივად, დროში უწყვეტი ხასიათი აქვს და ამავე დროს ძალზე ნელა მიმდინარეობს. მთავარ მამოძრავებელ ძალად კვლავ სიმძიმის ძალა რჩება, თუმცა არ არის გამორიცხული მცირე, მაგრამ მაინც წყლის მონაწილეობაც. ამ პროცესს კრიპი („კრიპ“ – ცოცვა, ღოღვა, ინგლ.) ეწოდება. კრიპი მიმდინარეობს როგორც მონგრეულ ქანებში, ისე ნიადაგშიც. კრიპი გამოიხატება მონგრეული დიდი ბლოკების ან უფრო წვრილი მასალის გადაადგილებით დაქანების მიმართულებით. შედარებით ადვილად გადაადგილდება ის მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად დამუშავებულია. ზოგჯერ ზედაპირზე გაშიშვლებულია ციცაბო დაქანების მქონე შრეებრივი ქანები, რომელთა ზედა ნაწილი კრიპის განვითარების გამო გაღუნულია. ეს იქნება ე.წ. თავწახრილი შრეები (სურ. 5.1.).



სურ. 5.1. კრიპის მაჩვენებელი „თავწახრილი შრეები“

კრიპის განვითარება დაკავშირებულია ფიტვითი ქერქის ფენის გაფართოება-შეკუმშვასთან. ფენის გაფართოებისას (რაც შეიძლება ფიტვითი ქერქის გათბობით იყოს გამოწვეული) მასში არსებული ცალკეული დიდი თუ პატარა ნატეხები აიტანება მაღლა, ფერდობის დაქანების მართობულად. ფენის შეკუმშვისას ნატეხები ქვევით ემვება, ოღონდ ეს დაშვება უკვე მის პირვანდელ ადგილზე დაბრუნებას კი არა, არამედ უფრო ქვევით განლაგებას გულისხმობს (სიმძიმის ძალის მოქმედებიდან გამომდინარე). პროცესის არაერთგზის განმეორებით მასალა თანდათან ქვევით გადაადგილდება. სწორედ ეს არის კრიპი ანუ მეღლიდი (ალ. ჯანელიძე, 1972).

ეს პროცესი განსაკუთრებით ეფექტურად მიმდინარეობს პოლარულ მხარეებში არსებულ მარადმზრალ ნიადაგებში, სადაც ნიადაგური ფენის გაფართოება გამოწვეულია მასში არსებული წყლის გაყინვით. კრიპის ამ ნაირსახეობას **სოლიფლუქცია** ეწოდება.

როგორც ვხედავთ, კრიპის მოძრაობის დანახვა შეუძლებელია. თუმცა მისი გამოცნობა შეიძლება იმავე თავნახრილი შრეების, ნაყირავებული ღობეებისა და ბოძების, დახრილი ხეების („მთვრალი ტყე“) და სხვა მსგავსი ფორმების არსებობით (სურ. 5.1).

მეწყერი გრავიტაციული პროცესების ის სახეა, სადაც წყალი (სიმძიმის ძალას-თან ერთად) უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეწყერის დროს ხდება ქანების ერთი ნაწილის დაცურება მის ქვეშ მდებარე ქანებზე. როგორც წესი, დაცურება შრეებითობის გასწვრივ ხდება, თუმცა შეიძლება იგივე პროცესი სხლეტის ზედაპირის გასწვრივაც განვითარდეს. მეწყერის განვითარების აუცილებელი პირობაა შრეთაშორისი (დასამეწყრ და მის ქვეშ მდებარე შრეებს შორის) შეჭიდულობის შემცირება. ეს, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევაში, როცა საგები შრე თიხითაა წარმოდგენილი. თიხა ხომ პრაქტიკულად წყალგაუმტარია. ამიტომ მის ზედაპირზე მოხვედრილი წყალი შიგნით ველარ ჩაიუბნება, თიხის შრის ზედაპირი წყლით იპოხება და ჩნდება საშუალება სათანადო პირობებში მის თავზე მდებარე შრეების დაცურებისა. სათანადო პირობები კი გულისხმობს შრეთა გარკვეული კუთხით დაქანებას (შრეების პორიზონტული განლაგების შემთხვევაში ხომ ვერ მოხდება დამეწყვრა?), დასამეწყრი შრეებისათვის საყრდენის გამოცლას (წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი ვერ განვითარდება) და იმ ძალას, რომელიც მოძრაობაში მოიყვანს დასამეწყრ შრეებს (მაგალითად, მიწისძვრა).

დაქანების ზედაპირი, რომლის გასწვრივაც ხდება ქანების დაცურება, როგორც წესი, ჩაზნექილია. ის მკვეთრად არის დაქანებული ზედა ნაწილში, მეწყერის საწყის უბანზე და სწორდება მის ბოლოში. დამეწყვრის შედეგად მის სათავეში შეიძლება დეპრესია გაჩნდეს. დეპრესიის წყლით ავსების შემთხვევაში გაჩნდება ტბა (ასეთი გენეზისისაა კუს ტბა თბილისში). ტბა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა მეწყერი მდინარის ხეობას გადაკვეთს და წყალს დააგუშებს (მაგალითად, რინის ტბა საქართველოში).

მეწყრების მოძრაობა მეტწილად არცთუ მაღალი ტემპით გამოირჩევა. თანაც მეწყრული პროცესები დროში წყვეტილია და კრიპივით პერმანენტულად არ მიმდინარეობს. დამეწყრილი სხეულების ზომები სხვადასხვაა – უმცირესიდან გრანდიოზულადე.

სელების („სელ“ – მძვინვარე ნაკადი, ღვარი, არაბ.), იმავე ღვარცოფების შემთხვევაში წყალი (ძირითადად ზედაპირული წყალი) უკვე გადამწყვეტ როლს ასრულებს. სელი წარმოადგენს ტალახისა და ქვის (როგორც ამბობენ – ქვატალახოვან) ნაკადს, რომელშიც სხვადასხვა ზომის ქვიერ მასალაა ჩართული – დიდი, ერთმეტრიანი და მეტი ზომის ლოდებიდან უმცირეს მარცვლებამდე. მყარი მასალის შემცველობა სელურ ნაკადებში 70-90%-მდე შეიძლება იყოს.

სელების წარმოშობა, როგორც წესი, მთიან მხარეებში ხდება, სადაც დანაწევრებული რელიეფისა და დიდი დაქანების მქონე ფერდობების, ასევე დიდძალი გამოფიტული მასალის არსებობის პირობებში, თავსხმა წვიმებისა ან დამდნარი თოვლის მეშვეობით ჩნდება ტალახის (ფართო გაგებით) წაკადები. ეს წაკადები დიდი სიჩქარითა და საშინელი ძალით მოექანება დაბლობისაკენ და ანადგურებს ყველაფერს. ბევრ ასეთ წაკადს დაუნგრევია გზები, საცხოვრებელი სახლები, გაუნადგურებია მრავალი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

სელური პროცესები აღინიშნება კახეთში, მდ. დურუჯის ხეობაში, სადაც პერიოდულად ვითარდება დამანგრეველი ძალის ღვარცოფული პროცესები, რაც საშიშროებას უქმნის ქალაქ ყვარელს და მიმდებარე ტერიტორიებს. 1899 წელს სელურმა წაკადმა მდინარე დურუჯის სათავეებიდან ჩამოიტანა 224 ტ. წონის ლოდი.

სელების თავისებურ წარსახეობას წარმოადგენენ ე.ნ. **ლახარები**. ეს იგივე სელებია, ოლონდ მათი განვითარება ხდება ვულკანური კონუსების ფერდობებზე, თანაც წაკადების შემადგენელი მყარი მასა მხოლოდ ფხვიერი ვულკანური მასალით, ძირითადად ფერფლითა და მტვრით არის წარმოადგენილი. თუმცა ვხვდებით უხეშ მასალასაც. **ლახარების წაკადის სიჩქარემ შეიძლება 100კმ/სთ-ს მიაღწიოს** (სურ. 5.2).



**სურ. 5.2. ლახარი ინდონეზიის ერთ-ერთ სოფელში,
ვულკან გალუნგუნგის ამოფრქვევის შემდეგ, 1982 წელი
(Robin Holcomb, U.S. Geological Survey)**

გრავიტაციული პროცესები წყალშიც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ მხრივ საუკეთესო ობიექტია ოკეანე. ოკეანეების ფსკერზე დაქანებული რელიეფის შემთხვევაში ხშირია ასეთი პროცესების განვითარება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კონტინენტური ბექობი. კონტინენტური ბექობის თავზე დაგროვებული მასალა რაიმე მიზეზის გამო (ვთქვათ, მიწისძვრა) დაიძვრება კონტინენტური ბექობის ძირისაკენ, უშუალოდ ფერდობზე ან ამ ფერდობზე არსებულ კანიონებში. ზოგჯერ შეიძლება მთელი წყებების დაცურება (დამეწყვრა) მოხდეს. ეს წყებები გზაში დაიმსხვრევა და მეტ-ნაკლებად უწესრიგოდ განლაგდება ბექო-

ბის ძირში. ასე უნდა იყოს წარმოშობილი ათეული მილიონი წლების წინ თბილისის მიდამოებში გაჩენილი ე.წ. „არეულშრეებრივი კონგლომერატი“. უფრო ხშირად კონტინენტურ ბექობზე, სელური ნაკადების მსგავსად, ეშვება ტალახის ნაკადები ან სიმღვრივის ნაკადები.

გრავიტაციული პროცესების შესწავლის მნიშვნელობა და მათთან ბრძოლის ღონისძიებები

გრავიტაციულ პროცესებს, განსაკუთრებით კი მეწყრებს, სელებს (ღვარცოფებს) და ზვავ-ნამზღვლევებს უდიდესი ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ბუნების შესწავლასა და პროგნოზირებას. ცნობილია მრავალი ფაქტი იმის თაობაზე, თუ ამა თუ იმ გრავიტაციულმა პროცესმა რა მძიმე შედეგები მოიტანა.

2015 წლის 13-14 ივნისს მდინარე ვერეს აუზში მოსულმა ძლიერმა ნალექმა მდინარე ვერესა და მის შენაკადებზე გამოიწვია წყლის დონის მკვეთრი მატება და მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების განვითარება, რასაც მოჰყვა წყნეთი-ბეთანიის, წყნეთი-ახალდაბის და კოჯორი-მანგლისის საავტომობილო გზების მწყობრიდან გამოყვანა, თბილისში დაზიანდა მდ. ვერეს ხეობის დაბალ ნიშნულებზე განლაგებული საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები, შენობა-ნაგებობები, დაიღუპა 19 ადამიანი.

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 53 ათასამდე მეწყრულ-გრავიტაციული და 3000 ღვარცოფსაშიში უბანი. ამ ნიშნით განსაკუთრებით გამოიჩინება აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის მთიანი რეგიონები, ასევე სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და იმერეთის მთისწინეთი. მძიმე ვითარებაა შექმნილი მთიან რეგიონებში, სადაც სტიქიის გააქტიურების პირობებში არც-თუ იშვიათად საჭირო ხდება მოსახლეობის აყრა ისტორიულად დამკვიდრებული საცხოვრებელი ადგილებიდან და გაყვანა სხვა რეგიონებში. ამას XX საუკუნის მეორე ნახევარში მოჰყვა ათეულობით სოფლის დაცარიელება მთაში. ამგვარ სტიქიურ მოვლენებს ხშირად თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი. 1987 წლიდან დღემდე საქართველოში გეოლოგიურმა სტიქიამ შეიწირა 600-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ბოლო 35 წლის განმავლობაში მათმა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა.

ადამიანები კარგა ხანია აქტიურად ილაშქრებენ მათთვის ზიანის მომტანი პროცესების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მრავალნაირი ხასიათი აქვს: რამდენადაც ფერდობზე შემჩნეული სწრაფად მზარდი ნაპრალები ჩამოქცევით-მეწყრული პროცესების განვითარების მაჩვენებელია, სწრაფად ხდება ასეთი ფერდობების გამაგრება, ვთქვათ, ძლიერი ფესვების მქონე მცენარეულობით; ფერდობის ბოლოში შეიძლება საბჯენი კედლების აშენებაც; მეწყრების განვითარების ზონაში ხდება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სასურველი მიმართულებით წარმართვა; ზღვების სანაპირო ზოლებში შენდება ნაპირდაცვითი ნაგებობები (დამბები, ტალღასაჭრელები); დამბებით ან კაშხლებით ხდება აგრეთვე იმ მდინარეული კალაპოტების გადაკეტვა, სადაც სელის განვითარებაა მოსალოდნელი და სხვ.

თავი 6. ქარის გეოლოგიური მოქმედება (ეოლური პროცესები)

ქარი ძალზე მნიშვნელოვან გეოლოგიურ მოქმედებას აწარმოებს. ამ პროცესს ხშირად **ეოლურს** უწოდებენ („ეოლოს“ – ქარის ღერორი ბერძნულ მითოლოგიაში, გადატანითი მნიშვნელობით – ქარი). ეოლური პროცესების არსია ნაშალი მასალის (უმეტეს შემთხვევაში წვრილმარცვლოვანის) ატაცება-განიავება, ქარის საკუთარი ძალისა და ამ მასალის მეშვეობით ქანების (კლდეების) დანგრევა, დაბოლოს მონ-გრეული მასალის გადატანა და დალექვა. შესაბამისად, ქარის გეოლოგიური მოქმედების ოთხ ძირითად სახეს განარჩევენ – **დეფლაციას, კორაზიას, გადატანასა და აკუმულაციას (დაგროვებას).**

ვიდრე ქარისმიერი ქმედების ამ ოთხ პროცესს შევეხებოდეთ, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტზე. ვიცით, რომ ქარი მთელ დედამინის ზურგზე, ყველგან მოქმედებს, მაგრამ მისი გეოლოგიური ქმედების უდიდესი ეფექტი, ფაქტობრივად, მხოლოდ უდაბნოებში მუდავნდება. უდაბნო კი არის ის ადგილი, სადაც ატმოსფერული ნალექები თითქმის არ მოდის (მათი წლიური ჯამი 100-200 მმ-ს ძლიერს აღნევს); უაღრესად დიდია ტემპერატურის დღელამური მერყეობა (50° -მდეც კი ადის); ფაქტობრივად, არ არის განვითარებული მცენარეული საფარი, რის გამოც დედამინის ქერქის ამგები ქანები უშუალოდ ზედაპირზე შიმვლდებიან. ყველა ეს გარემოება ძალიან უწყობს ხელს უდაბნოებში ფიზიკური ფიტვის ძლიერ განვითარებას და ამავე დროს ქმნის ქარის ეფექტური მოქმედების წინაპირობას. ქარის გეოლოგიური მოქმედების მაღალი ეფექტი უდაბნოებში იმითაც არის გამოხატული, რომ ამ უკანასკნელთ ხმელეთის თითქმის მეხუთედი უკავიათ.

უდაბნოს ორი ტიპი არსებობს – **კლდოვანი** ან **ქვიანი უდაბნო**, რომელსაც აფრიკაში **ჰამადას** უწოდებენ, და **ქვიშიანი უდაბნო**, რომელსაც აფრიკაში ერგი, ხოლო შუა აზიაში **ყუმი** ჰქვია (გავიხსენოთ ყიზილყუმი – წითელი ქვიშის უდაბნო, ყარაყუმი – შავი ქვიშის უდაბნო).

კლდოვანი უდაბნო მეტ-ნაკლებად დანაწევრებული, დადებითი რელიეფით ხასიათდება, სადაც ზედაპირზე ამოშვერილია სხვადასხვა ფორმის თუ მოყვანილობის კლდეები, რომელთა ძირში ყოველთვის არის ლოდებისა და ლორლის გროვა. ქანები ზედაპირზე მუქი ფერისაა, გარუჯულია რკინისა და მანგანუმის მარილების თხელი წანაცხებებით, რომლებიც სილრმიდან კაპილარული ამონვის შედეგად გადაეკვრება ზედაპირს. ასეთ გარუჯვას **უდაბნოს ნამზეურს** უწოდებენ. კლდოვან უდაბნში ზოგჯერ დროებითი ნაკადების მიერ გაჭრილ ხეობებს ვხვდებით, რომელთაც **უადები** ეწოდება. თუმცა უადების გენეზისა სხვაგვარადაც ვარაუდობენ.

ქვიშიანი უდაბნო ანუ ერგი, ფაქტობრივად, ჰამადის გვერდით მდებარე დეპრე-სიას წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა სიმსხოს ქვიშით არის ამოვსებული. ეს ქვიშები უმეტეს შემთხვევაში კვარცისაგან შედგება, რამდენადაც კვარცი ფიტვითი პროცესებისადმი ყველაზე მდგრადი მინერალია.

ალბათ ადვილი მისახვედრია, რომ ზემოთ დასახელებული ეოლური პროცე-სების ოთხი სახიდან კლდოვანსა და ქვიშიან უდაბნოებში განსხვავებული პროცე-სები იქნება წამყვანი. კერძოდ, ჰამადაში არსებით როლს ასრულებს დეფლაცია, განსაკუთრებით კი კორაზია, მაშინ როცა ერგისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აკუმულაციურ პროცესს ენიჭება (დეფლაციასთან ერთად).


დეფლაცია („დეფლაციო“ – ჩამონიავება, გამოქარვა, ლათ.) გულისხმობს უკვე გამოფიტული და დაშლილი მასალის ქარის მიერ ატაცებას და გაფანტვა-განიავე-ბას. დეფლაციის შედეგად ძირითადად წვრილი ან წმინდა მასალა (წვრილი ქვიშები, ალევრიტები, პელიტები) გაიტანება. ქარს მაგარი, მაგრამ დანაპრალიანებული ქა-ნების ნაპრალებიდანაც გამოქავს გამოფიტული მასალა. დეფლაციის წყალობით ზოგჯერ ე.წ. **ეოლური ქვაფენილები** ჩნდება – ქარს გააქვს წვრილი და წმინდა მასა-ლა, ადგილზე კი ღორღი, ხრეში, კენჭი და უფრო მსხვილი შეუცემენტებელი მასალა რჩება მხოლოდ. დეფლაციური პროცესებით შეიძლება გაჩნდეს დეპრესიები, ე.წ. **დეფლაციური ქვაბულები**, რომელთა ფსკერი შესაძლოა მსოფლიო ოკეანის დო-ნეზე რამდენიმე ასეული მეტრით დაბლაც კი იყოს. დეფლაციური ქვაბულები ფარ-თოდ არის გავრცელებული შუა აზიის, არაბეთის და ჩრდილო აფრიკის უდაბნოებში. რამდენიმე ასეთი ქვაბული ცნობილია გობის უდაბნოში (ცენტრალური აზია), სადაც თითოეული მათგანის სიგრძე დაახლოებით 50 კმ-ია, სიღრმე კი 30 მ. განზომილებე-ბის თვალსაზრისით უფრო შთამბეჭდავი სურათია ლიბიის უდაბნოს (ჩრდილო აფ-რიკა) ქვაბულებში.

დეფლაციით ატაცებულ მასალას ქარი ხშირად იყენებს კორაზიული პროცე-სების წარმართვისათვის.

კორაზია („კორადო“ – ვფხევ, ლათ.) ენოდება ქარის მიერ ატაცებული მასალით ქანების (კლდების) დანგრევა-მოსწორებას ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქანების მექანიკურ დამუშავებას. ამ პროცესის დროს ხდება ქანების გახეხვა-გაფხვა, გაშლიფვა, მოპრიალება და გახვრეტაც კი.

როგორც ალვნიშნეთ, კორაზია ძალიან დამახასიათებელია კლდოვანი უდაბ-ნოებისათვის. სწორედ ამგვარი პროცესების ქმედებით კლდოვან უდაბნოებში იქმ-ნება სპეციფიკური რელიეფის ფორმები, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჰამა-დის სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ.

ქანების სიმაგრე ხშირად არაერთგვაროვანია. ამ არაერთგვაროვნებას ზოგჯერ უბნობრივი ხასიათი აქვს. ზოგ შემთხვევაში ის გამოიხატება შრეებრივ ქანებში რბი-ლი და მაგარი ფერების მონაცვლეობაში. ქარის კორაზიული მოქმედებით, რომელსაც წინ, რა თქმა უნდა, ფიტვითი პროცესები უსწრებდა, რბილი ქანები უფრო ადვილად მოინგრევა, ვიდრე მაგარი. შედეგად პირველ შემთხვევაში ფიჭისებური ფორმის რელიეფს მივიღებთ, ხოლო მეორეში – **ზოლებრივად დაღარულს** (სურ. 6.1).



სურ. 6.1. ქარის კორაზიული მოქმედებით დამუშავებული ქანები,
გრაკალის მიდამოები

ქარის კორაზიული მოქმედება მიწის ზედაპირთან ახლოს უფრო ძლიერია, ვი-დრე ზევით (ქარის მიერ ატაცებული მასალა ქვევით უფრო უხეშია და თანაც მეტი). ამიტომ ქანები ქვედა ნაწილში უფრო მეტად ინგრევა. ცვალებადი მიმართულების ქარის შემთხვევაში ქანის ქვედა ნაწილში რაღაც ფეხისმაგვარი კეთდება, საერთო ფორმა კი სოკოსებური იქნება (სურ. 6.2). არის კიდევ სხვა ფორმებიც.



სურ. 6.2. სოკოსებური კორაზიული ფორმა
(Короновский, Якушова, 1991)

უდაბნოში, ფაქტობრივად, მუდმივი ქარის პირობებში, ქვიშაზე მდებარე ცალკეული ლოდები წახნაგოვანი ხდება. თუ ქარი მიმართულებას იცვლის, მიიღება მრავალწახნაგა ქვები, მოპრიალებული ზედაპირებითა და შედარებით მკვეთრი წიბოებით. ასეთ ქვებს ფაცეტიანი ან კანტიანი ქვები ჰქვია. გერმანელები მათ დრაიკანტერებსაც უწოდებენ.

უდაბნოებში ცნობილია აგრეთვე შედარებით რბილი ქანების არსებობით განპირობებული დაღარული რელიეფი. ღარები ერთმანეთისაგან პატარა „ქედებით“ არის გამოყოფილი. ეს ღარები, რომელთა სილრმე სანტიმეტრებიდან ერთეულ მეტრებამდე შეიძლება იყოს, ორი ენტირებულია გაბატონებული ქარის მიმართულებით. უდაბნოს რელიეფის ასეთ ფორმებს იარღანგები ჰქონია.

მასალის გადატანა. ქარის მიერ მასალის გადატანა ხდება ორგვარად – ატაცებულ მდგომარეობაში და სალტაციით (ზედაპირზე ხტუნვა-თრევით). ატაცებულ მდგომარეობაში ქარს შედარებით წვრილი მასალა გადააქვს. ეს არის პელიტური (თიხის), ალევრიტული (მტკვერის) და პსამიტური (ქვიშის) ზომის მარცვლები. გადატანის სიმაღლესა და მანძილს განსაზღვრავს ისეთი სიდიდეები, როგორიცაა ქარის სიძლიერე, მარცვლის ფორმა, ზომა, ხვედრითი წონა. შედარებით მსხვილი ქვიშის მარცვლები ზედაპირიდან რამდენიმე მეტრ სიმაღლეზე თუ გადაიტანება. აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტირებისას ქვიშები (ან უფრო წმინდა მასალაც) ერთმანეთთან ძლიერი ხასუნის გამო იდეალურად მუშავდება, მრგვალდება. აქ ეს პროცესი უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე წყალში. ალევრიტული ან პელიტური მასალა ძალიან მაღლა (კილომეტრებზე) აიტანება ტროპოსფეროში და საკმაოდ შორსაც გადაიტანება. ცნობილია, რომ საჰარისა თუ აფრიკის სხვა უდაბნოების მტკვერი ატლანტურ ოკეანეში 2500 კმ-ის მანძილზე გადადის. ა. ალისონისა და დ. პალმერის მონაცემებით, საჰარის უდაბნოს მტკვერი მიკვლეულია ღრმა ზღვის ნალექებში კარიბის კუნძულების მახლობლად, სანყისი პუნქტიდან 4500 კმ-ის დაშორებით.

აკუმულაცია („აკუმულაციონი“ – დაგროვება, ლათ.). რადგანაც მტკვერი და ქვიშა ქარის მიერ სხვადასხვა სიმაღლეზე გადაიტანება, მათი დალექვაც განცალკევებულად, სხვადასხვა ადგილაში ხდება. ქვიშა, როგორც წესი, ჰამადის მეზობლად არსებულ დეპრესიებში – ქვიშიან უდაბნოებში ან ოკეანის, ზღვის, ტბის და მდინარის სანაპიროებზე გროვდება და გვაძლევს მეტად თავისებურ ფორმებს – **ბარხანებსა და დიუნებს**. მტკვერი უდაბნოს გარე ზოლში – სტეპებში იღექება და საბოლოოდ მისგან ლიოსი წარმოიშობა.

ბარხანი უდაბნოებში მოძრავი ქვიშის ბორცვია, ასიმეტრიული ფორმის, დამრეცი ქარაღმა და ციცაბო ქარზურგა ფერდებით. გეგმაში ბარხანს ნახევარმთვარის ფორმა აქვს. ქარაღმა ფერდის დაქანების კუთხე 10-15°-ია, ხოლო ქარზურგასი – 32-35°. ფერდების ურთიერთშეხების ზოლში მეტ-ნაკლებად მკვეთრი ქედი გამოიყოფა. ქარაღმა ფერდისათვის ძლიერ დამახასიათებელია ტალღებრივი (რიპელმარკებიანი) ზედაპირი. ბარხანის გვერდითი კიდეები წაწვეტებულია, წაგრძელებულია წინისაკენ და ქმნის ე.ნ. „ბარხანის რქებს“. ბარხანების სიმაღლე სხვადასხვაა – რამდენიმე მეტრიდან 30, ზოგჯერ 100მ-მდეც კი. გვხვდება როგორც ცალედი (ული) ბარხანები, ისე ბარხანთა ძენკვები (სურ. 6.3).

ბარხანის წარმოშობის აუცილებელი პირობაა რაიმე წინააღმდეგობის არსებობა, რომლის ირგვლივაც თავს იყრის ქვიშის მასა, რომლისგანაც საბოლოოდ ბარხანის ფორმირება ხდება.



სურ. 6.3. ბარხანი, საჰარის უდაბნო

ბარხანები მოძრაობენ, ისინი წინ, გაბატონებული ქარის მოძრაობის მიმართულებით გადაადგილდებიან – ქარს გადააქვს ქვიშის მარცვლები ქარალმა ფერდიდან ქედისაკენ, საიდანაც მარცვლები ქარზურგა ფერდზე ეშვება. ამგვარად, ხდება ქარალმა ფერდის ახვეტა, ხოლო ქარზურგა ფერდის წინ წაწევა. ბარხანიც წინ იწევს. გადაადგილების სიჩქარე სხვადასხვაა – წელიწადში რამდენიმე მეტრიდან დღე-ღამეში რამდენიმე ათეულ მეტრამდე.

ბარხანები, როგორც ვთქვით, უდაბნოებში, კერძოდ, ქვიშიან უდაბნოებში ვითარდება. მათი ამგები მასალა (ძირითადად კვარცის ქვიშები) კი კლდოვანი უდაბნოდან შემოდის.

უდაბნოებში ცნობილია არა მარტო განედურად (ქარის მიმართულების მართობულად) განოლილი ბარხანთა ძენკვები, არამედ ე.წ. გასწვრივი ბარხანებიც.

დიუნს ზოგადად ქარის მიერ მოტანილ ქვიშის გროვას უწოდებენ. ასეთი განმარტებისას აქცენტი არ არის გაკეთებული არც მის ფორმასა და, რაც უფრო არსებითია, არც მისი წარმოშობის ადგილსა და ამგებ მასალაზე (ეოლური, ზღვიური, ტბიური, მდინარეული, მყინვარული). მთავარია, რომ ბორცვის სახით წარმოდგენილი ქვიშის ეს გროვა ქარის მოქმედების შედეგია. ასეთ შემთხვევაში ბარხანიც დიუნის ერთ-ერთი ნაირსახეობა იქნება. სხვა მკვლევართა აზრით, დიუნების წარმოშობა ხდება ოკეანისპირა, ზღვისპირა, ტბისპირა, მდინარისპირა ზოლებში ქარის გეოლოგიური მოქმედების შედეგად და მათი გენეზისი სულაც არ არის დამოკიდებული სპეციალური კლიმატური პირობების არსებობაზე. ერთი კია, რომ ამ შემთხვევაში დიუნების გენეზისისათვის მხოლოდ უდაბნოს გარემოა უარყოფილი. გამოდის, რომ ამგვარი შეხედულების ავტორები შინაარსობრივად განასხვავებენ ბარხანებსა და დიუნებს ერთმანეთისაგან. ჩვენთვის ძალიან ძნელია რაიმეს გადაწყვეტით თქმა. თუმცა აშკარაა, რომ ბარხანები მხოლოდ უდაბნოს ფორმებს წარმოადგენენ და ამ ნიშნით ისინი თითქოს ემიჯნებიან დიუნებს. თუმცა სულაც არ არის მიუღებელი ის აზრი, რომ ეოლური აკუმულაციის ყველა ფორმას ზოგადად დიუნები ეწოდოს. ასეთ შემთხვევაში ბარხანი უდაბნოს დიუნი იქნება.

ეოლური პროცესების შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა

გრავიტაციული პროცესების მსგავსად, ეოლურ პროცესებსაც საკმაო ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის – ქვიშა ნთქავს ნაყოფიერ მიწებს, ანგრევს სატრანს-პორტო კომუნიკაციებს, ზოგჯერ ქალაქებსაც ანადგურებს. რამდენიმე ათასწლეულის წინ ლიბიის უდაბნოს დიდი ნაწილი უმშვენიერესი ადგილი ყოფილა, დღეს კი უდაბნოდა ქცეული. ცნობილი სფინქსი ქაიროს (ეგვიპტე) მახლობლად ქარის მიერ მთლიანად დაღარულია. საჰარის უდაბნო ენერგიულად უტევს აფრიკის კონტინენტს და ჩრდილოეთით და სამხრეთით აფართოებს თავის საზღვრებს.

უდაბნოს შემოტევის შეჩერება შეიძლება, პირველ რიგში, ბარხანებზე, დიუნებსა თუ ქვიშის სხვა ფორმებზე ფესვმაგარი მცენარეული საფარის (ხეები, ბუჩქები) გაშენებით. ქვიშის მოძრაობის შეჩერების სხვა გზებიც არსებობს. თურმე უდაბნოს მორწყვაც კი შეიძლება (რა თქმა უნდა, არა მთლიანად).

თავი 7. მიწისეპურა ნყლების გეოლოგიური მოქმედება

ნყლის გეოლოგიური მოქმედება მეტად მრავალფეროვანი და უაღრესად ეფექტურია. საკმარისია მხოლოდ ვახსენოთ ოკეანე, ზღვა, ტბა ან მდინარე, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს მათი გეოლოგიური მოქმედების მასშტაბები. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც მიწისქვეშა წყალი წარმოადგენს.

მაინც რას ვუწოდოთ მიწისქვეშა წყალი? მიწის შიგნეთში – ნიადაგსა თუ ქანების ფორმებსა და ნაპრალებში ან კარსტულ გამოქვაბულებში არსებულ წყალს **მიწისქვეშა წყალი** ეწოდება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მიწისქვეშა წყალი დედამიწის წყლის სფეროს – **ჰიდროსფეროს** ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მიწისქვეშა წყლებს და მათ გეოლოგიურ მოქმედებას სწავლობს მეცნიერება, რომელსაც **ჰიდროგეოლოგია** ეწოდება.

მიწისქვეშა წყლების ფორმირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ფორმებსა და ნაპრალებში წყლის გადაადგილებას, რაც ძირითადად განსაზღვრულია ქანების საერთო ფორმიანობით. საერთო ფორმიანობაში იგულისხმება ყველა ის სიცარიელე, რომელიც ქანებია – ნაპრალები, ბზარები, სიცარიელეები, ფორები. ფორმიანობის ხარისხის გამოსახატავად საერთო ფორმიანობის მაჩვენებელს ყოფენ ქანის მთლიან მოცულობაზე (ფორმიანობის ჩათვლით). როგორც წესი, ფორმიანობის მაჩვენებელს პროცენტებში უთითებენ. ცხადია, რომ საერთო ფორმიანობის მაღალი პროცენტის მქონე ქანები წყალგამტარიანობის მაღალი უნარითაც ხასიათდებიან. რამდენადმე განსხვავებული სურათი გვაქვს საკუთრივ ფორმიანობაზე (ნაპრალების, ბზარებისა და სიცარიელეების გარეშე) საუბრის დროს. გასაგებია, რომ სხვადასხვა ქანს ფორმიანობის სხვადასხვა ხარისხი ახასიათებს. მონაცემთა მერყეობა დიდ დიაპაზონშია. მაგალითად, გამოუფიტავი, უნაპრალო გრანიტის ფორმიანობა 1%-ია, მაშინ როცა ცუდად შეცემენტებული ქვიშაქვისა 40%-ზე მეტია. ცხადია, რომ ეს უკანასკნელი პირველთან შედარებით წყალგამტარიანობის გაცილებით მაღალი უნარით გამოირჩევა. მაგრამ მაღალი ფორმიანობა ზოგ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს კარგ წყალგამტარიანობას. ამის საუკეთესო მაგალითია პემზა და განსაკუთრებით კი თიხა. თიხების ფორმიანობა ზოგჯერ 50-60%-ია, ე.ი. ძალზე მაღალი. სინამდვილეში კი თიხები წყალგაუმტარი ქანებია. საქმე ისაა, რომ ფორმიანობა კი მაღალია, მაგრამ ფორმები უწვრილესია, რაც ძალიან აფერხებს, ან საერთოდ უშლის ხელს მათში წყლის მოძრაობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობენ **წყალგამტარი** (კარგი, საშუალო და ა.შ.) და **პრაქტიკულად წყალგაუმტარი** ქანები.

ნარმოშობის მიხედვით ანუ გენეტიკურად მიწისქვეშა წყლების სამი ტიპი გამოიყოფა:

1) ინფილტრაციული, 2) სედიმენტაციური და 3) იუვენური. ამ სამი ტიპიდან უმთავრესია ინფილტრაციული, რადგანაც მასზე მოდის მთელი მიწისქვეშა წყლების „ლომის წილი“, მაშინ როცა მომდევნო ორი ტიპის როლი ძალზე უმნიშვნელოა.

ინფილტრაციულ („ინფილტრაცია“ – განურვა, ჩაუონვა, ლათ.) მიწისქვეშა წყალს სხვაგვარად ვალიზურს ან მეტეორულს, ზოგჯერ ატმოსფერულსაც უწოდებენ. არსებითი კი ისაა, რომ ასეთი წყალი ჩნდება შიგნეთში – ნიადაგსა და ქანებში ფორებისა და ნაპრალების მეშვეობით ატმოსფერული ნალექების ჩაუონვის შედეგად.

იუვენური („იუვენალის“ – ახალგაზრდა, ლათ.), ანუ **მაგმური** მიწისქვეშა წყლების გენეზისი დაკავშირებულია მაგმურ პროცესებთან. ასეთი წყლები ფორმირდება დედამიწის შიგნეთში წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგად, როდესაც მაგმისაგან განცალკევებული წყლის ორთქლი ნაპრალებსა და ფორებს ზევით, დედამიწის ზედაპირისაკენ აუყვება, გზადაგზა ცივდება და წყლად ფორმირებას იწყებს.

ზოგი ავტორის აზრით, სუფთა იუვენური წყალი არც არსებობს, რამდენადაც ზევით მოძრაობისას ასეთი წყალი სხვადასხვა დონეზე ერევა სხვა ტიპის მიწისქვეშა წყლებს და ზედაპირზე უკვე ნარევის სახით ამოდის.

სედიმენტაციური („სედიმენტუმ“ – ნალექი, ლათ.) მიწისქვეშა წყლის ნარმოშობა ხდება ზღვაში ნალექდაგროვებასთან ერთად. ასეთი წყალი, მიმდინარე გეოლოგიური პროცესების (დიაგენეზისი, ტექტონიკური მოძრაობა) გავლენით, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. საბოლოოდ ეს არის გარკვეულ სილრმეებზე ქანებში მოქცეული, მარილიანობის თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის წყალი. ასეთ წყლებს ზოგჯერ განამარხებულს ან რელიეფურს (ნარჩენს) უწოდებენ, რადგანაც ისინი ქანების დალექვის დროიდან არის შემორჩენილი.

გამოყოფენ კიდევ კონდენსაციურ მიწისქვეშა წყლებს. ასეთი ტიპის წყლები ნარმოშობა უმთავრესად უდაბნოებში, სადაც მცირე ატმოსფერული ნალექებისა და დიდი აორთქლების პირობებში ქანების ფორებსა და ნაპრალებში ჰაერში არსებული წყლის ორთქლი კონდენსირდება. ასე შეიძლება გაჩნდეს მტკნარი წყლის მცირე ლინზები უდაბნოში.


მიწის შიგნეთში განლაგების მიხედვით მიწისქვეშა წყლების რამდენიმე სახე გამოიყოფა. როგორც უკვე ვიცით, დედამიწის ქერქის სულ ზედა ნანილი (გამოფიტვის ქერქის ზედა ნანილი) ნიადაგით არის ნარმოდეგნილი. ნიადაგში ჩაუონილ ატმოსფერულ ნალექებს უფრო ქვედა ნანილებისაკენ გარცელებისას ზოგჯერ გარკვეული წინააღმდეგობა ხვდება, რამაც შეიძლება ნიადაგში წყლის დაგროვება გამოიწვიოს. ეს იქნება ზოგადად ნიადაგის წყლები, რომლებიც აერაციის ზონაში გვხვდება.

ნიადაგის წყალი ზედაპირთან ახლოს მდებარეობს. უფრო ღრმად კი გრუნტის წყალი ჩნდება. **გრუნტის წყალი** ის მიწისქვეშა წყალია, რომელიც მდებარეობს პირველი წყალგაუმტარი შრის თავზე. თვით გრუნტის წყლის შემცველ შრეს ან

შრეებს წყალშემცველი ჰორიზონტი ჰქვია. განარჩევენ გრუნტის წყლის ფუძეს ანუ საგებს, რომელიც ემთხვევა პირველი წყალგაუმტარი შრის ზედაპირს და თვით გრუნტის წყლის ზედაპირს ანუ **სარკეს**. გასაგებია, რომ ვერტიკალური მანძილი ამ ორ ზედაპირს შორის მოგვცემს გრუნტის წყლის შემცველი ჰორიზონტის სიმ-ძლავრეს.

ცნობილია, რომ გრუნტის წყლის სარკე სუსტად იმეორებს რელიეფის ფორმას – ამოზნექილია მთების თხემებთან და, პირიქით, დაქანებულია ფერდობებისაკენ. წყლის მოძრაობა სიმძიმის ძალის გავლენით ხევების, ხეობების, ზღვიური თუ ტბიური დეპრესიებისაკენ მიდის, სადაც რელიეფის მიერ წყალშემცველი ჰორიზონტის გადაკვეთისას წყალი გარეთ გამოდის **დაღმავალი წყაროების** სახით. ესაა ე.ნ. **განტვირთვის არე**. წყლის მოძრაობის სიჩქარე სხვადასხვაა და დღე-ღამის განმავლობაში ერთეულ მეტრებში მერყეობს. მაქსიმალური სიჩქარე დაფიქსირებულია ძლიერ დაკარსტულ ქანებში (30მ-მდე დღე-ღამეში). ზოგი მონაცემით 250მ-მდეც კი).

გრუნტის წყლის კვების არე (ანუ არე, საიდანაც ხდება ატმოსფერული ნალექების ჩაუინვა) ემთხვევა წყალშემცველი ჰორიზონტის გავრცელების არეს.



სურ. 7.1. გრუნტის წყლის მდებარეობის სქემა
(Якушова и др., 1988-ის მიხედვით)


გრუნტის წყალი ძირითადად ატმოსფერული ნალექებით იკვებება. ამიტომ სწორედ ზედაპირიდან ჩანაჟონი წყალი განსაზღვრავს გრუნტის წყლის დონეს ან, სხვაგვარად, გრუნტის წყლის სარკის მდებარეობას. ეს უკანასკნელი კი ცვალებადია – კვების რეჟიმის მიხედვით ხან ზევით იწევს (უხვი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში), ხან ქვევით (მწირი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში). ზემოთქმულის გათვალისწინებით, გრუნტის წყლების გავრცელების არეში რამდენიმე ზონაა გამოყოფილი; **აერაციის ზონა** – სივრცე მიწის ზედაპირსა და გრუნტის წყლის სარკის მაქსიმალურ მდებარეობას შორის, **პერიოდული გაჯერების ზონა** – სივრცე გრუნტის წყლის მაქსიმალურ და მინიმალურ მდებარეობას შორის, **მუდმივი გაჯერების ზონა** – სივრცე გრუნტის წყლის მინიმალურ მდებარეობასა და გრუნტის წყლის

საგებს შორის. მუდმივი გაჯერების ზონა ის ზონაა, სადაც გრუნტის წყალი ყოველთვის არის. ამიტომ ამ ზონამდე გაჭრილ ჭაში ან ჭაბურღლიში წყალი მუდმივად იქნება. პერიოდული გაჯერების ზონაში კი წყალი დროდადრო დაშრება (სურ. 7.1).

როგორც წესი, გრუნტის წყლებით იკვებება მდინარეები, თუმცა ზოგჯერ (წყალდიდობისას), პირიქით, მდინარე კვებავს გრუნტის წყალს.

ნიადაგისა და გრუნტის წყლები მიეკუთვნება უწნევო წყლებს. ამავე კატეგორიას განეკუთვნება **შრეთაშორისი უწნევო წყლები**. ასეთი წყალი, მართალია, ორ წყალგაუმტარ შრეს შორის არის მოქცეული, რის გამოც თითქოს წნევიანი უნდა იყოს, მაგრამ მას აქვს თავისუფალი განტვირთვის არე, რის გამოც წყალშემცველი ჰორიზონტი მთლიანად ვერ ივსება წყლით, რომელიც ამ უკანასკნელის ფუძეს იკავებს მხოლოდ.

წნევიანი ანუ არტეზიული წყლები. წნევიანი ან, სხვაგვარად, არტეზიული ენოდება წყალს, როდესაც წყალშემცველი ჰორიზონტი მოქცეულია ორ წყალგაუმტარ შრეს შორის და ბოლომდე გაჯერებულია წყლით. სახელწოდება საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინციის, არტუას სახელიდან მოდის, რომელსაც ძველად არტეზია ერქვა. როგორც წესი, არტეზიული წყლები კონტინენტურ პლატფორმაზეა უმტეს-ად გავრცელებული, დიდ სილრმეებზე გვხვდება და ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია განტვირთვის არე. სტრუქტურების თვალსაზრისით ასეთი წყლები სინკლინებსა და მონკლინებში გვხვდება.



სურ. 7.2. წნევიანი ანუ არტეზიული წყლის მდებარეობის სქემა:

ა – სინკლინურ სტრუქტურაში, ბ – მონკლინში.

ა – კვების არე, ბ – წნევის არე, ც – განტვირთვის არე.

H_1 და H_2 – წნევა, მ – არტეზიული ფენის სიმძლავრე

(Якушовა უ ძრ., 1988-ის მიხედვით)

როდესაც წნევიან წყალს განტვირთვის არე გააჩნია, არტეზიულ აუზში მის გარდა კიდევ ორი არე გამოიყოფა: კვებისა და წნევის (სურ. 7.2.ა და 7.2.ბ). კვების არეში ზედაპირზე გაშიშვლებულია წყალშემცველი ჰორიზონტი, რაც მისი ატმოსფერული წყლებით გავსების საშუალებას იძლევა. ეს ერთადერთი არეა, საიდანაც წყალშემცველი ჰორიზონტი იკვებება. წნევის არე ის ვრცელი ადგილია, სადაც წყალშემცველი ჰორიზონტი მთლიანად გადაფარულია წყალგაუმტარი შრეებით. სწორედ ეს არის წნევიანი წყლის გაჩნის მთავარი მიზეზი. განტვირთვის არეში წნევიანი წყლის ზედაპირზე ამოსვლა ანუ დრენაჟი ხდება. ცხადია, რომ კვების არე ჰიდსო-

მეტრიულად უფრო მაღლა უნდა იყოს, ვიდრე დრენაჟის არე. რაც უფრო დიდია სხვაობა ამ ორი არის სიმაღლეთა შორის, მით უფრო ძლიერი იქნება წყლის წნევა. კვებისა და განტვირთვის არის შემაერთებელი ხაზი განსაზღვრავს წნევიანი წყლის პიეზომეტრულ ("პიეზო" – ვაწვები, ვკუმშავ, ბერძნ.) დონეს, ანუ გვიჩვენებს იმას, თუ წნევის არის ფარგლებში კონკრეტულ წერტილში გაჭრილ ჭასა თუ ჭაბურლილ-ში რა დონემდე ამოვა წყალი. თუ წნევიან წყალს განტვირთვის არე არა აქვს, მაშინ მისი პიეზომეტრული დონის მაჩვენებელი იქნება ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც კვების არის დონეზე გაივლის. შესაბამისად, წყალი წნევის არის ყველა წერტილში თანაბარ სიმაღლეს დაიკავებს. იმ შემთხვევაში, როდესაც პიეზომეტრული დონე რელიეფის ზედაპირს ზევით ადის, წყალი შადრევანივით ამოჩქეფს. სხვათა შორის, წნევიანი წყალი განტვირთვის არეშიც ამოჩქეფს (ე.წ. აღმავალი წყარო).

არტეზიული წყლები მხოლოდ ცალკეულ წყალშემცველ ჰორიზონტებში როდი გახვდება. უფრო ხშირად არტეზიულ აუზებთან გვაქვს საქმე, როდესაც რამდენიმე წყალშემცველ ჰორიზონტია ერთმანეთის მიყოლებით წარმოდგენილი. ცნობილი არტეზიული აუზებია პარიზის, მოსკოვის და სხვ. არტეზიული აუზები საქართველოშიც არის.

მიწისქვეშა წყლების ქიმიზმი

როდესაც მიწისქვეშა წყლების გეოლოგიურ მოქმედებაზეა ლაპარაკი, ძირითადად იგულისხმება იმ ქანების გამოფიტვა, დამლა და ნგრევა, რომლებშიც ეს წყლები მოძრაობს. ამ ცირკულაციის წყალობით მიწისქვეშა წყალი მრავალფეროვან გახსნილ მასალას იძენს და, შესაბამისად, მისი ქიმიურ-მინერალური შედგენილობაც გარკვეული ხასიათისა ხდება. დადგენილია, რომ მრავალფეროვანი შედგენილობის მიუხედავად, მიწისქვეშა წყლებში წამყვანი როლი ენიჭებათ კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიან ჰიდროკარბონატულებს, სულფატებსა და ქლორიდებს. შესაბამისად, ქიმიური შედგენილობის მიხედვით გამოყოფილია მიწისქვეშა წყლების სამი ტიპი: **ჰიდროკარბონატული, სულფატური და ქლორიდული.** მეორე მხრივ, მიწისქვეშა წყლები მინერალიზაციითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ თვალსაზრისით ცნობილია მთელი გამა მტკნარი მიწისქვეშა წყლებიდან (მარილიანობა 1 გ/ლ-მდეა) ზემაღლი მარილიანობის მქონე მარილებსნარებამდე (>50 გ/ლ).

მინერალური წყლები

მინერალური წყლები წარმოადგენს მიწისქვეშა წყლების სახეობას, რომელიც ბიოლოგიურად აქტიური თვისებებით ხასიათდება და ადამიანის მიერ გამოიყენება სამკურნალოდ. მინერალურ წყლებს სამკურნალო თვისებებს სძენს ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა მთელი კომპლექსი, როგორიცაა: ტემპერატურა, მინერალიზაციის ხარისხი, რადიოაქტიურობა, მიკროელემენტებისა და ორგანული ნაერთების შემცველობა, წყალში გახსნილი აირები და სხვ.

ტემპერატურის მიხედვით გამოყოფენ ცივ (20°C -მდე), თბილ ან სუბთერმულ ($20\text{-}37^{\circ}\text{C}$), თერმულ ($37\text{-}42^{\circ}\text{C}$) და ცხელ ან ჰიპერთერმულ ($>42^{\circ}\text{C}$) მინერალურ წყლებს.

შედგენილობის, სამკურნალო თუ სხვა თვისებათა მიხედვით მინერალური წყლების სამი მთავარი ტიპი გამოიყოფა: 1) **ნახშირორჟანგიანი** – ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე და საქართველოს სხვა მინერალური წყლები, ჩრდილო კავკასიის ცივი ნარზანები, საფრანგეთის ვიშის წყლები, კარლოვი-ვარის (ჩეხეთი) თერმული წყლები და ა.შ; 2) **გოგირდნყალბადიანი** ანუ **სულფიდური** – თბილისის თერმული წყლები (საქართველო), მაცესტის (რუსეთი) და სხვ; 3) **რადიოაქტიური** – წყალტუბოს (საქართველო), ბელოკურიხას (რუსეთი) და სხვა.

7.1. კარსტი

მიწისქვეშა წყლის გეოლოგიური მოქმედება ყველაზე ეფექტურად კარსტულ პროცესებში ვლინდება. თუმცა ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ კარსტულ პროცესებში მიწისზედა (ზედაპირული) წყლებიც მონაწილეობს. ამ პროცესების შედეგად მიიღება რელიეფის მეტად სპეციფიკური ფორმები, რომელთაც ერთობლივად კარსტი ეწოდება. ეს სახელწოდება ადრიატიკის ზღვის სანაპირო ზოლში არსებული კირქვის მასივის სახელიდან მოდის.

იმისათვის, რომ კარსტული პროცესები აქტიურად წარიმართოს, რამდენიმე პირობაა საჭირო, რომელთაგან ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე არსებითი, არის მეტ-ნაკლებად კარგად ხსნადი ქანების არსებობა. ყველაზე კარგად იხსნებიან მარილები, პირველ რიგში, ნატრიუმის ქლორიდი ანუ ჰალიტი, თაბაშირი და კირქვები, ან, ზოგადად რომ ვთქვათ, ქლორიდები, სულფატები და კარბონატები. ზემოთ დასახელებულთაგან ყველაზე კარგად ჰალიტი იხსნება, შემდეგ თაბაშირი და ბოლოს კირქვა, თუმცა ყველაზე ფართოდ კირქვის კარსტებია ცნობილი. საქმე ისაა, რომ კირქვები დედამიწის ქერქში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქანია, თანაც ხშირად გეხვდება მძლავრი დასტებით, საკმაოდ დაბზარულ-დანაპრალიანებული. ეს ყველაფერი კი ერთობ ხელსაყრელია კარსტული პროცესის წარმართვისათვის. კარსტული პროცესები უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ე.წ. ლია კარსტის პირობებში, როცა კარსტვადი ქანები უშუალოდ ზედაპირზეა გაშიშვლებული.

კარსტული პროცესების საბოლოო შედეგი კარსტული ფორმების განვითარებაა. რადგანაც ეს პროცესები მიმდინარეობს როგორც მიწის ზედაპირზე, ისე შიგნეთში, კარსტული ფორმებიც ორგვარი სახისაა – მიწისზედა (ზედაპირული) და მიწისქვეშა (შიგა).

კარსტის ზედაპირული ფორმებიდან აღსანიშნავია: **კარრები, პონორები, კარსტული ძაბრები (დოლინები), პოლიები.**

კარრები, მარტივად რომ ვთქვათ, მიწის ზედაპირის „ნაკანრებს“ წარმოადგენს, რომელიც კირქვის (ან სხვა კარსტვადი ქანის) ზედაპირული წყლებით გახსნის შედეგად ჩნდება. ეს არის სხვადასხვა სიღრმის (სანტიმეტრებიდან 1-2 მ-მდე) ორმოები

და ღარები, რომლებიც გარკვეული მიმართულებით ან, უფრო ხშირად, უწესრიგოდ არიან განლაგებული (სურ. 7.3.). **პონორები** ვერტიკალური ან დახრილი ნაპრალებია (ხვრელები), რომლებიც ზედაპირიდან საკმაოდ ღრმად ვრცელდებიან და შთანთქავენ ზედაპირულ წყლებს. **კარსტული ძაბრები** ანუ **დოლინები** (იგივე **კარსტული სასულეები**) ზედაპირული ფორმებიდან ყველაზე გავრცელებულია. ისინი წარმოადგენენ წრიული ფორმის კონუსისებურ (გადაბრუნებული კონუსი) სხეულებს, რომლებიც პერიფერიებიდან ცენტრისკენ თანდათან ღრმავდებიან. კონუსის წვერს სიღრმეში ნაპრალი (პონორი) აგრძელებს. ძაბრის დიამეტრი 1-50 მ-ის ფარგლებშია. იშვიათად უფრო მეტიც; სიღრმე კი 15-20 მ-ია. შეიძლება რამდენიმე კარსტული ძაბრი შეერთდეს, ან მინისქვეშა კარსტული გამოქვაბულის ჭერი ჩაიქცეს. ორივე შემთხვევაში მიიღება დიდი ზომის კარსტული დეპრესია, რომელსაც **პოლიე** ეწოდება. პოლიეების ფართობი ზოგჯერ ასეული კვადრატული კილომეტრებით იზომება.



სურ. 7.3. კარრები

კარსტის მიწისქვეშა ფორმებია კარსტული გვირაბები, შახტები, ჭები და, რა თქმა უნდა, კარსტული მღვიმეები.

კარსტული მღვიმეები ყველაზე პოპულარულია კარსტის შიგა რელიეფის ფორმებს შორის, რიგ შემთხვევაში მათი შთამბეჭდავი განზომილებების გამო. ამ პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ ხშირად კარსტული მღვიმეები მოპირკეთებულია ულამაზესი ნადენი ფორმებით, რომლებიც ეფექტურად აძლიერებენ მათ ხიბლს. კარსტული მღვიმეები სხვადასხვა ზომისაა. ყველაზე დიდი მღვიმე დღეისათვის ცნობილია კარლსბადის ნაციონალურ პარკში (ნიუ-მექსიკოს შტატი, აშშ), რომლის განზომილებებია 1200მx190მx90მ. კარსტული მღვიმეები ერთმანეთს უკავშირდება გვირაბებითა და ხვრელებით და ქმნის მღვიმეთა ერთიან სისტემებს. ცნობილია მრავალსართულიან მღვიმეთა სისტემებიც.

კარსტული მღვიმის წარმოშობა უპირველესად გრუნტის წყლის მოქმედებით არის განპირობებული. დედამიწის შიგნეთში კარსტვადი ქანების ყველაზე აქტიური გახსნა ხდება გრუნტის წყლის სარკის სიახლოვეში. სხვადასხვა მიზეზის გამო

გრუნტის წყლის სარკის თანდათან დაწევის შემთხვევაში ამ სარკის ზევით რჩება სი-ცარიელები, რომლებიც საბოლოო სახით კარსტულ მღვიმეებად მოგვევლინებიან. კარსტულ მღვიმეებში ზოგჯერ ტბებიც არის, ზოგჯერ ნაკადული ან მდინარეც კი მიედინება. შესაბამისად, მღვიმეებში ჩნდება ტბიური და მდინარეული ნალექები. მათ შეიძლება დავუმატოთ ჭერის ჩამოქცევის შედეგად მიღებული ნალექები, ან კარსტგადი ქანის გახსნის შედეგად დარჩენილი უხსნადი ნაშთი, ე.ნ. ტერრა-როსა (წითელი მინა). ძალიან გავრცელებულია მინისქვეშა წყაროების სიახლოვეში პოროვანი ქანის – **კირქვის ტუფის ანუ ტრავერტინის** წარმოშობა. ყველა ჩამოთვლილი დანალექი ქანის ფორმირება კარსტული მღვიმის ფსკერთან არის დაკავშირებული.

და მაინც, კარსტული მღვიმეების მშვენებას **ნადენი ფორმები** წარმოადგენს. ეს ფორმები მრავალნაირია, თუმცა კირქვის კარსტი ძირითადად **სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით** არის ცნობილი. მათი წარმოშობა კი შემდეგნაირად ხდება – ზედაპირიდან ჩანაჟონი წყალი, რომელიც ნახშირორჟანგით არის გამდიდრებული, აქტიურად ხსნის კარსტვად კარბონატულ ქანებს და კალციუმის ბიკარბონატით მდიდრდება. რეაქცია მიღის ცნობილი ფორმულით: $\text{CaCO}_3 + \text{H}_2\text{O} + \text{CO}_2 \rightarrow \text{Ca}(\text{HCO}_3)_2$. კარსტული მღვიმის ჭერზე გამოსული ასეთი წყლის წვეთი უმაღლეს კარგავს ნახშირორჟანგს, რის გამოც წვეთის პერიფერიულზე კირქვა გამოილება – რეაქციას ზემოთ ნაჩვენების საპირისპირო ხასიათი აქვს. წვეთს მეორე წვეთი შეენაცვლება, მეორეს მესამე და ა.შ. გამოლექვაც გრძელდება ჭერიდან ქვევით, რის შედეგადაც მიღება ყინულის ლოლოს ფორმის წარმონაქმნი (შუაგულში ნასვრეტით) – **სტალაქტიტი**.

იგივე წვეთები მღვიმის ფსკერზე დაცემისას კვლავ კირქვას გამოლექავენ. აქაც ნადენი ფორმა ჩნდება, ოღონდ ის ზევიდან ქვევით კი არა, პირიქით, ქვევიდან ზევით იზრდება. ეს იქნება **სტალაგმიტი**. სტალაგმიტები უნასვრეტოა! ზოგჯერ სტალაქტიტი უერთება სტალაგმიტს და ვიღებთ **სვეტს** (სტალაგნატს).

დასასრულ უნდა აღვიშნოთ, რომ კარსტული პროცესების ცოდნას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა როგორც მეცნიერულ, ისე პრაქტიკულ ღირებულებათა თვალსაზრისით. ქალაქთმშენებლობის (ბინათმშენებლობის) დროს ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ის გარემოება, რომ კარსტვად ქანებში ხშირად მოსალოდნელია ფუნდამენტის ჩაქცევები. ამავე მიზეზით კარსტული რელიეფი საშიშია სარკინიგზო თუ საავტომობილო გზების მშენებლობაში. წყალსაცავების მშენებლობისას კარსტულ უბნებზე მოსალოდნელია (და ამდენად ანგარიშგასასწევია) წყლის დანაკარგი. აუცილებელია აგრეთვე წიაღისეულის მოპოვების დროს სამთო გამონამუშევრებში კარსტულ წყლების მოვარდნისაგან თავის დაზღვევა და სხვ.

ამავე დროს კარსტმა შეიძლება ბევრი სიკეთე მოუტანოს ადამიანს. სხვას რომ თავი დავანებოთ, კარსტული მღვიმეები საუკეთესო ტურისტული ობიექტებია და, ამდენად, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალება. ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია ბევრი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, სა-დაც მრავალი შესანიშნავი კარსტული მღვიმეა გამოვლენილი (აფხაზეთი, იმერეთი და სხვ.) და ახალ მღვიმეთა გამოვლენის საუკეთესო პერსპექტივებია. იმავე მღვიმეების გადაქცევა შეიძლება ბუნებრივ სანატორიუმებად სხვადასხვა დაავადებათა განკურნების თვალსაზრისით.



სურ. 7.4. კარსტული მღვიმე, სტალაქტიტები, სტალაგმიტები, სვეტები

მიწისქვეშა წყლების პრაქტიკული მნიშვნელობა; მიწისქვეშა წყლების დაცვა

მიწისქვეშა წყალს უაღრესად დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს. ამ თვალ-საზრისით მტკნარი სასმელი წყალიც კი კმარა. სასმელი წყლის მარაგები დღეისათვის მსოფლიოში კატასტროფულად მცირდება. ასეთ ვითარებაში მიწისქვეშა წყალი უმნიშვნელოვანესი წიაღისეულის სტატუსს იძენს. თუ მტკნარ სასმელ წყალს მინერალურსაც დავუმატებთ, რომლის სამკურნალო თვისებებიც საყოველთაოდ აღიარებულია, ეს სტატუსი კიდევ უფრო გაიზრდება. სასმელის გარდა მიწისქვეშა წყალი გამოიყენება სამელიორაციო სამუშაოებისათვის (ე.წ. ტექნიკური წყალი). თერმული წყლები ფართოდ გამოიყენება მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, რუსეთი და სხვ.) როგორც ელექტროენერგიის წყარო ბინების გასათბობად, სათბურებისათვის. ფიქრობენ, რომ გეოთერმული ენერგია შეიძლება უფრო იაფი აღმოჩნდეს, ვიდრე ენერგიის თანამედროვე წყაროები, თანაც ეკოლოგიურად უფრო სუფთაა.

ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ მიწისქვეშა წყლების საშიშროება ჰიდროტექნიკური თუ სხვა ტიპის ნაგებობების დაპროექტებისას, წიაღისეული საბადოების დამუშავებისას და სხვ.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მიწისქვეშა წყლის მარაგი ულევი არ არის. ამიტომ სასურველია (და აუცილებელიც) მისი მომჭირნეობით ხარჯვა. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მიწისქვეშა წყლის აუზი არ დაიცალოს და შეძლებისდაგვარად ხელი შევუშალოთ ამ პროცესის განვითარებას.

თავი 8. მდინარი წყლის გეოლოგიური მოქმედება

მდინარი წყალი ფართო მასშტაბის გეოლოგიურ მოქმედებას აწარმოებს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი მდინარეებს ენიჭებათ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მდინარი წყლის გეოლოგიურ მოქმედებაში საკუთრივ მდინარეების გარდა სხვათა მუშაობაც იგულისხმება.

მდინარი წყალი მხოლოდ და მხოლოდ დედამინის ზედაპირზე ჩამონადენი წყალია, რომელიც ძირითადად წვიმისა და გამდნარი თოვლის სახით მოგვევლინება. ეს წყალი სიმძიმის ძალის გავლენით ეშვება მთების ფერდობებზე ან ერთიანი, უწყვეტი აფსკის, ან ცალკეულ კალაპოტში მოქცეული ნაკადულების სახით.

პირველ შემთხვევაში გვექნება წყლის ე.წ. **ზენრული ჩამონადენი**. ადვილი მისახვედრია, რომ ფერდობზე ჩამონადენ წყალს თან მოაქვს გამოფიტული მასალა, რითაც გარკვეულად რეცხავს ფერდობს და ერთგვარად „ანგრევს“ მას. ზენრული ჩამონადენის ამგვარ ქმედებას **ფართობული ეროზია** („ეროზიო“ – ამოჭმა, მოცვეთა, ლათ.) ეწოდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გზით ფერდობზე ნახევარი ჰექტარი ფართობიდან ეროზია ეხება მხოლოდ შედარებით ნმინდა მასალას (ძირითადად ალევრიტი, თიხა). უფრო უხეში მასალის ქვევით გადაადგილება კი ჩვენთვის უკვე ცნობილი გრავიტაციული პროცესებით (გრავიტაციული დენუდაციით) ხდება. ცხადია, ფართობული ეროზია მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო დიდი იქნება ფერდობის დაქანება და უხვი ატმოსფერული ნალექები. კარგად განვითარებული ფართობული ეროზია იწვევს ფერდობის მოსწორებას. ჩამოტანილი მასალა კი შლეიფის სახით ილექტა ფერდობის ძირში და ზოგ შემთხვევაში ცვალებადი სიმძლავრეების (მაქსიმუმ ათეული მეტრები) საკმაოდ გამწე ზოლს იძლევა. ამგვარ ნალექებს **დელუონის** („დელუო“ – ჩამოვრეცხავ, ლათ.) უწოდებენ.

ფართობული ეროზის გვერდით, უსწორმასწორო რელიეფის შემთხვევაში გვაქვს ე.წ. **ხაზბრივი ეროზია**, რომელიც გარკვეულ კალაპოტში მომდინარე წყლის დამანგრეველ მოქმედებას გულისხმობს. აქ იმწამსვე მდინარის მოქმედება ჩნდება ჩვენს ცნობიერებაში. და ეს ასეცაა. მაგრამ მდინარეთა გვერდით, რომლებიც მუდმივ ნაკადებს წარმოადგენენ, დროებითი ნაკადებიც ეწვიან ეროზიულ მოქმედებას. დროებითი ნაკადების მოქმედების შედეგად ხევების ან ხრამების ფორმირება ხდება. რელიეფის ეს ფორმები ყველაზე კარგად ვითარდება რბილი ქანებით აგებულ ფერდობებზე. მაღალმთიანი რელიეფის შემთხვევაში დროებით ნაკადებს დიდალი მასალა გამოაქვთ. ზოგჯერ ასეთი ნაკადით შექმნილი ხევი მდინარის შესართავთან ქმნის ე.წ. **გამოზიდვის კონუსებს** – კონუსისებური ფორმის (წვერით ხევალმა და ფუძით მდინარის ხეობისაკენ) მარაოსებურად გაშლილი ნალექების გროვას, რომელსაც ხევის დროებითი ნაკადები იძლევა (სურ. 8.1). ასეთი ფორმა გამოტანის კონუსებს მიღებული აქვს იმის გამო, რომ ვიწრო და დიდი დაქანების მქონე ხევიდან

გამოსვლისას მდინარის შესართავთან ახლოს ხევი ფართოვდება, მისი დაქანებაც უფრო დამრეცი ხდება და შედეგად ჩამოტანილი მასალა მარაოსებურად იშლება და გროვდება. გამოზიდვის კონუსებს მდინარეებიც ქმნიან. ნაკადების მიერ შექმნილ გამოზიდვის კონუსების ამგებ ნალექებს, რომლებიც წარმოდგენილია, ფაქტობრივად, დაუხარისხებელი კლასტური (ნამსხვრევი) მასალით, **პროლუვიონი** („პროლუვიუმ“ – ჩარეცხვა, ლათ.) ენოდება.



სურ. 8.1. გამოზიდვის კონუსი
(Короновский, Якушова, 1991)

განვითარების პროცესში ხევმა (ხრამმა) თუ გრუნტის წყლის შემცველი ჰორიზონტი გადაკვეთა, მაშინ იქ წყლის მოდენა მუდმივი იქნება და, შესაბამისად, მდინარეული პროცესები განვითარდება, ხოლო ხევი (ხრამი) ხეობად იქცევა.

მდინარის გეოლოგიური მოქმედება

მდინარე უდიდეს გეოლოგიურ მოქმედებას აწარმოებს: ანგრევს მთებსა და დედამინის რელიეფის სხვა დადებით ფორმებს, გადააქვს მონგრეული მასალა და შესაბამის ადგილებში ლექაეს მას. ამგვარად, მდინარე აწარმოებს სამგვარ გეოლოგიურ სამუშაოს: **ნგრევას (ეროზია), გადატანასა (ტრანსპორტი) და დალექვას (აკუმულაცია).** როგორც ცნობილია, მდინარეში სამი ნაწილი გამოიყოფა: ზემო, შუა და ქვემო წელი. მართალია რამდენადმე პირობითად, მაგრამ მიღებულია, რომ ზემოწელში წამყვანი პროცესი ეროზია (სიღრმითი, თანაც ზევით, წყალგამყოფი-საკენ მიმართული), შუაწელში – გადატანა, ხოლო ქვემოწელში – დალექვა.

ეროზია. მდინარის დამანგრეველ, ეროზიულ მოქმედებას ენერგია სჭირდება. ეს ენერგია კი განპირობებულია მდინარეში წყლის მასის ოდენობით და სიჩქარით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მდინარის ენერგია წყლის მასისა და სიჩქარის ფუნქციას წარმოადგენს – რაც მეტია მასა და სიჩქარე, მით უფრო მეტი ენერგიით აწარმოებს მდინარე დამანგრეველ მოქმედებას. ნგრევა წარმოებს მდინარისეული ძალითა და

მის მიერ ატაცებული თუ ათრეული მონგრეული მასალით. მდინარის აგრესიულობას ზრდის ის გარემოებაც, რომ მდინარეული წყალი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოძრაობს არა სწორხაზობრივად, მოწესრიგებულად (ლამინარულად), არამედ მოუნესრიგებლად (ტურბულენტურად), რაც, პირველ რიგში, ნაპირებთან და ფსკერთან წყლის ხახუნით არის გამოწვეული. წყლის ტურბულენტური მოძრაობა კი მდინარის კალაპოტის ინტენსიურ ნგრევას იწვევს.

ეროზიის ორი სახე არსებობს: **სიღრმითი და გვერდითი.** განვითარების საწყის სტადიაზე მდინარე ინტენსიურად ანგრევს კალაპოტს, ცდილობს მოსპოს კალაპოტში არსებული უსწორმასწორობანი, რათა გამოიმუშაოს ე.ნ. **ნონასწორობის პროფილი.** სიღრმითი ეროზიის და საერთოდ მდინარის მოქმედების ხასიათს განსაზღვრავს **ეროზიის ბაზისი** ანუ იმ აუზის დონე, რომელსაც უერთდება მდინარე (მაგ., მდ. ვერეს ეროზიის ბაზისი იქნება მდ. მტკვარი მდ. ვერეს შესართავთან, ხოლო თვით მდ. მტკვრისა – კასპიის ზღვა). ეროზიის ბაზისი არის მდინარის მიერ კალაპოტის ნგრევის უმდაბლესი დონე. მდინარის მიერ ნონასწორობის პროფილის გამომუშავება ხდება **უკუსვლითი ეროზიით.** იგულისხმება, რომ ნონასწორობის პროფილის გამომუშავებით მდინარე ამთავრებს თავის ეროზიულ მოქმედებას (თუმცა არა საბოლოოდ).



**სურ. 8.2. მდინარის მიერ მეორე მდინარის მოტაცება
(Якуширова и др., 1988)**

უკუსვლით ეროზიასთან დაკავშირებულია მეტად საინტერესო მოვლენა, რომელსაც **მდინარის მოტაცება** ეწოდება (სურ. 8.2). უკუსვლითი ეროზიის გამო მდინარეები მიინევენ ზევით, წყალგამყოფისაკენ. ის მდინარე, რომლის ეროზიის ბაზისიც უფრო დაბლაა და კალაპოტის დაქანებაც უფრო დიდი, შედარებით მაღლე მიაღწევს წყალგამყოფს, გადაკვეთს (ჩამოანგრევს) მას და შეიერთებს წყალგამყოფის მეორე მხარეს არსებულ და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ მეორე მდინარეს. სწორედ ეს არის მდინარისმიერი მოტაცება. თუმცა არსებობს მოტაცების სხვა ფორმაცა, ე.ნ. **გვერდითი მოტაცება.**

ნონასწორობის პროფილის გამომუშავებისას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მთავარ ეროზიის ბაზისს (რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი), არამედ ადგილობრივსაც. ამ უკანასკნელს აჩენს მდინარის კალაპოტში სხვადასხვა ადგილზე არსებული საფეხურები, ჭორომები, ტბები. ადგილობრივი ეროზიის ბაზისი ეროზიის საწყისი პუნქტია მის ზემოთ (სათავისაკენ) მდებარე მდინარეული ხეობის ნაწილ-

ისათვის. მდინარის კალაპოტში სხვადასხვა ტიპის საფეხურის არსებობა განპირობებულია ამგებ ქანებში მაგარი და რბილი სახეობების მონაცვლეობით. როგორც წესი, მაგარი ქანები, ეროზის მიმართ მდგრადობის გამო, მდინარის კალაპოტში საფეხურებს ქმნიან. ამგვარი საფეხურების განვითარება ზოგჯერ ჩანჩქერის წარმოშობა-საც უწყობს ხელს – მაგარი ქანებით აგებული საფეხურიდან ვარდნილი წყალი ქვევით დიდი ძალით ანგრევს კალაპოტს. თანაც წარმოქმნილი მორევი ძირს უთხრის მაგარ საფეხურს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩამოიქცევა. ჩანჩქერი ამგვარად უკან დაიხევს და ნგრევის პროცესი კვლავ განახლდება. საუკეთესო მაგალითია ნიაგარას ჩანჩქერი (აშშ-სა და კანადის საზღვარზე), რომელიც მტკიცე დოლომიტებსა და მათ ქვეშ მდებარე რბილ თიხოვან ქანებშია განვითარებული. როგორც ვარაუდობენ, ნიაგარას ჩანჩქერმა თავისი არსებობის განმავლობაში 12,5-ით დაიხია უკან. დახევის ტემპი 1875 წლიდან დღემდე წელიწადში საშუალოდ 1-1,2 მეტრს შეადგენს.

მორევის განვითარების ადგილში, პირველ რიგში, ჩანჩქერის ძირში, წყალი ატაცებული ქანის ნამსხვრევებთან ერთად კალაპოტში თხრის ქვაბულებს ან ჭისმაგვარ ორმოებს. ასეთ ორმოებს დევის ქვაბები ან ევერზიული ქვაბები ეწოდება. დევის ქვაბები შეიძლება გაჩნდეს როგორც მაგარ (გრანიტი, ბაზალტი), ისე შედარებით რბილ (კირქვა, თიხაფიქალი) ქანებში. მათი ზომები სხვადასხვაა, ზოგჯერ გიგანტურიც. მაგალითად, მინესოტის შტატში (აშშ) ტეილორსფოლისის ჩანჩქერთან არის დევის ქვაბი, რომლის დიამეტრი 6 მ-ია, ხოლო სიღრმე 17 მ. განვითარებულია ბაზალტებში.

გადატანა (ტრანსპორტი). მდინარის მიერ მასალის გადატანა ხდება თრევით, ატივტივებულ ან გახსნილ მდგომარეობაში. თრევით გადაიტანება მსხვილი ქვიშები ან სხვადასხვა ზომის ქვარგვალები, ხოლო ატივტივებულად – შედარებით წმინდა მასალა (წვრილი ქვიშები, ალევრიტები, თიხები), გახსნილი სახით კი გადაიტანება კარბონატები, სულფატები და სხვ. ალსანიშნავია, რომ მთის მდინარეებში ატივტივებული მასალა გაცილებით აჭარბებს დანარჩენს, თუმცა თრევით დიდი ლოდების ტრანსპორტირებაც კი ხდება. ბარის მდინარეებში ყველაზე დიდი პროცენტი გახსნილ მასალაზე მოდის, თანაც შედარებით უმნიშვნელოა თრევით გადატანილი მასალის (ძირითადად ქვიშები) ოდენობა.

დალექვა (აკუმულაცია). დალექვა მცირე მასშტაბით მდინარის ახალგაზრდობის სტადიაშიც კი ხდება, როდესაც ინტენსიური სიღრმითი ეროზია მიმდინარეობს, თუმცა ეს პროცესი მნიშვნელოვნად ძლიერდება მდინარის მონიფულობისა და განსაკუთრებით კი სიბერის სტადიაში. კუმულაცია, პირველ რიგში, მდინარის ქვემო წელში ხდება და ყველაზე ინტენსიურად სწორედ იქ არის გამოხატული. დალექილი მასალა სხვადასხვა ზომისაა და დამუშავების სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. უნდა ითქვას, რომ მდინარე განსაკუთრებით კარგად ამუშავებს თრევით გადატანილ მსხვილ მასალას.

მდინარის მიერ დალექილ მასალას ალუვიური ნალექები ან უბრალოდ **ალუვიონი** („ალუვიონ“ – მონალექი, ლათ.) ეწოდება. მდინარეული ნალექის მრავალი სახე არსებობს. მას მიეკუთვნება მდინარეული ჭალის ამგები ქანები, გამოტანის კონუსები, ტერასული ნალექები და კიდევ სხვა. მდინარეული ნალექდაგროვება განსა-

კუთრებით საინტერესო ფორმებს იძლევა ზღვასთან შესართავში. ესაა საყოველთა-ოდ ცნობილი **დელტა** (სახელწოდება მოდის მდ. ნილოსის შესართავში განვითარებული მდინარეული ნალექების ფორმიდან). დელტის გასაჩენად რამდენიმე პირობაა საჭირო: ა) არალრმა ზღვა, ბ) მდინარის მიერ დიდი რაოდენობით შემოტანილი მასალა, გ) ზღვის მოქცევა-უკუქცევისა და ნაპირგასწვრივი დინებების არარსებობა, დ) ზღვის ფსკერის დაძირვის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს მდინარეული აკუმულაციის ტემპს. დელტის ფორმირება იწყება წყალქვეშა (ზღვისქვეშა) გამოტანის კონუსების გაჩენით, რომელიც ზრდის პროცესში თანდათან ამოდის ხმელეთზე. დელტებზე შეიძლება გაჩნდეს ტბები და ჭაობები. დროდადრო დელტა შეიძლება ზღვის წყლითაც დაიფაროს. ამიტომ დელტური ნალექები მრავალფეროვანია შედგენილობით. წამყვანი, მართალია, მდინარეული ალუვიონია, მაგრამ აქ ვხვდებით აგრეთვე ზღვიურ, ტბიურ და ჭაობის ნალექებსაც. ეს ნალექები ერთმანეთს ენაცვლება როგორც პორიზონტულად, ისე ვერტიკალურადაც. წარმოშობის პირობების სპეციფიკურობის გამო დელტური ნალექებისათვის ერთობ დამახასიათებელია ირიბი შრეებრიობა.

დელტები სხვადასხვა ზომისაა. ყველაზე დიდია მდინარეების, ხუნხესა და იანძის (იანძიძიანი) ერთობლივი დელტა, რომლის სიგრძე 1000 კმ-ია, ხოლო სიგანე 300-400 კმ. დაახლოებით იგივე განზომილებები აქვს ბრაჰმაპუტრასა და განგის დელტას, ხოლო მდ. მისისიპის დელტური ნალექების სისქე 600 მ-ს აჭარბებს. მდინარეული დელტები უმეტესად შეიგა ზღვების შესართავებთან წარმოიშობა. თუმცა არის ტბებთან დაკავშირებული დელტები.

მდინარეული ხეობის განვითარება. მდინარის ხეობა, ფაქტობრივად, მხოლოდ საკუთრივ მდინარის მიერ არის შექმნილი. ამიტომ ხეობის ხასიათი ბევრს გვეუბნება თვით მდინარისა და, შესაბამისად, მდინარეული პროცესების განვითარების შესახებ. ეს უკანასკნელი კი გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება, რაც ადეკვატურად აისახება მდინარეული ხეობის ევოლუციაშიც.

მდინარის განვითარების საწყის სტადიაზე, ძლიერ დანაწევრებული რელიეფის პირობებში, ძალზე დიდია მდინარის კალაპოტის დაქანება და, შესაბამისად, წყლის სიჩქარე. ამიტომ ამ ეტაპზე არსებითად მხოლოდ სილრმითი ეროზია მიმდინარეობს. ხეობა კი არ განიერდება, არამედ ღრმავდება, მისი გვერდები (ფერდობები) ძლიერ დაქანებულია, ხოლო თვით ხეობა განივ კვეთში იღებს ლათინური V-ს ფორმას. ამიტომ ასეთ ხეობებს ვესმაგვარს უწოდებენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს არის მდინარის ხეობის მორფოლოგიური ახალგაზრდობის სტადია.

მდინარეული ხეობის განვითარების შემდგომ ეტაპზე სილრმით ეროზიას ცვლის გვერდითი ეროზია. იწყება ხეობის გაგანიერება. მდინარე მონაცვლეობით ინტენსიურად ანგრევს ხან ერთ, ხან მეორე ნაპირს და ასევე მონაცვლეობით მონგრეული ნაპირის საპირისპირ მხარეს ლექავს მასალას. მდინარის ამგვარი მოქმედებით მისი კალაპოტი იკლაკნება. ამგვარი პროცესების გაღრმავება გვაძლევს **მეანდრებს**. ამ დროისათვის მდინარეს უკვე კარგად განვითარებული ჭალა აქვს, ხოლო მისი ხეობის განივი კვეთი განიერი და ბრტყელძირაა. შეიძლება ითქვას, რომ მდინარის ხეობა ამ მომენტში მორფოლოგიური სიმწიფის სტადიაში იმყოფება. მეანდრირებისას მდი-

ნარის კალაპოტში მარყუშები კეთდება (სურ. 8.3). ზოგჯერ წყალუხვობისას მდინარემ შეიძლება მეანდრის ვიწრო ყელი გაგლიჯოს და უფრო მოკლე გზით განაგრძოს დინება. მეანდრი მდინარისაგან მოწყვეტილი რჩება და მას **სტარიცას** (ნარიონალს, ალ. ჯანელიძე, 1972) უწოდებენ.



სურ. 8.3. მეანდრები

ნაოჭა სრუქტურებთან მიმართებაში განარჩევენ **გამკვეთ** და **გასწვრივ** ხეობებს. გამკვეთად იწოდება ხეობა, რომელიც ნაოჭის ღერძის მართობულად ან თითქმის მართობულად (ე.ი. გამკვეთად) არის განვითარებული. გასწვრივი ხეობის შემთხვევაში ამ უკანასკნელის მიმართულება ნაოჭის ღერძის პარალელურია. არჩევენ **ანტიკლინურ, სინკლინურ** და **იზოკლინურ** გასწვრივ ხეობებს.

ხეობის ძალიან საინტერესო ტიპს წარმოადგენს ე.ნ. **ანტიცედენტური** („ანტიცედენს“ –ადრინდელი, ლათ.) ხეობა. მდინარეთა ხეობები, როგორც წესი, უკვე არსებულ რელიეფზე ვითარდება. ანტიცედენტური ხეობა კი გულისხმობს იმას, რომ მდინარის ხეობა არსებობდა რელიეფის დადებითი ფორმის (წაოჭა სტრუქტურის ან სხვ.) წარმოქმნამდე. დადებითი სტრუქტურის ფორმირების პროცესში დედამიწის ქერქის აზევების ტემპი ემთხვეოდა მდინარის სიღრმითი ეროზიის ტემპს. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ მდინარეული ხეობა კვეთს ვეებერთელა მთას ან პლატოს, რაც ჩვეულებრივი ეროზიის პირობებში წარმოუდგენელია.

მდინარეთა ხეობები (ყოველ შემთხვევაში ხეობის დიდი ნაწილი მაინც) შეიძლება რიფტულ (გრაბენულ) ზოლებში განვითარდეს. ასეთია მაგ., მდ. იორდანის ხეობა, მდ. რაინის ხეობა და სხვ.

მდინარეული ტერასების წარმოშობა

მდინარის გეოლოგიური მოქმედება თითქოს მიმართულია რელიეფის მოსწორებისაკენ. ციკლის დასაწყისში სიღრმული, ხოლო ცოტა მოგვიანებით გვერდითი ეროზიის განვითარება იწვევს მაღალი რელიეფის ნგრევას, შედარებით დაბალ ადგილებში კი აკუმულაცია, ე.ი. რელიეფის ამოვსება მიმდინარეობს. საბოლოოდ კი

რელიეფის თანდათან მოსწორება, **პენეპლენიზაცია** („პენეპლენი“ – თითქმის ვაკე, ინგლ.) ხდება (პენეპლენის განვითარებას სხვა გეოდინამიკური პროცესებიც – ფიტ-ვა, გრავიტაციული დენუდაცია და ა.შ. უნივობს ხელს).

პენეპლენიზაცია მართლაც რეალური მოვლენაა. თუმცა მდინარის გეოლოგიური მოქმედება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ის კალაპოტის ნგრევით გამოიმუშავებს წინასწორობის პროფილს და ამით ამთავრებს ეროზიულ მოქმედებას. საქმე ისაა, რომ ეს პროცესი განახლებადია. შეიძლება მოხდეს ისე, რომ მდინარის მიერ წინასწორობის პროფილის გამომუშავების შემდეგ (ან მანამდეც) ეროზიის ბაზისმა ქვევით დაიწიოს, ან მდინარის სათავემ ზევით აიწიოს. ასეთი რამ შეიძლება გამოიწვიოს მიწის ქერქის აწევ-დანევამ ან წყლის ეგსტაზიურმა მოძრაობამ. ასეთ შემთხვევაში სათავესა და ეროზიის ბაზისს შორის სიმაღლეთა სხვაობა და, შესაბამისად, მდინარის კალაპოტის დაქანება გაიზრდება და მდინარე განახლებს (ხელახლა იწყებს) ეროზიულ მოქმედებას, სიღრმითი ეროზიის მეშვეობით ჩატრის კალაპოტს და უფრო დაბალ ჰიდუსომეტრიულ დონეზე აგრძელებს ნგრევას, გადატანას და დალექვას. ძველი კალაპოტის დონეზე კი ზოგ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად მოსწორებული ადგილები რჩება, რომლებიც ზოგჯერ მდინარეული ნალექებით არის დაფარული, ზოგჯერ კი – არა. მდინარის რელიეფის ასეთ ფორმებს **ტერასები** ეწოდება. ტერასა შეიძლება ერთი ან რამდენიმე იყოს. უკანასკნელ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის თავზე, სხვადასხვა ჰიდუსომეტრიულ დონეზე იქნებიან განლაგებული. ადვილად მისახვედრია, რომ ჰიდუსომეტრიულად ყველაზე დაბლა მდებარე ტერასა ასაკობრივად ყველაზე ახალგაზრდა იქნება, ხოლო ყველაზე მაღლა მდებარე – უძველესი.

ტერასების სამი გენეტიკური ტიპი არსებობს: 1) ეროზიული ანუ **სკულპტურული**, 2) **აკუმულაციური** და 3) **ცოკოლური ანუ ეროზიულ-აკუმულაციური** (სურ. 8.4).


ეროზიული ტერასა, ფაქტობრივად, დანალექი ალუვიონის გარეშეა და მთელი ტერასა (ტერასული საფეხურიც და ბექიც) დედამიწის ქერქის ამგები ძირითადი ქანებით არის წარმოდგენილი. მხოლოდ ალაგ-ალაგ (ისიც ტერასულ საფეხურზე) თუ აღინიშნება ალუვიონის არსებობა. ფიქრობენ, რომ ამ ტიპის ტერასების წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს ტექტონიკური მოძრაობით გამოწვეულ აზევებასთან, რომელიც მდინარეული ხეობის განვითარების ადრეულ სტადიას დაემთხვა.

აკუმულაციური ტერასა მთლიანად აგებულია ალუვიური ნალექებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყოველი ტერასის წარმოშბამდე მდინარეული ხეობა გადიოდა განვითარების სრულ ციკლს მძლავრი ალუვიური ნალექების განვითარებით.

ცოკოლური (ეროზიულ-აკუმულაციური) ტერასა, როგორც სახელიდან ჩანს, გარდამავალია პირველ ორს შორის. ამ ტიპის ტერასაში ტერასული საფეხური და ბექის ზედა ნაწილი დაფარულია ალუვიონით, ხოლო ბექის ქვედა ნაწილში (ასევე მდინარის თანამედროვე კალაპოტშიც) შიშვლდება ძირითადი ქანები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უფრო მეტი რაოდენობის ტერასები (7-10, ზოგჯერ მეტიც) მთის მდინარეებს ახასიათებს, სადაც ძირითადად სკულპტურული და ცოკოლური ტიპებია განვითარებული. შედარებით ნაკლები რაოდენობის (3-5)

ტერასები, ისიც უმეტესად აკუმულაციური, ახასიათებს ბარის მდინარეებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ერთი და იმავე მდინარეული ხეობის სხვადასხვა მონაკვეთში შეიძლება ერთი ასაკის სხვადასხვა ტიპის ტერასა იყოს განვითარებული.



სურ. 8.4. მდინარეული ტერასების ტიპები:

- ა – ეროზიული ანუ სკულპტურული, ბ – აკუმულაციური,
გ – ეროზიულ-აკუმულაციური ანუ ცოკოლური.

1 – ალუვიონი, 2 – ძირითადი ქანები

(Короновский, Якушова, 1991)

მდინარეულ ნალექებთან დაკავშირებული წიაღისეული

მდინარეები ეროზიული მოქმედების შედეგად აქტიურად რეცხავენ ქანებს, არცთუ იშვიათად ისეთებს, რომლებიც პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ძვირფას მინერალებს შეიცავენ. ასეთი მინერალებით გამდიდრებული ნარეცხი მასალით იქმნება ალუვიური ქვიშრობული საბადოები, პირველ რიგში, ისეთი მდგრადი მინერალებისა, როგორიცაა: ოქრო, პლატინა, ვოლფრამი, კასიტერიტი, მაგნე-

ტიტი, გრანატები, ალმასი და სხვ. დღეისათვის ოქროს მსოფლიო მოპოვების 25% ქვიშრობებზე მოდის. თანამედროვეს გვერდით არის ძველი, განამარხებული ქვიშრობული საბადოებიც. საუკეთესო მაგალითად ვიტვატერსრანდის (სამხრეთ აფრიკა) ცნობილი საბადოც გამოდგება, რომელიც, ამ ძვირფასი მეტალის მოპოვების თვალსაზრისით, უდიდესია მსოფლიოში.

მოსკოვის ცნობილი მურა ნახშირის საბადოც მდინარეულ (დელტურ) ნალექებთან არის დაკავშირებული. დელტური ნალექები მონაწილეობს აფშერონის ნახევარკუნძულის (აზერბაიჯანი) გაზ-ნავთობშემცველ ქანებშიც და სხვ.


უაღრესად დიდია თვით მდინარის გეოლოგიური მოქმედების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. მდინარის მოქმედების ეროზიული თუ აკუმულაციური ფორმები კარგად მიგვანიშნებს ამა თუ იმ რეგიონის უახლეს ტექტონიკაზე. განამარხებული მდინარეული ნალექების შესწავლა კი ნათელს მოჰყენს მოცემული რეგიონის გეოლოგიური განვითარების ისტორიას.

ასევე დიდია მდინარის პრაქტიკული მნიშვნელობაც.

თავი 9. მყინვარის გეოლოგიური მოქმედება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მყინვარი თოვლისაგან წარმოიშობა. მაგრამ პროცესი თოვლის ყინულად, ხოლო ამ უკანასკნელის მყინვარად გადაქცევისა არც ისე მარტივია. იმისათვის, რომ მყინვარის ყინული მივიღოთ, მარადი თოვლია საჭირო. ეს უკანასკნელი კი ისეთ ადგილებში გვხვდება, სადაც თოვლის მოსვლა სჭარბობს მის დნობას. ასეთი პირობები კი გულისხმობს დაბალ ტემპერატურასა და უხვ ნალექებს (თოვლის სახით). ტერიტორიულად ასეთი ადგილები დაკავშირებულია პოლარულ სარტყელებთან და ნებისმიერ კლიმატურ სარტყელში არსებულ მაღალ მთებთან.

ასეთ ადგილებში მოსული თოვლი დასაწყისში ძალიან ფორიანი და მსუბუქია. შემდგომში მრავალჯერადი გათბობა-გაყინვით ის „გადაკრისტალდება“, მარცვლოვანი გახდება და იქცევა ე.ნ. **ფირნად**. ფირნის შემდგომი გამკვრივებით კი, რა-საც ხელს უწყობს ამ უკანასკნელის თოვლის ახალ-ახალი მასების ქვეშ მოქცევა, მყინვარის ანუ **გლეტჩერის** („გლეტჩერ“ – მყინვარი, გერმ.) ყინული მიიღება (სურ. 9.1). ყინული მოძრაობას დაიწყებს თუ არა, მყინვარიც სახეზეა. მოძრაობის დაწყებას კი ხელს უწყობს ის გარემოება, რომ დიდი დაწოლის ქვეშ მყოფი ყინული პლასტიკური და, შესაბამისად, დენადი ხდება.



სურ. 9.1. თოვლის გარდაქმნა მყინვარის ყინულად


თანამედროვე მყინვარებს ხმელეთის 11% ($16,2 \text{ მლნ. კმ}^2$) უკავია, ხოლო შიგ დაცული ყინულის მასა შეადგენს დაახლოებით 30 მლნ. კმ³-ს. მყინვარები ცნობილია პოლარულ მხარეებში, ცალკეულ მატერიკებზე თუ კუნძულებზე და თითქმის ყველა მაღალმთიან ზონაში (ტროპიკულ სარტყელშიც კი).

თანამედროვეზე უფრო ფართოდ მყინვარები გავრცელებული იყო მეოთხეულ პერიოდში, როდესაც ხმელეთის თითქმის მესამედი ყინულით იყო დაფარული. დიდი მეოთხეული გამყინვარების საერთო ფართობი 45 მლნ. კმ²-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ცოდნა მყინვარების გეოლოგიური მოქმედების შესახებ უმთავრესად სწორედ მეოთხეულ გამყინვარებაზე, უფრო ზუსტად კი მის შედეგებზე დაკვირვებით არის მიღებული. მეცნიერთა აზრით, მეოთხეული გამყინვარება 10 000 წლის წინ (პლეიისტოცენის მიწურულს) დასრულდა. თუმცა მეოთხეული პერიოდი დღესაც გრძელდება და არც ისაა გამორიცხული, რომ ამ გამყინვარების შემდგომი (ახალი) ეტაპი კვლავ განვითარდეს.

მყინვარების ტიპები

ნარმოშობის მიხედვით მყინვარის სამ ტიპს გამოყოფენ: 1) მთის მყინვარები, 2) ზენრული მყინვარები და 3) გარდამავალი(მთისძირის) მყინვარები.

მთის მყინვარებს სხვანაირად ხეობის მყინვარებს (იმავე ალპურს) უწოდებენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგი შეხედულებით, ხეობის მყინვარი კარულ და დაკიდებულ მყინვარებთან ერთად მთის მყინვარის სახეობას წარმოადგენს მხოლოდ. ჩვენ მთისა და ხეობის მყინვარებს ერთმანეთის სინონიმებად მივიჩნევთ.



სურ. 9.2. მთის მყინვარი

მთის მყინვარებისათვის არსებითია ის, რომ ისინი გავრცელებულია მაღალმთან მხარეებში (ალპები, კავკასია, პამირი, ჰიმალაი და სხვ.) და, როგორც წესი, მდინარეულ ხეობებში მოედინებიან. მყინვარი შედგება ორი ნაწილისაგან – 1) კვების არე ანუ ფირნის აუზი, სადაც ხდება თოვლის დაგროვება, შემდეგ ფირნად და მყინვარის ყინულად გადაქცევა. ფირნის აუზი მდებარეობს თოვლის ხაზის (მარადი თოვლის ქვედა საზღვარი) ზევით და უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ტაფობისებურ

დეპრესიას, ციცაბო კლდეებით ცირკისებურად შემოსაზღვრულს სამი მხრიდან. ზოგჯერ მას მყინვარეულ ცირკსაც უწოდებენ. მყინვარის გადინება ხდება ფირნის აუზის თავისუფალი მხრიდან მდინარის ხეობის მიმართულებით; 2) **საკუთრივ მყინვარი ანუ მყინვარის ენა**, რომელიც ფირნის აუზის ქვევით ხეობაში არსებულ ყინულის მასას (სხეულს) წარმოადგენს (სურ. 9.2).

მთის მყინვარის სიგრძე სხვადასხვაა, ზოგჯერ ასეული კილომეტრებიც კი. პამირის მთებში არსებული ფედერიკულს მყინვარის სიგრძე 75 კმ-ია, ყინულის მაქსიმალური სისქე კი 700-800 მეტრი.

ზენტრული მყინვარები ძალიან დიდ ფართობზეა გავრცელებული და ზოგჯერ მთელ კონტინენტებსაც კი მოიცავს (გავიხსენოთ ანტარქტიდა). ამიტომ მათ **მატერიკულს** ან **კონტინენტურსაც უწოდებენ**. მყინვარების ეს ტიპიც ორი ნაწილისაგან შედგება, თუმცა კვების არე აქ ფირნის აუზის სახით კი არა, ყინულით დაფარული ამაღლებული ფართო მოედნის სახითაა წარმოადგენილი. ყინულის გადინება აქ თითქმის ყველა მიმართულებით ხდება, რადიალურია და არა ცალმხრივი, როგორც ეს მთის მყინვარებს ახასიათებთ. კვების არე ცენტრშია და გადინებაც ცენტრიდან პერიფერიებისაკენ ხდება. ყინულის მასის დიდი სისქეებიც სწორედ ცენტრშია (ხშირად ათასობით მეტრები) და თანდათან კლებულობს პერიფერიებისაკენ. ამით განპირობებულია თვით ზენტრული მყინვარის ფარისებური ფორმაც.

თანამედროვე ზენტრული მყინვარების კლასიკური ტიპია ანტარქტიდისა და გრენლანდის მყინვარები.

ანტარქტიდის ყინულოვანი ფარი თითქმის მთელ კონტინენტს მოიცავს. მისი ფართობი 13,2 მლნ. კმ², ყინულის მაქსიმალური სისქე 4 კმ-მდე, ხოლო საშუალო – 2 კმ. ყინულის მასები ოკეანემდე ჩამოდის და ქმნის **შელფურ ყინულს**, რომელთა ნაწილობრივი მსხვრევის შედეგად ოკეანებში აისბერგები (ყინულის მთები) ჩნდება. აისბერგები ყინულის ვეება მთებია, ფართობით 50-100 კმ²-მდე, სიმაღლით (წყლის ზევით) 60 მ-მდე. აისბერგის სიდიდე კარგად რომ წარმოვიდგინოთ, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ წყლის ქვეშ მისი სხეულის დაახლოებით 7/8-ია დაძირული.

ანტარქტიდის ყინულოვანი საფარი მტკნარი წყლის ყველაზე დიდი რეზერვუარია მსოფლიოში.

კუნძულ გრენლანდის 4/5 (თითქმის 2 მლნ. კმ²) ყინულით არის დაფარული. ყინულის ფორმა აქაც ფარისებურია, მაქსიმალური სისქეებით 3500 მ-მდე. მყინვარული ფარის კიდეებზე ხშირად ჩნდება ძირითადი ქანების შვერილები, რომელთაც **ნუნატაკებს** უწოდებენ. ყინულის საფარველი ზღვამდე ვერ აღწევს, ამიტომ შელფური ყინული არა გვაქვს. ზოგჯერ ზენტრული მყინვარი პერიფერიებზე ხეობის მყინვარში გადადის, რომელთა ნაწილი ზღვამდეც აღწევს.

გარდამავალი ტიპის მყინვარები, როგორც სახელწოდებაც მიგვანიშნებს, პირველ ორ დასახელებულ მყინვარს შორის შუალედურს გულისხმობს. მყინვარების ეს ტიპი აიღეს მაღასპინას მყინვარიდან, რომელიც ალასკაზე მდებარეობს. ასეთი ტიპის მყინვარის წარმოშობა ხდება, როდესაც მთის მყინვარები თითქმის ერთმანეთის პარალელურად ხეობებიდან მთისნინა ვაკეზე გამოდიან და იქ ერთი-ანდებიან ზენტრული მყინვარის სახით. აქ თითქმოს სახეზეა ხეობისა და ზენტრული

მყინვარების კომპინაცია (სურ. 9.3). ასეთ მყინვარებს **მთისძირის მყინვარებსაც უწოდებენ**. ზოგი მკვლევარი გარდამავალ ტიპს მიაკუთვნებს აგრეთვე მყინვარების ე.ნ. **სკანდინავიურ ტიპს**, სადაც სურათი მაღასპინას მყინვარის საპირისპიროა თითქოს – ძველი მთების მოსწორებულ, სუსტად დანაწევრებულ წყალგამყოფზე ჩნდება ყინულის საფარი, ზოგჯერ საკმაოდ დიდი ფართობის (ათას კვადრატულ კილომეტრამდე), საიდანაც ყინული გაედინება სხვადასხვა მიმართულებით უკვე ფალკეული ხეობის მყინვარების სახით. სკანდინავიური ტიპის მყინვარები ფართოდ გავრცელებულია ნორვეგიაში (მაგალითად, მყინვარი იუსტედალი) და შუა აზიაში. სკანდინავიური ტიპისაა აგრეთვე ყინულის ქუდებად წოდებული ფორმები, რომლებიც ცნობილია შპიცბერგზე, ისლანდიაში და სხვაგან.



სურ. 9.3. გარდამავალი ტიპის მყინვარი (მყინვარი მაღასპინა)
(Аллісон, Палмер, 1984)

კავკასიონზე დახლოებით 2000 მყინვარია აღრიცხული, რომელთა საერთო ფართობი დახლოებით 1100 km^2 -ია, ხოლო მოცულობა დახლოებით 68 km^3 . საქართველოს ფარგლებში თანამედროვე მყინვარები ძირითადად თავმოყრილია მდინარეების – ენგურის, რიონის, კოდორის და თერგის აუზებში. უდიდესი მყინვარებია მდინარე ენგურის აუზში: ლეხზირი, ტვიბერი, ადიში და სხვ.

მყინვარების გეოლოგიური მოქმედება

მყინვარი მოძრაობისას უმნიშვნელოვანეს გეოლოგიურ მოქმედებას აწარმოებს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მყინვარის მოძრაობა განპირობებულია იმით, რომ მაღალი წნევის ქვეშ მოქცეული ყინული პლასტიკური და დენადი ხდება. ამიტომ ოდნავი დაქანებაც კი საკმარისია, რომ სიმძიმის ძალის გავლენით ყინული ამოძრავდეს.

მყინვარების მოძრაობის სიჩქარე სხვადასხვაა, ისევე როგორც განსხვავებულია ერთი და იმავე მყინვარის მოძრაობის სიჩქარე დროში. საერთოდ კი მყინვარები დღე-ლამეში ერთეული მეტრებით ან კიდევ უფრო ნელა გადაადგილდებიან. თუმცა ცნობილია ფაქტები, როდესაც ეს ციფრები ჰირველ ასეულ მეტრამდე გაზრდილა.


ცნობილია მყინვარების უკან დახევაც, თუმცა ეს „მოძრაობა“, რა თქმა უნდა, მყინვარის უკან სვლას კი არა, ფრონტალურ ნაწილში მის დნობას გულისხმობს. უფრო ზუსტად კი, ეს იქნება **აბლაცია** („აბლაციონ“ – ართმევა, ლათ.) – მყინვარის მასის შემცირება დნობის, აორთქლებისა და მექანიკური ნგრევის შედეგად. მყინვარების უკან დახევის პროცესიც ძალზე ნელია, თუმცა მან შეიძლება წელიწადში ასეულ მეტრებსაც მიაღწიოს.

მყინვარის მოძრაობა განსხვავებულია მის სხვადასხვა ნაწილში. ყველაზე სწრაფად გადაადგილდება მისი შუა ნაწილი, ხოლო ფსკერთან ახლოს და კიდეებზე ხახუნის გამო მოძრაობა უფრო ნელია. დიფერენცირებული მოძრაობის გამო მყინვარში ჩნდება დიაგონალური ნაპრალები. ფსკერის უსწორმასწორობასთან დაკავშირებით, როცა მყინვარი რაიმე ზღურბლზე გადაივლის, ჩნდება განედური ნაპრალები, ხოლო ვიწრო ხეობიდან მყინვარის შედარებით ფართო არეზე გამოსვლისას რადიალურ ნაპრალებს ვიღებთ. ნაპრალებში ცირკულირებს აბლაციის შედეგად ნარმოშობილი ნაკადები, რომლებიც მყინვარის შიგნით თუ ფსკერთან ახლოს ყინულში ხვრელებს აკეთებენ, ცირკულირებენ მყინვარის ზედაპირზე და მის ქვეშაც და მეტად საინტერესო გეოლოგიურ სამუშაოს აწარმოებენ.

მყინვარის გეოლოგიური მოქმედება გამოიხატება **ნგრევაში, გადატანასა და დალექვაში**. მყინვარის დამანგრეველ მოქმედებას ეგზარაცია („ეგზარაციონ“ – გადახვნა; ლათ.) ეწოდება. შეიძლება ამ ტერმინის ნაცვლად მყინვარული ეროზიაც ვიხმაროთ.

მყინვარი მოძრაობისას დიდი ძალით ანგრევს როგორც ფსკერს, ისე გვერდის ქანებს. ამაში მას დიდად უწყობს ხელს ნგრევის შედეგად შეტაცებული ნამსხვრევი მასალა. ეგზარაციის პროცესში ხდება მაგარი ქანების ზედაპირების მოპრიალება, დაკანვრა. საყურადღებოა, რომ ნაკანრები თითქმის ყოველთვის ერთმანეთის პარალელურია და მყინვარის მოძრაობის გასწვრივ არის მიმართული. ამდენად, ისინი მყინვარის მოძრაობის მიმართულების მაჩვენებლებიც არიან.

ეგზარაციის შედეგად ხეობის მყინვარებში ძალიან საინტერესო რელიეფური ფორმები ჩნდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგზარაცია მიმდინარეობს მყინვარის მიერ დაკავებულ მდინარეულ V-სმაგვარი განივევეთის მქონე ხეობაში, რომელსაც მყინვარული ეროზია ლათინური U-სმაგვარ ხეობად აქცევს. ამგვარ მყინვარულ ხეობას **ტროგი** („ტროგ“ – ვარცლი, გობი, ლათ.) ეწოდება (სურ. 9.4). ტროგი ციცაბო ფერდებით და თითქმის ბრტყელი განიერი ფსკერით ხასიათდება. მაგარი და რბილი ქანების მორიგეობის გამო ფსკერზე ხშირად ჩნდება საფეხურები, რომელთაც **რიგელები** ეწოდება. ზედა ნაწილში ციცაბო ფერდებს აგრძელებს შედარებით დამრეცი, ტერასისებური ფერდები, რომლებიც ასევე ეგზარაციის შედეგია და რომელთაც ტროგის მხრები ჰქვია.



სურ. 9.4. მყინვარული ხეობა – ტროგი
(Короновский, Якушова, 1991)

ასევე საინტერესო რელიეფური ფორმები იქმნება ზენტრული მყინვარების ეგზარაციის დროსაც. მყინვარი მოძრაობისას ანგრევს რბილ ქანებს, რომელთა ადგილზე პატარა ქვაბულები რჩება, ხოლო მაგარ ქანებს თავზე გადაუვლის, მოასწორებს, მოაპრიალებს და კანტრავს, რის შედეგადაც ვიღებთ ე.წ. ვერძის შუბლებს. ვერძის შუბლის მყინვარის მოძრაობისაკენ მიმართული მხარე დამრეცია, მოპრიალებული და დაკანტრული, მეორე (წინა) მხარე კი უფრო მკვეთრად დაქანებული, დაუმუშავებელი, ნაკანტრების გარეშე. ვერძის შუბლების ერთობლიობა ქმნის მეტად თავისებურ მყინვარულ ლანდშაფტს – **ხუჭუჭა კლდეებს**. ვერძის შუბლები მთის მყინვარების ხეობებშიც აღინიშნება.

მატერიკული მყინვარული ეროზიის დასამახსოვრებელ ეფექტს იძლევა გამოფიტული მასალის „ამოხვნა“ დიდი უბნებიდან (ათასობით კვადრატული კილომეტრი), რომლის შედეგად გაჩენილ დეპრესიებში ხშირად ტბები ჩნდება.

მასალის ტრანსპორტი და აკუმულაცია. მყინვარის მიერ მონგრეული მასალა მყინვარის მიერვე გადაიტანება მანამ, ვიდრე მისი აკუმულაცია არ მოხდება. გადატანა მიმდინარეობს მყინვარის ზედაპირზეც, შიგნითაც და ფსკერზეც. ეს მასალა მრავალნაირია, თიხის უწვრილესი ნაწილაკებიდან უდიდეს ლოდებამდე, დაუმუშავებელი და დაუხარისხებელია. მყინვარის მიერ გადატანილ და დალექილ ასეთ მასალას **მორენები** ეწოდება. არჩევნენ მორენების რამდენიმე სახეს.

ხეობის მყინვარებს ახასიათებს **კიდის ანუ გვერდის** მორენები, რომლებიც მყინვარს კიდებს გასწვრივ გადააქვს. ამ სახის მორენების მასალა ტროგის ფერდობებზე განვითარებული ფიტვითი, გრავიტაციული თუ ზოგი სხვა პროცესის შედეგად ჩამოდის მყინვარამდე. მყინვარის დონის შემდეგ ის რჩება წაგრძელებული ზვინულების ან ტერასისმაგვარი ფორმების სახით (სურ. 9.5). **შუა მორენი** ჩნდება ორი მეზობელი მყინვარის შეერთებისას მათი გვერდითი მორენების გაერთიანების შედეგად. **შუა მორენებსაც წაგრძელებული ზვინულის სახე აქვს.** **შიგა მორენები** ჩნდება მყინვარის წაპრალებში წამსხვრევი მასალის დაგროვების შედეგად. მყინვარის მიერ ფსკერის ნგრევით ჩნდება **ფსკერის (ფუძის) მორენები**. მყინვარის დაბოლოებაზე, რომელსაც შუბლს ან ფრონტსაც უწოდებენ, **ბოლო (შუბლის) მორენები**

წარმოიქმნება. ბოლო მორენის ფორმირება დაკავშირებულია მყინვარის „დგომასთან“, როცა ყინულის დნობა თანაფარდობაშია (უდრის) მყინვარის დინებით მოტანილ ყინულთან. რელიეფში ეს არის რკალისებურად წინ გაღუნული, ზენტრული გამყინვარების შემთხვევაში სერიგით წაგრძელებული ფორმის სხეული. სიგრძეში შეიძლება ასობით კილომეტრიც იყოს. ბოლო მორენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მყინვარის მოძრაობის ხასიათის დასადგენად.



სურ. 9.5. ორი მყინვარის შეერთება.
კარგად ჩანს კიდისა და შუა მორენები
(Короновский, Якушова, 1991)

ზენტრული მყინვარებისათვის უმეტესად ფსკერის მორენებია დამახასიათებელი. არის აგრეთვე შიგა და ბოლო მორენებიც. სხვა სახის მორენები აქ არ გვხვდება. ფსკერის მორენების გავრცელების ზოლში ჩნდება რელიეფის თავისებური ფორმები, რომელთა შორის დრუმლინები გამოირჩევა. დრუმლინები მყინვარის მოძრაობის მიმართულებით წაგრძელებული, მეტ-ნაკლებად მოსწორებული ბორცვის მსგავსი ფორმებია, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მორენული მასალით არის აგებული. დრუმლინების სიგრძე ასობით მეტრიდან 2-10კმ-მდეა, სიგანე კი 100-200მ-ია, ხოლო სიმაღლე 25-30 მეტრი. დრუმლინები ბევრია ბალტიისპირეთსა და პეტერბურგის მხარეში, რომლებიც მეოთხეული გამყინვარების გავრცელების არეს მიეკუთვნებიან. ფსკერის მორენებში შეიძლება ვნახოთ ქანების ვეება ბლოკები. ზოგჯერ ასეთი ბლოკები გადაიტანება გამყინვარების ცენტრიდან (მაგალითად, სკანდინავია) ასობით კილომეტრზე. ესაა კარგად ცნობილი მოხეტიალე ანუ ერატული ლოდები („ერატიკუს“ – მოხეტიალე, გზააბნეული, ლათ.)

ფლუვიოგლაციალური ნალექები. ზემოთ განხილული ნალექები (მორენები და სხვა) მიეკუთვნება საკუთრივ მყინვარულ ანუ გლაციალურ წარმონაქმნებს („გლაციალის“ – ყინულისა, ლათ.). მათ გვერდით არსებობს ნალექები, რომელთა წარმოშობა მყინვარული წყლით არის განპირობებული. ასეთ ნალექებს ფლუვიოგლაციალური („ფლუვიოს“ – მდინარე, ლათ.) ეწოდება. ფლუვიოგლაციალური ნა-

ლექციის ერთი ნაწილი მყინვარის უშუალო მოქმედების არეში წარმოიშობა. ეს იქნება **ინტრაგლაციალური** ნალექები. მეორე ნაწილი კი მყინვარის ფრონტის წინ, მის გარე ზონაში ჩნდება. ამას **პერიგლაციალური** ნალექები ჰქვია. ამ ორი ტიპის ნალექებს საერთო ის აქვთ, რომ ორივე მათგანში შრეებრიობა ან ფენებრიობა შეიმჩნევა. ერთიცა და მეორეც იძლევა მეტად საინტერესო ფორმებს.

ინტრაგლაციალური ნალექები ცნობილია ოზებისა და კამების სახით.


ოზები მოგვაგონებენ რეინიგზის ლიანდაგის მიწაყრილს, რომლის გამწეობაც ათეული კილომეტრებით იზომება, სიმაღლე და სიგანე კი პირველი ათეული მეტრებით. ოზები ზოგჯერ თითქმის სწორხაზოვანია, ზოგჯერ კი იკლაკნება, „მეანდრიობებს“; აგებულია უმთავრესად ქვიშით, ხვინჭითა და რიყით. ოზები მატერიულ გამყინვარებასთანაა დაკავშირებული. ფიქრობენ, რომ მათი გენეზისი მყინვარულ ნაკადებს უკავშირდება – ნაკადების მიერ გადატანილი მასალა მყინვარის დნობის შემდგა ზედ ედება ფსკერის ძირითად ქანებს ან ფსკერის მორენებს. გავრცელებულია შვედეთსა და ფინეთში. ცნობილია აგრეთვე ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში.

კამები ათიოდე მეტრი სიმაღლის (ზოგჯერ მეტისაც) ციცაბოფერდებიანი ბორცვებია, მეტ-ნაკლებად მოსწორებული თხემით, აგებულია ქვიშით ან უფრო უხეში მასალით, ალაგ კი ფურცელა თიხებით. ახასიათებთ პორიზონტული ან დიაგონალური შრეებრიობა. კამების გენეზისი თითქოს დაკავშირებული უნდა იყოს მყინვარის დნობისას ფორმირებულ ტბებთან, რომლებიც უპირატესად ბოლო მორენის გასწვრივ ჩნდებიან. მყინვარის დნობისას ტბიური მასალა თხემის სახით თავზე ედება ფსკერის მორენებს ან ძირითად ქანებს. კამური რელიეფი გავრცელებულია კარელიაში, ბალტიისპირეთში, დასავლეთ ევროპის ჩრდილო რეგიონებში. როგორც ფიქრობენ, ოზები და კამები მატერიკული მყინვარის დნობისას ჩნდება. მყინვარის წინ წანევის შემთხვევაში, ცხადია, ისინი მოისპობიან. ოზებთან და კამებთან ერთად აღნიშნავთ კამურ ტერასებსაც.

პერიგლაციალური ნალექები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მყინვარის მახლობლად, შუბლის მორენის წინა ზოლში, ჩნდება მყინვარული წყლების მოქმედების შედეგად. მყინვარიდან ბევრი ნაკადული გამოდის, რომელთაც მყინვარისწინა ზოლში დიდაღლი მასალა გამოაქვთ. მასალა გზადაგზა ილექება – მყინვარის ბოლო კიდესთან ახლოს უფრო უხეში, ხოლო მოშორებით უფრო წმინდა. წმინდა მასალა, ძირითადად ქვიშები, მყინვარისწინა კიდეზე საკმაოდ დიდ ფართზე იშლება და ქმნის ქვიშით აგებულ სუსტად დაქანებულ ვაკე ზედაპირებს, რომელთაც **ზანდრები** („ზანდ“ – ქვიშა, გერმ.) ეწოდება. ზანდრები უპირველესად ზენრულ გამყინვარებასთან არის დაკავშირებული, თუმცა ცნობილია აგრეთვე ხეობის მყინვარების გავრცელების ზოლშიც. მათ განსაკუთრებით დიდი ფართობები ეკავათ მეოთხეული გამყინვარების დროს (სურ. 9.6).

პერიგლაციალურ ნალექებს მიეკუთვნება აგრეთვე **ლიმნოგლაციალური** („ლიმნოს“ – ტბა, ბერძნ.) **ნალექებიც**. მყინვარის კიდურა ზოლში, შუბლის მორენების წინ ჩნდება ტბიური დეპრესიები და შემდგომ ტბები მეტად სპეციფიკური ნალექდაგროვებით. აქ სხვადასხვა ზომის მასალას შეხვდებით, თუმცა წამყვანი ე.წ.

ფურცელა თიხებია, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ღია ფერის წმინდა ქვიშებისა და მუქი ფერის თიხების თხელი ფენების რიტმულ მორიგეობას. დადგენილია, რომ ქვიშა-თიხის ერთი რიტმი (ერთი წყვილი) ერთ ასტრონომიულ წელი-წალს შეესაბამება დროში – წმინდა ქვიშის ფენა ილექტბა ზაფხულში, როცა ყინულის დნობა ინტენსიურია და ნალექდაგროვება ძლიერი, თიხები კი – ზამთარში. ამიტომ ფურცელა თიხებს ზოგჯერ თლიურ თიხებსაც უწოდებენ. თლიური თიხების მეშვეობით შეიძლება გამოვიანგარიშოთ მყინვარული ტბის აბსოლუტური ასაკი. უფრო მეტიც, მყინვარის თანდათან უკან დახევისას ტბიური აუზი ფართოვდება (დახევის მიმართულებით). ამას შედეგად ის მოყვება, რომ დახევის მიმართულებით ფენებრივი თიხების რიტმების რაოდენობა თანდათან მცირდება. ეს კი იძლევა საშუალებას, გავიანგარიშოთ მყინვარის უკან დახევის საშუალონლიური ტემპი. ამგვარი გაანგარიშებით დადგენილია, რომ მეოთხეული გამყინვარების დროს შვედეთში მყინვარის უკან დახევის ტემპი შეადგენდა 325 მ/წელს, ხოლო ფინეთში – 260 მ/წელს.



**სურ. 9.6. ზენტრული გამყინვარების გლაციალური
და ფლუვიოგლაციალური ფორმები**
(Короновский, Якушова, 1991)

მეოთხეული და უფრო ძველი გამყინვარებები

ჩვენ ხშირად ვახსენებთ მეოთხეულ გამყინვარებას, რომელიც არცთუ ისე დიდი წნის წინ მოხდა, ხოლო გეოლოგიური თვალსაზრისით ეს სულაც ახალი ამბავია. ის დაახლოებით ერთი მილიონი წლის წინ დაიწყო (შეიძლება უფრო ადრეც) და 10 000 წლის წინ დასრულდა. ამ გამყინვარების გამოცნობა არცთუ ისე ძნელია, რადგანაც, სწორედ მისი სიახალგაზრდავის გამო ჯერ კიდევ კარგად არის შემორჩენილი მყინ-

ვარული რელიეფი და მყინვარული ნალექები (ვერძის შუბლები, ტროგები, მორენები, ერატული ლოდები და ა.შ.). მეოთხეული გამყინვარების მასშტაბები ძალზე შთამ-ბეჭდავია. იმ დროს ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ზენტრული მყინვარები (ცენტრებით სკანდინავიასა და გრენლანდიაში), ისე მთის (ხეობის) მყინვარები. სწორედ ხეობის მყინვარების მასალაზე (შუბლის მორენები) დაკვირვებით დადგინდა, რომ მეოთხეულ პერიოდში ევროპაში სულ ცოტა ოთხი გამყინვარება იყო, მათ შუა გამყინვარებათშორისი (დათბობის) პერიოდებით. ამ ოთხ გამყინვარებას ძველიდან ახლისაკენ ეწოდება: **გიუნცური, მინდელური, რისული და ვიურმული, ხოლო გამყინვარებათშორის ეპოქებს შესაბამისად: გიუნც-მინდელური, მინდელურ-რისული და რისულ-ვიურმული.** ვიურმული გამყინვარების შემდგომი დრო (ჰოლოცენი) მეოთხეული გამყინვარების მომდევნო (ჰოსტგლაციალური) დროა. მაგრამ კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა – ხომ არ არის ეს დრო დიდი მეოთხეული გამყინვარების კიდევ ერთი, ვიურმულის შემდგომი გამყინვარებათშორისი ეპოქა, რომელსაც მეოთხეულის ახალი გამყინვარება შეიძლება მოჰყვეს?

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ მეოთხეული გამყინვარება ერთადერთი როდია დედამიწაზე. დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში დიდ გამყინვარებებს თურმე არაერთხელ ჰქონია აღილი. თვით მეოთხეული გამყინვარება, ფაქტობრივად, ოლიგოცენურ-მეოთხეული გამყინვარების ერთიან ციკლში შედის.

კარგად არის ცნობილი მეოთხეულზე გაცილებით ადრე მომხდარი **კარბონული** დროის გამყინვარება (დაახლ. 335-285 მლნ. წლის წინ), რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავდა იმ დროს სამხრეთ ნახევარსფეროში არსებულ სუპერკონტინენტ გონდვანისს (ანტარქტიდა, ავსტრალია, ინდოსტანი, აფრიკა და სამხრეთ ამერიკა ერთად).

უფრო ძველია **გვიანორდოვიციულ-სილურული** გამყინვარება (460-410 მლნ. წლის წინ), რომელიც მოიცავდა დასავლეთ აფრიკას, ამჟამინდელ საპარის უდაბნოს ტერიტორიას, არგენტინას, ბოლივიას და სხვ. ეს გამყინვარება დაახლოებით 50 მილიონ წელს გრძელდებოდა.

კიდევ უფრო ძველია **გვიანრიფეულ-ადრევენდური** (680-620 მლნ. წლის წინ) გამყინვარება, რომელიც ერთობ მასშტაბური იყო და, ფაქტობრივად, მთელ ევროპასა და ჩრდილო ამერიკას მოიცავდა (კანადა, აშშ, ირლანდია, შოტლანდია, ნორვეგია, ჩრდილო ურალი და სხვ.). ეს გამყინვარებაც ათეული მილიონი წლები გრძელდებოდა, ცხადია, გამყინვარებისა და გამყინვარებათშორისი ეპოქების მონაცვლეობით.

არის მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ თითქოს დიდი გამყინვარება, ფაქტობრივად, უპირველესი დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში, მოხდა ადრეპროტეროზოურში, დაახლოებით 2300-2000 მილიონი წლის წინ (კანადა, ციმბირი, სამხრეთ აფრიკა, ინდოსტანი, აფსტრალია, ჩრდილო ევროპა).

მაინც როგორ გამოვიცნობთ ძველ, გეოლოგიურ წარსულში მომხდარ გამყინვარებებს? მყინვარული რელიეფით, ფაქტობრივად, ვერა, რადგანაც მას შემდეგ

არაერთი ასეული მილიონი წელი გასულა და ძველი მყინვარული რელიეფიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილა. ფაქტობრივად, ერთადერთი საბუთი მყინვარული ნალექებია, რომლებიც, შეიძლება ითქვას, განამარხებული მორენების ანუ **ტილიტების** სახით შემორჩენილა დედამიწის ქერქში. ტილიტები არის გაქვავებული (ლითოფიცირებული), „შეცემენტებული“ მორენები დაუხარისხებელი და დაუმუშავებელი მასალით, მოპრიალებული და დაკანტული დიდი თუ პატარა ნამსხვრევების ჩანართებით, შიგ არცთუ იშვიათად ციფი ჰავის მოყვარული მცენარეული და ცხოველური ნამარხი ორგანიზმებით.

გამყინვარების მიზეზები

მეცნიერებამ დღემდე ზუსტად არ იცის, თუ რა არის გამყინვარების მიზეზი. ამის თაობაზე არაერთი ჰასტებია არსებობს, თუმცა გადამწყვეტი პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს. ერთი კი უნდა ითქვას, რომ გამყინვარებას დედამიწაზე, როგორც ჩანს, ტემპერატურის დანევა იწვევს, ე.ი. გამყინვარების ძირითადი მიზეზი კლიმატია. დედამიწა ის ციური სხეულია, რომელიც გარედან, მზის სითბოთი „იკვებება“. აქედან გამომდინარე, გამყინვარების ნებისმიერი ჰასტებია, ალბათ, ძირითადად, მზის სითბოსთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ერთ-ერთი ასეთი ჰასტების თანახმად, მზის რადიაცია იცვლება (მცირდება) მის ნისლოვანებებში გავლისას, რამაც შეიძლება დედამიწაზე აცივება და გამყინვარება გამოიწვიოს. სხვა მიზეზი შეიძლება იყოს მზესა და დედამიწას შორის მანძილის პერიოდული ცვლა და ა.შ.

შეიძლება სხვა ჰასტებიაც დავასახელოთ, რომელსაც პირობითად „სითბური ეფექტის ჰასტებია“ ვუწოდოთ – ცნობილია, რომ ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორუანგის ფენა მზიდან მოსულ სხივებს ატარებს დედამიწაზე, მაგრამ დედამიწიდან არეკლილ ამ სხივებს კოსმოსში აღარ უშვებს და უკანვე დედამიწაზე აბრუნებს. ამდენად, ატმოსფეროში CO_2 -ის რაოდენობის გაზრდამ დედამიწაზე დათბობა უნდა გამოიწვიოს, შემცირებამ კი აცივება, და ამგვარად, შესაძლოა გამყინვარებაც. ატმოსფეროში CO_2 -ის ზრდას ზოგი ვულკანების აქტივობას უკავშირებს. მაგრამ აქ ერთ წინააღმდეგობას ვაწყდებით – ზოგი მოსაზრებით ვულკანური აქტივობით ატმოსფეროში ასული ვულკანური ფერფლი „აჭუჭყიანებს“ მას, რის გამოც მზის სხივების დიდი რაოდენობა, რომელიც აირეკლება ფერფლის ნაწილაკთა მიერ, ვერ აღწევს დედამიწამდე. გამოდის, რომ ვულკანურმა აქტივობამ დათბობა კი არა, აცივება უნდა გამოიწვიოს.

ერთობ საინტერესოა ჰასტებია, რომელიც გამყინვარებებს მთათა წარმოშობას უკავშირებს. მთების წარმოშობა გულისხმობს კონტინენტის, კერძოდ კი ხმელეთის ზრდას ოკეანის ხარჯზე. ამავე დროს იცვლება ოკეანური დინებებისა და ნოტიო ჰაერის ცირკულაცია. მაღალ მთებში ჩნდება მყინვარები, რაც გარკვეულ გავლენას ბარზეც ახდენს. გამოდის, რომ მთიანი სისტემების შექმნა მკვეთრად ცვლის რე-

ლიეფს, რაც, თავის მხრივ, აცივებას იწვევს და ქმნის გამყინვარების წინაპირობას. სხვათა შორის, ზემოთ ჩამოთვლილი გამყინვარებები დროის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, პირდაპირ კავშირშია ოროგენეტულ (მთათა წარმოშობის) ციკლებთან – ვენდური ბაკალურ ციკლთან, გვიანორდოვიციულ-სილურული – კალედონურთან, ხოლო კარბონული – ჰერცინულთან. ასევე მჭიდრო კავშირია ოლიგოცენურ-მეოთხეულ გამყინვარებასა და ალპურ ოროგენეზისს შორის.

თავი 10. ოკეანების და ზღვების გეოლოგიური მოქმედება

ოკეანებსა და ზღვებს თანამედროვე დედამიწის ზედაპირის თითქმის 71% უკავია. გაცილებით უფრო ფართო იყო მათი გავრცელება გეოლოგიურ წარსულში. თუნდაც ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი უნდა იყოს დღეს და მით უფრო ძველ გეოლოგიურ ეპოქებში ოკეანებისა და ზღვების როლი ჩვენი პლანეტის გეოლოგიურ განვითარებაში. დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია ხომ, ფაქტობრივად, ზღვიური დანალექი ქანებით იკითხება.


უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ოკეანების ფსკერის შესწავლა, რაც განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან და რომელმაც, ფაქტობრივად, დასაბამი მისცა გეოლოგიურ მეცნიერებაში დღეისათვის ერთადერთი თეორიის – „ფილების ტექტონიკის“ შექმნას.

ოკეანების ფსკერის შესწავლამ, პირველ რიგში, გვიჩვენა ის, რომ ეს ფსკერი ერთგვაროვანი კი არ არის, როგორც ადრე ეგონათ, არამედ ძალზე მრავალნაირია და, შესაბამისად, საკმაოდ რთული მორფოლოგიით ხასიათდება. ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ოკეანით (წყლით) დაფარულია დედამიწის კონტინენტური ქერქის (კონტინენტის) ერთი ნაწილი და მთელი ოკეანური ქერქი. საზღვარი კონტინენტსა და ოკეანეს შორის (კონტინენტურ და ოკეანურ ქერქს შორის) ოკეანის ფსკერზე გადის. მაგრამ სად? ამ კითხვაზე პასუხს მოგვიანებით გავცემთ. ჯერჯერობით კი განვიხილოთ ოკეანის ფსკერის მორფოლოგიური ერთეულები.

10.1. ოკეანის ფსკერის რელიეფის ფორმები

ოკეანის ფსკერზე გამოიყოფა შემდეგი ფორმები: **შელფი, კონტინენტური ბექობი, განაპირა ზღვის ქვაბულები, კუნძულთა რკალები, ოკეანური ლრმულები (ლრმაობები), აბისალური ვაკეები და შუაოკეანური ქედები** (სურ. 10.1).

შელფი წარმოადგენს ხმელეთის უშუალო გაგრძელებას ოკეანები (ზღვაში). ის, ფაქტობრივად, სუსტად დაქანებული (1° -ის ფარგლებში) ვაკეა, რომლის სიგანეც ათეული კილომეტრებიდან 1000-1500 კმ-მდე მერყეობს. იგი დაფარულია თხელი (მარჩხი) ზღვით, რომლის სიღრმე 0-დან 200მ-მდეა (ზოგჯერ შეიძლება 300-500 მ-მდეც). შელფზე მდებარე ზღვებს (ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ზღვები და სხვ.) ეპიკონტინენტური ენოდება. შელფი ძალიან მგრძნობიარეა ტექტონიკური მოძრაობებისადმი. ამიტომ შელფურ (ეპიკონტინენტურ) ზღვებში წარმოშობილი ქანების შესწავლა ბევრ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის გეოლოგიურ წარსულში ამ მოძრაობათა შესახებ.



სურ. 10.1. ოკეანის ფსკერის განზოგადებული პროფილი
(Короновский, Якушова, 1991)

კონტინენტური ბექობი შელფისაგან გამოყოფილია შელფის კიდით, რომლის ქვევითაც დაქანება მკვეთრად იზრდება (ჩვეულებრივ, 3-7°, ზოგჯერ 10-17°, იშვიათად 20-30-მდეც). კონტინენტური ბექობი მდებარეობს სიღრმეში 200 მ-დან 3000 მ-მდე, არ არის განიერი (15-30 კმ), ზოგჯერ საფეხურისებური რელიეფით ხასიათდება. კონტინენტური ბექობის ყველაზე დამახასიათებელი მორფოლოგიური ელემენტი წყალქვეშა კანიონებია. ეს არის ღრმა (1200 მ-მდე) V-სმაგვარი ხეობის მსგავსი დეპრესიები, რომელთა წარმოშობა, როგორც ფიქრობენ, სიმღვრივის ნაკადებთან უნდა იყოს დაკავშირებული. წყალქვეშ მომხდარი მინისძვრის შედეგად შელფის კიდიდან დაიძვრება წყლის და მასში ატივტივებული წმინდამარცვლოვანი მასის ნარევი (სიმღვრივის ანუ ტურბიდიტული ნაკადი), რომელიც სიმძიმის ძალით მიექანება ბექობზე და გზადაგზა აწარმოებს ძლიერ ეროზიულ მოქმედებას. შედეგად ჩნდება წყალქვეშა კანიონი, რომელიც, როგორც წესი, შელფის კიდიდან იწყება და მთელი კონტინენტური ბექობის გავლით მის ძირამდე ვრცელდება. წყალქვეშა კანიონები შელფზეც გვხვდება. მათი გენეზისი მდინარეულ ეროზიასთან არის დაკავშირებული.

კონტინენტური ბექობის ძირი წარმოადგენს დამრეც ვაკეს, სუსტად ტალღოვანი რელიეფით, რომელიც მდებარეობს 2500-3000 მეტრ სიღრმეზე ზღვის ზედაპირიდან. მას გარდამავალი ადგილი უკავია კონტინენტურ ბექობსა და საკუთრივ ოკეანის ფსკერს (აბისალური ვაკე) შორის. ძირითადად აგებულია სიმღვრივის ნაკადების (ტურბიდიტები) ნალექებით. არის აგრეთვე წყალქვეშა მეწყერების შედეგად წარმოშობილი ნალექებიც. ნალექთა სიმძლავრეები ზოგჯერ კილომეტრებით იზომება. კონტინენტური ბექობის ძირი ყველგან არ გვხვდება, განვითარებულია მხოლოდ კონტინენტის პასიურ კიდეზე.


შელფი, კონტინენტური ბექობი და მისი ძირი ერთად შეადგენენ კონტინენტის წყალქვეშა (ზღვისქვეშა) ნაწილს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში უშუალოდ აგრძელებს საკუთრივ ოკეანური ფსკერი. ეს უკანასკნელი ზღვის დონიდან 3-6 კმ-ის სიღრმეზე მდებარეობს და მხოლოდ ოკეანური ქერქისაგან შედგება. მასში ორი მთავარი მორფოლოგიური ერთეული გამოიყოფა: აბისალური ვაკეები და შუაოკეანური ქედები.

აბისალური ვაკეები. ეს არის ოკეანის ფსკერის ყველაზე მოსწორებული უბნები, თუმცა ასეთი გამოთქმა რამდენადმე პირობითია, რადგანაც მათი რელიეფი საკმაოდ დანაწევრებულია. მის ფარგლებში გამოიყოფა ქვაბულები (5-6 კმ სიღრმეზე), ქედები, ვულკანური ნაგებობები (მაგ., ჰავაის კუნძულები) და ა.შ. აქვეა გაიოტები – ბრტყელთხემიანი ვულკანური კონუსები, რომელთა წვერები, როგორც ფიქრობენ, ზღვიური აბრაზიით არის გადარეცხილი. ზოგი გაიოტის სიგანე 65 კმ-მდეა, სიგრძე 280 კმ-მდე. გაიოტები მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის დედამინის ქერქის მოძრაობის შესახებ – დღეს მათი თხემები 1000 მ-დან 2000 მ-მდე სიღრმეზე მდებარეობს. ზოგიერთი მათგანის ზედაპირზე ნაპოვნია ტალღებით დამუშავებული რიყნარი და, რაც უფრო საყურადღებოა, თხელი (მარჩხი) ზღვის მოყვარული მარჯვენა და მოლუსკების ნამარხი წარმომადგენლები. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გაიოტების წარმოშობის შემდეგ ოკეანის ფსკერი მნიშვნელოვნად დაძირულა. უფრო მეტიც, მოპოვებული ნამარხი ორგანიზმების დიდი ნაწილი მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ორგანიზმები ცხოვრობდნენ ეკვატორთან ახლო მდებარე ზღვებში. დღეს კი გაიოტები ამ ზონიდან საკმაოდ მოშორებითაა. აქ უკვე თითქოს აშკარაა ოკეანის ფსკერის ჰორიზონტული გადაადგილებაც, რაც ძალიან კარგად აიხსნება ლითოსფერული ფილების ტექტონიკური მოძრაობით. ოკეანის ფსკერის დაძირვის (ვერტიკალური გადაადგილების) კარგი მაჩვენებელია აგრეთვე ატოლების არსებობაც.

შუაოკეანური ქედები ოკეანის ფსკერის მნიშვნელოვანი ერთეულია. მორფოლოგიურად ისინი ნამდვილ მთათა სისტემებს ჰგვანან, თუმცა აბსოლუტურად განსხვავდებიან მათგან როგორც გენეზისით, ისე აგებულებით (სურ. 10.2).

შუაოკეანური ქედები ყველა ოკეანეშია ცნობილი. ისინი თითქოს ქმნიან ერთიან სისტემას, რომლის საერთო სიგრძე 60 ათასი კილომეტრია. ყველაზე კარგად შესწავლილია შუატლანტური ქედი, რომელიც ლათინური S-ისმაგვარი მოხაზულობისაა და მერიდიონალურად არის გადაჭიმული დაახლოებით 11 ათას კმ-ზე. სიგანე არაერთი ასეული კილომეტრია, ხოლო სამუალო სიმაღლე 2000მ-მდე. ქედის გასწვრივ მის ცენტრალურ ნაწილში მთელ სიგრძეზე გაიდევნება გრაბენისებური რიფტული დეპრესია, რომლის სიღრმე რამდენიმე კილომეტრია, ხოლო სიგანე 25-50 კმ. რიფტი ცნობილია ინდოეთის შუაოკეანურ ქედზეც. შუაოკეანური ქედები გაკვეთილია განედური ე.ნ. **ტრანსფორმული რღვევებით**, რომლებიც ქედს ცალკეულ ბლოკებად ყოფენ.

შუაოკეანური ქედების ზოლი გამოირჩევა საკმაოდ ინტენსიური მიწისძვრებითა და ვულკანიზმით, აგრეთვე დედამინის შიგნეთიდან ზედაპირისაკენ მომდინარე მაღალი სითბური ნაკადებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქედების ზოლში მიწის ქერქის სისქე თითქმის ნულამდეა დასული.



სურ. 10.2. შუაოკეანური ქედების სისტემა:
ა – წყნაროკეანური, ბ – ატლანტური, გ – ინდოეთის

შუაოკეანური ქედების გენეზისი ნაპრალურ ვულკანიზმთან არის დაკავშირებული.

ოკეანური ღრმულები(ღრმაობები) შუაოკეანური ქედების საპირისპირო, უარყოფითი სტრუქტურებია. ისინი განვითარებულია ოკეანის და კონტინენტის კიდეზე. ესაა დიდი სიღრმის გრაბენისებური დეპრესია, რომელიც დაახლოებით 6000-7000 მ სიღრმეზე იწყება და 11000 მ-მდე ვრცელდება (მაქსიმალურია 11034 მ); შედარებით ვიწროა (100-150 კმ სიგანის) ასიმეტრიული-კონტინენტისკენა ციცაბო ($10-15^{\circ}$) და ოკეანისკენა დამრეცი ($2-3^{\circ}$) ფერდობებით. აღსანიშნავია ის, რომ ოკეანისკენა ფერდობი ოკეანური ქერქითაა აგებული, ხოლო კონტინენტისკენა – კონტინენტური და სუბკონტინენტურით. ეს გარემოებაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოკეანური ღრმულები (ღრმაობები) კონტინენტისა და ოკეანის საზღვარზეა. ისიც საინტერესოა, რომ ოკეანური ღრმულები ყველგან არ გვხვდება. ისინი ძირითადად წყნარი ოკეანისა და ნაწილობრივ ინდოეთის ოკეანისთვისაა დამახასიათებელი.

იმ ზოლს, სადაც გადასვლა კონტინენტსა და ოკეანეს შორის ოკეანური ღრმულების მეშვეობით ხდება, კონტინენტის აქტიურ კიდეს უნიდებენ. კონტინენტის აქტიური კიდის ორი ტიპი არსებობს: **დასავლეთწყნაროკეანური** და **აღმოსავლეთწყნაროკეანური** ანუ **ანდური**. დასავლეთწყნაროკეანურ ტიპში ოკეანურ ღრმულს კონტინენტის მხრიდან უშუალოდ ჯერ კუნძულთა რკალი ესაზღვრება, შემდეგ განაპირა ზღვის ქვაბული და ბოლოს თვით კონტინენტი (მაგალითად, სახალინი – წყნარი ოკეანე – კურილია-კამჩატკის ღრმული, კურილის კუნძულთა

რკალი – ოხოტის ზღვის ქვაბული – სახალინი). ალმოსავლეთწყნაროკეანურ ტიპში კუნძულთა რკალები და განაპირა ზღვის ქვაბულები არ არის და ოკეანური ღრმული უშუალო კონტაქტშია კონტინენტთან (მაგალითად, წყნარი ოკეანე – პერუ-ჩილეს ოკეანური ღრმული – ანდების ახალგაზრდა ნაოჭა მთები).

სადაც ოკეანური ღრმულები არა გვაქვს, კონტინენტის გადასვლა ოკეანეში უშუალოა და შემდეგი სახე აქვს – კონტინენტური ბექობი – კონტინენტური ბექობის ძირი – ოკეანის ფსკერი (აბისალური ვაკე). ასეთს კონტინენტის პასიურ კიდეს უწოდებენ. რამდენადაც ასეთი სურათი, ფაქტობრივად, მთელი ატლანტის ოკეანისათვის არის დამახასიათებელი, მას სხვაგვარად ატლანტური ტიპი ჰქვია. აქტიური კიდეები გამოირჩევა ინტენსიური მიწისძვრებით, ვულკანიზმით, ლითოსფერული ფილების ურთიერთშეჯახებით, რომლის მსგავსიც არაფერი გვაქვს პასიურ კიდეებზე.

კონტინენტების აქტიური (განსაკუთრებით) და პასიური კიდეების არსებობა ძალიან ბევრს გვეუბნება დედამინის ქერქის მოძრაობისა და მთების წარმოშობის შესახებ. ამიტომ მათ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

კუნძულთა რკალები ზღვიდან კუნძულების სახით ამოზიდული მთათა სისტემებია. ისინი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე (კომანდორ-ალეუტის, კურილის, იაპონიის და სხვ.); ცნობილია აგრეთვე ინდოეთის (ზონდის კუნძულთა რკალი) და ატლანტის (ანტილიისა და სამხრეთ ანტილიის) ოკეანეებში.

კანაპირა ზღვების ქვაბულები უმეტესად ასევე დასავლეთწყნაროკეანურ ტიპს უკავშირდებიან (ბერინგის, ოხოტის, იაპონიის ზღვების ქვაბულები და სხვ.). ამ ქვაბულებისათვის ფორმის გარდა, რაზეც თვით სახელწოდებაც მიგვანიშნებს, დამახასიათებელია დიდი სიღრმეები (3-5 კმ), რითაც ისინი ემსგავსებიან შიგაკონტინენტური ზღვების (ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა და ა.შ.) დეპრესიებს და, პირიქით, მკვეთრად განსხვავდებიან ეპიკონტინენტური ზღვების (ბარენცის, კარის, თეთრი და სხვ.) დეპრესიებისაგან.

რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვას კონტინენტსა და ოკეანეს შორის საზღვრის თაობაზე, მასზე ერთნიშნა პასუხის გაცემა არცთუ იოლია. სავარაუდოდ, ეს საზღვარი კონტინენტის პასიური კიდის არსებობის შემთხვევაში კონტინენტურ ბექობსა და ოკეანის ფსკერს (აბისალურ ვაკეს) შორის გაივლის, ხოლო კონტინენტის აქტიური კიდის შემთხვევაში – ოკეანურ ღრმულებზე (ღრმაობებზე).

10.2. ოკეანის (ზღვის) ცენტრი

ოკეანის, როგორც გეოლოგიური აგენტის, ნორმალური ფუნქციონირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა წყლის მარილიანობა, ტემპერატურა, გაზური რეჟიმი, წყლის მოძრაობა და სიცოცხლე ოკეანეში.

წყლის **მარილიანობა** ნიშნავს მასში გახსნილი მარილების რაოდენობას, რომელიც პრომილეებში იზომება (პრომილე არის რაღაც ნაწილი ათასიდან, ისევე, რო-

გორც პროცენტი ნაწილი ასიდან). ოკეანის, განაპირა და ეპიკონტინენტური ზღვების საშუალო მარილიანობა შეადგენს 35 %^{/00} (პრომილეს), რაც იმას ნიშნავს, რომ 1000 გრ (1 ლიტრ) წყალში 35 გრ მარილია გახსნილი. პროცენტებში ეს 3,5 % იქნება. ეს დაახლოებით 100 მეტრი სიღრმიდან აღებული წყლის მონაცემებია. ზედაპირზე წყალი რამდენადმე გამტკნარებულია ატმოსფერული ნალექების, მტკნარი მდინარეული წყლის შერევის თუ სხვა მიზეზთა გამო. შიგა კონტინენტურ ზღვებში მარილიანობა, როგორც წესი, ანორმულია, საშუალო ოკეანურზე მაღალი ან დაბალი. მაგალითად, შავ ზღვაში (ზედაპირზე) ის 18⁰/₀₀-ია, წითელ ზღვაში -41-43⁰/₀₀, ყარა-ბოლაზ-გოლში (კასპიის ზღვის უბე) - 200-300⁰/₀₀.

ოკეანის (ზღვის) წყალი მდიდარია **გაზებით**, რომელთაგან არსებითი მნიშვნელობა აქვს უანგბადსა და ნახშირორჟანგს. უანგბადი ზღვაში შედის ატმოსფეროდან; მიიღება აგრეთვე წყალმცენარეების ფოტოსინთეზის შედეგად. გარკვეული რაოდენობით უანგბადი ეკვატორული ზოლისაკენ შეაქვს პოლუსებიდან სიღრმეში გადაადგილებულ ცივ წყლებს.

ნახშირორჟანგი შედის ატმოსფეროდან, გამოიყოფა მცენარეების სუნთქვის დროს, წყალში ორგანული ნივთიერებების ხრწნისას, წყალქვეშა ვულკანური ამოფრქვევების დროს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნახშირორჟანგი კარგად იხსნება ცივ წყალში, ამიტომ ის დიდი რაოდენობითაა პოლარულ წყლებში და ნებისმიერ განედზე არსებული ზღვების ფსკერისპირა წყლებში.

ოკეანის (ზღვის) წყალში კარგად არის გამოხატული **ტემპერატურული ზონალობა** – ტემპერატურა უმაღლესია ეკვატორული წყლების ზედაპირზე და კლებულობს როგორც პოლუსებისაკენ, ისე სიღრმეში. ეკვატორულ და ტროპიკულ სარტყელებში ის შეადგენს + 36-28⁰-ს ზედაპირზე და +2⁰-ს ფსკერზე, ხოლო მაღალ განედებში 0 - -2⁰-ს ზედაპირზე და -2⁰-ს ფსკერზე.

10.3. სიცოცხლე რკეანები (ზღვაში)

ოკეანებსა და ზღვებში ერთობ მრავალფეროვანი სიცოცხლეა. სიცოცხლის ეს მრავალფეროვნება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, განსაკუთრებით კი წყლის ტემპერატურასა და მარილიანობაზე. ზოგადად უფრო მრავალფეროვანია სიცოცხლე ნორმულმარილიან (საშუალომარილიან) თბილ წყლებში.


ცხოვრების ნირის მიხედვით ზღვიურ ორგანიზმებში სამი დიდი ჯგუფი გამოიყოფა: **ნექტონი, პლანქტონი და ბენთოსი. ნექტონი** („ნეკტონ“ – მცურავი, ბერძნ.) გულისხმობს წყალში სხვადასხვა სიღრმეზე აქტიურად მოძრავ (მცურავ) ორგანიზმებს (თევზები, ვეშაპები, თავფეხიანები და სხვ.). **პლანქტონი** („პლანქტონ“ – მოხეტიალე, ბერძნ.) ასევე წყლის მასაში (განსაკუთრებით ზედაპირთან ახლო წყლებში) მცხოვრები, პასიურად მოძრავი, მოტივტივე ორგანიზმებია. განარჩევენ მცენარეულ (ფიტოპლანქტონი) და ცხოველურ (ზოოპლანქტონი) პლანქტონურ ორგანიზმებს. ფიტოპლანქტონიდან შეიძლება დავასახელოთ **დიატომები** – კაუის სკელეტის მქონე ერთუჯრედიანი წყალმცენარეები, რომლებიც განსაკუთრებით

კარგად ხარობენ შედარებით ცივ წყლებში, ან კიდევ ერთუჯრედიანი, კირქვის სკელ-ეტიანი მიკროსკოპული ზომის წყალმცენარეები – კოკოლითოფორიდები, რომლებიც დიატომებისაგან განსხვავებით საცხოვრებლად თბილ ზღვებს ამჯობინებენ. ზომპლანქტონს მიეკუთვნება ერთუჯრედიანი, კირქვის სკელეტიანი პლანქტონური ფორამინიფერები – ასევე თბილი წყლის მოყვარული, და რადიოლარიები – კაჟის სკელეტიანი, ერთუჯრედიანი, ძირითადად ეკვატორულ ზღვებში მცხოვრები ცხოველები. ზომპლანქტონს წარმოადგენს აგრეთვე ერთობ პოპულარული მედუზა.

რაც შეეხება **ბენთოსურ** („ბენთოს“ – სიღრმე, ბერძნ.) ორგანიზმებს, ისინი ცხოვობენ არა წყლის მასაში, არამედ ოკეანის (ზღვის) ფსკერზე – ფსკერის ზედა-პირზე ან შლამიან გრუნტში ჩაფლული თუ კლდოვან გრუნტში „ჩამჯდარი“. ბენთოსურ ორგანიზმებს შორის განარჩევენ მიმაგრებულ (მარჯნები, კირქვიანი წყალმცენარეები, ხავსცხოველები და სხვ.) და მოარულ (ზღვის ზღაპრები, ზღვის ვარსკვლავები, მოლუსკები, ბრაქიოპოდები და ა.შ.) ფორმებს.

ზღვის ორგანიზმებში გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ადვილად იტანენ ცხოვობის პირობების (მარილიანობა, ტემპერატურა, სიღრმე და სხვ.) ცვალებადობას, და ჯგუფები, რომლებიც ასეთ ცვალებადობას ვერ იტანენ. პირველს ევრიბიონტური, ხოლო მეორეს სტენობიონტური ენოდებათ („ეურუს“ – ფართო, „სტენო“ ვიწრო, „ბიოს“, „ბიონტოს“ – სიცოცხლე, ბერძნ.).

სიცოცხლეში ზღვიური ორგანიზმები, ფაქტობრივად, ოკეანის მთელ აკვატორიას იკავებენ სანაპირო ზოლიდან დიდ სიღრმეებამდე და წყლის ზედაპირიდან ფსკერამდე. შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს ზღვის სხვადასხვა ზონები. ამგვარი ზონალური დანაწილების განსხვავებული ვარიანტები არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი მოცემულია სურათზე (სურ. 10.3).



სურ. 10.3. ზღვის ფსკერისა და ზღვიური აკვატორიის ზონალური დანაწილება
(Константинов А.С., 1986 მცირედი ცვლილებებით)

კონტინენტურ შელფზე ფსკერს შეესაბამება ორი ზონა: **ლიტორალური** („ლიტორალის“ – ნაპირი, ლათ.) ანუ სანაპირო, რომელიც მოიცავს ზვირთცემისა და მოქცევა-უკუქცევის ზოლს, და **სუბლიტორალური**, რომელიც ლიტოლარული-დან შელფის კიდემდე გრძელდება. კონტინენტური ბექობის ფარგლებში ფსკერს შეესაბამება **ბათიალური ზონა**. ოკეანის ფსკერზე, აბისალური ვაკეების ფარგლებში გვექნება **აბისალური ზონა**, ხოლო ოკეანური ღრმულების ფსკერზე – **ულტრა-აბისალური**. რაც შეეხება წყლის მასას, ის ლიტორალური და სუბლიტორალური ზონების თავზე ქმნის **ნერიტულ ზონას** (სახელწოდება ზღვის მოლუსკ Nerita-დან მოდის. სილრმე 0-200მ). ნერიტული ზონის გარეთ მდებარეობს **პელაგია** („პელა-გოს“ – ზღვა; ბერძნ.) ანუ გაშლილი ზღვის ზონა, სილრმეების მიხედვით შესაბამისი სახელწოდებით: **ეპიპელაგური** (სილრმე 0-200მ), **ბათიპელაგური** (200-3000მ), **აბისოპელაგური** (3000-6000მ) და **ულტრააბისოპელაგური** (>6000მ-ზე). ზღვის სათანადო ზონაში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებსაც შესატყვისი სახელი აქვთ, მაგალითად, ნერიტული, ბათიალური, ბათიპელაგური ფორმები და ა.შ. რამდენადაც ნალექდაგროვება მხოლოდ ფსკერზე ხდება, ამ თვალსაზრისით გვექნება ლიტორალური, სუბლიტორალური, ბათიალური, აბისალური და ულტრააბისალური ნალექები.

სიცოცხლე განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია სუბლიტორალურ და ნერიტულ ზონებში. სხვაგან ეს მრავალფეროვნება კლებულობს ცხოვრების პირობების გაუარესების გამო. ეს განსაკუთრებით დიდ სილმეებზე შეიმჩნევა, სადაც, ფაქტობრივად, უსინათლო გარემოა ჟანგბადის დეფიციტსა და დაბალ ტემპერატურასთან ერთად. გამონაკლისია დიდ სილმეებზე (2000-3000მ) რიფტულ (რღვევის) ზოლებში არსებული ფსკერის მონაკვეთები, სადაც რიფტებიდან გამომავალი მაღალტემპერატურული (200-300°C) თერმების გავლენით მრავალფეროვანი ფაუნა ბინადრობს (მოლუსკები, კიბოები, აქტინიები, ღრუბლები და სხვ.).

10.4. რკეანის (ზღვის) დინამიკა და გეოლოგიური მოქმედება

ზღვის წყლის დინამიკის რამდენიმე სახე არსებობს. ესენია: **ზვირთცემა, მოქცევა-უკუქცევა, ატმოსფერული ნალექების მოდენის აორთქლებასთან თანაფარდობით გამოწვეული მოძრაობა, ზედაპირული და სილრმული დინებები, ცუნამი**. ამათგან გეოლოგიური პროცესების წარმართვის თვალსაზრისით წამყვანი ტალღების (ზვირთცემა) მოქმედებაა.

ზღვა, მსგავსად მდინარის, მყინვარისა და ა.შ., ასრულებს სამგვარ მოქმედებას – ნგრევას, გადატანასა და დალექვას.

ზღვის დამანგრეველ მოქმედებას **აბრაზია** („აბრაზიო“ – მოფხეკა, ჩამოფხეკა, ლათ.) ეწოდება. აბრაზია უმთავრესად ტალღების მეშვეობით მიმდინარეობს. ტალღების სისწრაფე, რასაც აბრაზიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვადასხვაა, შეიძლება სთ-ში 100 კმ-იც კი. ძალზე ძლიერია ტალღის დარტყმის ძალაც. მაგალითად, შოტლანდიის ერთ-ერთ ქალაქში ტალღას მოუგლეჯია ბეტონის ბლოკი, რომელიც

2350 ტონას იწონიდა. იმავე შოტლანდიაში შტორმის დროს ტალღამ ატაცებული ლოდებით შუქურის ფანჯრები ჩაამტვრია, რომელიც 100 მ სიმაღლეზე იყო. შერბურში (საფრანგეთი) 3მ-იანი, წონით 3.2 ტონა ლოდი ტალღამ 6მ-იანი სიმაღლის კედელს იქით გადააგდო.



სურ. 10.4. ტალღათცემის შედეგად წარმოშობილი ნიშა

აბრაზიის ეფექტურობა პირდაპირ კავშირშია ზვირთების სიძლიერესა და სანაპირო ზოლის ამგები ქანების სიმაგრესთან. არსებითი მნიშვნელობა აქვს ტალღების მიმართულებას. აბრაზიის ეფექტი ძალზე დიდია ნაპირისადმი მართობი ან თითქმის მართობი ტალღების შემთხვევაში და თითქმის ნულამდე დადის ირიბი ტალღების შემთხვევაში, როდესაც არსებითად მონგრეული მასალის გადატანა და დალექვა ხდება.



სურ. 10.5. კლიფი (სანაპირო ბექი)

აბრაზიის ტემპი წელიწადში ათეული სმ-დან ერთეულ მ-მდე განისაზღვრება. ტალღები ადვილად ანგრევს რბილ და ნაპრალოვანი ქანებით აგებულ ნაპირს. ნერევის პროცესში ტალღათცემის უბანზე ქანებში ხშირად ჩნდება ნიშა, რომელიც თანდათან ფართოვდება (სურ. 10.4). ბოლოს კი ნიშის თავზე მდებარე საყრდენგამოცლილი ქანები სიმძიმის ძალით ჩამოინგრევა, ნაპირი კი უკან იხევს. მაგარი ქანებით აგებული ციცაბო ნაპირის შემთხვევაში ამგვარი პროცესით კლიფი წარმოიქმნება (სურ. 10.5). ნაპირის უკან დახევისას წინ ჩნდება ზღვისკენ ოდნავ დაქანებული, მეტ-ნაკლებად მოსწორებული უბანი, რომელსაც აბრაზიული ტერასა ჰქვია. ის თითქმის ყოველთვის წყლით არის დაფარული. აბრაზიული ტერასის გაგრძელებაზე (ზღვაში) მონგრეული მასალის დალექვით შეიძლება გაჩნდეს აკუმულაციური ტერასა. აბრაზიული ტერასების წარმოშობა თანდათანობით ხდება. ასევე თანდათან მცირდება ტალღების აბრაზიული ძალაც, მათი უკვე მოსწორებულ ზედაპირზე „ასრალების“ გამო. ბოლოს, აბრაზიული ტერასის სრული ჩამოყალიბების შემდეგ, აბრაზია შეწყდება კიდეც. ამბობენ, რომ ზღვამ ამ დროისთვის (მსგავსად მდინარისა) უკვე გამოიმუშავა წონასწორობის პროფილი. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აბრაზია საერთოდ დამთავრდა. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ზღვის დონემ დაინიოს, ან ხმელეთმა აინიოს, რაც ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს. მაშინ მოსწორებული, ტერასული ზედაპირი მოხვდება ზვირთცემის არის ზევით, ხოლო მის ქვევით კვლავ განახლდება აბრაზიული მოქმედება, რომელიც ახალი ტერასის წარმოქმნით დაგვირგვინდება. ასე ჩნდება ზღვიური ტერასები. გასაგებია, რომ ჰითსომეტრიულად ყველაზე მაღლა მდებარე ტერასა ასაკით ყველაზე ძველი იქნება, ხოლო ყველაზე დაბლა მდებარე – ყველაზე ახალგაზრდა (ასევე იყო მდინარის ეროზიული მოქმედების დროსაც). თუ ზღვის დონემ, პირიქით, ზევით აინია, ან ხმელეთმა ქვევით დაინია, მაშინ აბრაზიული ტერასა წყალქვეშ მოხვდება, ხოლო ტალღათცემის ზოლში აბრაზია განახლდება ახალი ტერასის განვითარებით.

გადატანა და დალექვა. ტალღები კი არ ანგრევს მხოლოდ, არამედ გადააქვს კიდეც მონგრეული მასალა. მართობი ტალღების შემთხვევაში მასალა ჯერ აიტანება ნაპირისაკენ, შემდეგ კი ზღვისკენ ბრუნდება. პროცესი იქამდე მეორდება, ვიდრე მასალა არ დაილექება სანაპირო ზოლში ან ზღვაში. პროცესის მრავალჯერადი განმეორებით მონგრეული მასალა კარგად მუშავდება, მრგვალდება. ამიტომაც არის, რომ ზღვის სანაპირო ზოლში თითქმის ვერ შეხვდებით დაუმუშავებელ, კუთხედ მასალას. მასალა გადაიტანება ზღვაში დიდ მანძილზე. გადატანისას მასალის დახარისხებაც მიმდინარეობს – ნაპირთან ახლოს უფრო მსხვილი და მძიმე მასალა დაილექება, ნაპირიდან მოშორებით კი – წვრილი და მსუბუქი. მასალის ნაპირის გასწორივი ტრანსპორტირება ხდება ირიბი ტალღების ან სანაპირო გასწორივი დინებების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში მასალა შეიძლება ასეულ კილომეტრებზე იქნეს გადატანილი.

როცა მასალის გადატანაზეა ლაპარაკი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდა თვით ზღვისა, მასალა სხვა გზითაც გადაიტანება, უფრო ზუსტად კი – შეიტანება ზღვაში. ძალიან დიდი რაოდენობის მასალა შეაქვთ მდინარეებს, აგრეთვე მყინვა-

რებს, ქარს, წყალქვეშა ვულკანებს (პიროკლასტოლითები, ძირითადად ვულკანური ფერფლი). კოსმოსიდანაც კი შემოდის მასალა.

ნაპირის მოხაზულობა არაერთგვაროვანია. ერთგვაროვანი და შედარებით რბილი ქანებით აგებულ ნაპირზე აბრაზია თითქმის თანაბრად ვითარდება, რის გამოც ნაპირი ერთიანად იხევს უკან და მისი მოხაზულობა მეტ-ნაკლებად სწორხაზოვანია. სხვა შემთხვევაში ნაპირის მოხაზულობა არ არის სწორხაზოვანი, ალაგ ჩნდება ზღვისკენ ნაწეული შვერილები (კონცხები), რომელთა შორის ნაპირის შეზნექილი უბნები (უბეები) მორიგეობს. კონცხები შემდგომი აბრაზიის ობიექტია, მაშინ როცა უბეებში ძირითადად მასალის დაგროვება მიდის.

ზღვიური აკუმულაციის შედეგად მრავალნაირი ფორმა წარმოიქმნება. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

ზღვის მიერ მასალის მართობულად გადატანისას ნაპირზე ჩნდება უხეში მასალით (რიყნარი, ხვინჭა, ქვიშა) აგებული **სანაპირო ბურცობი**, რომელიც გასწვრივ მიუყვება ნაპირს. მსგავსი ფორმისა და მოხაზულობის ნაგებობა შეიძლება გაჩნდეს ნაპირთან ახლოს ზღვაშიც. მას ბარი ეწოდება. ბარები აგებულია ხვინჭითა და ქვიშით, თუმცა შეიძლება სხვა მასალაც იყოს, მაგალითად, ლუმაშელი. ბარის სიგრძე ზოგჯერ ასეულ კილომეტრებს აღწევს, სიგანე 20-30 კმ-ს, სიმაღლე რამდენიმე ათ-ეულ მეტრს. ბარის წარმოშობის შემთხვევაში ბარსა და ნაპირს შორის ჩნდება **ლაგუნა** (ბარის მიერ ზღვას მოწყვეტილი ნაწილი) (სურ. 10.6).



სურ. 10.6. ცისფერი ლაგუნა, თურქეთი

მასალის ნაპირგასწვრივი გადატანისას, თუ ის დაგროვებას იწყებს კონცხის ან უბრალოდ ნაპირის შვერილის კიდესა და უბის დასაწყისს შორის, კონცხის კიდესთან ზღვაში ჩნდება აკუმულაციური ფორმა, რომელსაც **ცელა** ეწოდება. ცელები შეიძლება უბით გაყოფილი ორი მეზობელი კონცხიდან ერთმანეთის მიმართულებით განვითარდეს. მათი შეერთების შემთხვევაში ზღვის უბე გადაიკეტება და კვლავ ლაგუნა გაჩნდება. სხვა შემთხვევაში, მასალის გასწვრივი გადადგილების დროს, ის შეიძლება დაილექოს ნაპირსა და მის წინ მდებარე კუნძულს შორის. საბოლოოდ მიიღება აკუმულაციური ფორმა – **ტომბოლო**, რომელიც კუნძულს აერთებს ნაპირთან.

როგორც ვხედავთ, გადატანა-დალექვის პროცესი მასალის საბოლოო დაბინავებითა და აკუმულაციური ფორმების წარმოშობით მთავრდება. მაგრამ ეს არ არის მასალის დაბინავების ერთადერთი გზა. უფრო მასშტაბურია ზღვის სხვადასხვა ზონაში (ლიტორალურიდან ულტრაბაბისალურამდე) არა მარტო აპრაზიული, არამედ ნებისმიერი სხვა სახის (მდინარეული, მყინვარული, ვულკანური, ეოლური, კოსმოსური, ორგანოგენული, ქემოგენური) მასალის დალექვაც, რომლის შედეგადაც საბოლოოდ შრებრივი დანალექი ქანები წარმოიშობა – კლასტური, ორგანოგენული, ქემოგენური და ვულკანოგენური. დავძინთ, რომ დანალექი ქანების დიდი უმეტესობა სწორედ ზღვებსა და ოკეანებში ჩნდება.


ყოველწლიურად კონტინენტიდან ოკეანეში შედის 25 მლრდ. ტ. მასალა, წყალქვეშა ვულკანებიდან – 2 მლრდ. ტ. ამ 27 მლრდ. ტ. მასალიდან 80% კლასტურია. ამას ემატება კიდევ ბიოგენური (1.8 მლრდ. ტ). როგორც ვხედავთ, წამყვანი როლი კლასტურ ქანებს ეკუთვნის, რომელიც აბისალურ ზონაშიც კი გვხვდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ბათიალურ და განსაკუთრებით ლიტორალურ-სუბლიტორალურ ზონებზე. ამავე დროს ამ მასალის ზონალურ განაწილებაში გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა – ლიტორალურიდან აბისალურისაკენ მასალა სულ უფრო წვრილმარცვლოვანი ხდება და რიყე-კენჭიანიდან პელიტურ ფრაქციამდე იცვლება.

საერთოდ დანალექი ქანების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა **სუბლიტორალური** ზონა. აქ განსაკუთრებით მრავლადაა ტერიგენული (კლასტური) ქანები. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ხმელეთი ახლოსაა და ნამსხვრევი მასალაც ადვილად აღწევს ამ ზონამდე. ბევრია ორგანოგენული (ბიოგენური) ქანებიც. ესეც სავსებით კანონზომიერია, თუ გავიხსენებთ, რომ ზღვის ამ ნაწილში (ნერიტული ზონა), სადაც სინათლე თითქმის ყველგან ფსკერამდე აღწევს, უხვად არის წყალმცენარეები (პლანქტონურიცა და ბენთოსურიც) და ის ცხოველები, რომლებიც ამ წყალმცენარეებით იკვებებიან, აგრეთვე ისინიც, რომლებიც თვით ამ ცხოველებს იყენებენ საკვებად. მცენარეთა და ცხოველთა ნაშთებისაგან კი, როგოროც უკვე ვიცით, შემდგომში ორგანოგენული (ბიოგენური) ქანები წარმოიშობა, ისეთები, როგორიცაა ქვანახშირი, საწერი ცარცი, ლუმაშელი, მარჯნიანი კირქვა და ბევრი სხვა.

ბიოგენურ წარმონაქმნებს მიეკუთვნება **მარჯნის რიფებიც**. როდესაც მარჯნის რიფებზეა ლაპარაკი, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ შენებაში რიფისმშენებელი მარჯნების გარდა მონაწილეობენ კირქვიანი წყალმცენარეები, ხავსცხოველები, კრინოიდები და სხვ. თუმცა უმეტეს შემთხვევაში წამყვანი მათ შორის მარჯნები და წყალმცენარეებია. იმისთვის, რომ მარჯნის რიფები განვითარდეს, გარკვეული პირობებია საჭირო – თბილი წყალი (+18-35°C-ს ფარგლებში), არაღრმა ზღვა (60-90 მ-მდე), ნორმულმარილიანი, სუფთა, ჟანგბადით მდიდარი წყალი. ეს მეტად საყურადღებოა თუნდაც იმიტომ, რომ, როდესაც დედამინის ქერქის ამგებ ქანებში რიფოგენულსაც შევხვდებით, მათი გეოლოგიური ასაკის შესაბამისად შესაძლებელია აღვადგინოთ იმ დროს არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო (თბილი, არაღრმა ზღვა და ა.შ.).

მარჯნის რიფების სამი ტიპი არსებობს: სანაპირო, ბარიერული და ატოლი. **სანაპირო რიფი**, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ნაპირზე მიუყვება ხმელეთს ან კუნძულს. **ბარიერული რიფი** ხმელეთისაგან გარკვეული მანძილით არის დამორებული. მათ შორის კი ლაგუნაა გაჩენილი. საუკეთესო მავალითა ავსტრალიის დიდი ბარიერული რიფი, რომელიც ავსტრალიის კონტინენტს აღმოსავლეთი მხრიდან მიუყვება. **ატოლი** წარმოადგენს მარჯნიან ან წყალმცენარებიან წრიული ფორმის რიფულ ნაგებობას, რომლის შიგნითაც ლაგუნა მდებარეობს.

ბარიერული რიფისა და ატოლის გენეზისის შესახებ მეტად საინტერესო შეხედულება არსებობს, რომელიც ჩარლზ დარვინს ეკუთვნის – ზღვის ფსკერის თანდათან დაძირვისას (იმ შემთხვევაში, თუ დაძირვის ტემპი ემთხვევა რიფის მშენებელი ორგანიზმების ზრდის ტემპს) სანაპირო რიფი თანდათან „შორდება“ ნაპირს, მათ შორის ჩნდება ლაგუნა და, ნაცვლად სანაპიროსი, ვიღებთ ბარიერულ რიფს. თუ ეს პროცესი კუნძულს ეხება, ამ უკანასკნელის თანდათან დაძირვისას სანაპირო რიფიდან ჯერ ბარიერული რიფი ჩნდება, ხოლო პროცესის გაღრმავებით – კუნძულის მთლიანი დაძირვით – ბარიერული რიფი ატოლში გადაიზრდება (სურ. 10.7).



სურ. 10.7. ატოლის წარმოშობა:

- ა – ვულკანური კუნძული მის ირგვლივ განვითარებული სანაპირო რიფით;
- ბ – კუნძულის თანდათან დაძირვით სანაპირო რიფი ბარიერულში გადაიზარდა;
- გ – კუნძულის მთლიანი ჩაძირვით ბარიერული რიფის ნაცვლად ატოლი გაჩნდა
(Короновский, Якушова, 1991)

რიფული კირქვები სხვა მხრივაც არის საინტერესო – მაღალი პორიანობის გამო, ისინი წარმოადგენ ნავთობისა და გაზის ერთგვარ „საწყობებს“, ანუ კოლექტორებს.

ბათიალურ ზონაში წამყვანი კვლავ ტერიგენული ნალექებია, თუმცა უფრო წვრილმარცვლოვანი, ვიდრე სუბლიტორალურში გვქონდა. ძირითადად ესაა ალევრიტები, ალევრიტ-პელიტები და პელიტები. ამათ გვერდით საკმაოდ ფართოდა გავრცელებული პლანქტონური ერთუჯრედიანი მცენარეებისა და ცხოველების ნიუარებით (კირქვის, კაჟის) აგებული შლამები. არის ვულკანოგენური ნალექებიც. იმავე ბათიალურ ზონაში, კონტინენტური ბექობის ძირში სიმღვრივის ნაკადებიდან ილექტა ტურბიდიტები. ეს ახარისხებული მასალით (ქვევით მსხვილი, ხოლო ზევით თანდათან უფრო წვრილი) აგებული ფენებრივი წყებებია, რომელთა ერთობლიობა გვაძლევს მეტად საინტერესო ქანს, **ფლიშს** („ფლისენ“ – დინება, გერმ.). გამოდის, რომ ფლიში ტურბიდიტული წყებების რიგმული მორიგეობაა. ფლიში ძალზე საინტერესო ნალექთა კომპლექსია იმ მხრივ, რომ ის დედამიწის ქერქის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, თანაც გარკვეულ უბნებში (გეოტექტონიკურ ზონებში) ნარმოიშობა. სხვადასხვა გეოლოგიური ასაკის ფლიშური ქანები ფართოდ არის გავრცლებული კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში.

აბისალურ ზონაში ტერიგენული მასალის სიმცირის გამო წამყვანი როლი ორგანოგენულ და პოლიგენურ ნალექებს ენიჭებათ. ორგანოგენულიდან ბათიალური ზონის მსგავსად კირქვისა და კაჟის სკელეტიანი ორგანიზმებით (კოკოლი-თოფორიდები, ფორამინიფერები, დიატომები, რადიოლარიები) აგებული შლამები გეხვდება. უნდა შენიშნოთ, რომ კალციუმის კარბონატი სიღრმეში მხოლოდ 4000-4500მ-მდე გვხვდება. უფრო ღრმად ის იხსნება, ამიტომ დიდ სიღრმეებზე ძირითადად კაჟიანი შლამებია გავრცელებული პოლიგენურთან ერთად.

პოლიგენურ ნალექებს სხვაგვარად წითელ ოკეანურ თიხებსაც უწოდებენ. ეს არის დიდ სიღრმეებზე (4000-6500მ) გავრცელებული ნალექები – რთული შედგენილობის ყავისფერი (სხვადასხვა ტონალობის) თიხები, რომლის მასალაც მოიცავს ტერიგენულ, ორგანოგენულ, ეოლურ, უულანურ, კოსმოსურ და სხვა წარმოშობის ნაწილაკებს. არცთუ იშვიათად მასში ზვიგენის კბილებს ან ვეშაპის სმენის ორგანოების ნაწილებსაც პოულობენ. მრავლადა რკინისა და მანგანუმის კონკრეციები.

დალექვის ტემპი აბისალურ ზონაში ძალიან ნელია – საშუალოდ 1 მმ 1000 წელში. ზღვის ფსკერზე ნალექების დაგროვება არის დანალექი ქანების წარმოშობის საწყისი სტადია (სედიმენტოგენეზისი). შემდგომ სტადიებზე (დიაგენეზისი, კატაგენეზისი) ხდება მასალის შეცემენტება, გამტკიცება, შრეებად განთავსება. საბოლოოდ კი ნამდვილი დანალექი ქანი ჩამოყალიბდება.

ნაპირდაცვის პრობლემები

ზღვის გეოლოგიურ მოქმედებას ზოგ შემთხვევაში დიდი ზიანი მოაქვს ადამიანისათვის. ის, პირველ რიგში, სანაპირო ზოლის მდგომარეობას ეხება. არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ზღვიურ აბრაზიას მთელი სანაპირო ზოლი წაულე-კავს. არცთუ იშვიათად ადამიანისათვის ზღვის მავნე მოქმედებას ხელს თვით ადამიანი უწყობს. ცნობილი ფაქტია, რომ კოკტებელის (ყირიმი) ულამაზესი პლაჟები

თითქმის მთლიანად გაირეცხა ზღვიური ეროზის გამო იმ მიზეზით, რომ ინერტული მასალის მოპოვების მიზნით პლაჟების მახლობელი ნაპირიდან დაიწყეს რიყნარის გატანა, რის გამოც ზღვას „საკვები“ მოაკლდა და დაიწყო აქტიური მოქმედება პლაჟების ტერიტორიაზე. მდ. ენგურზე კაშხლის აგებამ გამოიწვია მდინარის მიერ შავ ზღვაში მყარი მასალის შეტანის მკვეთრი შემცირება. ამის საპასუხოდ ზღვამ შესართავთან ახლო სანაპირო ზოლის ინტენსიური გარეცხვა დაიწყო.

ნაპირების დაცვის მიზნით ზოგჯერ ხელოვნური ნალექდაგროვების გამოწვევაა საჭირო. მაგალითად, იმისათვის რომ პლაჟი არ გაირეცხოს ნაპირის მართობულად ზღვაში აგებენ დამბებს, რომლებიც პლაჟის ერთ ნაწილში ნალექდაგროვებას იწვევს. ხშირად ნაპირის დასაცავად ზღვის სანაპირო ზოლში ტალღათმჭრელებს აგებენ. თუმცა აქაც სწორი გათვლაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება პირუკუ ეფექტი მივიღოთ. საინტერესო მაგალითი – 1929 წელს სანტა-პარბარას პორტის (კალიფორნიის შტატი, აშშ) დასაცავად ტალღათმჭრელი ააგეს, რამაც მის წინ დიდი რაოდენობის ქვიშის დაგროვება გამოიწვია. წელინადში საშუალოდ 600000 ტ. ილექტონიდა და 1934 წლისათვის დაიწყო თვით პორტის მიდამოების მოსილვაც. პორტის გადარჩენის მიზნით ხელისუფლება იძულებული გახდა ზედმეტი სილის გამოტანა დაეწყო.

დაცვითი ნაგებობების შენებით ხშირად ირღვევა ბუნებრივი ნალექდაგროვების რეჟიმი, რის გამოც მანამდე მდგრადი ნაპირი იწყებს არაგეგმიურ გარეცხვას, სხვა-გან კი არასასურველი ნალექდაგროვება მიმდინარეობს. ამიტომ ნაპირდაცვითი ნაგებობები ისე უნდა აშენდეს, რომ მას უარყოფითი შედეგები არ მოჰყვეს.

ნაპირდაცვის პრობლემები მთელი სერიოზულობით დგას შავიზღვისპირა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს წინაშეც.

ედოგანური (შიგადინამიკური) პროცესები

როგორც ერთ-ერთ წინა თავში აღვნიშნეთ, ენდოგენური ენოდება ისეთ გე-ოლოგიურ პროცესებს, რომელთა მამოძრავებელი ძალა დედამიწის შიგნითაა, საკუთრივ დედამიწისეულია. აქ იგულისხმება შიგნეთში არსებული ენერგია, რომლის მომცემი წყაროც შეიძლება იყოს დედამიწის პლანეტად ჩამოყალიბების პროცესში წარმოშობილი, გეოსფეროების ფორმირების პროცესში გამოყოფილი ან რადიოაქტიური ნივთიერების დაშლის შედეგად მიღებული სითბო.

ენდოგენურ პროცესებს განეკუთვნება: მაგმატიზმი, მეტამორფიზმი, მინისძვრები და ლითოსფეროს ტექტონიკური მოძრაობა.

თავი 11. მაგმატიზმი

მაგმატიზმი უაღრესად რთულ და მრავალფეროვან გეოლოგიურ პროცესთა ერთობლიობაა, რომელიც, როგორც ვიცით, დედამიწის შიგნეთში და ზედპირზე მიმდინარეობს. შესაბამისად, განარჩევენ ინტრუზიულ და ეფუზიურ მაგმატიზმს. შიგნეთში მიმდინარე მაგმური პროცესების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ზედაპირზე მოხვედრილი ინტრუზიული მაგმური ქანები გვაწვდის, რამდენადაც მათზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია.

მაგმა არ ქმნის რაიმე ერთიან ფენას, რომელიც გეოსფეროების მსგავსად ირგვლივ ეკვრის შიგნეთს. ის დედამიწის შიგნეთში სხვადასხვა დონეზე ცალკეული კერების სახით არის წარმოდგენილი. როგორც ფიქრობენ, მაგმური კერები ფორმირდება ძირითადად ასთენოსფეროში. თუმცა მიჩნეულია, რომ მაგმის ერთი ნაწილი ლითოსფეროშიც (სხვადასხვა სიღრმეზე) წარმოიქმნება.

საერთოდ კი მაგმის წარმოშობა შიგნეთის ამგები ქანების მაღალი ტემპერატურის პირობებში დწობით არის განპირობებული. მასალის დწობა მოცულობაში გაზრდას ნიშნავს. ამიტომ ახლად წარმოქმნილი მაგმა შემცველი ქანების ჰიდროსტატიკური (ლითოსტატიკური) წნევის გამო ამოიბერება ზევით, ნაპრალებში. ამგვარად, ის იჭრება შემცველ ქანებში, ცივდება და თანდათან კრისტალდება. საბოლოოდ კი ხდება ინტრუზიული მაგმური ქანების ფორმირება. დიდ სიღრმეებზე წარმოიშობა მაგმური ბათოლითები, შტოკები, ხოლო შედარებით მცირეზე, დაახლოებით 1-1,5 კმ სიღრმეზე – დაიკები, შრეძარღვები, ლაკოლითები და სხვ.

ზევით გადაადგილებისას მაგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, მასში მიმდინარე დიფერენციაციით, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ შემცველი ქანების გადამუშავებით. დიფერენციაცია გულისხმობს

მაგმის შედგენილობის ცვლას მასში სხვადასხვა მინერალური ასოციაციის გამოყოფის მეშვეობით. მაგმა ხომ მინერალურ მდნარსწარმოადგენს. ამიტომ მისი თანდათან გაცივებისას მინერალთა გამოკრისტალება ხდება. ჯერ გამოკრისტალდებიან მაღალტემპერატურული მინერალები, შემდეგ საშუალოტემპერატურული და ბოლოს დაბალტემპერატურული. მაღალტემპერატურული მინერალები (ოლივინი, ფუძე პლაგიოკლაზი) ხასიათდება Mg და Ca-ის დიდი შემცველობით, დაბალტემპერატურულში კი (ორთოკლაზი, მუავა პლაგიოკლაზი) ამ ელემენტთა მკვეთრი შემცვერება ხდება K, Na, Si, Al-ის ზრდის ფონზე. საერთოდ კი მაღალტემპერატურული მინერალური ასოციაცია იძლევა ფუძე მაგმასა და შემდგომ ფუძე ქანებს, საშუალოტემპერატურული – საშუალო ქანებს, ხოლო დაბალტემპერატურული – მუავე ქანებს.

რაც შეეხება ასიმილაციას, ის გულისხმობს მაგმური ინტრუზივის მიერ მისი შემცველი (ირგვლივ მყოფი) ქანების შთანთქმა-გადამუშავებას. ეს პროცესი ზოგჯერ მნიშვნელოვნად ცვლის მაგმის შედგენილობას. ზოგან მაგმა ვერც კი ახერხებს შემცველი ქანის მთლიანად გადამუშავებას და ეს უკანასკნელი **ქსენოლითის** (უცხო სხეულის) სახით შემორჩება მაგმურ ქანში. ასიმილაციით თითქოს ადვილად იხსნება მაგმის მიერ თავისუფალი სივრცის მოპოვების პრობლემა. არა და ეს მეტად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ისეთი უზარმაზარი ინტრუზიული მაგმური სხეულები-სათვის, როგორიც ბათოლითებია.

შემცველ ქანებთან კონტაქტში მაგმის თანდათანი გაცივება მიმდინარეობს. ეს პროცესი მეტად ხანგრძლივია და შეიძლება ერთეული ან ათეული მილიონი წელიც კი გაგრძელდეს. მთელი ამ დროის განმავლობაში მაგმიდან გადახურებული წყლის ხსნარები და გაზები გამოიყოფა, რომლებიც შემცველი ქანების კონტაქტის ზოლში წარმოშობენ მინერალურ საბადოებს, როგორიცაა მაგალითად, ვოლფრამის, კალის, ბერილის, მოლიბდენის და სხვათა საბადოები და რომელთაც **პნევმატოლიზური** ჰქვია. თუ მხოლოდ ცხელი ხსნარები მოქმედებს შემცველ ქანებზე, მაშინ **ჰიდრო-თერმული** საბადოები ჩნდება (მაგალითად, სპილენძის, თუთიის, ტყვიის).

11.1. ეფუზიური გაგმატიზმი ანუ ვულკანიზმი

ვულკანიზმის სახელწოდება ლიპარის კუნძულების ერთ-ერთი პატარა კუნძულის – ვულკანოს სახელწოდებიდან მოდის. თითქოს აქ იყო ძეგლრომაელთა ცეცხლისა და მჭედლობის მფარველი ღვთაების – ვულკანის – სამჭედლო (სხვა ვერსიით, ვულკანის სამჭედლო ეტნის ძირში იყო და სამჭედლოს კვამლიც სწორედ ამ ვულკანიდან ამოდიოდა).

ვულკანები იმთავითვე იპყრობდა ადამიანთა ყურადღებას, პირველ რიგში, ალბათ იმის გამო, რომ ვულკანის ამოფრქვევას მათთვის დიდი უბედურება მოჰქონდა. გავიხსენოდ თუნდაც ვულკან ვეზუვის ამოფრქვევა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში (79 წელს), რომლის შედეგადაც სამი რომაული ქალაქი – პომპეი, პერკულანუმი და სტაბია – მთლიანად დაიფარა ვულკანური ფერფლით და ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ან კრაკატაუს ასევე ცნობილი ამოფრქვევა 1883 წელს.

კრაკატაუ იყო სუმატრასა და იავას (ზონდის არქიპელაგის კუნძულები) შორის მდებარე ერთ-ერთი პატარა კუნძული. ვულკანური ამოფრქვევები ამ კუნძულზე 1883 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყველაზე ძლიერი ამოფრქვევა აგვისტოს მიწურულს მოხდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ხმა 5000 კმ-ზე, ავსტრალიაშიც კი ისმოდა. ამოიტყორცნა დაახლოებით 18 კუპური კილომეტრი მასალა, უმეტესად ფერფლი და პემზა. ვულკანური ფერფლი ატმოსფეროში 80 კმ სიმაღლეზე ავიდა და რამდენიმე წლის განმავლობაში ირგვლივ უფლიდა დედამინას. ფერფლის საკმაოდ სქელი ფენით დაიფარა 750000 კმ² ფართობი. გაჩნდა დაახლოებით 40 მ სიმაღლის ცუნამი, რომლისგანც მახლობელ კუნძულებზე (თვით კუნძული კრაკატაუ უკაცრიელი იყო), ძირითადად იავასა და სუმატრაზე, 36000 კაცი დაიღუპა. კუნძულის დიდი ნაწილი ჰაერში აიტყორცნა.

ასევე საშინელი იყო კუნძულ მარტინიკაზე (კარიბის ზღვის აუზი) მდებარე ვულკან მონ-პელეს ამოფრქვევა 1902 წელს. ამოფრქვევა უძლიერესი აფეთქებით მოხდა, რაც ვულკანის ყელში გაზების დიდი რაოდენობით დაგროვებამ გამოიწვია. აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ მან თითქმის მთლიანად დაანგრია ვულკანიდან 6 კმ-ზე მდებარე ქალაქი სან-პიერი – სახლები, რომელთა ქვისავან ნაგები კედლები 1 მ სისქისა იყო, ნამსხვრევებად აქცია; ხეები, დიდი თუ პატარა, ფესვებიანად ამოგლიჯა; სამტონიანი ქანდაკება პოსტამენტიდან ოთხ მეტრზე ისროლა. პორტში რამდენიმე გემი გადაბრუნდა და ჩაიძირა. აფეთქების შედეგად წარმოიშვა სქელი ღრუბელი – გავარვარებული ვულკანური მტვრის, წყლის ორთქლისა და გაზების ნარევი დაახლოებით 700-1000°C ტემპერატურის, რომელიც დიდი სიჩქარით (160 კმ/სთ) დაეშვა ვულკანიდან ქ. სან-პიერისაკენ და მთლიანად მოსრა იქ მცხოვრები 30000 კაცი. ამბობენ, რომ გადარჩა ერთადერთი ადამიანი, პატიმარი, რომელიც მიწისქვეშა დილეგში იყო ჩამწყვდეული.

ვულკანიზმთან დაკავშირებით ბევრი სხვა ამგვარი ფაქტის მოყვანა შეიძლება. მიუხედავად ამისა, ადამიანები ძალიან ხშირად საცხოვრებლად ვულკანების ფერდობებს ირჩევდნენ, პირველ რიგში, იქ არსებული ნოყიერი ნიადაგის გამო. ბუნებრივია ისიც, რომ ადამიანი იმთავითვე აქცევდა ვულკანების მოქმედებას ყურადღებას და ცდილობდა, ჩასწვდომოდა მის არსა.

11.1.1. ვულკანის ამოფრქვევის პროდუქტები

ვულკანების მიერ ზედაპირზე ამოტანილი მასალა სამგვარია: თხევადი, მყარი და გაზებრივი. ვულკანის მიერ ამოფრქვეულ თხევად მასალას ლავა ეწოდება. ლავა იგივე მაგმაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაზები თითქმის მთლიანად აქვს დაკარგული. ე.ი. ლავა უგაზო მაგმა. ლავის რამდენიმე სახე არსებობს, რომელთა ფორმა მათი ქიმიური შედგენილობით არის განპირობებული. როგორც ცნობილია, ფუძე მაგმა უფრო დენადია, ნაკლებად ბლანტი. ამიტომ ზედაპირზე გადმოსული ფუძე ლავა (შეიძლება მას ბაზალტური ლავაც ვუწოდოთ) კარგად მოძრავია და საკმაოდ დიდი სიჩქარით ვრცელდება ათეულ კილომეტრზე. შეიძლება სიჩქარემ 60

კმ-საც მიაღწიოს საათში. ამ ტიპის ლავა მაღალტემპერატურულია (დაახლოებით 1100-1200°). გაცივებისას მას ქერქი უჩნდება, თუმცა ლავა ქერქის ქვეშ კვლავ განაგრძოს მოძრაობას, რის გამოც მისი ზედაპირი ტალღოვანი ხდება, თითქოს დაგრეხილი ბანარია. ამიტომ მას **დაბანრულ ლავას** უწოდებენ. სხვაგვარად კი მას **პაპოეპოე ლავა** ჰქვია (სურ. 11.1). ასეთი ლავა ხელშემწყობი რელიეფის პირობებში დიდ ფართობზე იშლება და ვულკანურ ზენტრებს გვაძლევს. ზოგჯერ შეიძლება „ლავური მდინარე“ ან „ჩანჩქერიც“ კი მივიღოთ. მეორე ტიპის ლავა, ე.წ. **აა-ლავა**, უფრო ბლანტია, ახასიათებს ლოდებრივი ზედაპირი, რომელიც გამომწვარი აგურის დაკუთხულ ნამსხვრევებს მოგვაგონებს, მის ქვეშ კი ლავის მასაა მოთავსებული. ეს ლავა ნაკლებად მოძრავია, საათში სულ რამდენიმე კილომეტრს გადის, შედარებით დაბალტემპერატურულია; გაცივებისას ვულკანურ გუმბათებს ქმნის. წყალქვეშა ამოფრქვევების შედეგად ნარმოშობილი ლავა, რომელიც, როგორც წესი, ბაზალტური შედგენილობისაა, იძლევა ბალიშა ლავებს („პილოუ-ლავა“). ცალკეული ბალიშა ლავების სიგრძე ერთეული მეტრებია.



სურ. 11.1. პაპოეპოე ლავა

როგორც ვიცით, ნებისმიერი სახის ლავის გაცივების შედეგად ეფუზიური მაგმური ქანები მიიღება.

ვულკანის მიერ ამოტყორცნილ მყარ ნამსხვრევ მასალას ზოგადად **პიროკლასტებს** („პიროს“ – ცეცხლი და „კლასტოს“ – ნამსხვრევი, ბერძნ.) უწოდებენ. ამ ტერმინით ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ეს მასალა გავარვარებული ქანის ნამსხვრევებს წარმოადგენს. სიტყვა „მყარი“ შეიძლება ერთგვარად პირობითად ნათქვამიც კი იყოს, რადგანაც უმეტესად მაგმური მასალის ამოფრქვევა ხდება. პაერში ატყორცნილი ლავის სხვადასხვა ზომის ნაგლეჯები ზედაპირზე დაცემამდე ან შემდეგ თანდათან ცივდება და საბოლოოდ ვიღებთ პიროკლასტებს ან **ტეფრას**. ტეფრის მცირე ნაწილი შეიძლება სხვა ქანების ნამსხვრევი მასალაც იყოს.

სიმსხოს მიხედვით პიროკლასტების რამდენიმე სახე გამოიყოფა: ლიადები (ბელტები) → ვულკანური ყუმბარები → ლაპილები → ვულკანური ქვიშები → ვულკანური ფერფლი → ვულკანური მტვერი.

ვულკანური ლოდები (ბელტები), როგორც წესი, დაკუთხულ ნამსხვრევებს წარმოადგენს. ზომებით დიდია, ზოგჯერ გიგანტურიც კი. ცნობილია, რომ ვულკანოს (იტალია) ამოფრქვევისას ამოუტყორცნია 25 მ³ მოცულობის 68-ტონიანი ლოდი. **ვულკანური ყუმბარა** საკმაოდ დიდი ზომისაა (მინიმუმ 5 სმ-მდე სიგრძის). ის წარმოადგენს ლავის ნაგლეჯებს, რომელსაც ჰაერში ტრიალის გამო რაგბის ბურთისმაგვარი ფორმა მიუღია. **ლაპილები** თხილის ზომის პიროკლასტებია. კიდევ უფრო მცირე ზომისაა **ვულკანური ქვიშის** მარცვლები (1 მმ-ის რიგის), ხოლო უწვრილესია **ვულკანური ფერფლი** და **მტვერი**. ამ უკანასკნელის სიმსხო მიკრონებში იზომება. ხშირად ვხვდებით ვულკანური ბომბის ან ლაპილის ოდენა არანესიერი ფორმის ფორმიან ნამსხვრევებს, რომელთაც **ვულკანური წიდა** ეწოდება. არის ძალზე მაღალფორმიანი ვულკანური წიდა, რომელიც ამ თვისების გამო წყალზე მსუბუქია. მას პემზა ჰქვია. ვულკანურ წიდასაც და პემზასაც გამკვრივებულ **მაგმურ „ქაფს“** უწოდებენ.

გაზები უდიდეს როლს ასრულებს ვულკანების მოქმედებაში. ისინი გამოიყოფა არა მარტო ვულკანური აქტივობის პერიოდში, არამედ მაშინაც, როცა ვულკანის მოქმედება უკვე შეწყვეტილია. გაზების გამოყოფის პოსტვულკანური (ვულკანის აქტიური მოქმედების შემდგომი) პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ერთეული, ათეული და მეტი წლებიც კი. მაგალითად, ვულკანი სოლფატარი ამოიფრქვა XII საუკუნეში, მაგრამ დღესაც გამოყოფს გოგირდიან გაზებს.


გაზები გამოიყოფა როგორც თვით ვულკანური კონუსიდან (ამომყვანი ყელი, პარაზიტული ვულკანები), ისე ლავური ნაკადებიდან.

გაზებს შორის წამყვანი ადგილი წყლის ორთელს უკავია (დაახლ. 90%), შემდეგ ნახშირორჟანგს (CO_2), ნახშირჟანგს (მხუთავ გაზს CO), აზოტს (N_2), გოგირდის ჟანგებს (SO_2 , SO_3), გოგირდწყალბადს (H_2S). გაზისებრ გოგირდს (S), წყალბადს (H_2), ამიაკს (NH_3), მეთანს (CH_4) და სხვ. ბევრი მათგანი, მცირე რაოდენობითაც კი ძალიან საშიშია ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ვულკანურ კონუსზე გაზები სხვადასხვა ადგილიდან გამოიყოფა. თანაც არის ადგილები, საიდანაც მხოლოდ გაზი ამოდის და სხვა არაფერი. ასეთ ადგილებს **ფუმაროლები** („ფუმო“ – ბოლი, იტალ.) ეწოდება, ხოლო გაზების გამოყოფის პოსტვულკანურ სტადიას – **ფუმაროლური**. ფუმაროლებს შორის განარჩევენ ისეთებს, საიდანაც ყველაზე მაღალტემპერატურული (500°-ზე მეტი) და მრავალფეროვანი გაზები ამოდის (ე.ნ. **მშრალი ფუმაროლები**). ფუმაროლები, საიდანაც გოგირდით მდიდარი გაზები გამოიყოფა, პირველ რიგში, გოგირდწყალბადი, **სოლფატარების** სახელითაა ცნობილი. ამ გაზების ტემპერატურა 300-100°-ის ფარგლებშია. იმ ფუმაროლებს კი, რომლებიც ყველაზე დაბალტემპერატურულ (100°-ზე ნაკლები), ნახშირორჟანგით მდიდარ გაზებს შეიცავენ, **მოფეტები** ეწოდება. ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში სამივე ტიპის ფუმაროლებს საერთოდ ვულკანური გაზების სინონიმებად ხმარობენ.

11.1.2. ვულკანური აპარატი (აგებულება და ტიპები)

ვულკანური პროცესის დაწყების შემდეგ ამოფრქვევის ცენტრის ირგვლივ გროვდება პიროკლასტური და ლავური მასალა, რომლის შედეგადაც იქმნება ვულკანური მთა ანუ ვულკანური კონუსი. კონუსის ცენტრში ზევიდან ვულკანის ძირამდე გადის ვერტიკალური მილი, რომელსაც ვულკანის ყელი ან ამომყვანი ყელი ჰქვია. სწორედ აქედან ამოიტანება ვულკანური მასალა. ვულკანის ყელი ზევით თასისებური ან ძაბრისებური ჩაღრმავებით – **კრატერით** („კრატეს“ – თასი; ბერძნ.) ბოლოვდება (სურ. 11.2, 11.3). ძლიერი აფეთქებით ვულკანური კონუსი შეიძლება მთლიანად მოიგდიჯოს, მოინგრეს. მაშინ მის ადგილზე გაჩნდება წრიული დეპრესია, რომელსაც **კალდერა** („კალდერა“ – ქვაბი, პორტ.) ეწოდება, ხოლო კალდერის შიგნით ახალი კონუსი ჩამოყალიბდება. ძველი კონუსის კიდეებზე კი წრიული სერი ან მისი ნაწილები შემორჩება. ეს იქნება **სომა** – ვეზუვის ძველი ვულკანური კონუსის მონტე-სომას სახელიდან გამომდინარე (სურ. 11.3). ფიქრობენ, რომ ვეზუვის ძველი კონუსი 79 წლის ამოფრქვევისას დაინგრა ძლიერი აფეთქების შედეგად, ხოლო ახალი კონუსი დაახლოებით 100 წლის შემდეგ გაჩნდა. თუმცა არის სხვა შეხედულებაც – ამოფრქვევამ კონუსი კი არ დაანგრია, არამედ კრატერიდან ამოვიდა დიდალი ლავა, რის გამოც შიგნეთში (ვულკანური კონუსის ქვეშ) სიცარიელე გაჩნდა და სწორედ ამ ადგილში ჩაიქცა ვულკანური კონუსი. სულაც არ არის გამორიცხული, რომ კალდერას გაჩენა ამ გზით ხდებოდეს.



სურ. 11.2. ვულკანური აპარატის აგებულება
 1 – კალდერა, 2 – სომა, 3 – ვულკანური კონუსი, 4 – კრატერი,
 5 – ამომყვანი ყელი, 6 – ლავის ნაკადი, 7 – ვულკანური კერა
 (Якуширова и др., 1988-ის მიხედვით)

ვულკანური კონუსი ანუ ვულკანური აპარატი შეიძლება აგებული იყოს ლავისა და პიროკლასტური მასალის მორიგეობით. ასეთ კონუსს **სტრატოვულკანი** ჰქვია. გასაგებია, რომ სტრატოვულკანი ახასიათებს ისეთ ვულკანებს, რომლებიც მოქმედებისას ტეფრასთან ერთად ლავასაც იძლევიან (ვეზუვი, ეტნა, ვულკანი). შეიძლება კონუსი აგებული იყოს მხოლოდ ტეფრით (უმეტესად წიდითა და ლაპილებით). ასეთი კონუსები აქვთ ვულკანებს, რომელთა ამოფრქვევა, ფაქტობრივად, ლავის გარეშე ხდება (მონპელე, კრაკატაუ). არის მხოლოდ ლავით აგებული ვულკანური კონუსები. ასეთ ფორმებს იძლევა ძირითადად ფუძე, ე.ი. შედარებით კარგად მოძრავი ნაკლებად ბლანტი ლავა. ესაა **ვულკანური ფარები** – დიდ ფართობზე გაშლილი, ცენტრში მცირედ ამოზნექილი ფორმები (ახასიათებს ე.წ. „ჰავაის ტიპის“ ვულკანებს – მაუნა-ლოა და სხვ.).



სურ. 11.3. ვეზუვის კრატერი
(უკანა პლანზე მოჩანს მონტე-სომა)

11.1.3. ვულკანების ტიპები

ვულკანების მოქმედება მრავალფეროვანია. ის განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მაგმის ქიმიზმით, ტემპერატურით, სიბლანტით და განსაკუთრებით გაზიანებით. მაგმაში გაზი ან გახსნილია, ან თავისუფალ მდგომარეობაშია (ბუშტების სახით). სწორედ ეს უკანასკნელია ძლიერი აფეთქების წყარო.

ამოფრქვევის ხასიათის მიხედვით ვულკანების, უფრო ზუსტად კი ვულკანიზმის სამი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს: 1) ეფუზიური (წყალქვეშა და ხმელეთის), 2) პიროკლასტური და 3) ექსპლოზიური.

ეფუზიური ტიპის ვულკანიზმი უკავშირდება ფუძე, ბაზალტურ მაგმას, მიმდინარეობს ძალიან მშვიდი აფეთქებებით და იძლევა ფარისებრ ვულკანებს (ჰავაისა და ისლანდიის ვულკანები და სხვ.). **პიროკლასტური ტიპი** ხასიათდება ძლიერი

გაზური აფეთქებით, დიდი რაოდენობით იძლევა ლავასა და პიროკლასტურ მასალას, აქვს სტრატოვულკანი (ვეზუვი, ეტნა, სტრომბოლი და ა.შ.). ექსპლოზიური ტიპი უძლიერესი გაზური აფეთქებებით ხასიათდება, დიდი რაოდენობით ჩნდება პიროკლასტური მასალა და თითქმის არ არის ლავა (რომელიც ვულკანური პროცესის დასასრულს შეიძლება ამოიზიდოს ობელისკივით. სურ. 11.4). ამოფრქვევა ძირითადად უკავშირდება საშუალო და მუნიციპალური მუნიციპალური მასალას (მონ-პელე, კრაკატაუ, ბანდაი და სხვ.).



სურ. 11.4. ვულკანური ობელისკი
(Androdoe B.A., 1982)

შეიძლება გამოვყოთ ვულკანიზმის ორი სახე – **ნაპრალური** და **ცენტრული ვულკანიზმი**. ნაპრალური ვულკანიზმის დროს, სახელწოდებიდან გამომდინარე, ამოფრქვევა არა ვულკანური ცენტრიდან, არამედ ნაპრალიდან ხდება. ეს ნაპრალები შეიძლება ხაზობრივად ათასობით კილომეტრზეც კი იყოს გადაჭიმული. ამ ტიპის ვულკანიზმი დამახასიათებელია შუალედური ქედებისათვის და სხვა რიფტული ზოლებისათვის. ვულკანიზმი ბაზალტურია, ფუძეა. რაც შეეხება **ცენტრულ ვულკანიზმს**, მის შესახებ ზევით გვქონდა საუბარი. დავძინთ მხოლოდ, რომ ცენტრული ვულკანების დიდი ნაწილი **ჰოლიგენურია**, ანუ მათი მოქმედება დროში განახლებადია. მათ გვერდით არსებობს ერთჯერადი აფეთქების, **მონგენური** ვულკანებიც. აფეთქების შედეგად ჩნდება ასეული მეტრის ან ზოგჯერ ერთეული კილომეტრი დიამეტრის კრატერი, რომლის ირგვლივ პიროკლასტური მასალით აგებული დაბალი ზვინულია განვითარებული. კრატერის ძირში შეიგრძის ვულკანური არხი, ე.წ. **აფეთქების მილი** ანუ **დიატრემა**, რომელიც ძირითადად ულტრაფუძე ქანებით აგებული ვულკანური ბრექჩიით არის ამოვსებული. მას კიმბერლიტი ეწოდება (სახელწოდება სამხრეთ აფრიკიდან მოდის). კიმბერლიტები ძალიან ღირებულ ქანებად ითვლება, რადგანაც მათთან ალმასის უმდიდრესი საბადოებია დაკავშირებული (სამხრეთი აფრიკა, რუსეთი). კიმბერლიტები გვიჩვენებს, რომ მათი ნარ-

მოშობა მოხდა მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში, თანაც მასალა დიდი სიღრმიდან, მანგიდან მოდიოდა.

მონოგენური ვულკანები გავრცელებულია გერმანიაშიც, სადაც მას მაარი ჰქვია. ზოგჯერ მაარებში ტბაც არის ჩამდგარი (სურ. 11.5).



სურ. 11.5. მაარი, რომელშიც ტბა ჩამდგარა
(Aprodoes, 1982)

11.1.4. პოსტვულკანური პროცესები

დადგება დრო, როცა ვულკანი წყვეტს თავის აქტიურ მოქმედებას. მაგრამ მისი „სიცოცხლე“ ერთგვარად გრძელდება, რაც ვულკანური გაზების გამოყოფაში გამოიხატება. ამ პოსტვულკანურ პროცესს ზევით ფურმაროლური სტადია ვუწოდეთ.

გაზების გვერდით პოსტვულკანურ პროცესებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ცხელი წყაროები ანუ **თერმები**, რომელიც დღეს ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ან უახლესი (პლიოცენ-მეოთხეული) ვულკანიზმის რეგიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ისლანდია, კამჩატკა, ახალი ზელანდია, იტალია, კავკასია და სხვ. თერმული წყაროებიდან ხშირად სხვადასხვა ნივთიერება გამოილექება, მაგალითად, კაუი ან კირქვის ტუფი.

თერმების თავისებურ სახეობას წარმოადგენს **გეიზერი** (სურ. 11.6). ეს თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ გეიზერი მუდმივად კი არ გადმოსჩქეფს ზედა-პირზე, არამედ წყალი (უფრო ზუსტად კი წყლისა და ორთქლის ნარევი) დროდადრო ასხამს ზევით შადრევნის მსგავსად. შადრევნებს შორის სიწყნარის პერიოდებია, რომელიც ერთეული წუთიდან რამდენიმე დღემდე გრძელდება. წყლის ტემპერატურა ზედაპირზე ამოსვლისას 75-100°-ის ფარგლებში მერყეობს. გეიზერის მახლობლად ილექება კაუის ტუფი ანუ გეიზერიტი, რომელიც ულამაზეს ნადენ ფორმებს ქმნის (სურ. 11.7).



სურ. 11.6. გეიზერი


სურ. 11.7. გეიზერის ნადენი ფორმები
(Anprodov, 1982)

რატომ არის გეიზერის მოქმედება წყვეტილი, დენაპერიოდული? ამ საკითხზე არსებობს მეტად საინტერესო შეხედულება – ზედაპირიდან სიღრმეში ჩადის მილისებრი არხი, რომელიც წყლით არის სავსე. სიღრმეში წყალი თანდათან ცხელდება, რადგანაც იერთებს მაღალტემპერატურულ გაზებს და ეხება გახურებულ ქანებს. ის სითხედ რჩება მანამდე, ვიდრე მისი ტემპერატურა არსებული წნევის პირბებში დუღილის ტემპერატურას არ გადააჭარბებს. ბოლოს დგება მომენტი, როცა წყალი იქცევა ორთქლად და ეს უკანასკნელი მიაწვება ზევით მდებარე წყლის სვეტს. ამის შედეგად წყლის ერთი ნაწილი ზედაპირზე გადმოიღვრება. ამას კი მოსდევს წნევის სწრაფი შემცირება და, შესაბამისად, დუღილის ტემპერატურის მკვეთრი დაცემა. ახლა უკვე წყალი, რომლის ტემპერატურა დუღილის ახალ ტემპერატურაზე გაცილებით უფრო მაღალია, სწრაფად იქცევა ორთქლად და წყლისა და ორთქლის სახით ამოინთხევა. ჩნდება შადრევანი. გარკვეული დროის შემდეგ სიტუაცია განიმუხტება, წყლისა და ორთქლის მთელი მასა ამოვა ზევით და შადრევანიც შეწყდება. შემდეგ, სიმშვიდის პერიოდში, წყალი კვლავ იწყებს დაგროვებას და ზემოთ აღნერილი პროცესი განმეორდება.

პოსტვულკანურ პროცესებთან არის დაკავშირებული ტალახის ვულკანების გარკვეული ტიპის ნარმოშობაც.

11.1.5. თანამედროვე ვულკანების გეოგრაფიული გავრცელება

თანამედროვე ვულკანები მთელ დედამიწაზეა გავრცელებული, როგორც ხმელეთზე, ისე ოკეანეებში. თუმცა მათ განაწილებაში აშკარა კანონზომიერება შეიმჩნევა (სურ. 11.8). გამოყოფენ სამ დიდ სარტყელს, სადაც თანამედროვე ვულკანთა დიდი უმეტესობაა თავმოყრილი. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ წყნაროკეანური სარტყელი, რომელიც ირგვლივ უვლის წყნარი ოკეანის ორივე (დასავლეთ და აღმოსავლეთ) სანაპიროს. ამ სარტყელს ცირკუმნაროკეანურსაც უწოდებენ, ზოგჯერ კი ცეცხლოვან რგოლს. წყნაროკეანური სარტყელის „აზიური ნაწილი“ იწყება კამჩატკის ვულკანებით და კურილის კუნძულების, იაპონიის და სხვათა გავლით ახალი ზელანდიის ვულკანებამდე მიდის. რაც შეეხება სარტყელის „ამერიკულ“ ნაწილს, ის აღეუტის კუნძულებიდან სამხრეთ სანდვიჩების რკალამდე ვრცელდება.



სურ. 11.8. ახალგაზრდა ვულკანებისა და თანამედროვე
მიწისძვრების განაწილება დედამიწაზე

წყნაროკეანური სარტყელის ვულკანებზე დღეს მოქმედ ვულკანთა 3/4 (500-დან 370) მოდის.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ წყნაროკეანური სარტყელის ვულკანები განლაგებულია კონტინენტური და ოკეანური ლითოსფერული ფილების ურთიერთშეხების ზოლში, ანუ იმ ზოლში, სადაც შეჯახებისას ერთი ფილა (წყნაროკეანური) იძირება მეორის (კონტინენტურის) ქვეშ. ეს არის ე.ნ. სუბდუქციის ზონა, აქტიური ვულკანიზმისა და ძლიერი მიწისძვრების კერა. როგორც ფიქრობენ, სუბდუქციის ზონაში, დაახლოებით 90-150 კმ სიღრმეზე, ვულკანური კერები ფორმირდება. მაგმა შედგენილობით კირ-ტუტე – ანდეზიტურია.

ხმელთაშუაზღვიურ სარტყელში თანამედროვე ვულკანები განვითარებულია სარტყელის დასავლურ და სამხრეთ-აღმოსავლურ დაბოლოებებზე (იტალია, საბერძნეთი, მალაის არქიპელაგი). მათ შუა კი ცნობილია ახალგაზრდა, პლიოცენ-მეოთხეული ასაკის ვულკანები (კავკასია, თურქეთი, ირანი). ეს სარტყელიც, მსგავსად პირველისა, ლითოსფერული ფილების კონვერგენტულ საზღვარზეა განვითარებული. თუმცა აქ კონტინენტური ფილების შეჯახებასთან /კოლიზიასთან/ გვაქვს საქმე და არა კონტინენტური და ოკეანური ფილების კონტაქტთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე სარტყელის ვულკანები, ფაქტობრივად, ახალგაზრდა ნაოჭა მთების ზოლებს უკავშირდება.

მესამე სარტყელს **შუალედური ქედების** გასწვრივ არსებული რიფტული ზონები ქმნის. ასეთ რიფტულ ზონებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ისლანდიის, აზორის კუნძულების, ასუნისინის, ტრისტან და კუნიას ვულკანები ატლანტურ ოკეანეში. აქაც, მსგავსად პირველი და მეორე სარტყელებისა, ვულკანები განლაგებულია ლითოსფერული ფილების კიდეებზე, თუმცა არა კონვერგენტული საზღვრების, არამედ, პირიქით, დივერგენტული საზღვრების ზოლში. ეს ხომ ის საზღვრებია, სადაც ფილების შეჯახების ნაცვლად მათი ურთიერთდაშორება ხდება (ე.წ. სპრედინგის ზონა). მაგრა აქ ბაზალტურია და, როგორც ჩანს, მანტიის ღრმა ნაწილებიდან მოდის.

ვულკანური სარტყელების კიდევ ერთი ტიპი დაკავშირებულია აფრიკის (ძირითადად აღმოსავლეთ აფრიკის) კონტინენტურ რიფტებთან (კილიმანჯარო, ნირაგონგო და სხვ.).

დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე თანამედროვე ვულკანების გავრცელების ის უბნები, რომლებიც ლითოსფერული ფილების შიგა რეგიონებთან არის დაკავშირებული. ასეთებია: კანარის, მწვანე კონცხის კუნძულები ატლანტურ ოკეანეში; კომორის კუნძულები, რეუნიონი, კერგელენი ინდოეთის ოკეანეში; გალაპაგოსი და ჰავაის კუნძულები წყნარ ოკეანეში. ამ ვულკანთა ერთი ნაწილი „ცხელ ლაქებს“ უკავშირდება.

11.2. მაგმატიზმის პრაქტიკული მნიშვნელობა

მაგმატიზმი უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. მაგმატიზმთან დაკავშირებულია სხვა-დასხვა ტიპის ისეთი მნიშვნელოვანი მადნეული საბადოების ფორმირება, როგორიცაა სპილენძის, ნიკელის, ტყვიის, თუთიის, რკინის, ოქროს, ვერცხლის, ურანის, დარიშხანის და სხვა მრავალი ელემენტის თუ მინერალის საბადოები; აგრეთვე ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები (ალმასი, გრანატები, ტოპაზი, ტურმალინი, ბერილი, ლალი და ა.შ.). ფუმაროლებს ზედაპირზე გამოაქვთ: სპილენძი, გოგირდი, ბორი, ვერცხლისნყალი და სხვ. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ვულკანური არეების თერმული ენერგიის გამოყენებას. მრავალ ქვეყანაში (იტალია, ისლანდია, მექსიკა, ახალი ზელანდია, აშშ, იაპონია, რუსეთი) მუშაობს გეოთერმული ელექ-

ტროსადგურები. თერმულ წყლებს იყენებენ სათბურებისათვის, ბინების გასათბობად, სამკურნალოდ. ვულკანური ფერფლი, რომელიც მდიდარია კალიუმით, ფოსფორით და სხვა ელემენტებით, ქმნის ნოჟიერ ნიადაგს, რომელიც წელიწადში რამდენიმე მოსავალს იძლევა.

მაგმური პროცესების, როგორც ინტრუზიულის, ისე ეფუზიურის, შედეგად წარმოშობილი თითქმის ყველა ქანი საუკეთესო სამშენებლო მასალაა. საუკეთესო მოსაპირკეთებელი ქანებია: გრანიტი, ლაპრადორიტი, გაბრო, ბაზალტი, დიორიტი, ტეშენიტი და ბევრი სხვა.

თავი 12. მეტამორფიზმი

ხშირად დედამიწის ქერქში ან მანტიაში მიმდინარე გეოლოგიური პროცესების გამო ზედაპირზე არსებული ქანები შიგნეთში იძირება. იქ კი მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში და კიდევ იმის გამო, რომ ქანებზე დიდ გავლენას ახდენს ნაპრალებში მოძრავი აირებით გაჯერებული ცხელი ხსნარები – **ფლუიდები** („ფლუიდუს“ – დენადი; ლათ.), ქანები სახეს იცვლის, გარდაიქმნება, შედეგად კი მეტამორფული ქანები მიიღება. მეტამორფული ქანები მიიღება იმ შემთხვევაშიც, როცა შიგნეთში არსებულ ქანებთან კონტაქტში მოდის უფრო ღრმა ფენებიდან შემოჭრილი მაღალტემპერატურული მაგმა, რომელიც კონტაქტის ზოლში დახვედრილი ქანების საფუძვლიან შეცვლას იწვევს.

ამგვარად, **მეტამორფიზმი** უკვე არსებული მაგმური, დანალექი ან თვით მეტა-მორფული ქანების სახეცვლა და მათ ადგილზე სხვა ახალი ქანების წარმოშობაა.

მეტამორფული პროცესების შედეგად ხდება ქანების გადაკრისტალება, მინერალური და ზოგ შემთხვევაში ქიმიური შედგენილობის შეცვლაც. შესაბამისად, იცვლება ქანის სტრუქტურაცა და ტექსტურაცა. ეს პროცესი სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. ამიტომ არსებობს მეტამორფული ქანების უწყვეტი რიგი – სუსტად მეტამორფულიდან ძლიერ მეტამორფულად. პირველ შემთხვევაში ცვლილება უმნიშვნელოა და ქანი, ფაქტობრივად, ინარჩუნებს პირვანდელ სტრუქტურას, ტექსტურას და შედგენილობას. ბოლო შემთხვევაში ცვლილება იმდენად დიდია, რომ დედაქანის ამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მეტამორფიზმის წამყვანი ფაქტორებია **წნევა, მაღალი ტემპერატურა და ფლუიდები.**

წნევა ორგვარია: **ყოველმხრივი** ანუ **ჰიდროსტატიკური** (ლითოსტატიკური), რომელიც განპირობებულია ზევით მდებარე ქანების დაწოლით, და **სტრესული** ან **ცალმხრივი** (ზოგჯერ ორიენტირებულსაც უწოდებენ), რომელიც ტექტონიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული და ყველაზე მკვეთრად ლითოსფერული ფილების კოლიზიის ზონაში მულავნდება.

მაღალი **ტემპერატურა** შეიძლება გამოწვეული იყოს დედამიწის საერთო შინაგანი სითბოთი, ან შეიძლება ლოკალური წარმოშობის იყოს, ვთქვათ, რღვევის ზოლში მაგმური ინტრუზით ან ცხელი ფლუიდებით მოტანილი. მიჩნეულია, რომ მეტამორფიზმისათვის საჭირო ტემპერატურა 300°C -ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ფლუიდებს, რომელთა დიდ ნაწილს წყლის ორთქლი და ნახშირორჟანგი შეადგენს, მოაქვს სითბო, ხსნის ქანების ამგებ მინერალებს, გადააქვს ქიმიური ელემენტები და ამგვარად, მონაწილეობს რა ქიმიურ პროცესებში, სახეს უცვლის ლითოსფეროს ამგებ ქანებს.

მეტამორფოზმის ძირითადი ტიპები

თავისი ბუნებით მეტამორფიზმის სხვადასხვა ტიპი არსებობს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს განვიხილავთ. ერთ-ერთი მათგანი კონტაქტური მეტამორფოზმია. მისი წარმოშობა შიგნეთიდან ზედა ფენებში მაგმური ინტრუზის შემოჭრასთან არის დაკავშირებული. მაღალტემპერატურიანი მაგმური ინტრუზია თერმულ ზემოქმედებას ახდენს იმ ქანებზე, რომელშიც იჭრება და გარდაქმნის მათ. საბოლოოდ მაგმური ინტრუზის ირგვლივ ჩნდება შემცველი ქანების მეტამორფულად სახეცვლილი ზონა, ანუ ზონა მეტამორფული ქანებისა. იმისდა მიხედვით, თუ როგორია შემოჭრილი ინტრუზის სიდიდე, კონტაქტური მეტამორფიზმის ზონა განისაზღვრება ერთეული მეტრიდან კილომეტრებამდე. მეტამორფიზმის ეფექტი განსაკუთრებით მაღალია ინტრუზისა და შემცველი (დამხვედრი) ქანის უშუალო კონტაქტის ზონაში და თანდათან ეცემა პერიფერიისაკენ, ანუ უშუალო კონტაქტის ზონიდან დაშორებით. რადგანაც კონტაქტური მეტამორფიზმი მეტ-ნაკლებად ადგილობრივი ხასიათისაა და დიდი სივრცობრივი მასშტაბებით არ გამოირჩევა, მას სხვანაირად ლოკალურსაც უწოდებენ. ზოგჯერ თერმულ ზემოქმედებას ემატება აგრეთვე ინტრუზიდან გამოყოფილი ფლუიდების მოქმედებაც, რაც შემცველი ქანების ქიმიურ-მინერალურ ცვლასაც იწვევს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონტაქტ-მეტასომატურ მეტამორფიზმთან.

თუ კონტაქტური მეტამორფიზმი ლოკალური ხასიათისაა, თავისი გრანდიოზული მასშტაბებით გამოირჩევა რეგიონული მეტამორფიზმი, რომელიც ლითოსფერული ფილების მოძრაობასთან არის დაკავშირებული. სუბდიუქციის ზონაში ფილების დაძირვისას ამ უკანასკნელს თან მიაქვს ზღვაში დალექტილი ქანების მდლავრი წყებები, რომლებიც დიდ სიღრმეებზე (20-30 კმ) მოხვედრისას, მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში და აგრეთვე ფლუიდების ინტენსიური ზემოქმედებით, ძლიერ მეტამორფიზმს განიცდიან. შორს წასული მეტამორფული პროცესების შემთხვევაში ულტრამეტამორფიზმს ვიღებთ.


რეგიონული მეტამორფიზმი სხვადასხვა ინტენსივობისაა. გამოყოფენ დაბალ-, საშუალო- და მაღალსაფეხურიან მეტამორფიზმს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მეტამორფიზმის თითოეულ ამ საფეხურს შეესაბამება ქანების და მათი ამგები მინერალების გარკვეული კომპლექსი, რომელთა მიხედვითაც ზემოთ ხსნებული საფეხურები ამოიცნობა. დაბალსაფეხურიან მეტამორფიზმს განსაზღვრავს მწვანე ფიქლების ფაციესი, რომლის დამახასიათებელი ქანი მწვანე ფიქლებია, ხოლო წამყვანი მინერალები: ქლორიტი, ეპიდოტი, მწვანე რქატყუარა და სხვ. საშუალოსაფეხურიან მეტამორფიზმს წარმოადგენს ამფიბოლიტური ფაციესი, რომელსაც ქმნიან კრისტალური ფიქლები, გნაისები და ამფიბოლიტები, წამყვანი მინერალებიდან კი – ქარსები (ბიოტიტი, მუსკოვიტი), ამფიბოლები და სხვ. მაღალსაფეხურიან მეტამორფიზმს გვიჩვენებს გრანულიტური ფაციესი. წამყვანი ქანებია გრანულიტი და ეკლოგიტი, ხოლო მინერალებიდან – კვარცი, მინდვრის შპატები, გრანატები.

კარგა ხანია საუბარია ე.წ. დარტყმით მეტამორფიზმზე (ანუ იმპაქტურ მეტამორფიზმზე), რომელიც ჩნდება დედამიწაზე დიდი მეტეორიტების ვარდნის შედეგად. მეტეორიტის ჩამოვარდნისას დარტყმის შედეგად წარმოშობილი დიდი ენერგიის წყალობით მეტეორიტული კრატერების (ასტრობლემების) ზოლში ქერქის ამგები ქანების მეტამორფული სახეცვლა ხდება (დიდი მეტეორიტების ვარდნა დედამიწაზე პერიოდულად ხდებოდა. დღეისათვის ცნობილია 200-ზე მეტი ასტრობლემა, რომლებიც სხვადასხვა დროს არის გაჩენილი. მათ შორის ყველაზე დიდი ჩისკულუბის (იუკატანი, მექსიკა) კრატერია 180 კმ-იანი დიამეტრით, რომელიც დაახლოებით 65 მლნ. წლის წინ გაჩნდა).

თავი 13. მიწისძრები

რა არის მიწისძვრა? ალ. ჯანელიძის ლაკონიური განმარტებით, მიწისძვრა არის დედამიწის უეცარი შერყევა, რომლის მიზეზიც მიწის შიგნეთში მდებარეობს.

უაღრესად საინტერესოა იმის ცოდნა, თუ როგორ ჩნდება მიწისძვრა, რა იწვევს მას. ცნობილია, რომ დედამიწის ქერქისა და მანტის ამგები ქანები დრეკად დეფორმაციებს განიცდის, რის გამოც ქანები „დაძაბულ“ მდგომარეობაშია. როდესაც დრეკადი დეფორმაციის გამომწვევი ძალა გადააჭარბებს ქანების მისდამი გამძლეობის უნარს, განვითარდება წყვეტითი დეფორმაციები, რაც გამოათავისუფლებს დიდალ ენერგიას და, შესაბამისად, მიწისძვრებს იწვევს. ეს შიგნეთში ხდება. ზედაპირამდე კი მიწისძვრა სეისმური გასწვრივი და განივი ტალღების მეშვეობით ვრცელდება. სწორედ ისინი, ვერტიკალური და ჰორიზონტული ბიძგებით, გვამცნობენ მიწისძვრას და იწვევენ ნგრევას. გამოდის, რომ მიწისძვრის მიზეზი ტექტონიკური დეფორმაციები ყოფილა. ეს მართლაც ასეა – მიწისძვრების მთავარი მიზეზი ტექტონიკური დეფორმაციებია. თუმცა მის გვერდით სხვა მიზეზებიც უნდა დავასახელოთ: 1) ვულკანიზმი (ვულკანურ აფეთქებასა და მაგმის მოძრაობასთან დაკავშირებული მიწისძვრები), 2) ტექნოგენური ფაქტორი (ბირთვულ აფეთქებებთან, წყალსაცავების ავსებასთან, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავებასთან და სხვა ამგვართან დაკავშირებული მიწისძვრები). წყალსაცავებით გამოწვეული მიწისძვრების მაგალითები საკმაოდ ბევრია (აშშ, ინდოეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, დალესტანი). უნდა შევნიშნოთ, რომ ვულკანიზმითა და ტექნოგენური ფაქტორებით გამოწვეული მიწისძვრები არ არის ძლიერი, მაშინ როცა ტექტონიკური მიწისძვრები ხშირად კატასტროფულია.



სურ. 13.1. სეისმოგრაფი

დიდი მნიშვნელობა აქვს **მიწისძვრის ინტენსივობის** ანუ **ძალის** განსაზღვრას, რაც ბალებში გამოიხატება. ინტენსივობა განისაზღვრება გრუნტის დაზიანებისა და ნაგებობათა ნგრევის ხარისხით, აგრეთვე ადამიანის რეაქციით მიწის შერყევაზე. ამის მიხედვით დგება მიწისძვრის ძალის მაჩვენებელი სკალა. პირველი ასეთი, ათბალიანი, სკალა შეიქმნა ევროპელი მეცნიერების მიერ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. XX საუკუნის დასაწყისში, 1902 წელს იტალიელმა სეისმოლოგმა **მერკალიმ** მოგვცა 12-ბალიანი სკალა, რომელიც მოდერნიზებული სახით დღესაც ძალაშია. არის ასევე 7-ბალიანი იაპონური სკალაც. ყოფილ საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდა მერკალის სკალის მსგავსი 12-ბალიანი სკალა „MSK – 64“, რომლის მიხედვითაც აშაბადის 1948 წლის მიწისძვრა 10 ბალით, ხოლო სპიტაკის (1988 წ.) 9-10 ბალით განისაზღვრა.

როგორც ვხედავთ, მიწისძვრის ძალის გაზომვა სუბიექტურია. ამის პარალელურად, მიწისძვრის **ენერგიის** გაზომვა შეიძლება ინსტრუმენტულადაც. მიწისძვრის ტალღების ჩამნერ ინსტრუმენტს **სეისმოგრაფი** ეწოდება (სურ. 13.1), რომელიც შეიგნერითდან მოსულ ტალღებს **სეისმოგრამის** სახით აღნუსხავს. სეისმოგრამებით განისაზღვრება ის ენერგია, რომელიც გამოიყოფა მიწისძვრის კერაში. ეს განსაზღვრა კი ხდება რიხტერის სკალის მიხედვით და **მაგნიტუდებში** იზომება. **რიხტერის** სკალა იცვლება 0-დან 9-მდე. დღემდე ცნობილ მიწისძვრათაგან ყველაზე მაღალი მაგნიტუდის (8.9) მიწისძვრა იაპონიაში 1933 წელს აღინიშნა. მიწისძვრის ინტენსურობასა და მაგნიტუდას შორის პირდაპირი კავშირი არ არის, მაგრამ, ჩვეულებრივ, რაც უფრო ძლიერია მიწისძვრა, მით უფრო დიდია მისი მაგნიტუდა.

ადგილს, სადაც მიწისძვრის ჩასახვა ხდება **მიწისძვრის კერა**, ჰიპოცენტრი ან **ფოკუსი** ეწოდება. ჰიპოცენტრის მაქსიმალური სიღრმე 720 კმ-ია. უფრო დიდი სიღმიდან წამოსული მიწისძვრების დაფიქსირება ზედაპირზე ვერ ხერხდება. ჰიპოცენტრიდან უმოკლესი მანძილით დაკავშირებულ წერტილს დედამიწის ზედაპირზე ეპიცენტრი ეწოდება. სხვაგვარად, ეპიცენტრი არის ჰიპოცენტრის პროექცია მიწის ზედაპირზე. ეპიცენტრის ირგვლივ გამოიყოფა ინტენსიური ნგრევის ფართობი – **პლეისტოსეისტური არე**. ეპიცენტრიდან პრეისტოსეისტური ფართობის გავლით პერიფერიულისაკენ მიწისძვრის ინტენსიურობა თანდათან მცირდება. თანაბარი სიძლიერის მიწისძვრის წერტილების შეერთებით ვიღებთ კონცენტრულ ხაზებს – **იზოსეისტებს**.

ჰიპოცენტრის მდებარეობის მიხედვით მიწისძვრის სამი ტიპი გამოიყოფა: 1. **მცირეფოკუსიანი** მიწისძვრები, რომელთა ჰიპოცენტრები 60 კმ-მდე სიღრმეში მდებარეობს. მათზე მოდის მთელი მიწისძვრების 75-80%. აქაა ყველაზე საშიში მიწისძვრებიც; 2. **საშუალოფოკუსიანი** – 60-300 კმ სიღრმეზე; 3. **ღრმაფოკუსიანი** – 300-720 კმ სიღრმეზე. ამ ტიპის თითქმის ყველა მიწისძვრა სუბდუქციის ზონებთან არის დაკავშირებული.

დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრის ძალას განსაზღვრავს ჰიპოცენტრის სიღრმე, მიწისძვრის კერაში წარმოშობილი კინეტიკური ენერგია და ქანების მიერ სეისმური ტალღების გამტარუნარიანობა. რაც უფრო ღრმად მდებარეობს ჰიპოცენტრი,

მით უფრო ნაკლები იქნება მიწისძვრის ძალა ზედაპირზე, თუმცა, ამავე მიზეზით ის უფრო ფართოდ გაიშლება და მეტი ტერიტორიებს მოიცავს.

მიწისძვრას უამრავი მძიმე შედეგი მოსდევს: 1. რყევითი მოძრაობის გამო მიწა-ში ჩნდება ნაპრალები (რღვევები), რომელთა გასწვრივ ცალკეული ბლოკები ურთ-იერთგადადგილდება; 2. ოკეანეში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ჩნდება **ცუნა-მი.** ეს არის დიდი სიგრძის ტალღა (100კმ-მდე), რომელიც ოკეანის სილრმეში წარ-მოიშობა, იქ მისი სიმაღლე ძალიან მცირება (1 მ-მდე), ამიტომ შუა ოკეანეში ცუნამი არ შეიმჩნევა. ნაპირთან მოახლოებისას, ზღვის სიღრმის შემცირების გამო, ცუნამის სიჩქარე კლებულობს, კატასტროფულად მცირდება მისი სიგრძეც. სამაგიეროდ, იზ-რდება სიმაღლე, რომელიც რიგ შემთხვევაში ათეულ მეტრს აღწევს. ჩნდება საშინე-ლი ძალის გიგანტური ტალღა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს. ძირითადად ცუნამის „დამსახურება“ ადამიანთა ის დიდი მსხვერპლი (60 000 კაცი), რაც ლისა-ბონის 1775 წლის მიწისძვრას მოჰყვა, ხოლო 1883 წელს კრაკატაუს ამოფრქვევისას სწორედ ცუნამმა შეიწირა 36 000 კაცის სიცოცხლე; 3. მიწისძვრა იწვევს ნგრევებს (როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში), ზვავებს, ნამზღვლევებს და ა.შ. ზოგჯერ ასეთი ზვავები გიგანტური ზომისაა. 4. ძლიერი მიწისძვრების დროს ხშირია კაშხლების და დამბების გაგლეჯა, რაც წყალდიდობის საბაბი ხდება; 5. მიწისძვრის დროს ზოგჯერ ქალაქებში ძლიერი ხანძარი ჩნდება. ამგვარმა ხანძარმა უდიდესი ზარალი მიაყენა ქ. სან-ფრანცისკოს (1906 წ.), და ქ. ტოკიოს (1923 წ.). ხანძრით არანაკლებ დაზარალდა 1963 წელს ქ. სკოპლე (მაკედონია).

ანკორიჯის (ალასკა) მიწისძვრა თავისი ძალით ერთ-ერთი უძლიერესი იყო ცნო-ბილ მიწისძვრათა შორის. ხოლო მის მიერ მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა 310 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. ცნობილია მიწისძვრები, რომელთაც ქალაქები მთლიანად დაუნგრევიათ, ან საგრძნობლად მოუოხრებიათ. ასეთი იყო, მაგალითად, სან-ფრანცისკოს (1906 წ.), აშხაბადის (1948 წ.), სკოპლეს (1963 წ.), ტაშკენტის (1966 წ.), ბუქარესტის (1977 წ.) მიწისძვრები.

უფრო საშინელი კი ის არის, რომ მიწისძვრათა შედეგად უამრავი ადამიანი იღუპება. დაღუპულთა რიცხვი ყოველწლიურად საშუალოდ 10 000 კაცს შეადგენს. იუნესკოს მონაცემებით, 1926-1950 წლებში მიწისძვრის შედეგად 310 000 კაცი დაიღუპა, ხოლო მატერიალურმა ზარალმა 10 მლრდ. დოლარი შეადგინა. ადამიან-თა მსხვერპლის თვალსაზრისით შემზარავია ჩინეთში მომხდარი მიწისძვრები. 1556 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად იქ დაიღუპა 830 000 კაცი, ხოლო 1976 წელს – 650 000. ამ თვალსაზრისით არანაკლებ სამინელი იყო ტოკიოს (1923 წ., დაიღუპა 160 000 კაცი) და ლისაბონის (1775 წ., დაიღუპა 60 000 კაცი) მიწისძვრები.

გასული ათწლეულების განმავლობაში კავკასიაში რამდენიმე კატასტროფული მიწისძვრა მოხდა, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1988 წლის სპიტა-კის მიწისძვრა (7.0 მაგნიტუდა, 9-10 ბალი), რის შედეგადაც 25,000 ადამიანი დაიღუ-პა. საქართველოში აღსანიშნავია 1920 წელს ქალაქ გორის მიდამოებში მომხდარი მიწისძვრა (მაგნიტუდა – 6.2, 8-9 ბალი), რომელმაც 150-მდე ადამიანი იმსხვერპლა. ასევე 1991 წლის რაჭის მიწისძვრა (მაგნიტუდა 7.0, 9 ბალი), დაიღუპა დაახლოებით

200 ადამიანი. მიწისძვრით გამოწვეულმა ნგრევამ ათასობით კვადრატული კილო-მეტრი მოიცვა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, თუ რა დამლუპველი სტიქიონია მიწისძვრა. ბუნებრივია, რომ ადამიანი მას იმთავითვე შიშით აღიქვამდა და ეს შიში არ გამქრალა დღესაც.

მიწისძვრების გეოგრაფიული განაწილება

ვულკანების მგავსად, მიწისძვრების გეოგრაფიული გავრცელება დაკავშირებულია წყნაროკეანურ და ხმელთაშუაზღვიურ სარტყლებთან, შუაოკეანური ქედების ზოლთან და აღმოსავლეთ აფრიკის რიფტულ ზოლთან. ძლიერი, დამანგრეველი მიწისძვრები ძირითადად კონტინენტების აქტიურ კიდეებთან არის დაკავშირებული, ან იმ ზონებთან, რომლებიც სულ ახლო გეოლოგიურ წარსულში ასეთ კიდეებს წარმოადგენდნენ. აქ თავმოყრილია მიწისძვრების 80-90%. მიწისძვრების კერების კონცენტრაციის ზონებს სეისმოფოკალური ზონები („სეისმოს“ – მიწისძვრა; ბერძნ. „ფოკალური“ – კერასთან დაკავშირებული) ჰქვია (სურ. 11.8).

ასეისმურია კრატონები, ოკეანური ფილების შიგა უბნები, ახალგაზრდა პლატფორმები. თუმცა გამონაკლისის სახით მიწისძვრები აქაც არის ცნობილი.

საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სეისმურად აქტიური ზონა შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში, ესაა კავკასიონის მთავარი ქედი, ჯავახეთის ზეგანი და აჭარა-თრიალეთის ქედი.

მიწისძვრების პროგნოზირება

ეს საკითხი მეტად აქტუალურია, რამდენადაც მასზე არის დამოკიდებული არა-თუ ცალკეული ქალაქების და იქ მცხოვრებთა, არამედ გარკვეულწილად ცალკეული ქვეყნების ბედიც კი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მიწისძვრების პროგნოზირების საკითხი დღეს მთლიანად, ან მნიშვნელოვნად მაინც, იყოს გადაჭრილი.

მიწისძვრების პროგნოზი გულისხმობს **ადგილის, დროის და ინტენსივობის (ძალის)** ნინასწარ განჭვრეტას. ამ სამიდან შედარებით იოლი გასარკვევია და ამ-დენად უფრო რეალური მომავალი მიწისძვრის ადგილის გარკვევა. უკვე ცნობილია, რომ მიწისძვრები უმეტესად ტექტონიკურად აქტიურ რეგიონებში ხდება. ამდენად, ადგილი თითქოს მითითებულია. რაც შეეხება დროს, აქ საქმე უფრო რთულადაა, თუმცა პროგნოზისათვის ზოგი მომენტი ცნობილია. კერძოდ, თუ მოცემულ რეგიონში მიწისძვრები გარკვეული პერიოდულობით ხდება, ეს მომენტი შეიძლება იქცეს დროის პროგნოზის ერთ-ერთ საყრდენად. სხვა შემთხვევაში, თუ მიწისძვრა დიდხანს არ ყოფილა, მისი განვითარების ალბათობა დიდად იზრდება.

ზემოთ დასახელებული ორივე მომენტი მიწისძვრის შორეულ პროგნოზს გულისხმობს. რაც შეეხება ახლო პროგნოზს, უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მოსალოდნელი მიწისძვრის წინ შესამჩნევად იცვლება მაგნიტური ველი, გარე-

მოსა აკუსტიკური თვისებები, ატმოსფეროს ელექტრული პოტენციალი, წყლების ჰიდროგეოქიმიური რეჟიმი. ანომალიურად იქცევიან ცხოველები.

დროის პროგნოზი ზოგჯერ მართლდება. ამის საუკეთესო მაგალითია ჩინეთში 1975 წელს მომხდარი მიწისძვრის (7.3-იანი მაგნიტუდით) წინასწარი განჭვრეტა, რამაც ათასეულობით ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.

ძალზე ძნელი ჩანს მიწისძვრის ინტენსივობის პროგნოზირება. მიწისძვრის პროგნოზირებას ერთგვარად აადგილებს ცალკეული რეგიონებისათვის შედგენილი სხვადასხვა მასშტაბის სეისმური დარაიონების რუკების არსებობა.

ერაერთი ღონისძიებით შეიძლება მომავალი მიწისძვრის შედეგებისაგან წინასწარი თავდაცვა. ასეთებია: მშენებლობის აკრძალვა ტექტონიკური რღვევების ზოლში, სეისმომედეგი შენობების აგება, ხანძარსანაალმდეგო ზომების მიღება და ა.შ.

თავი 14. ლითოსფეროს მთავარი სტრუქტურული ერთეულები

გაირკვა, რომ ლითოსფერო წარმოადგენს გეოსფეროს იმ ერთეულს, რომელიც მოიცავს დედამინის ქერქსა და მანტიის სულ ზედა ნაწილს, ანუ ის გეოსფეროა, რომელიც ასთენოსფეროს თავზე ძევს. ისევე როგორც დედამინის ქერქი, ის მთლიანად (მთელ ფართობზე) ეკვრის დედამინის შიგა სფეროებს. თავისი აგებულებით ლითოსფერო არ არის ერთგვაროვანი და რამდენადაც ეს არაერთგვაროვნება უმთავრესად მის „ქერქულ“ ნაწილში (ე.ი. დედამინის ქერქის ფარგლებში) მუდავნდება, ქვემოთ გამოყოფილი სტრუქტურული ერთეულები ერთდროულად ლითოსფეროსიც იქნება და დედამინის ქერქისაც.

დედამინის ქერქი ორგვარია – **კონტინენტური და ოკეანური**. ამ ორ ერთეულს შორის განსხვავება გამოიხატება არა იმდენად მორფოლოგიურ სხვაობაში, რამდენადაც აგებულებაში, სისქესა და შედგენილობაში. აქვე დავძენთ, რომ ლითოსფეროს სისქე კონტინენტებზე 150-200 კმ-ია (ალაგ 400 კმ-იც კი), ხოლო ოკეანეებში – 80-100 კმ.

14.1. ოკეანური ქარები

ოკეანური ქერქი, რომელსაც დედამინის ქერქის მთელი ფართობის 56% უჭირავს, თხელია (საშუალო სისქით 7 კმ-მდე) და სამი ფენისაგან შედგება. ზევიდან პირველი არის **დანალექი ფენა**, რომელიც წარმოდგენილია ღრმა ზღვის ნალექებით (ძირითადად კარბონატული და კაუიანი შლამები, პოლიგენური თიხები) და რომლის სიმძლავრე 0-დან (მუაოკეანურ ქედებზე) 10-15 კმ-მდე (ოკეანის პერიფერიები) მერყეობს. მისი საშუალო სიმძლავრე კი 0,6 კმ-ს შეადგენს.

დანალექ ფენას ქვეშ უძევს **ბაზალტური ფენა**, რომელიც სხვადასხვა ტიპის ბაზალტებით არის დახასიათებული. უმეტესი მათგანი წარმოდგენილია ბალიშა ლავების („პილოუ-ლავები“) სახით. სიმძლავრე 1,5 კმ-ია.

დაბოლოს, მესამე ფენა, რომელიც ოკეანური ქერქის ფუძეს წარმოადგენს, ძირითადად დახასიათებულია ზედა ნაწილში **გაბროს ტიპის ფუძე** ინტრუზიული ქანებით, ხოლო ქვედაში – **გაბროსა და ულტრაფუძე ქანების** (ულტრამაფიტები) მორიგეობით. სიმძლავრე 5 კმ-ია.

ოკეანური ფსკერის გეოლოგიური ასაკი 180 მილიონ წელს არ აღემატება. ყოველ შემთხვევაში ასე ისაზღვრება დანალექი ფენის ასაკი. რაც შეეხება მომდევნო ორ ფენას, მეცნიერთა აზრით, ისინიც დანალექი ფენის თანადროული ან თითქმის თანადროული უნდა იყვნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სხვადასხვა

გეოლოგიური ასაკის ძველი ოკეანური ქერქიც, რომელიც ფრაგმენტულად არის შემორჩენილი ამა თუ იმ რეგიონში და რომელთაც თვითონიტებს უწოდებენ.

ოკეანური ქერქი განვითარებულია შუაოკეანურ ქედებსა და აბისალურ ვაკეებზე.

14.2. კონტინენტური ქერქი

კონტინენტური ქერქი შედარებით ნაკლები გავრცელებით სარგებლობს, უკავია მინის ზედაპირის 41%. მისი საშუალო სისქე 35-40 კმ-ია, ხოლო მაქსიმალური – 75-80 კმ. მსგავსად ოკეანისა, ისიც სამი ფენისაგან შედგება, თუმცა მისი სამივე ფენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ოკეანური ქერქის შესაბამისი ფენებისაგან. ზედა, ყველაზე ახალგაზრდა ფენა აქაც დანალექია, ოღონდ არა ოკეანურის იდენტური. მისი სისქე 0-დან (კონტინენტური ფარები და ზოგი სხვა სტრუქტურა) 10-20, ზოგჯერ 25 კმ-მდე (კონტინენტური პლატფორმების პერიფერიები, ნაოჭა სისტემების მთისწინა და მთათაშუა როფები) მერყეობს. ამ ფენის ამგებ ქანებში ნამყანი როლი თხელი ზღვის ეპიკონტინენტურ დანალექ წყებებს ეკუთვნის, თუმცა არის აგრეთვე ლაგუნური, კონტინენტური და ზოგჯერ ბათიალური ზონის ნალექებიც კი. ალაგ ალნიშნავენ ფუძე ვულკანური ქანების განფენებსაც. დანალექი ფენის ამგები ქანების ასაკი ფართო დიაპაზონში მერყეობს, თუმცა უმეტესწილად 540 მილიონი წლიდან (ფანეროზოული ეონის დასაწყისი) მეოთხეულის ჩათვლით ისაზღვრება.

დანალექ ფენას ქვევით (სილრმეში) აგრძელებს გრანიტ-მეტამორფული ფენა, რომელიც ზედაპირზე კონტინენტურ ფარებსა და მასივებზე, აგრეთვე ნაოჭა სისტემების ღერძულ ნაწილებში შიშვლდება. ეს ფენა ძირითადად დახასიათებულია კრისტალური ფიქლებით, გნაისებით, ამფიბოლიტებით, გრანიტებით, ანუ მაგმური და მეტამორფული ქანებით (სახელწილებაც აქვთან მოდის). ამ ფენის სისქე მაქსიმალურია ნაოჭა სისტემებში (25-30 კმ), შედარებით ნაკლები – პლატფორმებზე (15-20 კმ).

კონტინენტური ქერქის ყველაზე ქვეშ მდებარე ფენას ნარმოადგენს გრანიტ-ბაზიტური ფენა. ეს ფენა ძნელად მისაწვდომია დამკვირვებლებისათვის, ამიტომ საკმაოდ სუსტად არის შესწავლილი. როგორც ფიქრობენ, ამ ფენის ამგები ქანები ზედა ფენის ქანებთან შედარებით უფრო ფუძე შედგენილობისაა და უფრო მეტად მეტამორფულიც. ფენის სიმძლავრე 10-30 კმ-ის ფარგლებშია.

ასაც შეეხება კონტინენტური ქერქის ქვედა ორი ფენის გეოლოგიურ ასაკს, ისიც ძალიან დიდ დიაპაზონში მერყეობს და მისი ქვედა საზღვარი შეიძლება 4000 მილიონ წლამდეც კი დავიდეს.

კონტინენტური ქერქი გავრცელებულია ხმელეთზე, შელფსა და კონტინენტურ ბექობზე.

დედამინის ქერქის ამ ორი უმთავრესი სახეობის გვერდით გამოყოფენ კიდევ მათ შორის გარდამავალს – სუბოკეანურ და სუბკონტინენტურ ქერქს. სუბოკეანური ქერქი ძირითადად გვხვდება განაპირა და შიგა ზღვების ქვაბულებში. სუბკონ-

ტინენტური ქერქი დამახასიათებელია კუნძულთა რკალებისათვის და ოკეანური ღრმაობების შიგა (კონტინენტისკენა) მხარეებისათვის.

კონტინენტები და ოკეანეები თავის მხრივ კიდევ უფრო მცირე ერთეულებად იყოფა. კონტინენტებზე ეს იქნება **ნაოჭა სარტყელები** ანუ **ოროგენები** და **კრატონები**, ოკეანეებში – **შუაოკეანური ქედები** და **აბისალური ვაკეები** (თალას-კრატონები).

ოკეანეებისა და ზღვების გეოლოგიური მოქმედების განხილვისას (თავი 10) მოკლედ გვქონდა საუბარი **შუაოკეანური ქედებისა და აბისალური ვაკეების შესახებ**. აქ დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ თუ შუაოკეანური ქედებისათვის დამახასიათებელია საკმაოდ აქტიური ვულკანიზმი (როგორც ნაპრალური, ისე ცენტრული), მიწისძვრები და შიგნეთიდან სითბური ნაკადების დიდი მოდენი, მსგავსი არაფერი შეიმჩნევა აბისალურ ვაკეებზე, რომლებიც ყველა ჩამოთვლილ მოვლენათა თვალსაზრისით ლითოსფეროს უაღრესად მშვიდი უბნებია. შეიძლება პარალელი გავატაროთ კონტინენტის სტრუქტურებთან და ვთქვათ, რომ იქ ასეთსავე (აბისალური ვაკეების მსგავს) წყნარ უბნებს კრატონები ქმნიან, მაშინ როცა ნაოჭა სარტყელები აქტიურია. რადგანაც აქტიურობაზეა ლაპარაკი, აქვე აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის ტექტონიკურად ყველაზე აქტიურ უბნებს, სეისმურობის, ვულკანიზმისა და დედამინის ქერქის მოძრაობის თვალსაზრისით, წარმოადგენენ კონტინენტებსა და ოკეანეებს შორის გარდამავალი უბნები – ოკეანური ღრმულები (ღრმაობები), კუნძულთა რკალები და განაპირა ზღვების ქაბულები.

კრატონები კონტინენტის დიდი სტრუქტურებია (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის კრატონი), რომელთა აგებულება ორსართულიანია – ქვედა სტრუქტურული სართული, რომელსაც **კრისტალურ ფუნდამენტი** უწოდებენ, ჩამოყალიბებულია ძალიან ადრე, გვიანარქეულ-პროტეროზოურში (1650-540 მლნ. წლების წინ). ის აგებულია დანაოჭებული, ძლიერ მეტამორფული წყებებით, რომლებიც გაკვეთილია მაგმური ინტრუზივებით, უმთავრესად გრანიტებით.

კრისტალური ფუნდამენტის გადარეცხილ ზედაპირზე უთანხმოდ დევს ზედა სტრუქტურული სართული, რომელსაც **დანალექ საფარს** უწოდებენ. ეს არის ჰორიზონტული ან სუბპორიზონტული შრეებრიობის მქონე, ძირითადად თხელი (მარჩხი) ზღვის ქანებით აგებულ წყებათა კომპლექსი, თუმცა მასში არცთუ იშვიათია ლაგუნური და კონტინენტური ქანებიც. გამონაკლისის სახით გვხვდება ვულკანური წარმონაქმნებიც (ტრაპები). დანალექი საფარის ასაკი ფანეროზოულია.


კრატონი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთ ნაწილს, რომელიც მხოლოდ ქვედა სტრუქტურული სართულით, ანუ კრისტალური ფუნდამენტით არის წარმოადგენილი, **ფარი** ეწოდება, ხოლო მეორე ნაწილს, ორსართულიანს, ანუ ისეთს, რომელიც ზემოთ აღვნერეთ, **ბაქანი** ჰქვია. აქედან გამომდინარე, კრატონის ფორმულა ასეთი იქნება – კრატონი = ფარი + ბაქანი. ამის კონკრეტული მაგალითია აღმოსავლეთ ევროპის კრატონი, რომელიც ბალტიისა და უკრაინის ფარებისა და რუსეთის ბაქანისაგან შედგება.

როგორც დავინახეთ, კრატონი ისეთი სტრუქტურაა, რომლის კრისტალური ფუნდამენტის ასაკი არქეულ-პროტეროზოურია. არის სხვა სტრუქტურები, ე.ნ. „ახალგაზრდა პლატფორმები“, რომელთა კრისტალური ფუნდამენტის ასაკიც პროტეროზოურზე გაცილებით უფრო ახალგაზრდაა. ამ სტრუქტურებს კრატონისაგან ასაკის გარდა კიდევ ორი თვისება გამოარჩევს – ჯერ ერთი, მათ თითქმის არასოდეს აქვთ ფარები და მხოლოდ ბაქნური ნაწილით არიან ნარმოდგენილი. და მეორეც, ეს სტრუქტურები ყოველთვის ნაოჭა სარტყლების ფარგლებშია განვითარებული. და კიდევ, ისინი კრისტალური ფუნდამენტის სუსტი მეტამორფიზმით ხასიათდებიან. სხვაგვარად მათ შეიძლება „ახალგაზრდა ბაქნები“ ეწოდოს. ასეთი იქნება, ვთქვათ, სკვითური ბაქანი (პლატფორმა) ყირიმ-კავკასიაში.

როგორც უკვე აღინიშნა, ფარების გავრცელების ზოლში ზედაპირზე კრისტალური ფუნდამენტია გაშიშვლებული, ხოლო ბაქნების ზოლში ის დაძირულია სხვა-დასხვა სიღრმეზე და ზევიდან დანალექი საფარით არის გადაფარული. საფარის სისქე 0-დან 20-25 კმ-მდე მერყეობს. დანალექ საფარში სხვადასხვა სახის სტრუქტურებია განვითარებული, რომელთაგან რანგით უმაღლესი სინეკლიზები და ანტეკლიზებია. **სინეკლიზა** დიდი, თითქმის ბრტყელი იზომეტრული ან წაგრძელებული ფორმის დეპრესია, რომლის ქვეშაც კრისტალური ფუნდამენტი ღრმად, 2000 მ-ზე მეტად არის დაძირული, ხოლო შრეების დაქანება ცენტრისკენულია (ცენტრიკულინური). **ანტეკლიზა** ასევე დიდი, იზომეტრულ-წაგრძელებული ფორმის თაღისებური სტრუქტურაა, ქანების პერიკლინური დაქანებით, შედარებით ამონეული კრისტალური ფუნდამენტით და, შესაბამისად, თხელი დანალექი საფარით (0-დან 2000 მ-მდე). შევნიშნავთ, რომ შრეთა დაქანებას სინეკლიზებსა და ანტეკლიზებში რამდენადმე პირობითი ხასიათი აქვს, რადგანაც ის (ზოგი მომენტის გამორიცხვით) სულ რაღაც 1°-ის ფარგლებშია.

დღეისათვის ცნობილი კრატონებია: **ჩრდილო ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის, ციმბირის, ჩინეთ-კორეის, სამხრეთ ამერიკის, აფრიკის** (ან აფრიკა-არაბეთის), **ინდოეთის, ავსტრალიის და ანტარქტიდის** (სურ. 14.1).

ნაოჭა სარტყლები ანუ ოროგენები. ნაოჭა სარტყლები კონტინენტის ის ნაწილებია, სადაც ფანეროზოულში მთების წარმოშობა მომხდარა. სწორედ ამიტომ მათ მეორე სახელიც აქვთ – „**ოროგენები**“. ეს არის კრატონებს შორის გამავალი, მრავალ ათას კილომეტრზე გადაჭიმული საკმაოდ დიდი სიგანის (1000 კმ-მდე) სტრუქტურები, რომლებიც ზოგან ერთმანეთს უერთდებიან კიდეც. დღეისათვის ცნობილია ხუთი ნაოჭა სარტყელი: **წყნაროკეანური, ჩრდილოატლანტიკური, ურალ-ოხოტის, ხმელთაშუაზღვიური (ალპურპიმალაური), არქტიკული.** ამ სტრუქტურებიდან ოთხი კონტინენტიშორისია, წყნაროკეანური კი კიდურაა, გადის წყნარი ოკეანისა და კონტინენტების კიდეებზე. მას, ჩვეულებრივ, ორ ნაწილად ყოფენ: **დასავლეთ წყნაროკეანური, რომელიც ევრაზის აღმოსავლეთ სანაპიროს მიუყვება, და აღმოსავლეთ წყნაროკეანური, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების დასავლეთ კიდეს გასდევს** (სურ. 14.1).



სურ. 14.1. კრატონებისა და ნაოჭა სარტყლების განაწილების თანამედროვე სურათი:

1 – ნაოჭა სარტყლები, 2 – კრატონები.

ნაოჭა სარტყლები: 69 – წყნაროკეანური, ხმ – ხმელთაშუაზღვიური,

ჩბ – ჩრდილოატლანტური, უმ – ურალ-ოხოტის, პ – არქტიკის

(Хайн В.Е., Ломизе М.Г., 1995)

ნაოჭა სარტყლები რთული, არაერთგვაროვანი აგებულებისაა, ხასიათდება მაღალმთიანი რელიეფით და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ისინი ძირითადად ახალგაზრდა ნაოჭა სისტემების ერთიანობას წარმოადგენს. მაგალითად, ხმელთა-შუაზღვიურ ნაოჭა სარტყელში, რომელიც ატლანტის ოკეანიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვამდე ვრცელდება, შედის პირენეები, ალპები, კარპატები, ბალკანები, პონტიდები, კავკასია, ჰიმალაი და სხვ. აქვეა ახალგაზრდა ბაქენებიც – დასავლეთ ევროპის, სკვითური, თურანის.

ნაოჭა სარტყლებში გამოყოფენ უფრო მცირე ერთეულებს, **ნაოჭა სისტემებს**. ისინი ერთმანეთისაგან მთათაშუა ოლქებით არის განმხოლოებული (მაგალითად, კავკასიონის და მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემები ერთმანეთისაგან ამიერკავკა-სიის მთათაშუებით არის გამოყოფილი).

ნაოჭა სარტყლები ხასიათდება ქერქის მაქსიმალური სისქეებით (50-75 კმ), დანალექი საფარის ძლიერი დისლოკაციით (ნაოჭა, წყვეტითი), ნაოჭა სისტემათა ცენტრალურ ნაწილებში მაგმური და მეტამორფული ქანების ფართო გავრცელებით, ძლიერ დანაწევრებული რელიეფით.

თანამედროვე შესედულებებით ნაოჭა სარტყლების ჩამოყალიბება-განვითარება კონტინენტების აქტიურ კიდეებზე ხდება.

თავი 15. ლითონუროს ტექტონიკური მოძრაობა

ტექტონიკური მოძრაობა ლითონუროს სტრუქტურის შეცვლას გულისხმობს. ამ მოძრაობის ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთი შედეგი ახალგაზრდა მთათა სის-ტემების, უფრო ვრცლად კი კონტინენტების ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტის – ნაოჭა სარტყლების ჩამოყალიბებაა.

როგორ ნარმოშობა მთები? ეს პრობლემა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევ-და. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დღეისათვის მთების ნარმოშობის არაერთი ჰიპოთეზაა ცნობილი, რომლებიც, ფაქტობრივად, XVIII–XX საუკუნეებში გაჩნდა. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი – **ვულკანური**, იგივე **აზევების** (ა. ჰუმბოლდტი, ლ. ფონ ბუხი), **კონტრაქციული** (ე. დებომონი), **პულსაციური** ანუ **ოსცილაციური** (ჰარმანი), **ქერქსევეშა დინებების** (ო. ამპფერერი), **მატერიკების დრეიფის** (ა. ვეგენერი). ყველა ოროგენეტულ („ოროს“ მთა, „გენეზის“ – ნარმოშობა, ბერძ.) ჰი-პოთეზას სხვა ნაკლთან ერთად ერთი საერთო ნაკლი გააჩნდა – ისინი დამაკმაყოფილებლად ვერ ხსნიდნენ მთების ნარმოშობის უაღრესად რთულ საკითხს.


15.1. ფილების ტექტონიკა

XX საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა (გეოლოგთა და გეოფიზიკოსთა) რუდუნებით ჩამოყალიბდა მეტად საინტერესო კონცეფცია, რომელიც იმდენად დასაბუთებულად და დამაჯერებლად ხსნის ლითონუროს მოძრაობის მეტად რთულ საკითხებს, რომ გეოლოგიური თეორიის რანგი დაიმსახურა. ამ თეორიას თავდაპირველად „ახალი გლობალური ტექტონიკა“, ცოტა მოგვიანებით კი „ფილების ტექტონიკა“ ეწოდა.

ვიდრე „ფილების ტექტონიკას“ არსა შევეხებოდეთ, მოკლედ გავეცნოთ ა. ვეგენერის „**მატერიკების დრეიფის**“ ჰიპოთეზას, რომელიც საფუძვლად დაედო ახალ თეორიას. აღსანიშნავია, რომ ყველა სხვა ჰიპოთეზა ლითონუროს ან მიწის ქრქის შემადგენელი ნაწილების უმნიშვნელო გადაადგილებას თუ აღიარებდა. მაშინ, როდესაც ვეგენერის ჰიპოთეზის დედაარსი, როგორც ამას სახელწოდებაც გვიჩვენებს, დედამიწის ქრქის მსხვილი სტრუქტურული ერთეულების მასშტაბურ მოძრაობაზე მიუთითებს. ამიტომაც ვეგენერის ეს შეხედულება **მობილიზმის** („მობილ“ მოძრავი; ფრანგ.) სახელითაა ცნობილი, ნინააღმდეგ ყველა სხვა დანარჩენ ავტორთა **ფიქსიზმისა** („ფიქსუს“ – მყარი, უცვლელი, დათ.).

ა. ვეგენერის ჰიპოთეზა რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს ეყრდნობოდა: 1) კონტინენტების მოხაზულობის მსგავსება. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა სამხრეთ ამერიკასა და აფრიკას. მართლაც, იმდენად დიდია მსგავსება სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ და აფრიკის დასავლეთ კიდეების მოხაზულობაში, რომ მიახლოებისას ეს ორი

კონტინენტი ერთმანეთში კარგად „ჯდება“. ასევე კარგად „ჯდება“ ერთმანეთში ჩრდილო ამერიკა, გრენლანდია და ჩრდილო-დასავლეთ ევროპა და ა.შ. გამოდის, რომ გეოლოგიურ წარსულში (გვიანპალეოზოურსა და ტრიასულში) დედამიწაზე ყოფილა ერთიანი კონტინენტი, რომელსაც ა.ვეგენერმა **პანგეა** უწოდა და რომელიც მისივე აზრით იურულ პერიოდში ცალკეულ კონტინენტებად დაიყო (სურ. 15.1);



სურ. 15.1. ვეგენერის მონაცემებზე დაყრდნობით
დღეს ასე წარმოუდგენიათ პანგეა
(ე.ბულარდისა და სხვათა მიხედვით; Хайн и др., 1995)

2) პანგეას არსებობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ სამხრეთ ნახევარსფეროს მატერიკებზე (სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია, ანტარქტიკა) და ინდოეთში ნაპოვნი იყო გვიანპალეოზოური ასაკის, ფაქტობრივად, ერთნაირი ხმელეთის ფაუნა და ფლორა (მტკნარი წყლის თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები და განსაკუთრებით ე.წ. „ვლოსოპტერისის ფლორა“), ცხადია, ნამარხების სახით. ხმელეთის ორგანიზმების ამგვარი გავრცელება ერთიანი კონტინენტის პირობებში იქნებოდა მხოლოდ შესაძლებელი, დღევანდელობის მსგავს პირობებში მათ მიგრაციას კონტინენტიდან კონტინენტზე სხვა რომ არა, ორი ოკეანე (ატლანტის და ინდოეთის) აღუდგებოდა წინ; 3)სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ინდოეთსა და ავსტრალიაში ნაპოვნი იყო მყინვარული წარმოშობის ქანები გვიანპალეოზოურ-ტრიასული ასაკისა, რაც სამხრეთ ნახევარსფეროში იმ პერიოდში არსებულ ძლიერ ზენრულ გამყინვა-


რეპაზე მიუთითებს (ზენტრული გამყინვარება კი სწორედ დიდ კონტინენტებზე ვითარდება. ანტარქტიდისა და გრელანდის დღევანდელი ზენტრული მყინვარები დიდი მეოთხეული გამყინვარების ნარჩენებია მხოლოდ). აქედან გამომდინარე, ეს ზენტრული გამყინვარებაც ერთიან კონტინენტზე უნდა მომხდარიყო; 4) კონტინენტების ქვეშ გრანიტული ფენაა, ოკეანეების ქვეშ კი ბაზალტური. რა მოუვიდა ოკეანეების ქვეშ არსებულ გრანიტულ ფენას? ის ვერ ჩაიძირებოდა ოკეანურ ქერქში (ფენაში), რადგანაც უფრო მსუბუქია. გამოდის, რომ გადაადგილდა. საბოლოო დასკვნა კი ასეთი იყო – გვიანპალეოზოურში არსებობდა ერთიანი კონტინენტი, პანგეა, რომელიც შემდგომ (ცალკეულ კონტინენტებად დაიყო. კონტინენტთა ერთი ნაწილი (ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა) „გაცურდა“ სიმატურ (ბაზალტურ) ქერქზე დასავალეთი მიმართულებით. მოძრაობისას მათ წინა (ფრონტალურ) ნაწილში, გრანიტულ და ბაზალტურ ქერქს შორის წარმოშობილი დიდი წინააღმდეგობის გამო, გაჩნდა ნაოჭა მთები კორდილიერებისა და ანდების სახით. რადგანაც ასეთი წინააღმდეგობა არ იყო კონტინენტის „გახლეჩის“ ზოლში (ატლანტის ოკეანის ორივე სანაპირო), იქ მთები არ წარმოშობილა.

ამგვარად გაჩნდა ერთობ გონებამახვილური შეხედულება კონტინენტების დრეიფის შესახებ.

ა. ვეგენერის მეტად საინტერესო ჰიპოთეზის ნაკლოვან მხარეებზე არაფერს ვიტყვით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ძნელია მოიძებნოს ის ძალა, რომელიც შეძლებდა დედამიწის მყარი სიალური (გრანიტული) ქერქის ასევე მყარ სიმატურ (ბაზალტურ) ქერქზე ათასეულ კილომეტრებზე გადაადგილებას.

„ფილების ტექტონიკის“ ავტორებმა შესანიშნავად გამოიყენეს ვეგენერისეული მონაცემები. მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ იყო. ამიტომ მათ ამ ვეგენერისეულ ფაქტებს სხვა ახალი და ამავე დროს მნიშვნელოვანი მონაცემები დაუმატეს, რომლებმაც განაპირობეს კიდეც ახალი თეორიის შექმნა.

რას გულისხმობს ეს ახალი მონაცემები? როგორც ადრეც აღვნიშნეთ, XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში დაიწყო ოკეანის ფსკერის ინტენსიური შესწავლა, რომელმაც ბევრი ახალი ცოდნა შესძინა მეცნიერებას. ამ ცოდნას სხვა მონაცემებიც დაემატა. საბოლოოდ კი ვეგენერისეული ჰიპოთეზის საძირკველზე ახალი თეორია დაფუძნდა. შევეხოთ ამ ახალი მონაცემებიდან უმთავრესს – 1) ჩვენ ლითოსფეროს აღვიქვამდით როგორც ერთიან სხეულს. სინამდვილეში კი ის ცალკეული ნაწილების, ფილებისაგან აგებული აღმოჩნდა. დღეისათვის ცნობილია შევიდი დიდი და დაახლოებით ამდენივე მცირე ფილა. დავასახელებთ მხოლოდ დიდ ფილებს: ჩრდილო ამერიკის, ევრაზიის, სამხრეთ ამერიკის, აფრიკის (ზოგჯერ ამბობენ აფრიკა-არაბეთის), ავსტრალიის (ინდოსტან-ავსტრალიის), ანტარქტიკისა და წყნარი ოკეანის. ფილათა უმეტესობა ერთდროულად მოიცავს როგორც ოკეანურ, ისე კონტინენტურ ქერქს (მაგალითად, ევრაზიის, აფრიკის), ზოგი კი – მხოლოდ ოკეანურ ქერქს (მაგალითად, წყნარი ოკეანის) (სურ. 15.2). ფილებს შორის საზღვარი დგინდება მიწისძვრების ინტენსივობის მიხედვით. გაირკვა, რომ მიწისძვრის ეპიცენტრები დიდი რაოდენობით სწორედ ფილათა საზღვარზე იყრის



სურ. 15.2. ლითოსფერული ფილები.

ისრებით ნაჩვენებია ფილათა მოძრაობის მიმართულება

(კ. მინსტერისა და თ. ჯორდანის მიხედვით; ხайн, ლომიზე, 1995)

თავს, მაშინ როცა ფილების შიგა ნაწილები, ფაქტობრივად, ასეისმურია. ფილებს შორის სამი ტიპის საზღვარს გამოყოფენ: დივერგენტულს, კონვერგენტულსა და ტრანსფორმულს. **დივერგენტული** („დივერგენცია“ – დაცილება, ლათ.) საზღვარი გულისხმობს ფილების ერთმანეთის საპირისპიროდ გადაადგილებას, **კონვერგენტული** („კონვერგერე“ – მიახლოება, ერთმანეთთან შეყრა, ლათ.), პირიქით, ერთმანეთისაკენ, ხოლო **ტრანსფორმული** – ერთი ფილის მეორის გასწვრივ გადაადგილებას ვერტიკალური რღვევის ზოლში; 2) აღმოჩენილ იქნა **შუაოკეანური ქედები**, რომლებიც ფილების დივერგენტული საზღვრების ზოლშია განვითარებული, და მათი მართობულად მკვეთი ტრანსფორმული რღვევები. ამასთანავე ოთხივე ოკეანის შუაოკეანური ქედები, ფაქტობრივად, ერთიან სისტემას ქმნის (სურ. 10.2); 3) ოკეანური ქერქი როგორც შედგენილობით, ისე სისქით მკვეთრად განსხვავდება კონტინენტურისაგან. თანაც უაღრესად საგულისხმოა ისიც, რომ ოკეანური ქერქის დანალექი საფარის სისქეები მატულობს შუაოკეანური ქედებიდან (სადაც ნულის ტოლია) ოკეანის პერიფერიებისაკენ. და რაც მთავარია, ამავე მიმართულებით იზრდება (ძველდება) მისი გეოლოგიური ასაკიც, რომელიც თანამედროვედან 180 მილიონ წლამდე მიდის; 4) უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ასთენოსფეროს აღმოჩენა.

ასთენოსფერო ხომ პლასტიკურ სფეროს წარმოადგენს. ამდენად, შედარებით ად-

ვილია იმის წარმოდგენა, რომ გარკვეული ძალების არსებობის შემთხვევაში მყარი ლითოსფერო შესაძლებელია გადაადგილდეს მის ქვეშ მდებარე პლასტიკურ ასთენოსფეროზე; 5)არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **პალეომაგნეტიზმის** აღმოჩენაც. საქმე ისაა, რომ დედამიწის ქერქის ამგები მინერალ მაგნეტიტის შემცველი ზოგიერთი ქანი (მაგალითად, ბაზალტი) წარმოშობისას დამაგნიტებას განიცდის ისე, რომ მისი მაგნიტური ველის მიმართულება იმ დროს არსებული მაგნიტური მერიდიანის პარალელურია. ქანი ასეთ დამაგნიტებას არსებობის ბოლომდე ინარჩუნებს. ასეთ ქანში პალეომაგნეტური მეთოდებით ისაზღვრება როგორც მისი წარმოშობის ადგილი (გეოგრაფიული განედი), ისე მისი პირვანდელი განლაგება. ამგვარად, შეიძლება გავიგოთ ქანის პალეოგანედი და გავზომოთ კუთხე, რომლითაც შებრუნდა დროთა განმავლობაში დამაგნიტებული ქანით აგებული კონტინენტი (ლითოსფერული ფილა). და აი, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა კონტინენტზე არსებული ერთი და იმავე ასაკის ამგვარი ქანები განსხვავებული მიმართულების მაგნიტურ ველებს აჩვენებენ, რაც წარმოუდგენელია, რადგან გამოდის, რომ ყველა კონტინენტის ქანს საკუთარი მაგნიტური პოლუსი ჰქონია. დედამიწა კი ამ თვალსაზრისით ბიპოლარულია, ხოლო, პალეომაგნიტური მონაცემების გათვალისწინებით, კონტინენტების გადაადგილებისა და მათი სათანადო კუთხით შებრუნების შემთხვევაში დამაგნიტებულ ქანთა ველები ერთმანეთს დაემთხვევა. სრულიად აშკარაა, რომ პალეომაგნეტიზმი ცალსახად მიუთითებს კონტინენტების, ან რაც ამ შემთხვევაში იგივეა, ლითოსფერული ფილების მოძრაობაზე. ამგვარი გაანგარიშებით ცნობილი გახდა, რომ ინდოსტანი, რომელიც გვიანპალეოზოურში აფრიკის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთით მდებარეობდა, ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 8000 კმ-ზე გადაადგილდა.


ამგვარად, ლითოსფერული ფილების, ან შეიძლება ვთქვათ, კონტინენტების მოძრაობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სხვათა შორის, სუპერკონტინენტის დაშლასა და მისი ცალკეული ნაწილების დრეიფზე (ამ შემთხვევაში ძირითადად ზემოთ ხსენებული სამხრეთ ნახევარსფეროს კონტინენტები იგულისხმება) მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იურული პერიოდიდან მოყოლებული მათი ხმელეთის ფაუნა და ფლორა ერთმანეთისაგან უკვე აშკარად განსხვავებულია. ვფიქრობთ, რომ ფილების მოძრაობას ადასტურებს კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო ფაქტი – როგორც ცნობილია, რიფის მშენებელი მარჯნები თბილი ზღვის მოყვარული ფორმებია. დღეისათვის ისინი ჩრდილო და სამხრეთ განედების 30°-მდე ვრცელდებიან მხოლოდ, უფრო მაღალ განედებში კი აღარ გვხვდებიან. ძველი გეოლოგიური ასაკის მარჯნის რიფები კი ცნობილია გაცილებით უფრო მაღალ განედებზე, პოლარული წრის იქითაც კი (კანადის ჩრდილო რაიონებსა და გრენლანდიაში). თუ არა კონტინენტების დრეიფი, ცოტა ძნელია რიფის მშენებელი მარჯნების „ცივ ქვეყნებში“ განსახლების წარმოდგენა. ლითოსფერული ფილების მოძრაობა კოსმოსური გეოდეზითაც დასაბუთდა.

დაბოლოს, სათქმელი დარჩა უმთავრესი – თუ როგორ ესმით ახალი თეორიის ავტორებს ლითოსფერული ფილების მოძრაობა.

ახალი თეორიით კონტინენტურ ქერქზე ხდება რიფტის ჩასახვა, რომელიც საბოლოოდ კონტინენტს ორად გაყოფს. რიფტულ ზოლში მანტიიდან ზედაპირზე ამო-

დის მაგმური მასალა, რომლის გაცივებითაც შუაოკეანური ქედების სახით ახალი (ახალგაზრდა) ოკეანური ქერქი ფორმირდება. იწყება **სპრედინგი** („სპრედინგი“ – გაჭიმვა, გაფართოება, ინგლ.), რომლის მეშვეობითაც ოკეანური ქერქი შუაოკეანური ქედების ზოლიდან ოკეანის პერიფერიულისაკენ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით გადაადგილდება (გავიხსენოთ, რომ რიფტის გაჩენისა და სპრედინგის დაწყების შემდეგ ეს არის ლითოსფერულ ფილათაშორისი დივერგენტული საზღვარი). ოკეანური ქერქი პერიფერიულისაკენ მიიჩევს, შუაოკეანური ქედის ზოლში კი სულ ახალი და ახალი ქერქი ჩნდება. ოკეანური ქერქის გადაადგილების ტემპი სხვადასხვაა და ზოგადად განისაზღვრება ერთეული სანტიმეტრებით წლიწადში.

შემხვედრი მოძრაობის მქონე ფილასთან შეჯახებისას, ფილათა კონვერგენტულ საზღვარზე, რომელიც ყოველთვის ოკეანური ღრმაობით არის გამოხატული, ოკეანური ქერქი, როგორც უფრო მძიმე, შემხვედრი კონტინენტური ქერქის ქვეშ იძირება. ეს ხდება ე.წ. **სუბდუქციის ზონაში** (სურ. 15.3). როგორც ვხედავთ, ოკეანური ქერქი მუდმივ განახლებას განიცდის – ნარმოიშობა შუაოკეანური ქედების (სპრედინგის) ზოლში და ისპობა ოკეანური ღრმულების (სუბდუქციის) ზონაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოკეანეთა შორის უძველესის – წყარი ოკეანის ფსკერის ამგები ქანების გეოლოგიური ასაკი იურულზე ძველი (დაახლ. 180 მლნ. წ.) არ არის. შეჯახებისას ოკეანური ქერქის ზედა ნაწილი შეიძლება თავზე გადაევლოს კონტინენტურ ქერქს. ასეთ მოვლენას **ობდუქციას** უწოდებენ. თუ ერთმანეთს ორი კონტინენტური ფილა შეეჯახა, გვექნება **კოლიზია**. ყველა შემთხვევაში შეჯახების შედეგად ძლიერი დანაოჭება ხდება, თანმყოლი ძლიერი მეტამორფიზმითა და მაგმატიზმით. შედეგად კი ახალგაზრდა მთათა სისტემები წარმოიქმნება.



სურ. 15.3. სპრედინგისა და სუბდუქციის ზონები. სპრედინგის ზონიდან ხდება ლითოსფერული ფილების ურთიერთსანინალმდევო მიმართულებით გადაადგილება, ხოლო სუბდუქციის ზონაში, ოკეანური ღრმულების ზოლში, ფილების ურთიერთშეჯახების შედეგად ერთი ფილა იძირება მეორის ქვეშ.

ა – სუბდუქციის ზონა, ბ – სპრედინგის ზონა


(სალივენის მიხედვით; Алисон, Палмер, 1984)

რა წარმოადგენს ლითოსფერული ფილების გადაადგილებისათვის საჭირო ენერგიის წყაროს? უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ფილების ტექტონიკის თეორიის ყველაზე სუსტი ადგილია. თითქოს დადგენილია, რომ მთელ მანტიაში (ასთენოს-ფეროს ჩათვლით) კონვექციური დინებებია. მათი მეშვეობით აღმავალი სითბური ნაკადი შუაკეანური ქედების რიფტულ ზონებში ასთენოსფეროს ზედა საზღვრამდე ადის, შემდეგ ჰორიზონტალურად გაედინება ფილების კონვერგენტულ საზღვრამდე და გაცივებული და დამძიმებული სუბდუქციის ზონის ქვევით, შეგნე-თისკენ ეშვება. ამგვარი მოძრაობისას სითბური ნაკადი შუაკეანური ქედის ზონი-დან თან წარმოადგენს ლითოსფეროს (კონვეიერის ლენტის მსგავსად), რომელსაც ჩა-ძირავს კიდეც სუბდუქციის ზონაში.

როგორც ფიქრობენ, დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში ლითოსფერული ფილების ტექტონიკური მოძრაობა გვიანპროტეროზოურიდან (დაახლოებით 1500 მლნ. წლიდან) იწყება.

„ცხელი ლაქები“. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლითოსფერული ფილების შიგა უბნები ასეისმურია. ეს მართლაც ასეა, თუმცა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა გეოლო-გიური პროცესების მიმართ (როგორიცაც დისლოკაციები, მაგმატიზმი) ეს უბნები აბსოლუტურად ინერტული იყოს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ ცენტრული ვულკანიზმის კერები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული მთელ დედამინაზე ძირითადად სწორედ ფილების შიგა ზონებში. მათ „ცხელი ლაქები“ („ჰოთ სპოთები“) ეწოდება. საინტერესოა „ცხელი ლაქების“ წარმოშობის ჰიპოთეზა, რომელიც წყნარ კერანები მდებარე ჰავაისა და მის მეზობელ წყალქვეშა, იმპერატორის ქედზე დაკვირვებით შეიქმნა (სურ. 15.4). ჰავაის ქედი წარმოადგენს ვულკანურ კუნძულთა ერთობლიობას, რომელიც აღმოსავლეთ – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით არის გადაჭიმული. ქედი იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნანილში მდებარე ჰავაის კუნძულით, რომელზეც დღეს მოქმედი ცნობილი ვულკანები მაუნა-ლოა, კილაუეა და მაუნა-კეა განლაგებული. ქედის ამგები ყველა მომდევნო კუნძული წარმოდგენილია ჩამქრალი ვულკანებით. თანაც საყურადღებოა, რომ ამ ვულკანების გეოლოგიური ასაკი ჩრდილო-დასავლე-თი მიმართულებით თანდათან იზრდება (ძველდება) და ქედის დასავლეთ – ჩრდი-ლო-დასავლეთ დაბოლოებაზე ეოცენამდე (დაახლ. 42 მლნ. წ.) მიდის. ჰავაის ქედს ჩრდილო-დასავლეთით აგრძელებს მთლიანად ჩამქრალი ვულკანებით აგებული წყალქვეშა იმპერატორის ქედი, რომლის ვულკანურ ნაგებობათა ასაკი ზოგადად სამხრეთიდან ჩრდილო მიმართულებით ეოცენიდან გვიან ცარცულამდე (დაახლ. 78 მლნ. წ.) იზრდება.

აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს ვულკანების ასაკის თანმიმდევრულ ზრდასთან თანამედროვედან გვიან ცარცულამდე. თითქოს ხდებოდა ვულკანური კერების გადაადგილება ზოგადად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით. ცოტა სხვაგვარად ფიქრობენ ჯ. ვილსონი და ჯ. მორგანი, რომლებმაც მეტად მოხდენილი ჰიპოთეზა შემოგვთავაზეს. მათი აზრით ვულკანური კერა ერთი იყო და დღესაც ერთი არის. ის მდებარეობს ჰავაის კუნძულების ქვეშ, ღრმად მანტი-



**სურ. 15.4. „ჰოთ სპოთის“ მაგალითი
(ჰავაის ქედისა და იმპერატორის მთების მონაცემებით)**

აში. იქიდან ამოსული მაგმით გამოწვეული ვულკანური პროცესები მიმდინარეობს მთელი 78 მილიონი წლის განმავლობაში. ვულკანური კერა უძრავია. მაგრამ მოძრაობს წყნაროკეანური ფილა, თანაც ზოგადად ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ ფილასთან ერთად ვულკანური კონუსიც გადაადგილდება იმავე მიმართულებით, ხოლო მის ადგილზე (ვულკანური კერის თავზე) ახალი კონუსი ჩნდება. და ასე მეორდება უნივერგალი 78 მილიონი წლის განმავლობაში. ამგვარად წარმოიშვა ჰავაისა და იმპერატორის ვულკანური ქედები, რომლებზეც ყველაზე ახალგაზრდა ვულკანები (თანამედროვე) უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჰავაის კუნძულზე გვაქვს, ხოლო ყველაზე ძველი (78 მლნ.წ. ასაკისა) – იმპერატორის ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებაზე. ამასთანავე ვულკანურ კონუსთა თუ წარმონაქმნთა ასაკი თანდათან იზრდება (ძველდება) სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით. თუ „ცხელი ლაქების“ ჰიპოთეზა სიმართლეს ემყარება, მაშინ შეგვიძლია გავარკვიოთ ფილების მოძრაობის არა მარტო მიმართულება, არამედ მოძრაობის ტემპიც.

15.2. წროგენეზისი

როგორც უკვე ითქვა, ოროგენეზისი მთების წარმოშობას წიშნავს. ეს პროცესი კი მიმდინარეობს ლითოსფერული ფილების კონვერგენტულ ან, სხვაგვარად, კონტინენტების აქტიური კიდეების ზონებში, რომელთაც ადრე დღეისათვის

უკვე მოძველებული სახელი – გეოსინკლინი ერქვა, დღეს კი მოძრავი სარტყელი ჰქვია. მთების წარმოშობა მეტად ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ათეული მილიონი წლების განმავლობაში გრძელდება. ამავე დროს, ეს პროცესი არ არის დროში უწყვეტი. დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში გამოყოფა პერიოდები მთათა წარმოშობისა (ე.წ. გეოკრატული პერიოდები) და პერიოდები სიმშვიდისა (თალასოკრატული პერიოდები). გეოკრატულ პერიოდში მთების წარმოშობა მიმდინარეობდა ოროგენეტული ციკლების განვითარებით. ამ შინაარსით ცნობილია კალედონური (სილურული), პერცინული (გვიანპალეოზოური), კიმერიული (გვიანტრიასულ-იურული) და ალპური (ცარცულ-კაინოზოური) ოროგენეტული ციკლები ან უბრალოდ ოროგენეზისა. ამ ოროგენეტული ციკლების შედეგად ჩამოყალიბებულ მთათა სისტემებს, შესაბამისად, კალედონიდები, პერცინიდები, კიმერიდები და ალპიდები ენოდება. შევნიშნავთ, რომ მთების წარმოშობა არქეულ-პროტეროზოურშიც იყო.

15.3. ეპეიროგენეზისი

ლითოსფერული ფილების მოძრაობა თავისი ხასიათით ძირითადად ჰორიზონტალურია, თუმცა ზოგან ის ვერტიკალურშიც გადადის (სუბდუქციის ზონაში ლითოსფერული ფილის მანტიაში ჩასვლა, ან ფილათა შეჯახებისას დანაოჭების შედეგად სტრუქტურების ზევით ამოზიდვა).

მაგრამ ცნობილია ლითოსფერული ფილების მეორე სახის მოძრაობაც, რომელიც მხოლოდ ვერტიკალურია. ესაა ეპეიროგენეზისი („ეპეიროს“ – ხმელეთი, ბერძნ.), რომელიც სიტყვასიტყვით ხმელეთის წარმოშობას ნიშნავს. ამდენად, ეს ტერმინი თითქოს სრულად ვერ ასახავს მოვლენის შინაარსს, რადგანაც ფილების ვერტიკალური მოძრაობა გულისხმობს როგორც მათ აზევებას და, შესაბამისად, ხმელეთის წარმოშობას, ისე, პირიქით, დაძირვასაც და ამ შემთხვევაში ხმელეთის ნაცვლად ზღვის გაჩენას. მიუხედავად ამისა, ეს ტერმინი შემორჩია გეოლოგიურ ლიტერატურას თავისი ფართო (აწევ-დაწევა) შინაარსით.

ეპეიროგენეზისი, ოროგენეზისისაგან განსხვავებით, კი არ ცვლის დედამინის ქრქის (ლითოსფეროს) შინაგან სტრუქტურას, არამედ მხოლოდ მის დეფორმაციას (გალუნვას) იწვევს.

რა არის ეპეიროგენეზისის მიზეზი და რა იწვევს მას? მყარი ლითოსფერო ძევს პლასტიკურ ასთენოსფეროზე და ნაწილობრივ ჩაფლულიც არის მასში. მათ შორის დამყარებულია იზოსტაზიური წონასწორობა („იზოს“ – თანაბარი, „სტაზის“ – მდგომარეობა, ბერძნ.). რაიმე მიზეზით ამ წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში ლითოსფერო იწყებს აღმავალ ან დაღმავალ მოძრაობას, ვიდრე კვლავ არ დამყარდება იზოსტაზიური წონასწორობა. მიზეზი კი ბევრნაირი შეიძლება იყოს. ამ პროცესის ამსახველი თანამედროვე და გეოლოგიური წარსულის კარგი მაგალითებიც არსებობს. ცნობილია, რომ სკანდინავიის ტერიტორია დღეს ზევით მიიწევს, თანაც ცენტრალურ ნაწილში უფრო დიდი ტემპით, პერიფერიებზე კი – ნაკლებით.

ეს ნამდვილად იზოსტაზით გამოწვეული მოძრაობაა. ის რომ ხმელეთის აწევით კი არა, ზღვის (ოკეანის) დონის დაწევით იყოს განპირობებული, მაშინ არც ხმელეთის დიფერენცირებული აზევება გვექნებოდა იქ და არც მეზობელ ჰოლანდიაში იმავე ხმელეთის დაძირვა, არამედ ყველგან თანაბარი აზევება იქნებოდა. მკვლევართა აზრით, ეს აზევება გამოწვეულია ამ რეგიონის ყინულის საფარისაგან განთავისუფლებით. როგორც ცნობილია, მეოთხეულ პერიოდში ჩრდილო ევროპაში ძლიერი გამყინვარება იყო. რამდენიმე კილომეტრი სისქის ყინულმა დაფარა სკანდინავიაც და მეზობელი რეგიონებიც. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ყინულის სქელი საფარით გამოწვეული სიმძიმით ლითოსფერული ფილა ამ რეგიონში ჩაიზნიქებოდა და უფრო ღრმად ჩაეფლობოდა ასთენოსფეროში. ხოლო გამყინვარების პერიოდის დამთავრების შემდეგ ყინული გადნა, ლითოსფეროს ამ ნაწილს „ტვირთი“ მოეხსნა და აზევებაც დაიწყო. სადაც დატვირთვა მეტი იყო, ასევე მეტი იქნებოდა განტვირთვაც. აქედანაა აზევების დიფერენცირებული ხასიათი.

ცნობილია ისტორიულ ხანაში მომხდარი ერთი მაგალითიც. იტალიაში, ქალაქ ნეაპოლის მახლობლად, არის ნაქალაქარი პოცუოლი, სადაც ძველ რომაელებს ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი წამყვანი ღვთაების – სერაპისის ტაძარი აუგიათ. დღეს ამ ტაძრის ნანგრევებია მხოლოდ შემორჩენილი. საინტერესო კი ის არის, რომ ტაძრის შემორჩენილ სვეტებზე (კოლონებზე), ძირიდან ექვს მეტრ სიმაღლეზე, მცირე ზომის ზღვიურ უხერხემლო ცხოველებს, ე.ნ. მბურღავ მოლუსკებს დაუდიათ ბინა. აშკარაა, რომ ეს სვეტები სულ ცოტა 6 მ-მდე მაინც ერთ დროს ზღვით ყოფილა დაფარული. ისიც აშკარაა, რომ ზღვით დაფარვამდე ისინი ზედაპირზე იქნებოდნენ (ზღვაში ხომ არ ააგებდნენ რომაელები ტაძარს!). გამოდის, რომ აქ ორგვარი ეპეიროგენეტული მოძრაობა ყოფილა – ჯერ იყო დაძირვა, ხოლო შემდეგ აზევება.

პირითადი საკითხები

ეგზოგენური (გარედინამიკური) პროცესები /ფიტვა, გრავიტაციული პროცესები, ქარის, მიწისქვეშა წყლების, მდინარის, მყინვარის, ზღვებისა და ოკეანეების გეოლოგიური მოქმედება/

ფიტვა

- ✓ ფიტვის სახეები: ფიზიკური ფიტვა (დეზინტეგრაცია) /თერმული და ყინვითი ფიტვა/, ქიმიური ფიტვა /დაუანგვა, ჰიდრატაცია, გახსნა, ჰიდროლოზი/ და ორგანოგენული ფიტვა;
- ✓ ფიტვითი პროცესების რელიეფის ფორმები / ეული სვეტები, ეროზიული სვეტები(ისტუკანები)/;
- ✓ ფიტვითი პროცესების შედეგად მიღებული მასალა / ელუვიონი, გამოფიტვის ქერქი ანუ რეგოლითი, ნიადაგი/;
- ✓ გამოფიტვის ქერქთან დაკავშირებული სასარგებლო ნიადისეული.

გრავიტაციული პროცესები

- ✓ გრავიტაციული პროცესები: ჩაქცევები, ქვების ცვენა, კლდეზვავი, კრიპი ანუ მელოლი, სოლიფლუქცია, მეწყერი, სელები ანუ დვარცოფები, ლახარები;
- ✓ გრავიტაციული პროცესების ხელისშემწყობი ფაქტორები / სიმძიმის ძალა, რელიეფის დახრილობა, წყალი/;
- ✓ მასალის გადაადგილების სახეები / ვარდნით (ლოდების ცვენა), დაგორებით (ლოდების დაგორება), დაცურებით (მეწყერი), პლასტიკური დინებით (კრიპი) ან დინებით (სელი, ლახარი)/;
- ✓ გრავიტაციული პროცესების მიზეზები /მიწისძვრა, წვიმა, ჩამოცვენილი მასალის დაზვინვა, ეროზია, ანთროპოგენური ქმედება და ა.შ./;
- ✓ გრავიტაციული პროცესების შესწავლის მნიშვნელობა.

ქარის გეოლოგიური მოქმედება (ეოლური პროცესები)

- ✓ ქარის აქტიური მოქმედების არეები;
- ✓ უდაბნოს ტიპები /ქვიანი და ქვიშიანი/;
- ✓ ეოლური პროცესებისახეები: დეფლაცია, კორაზია, მასალას გადატანა და აკუ-მულაცია;
- ✓ ეოლური ფორმები: ეოლური ქვაფენილები, სოკოსებური ფორმები, ფაცეტიანი ანუ კანტიანი ქვები, იარდანგები, ბარხანები, დიუნები;
- ✓ ეოლური პროცესების შესწავლის მნიშვნელობა.

მიწისქვეშა წყლების გეოლოგიური მოქმედება

- ✓ მიწისქვეშა წყალი. მიწისქვეშა წყლების ფორმირებისათვის ხელშემწყობი ფაქტორები: ქანები, მათი ფორმირება /წყალგამტარი და წყალგაუმტარი ქანები/;
- ✓ მიწისქვეშა წყლების ტიპები:
 - წარმოშობის მიხედვით: ინფილტრაციული (ვადოზური), იუვენური (მაგ-მური), სედიმენტაციური, კონდენსაციური /უდაბნოებისთვის დამახასიათებელი/;
 - მიწისქვეშა წყლების სიღრმეში განლაგების მიხედვით: ნიადაგის წყალი; გრუნტის წყალი /წყალშემვეველი ჰორიზონტი, გრუნტის წყლის საგები, სარკე, განტვირთვის არე, კვების არე/ და მისი ზონები (აერაციის, პერიოდული გაჯერების, მუდმივი გაჯერების); წნევიანი ანუ არტეზიული წყლები (კვების არე, წნევის არე, განტვირთვის არე/;
 - მიწერალური წყლები: ტემპერატურისა / ციგი (20°C -მდე), თბილი ან სუბთერმული ($20-37^{\circ}\text{C}$), თერმული ($37-42^{\circ}\text{C}$) და ცხელი ან ჰიპერთერმული ($>42^{\circ}\text{C}$ -ზე) / და შედგენილობის /ნახშირორჟანგიანი – ბორჯომი, საირმე და სხვ, გოგირდწყალბადიანი ანუ სულფიდური – თბილისის თერმული წყლები, რადიოაქტივური – წყალტუბო/ მიხედვით;
- ✓ მიწისქვეშა წყლების ქიმიზმი /ჰიდროკარბონატული, სულფატური, ქლორიდული/;
- ✓ კარსტი;
- ✓ კარსტული ფორმები: ზედაპირული /კარრები, პონორები, კარსტული ძაბრები (დოლინები), პოლიეგები/ მიწისქვეშა ფორმები / კარსტული გვირაბები, შახტები და ჭები, კარსტული მღვიმეები (სტალაქტიტები და სტალაგმიტები)/;
- ✓ მიწისქვეშა წყლების შესწავლის მნიშვნელობა.

მდინარის გეოლოგიური მოქმედება

- ✓ ეროზია: სიღრმითი /წონასწორობის პროფილი, ეროზიის ბაზისი, უკუსვლითი ეროზია, მდინარის მოტაცება) და გვერდითი ეროზია;
- ✓ გადატანა (ტრანსპორტი) /თრევით, ატივტივებულ და გახსილ მდგომარეობაში/;
- ✓ აკუმულაცია (დალექვა) /ალუვიონი, დელტა/;
- ✓ მდინარეული ხეობა; გამკვეთი და გასწვრივი ხეობები /ანტიკლინური, სინკლინური, იზოკლინური/;
- ✓ მეანდრები;
- ✓ მდინარეული ტერასები /ეროზიული, აკუმულაციური, ეროზიულ-აკუმულაციური/;
- ✓ მდინარეულ ნალექებთან დაკავშირებული წიაღისეული.

მყინვარის გეოლოგიური მოქმედება

- ✓ მყინვარის გავრცელების არეალი;

გეოლოგის საფუძვლები

- ✓ მყინვარის წარმოშობა (თოვლი→ფირნი→გლეტჩერის ყინული) და მოძრაობა;
 - ✓ მყინვარების ტიპები: მთის, ზენრული (კონტინენტური) და გარდამავალი (მთისძირის) მყინვარები;
 - ✓ მყინვარის გეოლოგიური მოქმედება: ეგზარაცია, მასალის ტრანსპორტი და აკუ-მულაცია;
 - ✓ მყინვარული ფორმები: ნაპრალები, ნაკანები, ტროგები, რიგელები, ვერძის შუბლები, ხუჭუჭა კლდეები, მორენები, ერატიული ლოდები;
 - ✓ ფლუვიოგლაციალური ნალექები: ინტრაგლაციალური /ოზები, კამები/ და პერი-გლაციალური /ზანდრები, ლიმნოგლაციალური ნალექები/;
 - ✓ გამყინვარებები: მეოთხეული გამყინვარება /გიუნცური, მინდელური, რისული, ვიურმული/ და ძველი გამყინვარება /კარბონული, გვიანორდოვიციულ-სილურული, გვიანრიფეულ-ადრუკენდური/
 - ✓ გამყინვარების მიზეზები.

ოკეანეებისა და ზღვების გეოლოგიური მოქმედება

- ✓ ოკეანის ფსკერის რელიეფის ფორმები: შეღუდვი, კონტინენტური ბექობი, განაპირობების ქვაბულები, კუნძულთა რკალები, ოკეანური ღრმულები (ღრმაობები), აბისალური ვაკეები და შუაოკეანური ქედები;
 - ✓ ოკეანის /ზღვის/ წყალი: მარილიანობა, ტემპერატურული ზონალობა;
 - ✓ სიცოცხლე ოკეანეში /ზღვაში/: ნექტონი, პლანქტონი/ფიტოპლანქტონი და ზოოპლანქტონი/, ბენთოსი; ევრიბიონტური და სტენობიონტური ორგანიზმები;
 - ✓ ზღვის ფსკერისა და ზღვიური აკვატორიის ზონალური დანაწილება;
 - ✓ ოკეანის (ზღვის) დინამიკა: ზვირთცემა, მოქცევა-უკუქცევა, ატმოსფერული ნალექების მოდენის აორთქლებასთან თანაფარდობით გამოწვეული მოძრაობა, ზედაპირული და სიღრმული დინებები, ცუნამი.
 - ✓ ოკეანის /ზღვის/ გეოლოგიური მოქმედება: აბრაზია /ნიშა, კლიფი, აბრაზიული და აკუმულაციური ტერასა/, გადატანა და დალექვა /სანაპირო ბურცობი, ბარი, ლაგუნა, ცელა, ტომბოლო, მარჯნის რიფები, ატოლი/;
 - ✓ ნაპირდაცვის პრობლემები.

გეოდინამიკური პროცესები

ენდოგენური (შიგადინამიკური) პროცესები

მაგრატიზმი, მიწისძვრები, მეტამორფიზმი, ლითოსფეროს ტექტონიკური მოძრაობა

ମାଗମାତ୍ରିନୀମି

- ✓ მაგმატიზმი: ინტრუზიული და ეფუზიური (ვულკანიზმი);
 - ✓ ვულკანების ამოფრქვევის პროდუქტები: თხევადი /ლავა – დაბანრული ანუ პატოვრული, აა-ლავა, ბალიშა ანუ პილოუ-ლავა/; მყარი /პიროკლასტები-

- ვულკანური დოდები, ბომბები, ლაპილები, ვულკანური ქვიშა, ვულკანური ფერფლი, ვულკანური მტვერი./ გაზებრივი /წყლის ორთქლი, ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი, აზოტი, გოგირდის ჟანგები, გოგირდნყალბადი, გაზისებური გოგირდი, წყალბადი, ამიაკი, მეთანი და სხვა/;
- ✓ ვულკანის აგებულება /ვულკანური კონუსი, კრატერი, კალდერა, სომა/, სტრატოვულკანი, ვულკანური ფარები;
 - ✓ ვულკანების ტიპები: ეფუზიური, პიროკლასტური, ექპლოზიური; ცენტრალური და ნაპრალური; პოლიგენური და მონოგენური;
 - ✓ პოსტვულკანური პროცესები /თერმები, გეიზერები, ტალახის ვულკანები/;
 - ✓ თანამედროვე ვულკანების გავრცელება /წყნაროკეანური სარტყელი – ცეცხლოვანი რგოლი, ხმელთაშუაზღვიური(ალპურ-ჰიმალაური), შუაოკეანური ქედების/;
 - ✓ მაგმატიზმის პრაქტიკული მნიშვნელობა;

მეტამორფიზმი

- ✓ მეტამორფიზმის ფაქტორები: წნევა, მაღალი ტემპერატურა და ფლუიდები.
- ✓ მეტამორფიზმის ძირითადი ტიპები: კონტაქტური, კონტაქტ-მეტასომატური, რევიონული, დარტყმითი, ულტრამეტამორფიზმი;

მინისძვრები

- ✓ მინისძვრის მიზეზები /ტექტონიკური დეფორმაციები, ვულკანიზმი, ტექნოგენური ფაქტორი/;
- ✓ მინისძვრის ინტენსივობა ანუ ძალა / მერკალის 12 -ძალიანი სკალა/;
- ✓ მინისძვრის ენერგია /რიხტერის სკალა 0-9 მაგნიტუდა/;
- ✓ ჰიპოცენტრი და ეპიცენტრი;
- ✓ მინისძვრების ტიპები ჰიპოცენტრის მდებარეობის მიხედვით /მცირეფოკუსიანი 60 კმ-და, საშუალოფოკუსიანი 60-300 კმ-და, ღრმაფოკუსიანი 300-720 კმ/
- ✓ მინისძვრის შედეგები;
- ✓ მინისძვრებისგეოგრაფიულიგანანილება/წყნაროკეანური, ხმელთაშუაზღვიური, შუაოკეანური ქედების ზონები/;
- ✓ მინისძვრის პროგნოზირება.

ლითოსფეროს მთავარი სტრუქტურული ერთეულები

- ✓ ოკეანური ქერქი;
- ✓ კონტინენტური ქერქი;
- ✓ სუბკონტინენტური ქერქი;
- ✓ ნაოჭა სარტყელები ანუ ოროგენები და კრატონები/ფარი+ბაქანი/;
- ✓ შუაოკეანური ქედები და აბისალური ვაკეები (თალასოკრატონები).

ლითოსფეროს ტექტონიკური მოძრაობა

ფილების ტექტონიკა

- ✓ „მატერიკების დრეიფის“ პიპოთება/ მობილიზმი/;
- ✓ ლითოსფეროს ფილები;
- ✓ დივერგენტული, კონვერგენტული და ტრანსფორმული საზღვრები;
- ✓ ლითოსფერული ფილების მოძრაობა;
 - სპრედინგი, სუბდუქცია, ობდუქცია, კოლიზია;
 - „ცხელი ლაქები“ / „პოთ სპოთები“/.

ოროგენეზისი

- ✓ მოძრავი სარტყელი ;
- ✓ გეოკრატული და თაღასოკრატული პერიოდები;
- ✓ ოროგენეტული ციკლები: კალედონური, ჰერცინული, კიმერიული, ალპური;

ეპეიროგენეზისი

საკონტროლო კითხვები

- დაასახელეთ და დაახასიათეთ ეგზოგენური და ენდოგენური პროცესები;
- რა არის ფიტგა? დაასახელეთ ფიტვის მიზეზები, სახეები და მათი ხელშემწყობი პირობები;
- რა პროცესები მიმდინარეობს ქიმიური ფიტვის დროს?
- დაასახელეთ ფიტვითი პროცესების შედეგები;
- დაასახელეთ გრავიტაციული პროცესების სახეები, გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები;
- საქართველოში რომელი რეგიონები გამოირჩევა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესებით?
- სად ხდება ეოლური პროცესების ინტენსიური გამოვლენა?
- დაასახელეთ ქარის მოქმედების სახეები და მათთან დაკავშირებული რელიეფის ფორმები;
- როგორ ხდება მიწისქვეშა წყლების ფორმირება; რა ახდენს გავლენას მიწისქვეშა წყლების ფორმირებაზე?
- დაასახელეთ მიწისქვეშა წყლების ტიპები;
- რა არის კარსტი? დაასახელეთ კარსტული პროცესების ხელშემწყობი პირობები;
- დაასახელეთ კარსტული ფორმები;
- რა არის ფართობული და ხაზობრივი ეროზია; დაასახელეთ მათთან დაკავშირებული ნალექები;
- რა გეოლოგიურ მოქმედებას ასრულებს მდინარე?
- როგორ ხდება მდინარის ხეობის განვითარება?
- რა კანონზმიერებები აღინიშნება ხეობის ფორმირებაში?
- როგორ ხდება მდინარეული ტერასების წარმოშობა? დაასახელეთ ტერასების გენეტიკური ტიპები;
- რომელი სასარგებლო წიაღისეულია დაკავშირებული ალუვიურ ნალექებთან?
- როგორ ხდება მყინვარის წარმოქმნა?
- დაასახელეთ მყინვარის ტიპები;
- დაასახელეთ მყინვარის ეგზარაციული მოქმედებით წარმოქმნილი რელიეფის ფორმები;
- რა არის მორენა? დაასახელეთ მორენების ტიპები;
- დაასახელეთ ფლუვიოგლაციალური ნალექები;
- დაასახელეთ გეოლოგიური განვითარების ისტორიაში მომხდარი დიდი გამყინვარებები;
- რა ჰიპოთეზები არსებობს გამყინვარების მიზეზების შესახებ?
- დაასახელეთ ოკეანის რელიეფის ფორმები;
- როგორ იცვლება მარილიანობა ზღვებსა და ოკეანეებში; რით არის განპირობებული ცვალებადობა?

გეოლოგიის საუბრებები

28. დაასახელეთ ზღვებსა და ოკეანეებში მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმების ჯგუფები;
29. როგორ არის გამოხატული ოკეანეებისა და ზღვების გეოლოგიური მოქმედება?
30. დაასახელეთ ოკეანეებისა და ზღვების გეოლოგიური მოქმედების შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფორმები;
31. დაასახელეთ ენდოგენური პროცესები;
32. დაასახელეთ ვულკანური პროდუქტები;
33. რა განსხვავებაა აა, პაჰოეპოე და პილოუ ლავას შორის?
34. როგორია ვულკანური აპარატის აგებულება;
35. რა ნიშნის მიხედვით არის შესაძლებელი ვულკანების კლასიფიკაცია?
36. დაასახელეთ პოსტვულკანური პროცესები;
37. როგორია თანამედროვე ვულკანების გეოგრაფიული გაგრცელება?
38. დაასახელეთ მეტამორფიზმის მთავარი ფაქტორები, ტიპები;
39. რა არის მინისძვრა?
40. როგორ განისაზღვრება მინისძვრის ინტენსივობა და ენერგია?
41. დაასახელეთ მინისძვრის ტიპები; რაზეა დამოკიდებული მინისძვრის სიძლიერე?
42. დაასახელეთ ლითოსფეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეულები;
43. რა განსხვავებაა კონტინენტურ და ოკეანურ ქერქს შორის?
44. როგორია კრატონებისა და ნაოჭა სარტყელების განაწილების თანამედროვე სურათი?
45. რაში მდგომერეობს ა. ვეგენერის „მატერიკების დრეიფის“ პიპოთეზა;
46. რას გულისხმობს ლითოსფეროს ფილების ტექტონიკა?
47. დაასახელეთ ძირითადი ლითოსფერული ფილები და მათ შორის გამოყოფილი საზღვრის ტიპები;
48. დაასახელეთ ოროგენეტული ციკლები;
49. რა არის ეპეიროგენეზისის მიზეზი და რა იწვევს მას?

ნაწილი III

დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორია

გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება, შეიძლება ითქვას, უმთავრესიც, დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორიის შესწავლა. ეს ისტორია კი დაახლოებით ოთხი მილიარდი წლის წინ დაიწყო, როცა ცივ კოსმოსში „მოხეტიალე“ დედამინას ქერქი გადაეკრა, ე.ი. ჩამოყალიბება დაიწყო ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა გეოსფერომ – დედამინის ქერქმა.

მაგრამ რა იყო მანამდე? საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედამინა მზის სისტემის რვიდან ერთ-ერთი პლანეტაა. მზის სისტემა კი ჩვენი გალაქტიკის შემადგენელი ნაწილია. როგორც ფიქრობენ, სამყარო 100 მილიარდი გალაქტიკისაგან შედგება, ხოლო თითოეულ გალაქტიკაში ასევე 100 მილიარდი ვარსკვლავია. ამდენად, დედამინის, როგორც ციური სხეულის, ფორმირება უნდა განვიხილოთ მთელი სამყაროს, უპირველესად კი მზის სისტემის ფორმირების ფონზე.

სამყაროს გაჩერნა უაღრესად რთული და პრობლემური საკითხია და ადამიანის ცოდნაც მის შესახებ ჰიპოთეზების დონეზე თუა. ამ ჰიპოთეზების თანახმად კი სამყარო გაჩნდა უდიდესი, მაღალტემპერატურული (მილიარდი გრადუსები) ცეცხლოვანი სფეროს აფეთქებით, რომლის შედეგადაც სივრცეში ყველა მიმართულებით გაითანხო უწვრილესი ნაწილაკები. შემდგომში ტემპერატურის თანდათანი დაცემით მოხერხდა ამ ნაწილაკების შეერთება-დაჯგუფება გაზ-მტვერის ცალკეული ნისლოვანედების სახით, რომლებმაც საბოლოოდ ვარსკვლავები, პლანეტები და მათი ერთობლიობით წარმოქმნილი გალაქტიკები მოგვცეს. ვარაუდობენ, რომ სამყარო 13-14 მილიარდი წლის წინ შეიქმნა. თუმცა უმჯობესია ვთქვათ, რომ ამ პერიოდში დაიწყო სამყაროს ფორმირების პროცესი, რადგანაც ეს პროცესი შემდგომშიც გრძელდებოდა თუნდაც დღევანდელი დღის ჩათვლით.

ფიქრობენ, რომ სამყაროს მსგავსად მოხდა მზის სისტემის ჩამოყალიბებაც, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს უახლესი ვარსკვლავის აფეთქებასთან. ამ აფეთქებას უნდა გამოიწვია გრავიტაციული ტალღა, რომელმაც ხელი შეუწყო კოსმოსში გაფანტული გაზისა და მტვრის ნაწილაკების შეკუმშვას და, ამგვარად, მასალის კონდენსაციას. შედეგად კი მზის სისტემა მივიღეთ, რომლის ფორმირებაც (ცხადია, დედამინის ჩათვლით) დაახლოებით 4,6 მილიარდი წლის წინ უნდა მომხდარიყო.

მეცნიერთა აზრით, პლანეტა დედამინის ფორმირება რკინითა და ნიკელით აგებული ბირთვისაგან უნდა დაწყებულიყო. ცოტა მოგვიანებით უნდა გაჩენილიყო მანტია და დედამინის ქერქი. პირვანდელი ქერქი, რომელიც დღემდე არსად ნაპოვნი არ არის, აღნათ ბაზალტური იყო.

ამავე დროს უნდა იყოს შექმნილი დედამიწისეული ატმოსფერო, რომლის ფორმირებაც მანტიის დეგაზაციით უნდა მომხდარიყო (ინტენსიური ვულკანიზმის წყალობით). შიგნეთიდან (მანტიიდან) ამოტყორცნილი მსუბუქი გაზები (წყალბადი, ჰელიუმი) კოსმოსში იფანტებოდა, ხოლო შედარებით მძიმე გაზებმა, ისეთებმა, როგორიცაა წყლის ორთქლი (H_2O), ნახშირორჟანგი (CO_2), მეთანი (CH_4), ნახშირჟანგი(CO), გოგირდწყალბადი(H_2S) და სხვა, შექმნეს ალბათ პირველი დედამიწისეული ატმოსფერო. ოდნავ მოგვიანებით, ატმოსფეროდან წყლის ორთქლის კონდენსაციით დედამიწაზე პირველი ზღვებიც უნდა გაჩენილიყო.

ასეთი სურათი იყო დედამიწაზე 4 მილიარდი წლის წინ. დედამიწის ქერქის ამგები ყველაზე ძველი ქანების ასაკიც დაახლოებით 4 მილიარდი წლისაა. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიას 4 მილიარდი წლიდან ვიწყებთ.

მეცნიერებას, რომელიც დედამიწის გეოლოგიურ განვითარების ისტორიას სწავლობს, **ისტორიული გეოლოგია** ეწოდება. ისტორიული გეოლოგიის მრავალ მიმართულებათა შორის ორი უმთავრესი უნდა გამოიყოს. ერთი იქნება დედამიწაზე (შიგნეთში თუ ზედაპირზე) გეოლოგიურ წარსულში მიმდინარე პროცესების დადგენა-ამოცნობა და მისი მეშვეობით დედამიწის ზედაპირის ამა თუ იმ დროინდელი სურათის შექმნა (იგულისხმება ოკეანეებისა და კონტინენტების განაწილების დადგენა), ანუ **პალეოგეოგრაფია**. ცოტა სხვაგვარად რომ ვთქვათ, **პალეოგეოგრაფია** აღადგენს გეოლოგიურ წარსულში არსებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს, რომელიც გამოიხატება კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილებაში, ხმელეთის რელიეფისა და ოკეანის ფსკერის მორფოლოგიაში, კლიმატში და სხვ. და რაც უფრო მთავარია – ყველაფერი ამის დროში მონაცვლეობის გათვალისწინებით. მეორე მიმართულება, რომელსაც **გეოქრონოლოგია** ეწოდება, ადგენს დედამიწის ამა თუ იმ დროინდელი პალეოგეოგრაფიული სურათის გეოლოგიურ ასაკს, ანუ წარმოჩენს, თუ როგორი იერსახე ჰქონდა დედამიწას ცალკეულ ეონებს, ერებს, პერიოდებსა თუ ეპოქებში.

თავი 16. სიცოცხლე დედამიწაზე

როგორც პალეოგეოგრაფიულ, ისე გეოქრონოლოგიურ კვლევაში ფასდაუდებელი სამსახური შეიძლება გაგვიწიოს დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ისტორიამ.

დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა-განვითარება ერთ-ერთ ფენომენალურ მოვლენას წარმოადგენს და სავსებით ბუნებრივია, რომ ის მკვლევართა უდიდეს ყურადღებას იმსახურებდა და იმსახურებს დღესაც. დღეისათვის ცნობილია, რომ დედამიწაზე სიცოცხლე დაახლოებით 3700-3800 მილიონი წლის წინ გაჩნდა. თუმცა ამგვარ განცხადებას გარკვეული განმარტება სჭირდება – სიცოცხლე დედამიწაზე ჩაისახა-განვითარდა და ამდენად დედამიწა ერთადერთი უნიკალური პლანეტაა ამ ფენომენის არსებობის თვალსაზრისით, თუ ის კოსმოსიდან მოგვევლინა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ სიცოცხლე პირველად დედამიწაზე გაჩნდა და შემდეგ გავრცელდა სხვა პლანეტებზე.

ყოველ შემთხვევაში დღეისათვის ძალაშია ორგვარი შეხედულება. ერთის მიხედვით სიცოცხლე დედამიწის უეულია, ე.ი. გაჩნდა და განვითარდა დედამიწაზე. ამ შეხედულების ერთ-ერთი ფუძემდებელია ცნობილი რუსი მეცნიერი ალ. ოპარინი, რომელმაც ეს მოსაზრება გასული საუკუნის ოციან წლებში ჩამოაყალიბა. თუმცა ალ. ოპარინი ბოლომდე მაინც არ გამორიცხავდა დედამიწაზე სიცოცხლის კოსმოსიდან შემოსვლის შესაძლებლობას.

მეორე შეხედულებას ზოგადად „პანსპერმიის თეორია“ ჰქვია, რომლის ავტორია მე-19 საუკუნის გერმანელი მეცნიერი ჰ. რიხტერი. პანსპერმია კოსმოსში საყოველთაოდ არსებულ სიცოცხლეს აღიარებს. ეს თეორია, უფრო სწორად კი ჰიპოთეზა, რომელიც კოსმოსიდან დედამიწაზე სიცოცხლის შემოტანას გულისხმობს, ერთგვარი მივიწყების შემდეგ დღეს კვლავ განახლებას იწყებს. თითქოს გაჩნდა უტყუარი საბუთები იმისა, რომ კოსმოსიდან შემოწრილ მეტეორიტებსა და კომეტებს ანაბიოზის მდგომარეობაში მყოფი ბაქტერიები შემოაქვთ („ანაბიოზის“ – გამოცოცხლება, ბერძნ. – ორგანიზმის უნარი სრულად აღიდგინოს სასიცოცხლო ფუნქციები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა არახელსაყრელი ცხოვრების პირბების განვითარების გამო). ასეთ ბაქტერიებს თითქოს შესწევთ უნარი, ანაბიოზის მდგომარეობაში დარჩნენ ერთი ან რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაშიც კი. არის ცნობა იმის თაობაზე, რომ ანტარქტიდის ყინულებში აღმოუჩენიათ ანაბიოზში მყოფი ბაქტერიები, რომლებიც ერთი-ორი მილიონი წლის „ძილის“ შემდეგ ყინულის გალხობის შედეგად გაცოცხლებულან.

და მაინც, დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. მიუხედავად ამისა, ერთი რამ მაინც უდავოა – სიცოცხლე დედამიწაზე

წყალში, უფრო ზუსტად კი ზღვაში გაჩნდა. სწორედ ზღვა იყო ის გარემო, სადაც სი-ცოცხლის ჩასახვა, ან ჩასახვა თუ არა, განვითარება დაიწყო. არა მხოლოდ ათეული და ასეული მილიონი წლები, არამედ მილიარდი წლებიც კი გახდა საჭირო იმისათვის, რომ სიცოცხლე ზღვიდან ხმელეთზე დამკვიდრებულიყო. ყოველივე ამის დამა-დასტურებელი უტყუარი საბუთები შემონახულია დედამიწის ქერქის ამგებ ქანებში.

16.1. რას შეისწავლის პალეონტოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიცოცხლე დედამიწაზე გაჩნდა დაახლოებით 3700-3800 მილიონი წლის წინ. ის არსებობს დღესაც, თანაც გაცილებით უფრო მაღალი ორგანიზაციით, ვიდრე იყო ადრე, გეოლოგიურ წარსულში. აშკარაა, რომ სიცოცხლემ დედამიწაზე მთელი ამ თითქმის 4 მილიარდი წლის განმავლობაში დიდი აღმავლობა, ევოლუცია განიცადა. როგორც ცნობილია, თანამედროვე სიცოცხლეს ბიოლოგია შეისწავლის. რაც შეეხება გეოლოგიურ წარსულში არსებულ სიცოცხ-ლეს, მას საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეტად საინტერესო დარგი – **პალეონტოლოგია** იკვლევს. ტერმინი „პალეონტოლოგია“ ნიშნავს მოძღვრებას ძველი არსების (მინაარსობრივად – ძველი სიცოცხლის) შესახებ. „ძველი სოცოცხლე“ კი ის სიცოცხლეა, რომელიც გეოლოგიურ წარსულში, ან სხვაგვარად, გეოლოგიურ ხა-ნაში არსებობდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკმაოდ ძნელია უშუალო საზღვრის გატარება გეოლოგიურ ხანასა და ისტორიულ ხანას (თანამედროვეობას) შორის და ამდენად გეოლოგიურ წარსულში არსებული სიცოცხლის თანამედროვისაგან გამი-ჯვნა. მაგრამ გამოსავალი მაინც არის, რამდენადაც გეოლოგიურ წარსულში არსე-ბული სიცოცხლე ბუნებაში დღეს ნამარხი ორგანიზმების, ან მოკლედ, ნამარხების სახითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, პალეონტოლოგია შეიძლება განვმ-არტოთ როგორც მეცნიერება ნამარხი ორგანიზმების შესახებ. ზოგჯერ ნამარხ ორ-განიზმებს გადაშენებულებსაც უწოდებენ, რაც მთლად ზუსტი არ არის.

რა არის ნამარხი? ნამარხი არის სიცოცხლის ყველა ის ნაშთი, რომელიც ამა თუ იმ სახითაა შემორჩენილი დედამიწის ქერქის ამგებ ქანებში. ასეთი შეიძლება იყოს: ცხოველის მთლიანი სკელეტი (ჩონჩხი) ან მისი ფრაგმენტი (მაგალითად, დინოზა-ვრის ჩონჩხი ან ხერხემლის ერთი მალა, უხერხემლო ცხოველების ნიჟარები და სხვ.); მცენარის ფოთლების ან მედუზების და სხვა ცხოველთა ანაბეჭდები; შიგა და გარე კალაპოტები (განსაკუთრებით გავრცელებულია უხერხემლო ცხოველებში); ნაკვა-ლევი, რომელიც რჩება ცხოველთა სიარულის, გრუნტზე ხოხვის, გრუნტში ჩაფლო-ბის თუ მოძრაობის შედეგად (მაგალითად, დინოზავრის ნაკვალევი ქუთაისის მიდამ-ოებში სათაფლიას კარსტული მღვიმის მახლობლად); ცხოველთა სასიცოცხლო მო-ქმედების შედეგად დარჩენილი პროდუქტები, ე.ნ. კოპროლითები და სხვ.

განამარხება, რომელსაც სხვაგვარად ფოსილიზაციასაც უწოდებენ, მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ორგა-ნიზმთა მხოლოდ 10-20% თუ ნამარხდება, დანარჩენი კი მთლიანად ნადგურდება.

დღეს ცოცხალ ორგანიზმთა 2 300 000 სახეობაა ცნობილი. მეცნიერთა აზრით, ახალი სახეების აღმოჩენით ეს ციფრი შეიძლება 30 მილიონამდე ავიდეს. სახეობათა არსებობის ასაკი დაახლოებით 1-20 მილიონ წელს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ დედამინაზე სიცოცხლის არსებობის ხანგრძლივობას (3700 -3800 მლნ. წელი), მაშინ განამარხებულ სახეობათა რიცხვი ერთობ შთამბეჭდავი იქნება. ზოგი მკვლევრის მონაცემებით, გადაშენებულ სახეობათა მაქსიმალური რიცხვი შეიძლება ოთხი მილიარდიც კი იყოს. დღეისათვის კი ნამარხი ორგანიზმების სულ რაღაც 200 000 სახეობაა ცნობილი. მართალია ნამარხ სახეობათა საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დედამინის ქერქის ამგებ ქანებშია დამარტული და ამდენად მკვლევართათვის უცნობია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზემოთ დასახელებული ციფრი ძალიან მცირეა და ბევრი სხვა მომენტის გათვალისწინებით აშკარად მიუთითებს განამარხების ერთობ დაბალ პროცენტზე. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით კარგად ნამარხდებიან ის ორგანიზმები, რომლებიც მინერალურ სკელეტს იკეთებენ (სხვადასხვაგვარი მოლუსკები ან მარჯნები და სხვა), ხოლო ძალზე ცუდად – უსკელეტო ან თითქმის უსკელეტო ორგანიზმები (მედუზები, ჭიები, მწერები და ა.შ.).

პალეონტოლოგია ნამარხი ორგანიზმების ცალკეული ჯგუფების უშუალო შესწავლის პარალელურად იკვლევს მათი ცხოვრების პირობებს (პალეოეკოლოგია), მათი გეოგრაფიული (სივრცობრივი) განაწილების კანონზომიერებებს (პალეობიოგოგრაფია), ხოლო სიცოცხლის ევოლუციური განვითარების საფუძველზე დაყრდნობით საზღვრავს დედამინის ქერქის ამგები ქანების ცალკეული წყებების გეოლოგიურ ასაკს (ბიოსტრატიგრაფია). აქედან გამომდინარე, ფასდაუდებელია ის წვლილი, რომელიც პალეონტოლოგიას შეაქვს დედამინის გეოლოგიური განვითარების კვლევის საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ სიცოცხლის ევოლუცია დედამინაზე ამ უკანასკნელის გეოლოგიური განვითარების ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

პალეოეკოლოგია წარმოდგება ტერმინიდან „ეკოლოგია“ („ოიკოს“ – სახლი, საცხოვრებელი, ბერძნ.), ხოლო ეს უკანასკნელი შეისწავლის ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობას.

გარემოს ნებისმიერი უბანი, იქ მცხოვრები ორგანიზმებით ანუ ბიოსით, წარმოადგენს ეკოსისტემას, რომელიც ორი ძირითადი კომპონენტისაგან – ბიოცნოზისა და ბიოტოპისაგან შედგება. **ბიოტოპი** („ბიოს“ + „ტოპოს“ – ადგილი, ბერძნ.) გულისხმობს დაახლოებით ერთნაირი პირობების მქონე გარემოს, რომელშიც ორგანიზმთა გარკვეული კომპლექსი ბინადრობს, ხოლო **ბიოცენოზი** („ბიოს“ + „ცენოზი“ – საერთო, ბერძნ.) მოცემულ კონკრეტულ ბიოტოპში მცხოვრებ ორგანიზმთა ერთობლიობა. ეკოსისტემა იქნება, მაგალითად, ოკეანე ან თუნდაც ბიოსფერო მთელი თავისი ბიოტოპური თუ ბიოცენოზური მრავალფეროვნებით და ასევე ეკოსისტემაა წყლის პატარა გუბეც კი მასში მობინადრე ბაქტერიებისა და მიკრო- და მაკროორგანიზმების თითო-ოროლა სახეობით. აშკარაა, რომ ბიოცენოზი და ბიოტოპი მჭიდრო

ურთიერთკავშირშია და განსაზღვრავენ ურთიერთს. აქედან გამომდინარე, პალეოეკოსისტემების (გეოლოგიური წარსულის ეკოსისტემების) შესწავლისას ძველი ბიოცენოზების მეშვეობით, რომელთაც ორიქტოცენზი („ორიქტოს“ – ნამარხი, ბერძნ.) შეიძლება ვუწოდოთ, შეგვიძლია აღვადგინოთ ის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, რომელიც არსებობდა დედამიწაზე მისი გეოლოგიური განვითარების ამათუ იმ პერიოდში, ეპოქასა თუ საუკუნეში.

მსგავსად პალეოეკოლოგიურისა, **პალეობიოგეოგრაფიული** კვლევის მეშვეობითაც საკმაო სიზუსტით შეგვიძლია აღვადგინოთ ძველი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, გავიგოთ მოცემულ ადგილზე ადრე ზღვა იყო თუ ხმელეთი, ზღვის ფსკერის სილრმე, წყლის ტემპერატურა და მარილიანობა, ადგილის კლიმატური პირობები და მრავალი სხვა. და, რაც მთავარია, მოვხაზოთ დედამიწის იმდროინდელი ზედაპირის პალეოგეოგრაფიული სურათი.


რაც შეეხება **ბიოსტრატიგრაფიას**, მას ცოტა ქვევით შევეხებით. ასევე მოგვიანებით განვიხილავთ პალეონტოლოგიური კვლევის ერთ-ერთ პრობლემურ, მაგრამ უაღრესად საინტერესო საკითხს, რომელიც ორგანიზმთა ევოლუციას და გადაშენებას ეხება.

16.1.1. ორგანული სამყაროს კლასიფიკაცია

ნამარხთა მრავალფეროვანი სახეობების შესასწავლად მათი სისტემაში მოყვანა ანუ კლასიფიკაციაა საჭირო. პალეონტოლოგია, როგორც ბიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დაწგი, ამ უკანასკნელში მიღებულ კლასიფიკაციას ეყრდნობა, რაც სავსებით ბუნებრივია.

ორგანული სამყარო ნაწილდება ცალკეულ ტაქსონომიურ ერთეულებად, რომელთაგან უდიდესს **იმპერიას** (Imperium) უწოდებენ (შევნიშნავთ, რომ პალეონტოლოგიაში, ისევე როგორც საერთოდ ბიოლოგიაში, ნებისმიერი ტაქსონის სახელნოდება ლათინურად იწერება). იმპერია შედგება **სამეფოებისაგან** (Regnum), სამეფოები ნაწილდება უფრო მცირე ერთეულებად – **ტიპებად** (Phylum). ტიპი აერთიანებს **კლასებს** (Classis), რომელიც თავის მხრივ **რიგებისაგან** (Ordo) შედგება. რიგი მოიცავს **ოჯახებს** (Familia), ოჯახი – **გვარებს** (Genus), ხოლო გვარი **სახეობებს** (სახეებს – Species). ეს არის ორგანული სამყაროს მთავარი ტაქსონომიური ერთეულები. მათ გვერდით არსებობს არამთავარი, შეიძლება ითქვას გარდამავალი ერთეულებიც, როგორიცაა, ვთქვათ, ზესამეფო, ზეტიპი, ქვეტიპი, ზეოჯახი, ქვეგვარი და სხვ.

არსებობს ორი იმპერია: 1. **უუჯრედოები (Acellularia)** და 2. **უჯრედიანები (Cellularia)**. უუჯრედოებში ერთი სამეფოა, ვირუსები (Vira), ხოლო უჯრედიანებში – ხუთი: **ბაქტერიები (Bacteria)**, **ციანობიონტები (Cyanobionta)**, **მცენარეები (Phyta)** იგივე **Plantae**, **სოკოები (Fungi)**, და **ცხოველები (Zoa)** იგივე **Animalia**). ჩვენ შევეხებით მხოლოდ უჯრედიანთა იმპერიას.



უნდა შევნიშნოთ, რომ უჯრედიანებიდან ნამარხების სახით ხუთივე სამეფოს წარმომადგენლები გვხვდება. თუმცა პალეონტოლოგიური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ცხოველებს, შემდეგ მცენარეებს, ნაკლები ციანობიონტებს და კიდევ უფრო ნაკლები – ბაქტერიებსა და სოკოებს.

16.1.2. სამეფო Bacteria – ბაქტერიები

ბაქტერიები მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ორგანიზმებია, რომელთა სხეული მეასედი, მეათედი ან ერთეული მილიმეტრონებით იზომება. ფართოდ გავრცელებული ჯგუფია და გვხვდება ბიოსფეროს ყველა უბანზე – ქანებიდან დაწყებული სხვა ორგანიზმების შინაგან ორგანოებამდე. მათი კვება ქემოსინთეზით მიმდინარეობს (**ქემოსინთეზი** – ორგანული ნივთიერების წარმოქმნა არაორგანულიდან ამ უკანასკნელის დაუანგვის ხარჯზე).

ბაქტერიები გეოლოგიურად უაღრესად საყურადღებო ჯგუფია, რადგანაც წარმოადგენენ ქანთშემქმნელ ორგანიზმებს. მათ ქმედებასთანაა დაკავშირებული რკინის, გოგირდის, პირიტის, ფოსფორიტის, ნავთობის, გაზისა და ბევრი სხვა წიაღისეულის ფორმირება.

პალეონტოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ პირველი ორგანიზმები, რომლებიც დედამიწაზე გაჩნდნენ 3700-3800 მილიონი წლის წინ, როგორც ფიქრობენ, სწორედ ბაქტერიები უნდა ყოფილიყვნენ.

ბაქტერიები არქეულიდან დღემდე მოდიან.

16.1.3. სამეფო Cyanobionta – ციანობიონტები

ციანობიონტები ერთუჯრედიანი ცალედი ან კოლონიური ფორმებია (ალბათ პირველი კოლონიური ორგანიზმები დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ისტორიაში), რომლებიც ფოტოსინთეზის მექანიზმით იკვებებიან. ადრე მათ ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებს უწოდებდნენ და, შესაბამისად, მცენარეებს აკუთვნებდნენ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ისინი წყალმცენარეებისაგან განსხვავებული ჯგუფია, რის გამოც ცალეა ერთეულად გამოიყო. ციანობიონტებს, მსგავსად ბაქტერიებისა, არა აქვთ უჯრედი, სამაგიეროდ ფოტოსინთეზის უნარის გამო უახლოვდებიან წყალმცენარეებს. ისინი უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდებიან, ვიდრე ბაქტერიები,

თუმცა ბირთვის არქონის გამო უფრო პრიმიტიულად ითვლებიან, ვიდრე წყალმ-ცენარეები.

ციანობიონტები არქეულში გაჩნდნენ, დაახლოებით 3500 მილიონი წლის წინ. ასანიშნავია, რომ მათი მეშვეობით იქმნება თავისუფალი ბიოგენური ჟანგბადი, რომლის დიდი რაოდენობით დაგროვება არქეულსა და პროტეროზოურში სწორედ ძირითადად ციანობიონტების მეშვეობით მოხდა.

შევლი ციანობიონტები თხელი (მარჩხი) ზღვის მცხოვრები იყვნენ. დღეს ისინი ხმელეთზეც გვხვდებიან (ნიადაგსა და უდაბნოებშიც კი). ციანობიონტები ქმნიან კალციუმის კარბონატის ნარმონაქმნებს, რომელთა ძველ ფორმებს სტრ-მატოლითები ჰქვია. სტრომატოლითები განსაკუთრებით მრავლადაა პროტერო-ზოურ ნალექებში, სადაც ისინი რიფების სახითაა ნარმოდგენილი. გამოდის, რომ პირველი რიფისმშენებელი ორგანიზმები ციანობიონტები ყოფილან. თუმცა არის შეხედულება, რომ სტრომატოლითების ფორმირებაში ციანობიონტებთან ერთად ბაქტერიებიც მონაწილეობდნენ.

ციანობიონტებს დიდი როლი ენიჭებათ პროტეროზოური (განსაკუთრებით რი-ფეული) ნალექების სტრატიგრაფიაში.

ციანობიონტები ცნობილია არქეულიდან დღემდე.

16.1.4. სამეფო Phyta (Plantae) – მცენარეები

მცენარეები ორგანული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნარმო-მადგენლებია. უდიდესია მათი როგორც გეოლოგიური, ისე პალეონტოლოგიური ღირებულება. შეგვიძლია დავასახელოთ საკმაოდ ბევრი ქანი და მადანი, რომლე-ბიც მთლიანად ან მნიშვნელოვნად მცენარეული ნაშთებითაა აგებული. ასეთებია: საწერი ცარცი, დიატომიტი, ქვანახშირი, საწვავი ფიქლები, ტრეპელები, ოპოკები, წყალმცენარეებიანი რიფები და ა.შ. ძალზე მნიშვნელოვანია მცენარეების როლი ბიოსტრატიგრაფიაში.

მცენარეებში ორ დიდ ჯგუფს (ქვესამეფოებს) გამოყოფენ: უმდაბლეს და უმაღ-ლეს მცენარეებს. პირველ ჯგუფს ზოგადად **წყალმცენარეებს** უწოდებენ. სახელი-დან გამომდინარე, წყალმცენარეთა უდიდესი ნაწილი წყალში (ზღვებში, ლაგუნებში, ტბებში) ცხოვრობს, თუმცა არსებობენ ნიადაგშიც და სხვა გარემოშიც (მაგალითად, ხეებზე, შენობის კედლებზე).

წყალმცენარეები ერთ-ან მრავალუჯრედიანები არიან, ცალედი ან კოლონიური ფორმებია. წყალში მცხოვრები ეწევიან ბენთოსურ ან პლანქტონურ ცხოვრებას. არასოდეს დიდ სილრმეებზე არ გვხვდებიან, ვრცელდებიან სინათლის სხივის ჩაღ-ნევის ზონამდე (საშუალოდ 200 მ-მდე). ეს ბუნებრივიცაა, რადგან წყალმცენარეები ფოტოსინთეზის მეშვეობით არსებობენ. მათი ზომები სხვადასხვაა – ერთეული მი-კრონებიდან ათეულ მეტრამდე. ზოგი მათგანი იკეთებს მინერალურ სკელეტს.

როგორც ვარაუდობენ, წყალმცენარეები გაჩნდნენ პროტეროზოურ ეონში დაახლოებით 2000-1650 მილიონი წლის წინ. მოვიდნენ დღემდე.

ქვემოთ ზოგადად შევეხებით წყალმცენარეთა იმ ჯგუფებს, რომლებიც მნიშვნელოვანია გეოლოგიური თვალსაზრისით.

ოქროსფერი წყალმცენარეები (ტიპი Chrysophyta) ძირითადად ერთუჯრედიანი, მიკროსკოპული ფორმებია, რომლებიც ზოგჯერ კოლონიებს ქმნიან; ცხოვრობენ მტკნარ წყლებში, იშვიათად ზღვებში. განამარხებული ქრიზოფიტებიდან ყველაზე ცნობილია **კოკოლითოფორიდები** – ძალზე პატარა ზომის [მიკრო- ვნებიან ნანოპლანქტონს („ნანოს“ – ჯუჯა, ბერძ.] ერთუჯრედიანი, ძირითადად ზღვაში მცხოვრები მცენარეებია, რომლებიც კირქვის (CaCO_3) სკელეტს იკეთებენ. სწორედ კოკოლითოფორიდებია სანერი ცარცის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნანილი. საყურადღებოა, რომ კოკოლითოფორიდები თბილი წყლის მოყვარული ფორმებია. ამდენად ნამარხი კოკოლითოფორიდების მეშვეობით შეგვიძლია ამოვიცნოთ იმ დროის ზღვის წყლის ტემპერატურა და, შესაბამისად, ვისაუბროთ ძველი, ანუ პალეოკლიმატის შესახებაც.

კოკოლითოფორიდები ტრიასულიდან დღემდეა ცნობილი. მათი აყვავების ხანად კი გვიანცარცული ეპოქა ითვლება (დაახლოებით 95-65 მილიონი წლის წინ);

ქრიზოფიტების მეორე წამყვანი ჯგუფია **სილიკოფლაგელატები**, რომლებიც კოკოლითოფორიდებისაგან განსხვავებით კაჟის (SiO_2) სკელეტს იკეთებენ. მსგავსად კოკოლითოფორიდებისა, ისინიც ზღვიური პლანქტონური ორგანიზმებია, რომელთა შორის ცნობილია როგორც თბილი, ისე ცივი წლის მოყვარული ფორმები.

გეოლოგიური ასაკი – ცარცულიდან დღემდე.


დიატომები (ტიპი Diatomae) კაჟიანი წყალმცენარეებია, მიკროსკოპული ზომის, ერთუჯრედიანი, ცალედი ან იშვიათად კოლონიური. ძირითადად პლანქტონური ფორმებია, ვხვდებით ბენთოსის სახითაც; ცხოვრობენ ზღვებსა და მტკნარ წყლებში. დიატომები ძირითადად ცივი წყლის მოყვარული ორგანიზმებია.

დიატომებს უვითარდებათ მცირე ზომის ორი ნაწილისაგან შემდგარი კაჟის ნიუარა, რომლის დაგროვების შედეგად წარმოიქმნება ცნობილი კაჟოვანი ქანები – დიატომიტი, ტრეპელი, ოპოკა (საქართველოში ქ. ახალციხის მახლობლად, სოფ. ურაველთან არის დიატომიტის ცნობილი საბადო). ნამარხი დიატომები ბიოსტრატიგრაფიაში დეტალური (ზონალური) დანაწილებისთვისაც კი გამოიყენება.

გეოლოგიური ასაკი – ცარცულიდან დღემდე.

ნითელი და ძონეული წყალმცენარეები (ტიპი Rhodophyta) ერთ-ერთი უძველესი ჯგუფია წყალმცენარეებისა, არსებობენ კამბრიულიდან დღემდე. ზოგი მათგანი მონაწილეობს მარჯვნის რიფების შენებაში.

ყვითელ-მწვანე წყალმცენარეები (ტიპი Phacophyta) ყველაზე რთულად აგებული მრავალუჯრედიანი წყალმცენარეებია. ზოგი მათგანი გიგანტურ ზომებსაც აღწევს. მაგალითად, თანამედროვე ზღვებში მცხოვრები ლამინარიები 60მ-მდე იზრდებიან. ბევრი მათგანი საუკეთესო საკვებ პროდუქტს წარმოადგენს. ლამინარიების ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლით (გვარი Sargassum) „ამოვსებულია“ სარგასის ზღვა, რომელმაც სახელწოდება სწორედ ამ წყალმცენარის სახელიდან მიიღო.



სურ. 16.1. ფსილოფიტები – *Psilophyton*

უმაღლესი მცენარეების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს შეადგენს ის, რომ მცენარის სხეული სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ფესვი, ღერო და ფოთოლი.

უმაღლესი მცენარეების ქვესამეფო ოთხი განყოფილებისაგან (*Divisio*) შედგება: ხავსისნაირნი, გვიმრანაირნი, შიშველთესლიანები და ფარულთესლიანები.

განყოფილება **Briophyta** (**ხავსისნაირნი**) ყველაზე ძველი ჯგუფია უმაღლეს მცენარეთა (უმაღლესი სპოროვანი მცენარეები) შორის. მისი პირველი წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ფსილოფიტები იყვნენ, რომლებიც სილურული და დევონური პერიოდების საზღვარზე გაჩნდნენ, დაახლოებით 410 მილიონი წლის წინ (სურ. 16.1). ფსილოფიტები ასევე პირველი იყვნენ უმაღლესი მცენარეებიდან, რომლებმაც დაიწყეს ზღვიდან ხმელეთზე ამოსვლა.


ხავსისნაირთა ჯგუფში შედის საკუთრივ ხავსები – ავტოტროფული ორგანიზმები, რომელთაც ახასიათებთ უსქესო და სქესობრივ თაობათა მონაცვლეობა. მცენარის სიგრძე არ აჭარბებს 15-20 სანტიმეტრს. მრავალწლიანი მცენარეებია, ცხოვრობენ ტენიან გარემოში.

დევონურიდან იწყებენ განვითარებას **გვიმრანაირნი** (განყოფილება **Pteridophyta**). მოკლედ შევხებით გვიმრანაირთა იმ ჯგუფებს, რომლებიც ფართოდ იყვნენ გავრცელებული გეოლოგიური წარსულის ამა თუ იმ პერიოდში.

ლიკოპოდიუმისმაგვარნი (ტიპი *Lycopodiophyta*) თანამედროვე ფლორაში ბალახისმაგვარი მცენარეებითაა წარმოდგენილი. გეოლოგიურ წარსულში კი ხეებისა

და ბუჩქების სახით იყო გავრცელებული. ხეთა განივავეთი 2 მ-ს, ხოლო სიმაღლე 40 მ-საც კი აღწევდა.

ლიკოპოდიუმისმაგვარნი დევონურის დასაწყისში გაჩნდნენ და მოვიდნენ დღემდე. თუმცა მათში არის გადაშენებული ჯგუფები, რომელთაგან, პირველ რიგში, ალსანიშნავია ლეპიდოდენდრონისებრთა ოჯახი. ეს ოჯახი არსებობდა გვიანდევონურიდან ადრე ტრიასულამდე. სწორედ ამ ოჯახს მიეკუთვნება ზემოთ ხსენებული გიგანტური ფორმები. ოჯახის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლებია **ლეპიდოდენდრონები** (კარბონულ-ადრეპერმული) და **სიგილარიები** (შუაკარბონულ-ადრეპერმული) (სურ. 16.2). როგორც ვხედავთ, ორივე გვარი პალეოზოურის ბოლოს (ადრეპერმულში) გადაშენდა. ლეპიდოდენდრონისებრნი მონაწილეობდნენ პალეოზოური ასაკის ქვანახშირის საბადოების გენეზისში.



სურ. 16.2. სიგილარია (ა) და ლეპიდოდენდრონი (ბ) (რეკონსტრუქცია)

შვიტისმაგვარნი (ტიპი Equisetophyta) ბალახოვან და ხემცენარეებს წარმოადგენენ. მათი პირველი წარმომადგენლები გვიანდევონურში გაჩნდნენ. მოდიან დღემდე. განსაკუთრებით საინტერესოა **კალამიტისნაირნი** („კალამუს“ – ლერნამი, ლათ.) – დიდტანიანი (20 მ-მდე) ხეები, რომლებიც გარდა იმისა, რომ ულამაზეს ტყეებს ქმნიდნენ, ქვანახშირის მდიდარი საბადოებიც მოგვცეს ლეპიდოდენდრონებთან ერთად. გარდა ამისა დიდია მათი ბიოსტრატიგრაფიული როლი ზედა პალეოზოურის კონტინენტური წყებებისათვის.

კალამიტისნაირნი გადაშენებული ჯგუფია, რომელიც დედამიწაზე გვიან-დევონურიდან პერმულამდე არსებობდა.

გვიმრისმაგვარნი (ტიპი Polypodiophyta) ცნობილია როგორც ბალახისებრი, ისე დიდტანიანი ხემცენარეებით. დღევანდელ ფლორაში ისინი სახეობათა რაოდენობით მხოლოდ ხავსებსა და ფარულთესლიანებს თუ ჩამორჩებიან.

გადაშენებული გვიმრანაირებიდან აღსანიშნავია გვარი Archaeopteris, რომლის წარმომადგენელთა განამარხებული ფოთლები ისე მრავლად გვხვდება გვიანდევონურ ნალექებში, რომ გვიანდევონურ ფლორას „არქეოპტერისის ფლორის“ სახელითაც იხსენიებენ.

შიშველთესლიანები (განყოფილება **Gymnospermae** ან **Pinophyta**) მრავალ-ფეროვანი ჯგუფია, რომელიც ძირითადად ხემცენარეებისა და ბუჩქნარეების სახით გვხვდება. თანამედროვე ფლორაში უმთავრესად წიწვოვანებითაა წარმოდგენილი. გავრცელებულია, ფაქტობრივად, ყველა კლიმატურ სარტყელში.

შიშველთესლიანების ისტორია ადრეკარბონულიდან იწყება. მათი აყვავების ხანად კი მეზოზოური ერაა მიჩნეული. **ციკადოფისიდები** ანუ **საგოვანები** ტრიასულიდან დღემდე გვხვდებიან. **ბენეტიტისნაირნი** (გვიანტრიასულ-ცარცული), **გლოსოპტერისები** (კარბონულ-ტრიასული), **კორდაიტები** (კარბონულ-ადრეტრიასული) აერთიანებენ შიშველთესლიანების მეზოზოურ ერაში გადაშენებულ ჯგუფებს.

გლოსოპტერისის ფლორა არსებობდა ზომიერი და ცივი კლიმატის პირობებში. გავიხსენოთ, რომ ამ ფლორის არსებობა სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის, ანტარქტიკისა და განსაკუთრებით ინდოეთის გვიანპალეოზოურ ნალექებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთია იმისა, რომ იმ დროს სამხრეთ ნახევარსფეროში არსებობდა ერთიანი სუპერკონტინენტი გონდვანისი, რომელიც ზემოთ დასახელებული კონტინენტების ერთიანობას წარმოადგენდა. ამავე დროს, გლოსოპტერისის ფლორა გამყინვარების არსებობის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა. **კორდაიტები**, პირიქით, ტრიასულ სარტყელში ცხოვრობდნენ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ქვანახშირის საბადოების ფორმირებაში. **წიწვოვანები** გავრცელებულია ტრიასულიდან პოლარულ სარტყლამდე, თუმცა ამჯობინებენ ზომიერ კლიმატში არსებობას. ძირითადად გვხვდებიან ხემცენარეების სახით, ზოგჯერ გიგანტური ზომებით. მაგალითად, სეკვოია 110 მ-მდე იზრდება, მისი ტანის განივავეთი კი 5-8 მ-ს შეადგენს; ცოცხლობს 2000 წელზე მეტს (სურ. 16.3). საერთოდ წიწვოვანები 4-6 ათას წლამდე ცოცხლობენ.

ფარულთესლიანები (განყოფილება **Angiospermae** ან **Magnoliophyta**) ყველაზე მაღალგანვითარებული მცენარეებია. ამავე დროს ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულები – გვხვდება ყველა კლიმატურ ზონაში. წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ეკოლოგიური ტიპით – ხემცენარეები, ბუჩქნარი, ბალახეული, წყლის მცენარეთა სახითაც კი. ზოგი მათგანის სიმაღლე (ევკალიპტი) 150 მ-ს აღწევს.



სურ. 16.3. სეკვოია, ნაციონალური
პარკი, კალიფორნია



სურ. 16.4. ორლებნიანების კლასი. მუხა

ფარულთესლიანები ორ კლასად იყოფა: **ორლებნიანები და ერთლებნიანები.** უფრო ადრეული წარმოშობის და თანაც მრავალფეროვანია ორლებნიანების კლასი. მათში გაერთიანებულია ბალახეული მრავალძარღვა, აგრეთვე ჭადარი, წაბლი, მუხა, ევკალიპტი და სხვ. (სურ. 16.4). ერთლებნიანებში შედის ბალახოვანი მცენარეები, მათ შორის წყლისა და ჭაობის ფორმები, ხემცენარეები (პალმა და სხვ.).

ფარულთესლიანების არსებობა ცარცული პერიოდიდან დაიწყო. კაინოზოური ერა (დღევანდელობის ჩათვლით) მათი აყვავების ხანაა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პალეოზოურ ერაში ფართოდ იყვნენ გავრცელებული უმაღლესი სპოროვანი მცენარეები (პირველ რიგში გვიმრანაირები), მეზოზოურში – შიშველთესლიანები, ხოლო კაინოზოურში – ფარულთესლიანები. შესაბამისად, ხსენებული ჯგუფების გეოლოგიური მნიშვნელობა მითითებულ დროში განსაკუთრებით ღირებულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცენარეებს დიდი წვლილი მიუძღვით ქანების წარმოშობაში, ხოლო მათი როლი ქვანახშირის, ტორფისა და საწვავი ფიქლების ფორმირებაში უნიკალურია.

16.1.5. სამეფო Fungi – სოკოები

იმდენად მცირეა სოკოების როგორც გეოლოგიური, ისე პალეონტოლოგიური მნიშვნელობა, რომ მათ არც კი შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სოკოები ხასიათდებიან როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა თვისებებით. მეცნიერები არ გამორიცხავენ იმ ფაქტს, რომ სოკოები შეიძლება ორგანიზმთა ერთ-ერთი უძველესი ჯგუფი იყოს, თუმცა ყველაზე ძველი ნამარხი სოკოების ასაკი დავონურია (410-360 მლნ. წლის წინ). ერთი კია, რომ ხმელეთის პირველი ბინადარნი ბაქტერიებთან ერთად სოკოებიც უნდა ყოფილიყვნენ.

16.1.6. სამეფო Zoa (Animalia) – ცხოველები

ერთობ მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო – არის ერთუჯრედიანები და მრავალუჯრედიანები, ცალედი და კოლონიური ფორმები, აქტიურად მოძრავი და ზღვის ფსკერზე მიმაგრებულები, შლამში ჩაფლულნი თუ კლდეში ჩამჯდარნი. მათ დაპყრობილი აქვთ ზღვა და ხმელეთი, ჰაერიც კი.

პირველი ცხოველები დაახლოებით 1500 მილიონი წლის წინ, გვიანპროტეროზოურში გაჩნდნენ. ისინი ერთუჯრედიანები იყვნენ. მოგვიანებით, ვენდურის და-სანცისში, 680 მილიონი წლის წინ, მათ შეუერთდნენ მრავალუჯრედიანები.

სიცოცხლის განვითარების ხანგრძლივსა და რთულ გზაზე ცხოველების მრავალი ახალი ჯგუფი გაჩნდა, გზადაგზა ბევრიც გადაშენდა.


ცხოველთა სამეფო ორ ქვესამეფოდ იყოფა: **Protozoa – ერთუჯრედიანები** და **Metazoa – მრავალუჯრედიანები**. ორივე ქვესამეფოში ცალკეული ტიპებია გამოყოფილი. ერთუჯრედიანებიდან მხოლოდ ერთ ტიპს დავასახელებთ – **Sarcodina** (სარკოდინები), მრავალუჯრედიანებში კი შემდეგი ტიპებია ცნობილი: **Spongia** (ლრუბლები), **Archaeocyatha** (არქეოციათები), **Coelenterata** (ლრუნანლავიანები), **Vermes** (ჭიები), **Bryozoa** (ხავსცხოველები), **Brachiopoda** (მხარფებიანები), **Mollusca** (მოლუსკები), **Arthropoda** (ფეხსახსრიანები), **Echinodermata** (კანეკლიანები), **Hemichordata** (ნახევრადქორდიანები), **Chordata** (ქორდიანები).

მოკლედ განვიხილოთ მხოლოდ იმ ტიპების ნარმომადგენლები, რომელთაც კარგად განვითარებული სკელეტი აქვთ, შესაბამისად, კარგად ნამარხდებიან; ამავე დროს გამოირჩევიან ევოლუციის მაღალი ხარისხით და ამდენად, გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

ერთუჯრედიანებიდან ძალზე მნიშვნელოვანია ფორამინიფერებისა და რადიოლარიების კლასები (ტიპი **Sarcodina).**

ფორამინიფერები ძირითადად ზღვიური ცხოველებია, რომელთა უმეტესობა ფსკერზე ცხოვრებას (ბენთოსი) ამჯობინებს, ნაწილი კი პლანქტონს ნარმოადგენს. ისინი იკეთებენ კირქვის (CaCO_3) ნიჟარას, რომლის ზომები მილიმეტრის მეასედი ნაწილიდან 10-15 სმ-მდე მერყეობს.

ფორამინიფერები გაჩნდნენ კამბრიულში, დაახლოებით 540 მილიონი წლის წინ და მოვიდნენ დღემდე. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ბიოსტრატიგრაფიაში (ფუზულინიდები, გლობიგერინიდები, ნუმულიტიდები) (სურ. 16.5).



სურ.16.5. ფორამინიფერები:
a – *Fusulina* (C_{2-3}); b – *Globigerinida*: 1-4 – *Globigerina* (E-Q),
5 – *Orbulina* (N-Q); c – *Nummulites* (E)


ნუმულიტიდები იმდენად დამახასიათებელია პალეოგენისათვის, რომ ამ პერიოდს „ნუმულიტების ეპოქადაც“ კი მოიხსენიებდნენ.

დიდი მნიშვნელობა აქვთ ფორამინიფერებს პალეობიოგეოგრაფიაში და, შესაბამისად, პალეოგეოგრაფიული სურათის აღდგენაში; აგრეთვე პალეოკლიმატების დადგენაში, ქანთრმშენებლობაში (სანერი ცარცი, კირქვები) და სხვ.

რადიოლარიები მიკროსკოპული ფორმის (1 მმ-მდე) პლანქტონური ზღვიური ცხოველებია, რომლებიც იკეთებენ კაჟის (SiO_2) სკელეტს. მათი უმეტესობა თბილ ზღვებში ცხოვრობს. ამდენად, ნამარხების სახით რადიოლარიების პოვნა ძველი კლიმატური პირობების აღდგენის კარგ საშუალებას იძლევა (სურ. 16.6).

რადიოლარიებით აგებულია ბევრი ქანი (რადიოლარიტები, იაშმები, ოპოკები). განსაკუთრებით დამახასიათებელია ისინი ღრმა ოკეანური „ნითელი თიხებ-

ისათვის“. ზემოთ აღნიშნეთ, რომ ოკეანის ღრმა ნაწილებში (4000მ-ზე ღრმად) კირქვით აგებული ნიჟარები იხსნება წყალში, კაჟიანი კი არა. აქედან გამომდინარე, კაჟის შემცველი ქანები (ვთქვათ, კაჟიანი ფიქლები) ზღვიური აუზის დიდ სილრმეებზე მიუთითებენ.



სურ. 16.6. რადიოლარიები:

a – *Heliodiscus* (Q) b – *Dictyomitra* (K₂) c – *Calocyclus* (Q)


ბოლო ხანებში რადიოლარიებმა დიდი გამოყენება პოვეს პალეოზოური, პალეოგენური და მეოთხეული ნალექების ბიოსტრატიგრაფიაში.

რადიოლარიების გეოლოგიური ასაკი კამბრიულიდან დღემდეა.

ტიპი **Archaeocyatha** (არქეოციათები) ერთადერთი ტიპია ცხოველთა სამყაროში, რომელიც **მთლიანად გადაშენებულია** – ისინი გაჩნდნენ, განვითარდნენ და ამონიუდნენ კამბრიული პერიოდის განმავლობაში. თუნდაც ამ ერთი ნიშნით მათ დიდი როლი ენიჭებათ კამბრიული ნალექების (განსაკუთრებით ქვედა კამბრიულის) ბიოსტრატიგრაფიაში.

არქეოციათები ზღვის ცხოველები იყვნენ, რომლებიც იკეთებდნენ კირქვის სკელეტს. ცხოვრობდნენ თხელ და თბილ ზღვებში როგორც ცალედი, ისე კოლონიური ფორმების სახით. მიეკუთვნებოდნენ მიმაგრებულ ბენთონს (სურ. 16.7).

კოლონიური ფორმები ქმნიდნენ რიფებს. ამ თვალსაზრისით არქეოციათები პირველი რიფისმშენებელი ცხოველებია.




სურ. 16.7. არქეოციათი (€)

ტიპი **Coelenterata** (ლრუნაწლავიანები) მრავალუჯრედიანი ცხოველების ძალზე მრავალფეროვანი ტიპია, რომელშიც შედის ჰიდროიდული პოლიპები, მედუზები და მარჯნები. მათი პირველი წარმომადგენლები უკვე ვენდურში გვხვდება.

გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მარჯნები (კლასი Anthozoa) იმსახურებს. ეს არის ცალედი ან კოლონიური ცხოველების ჯგუფი, რომელთა უმეტესობა კირქვის სკელეტს იკეთებს. მარჯნები ზღვიური ცხოველებია, განსაკუთრებით ფართოდ არიან გავრცელებული ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყელების ზღვებში, უმეტესად შელფურ ზოლში. ბენ-თოსური ცხოველებია (სურ. 16.8).

მარჯნები კამბრიულიდან გვხვდება. კოლონიური მარჯნები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რიფისმშენებელი ცხოველებია. ამიტომაც ბუნებაში ფართო-დაა გავრცელებული როგორც თანამედროვე, ისე სხვადასხვა გეოლოგიური დროის მარჯნის რიფები.


მარჯნებში ოთხი ქვეკლასი გამოიყოფა, რომელთაგან ტაბულატები (Tabulata) და ოთხქიმიანი მარჯნები (Tetracoralla) პალეოზოურში მცხოვრები და პალეოზოურის ბოლოს გადაშენებული ჯგუფებია, ხოლო ექვსქიმიანი (Hexacoralla) და ოვაქიმიანი (Octocoralla) მარჯნები ტრიასულის დასაწყისიდან დღემდე მოდიან.



სურ. 16.8. მარჯნები:

ტაბულატები – a – Favosites (O_3 - D_2); b – Halysites (O_2 - S_1);
 ტეტრაკორალები – c – Calceola (D_2); ჰექსაკორალები d – Montlivaultia (I-K);
 e – Cyclolites (I-E₂); f – ოქტოკორალები – Tubipora (Q)

ტიპი Brachiopoda (მხარფეხიანები) – ცალედი, ძირითადად ზღვიური ცხოველებია, რომელიც ფსკერზე ბინადრობენ, უმეტესად სუბლიტორალურ ზონაში, თუმცა გვხვდებიან უფრო ღრმადაც. ორსაგდულიანების მსგავსად მხარფეხიანების რბილი სხეული ორსაგდულიან ნიუარაშია მოთავსებული, თუმცა პირველთაგან განსხვავებით სიმეტრიის სიბრტყე გადის არა საგდულებს შორის, არამედ საგდულებზე. გამოყოფენ მუცლისა და ზურგის (სიდიდით მუცლისაზე მცირე) საგდულებს. ნიუარა უმეტეს შემთხვევაში კირქვისაა. მხარფეხიანების უმეტესობა აუზის ფსკერს ემაგრება „ფეხით“, ზოგი უბრალოდ დევს ფსკერზე, ნაწილი კი გრუნტში ეფლობა. მათი ნიუარები ერთეული მმ-დან ათეულ სმ-მდეა (სურ. 16.9).



სურ. 16.9. ბრაქიოპოდები:

a – *Lingula* (S-Q), b – *Obolus* (ϵ_2 – O₁), c – *Orthis* (O₁), d – *Richthofenia* (P),
e – *Rhynchonella* (I₃), f – *Stringocephalus* (D₂), g – *Spirifer* (S₂ – P), h – *Athiris* (D-C)


მხარფებიანებმა გაიარეს ევოლუციის საინტერესო გზა კამბრიულიდან დღემდე. მათი აყვავების ხანა იყო პალეოზოური ერა, რომლის მიწურულსაც უმეტესობა ამონტიდა. ამიტომ მხარფებიანების გეოლოგიური მნიშვნელობა უმეტესად პალეოზოური დროით შემოიფარგლება. ამ ერაში ისინი რიფების მშენებლებიც კი იყვნენ.

ტიპი Mollusca (რბილტანიანები) – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჯგუფია უხერხემლო ცხოველებში. სავარაუდოდ, ისინი ვენდურში გაჩნდნენ, თუმცა ნამარხების სახით მხოლოდ კამბრიულიდან გვხვდებიან.

მოლუსკები ცხოვრობენ წყალში (უმეტესად ზღვებში) და ხმელეთზეც. ზღვაში მცხოვრები ფორმები სანაპირო ზონიდან დაწყებული 7000 მ სიღრმეზეც კი გვხვდება. მოლუსკებს შორის არიან როგორც ბენთოსური, ისე ნექტონური და პლანქტონური ფორმები. ცხოველთა ზომები მერყეობს 1-2 მმ-დან (პლანქტონური გასტროპოდები) თითქმის 20 მ-დაე (გიგანტური კალმარები).

გეოლოგიური თვალსაზრისით მოლუსკები არქიმნიშვნელოვანი ჯგუფია, განსაკუთრებით თავფეხიანები, ორსაგდულიანები და მუცელფეხიანები.

კლასი **Gastropoda** (გასტროპოდები ანუ მუცელფეხიანები). ამ კლასის წარმომადგენლები ცხოვრობენ წყალსა და ხმელეთზე, ყველაზე მრავლად კი – ზღვებში. მოლუსკებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ცხოველი „იშენებს“ კირქვის ნიჟარას, რომლის შეგნითაც თვით არის მოთავსებული. იშვიათადაა უნივერაგასტროპოდებიც. ნიჟარის ზომები მილიმეტრის მეათედიდან ათეულ სანტიმეტრამდეა. ნიჟარა, როგორც წესი, ასიმეტრიულია, დახვეულია სპირალურად (ჰელიკოდურად) (სურ. 16.10).



სურ. 16.10. გასტროპოდები:


- a – Bellerophon (S-T), b – Pleurotomaria (T-K), c – Turritella (K-Q), d – Murex (E-Q),
 e – Nerinea (I-K), f – Fusinus (K₂-Q), g – Viviparus(I₂-Q), h – Spiratella (N-Q),
 i – Limnaea (I-Q), j – Helix (E₃-Q)

ზღვაში მცხოვრები გასტროპოდები 5000 გ. სიღრმემდე ვრცელდებიან, თუმცა ამჯობინებენ ზღვის შედარებით არალრმა ზონებს, განსაკუთრებით ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყელების ზღვებისა. ძირითადად ბენთოსურ ცხოვრებას ეწევიან, თუმცა ვხვდებით პლანქტონსაც.

გასტროპოდები კამბრიულიდან მოდიან. მათი აყვავების ხანად კი ყველაზე ახალი, კანოზოური ერა ითვლება. ისინი მრავლადაა დღესაც.

კლასი **Bivalvia** (ორსაგდულიანები). მათ ზოგჯერ ფირფიტლაყუჩიანების და კიდევ სხვა სახელითაც მოიხსენიებენ. მხოლოდ წყლის ცხოველებია. ზღვების გარდა, ლაგუნებში, ტბებსა და მდინარეებშიც გვხვდებიან.

ორსაგდულიანები მხოლოდ ცალედი ფორმებია, არასოდეს ქმნიან კოლონიებს. ცხოველის სხეული ორი ნაწილისაგან (საგდულებისაგან) შემდგარ ნიჟარაშია მოთავსებული. ნიჟარა უმეტესად ბილატერალურია (ორმხრივისიმეტრიული) (სურ. 16.11).



სურ. 16.11. ბივალვიები:

a-b – *Pectunculus* (K-Q), c – *Inoceramus* (I-K), d – *Ostrea* (K-Q), e – *Chlamys* (T-Q),
 f – *Mytilus* (I₃-Q), g – *Unio* (I-Q), h – *Cardium* (N-Q), i – *Pholas* (K-Q),
 j – *Requienia* (k), k – *Hippurites* (K₂)

მისი ზომა ერთეულიდან ათეულ სანტიმეტრებში მერყეობს. ავსტრალიის ბარი-ერული რიფის ზოლში ცნობილია ბივალვიების წარმომადგენლები, რომლებიც გი-განტურ ზომებს (1.5 მ.) აღნევენ და 300 კგ-ს იწონიან.


ორსაგდულიანები ცხოვრობენ სხვადასხვა მარილიანობისა და ტემპერატუ-რის ნებალში, ხოლო ზღვებში ლიტორალური ზონიდან აბისალურამდე და ულტრა-აბისალურამდეც კი (7000 მ.). ცხოვრების ნირით ისინი ტიპურ ბენთონს წარმოად-გენენ; ცხოვრობენ გრუნტის ზედაპირზე ან ეფლობიან გრუნტში, ზოგჯერ ბურდავენ ფსკერის ამგებ მაგარ ქანებს და ძვრებიან შიგ (ე.წ. „მბურღავი მოლუსკები“); არიან ხეთა მბურღავებიც კი. სწორედ ორსაგდულიანების ერთ-ორ წარმომადგენელს აქვს მარგალიტის წარმოქმნის უნარი – ცხოველის რბილი სხეულის ზედაპირზე, მანტია-სა და ნიჟარას შორის შემთხვევით მოხვედრილი რაიმე ნამცეცი აღიზიანებს ცხოვ-ელს, რომელიც ამის გამო ნამცეცის ირგვლივ გამოყოფს კალციუმის კარბონატს, ე.წ. სადაფის ფენას, რომელიც საბოლოოდ ულამაზესი სამკაულის – მარგალიტის სახეს დებულობს.

კლასი **Cephalopoda** (თავფეხიანები). თავფეხიანები უხერხემლო ცხოველთა შორის ყველაზე მაღალგანვითარებულ ორგანიზმებად ითვლებიან. მათ ხატოვნად „ზღვის პრიმატებსაც“ კი უწოდებენ. ისინი მხოლოდ ზღვებში ცხოვრობენ და თანაც

მხოლოდ ნორმულმარილიანში. თუნდაც ამ ერთი თვისებით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნამარხი ცეფალოპოდები პალეოზოებში არსებული ფიზიკური გარემოს საუკეთესო ინდიკატორებია. თავფეხიანები ნექტონს, ანუ წყალში აქტიურად მოძრავ ორგანიზმებს მიეკუთვნებიან.

ცეფალოპოდები გვიან კამბრიულში გაჩნდნენ და, მიუხედავად ძლიერი გადაშენებისა მეზოზოურისა და კაინოზოურის საზღვარზე, დღემდე მოვიდნენ. ისინი ორ ძირითად ქვეყლასად იყოფიან: **Ectocoelia** (გარენიუარიანები) და **Endocoelia** (შიგანიუარიანები). გარენიუარიანების თანამედროვე წარმომადგენელია ნაუტილუსი, ხოლო შიგანიუარიანების – კალმარები, სეპია (მელანთევზა), რვაფეხა. ქვეყლასების სახელწოდებიდან კარგად ჩანს, რომ თავფეხიანები იყეობენ ნიუარას, რომლის მდებარეობაც განსაზღვრავს ქვეყლასის შინაარსს.


გარენიუარიანებში ცხოველის რბილი სხეული ნიუარის შიგნითაა მოთავსებული (სურ. 16.12). ნიუარა კირქვისაა. იგი უმეტეს შემთხვევაში ერთ სიბრტყეშია სპირალურად დახვეული, რის გამოც ორმხრივსიმეტრიულია (ბილატერალურია). თუმცა ცნობილია პალეოზოური ასაკის გარენიუარიანები, რომელთაც სწორი, ამართული სკელეტი აქვთ.



სურ. 16.12. ცეფალოპოდები:

a – ცეფალოპოდის საერთო ხედი, b – *Nautilus* (K₂-Q) c – *Endoceras*(O), d – *Bactrites* (D-P),

გარენიუარიანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **ამონიტები** – სპირალურად დახვეული ნიჟარის მქონე ფორმები, რომლებიც დევონურიდან ცარცულის ბოლომდე არსებობდნენ და სამი ევოლუციური ჯგუფი მოგვცეს: **გონიატიტები** – დევონურ-პერმული, **ცერატიტები** – ძირითადად ტრიასული და ე.წ. **ნამდვილი ამონიტები** – იურულ-ცარცული. ცარცულის ბოლოს ამონიტები ამონიტები სხვათა შორის, ამონიტების ნიჟარის დიამეტრი ათეულ სანტიმეტრს აღწევდა, თუმცა ცნობილია გიგანტური ზომის (2-ანი დიამეტრის) ამონიტებიც. უნდა ვიგარაუდოთ, რომ ამონიტები კარგი მცურავები იყვნენ (სურ. 16.13).



სურ. 16.13. ცეფალოპოდები (ამონიტები):


- a – *Agoniatites* (D_2), b – *Manticoceras* (D_3), c – *Goniatites* (C_1), d – *Clymenia* (D_3),
e – *Ceratites* (T), f-*Phylloceras*(I), g – *Lytoceras* (I_{1-2}), h – *Amaltheus* (I_1^2), I – *Virgatites* (I_3),
j – *Turrilites* (K_1), k – *Ancyloceras* (K_1)

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბიოსტრატიგრაფიული თვალსაზრისით ამონიტები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჯგუფია, განსაკუთრებით იურული და ცარცული პერიოდებისათვის.

შიგანიუარიანებში ნიჟარარბილი სხეულის შიგნითაა მოთავსებული. ცხოველები ორმხრივსმეტრიულია, უმეტესად კარგად მცურავი; სხვადასხვა ზომისაა. ცნობილია გიგანტური კალმარები, რომელთა სიგრძე საცეცების ჩათვლით 180-ს აღწევს. გამოდის, რომ ისინი ყველაზე დიდი ზომის უხერხემლო ცხოველები ყოფილა.

შიგანიუარიანების ერთადერთი გადაშენებული ჯგუფია ცნობილი. ეს არის **ბელემნიტები**, რომლებიც დევონურში გაჩნდნენ და ცარცულის ბოლომდე არსებობდნენ.

ბელემნიტების ბიოსტრატიგრაფიული ღირებულება, მსგავსად ამონიტებისა, ძალზე დიდია, განსაკუთრებით იურულ-ცარცული ნალექებისათვის (სურ. 16.14).



სურ. 16.14. ცეფალოპოდები (ბელემნიტები)

a – *Cylindroteuthis* (I_{2-3}), b – *Duvalia* (I_3 - K_1), c – *Hibolites* (I_3 - K_1), d – *Belemnite* (K_2)

ტიპი Arthropoda (ფეხსახსრიანები) უხერხემლო ცხოველთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ეს განსაკუთრებით მწერებზე ითქმის, რომლებზეც თანამედროვე ფაუნის დაახლოებით 70% მოდის. ფეხსახსრიანები ამავე დროს მაღალი განვითარების ორგანიზმებს წარმოადგენენ. ალბათ ამით არის განპირობებული მათ მიერ, ფაქტობრივად, ყველა ტიპის ბიოტოპის „დაპყრობა“ (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ხმელეთი).


ფეხსახსრიანები ცალედი ფორმებია, არ ქმნიან კოლონიებს. მათი სხეული, განსაკუთრებით კიდურები, მთლიანად დასახსრულია. აქედან წარმოდგება მათი სახელწოდებაც. ისინი იკეთებენ სხვადასხვა ფორმის ქიტინვან სკელეტს, ზოგჯერ ორსაგდულიანი ნიჟარის სახითაც კი. გვხვდებიან ვენდურიდან დღემდე.

მიუხედავად დღევანდელი მრავალფეროვნებისა, მწერებს ძალიან იშვიათად ვხვდებით ძველ წყებებში იმის გამო, რომ ისინი ძალზე ცუდად ნამარხდებიან.

სამაგიეროდ არის ჯგუფები, რომელთა განამარხებული ფორმები ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა ასაკის ქანებში. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია **ტრილობიტები**, რომლებიც მთელი პალეოზოურის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კამბრიულ-ორდოვიციულ-სილურულში, დიდი განვითარებითა და მრავალფეროვნებით გამოიჩინა (სურ. 16.15).


ტრილობიტები ზღვის ცხოველები იყვნენ, ძირითადად მოძრავ ბენთოსს მიეკუთვნებოდნენ, ცხოვრობდნენ სხვადასხვა სილრმეზე. მაგრამ უმეტესად სუბლიტორალურ ზონაში.

ტრილობიტები პალეოზოურის ბოლოს გადაშენდნენ. მათი ბიოსტრატიგრაფიული მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია კამბრიულ-ორდოვიციული ნალექები-სთვის.



სურ. 16.15. ფეხსახსრიანები: ტრილობიტები –
a – *Agnostus* (e-O), b – *Olenellus* (e₁)

ტრილობიტების გვერდით უნდა დავასახელოთ ორდოვიციულ-პერმული ასაკის ევრიპტერიდები (ქვეკლასი Eurypteroidea), რომლებიც ყურადღებას, პირველ რიგში, იმით იქცევენ, რომ ზოგი მათგანი გიგანტურ ზომებს აღწევდა (2მ-დე) (სურ. 16.16). ევრიპტერიდები ბინადრობდნენ ზღვის არალრმა ზონებში, ლაგუნებში და მტკნარი წყლის აუზებშიც. სავარაუდოა, რომ მათ სიცოცხლის ზღვიდან ხმელეთზე ამოსვლის ერთგვარი ხიდი გადეს.




სურ. 16.16. ფეხსახსრიანები – ევრიპტერიდები
a – *Eurypterus* (S₂-D₁), b – *Pterygotus* (S-D)

ტიპი Echinodermata (კანეკლიანები) თანამედროვე ზღვებში ფართოდ გავრცელებული ჯგუფია. მათი ისტორია კი კამბრიულიდან იწყება. ეს ერთობ მრავალფეროვანი ტიპია, რომლის ნარმომადგენლები ნორმულმარილიან ზღვებში სხვადასხვა სიღრმეზე ცხოვრობენ, ლიტორალური ზონიდან 10000 მ-დეც კი. ტიპური ბენთოსური ცხოველებია, რომელთა შორის არის როგორც ფსკერზე მიმაგრებული (კრინოიდები), ისე ფსკერზე მოარული (ზღვის ზღარბები, ზღვის ვარსკვლავები) ან შლამში ჩაფლული ფორმები (ზღვის ზღარბები). ზოგიერ-

თი კლოვან ქანებსაც კი ბურღავს (ზღვის ზღარბები). კანეკლიანები ძირითადად კირქვის სკელეტს იკეთებენ.

ამ ტიპს მიეკუთვნება ცისტოიდეები (ზღვის ბუშტები), ბლასტოიდეები (ზღვის კოკრები), კრინოიდეები (ზღვის შროშნები), ასტეროიდეები (ზღვის ვარსკვლავები), ოფიუროიდეები (ზღვის გველანები), ექინოიდეები (ზღვის ზღარბები), ჰოლო-თურიები (ზღვის კიტრები) (სურ. 16.17).




სურ. 16.17. კანეკლიანები – ზღვის შროშნები:

- a – ზღვის შროშანი, b – Encrinus (T), c – Pentacrinus(T-K); ზღვის ზღარბები: d-e – Cidaris (C-Q) (d – გვერდხედი, e – ზედხედი), f – არისტოტელეს ფარანი, g – Pygaster (I₂-K) (1 – ზედხედი, 2 – ქვედხედი), h – Conulus (K₂) (1 – უკანა ხედი, 2 – ქვედხედი), I – Echinocorys (K₂-E₁), j – Micraster (K₂)

გეოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვთ კრინოიდეებსა და ექინოიდეებს. კრინოიდეები კამბრიულიდან დღემდეა ცნობილი. მათი აყვავება პალეოზოურში მოხდა, ამიტომ დიდ ინტერესს სწორედ პალეოზოური ფორმები იწვევს. რაც შეეხება ექინოიდეებს, ევოლუციური პიკი მათ რამდენჯერმე ჰქონდათ, თუმცა ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გვიანცარცული ეპოქა იყო.

კრინოიდეებსა და ექინოიდეებს დიდი გამოყენება აქვთ პალეობიოგეოგრაფიულ და ბიოსატრატიგრაფიულ კვლევაში. კრინოიდეები ზოგჯერ აქტიური რიფისმშენებლებიც იყვნენ.

ტიპი Hemichordata (ნახევრადქორდიანები). ამ ტიპიდან ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ გადაშენებული კლასი Graptolithina – გრაპტოლითები, რომლებიც პალეოზოურ ერაში ცხოვრობდნენ. ისინი იყვნენ ზღვიური კოლონიური ცხოველები, ბენთოსური და პლანქტონური ცხოვრების ნირით. ისინი წყალმცენარეებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ცხოველებს. განვითარებული ჰქონდათ ქიტინოვანი სკელეტი (სურ. 16.18).



სურ. 16.18. ნახევრადქორდიანები (გრაპტოლითები)
a – *Dictionema* (E_3-C_1), b – *Diplograptus* ($O-S_1$)

გლაპტოლითები არსებობდნენ შუა კამბრიულიდან ადრე კარბონულამდე. განსაკუთრებით ფართოდ იყვნენ გავრცელებული ორდოვიციულ-სილურულში, რის გამოც აღნიშნული სისტემების დეტალური (ზონალური) დანაწილება სწორედ ამ ცხოველთა მიხედვით ხდება. ყველაზე ხშირად გრაპტოლითებს ვხვდებით თიხიან ფიქლებში, ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომ ასეთ ქანებს გრაპტოლითებიანი ფიქლების სახელიც კი შეარქვეს.

ტიპი Chordata (ქორდიანები). ამ ტიპიდან უდიდეს ყურადღებას მხოლოდ ხერხემლიანები იმსახურებს.


ქვეტიპი Vertebrata (ხერხემლიანები) წყალში და ხმელეთზე მცხოვრები ცხოველებია, რომლებმაც ორგანული სამყაროს განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს.

ხერხემლიანებში 6 კლასი გამოიყოფა: *Agnatha* (უყბონი), *Pisces* (თევზები), *Amphibia* (ამფიბიები ანუ წყალხმელეთანი), *Reptilia* (ქვენარმავლები), *Aves* (ფრინველები) და *Mammalia* (ძუძუმწოვრები). ჩამოთვლილი კლასებიდან უყბონი, თევზები და ამფიბიები წყალში მცხოვრები ფორმებია, ხოლო ქვენარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები ზოგი გამონაკლისის გარდა ტიპურ ხმელეთის ფაუნას წარმოადგენენ.

კლასი Agnatha(უყბონი) ხერხემლიანების პირველი წარმომადგენლები უყბო „თევზების“ სახით ორდოვიციულში გაჩნდნენ. შევნიშნავთ, რომ ბოლო ხანებში უყბოებს, თევზებისაგან გამოყოფილად, ცალკე კლასად განიხილავენ. მათი თანამე-დროვე წარმომადგენელია სალამურა. უყბოების უმეტესობა სილურულ-დევონურ-ში ცხოვრობდა.

კლასი Pisces (თევზები) სილურულში ჩნდება. მათ იმთავითვე დაიწყეს სწრაფი განვითარება, დაიპყრეს წყლის ფართო არეალი ზღვიდან დაწყებული ლაგუნების, ტბებისა და მდინარეების ჩათვლით.


თევზები ერთობ მრავალფეროვანი ჯგუფია. მათ მიეკუთვნება ზვიგენები, დიპ-ნოები (ორგარად მსუნთქავი თევზები, რომლებიც ალბათ ზღვიდან ხმელეთზე ამოსული ცხოველების ერთ-ერთ პირველ რაზმში იყვნენ, დღეს კი რელიქტის სახით არიან შემორჩენილი), ლატიმერიები და სხვ. ლატიმერია პალეოზოურ-მეზოზოური დროის თევზების ერთ-ერთი გვარია. მეცნიერებს ეს გვარი 100 მილიონი წლის წინ გადაშენებულად მიაჩნდათ, მაგრამ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ამ გვარის წარმომადგენლები ინდოეთის ოკეანეში, სამხრეთ აფრიკის მახლობლად იპოვეს. ცხოვრობენ დაახლოებით 200-600 მ. სილრმეზე. საინტერესოა, რომ მათი ქვირითის ზომა გრეიპფრუტის ოდენაა. მეცნიერთა აზრით, ყველა ოთხფეხიანი ხერხემლიანი – ამფიბიები, რეპტილიები, ფრინველები და ძუძუმწოვრები თანამედროვე ლატ-იმერიების ძველ წინაპართა შთამომავლებია (სურ. 16.19).



სურ. 16.19. ლატიმერია

კლასი Amphibia (ამფიბიები). ცხოველების ზღვიდან ხმელეთზე ამოსვლამ და, შესაბამისად, მოძრაობის ხასიათის მკვეთრად შეცვლამ, პირველ რიგში, ორი წყვილი კიდურის თავისებური განვითარება გამოიწვია. ამიტომ ამფიბიები, რეპტილიები, ფრინველები და ძუძუმწოვრები ერთიანდებიან ზეკლასში **Tetrapoda – ოთხფეხიანები.** მათგან ყველაზე უფრო ადრეული წარმოშობის (დევონური პერიოდი) პრიმიტიული ამფიბიებია.

ამფიბიები, მსგავსად თევზებისა, ცივსისხლიანი ცხოველებია. ისინი გვიან-დევონურში გაჩნდნენ და დღემდე მოაღწიეს. უძველესი ამფიბიებიდან ალანიშნავია **სტეგოცეფალები,** რომლებიც საკმაოდ გავრცელებულ ჯგუფს წარმოადგენდა. ისინი უმთავრესად ჭაობებში, დაჭაობებულ ტყეებსა და ლაგუნებში ბინადრობდნენ, გვიანდევონურიდან იურულის მიწურულამდე (სურ. 16.20).



სურ. 16.20. ამფიბიები: а – გვიანდევონური ასაკის სტეგოცეფალი – იქთიოსტეგა (რეცონსტრუქცია); δ – პერმული ასაკის სტეგოცეფალის ჩონჩხი (რეცონსტრუქცია)

თანამედროვე ამფიბიებს მიეკუთვნებიან ბაყაყები, გომბეშოები, სალამანდრები, ტრიტონები.

ამფიბიებმა (სტეგოცეფალებმა) მაღალ განვითარებას მიაღწიეს კარბონულსა და პერმულში. ბიოსტრატიგრაფიაში ისინი სწორედ კარბონულ-პერმული და კიდევ ტრიასული ნალექების ასაკების განსასაზღვრავად გამოიყენება.

კლასი Reptilia (ქვენარმავლები). ქვენარმავლები ის ჯგუფია, რომელმაც ხერხემლიანთაგან პირველმა დაიპყრო ხმელეთი მთლიანად, პირველი შეიჭრა საჰარო სივრცეშიც (მფრინავი ქვენარმავლები) და ნანილობრივ განაგრძობდა ზღვაში ცხოვრებასაც (იქთიოზავრები, პლეზიოზავრები, მოზაზავრები). ქვენარმავლების აყვავების ხანად მეზოზოური ერა ითვლება, თუმცა დღესაც მრავლადაა ნიანგები, ხვლიკები, კუ, გველები, აგრეთვე ქამელეონები, ტუატარები (ჰატერიები) და სხვ.

ქვენარმავლები კარბონულში გაჩნდნენ და პერმულსა და შემდგომ პერიოდებში იწყეს სწრაფი განვითარება. ამას შესაძლებელია ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პერმულის ბოლოსათვის დედამინაზე უკვე არსებობდა ერთიანი სუპერკონტინენტი ჰანგება, რომელზედაც გაბატონება ხერხემლიანთა შორის ერთ-ერთ პირველ ბინადართ არ უნდა გასჭირვებოდათ. როგორც ჩანს, ასეც მოხდა. მეზოზოურის ბოლოს ქვენარმავლების დიდი ნანილი მცენარეებისა და ცხოველების მრავალ სხვა ჯგუფთან ერთად გადაშენდა.

გეოლოგიურ ნარსულში არსებულ ქვენარმავალთაგან ყველაზე კოლორიტულ ჯგუფს, რა თქმა უნდა, დინოზავრები ნარმოადგენს. დინოზავრის ხსენებაზე თვალწინ დიდი და საშინელი ცხოველი წარმოგვიდგება და ეს ასეცაა. თვით სახელიც ხომ საშინელ ცხოველს ნიშნავს. თუმცა არსებობდნენ ციყვისოდენა დინოზავრებიც. რაც შეეხება დიდტანიანებს, დინოზავრები 12 მეტრსაც კი აღწევდნენ სიმაღლეში, ხოლო სიგრძეში 40 მ-ს აჭარბებდნენ. მაროკოში ნაპოვნია **ბრევიპაროპუსის** ნაკვალევი, რომლის მიხედვითაც გამოანგარიშებულია ცხოველის სიგრძე – 48 მეტრი. ამგვარი მონაცემებით დინოზავრები დედამინაზე არსებული ყველაზე დიდი ცხოველები ყოფილან (ზღვაშიც, ხმელეთზეც, ხერხემლიანებშიც და უხერხემლოებშიც). ნონითაც

დინოზავრები ათეულობით ტონას იწონიდნენ, **ულტრაზავრი** კი თურმე 130 ტონას აღწევდა (თუმცა ზემძიმე წონის თვალსაზრისით გინესის წიგნში დინოზავრი კი არა, თანამედროვე ლურჯი ვეშაპი შევა, რომლის ერთი წარმომადგენლის საერთო წონა 187 ტონა ყოფილა). არის ეჭვი იმის თაობაზე, რომ დინოზავრები შესაძლოა, თბილ-სისხლიანებიც იყვნენ.

დინოზავრებს შორის იყვნენ როგორც საშინელი მტაცებლები, ისე „მშვიდი“, ბალახისმჭამელი ფორმები, მაგრამ ყველანი – კვერცხისმდებლები (სურ. 16.21, 16.22).



სურ. 16.21. დინოზავრის კვერცხი

დინოზავრები გაჩნდნენ ტრიასულში, დაახლოებით 220 მლნ. წლის წინ და გა-დაშენდნენ ცარცული პერიოდის ბოლოს, 65 მლნ. წლის წინ.



სურ. 16.22. დინოზავრები:

- ა – მტაცებელი დინოზავრი *Tyrannosaurus*;
- ბ – „ვეგეტარიანელი“ დინოზავრი *Diplodocus*

მფრინავი ხვლიკები პტეროზავრების სახელითაა ცნობილი. პაერში ფრენასთან დაკავშირებით ქვეწარმავლის სხეულმაც შესაფერისი ფორმა მიიღო და

სხვა ცვლილებებთან ერთად მისი სხეული „ბუმბულით“ დაიფარა, რაც თითქოს თბილსისხლიანობის მაჩვენებელია (სურ. 16.23).



სურ. 16.23. პტეროზავრი – მფრინავი „ხვლიკი“

მფრინავი ხვლიკების ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ იურული ასაკის რამფორინქუსები და ცარცული პტეროდაქტილუსები. რამფორინქუსის გაშლილი ფრთების სიგრძე 13 მ-ს აღწევდა.

ნამარხი რეპტილიები გამოიყენება პერმულ-მეზოზოური კონტინენტური წყებების ბიოსტრატიგრაფიაში.

კლასი Aves (ფრინველები). ამ კლასში შემავალი ორგანიზმების ძირითადი მახასიათებლები სხვა ნიშნებთან ერთად ფრთებად გადაქცეული წინა კიდურების წყვილი და ნამდვილი ბუმბულით დაფარული სხეულია. ფრინველები ძალზე მრავალფეროვანი ჯგუფია, თუმცა გეოლოგიურად ნაკლებად საინტერესო.

პირველი ფრინველები, **არქეოპტერიქსები**, რომლებიც გვიანიურულში გაჩნდნენ, ზოგი ნიშნით (გრძელი, 20-21 მალისაგან აგებული კუდი, ბრჭყალები თითებზე, კბილები) ქვეწარმავლებს წააგავდნენ. ნათელია, რომ ფრინველები ქვეწარმავლები-საგან (კერძოდ, პტეროზავრებისაგან) გაჩნდნენ (სურ. 16.24).



სურ. 16.24. არქეოპტერიქსი – პირველი ფრინველი:
ა – საერთო ხედი, ბ – ჩონჩხი

კლასი Mammalia (ძუძუმწოვრები) თანამედროვე ფაუნაში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული და მრავალფეროვანი ჯგუფია. ძირითადად ხმელეთის ცხოველებია, თუმცა გვხვდებიან ზღვებშიც (ვეშაპები) და ჰაერშიც (ლამურები). ძუძუმწოვრების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი თბილსისხლიანობასთან ერთად ცოცხლად შობადობაცაა. თუმცა არის გამონაკლისებიც, მაგალითად, თანამედროვე ექიდნასა და იხვნისკარტას სახით, რომლებიც კვერცხით მრავლდებიან.

ძუძუმწოვრები ტრიასულ პერიოდში გაჩნდნენ. პირველი ძუძუმწოვრები თაგვისოდენები იყვნენ. შემდგომი განვითარებით ძუძუმწოვრებმა აყვავებას კაინოზოურ ერაში მიაღწიეს, რომლის წამყვან ჯგუფსაც წარმოადგენენ.

გეოლოგიური მნიშვნელობის თვალსაზრისით ძუძუმწოვრების მრავალფეროვანი ჯგუფებიდან შეიძლება დავასახელოთ ცხენისმაგვართა ოჯახი პრიმიტიული ჰიპარიონიდან დაწყებული (Eohippus) თანამედროვე ცხენამდე (Equus), მარტორქების ოჯახი, ხორთუმიანთა რიგი ნეოგენური მასტოდონტიდან თანამედროვე სპილომდე და სხვ.

ძუძუმწოვრებს მიეკუთვნება ასევე **პრიმატების** რიგი, რომელშიც შედის ადამიანისმაგვარი მამუნები (გიბონი, ორანგუტანგი, შიმპანზე, გორილა).

პრიმატებსვე მიეკუთვნება **ადამიანიცა**. პირველი ადამიანი, *Homo habilis* დაახლოებით 2.5 მილიონი წლის წინ გაჩნდა აფრიკაში, რუდოლფის ტბის პირას. როგორც ქართველმა პალეონტოლოგებმა დაადგინეს, აფრიკაში მცხოვრები პირველი ადამიანის უშუალო მემკვიდრე ყოფილა საქართველოში, პატარა დმანისის მიდამოებში განსახლებული *Homo georgicus*, რომლის ასაკიც 1.75 - 1.80 მილიონი წლით ისაზღვრება. აშკარაა, რომ საქართველო ადამიანის ევოლუციის ერთ-ერთი უძველესი რეგიონი იყო!

ნამარხი ძუძუმწოვრები კაინოზოური კონტინენტური ნალექების ბიოსტრატიგრაფიაში გამოიყენება.

მსგავსად მცენარეებისა, ხერხემლიანი ცხოველების განვითარებაშიც გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა – შეიძლება ითქვას, რომ პალეოზოური იყო თევზებისა და ამფიბიების ერა, მეზოზოური – ქვეწარმავლების, ხოლო კაინოზოური – ძუძუმწოვრების.

16.1.7. სიცოცხლის ევოლუცია და ორგანიზმთა გადაშენება

პალეონტოლოგიური საკითხების განხილვა გვინდა დავასრულოთ უაღრესად საინტერესო და ამავე დროს ძალზე პრობლემური საკითხებით, რომელთაც სიცოცხლის ევოლუცია და ორგანიზმთა გადაშენება (ამონტურება) ჰქვია.

გადაშენება გულისხმობს ორგანიზმთა ცალკეული ტაქსონის (სახეობის, გვარის ან უფრო მაღალი რანგის ერთეულის) ამოვარდნას (გამოკლებას) სიცოცხლის განვითარების ისტორიიდან. შესაბამისად, გადაშენება სიცოცხლის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი, უმჯობესია ვთქვათ, დამაგვირგვინებელი ეტაპია – ტაქსონი (სახეობა, გვარი და ა.შ.) წარმოიშობა, განვითარდება და ბოლოს გადაშენდება.

როგორც ითქვა, სიცოცხლე დედამიწაზე დაახლოებით 3700-3800 მილიონი წლის წინ გაჩნდა. ამ დიდი დროის განმავლობაში სიცოცხლის ევოლუციის ცალკეული ეტაპების გაშეფრა ხელვიფება ერთადერთ მეცნიერებას – პალეონტოლოგიას. იგივე პალეონტოლოგია ადგენს ცალკეულ ტაქსონთა გადაშენების მომენტებსაც. გასაგებია, რომ რაც უფრო დაბალი რანგისაა ტაქსონი, მით უფრო მაღალი იქნება გადაშენების რაოდენობრივი მაჩვენებელიცა და ტემპიც, უბრალოდ იმის გამო, რომ ეს ტაქსონები ზემდგომებთან შედარებით რაოდენობრივად უფრო მეტია, ხოლო მათი არსებობის პერიოდი – გაცილებით უფრო ხანმოკლე. უკვე აღვნიშნეთ, რომ გადაშენებულ სახეობათა რიცხვი დღეისათვის 200 000 შეადგენს. გაცილებით უფრო მცირეა გადაშენებული გვარების რაოდენობა, ხოლო გადაშენებული ტიპი (ცხოველთა სამეფოში) მხოლოდ ერთადერთია (არქეოციათები).

რა იწვევს ორგანიზმთა გადაშენებას? მარტივი პასუხი იქნება – სიცოცხლის განვითარების საერთო პროცესი. იმისთვის, რომ ორგანიზმმა იარსებოს, ის ვალდებულია მაქსიმალურად კარგად მოერგოს, შეეგუოს გარემო პირობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დალუპვა გარდაუვალია. გარემო პირობებში კი იგულისხმება ორგორც ფიზიკური გარემო, ისე ორგანული სამყარო (ე.ი. სხვა ორგანიზმები). ორგანიზმი ცდილობს შეეგუოს ცვალებად ფიზიკურ გარემოს, უფრო უკეთ მოიპოვოს საკვები, გააფართოოს საცხოვრებელი არეალი, დატოვოს უფრო ძლიერი მექანიზრება. ყოველივე ამის გამო ჩაღდება ბრძოლა არსებობისათვის ცალკეულ სახეობებს თუ სხვა ტაქსონებს შორის. **არსებობისათვის ბრძოლა** ბუნების უძირითადესი კანონია, რომელიც მეცნიერებაში დიდმა ბუნებისმეტყველმა ჩარლზ დარვინმა დაამკიდრა. ძველ ორმაელებს ჰქონდათ ძალზე საინტერესო გამოთქმა – **Homo homini Lupus est**, რომლის პირდაპირი თარგმანი ნიშნავს – „კაცი კაცისთვის მგელიაო“, ე.ი. მტერი. შინაარსობრივად კი ეს გამოთქმა გვამცნობს, რომ არა მარტო ადამიანები, არამედ საერთოდ ცოცხალი ორგანიზმები ერთმანეთის მგლები ან მტრები კი არა, კონკურენტები არიან. არსებობისათვის ბრძოლაში იმარჯვებს უფრო ძლიერი, უკეთ შეეგუებული არსებულ გარემო პირობებს, სუსტი კი ადრე თუ გვიან გადაშენდება. ამდენად, არსებობისათვის ბრძოლა სიცოცხლის ევოლუციური განვითარების პირველწყაროა.

როგორც ვხედავთ, ორგანიზმთა გადაშენება სიცოცხლის ევოლუციის თანმხვედრი პროცესია, რომელიც ბუნებაში პერმანენტულად მიმდინარეობს. თანაც, სულაც არ არის სავალდებულო, რომ ის ორგანიზმთა სხვადასხვა ჯგუფში ერთდროული იყოს. თუმცა დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების ისტორიაში შემოგვინახა ორგანიზმთა მრავალი ჯგუფის ერთდროული გადაშენების ორი შესანიშნავი ფაქტი, რომლებიც გვამცნობს, რომ ამგვარი გადაშენება მომხდარა პალეოზოურ-მეზოზოურსა და მეზოზოურ-კაინოზოურის საზღვარზე.

65 მილიონი წლის წინ, მეზოზოური ერის დასასრულსა და კაინოზოური ერის დასაწყისში მოხდა ბიოსის ერთ-ერთი უძლიერესი გადაშენება, რომლის შედეგად ამონტაჟა წყალსა და ხმელეთზე მცხოვრები მცენარეების, ცხოველების და სხვა სამეფოების უამრავი ტაქსონი. ამ გადაშენებას ემსხვერპლა ისეთი პოპულარული

ფორმები (ორგანიზმები), როგორებიც იყვნენ: **გიგანტი დინოზავრები, „მფრინავი ხვლიკები“, ამონიტები, ბელემნიტები, ინოცერამები** და სხვანი.

დიდ ინტერესს იწვევს ამ გლობალური გადაშენების მიზეზი. უშუალო მიზეზი არცთუ ისე ძნელი დასადგენია – ეს არის ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება. მაგრამ გასარკვევია ამ უკანასკნელის წარმოშობის საკითხი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება იყოს კლიმატის გლობალური შეცვლა, შეიძლება – მთათა წარმოშობა, მასთან დაკავშირებული ძლიერი ვულკანიზმით. თითქოს უფრო მისაღები ჩანს ე.წ. „**იმპაქტური ჰიპოთეზა**“, რომელიც გულისხმობს 65 მილიონი წლის წინ დედამინაზე დიდი ზომის (დაახლოებით 10-15 კმ დიამეტრის მქონე) მეტეორიტის ჩამოვარდნას. 1992 წელს მიკვლეულ იქნა მეტეორიტის ჩამოვარდნის ადგილი, რომელიც მექსიკაში (კერძოდ, იუკატანის ნახევარკუნძულზე) აღმოჩნდა. მეტეორიტის (ასტეროიდის) დაჯახების შედეგად გაჩენილი კრატერის დიამეტრი 180 კმ-ს შეადგენს.

ექსპერტთა დასკვნით, ასტეროიდის შეჯახების შედეგად გამოყოფილი ენერგია 100 ტრილიონი ტონა ტროტილის ეკვივალენტური იყო, რაც დაახლოებით მილიარდჯერ (შეიძლება უფრო მეტადაც) აღმატება ჰიპოსიმასა და ნაგასაკაში ჩამოგდებული ატომური ბომბების სიმძლავრეს. საშინელ კატასტროფას შედეგად მოჰყვა ფართო მასშტაბის ხანდარი, ძლიერი მიწისძვრები, მეწყერები, ცუნამი და სხვა, რამაც, საბოლოო ჯამში, ბიოსის გლობალური გადაშენება გამოიწვია. ამ კატასტროფის შედეგად მოისპო დედამინაზე მცხოვრები ცოცხალი არსებების ნახევარზე მეტი (სხვა მონაცემებით, იმ დროს არსებულ ორგანიზმთა გვარების 70%-ზე მეტი). ამ გადაშენებას შეენირა იმდროინდელი გიგანტური ცხოველები, დინოზავრები, რომელთა ამონიტებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო პატარატანიანი ძუძუმწოვრების გამრავლებამაც. ეს უკანასკნელი „მიირთმევდნენ“ დინოზავრების კვერცხებს და ამგვარად, უსპობდნენ მათ შთამომავლობას.

მეცნიერთა აზრით, 65 მილიონი წლის წინ ჩამოვარდნილი მეტეორიტის (ასტეროიდის) მაჩვენებელი უნდა იყოს აგრეთვე დედამინაზე არამინიერი წარმოშობის ირიდიუმის დიდი რაოდენობით დაგროვება, რაც ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, დასტურდება.

თავი 17. პალეოგეოგრაფია

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ისტორიული გეოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება პალეოგეოგრაფიაა. ისიც აღინიშნა, რომ პალეოგეოგრაფიული კვლევა ამოიცნობს წარსულში მიმდინარე გეოლოგიურ პროცესებს, რომელთა მეშვეობით აღადგენს კიდევ იმდროინდელ დედამიწისეულ იერს.

ისე თამამად ვსაუბრობთ წარსულში არსებულ გეოლოგიურ პროცესებზე და ხშირად მათ დროში მონაცევლეობაზე, რომ თითქოს ხელთა გვაქვს წერილობითი დოკუმენტი ამ პროცესთა მიმდინარეობისა და დედამიწის გარეგანი (და შინაგანი) იერის სისტემური ცვლის შესახებ. დიახ, ასეთი წერილობითი დოკუმენტი მართლაც გვაქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედამიწას აქვს საკუთარი დამწერლობა, რომელიც ადამიანთა დამწერლობაზე უფრო სანდო და სრულყოფილია. მთავარია, კაცმა შეძლოს მისი სწორად წაკითხვა. ეს დამწერლობა დედამიწის ქერქის ამგები ქანებია! მართლაც, ქერქის ამგები ქანები მათში დაცული ნამარხი ორგანიზმებითურთ ხომ იმ გეოლოგიური პროცესების უტყუარი საბუთია, რომლებიც გარკვეულ (მოცემულ) სივრცესა და დროში მიმდინარეობდა და რომელთა შედეგადაც სწორედ ეს ქანები გაჩნდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქანები და მათში დაცული ნამარხები წარმოადგენენ **სახეს** იმ გეოლოგიური პროცესებისა, რომელთა მეშვეობითაც ისინი გაჩნდენ დედამიწაზე. ამგვარად, დედამიწის განვითარების ისტორია მის ამგებ ქანებსა და მათში დაცულ ნამარხ ორგანიზმებშია დაფიქსირებული. ჯ. ბეილისა და თ. სედონის აზრით, ეს ისტორია არასრული, ფრაგმენტულია, მაგრამ თავისი ხიბლით ტოლს არ უდებს ნებისმიერ დეტექტიურ რომანს.

ზემოთ აღნიშნული თვისებების გამო ქანებს ზოგჯერ ფაციესაც („ფაციესი“ – იერსახე, ლათ.) უწოდებენ. თანამედროვეობაში ფაციესი კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო იქნება. შეიძლება დავასახელოთ ზღვიური ფაციესი, კონტინენტური, ბათიალური და ა.შ. ქანებთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ ქვიშაქვის ფაციესი, კარბონატული ფაციესი, მეტამორფული ქანების ფაციესი და სხვ.

ფაციესური ანალიზი

ფაციესური ანალიზის მეშვეობით აღვადგენთ ძველ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს მასში არსებული სიცოცხლითურთ. რადგანაც ფაციესური ანალიზი გულისხმობს როგორც ქანების, ისე მათში დაცული ნამარხების მონაცემთა გაანალიზებას, ამდენად მისი ორი სახე გამოიყოფა – **ლითოფაციესური ანალიზი** და **ბიო-ფაციესური ანალიზი**. როგორც ლითოფაციესური, ისე ბიოფაციესური ანალიზის დროს მეცნიერები ეყრდნობიან თანამედროვე მონაცემებს, რომლებიც გადააქვთ

გეოლოგიურ წარსულში. ეს არის ცნობილი ინგლისელი ბუნებისმეტყველის, ჩარლზ ლაიელის, მიერ გეოლოგიაში შემოტანილი ე.წ. „აქტუალისტური მეთოდი“ („აქტუალის“ – ნამდვილი, მოქმედი, ანტყოში მნიშვნელოვანი, ლათ.), რომელიც გულისხმობს გეოლოგიურ წარსულში თანამედროვეობის მსგავსი პირობების არსებობას. მაგალითად, თუ, ვთქვათ, კავკასიაში ვიპოვეთ 150 მილიონი წლის წინანდელი მარჯნებით აგებული რიფული კირქვა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ დროს კავკასიაში იყო ზღვა, თანაც აუცილებლად თბილი ზღვა (რადგან კირქვები მხოლოდ თბილ ზღვებში ილექტება და რიფის მშენებელ მარჯნებსაც თბილი ზღვა უყვართ). ამავე დროს ეს უნდა ყოფილიყო ზღვის მარჩხი ნანილი (რამდენიმე ათეულ მეტრამდე სიღრმის), სუფთა და ჟანგბადით მდიდარი წყლით. მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლიათ თანამედროვე რიფის მშენებელ მარჯნებს არსებობა.

მეთოდი შესანიშნავია და გეოლოგიაში მას ფართო გამოყენება აქვს. თუმცა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გეოლოგიური წარსულის პირობები ან ძველად მიმდინარე გეოლოგიური პროცესები დღევანდელის აბსოლუტურად იდენტური არ იქნებოდა.

ლითოფაციესური ანალიზისას მნიშვნელოვან მონაცემებს გვაძლევს როგორც მაგმური, ისე მეტამორფული ქანები. მაგრამ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ინფორმაციულია დანალექი ქანები. მათი მეშვეობით საკმაოდ იოლად შეიძლება გაირკვეს, ზღვიურ გარემოსთან გვაქვს საქმე თუ კონტინენტურთან (იმისდა მიხედვით, ზღვიური წარმოშობისაა მოცემული ქანი, თუ კონტინენტურის), შეგვიძლია დავადგინოთ ზღვის სიღრმე (ქანების ხასიათის, მასალის სიმსხოს და სხვა ნიშნების მიხედვით), წყლის ტემპერატურა (მაგალითად, ქანში არსებული მინერალი გლაუკონიტი მიგვანიშნებს თბილ ზღვიურ გარემოზე, რადგანაც დღევანდელ პირობებში ეს მინერალი გავრცელებულია ისეთ ზღვებში, რომელთა საშუალო წლიური ტემპერატურა $+12^{\circ}\text{C}$ -ს შეადგენს), განვითარებული აუზის მარილიანობა (მაგალითად, გამარილიანებული ლაგუნის მაჩვენებელია ჰალიტი, თაბაშირი, ანჰიდრიტი ან მსგავსი სხვა მინერალები და ქანები), გაზური რეზიმი, ჰიდროდინამიკა და სხვ. საბოლოოდ ლითოფაციესური ანალიზით შესაძლებელი ხდება გეოლოგიური წარსულის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატის (პალეოკლიმატის) აღდგენა.

ბიოფაციესური ანალიზი. ძველი გეოლოგიური პირობების აღდგენის თვალსაზრისით უფრო შთამბეჭდავ სურათს იძლევა ბიოფაციესური ანალიზი. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ცოცხალი ორგანიზმების არსებობა-განვითარება პირდაპირ კავშირშია მათ საცხოვრებელ გარემოსთან და იქ არსებულ პირობებთან. ბიოფაციესური ანალიზი ეყრდნობა პალეოკოლოგიურ მონაცემებს, რომელიც აშუქებს გეოლოგიურ წარსულში ორგანიზმის ურთიერთებულობის გარე სამყაროსთან. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ რიფისმშენებელი მარჯნების შესახებ. განამარხებული ზღვიური წყალმცენარეები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ზღვის სიღრმე 200 მ-ის ფარგლებში უნდა ყოფილიყო, ვინაიდან წყალში სინათლის სხივის ჩაღწევის მაქსიმუმი დაახ-

ლოებით ამ სიღრმეებით შემოიფარგლება. სინათლე კი წყალმცენარეების არსებობისათვის აუცილებელია (ფოტოსინთეზი). ნამარხი კანეკლიანები პირდაპირ მიუთითებენ ნორმულმარილიან ზღვაზე, თანაც უმეტესად 200 მ სიღრმის (თუმცა ზოგი მათი წარმომადგენელი 7000 მ-ზე უფრო ღრმა ზღვაშიც გვხვდება). ნამარხი დინოზავრები კი აშკარად კონტინენტურ გარემოზე მიგვანიშნებენ და ა.შ.

ფაციესური ანალიზით საბოლოოდ გეოლოგიურ წარსულში არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და ლანდშაფტურ-კლიმატური ვითარების აღდგენა ხდება.

თავი 18. გეოპროცესი (გეოლოგიური ნებაზღვრიცხვა)

უკვე ვიცით, რომ დედამიწაზე გეოლოგიური პროცესები მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც მას ქერქი გადაეკრა. ალბათ მეტად საინტერესოა, დავადგინოთ ამ პროცესთა დროში მონაცვლეობა, ანუ განვსაზღვროთ მათი გეოლოგიური ასაკი. გავიხსენოთ, რომ გეოლოგიური პროცესების შედეგად დედამიწის ქერქის ამგები ქანები წარმოიშობა, ან პირუკუ, ქანები წარმოადგენენ გეოლოგიური პროცესების სახეს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ თუ განვსაზღვრავთ დედამიწის ქერქის ამგები ქანების გეოლოგიურ ასაკს, გვეცოდინება იმ პროცესთა ასაკიც, რომლებმაც შესაბამისი ქანები მოვცეს. ამიტომ ვისაუბრებთ არა გეოლოგიური პროცესების, არამედ ქანების ასაკებზე.

დედამიწის ქერქი აგებულია ქანებით, რომლებიც ერთმანეთზე არიან განლაგებული უძველესიდან უახლესამდე (თანამედროვემდე). ამ ქანების ასაკი ორგვარად შეიძლება განისაზღვროს. ერთი მხრივ, მოცემული (კონკრეტული) ქანი მის ქვეშ მდებარე ქანზე უფრო ახალგაზრდაა (როგორც უფრო გვიან გაჩენილი), ხოლო მის თავზე მდებარეზე უფრო ძველი. მეორე მხრივ, მოცემული ქანი იმდენი წლის არის, რამდენი დროც გასულა მისი წარმოშობიდან დღემდე. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქანების **შეფარდებით ასაკთან** (რომელიდაცაზე უფრო ახალგაზრდა, მავანზე უფრო ძველი), ხოლო მეორე შემთხვევაში – **აბსოლუტურ ასაკთან**. ზემოთქმულიდან გამომდინარე არსებობს შეფარდებითი და აბსოლუტური გეოქრონოლოგია („ქრონის“ – დრო, ბერძნ.).

18.1. მეზარდებითი გეოპროცესი

ქანების შეფარდებითი ასაკის განსაზღვრის მეთოდი აბსოლუტურზე უფრო ძველია. მას საფუძველი იტალიაში მოღვაწე ცნობილმა ბუნებისმეტყველმა, ნიკოლაუს სტენომ (XVII საუკუნე), ჩაუყარა. სტენოსეული მეთოდი ძალიან მარტივად გვამცნობს, რომ ერთმანეთზე განლაგებულ შრეთა შორის ქვევით მდებარე ყველაზე ძველია, ხოლო ზევით მდებარე – ყველაზე ახალგაზრდა.

შეფარდებით გეოქრონოლოგიას შეიძლება **სტრატიგრაფიაც** („სტრატუმ“ – შრე, ლათ.) ვუწოდოთ. სტრატიგრაფია სწავლობს შრეებისა და შრეთა კომპლექსების (ბუნებრივი გეოლოგიური სხეულების) ვერტიკალურ (დროში) და ჰორიზონტალურ (სივრცობრივ) განლაგებას და ამგვარად ადგენს მათ ასაკობრივ ურთიერთდამოკიდებულებას.

შეფარდებითი ასაკის განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომლებიც გეოლოგიურ, გეოფიზიკურ და პალეონტოლოგიურ, ანუ ბიოსტრატიგრაფიულ

მეთოდებში ერთიანდება. ამათგან გეოლოგიურ-გეოფიზიკურ მეთოდებს ერთი დიდი ნაკლი აქვს – მათი მეშვეობით ჩატარებული სტრატიგრაფიული დანაწილება მთელ დედამინაზე ვერ ვრცელდება და, ამდენად, მეტ-ნაკლებად ვიწრო რეგიონულ ხასიათს ატარებს, მაშინ როდესაც პიოსტრატიგრაფიულ (პალეონტოლოგიურ) მეთოდს, ფაქტობრივად, საერთო –პლანეტარული ხასიათი აქვს.

ბიოსტრატიგრაფიული (პალეონტოლოგიური) მეთოდი დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ სიცოცხლის ევოლუციურ განვითარებაში, რომელიც შეუძლევადი ხასიათისაა, ცალკეულ ეტაპებზე ხდება სახეობების, გვარების ან სხვა ტაქსონების გადაშენება. სწორედ ეს გადაშენებული ტაქსონებია (*ძირითადად სახეობები*) მათი შემცველი ქანების ასაკობრივი მახასიათებლები. რაც უფრო ფართოა ამ ტაქსონების გეოგრაფიული გავრცელება და ვიწროა მათი ასაკობრივი დიაპაზონი (ანუ მოკლეა მათი ვერტიკალური გავრცელება), მით უფრო დეტალურია სტრატიგრაფიული დანაწილება და, შესაბამისად, უფრო ზუსტად ისაზღვრება შემცველი ქანების (შეფარდებითი) გეოლოგიური ასაკი.

ბიოსტრატიგრაფიული მეთოდისათვის ორგანიზმთა ყველა თუ არა, ბევრი ჯგუფი გამოდგება. თუმცა მათ შორის არიან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომელთა შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ გრაპტოლითები (ორდოვიციულ-სილურული წყებებისათვის), ამონიტები (იურულ-ცარცული ნალექებისათვის), ნუმულიტები (პალეოგენური წყებებისათვის) და სხვ.

ბიოსტრატიგრაფიული მეთოდი უნივერსალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი მეშვეობით შეიძლება არა მარტო დანალექი, არამედ მეტამორფული და მაგმური ქანების ასაკის განსაზღვრაც. მართალია, მაგმური ქანი ნამარხებს არ შეიცავს, მაგრამ ის ხომ ნამარხებიან დანალექ ქანებს შორისაა მოთავსებული, რომელთაგან ზოგზე ახალგაზრდაა, ხოლო ზოგზე – ძველი. გამოდის, რომ ის გარკვეულ ასაკობრივ დიაპაზონშია მოქცეული. ამიტომ მაგმურ ქანებში დგინდება გეოლოგიური ასაკის ქვედა და ზედა საზღვარი. მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც ნათელს მოჰყენს ზემოთქმულს. დავუშვათ, რომ ინტრუზიული მაგმური სხეულის მიერ გაკვეთილია პალეოცენური ასაკის დანალექი ქანები და იგივე ინტრუზივი ზევიდან (ცხელი კონტაქტის გარეშე) გადაფარულია ოლიგოცენური წყებებით. ეს ნიშნავს, რომ ინტრუზივის შემოჭრისას პალეოცენური ქანები უკვე არსებობდა, ხოლო ოლიგოცენური წყებები ინტრუზივის შემოჭრისა და გაცივების შემდეგაა დალექილი. გამოდის, რომ ინტრუზივის ასაკი პალეოცენურზე უფრო ახალგაზრდაა (ქვედა ასაკობრივი საზღვარი) და ოლიგოცენურზე უფრო ძველი (ზედა ასაკობრივი საზღვარი), ე.ი. ეოცენურია.

არ შევუდგებით გეოლოგიურ-გეოფიზიკური მეთოდების განხილვას. დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. ესენია: ლითოსტრატიგრაფიული, ტექტონოსტრატიგრაფიული, სექციენსტრატიგრაფიული, კლიმატოსტრატიგრაფიული, მაგნიტოსტრატიგრაფიული, სეისმოსტრატიგრაფიული მეთოდები.

18.2. აბსოლუტური გეოერონოლოგია

როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტური გეოქრონოლოგიით ქანების უძუალო ასაკი ისაზღვრება, ვიგებთ, თუ რა დროა გასული მათი წარმოშობიდან დღემდე.

აბსოლუტური გეოქრონოლოგიის მეთოდი მე-20 საუკუნის პირმშოა. მისი შექმნა რადიოაქტივობის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული. მეთოდი ძალიან როულია, თუმცა მისი შინაარსის გადმოცემა რამდენადმე გამარტივებული სახით მაინც შესაძლებელია – ზოგიერთ მინერალში არსებობს რადიოაქტივური ელემენტები, რომლებიც ამ თვისების გამო ბუნებრივად იშლებიან და მინერალის სტრუქტურულ მესერში (მეტ-ნაკლებად დახშული გარემოა) ტოვებენ დაშლის პროდუქტებს. მაგალითად, მინერალი ცირკონი შეიცავს რადიოაქტივურ ურანს, რომლის დაშლის შედეგად მიიღება ტყვია და ჰელიუმი – $^{238}\text{U} \rightarrow ^{206}\text{Pb} + ^{4}\text{He}$. თუ დავიანგარიშებთ და დავაჯამებთ ცირკონის კრისტალურ მესერში დღეს არსებულ ^{238}U -ის, ამავე დროს დაშლის შედეგად გაჩერილ ტყვიისა და ჰელიუმის რაოდენობას, მივიღებთ ^{238}U -ის საწყის რაოდენობას, ანუ იმ რაოდენობას, რომელიც იქნებოდა მინერალ ცირკონის დაკრისტალების მომენტში. რადგანაც მეცნიერებისათვის ცნობილია ^{238}U -ის ნახევარდაშლის პერიოდი, ძალიან ადვილია იმ დროის გამოთვლა, როცა ცირკონის დაკრისტალება (წარმოქმნა) მოხდა. ამავე დროის იგულისხმება, რომ დაახლოებით თანადროულია ცირკონისა და მისი შემცველი ქანის წარმოშობაც. აქედან გამომდინარე, სახეზე გვაქვს ქანის აბსოლუტური ასაკი.

აბსოლუტურ გეოქრონოლოგიას ზოგჯერ მოიხსენიებენ ბირთვული გეოქრონოლოგიას, რადიოგეოქრონოლოგიას ან რადიოლოგიური თუ კიდევ სხვა სახელწოდებით. მისი ძირითადი მეთოდებია: ურან-თორიუმ-ტყვიის (ან უბრალოდ ტყვიის), კალიუმ-არგონის (ან არგონის), რუბიდიუმ-სტრონციუმის, რადიოაქტივური ნახშირბადის (^{14}C). აქვე ვიძლევით ზოგი რადიოაქტივური ელემენტის ნახევარდაშლის პერიოდა: $^{238}\text{U} - 4510$ მლნ. წელი, $^{235}\text{U} - 713$ მლნ. წ., $^{232}\text{Th} - 15170$ მლნ. წ., $^{87}\text{Rb} - 47000$ მლნ. წ., $^{40}\text{Ar} - 1300$ მლნ. წ., $^{14}\text{C} - 5750$ წ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ რადიოაქტივური მინერალების (ელემენტების) შემცველი ქანებისათვის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ფასდაუდებელია აბსოლუტური გეოქრონოლოგიის მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმ ქანებისათვის, რომლებიც ნამარხებს არ შეიცავენ და ამდენად, ბიოსტრატი-გრაფიული მეთოდით ვერ თარიღდებიან. ასეთებს, პირველ რიგში, არქეული და პროტეროზოური ასაკის მაგმური და მეტამორფული ქანების კომპლექსები წარმოადგენს. რადიოაქტივური ნახშირბადის მეთოდი გამოიყენება მხოლოდ ახალგაზრდა ქანებისათვის (არა უძველეს 60-80 ათასი წლისა), რადგანაც ^{14}C -ის ნახევარდაშლის პერიოდი ძალიან მცირეა, მხოლოდ 5750 წელი. სამაგიეროდ, საკმაოდ აქტიურად იყენებენ ამ მეთოდს არქეოლოგიაში.

18.3. გეოპროცესობის საჟანი

დედამიწის ქერქის ამგები ქანები უძველესიდან უახლესის ჩათვლით ვერტიკალურ ჭრილში ქმნიან ერთიან, უწყვეტ კომპლექსს. თუმცა ეს ერთიანობა ერთგვარად მოჩვენებითია, რადგანაც ის ირღვევა სხვადასხვა ასაკობრივ დონეზე ქანთა კომპლექსების რიგ შემთხვევაში უთანხმო განლაგებით და, რაც მთავარია, მათში დაცული ნამარხების (მცენარეებისა და ცხოველების) განსხვავებული კომპლექსების შემცველობით. სწორედ ეს ნიშნები და მათ შორის უპირველესად პალეონტოლოგიური მონაცემებია გამოყენებული მეცნიერთა მიერ დედამიწის ქერქის ამგები ქანების ცალკეულ ჯგუფებად დასანაწილებლად ვერტიკალურ ჭრილში. შესაბამისად, გამოყოფილია რამდენიმე ერთეული, რომელთაგან უდიდესს ეონოთემა ეწოდება. ეონოთემა შედგება შედარებით მცირე ერთეულებისაგან. ეს იქნება ერათემა. ერათემა იყოფა სისტემებად, სისტემა – სექციებად, სექცია – სართულებად, სართული კი – ზონებად. ამ იერარქიული კიბიდან კარგად ჩანს, რომ ზონა ყველაზე მცირე ერთეულია, ეონოთემა კი – უდიდესი. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ეონოთემიდან დაწყებული ზონის ჩათვლით ქანთა კომპლექსები იგულისხმება (ცხადია, სხვადასხვა რანგის).

მაგრამ ქანების წარმოშობისათვის ხომ დროა საჭირო. ამიტომ ეონოთემა → ზონის შესაბამისად დროის ერთეულებიც გამოიყოფა – ეონოთემს შეესაბამება ეონი, ერათემას – ერა, სისტემას – პერიოდი, სექციას – ეპოქა, სართულს – საუკუნე, ზონას – ფაზა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იმავე რანგის ქანებისა და დროის მაჩვენებელ ერთეულს ერთი (საერთო) სახელი აქვს. მაგალითად, არსებობს არქეული ეონოთემა და იმავდროულად არქეული ეონიც. პირველ შემთხვევაში არქეული ქანები იგულისხმება, ხოლო მეორეში ის დრო, რომელიც ამ ქანების წარმოშობას დასჭირდა. ასევე ერთი სახელი აქვთ ცარცულ სისტემასა და პერიოდს, პალეოზოურ ერათემასა და ერას და ა.შ.

დღეისათვის გამოყოფილია სამი ეონოთემა/ეონი: არქეული, პროტეროზოური და ფანეროზოული (ცხრილი 18.1). გეოლოგიური წელთაღრიცხვა იწყება არქეული ეონით და მთავრდება ფანეროზოულით.

ცალკეული ეონოთემების, ერათემების თუ სხვა ერთეულების დახასიათებას ცოტა მოგვიანებით შევუდგებით. აქ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული ცხრილი („გეოქრონოლოგიური სკალა“) არასრულია, რამდენადაც მასში სართულები და ზონები არ არის გამოყოფილი. ეს გარკვეულწილად შეუძლებელიც არის, რადგანაც სართულების დიდი სიმრავლე ძალიან გადატვირთავდა მოცემულ ცხრილს. რაც შეეხება ზონებს, მათი გამოყოფა მთელ რიგ სართულებში ერთდროულად სხვადასხვა ფაუნისტური (და ფლორისტური) ჯგუფების მიხედვით ხდება, ამიტომ ასეთ ცხრილში ზონების ჩვენება შეუძლებელია.

ცხრილი 18.1

გეოპროტოლოგიური სკალა

ეონი (ეონოთიან)	ერა (ერათიან)	პარიოდი (სისტემა)	გეოლ.ასაკი (მლn.წლ)
ზანეროზოული PH	კაინოზოური KZ	მეოთხეული (ანთროპოგენური) Q	- 2.5 -
		ნეოგენური N	- 25 -
		პალეოგენური E	- 65 -
	მეზოზოური MZ	ცარცული K	- 145 -
		იურული I	- 205 -
		ტრიასული T	- 250 -
	კალენზოური PZ	პერმული P	- 300 -
		კარბონული C	- 360 -
		დევონური D	- 410 -
		სილურული S	- 440 -
		ორდოვიციული O	- 500 -
		კამბრიული E	- 540 -
პროტოზოური PR	გვიანდიროგიური PR ₂	ვენდური V	- 680 -
		რიფეული R	- 1600 -
	ადრევინოგიური PR ₁		- 2500 -
არქეული AR	ცენარქეული AR ₄		- 2800 -
	მეზოარქეული AR ₃		- 3200 -
	კალენარქეული AR ₂		- 3600 -
	ცოარქეული AR ₁		- 4000 -

არქეული და ადრეპროტეროზოური საერთოდ არ არის დანაწილებული სისტემა-პერიოდებად. ამიტომაც ცხრილში ისინი არც არის სახელდებული. არქეულსა და პროტეროზოურს ერთად პრეკამბრიულსაც (კამბრიულის წინას) უწოდებენ. მკითხველთა ყურადღებას მივაწევთ იმასაც, რომ აბსოლუტური ასაკები ეონებისა, ერებისა და ა.შ. სხვადასხვა ავტორთა შრომებში განსხვავებულია, ზოგჯერ მნიშვნელოვნადაც კი. ცხრილში, რომელიც შედგენილია უახლესი მონაცემებით / International chronostratigraphic chart, v2016/12/, მონაცემთა ერთგვარი შეჯერებული ვარიანტია წარმოდგენილი, ზოგი ციფრის დამრგვალებით.

დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია არქეულიდან დღემდე

თავი 19. არქეული ეონი

არქეული უძველესი დროა დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში („არქეოს“ –ძველი, ძერძნ., ეონი – დროის ბორბლის მაბრუნებელი, ძერძნული მითოლოგიის მიხედვით). მის დასაწყისად დაახლოებით 4 მილიარდი წლის წინანდელი დროა მიჩნეული, ხოლო ხანგრძლივობა 1500 მილიონ წელს აღნევს. შესაბამისად, არქეულის ზედა ასაკობრივი ზღვარი პროტეროზოურთან 2500 მილიონ წელზე გადის.

როგორი იყო სიცოცხლე არქეულში? ადრე არქეული უსიცოცხლო დროდ ითვლებოდა. სწორედ ამიტომ მის მომდევნო ეონს პროტეროზოური („პროტეროს“ – პირველი, უფრო ადრეული, „ზოე“ – სიცოცხლე, ძერძნ.) უწოდეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიცოცხლე დედამიწაზე უკვე არქეულში ყოფილა. უძველესი სიცოცხლის ნიშნები მიკვლეულია კუნძულ გრენლანდზე არსებულ ცნობილ ისუას კომპლექსში, რომლის ასაკი 3700-3800 მილიონი წელია. ასევე ძველია (3500 მლნ. წლის) ციანობიონტების ცხოველმოქმედების შედეგად ნარმოშობილი ქანები – სტრომატოლითები, რომლებიც ნაპოვნია ავსტრალიის ერთ-ერთ რაიონში.

არქეულში სიცოცხლის არსებობის დადასტურების გამო ზოგი მკვლევარი ამ ეონს **არქეოზოულსაც** უწოდებს, რაც სავსებით სამართლიანი ჩანს იმის გათვალისწინებით, რომ ყველა დანარჩენი ეონისა თუ ერის სახელწოდება სწორედ სიცოცხლესთანაა დაკავშირებული (ფანეროზოური, პალეოზოური და სხვ.).


არქეული სიცოცხლე არ იყო მაღალგანვითარებული და, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა მეტ-ნაკლებად მდიდარი ნამარხი კომპლექსების სახით, რომ შეიძლებოდეს მათი სტრატიგრაფიაში (ბიოსტრატიგრაფიაში) გამოყენება. ამიტომ არქეული ქანების გეოლოგიური ასაკი რადიოაქტივური მეთოდებით (აბსოლუტური გეორონოლოგია) ისაზღვრება მხოლოდ.

არქეულს ყოფენ ოთხად: ეოარქეული AR_1 (4000-3600 მლნ. წ.), პალეოარქეული AR_2 (3600-3200 მლნ. წ.), მეზოარქეული AR_3 (3200-2800 მლნ. წ) და ნეოარქეული AR_4 (2800-2500 მლნ. წ.). ზოგჯერ ქვედა არქეულს კატარქეულის სახელითაც მოიხსენიებენ.

როცა არქეულზეა ლაპარაკი, ერთ-ერთ პირველ საკითხად დედამიწის ქერქში დღეს არსებული ყველაზე ძველი ქანების საკითხი დგება. რა ვიცით მათ შესახებ ან რას ნარმოადგენენ ისინი? ეს არის ე.წ. „**რუხი გნაისები**“, რომლებიც პირველად კანა-

დის ფარზე (ჩრდილო ამერიკის კრატონი) დაადგინეს. დღეისათვის ეს ქანები ყველა კრატონზეა ცნობილი (ჩრდილო ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის, ციმბირის, ინდოსტანის, ავსტრალიის, ანტარქტიდის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის). ისინი ქმნიან ფუნდამენტს სხვა, უფრო ახალგაზრდა ქანებისათვის და, ამდენად, წარმოადგენენ დედამიწის პირველ, პროტოკონტინენტურ ქერქს. „რუხი გნაისები“ არის ნარევი სხვადასხვაგვარი გნაისებისა, კრისტალური ფიქლების, რკინიანი კვარციტების და სხვათა ჩანართებით. ფიქრობენ, რომ ამ ქანების მომცემი დედაქანები უმთავრესად მაგმური (როგორც ინტრუზიული, ისე ეფუზიური) საშუალო სიმჟავიანობის წყებები უნდა ყოფილიყო, რომლებმაც შემდგომ ძლიერი (ალბათ არაერთჯერადი) მეტამორფიზმი და გრანიტიზაცია განიცადეს. „რუხი გნაისების“ ასაკი 4000-3000 მილიონი წელია. ყველაზე ძველი ასაკის მათ შორის კანადის ფარზე მიკვლეული 3960 მილიონი წლის ნინანდელი აკასტას გნაისებია.

ბევრ ადგილზე „რუხი გნაისები“ ნაოჭებისმაგვარ რთულ სტრუქტურებსა და, რაც მთავარია, გრანიტ-გნაისის გუმბათებს ქმნიან.



სურ. 19.1. არქეული პროტოპლატფორმები და ადრეპროტეროზოური მოძრავი სარტყელები.

- 1 – ისრებით ნაჩვენებია „რუხი გნაისების“ ადგილსამყოფელი;
- 2 – არქეული პროტოპლატფორმები; 3 – ადრეპროტეროზოური მოძრავი სარტყელები
(Хаин и др., 1977)

„რუხი გნაისები“ ზევიდან დაფარულია მძღავრი (10-20 კმ სისქის) ძლიერ მეტამორფული და დისლოცირებული ქანების კომპლექსით, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ე.ნ. **მწვანე ქვების სარტყელებს** უკავიათ. ეს არის მრავალფეროვანი ქანების კომპლექსი, რომელთა შორის გრანიტები და გნაისები გამოიყოფა, შედარებით ნაკლებად – რკინიანი კვარციტები, მეტაკონგლომერატები, მარმარილოები და სხვ. მწვანე ქვების ფაციესთან დაკავშირებულია ულტრაფუნდე, ფუნდე და საშუალო მუჟვიანობის ვულკანიტები, კაუიანი და ქვიშიან-თიხიანი ქანები. მთელ კომპლექსში ხშირად ინტრუზიებია შეჭრილი, ქვედა ნანილში – ულტრაფუნდე, ხოლო ზედაში – გრანიტული ქანებისა. ამ უკანასკნელთა ასაკი 2600 მლნ. წელია.

როგორც „რუხი გნაისები“, ისე მის ზევით მდებარე მძღავრი წყებები ყველა ცნობილი კრატონის ცენტრალურ ნაწილებს იკავებენ (სურ. 19.1).

არქეულის ძალიან საინტერესო ჭრილია ბალტიის ფარზე (კარელიაში).

კარელიის ჭრილი

	PR	2500 მლნ. წ.
AR ₄	მარმარილოები, კაუიანი ქანები, გრანიტიანი ფიქლები, რკინის კვარციტები და სხვ.	6000 გ
ლოპიური (კოლის) სერია		
AR ₃	გნაისები, კრისტალური ფიქლები, ამფიბოლიტები	3200 მლნ. წ.
ბელომორის სერია	AR ₂ გნაისები, კრისტალური ფიქლები, მიგმატიტები და სხვ.	9000 გ
		3600 მლნ. წ.

როგორ ესახებათ მკვლევრებს დედამიწის განვითარების არქეული ეტაპი?

არქეულის დასაწყისისათვის დედამიწაზე უკვე იყო პროტოკეანური (ბაზალტური) ქერქი, რომელიც ჩვენამდე 4 მილიარდ წელზე ადრე (დაახლოებით 4.6-4.5 მლრ. წლის წინ) გაჩნდა და დღეს უკვე აღარ არის. არქეულის დასაწყისში ეს ქერქი მის ქვეშ მდებარე ცხელი მანტიის გავლენით გადამუშავდა და თანდათან გადაიქცა პროტოკონტინენტურ ქერქად („რუხი გნაისები“).

ეს უკანასკნელი დეფორმაციას განიცდიდა, თუმცა ნამდვილი დანაოჭების ნაცვლად წინა პლანზე ქანების ამობერვა და გუმბათოვანი სტრუქტურების ფორმირება იყო წამონეული, რადგანაც იმავე ცხელი მანტიის გავლენით მასთან ახლო მყოფი ქანები დიდ დენადობას იძენდნენ. პროტოკონტინენტური ქერქი აღბათ ცალკეული

კუნძულების სახით არსებობდა (ესაა მომავალი მატერიკების პირთვი), რომელთა შორის ჯერ კიდევ უნდა ყოფილიყო პროტოოკეანური ქერქი.

ნეოარქეულში (2800-2500 მლნ. წ.) პროტოკონტინენტურ ქერქზე რიფტინგის განვითარებით, ამ ქერქის ალაგ გახლეჩით ჩამოყალიბება დაიწყო მწვანე ქვების სარტყელმა. ყველაფერმა ამან კი („რუხი გნაისების“ ჩათვლით) ერთ მთლიანობაში შეადგინა არქეული ასაკის კონტინენტური ქერქი, რომელიც ყველა კრატონის საფუძველს (ფუძეს) წარმოადგენს.

არქეულის ბოლოს მოხდა ძლიერი დანაოჭება გრანიტიზაციით. დანაოჭების შედეგად მიღებულ სტრუქტურებს უმეტესად გუმბათოვანი იერი ჰქონდათ. ეს არის სწორედ ზემოთ ხსენებული ქერქი, რომლის სავარაუდო სისქე 30-40 კმ უნდა ყოფილიყო.

დედამინის გეოლოგიური განვითარების არქეული დროის ისტორიაში რეალური ფაქტების (მასალის) სიმცირის გამო ბევრი რამ ჰიპოთეზურია. არც ის ვიცით ზუსტად, არქეულის ბოლოს წარმოშობილი ქერქი ერთიანი იყო, თუ ცალკეული კუნძულების (ან მიკროკონტინენტების) სახით იყო გავრცელებული დედამინაზე. მკვლევართა ვარაუდით, უფრო მისაღებია ის აზრი, რომ იმ დროს დედამინაზე იყო ერთიანი კონტინენტი პანგეა 1, რომელსაც „უპირისპირდებოდა“ ერთიანი ოკეანე პანთალასა. პანგეა 1-ის ფორმირება მოხდა ბელომორული (იგივე კენორანული) ოროგენეზის განვითარებით.

თავი 20. პროტეროზოური ეონი

პროტეროზოური მოთავსებულია არქეულსა და ფანეროზოულს შორის. ეს ეონი დაიწყო 2500 მილიონი წლის წინ და დასრულდა 540 მილიონი წლის წინ. მისი ხანგრძლივობა, შესაბამისად, თითქმის 2000 მილიონ წელს შეადგენს.

სახელწოდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირველეს სიცოცხლეს, ანუ სიცოცხლის ყველაზე ადრინდელ ხანას გულისხმობს. მართალია, დღეს უკვე ცნობილია, რომ სიცოცხლე დედამიწაზე გაცილებით უფრო ადრე, არქეულში გაჩნდა, მაგრამ პროტეროზოურს ტრადიციული სახელი მაინც შემორჩია.

20.1. სიცოცხლე პროტეროზოურში

სიცოცხლის ევოლუციის თვალსაზრისით პროტეროზოური ეონი დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა უნდა ითქვას, რომ, ფაქტობრივად, მთელი ეონის განმავლობაში (2500-680 მლნ. წლები) მხოლოდ პროკარიოტები თუ არსებობდნენ – ბაქტერიები და ციანობიონტები. ამ უკანასკნელებმა იმ დროს ისეთ განვითარებას მიაღწიეს, რომ პროტეროზოური ეონი შეიძლება ციანობიონტების ხანადაც კი ჩაითვალოს.


მეცნიერთა ვარაუდით, ადრეპროტეროზოურის შუა ნაწილში, დაახლოებით 2000 მლნ. წლის წინ, ატმოსფეროში მკვეთრად გაიზარდა ჟანგბადის რაოდენობა, რასაც ციანობიონტების აქტიურ „ფოტოსინთეზურ“ მოქმედებას მიაწერენ. თითქოს ამან განაპირობა ცოტა მოგვიანებით (დაახლოებით 1650 მილიონი წლის წინ) ევკარიოტული ორგანიზმების წარმოშობა-განვითარება. დაახლოებით ამ დროსვე გაჩნდენ პლანეტონის პირველი წარმომადგენლები.

სიცოცხლის განვითარებაში დიდი გარდატეხა ხდება ვენდურში (680-540 მლნ. წლის წინ). ამ დროს ჩნდება ევკარიოტების მრავალი წარმომადგენელი წყალმცენარეების, სოკოებისა და უხერხემლო ზღვიური ცხოველების სახით. პროკარიოტებიც (ციანობიონტები) აყვავებას განიცდიან, რაც კარგად დასტურდება სტრომატოლითების ფართო განვითარებით. ევკარიოტული წყალმცენარეებიდან, პირველ რიგში, მწვანე წყალმცენარეები (ქლოროფიტები) უნდა დავასახელოთ.

რაღაც ევოლუციური აფეთქების მსგავსი ხდება უხერხემლო ცხოველების განვითარებაში. ვენდურში ჩნდება მათი საქმაოდ მრავალფეროვანი ჯვუფები. უაღრესად საინტერესოა ის, რომ ყველა ფორმა აბსოლუტურად უსკელეტო იყო. ეს ფენომენალური მოვლენა დღესაც კი სათანადოდ კარგად არ არის ახსნილი. ორგანიზმები შემორჩნენ ანაბეჭდების, ნაკვალევის, კოპროლითების (ნამარხი ექსკრემენტები) სახით.

ვენდური ასაკის უხერხემლო ცხოველების ნამარხები ბევრ ქვეყანაშია ნაპოვნი (სამხრეთ აფრიკა, ინგლისი და სხვ.), მაგრამ ამ მხრივ განსაკუთებულია სამხრეთ ავსტრალიის „ედიაკარის ბიოტა“ და ბალტიისპირეთის ფაუნისტური კომპლექსი.

უსკელეტო, რბილტანიანი ორგანიზმები, რომლებიც „ედიაკარის ბიოტის“ სახელითაა ცნობილი (Ediacarien – სახელწოდება მოდის სამხრეთ ავსტრალიაში არსებულ ედიაკარის ბორცვებიდან და აბორიგენთა ენაზე ნიშნავს „არის წყალი“ (idyakra)), როგორც ჩანს, ზღვაში მცხოვრებ ბილატერალური (ორმხრივი) ან რადიალური სიმეტრიის მიმაგრებულ ბენთოს მიეკუთვნებოდა. რამდენიმე ათეული წლის წინ პალეონტოლოგთა უმეტესობა „ედიაკარის ბიოტას“ ღრუნანლავიანების (უმთავრესად მედუზებისა და პოლიპების), ფეხსახსრიანების და სხვათა შორეულ წინაპრად მოიაზრებდა. თუმცა ბოლო წლებში ამგვარი შეხედულება მთლიანად უარყოფილი იქნა. ვენდური პერიოდის მშვენება – „ედიაკარის ბიოტა“ ცხოველთა სამეფოში წარმოდგენილი იყო რამდენიმე ტიპით, რომელთა სრული გადაშენება (ამონიფეტა) „კამბრიული აფეთქების“ ქვედა საზღვარზე, 540 მილიონი წლის წინ მოხდა.



სურ. 20.1. ვენდის უსკელეტო ფაუნა:

1-2 ფეხსახსრიანების მსგავსი ორმხრივი სიმეტრიის მქონე ფორმები; 3 – უძველესი „მედუზოიდი“, რომელიც დიამეტრში 0.5 მ-ს აღწევდა; 4 – გაურკვეველი სისტემატიკის ფორმები; 5-კოლონიური პოლიპების (ღრუნანლავიანები?) წარმომადგენელი
(Владимирская Е.В. и др., 1985)

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ედიაკარელები“ ფორმითა და ზომით საკმაოდ მრავალფეროვანი იყვნენ. მაგალითად, ე.წ. **პროარტიკულატები** (სხვაგვარად, „გაბერილი მატრასები“) ზომებში 1-2 მილიმეტრიდან 1,5 მეტრამდე აღწევდნენ, ხოლო მათგან განსხვავებული, **დისკოსებური** ფორმის მქონე ორგანიზმების ზომები ერთეული სანტიმეტრებიდან 18 სანტიმეტრამდე მერყეობდა (სხვათა შორის, მედუზებად თუ მედუზოიდებად „მონათლული“ *Cyclomedusa*, *Ediacaria* და კიდევ სხვა, სწორედ დისკოსებურ ორგანიზმთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა) (სურ. 20.1).

ვენდური ფაუნის ერთ-ერთი მახასიათებელი გიგანტიზმია! არცთუ იშვიათად ვევდებით 0.5 მეტრი დაიმეტრის მქონე „მედუზოიდებისა“ და 1-1.5 მეტრი სიგრძის პროარტიკულატების („გაბერილი მატრასები“) ნარმომადგენლებს. ვენდური ფაუნის გიგანტიზმი შესაძლოა იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ მისი განვითარება (ევოლუცია) ჩიხისკენ წავიდა (შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ დინოზავრებთან!). ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია კამბრიულ ფაუნაში ვენდურის მემკვიდრეთა დასახელება.

გიგანტების გვერდით ვენდურში პატარა ტანის ორგანიზმებიც გვხვდება. ალბათ, სწორედ ამათ მემკვიდრეებმა დაუდეს საფუძველი კამბრიულ სკელეტურ ფაუნას.

ძნელი სათქმელია, თუ რას უკავშირდება ვენდური ფაუნის სწრაფი გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე. მიზეზი შეიძლება ვეძიოთ იმ დროისათვის გლობალური გამყინვარების მომდევნო სწრაფ ათბობაში, რომელსაც ასევე სწრაფი ტრანსგრესია (ზღვიური აკვატორიის გაფართოება) მოყვა; ან ატმოსფეროს გაზური რეჟიმის შეცვლაში ან სხვაში.

20.2. დედამინის გეოლოგიური განვითარების

აღრეპროტეროზოური ეტაპი

პროტეროზოური ორად იყოფა – **ქვედა** (2500-1600 მლნ. წ.) და **ზედა** (რიფეული – 1600-680 მლნ. წ. და **ვენდური** 680-540 მლნ. წ.). უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა- და ზედაპროტეროზოური საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ფაციისურად, ისე, რაც მთავარია, გეოლოგიური განვითარების ისტორიით. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ქვედა პროტეროზოური უფრო ახლოს არის არქეულთან, ვიდრე ზედაპროტეროზოურთან. აქედან გამომდინარე, უფრო მიზანშენილია ქვედა და ზედაპროტეროზოურის ცალ-ცალკე განხილვა.

ქვედაპროტეროზოური ქანები ფართოდ არის გავრცელებული, უმეტესად კი დღევანდელი კრატონების ფარებზე და ბაქნების (პლატფორმების) კრისტალურ ფუნდამენტში გვხვდება. ნარმოდგენილია ძალზე მრავალფეროვანი ნყებებით, რომლებშიც მრავლადაა მაგმური (როგორც ეფუზიური, ისე ინტრუზიული), მეტამორფული (სხვადასხვა ხარისხის მეტამორფიზმით) და დანალექი ქანები. ამ უკანასკნელში ვხვდებით ზღვიურ და კონტინენტურ ნალექებს, მყინვარულსაც კი ტილიტების სახით.

ქვედაპროტეროზოური წყებები ძირითადად ორ გეოტექტონიკურ ერთეულს უკავშირდება – а) კრატონებს, სადაც ისინი ზედაპროტეროზოურ წყებებთან ერთად იკავებენ კრატონის ქვედა სტრუქტურული სართულის – კრისტალური ფუნდამენტისა ზედა ნაწილებსა და ბ) ნაოჭა სარტყლებს, სადაც ძველ წყებებთან ერთად ინტენსიურად დისლოცირებული არიან.

ქვედა პროტეროზოურის „კლასიკური“ ჭრილი ჩრდილო ამერიკის კრატონზეა, უფრო ზუსტად – კანადის ფარზე:

კანადის ფარის ჭრილი

		კიუინოური სერია PR ₂	1600 მლნ. წ.
		ფიქლები, ჯესპილიტები, რკინის მაღნის საბადოები, კვარციტები;	
ანიმიკური სერია	PR ₁ ²	ბაზალური კონგლომერატები დოლომიტები ტილიტისმაგვარი კონგლომერატები, გრაუვაკები, კვარციტები	ჯამური სიმძლავრე 2500-3000 მ 2100 მლნ. წ.
ჰურონული სერია	PR ₁ ¹	კონტინენტური ტერიგენული ნალექები კვარციტების დიდი სისქის დასტები	10000 მ
		AR	2500 მლნ. წ.

საყურადღებოა, რომ ქვედაპროტეროზოური აქ უთანხმოდ არის განლაგებული (ხშირად გამოფიცვის ქერქით!) ძლიერ დანაოჭებულ და მეტამორფიზებულ არქეულზე. აგებულია მძლავრი (13 კმ.) ტერიგენული კონტინენტური ნალექებით. დანაოჭებულია!

ბალტიის ფარის ჭრილი

	PR ₂	1600 მლნ. წ.
PR ₁	კლასტური, ვულკანოგენური და ვულკანური ქანების მორიგეობა. იშვიათად არის დოლომიტები სტრომატოლითებით	სიმძლავრე ათასეული მეტრები
	AR	2500 მლნ. წ.

მთელი ქვედაპროტეროზოური დანაოჭებული და მეტამორფიზირებულია. გაკვეთილია გრანიტული ინტრუზივებით, რომელთა ასაკი 1600 მილიონ წელს შეადგენს.

როგორი იყო დედამიწის გეოლოგიური განვითარება ადრეპროტეროზოურში? გავიხსენოთ, რომ არქეულის ბოლოს დედამიწაზე ერთიანი კონტინენტი, პანგეა 1 არსებობდა (ყოველ შემთხვევაში ასეთი ვარაუდი უფრო მისაღებია). პროტეროზოური ერნის დასასწყისში, 2500 მილიონი წლის წინ, პანგეამ დაშლა დაიწყო – ზოგან კონტინენტური ქერქი იხლიჩებოდა და ამ ადგილებში მოძრავი სარტყელები ფორმირდებოდა. ქერქის ბოლომდე გახლეჩის შედეგად მივიღეთ ცალკეული კრატონები და მათი გამყოფი მოძრავი სარტყელები – ათასეული კილომეტრის სიგრძისა და ასეული კილომეტრის სიგანის მქონე დეპრესიები (სურ. 19.1).

ადრეპროტეროზოურის მიწურულს, დაახლოებით 1600 მილიონი წლის წინ, ქერქის ძლიერი შეკუმშვის შედეგად კრატონები კვლავ გაერთიანდა და სუპერკონტინენტი პანგეა 2 ჩამოყალიბდა. ამ შეკუმშვის შედეგი იყო ძლიერი ოროგენეზისი, რომელსაც შეიძლება კარელური ვუნოდოთ. პანგეა 2-ის პარალელურად უნდა წარმოშობილიყო სუპეროკეანე პანთალასა თავისი ოკეანური ქერქით.

იყო თუ არა სპრედინგისა და სუბდუქციის ზონები ადრეპროტეროზოურში და საერთოდ მოქმედებდა თუ არა იმ დროს ლითოსფერული ფილების ტექტონიკის მექანიზმი – ეს საკითხები ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის.

20.3. გვიანეროტეროზოური (რიზეულ-ვენდური) ეტაპი

„რიზე“ ურალის ძველი სახელწოდებაა, ხოლო ვენდები თუ ვენედები აღმოსავლეთ ევროპის ძველად მობინადრე ტომი ყოფილა.

გვიანპროტეროზოურის საერთო ხანგრძლივობა დაახლოებით 1110 მილიონ წელს შეადგენს. ამ დროისათვის უკვე, კარგად განვითარებული ციანობიონტების მეშვეობით, რიზეულის, ხოლო ედიკარის ფაუნით, ვენდურის ბიოსტრატიგრაფიული დანანილება ხერხდება, თუმცა მის პარალელურად აბსოლუტური გეოქრონოლოგიის მეთოდიც გამოიყენება.

გვიანპროტეროზოურის მიწურულს უკვე მთლიანად იყო ჩამოყალიბებული კრატონების ქვედა სტრუქტურული სართული – კრისტალური ფუნდამენტი, რამაც განაპირობა კრატონების ზედა სტრუქტურული სართულის – დანალექი საფარის განვითარება. ამდენად, ფაქტობრივად, გვიანპროტეროზოურის დასასრულს იწყება კრატონების, როგორც სრულყოფილი სტრუქტურების, ფორმირება.

კრატონების გვერდით გვიანპროტეროზოურში განვითარებას იწყებს ახალი მოძრავი სარტყელები, რომლებიც საბოლოოდ ძლიერ დისლოცირებულ ნაოჭა სტრუქტურებს იძლევიან.

გვიანპროტეროზოურში იწყებს ფორმირებას აგრეთვე მესამე ტიპის გეოსტრუქტურები ე.ნ. ავლაკოგენები. ავლაკოგენები თავისი ბუნებით გარდამავალია კრატონებსა და მოძრავ სარტყელებს შორის. ისინი ტექტონიკურად უფრო მობილუ-

გეოლოგიური საფუძვლები

რო არიან, ვიდრე კრატონები და ნაკლებად მობილური, ვიდრე მოძრავი სარტყელები. ავლაკოგენების ფორმირება კრატონების ფუნდამენტში ხდება ვიწრო (ასეული კილომეტრები) და გამწე (ათასეული კოლომეტრები) გრაპენული დეპრესიების სახით.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ზედაპროტეროზოური ერათემა ორ სისტემად იყოფა – რიფეულად და ვენდურად. მათ ჭრილებსაც ფალ-ცალკე გავეცნობით.

რიფეულის სტრატოტიპული ჭრილი (ურალი)

		ვენდური V		
კარატავის სერია	R ₁		680 მლნ. წ.	
		კირქვები, კვარციანი ქვიშაქვები, დოლომიტები, კაჟის ლინზები, ფიქლები, ქვიშაქვები, ალევრილიტები. ფერადი კირქვები და მერგელები, არკოზული და კვარციანი ქვიშაქვები, გამოფიტვის ქერქი	5600 გ	ციანობიონტები: Conophyton, Inzeria, Gymnosolen და სხვ.
იურმატინის სერია	R ₂		1000 მლნ. წ.	
		დოლომიტები, კირქვები; ფენებრივი სიდერიტები, ფილიტისმაგვარი ფიქლები, ალევრიტები, დოლომიტები, კირქვები; კვარციტები, კონგლომერატები, ფილიტები; სუბაერალური ფუძე და მჟავა ვულკანიტები და მათი ტუფები;	6650 გ	სხვადასხვა დონეზე ციანობიონტები: Baicalia, Conophyton, Iacutophyton და სხვ.
ბურზიანის სერია	R ₁		1350 მლნ. წ.	
		ფიქლები დოლომიტის და კირქვების შუამრენებით; დოლომიტური კირქვები; კვარცქარსიანი ფიქლები და დოლომიტები; ტუტე ბაზალტები; პოლიმიქტური, არკოზული და ტუფოგენური ქვიშაქვები, კონგლომერატები გრანიტის ქვარგვალებით	5700 გ	ძაფისებური წყალშცენარეები. ბევრია ციანობიონტები: მათ შორის Conophyton
		არქეული AR	1600 მლნ. წ.	

დაახლოებით მსგავსი სურათი გვაქვს ბალტიის ფარზე

რიფეულის ჭრილი ბალტიის ფარზე

ვენდური V

680 მლნ. წ.

R ₃	წითელი ფერის მინდვრის შპატიან-კვარციანი და პოლიმიქტური ქვიშაქვები, ალევროლითები, არგილითები; მაგმური ქანები არ არის!	1300 გ
R ₂	წითელი ფერის ტერიგენული ნალექები კირქვების შუაშრეებით. ბაზალტური ლავები, გაბრო-დიაბაზები.	2000 გ
R ₁	წითელი ფერის არკოზული ქვიშაქვები, გრაველიტები, კონგლომერატები, ალევროლითები დოლომიტებისა და კირქვების შუაშრეებით, ტუფოგენური ქვიშაქვები, ბაზალტის ფერფლი (ფალკე ჰორიზონტია), დოლერიტების სილები და შტოკები	3500 გ
	PR ₁	1600 მლნ. წ.

ზემოთ მოყვანილი ორივე ჭრილის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ
რიფეული ტიპური ავლაკოგენური ფაციესით ხასიათდება. ამას გვაფიქრებინებს
მაგმური და მეტამორფული სუსტად დანაოჭებული ქანების არსებობა; ამასთანავე
წყებათა დიდი სიმძლავრეები.

შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ რიფეულში წყებათა უმეტესობის
ფორმირება სწორედ ავლაკოგენებში ხდებოდა.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ ავლაკოგენები ფორმირდება კრატონების
კრისტალურ ფუნდამენტში. ამდენად, ისინი კრისტალური ფუნდამენტის („ახალ-
გაზრდა“) ნაწილია!

ვენდურის ჭრილი აღმოსავლეთ ევროპის კრატონზე

E₁ – ქვედაკამბრიული

540 მლნ. წ.

ვენდური V	ლამინარიანი შრეები – Laminarites-ის შემცველი ფურცელა თიხები; ჭრელი ქვიშაქვები, ალევროლითები, თიხები; ბაზალტები, ტუფები, ტუფიტები, არგილიტები, ალევროლითები; ტილიტები, წითელი თიხები, ქვიშაქვები.	100- 1000 გ
	R ₃ – ზედარიფეული	680 მლნ. წ.

ჩვენი აზრით, ვენდურის ზემოთ მოყვანილი ჭრილი უფრო ავლაკოგენური ბუნებისაა, ვიდრე პლატფორმულის (იგულისხმება პლატფორმის დანალექი საფარი). ამაზე მიუთითებს წყებათა არა ჰორიზონტული, არამედ რამდენადმე ნაოჭა განლაგება მათი უმეტესი ნაწილის ავლაკოგენში განთავსებით.

მკვლევართა ხელთ არსებული ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული და პალეონ-ტოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ ხსენებულ ეტაპზე დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორიას. გავიხსენოთ, რომ გვიანპროტეროზოური ეტაპის დაწყების წინ ჩამოყალიბდა ერთიანი კონტინენტი პანგეა 2. რიფეულში იწყება პანგეა 2-ის თანდათანი დაშლა. შევნიშნავთ, რომ ადრეპროტეროზოურის მიწურულს (1600 მლნ. წლის წინ) მომხდარმა კარელურშა ოროგენეზისმა შექმნა ძველი კრატონების კრისტალური ფუნდამენტის ძირითადი ბირთვი, თუმცა კრატონის კრისტალური ფუნდამენტი საბოლოოდ პროტეროზოური ეონის მიწურულს ჩამოყალიბდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრატონის კრისტალური ფუნდამენტის ასაკი ზოგადად არქეულ-პროტეროზოურია (ანუ პრეკამბრიული). რაც შეეხება დანალექ საფარს, ის ყოველთვის კრისტალურ ფუნდამენტზეა განლაგებული, ე.ი. მასზე გვიანდელია, უფრო ახალგაზრდაა. ამდენად, კრატონების დანალექი საფარის ასაკი ძირითადად ფანეროზოური იქნება.

გვიანრიფეულში, დახლოებით 850 მილიონი წლის წინ, კვლავ დაიწყო პანგეა 2-ის დესტრუქცია. სუპერკონტინენტი ორად გაიყო – ჩრდილო ორიენტაციის (დღევანდელი თვალთახედვით) **ლავრაზიად** და სამხრული ორიენტაციის **გონდვანისად (გონდვანა)**. ამ ორ კონტინენტს შორის გაჩნდა ათასეული კილომეტრებით გადაჭიმული ოკეანური ქერქის დეპრესიული ზოლი, რომელსაც **ხმელთაშუაზღვიური (ალპურ-პიმალაური)** მოძრავი სარტყელი ეწოდა. ხმელთაშუაზღვიურ მოძრავ სარტყელზე განთავსდა რკეან ტეთისი.

რიფეული პერიოდის დასასრულს და, ფაქტობრივად, ვენდურის პირველ ნახევარში (850-620 მლნ. წლის წინ) კვლავ კონტინენტის დაშლასთან გვაქვს საქმე, ოღონდ ეს პროცესი საფუძვლიანად მხოლოდ ლავრაზიაში განვითარდა – ის რამდენიმე კონტინენტად დანანილდა. გონდვანისზე, როგორც ჩანს, დაშლის პროცესი ისე ღრმად არ წარმართოულა, რომ მისგან ცალკეული კონტინენტები მიგვეღო.

ვენდური პერიოდის მიწურულს (540 მლნ. წლის წინ) მოხდა **ბაიკალური ოროგენეზისი** (იგივე კადომური, პანაფრიკული, ბრაზილიური), რომლის შედეგადაც დედამინაზე 5 კონტინენტი დაფიქსირდა: ჩრდილო ამერიკის (**ლავრენცია**), ალმოსავლეთ ევროპის (**ფენოსკანდია**), ციმბირის, ჩინეთის (**ჩინეთ-კორეა**) და სუპერკონტინენტ გონდვანისის (**გონდვანა**). გონდვანისი მოიცავდა ამჟამინდელი სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ანტარქტიდის, ავსტრალიის კონტინენტებს და მათთან ერთად ინდოეთის (ინდოსტრანის) ნახევარკუნძულს.

დაბოლოს, დავასახელოთ პროტეროზოური ეონის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღები:

2500 მლნ. წლის წინ – პროტეროზოური ეონის დასაწყისი. ბელომორული (კენორანული) ოროგენეზისი. ერთიანი კონტინენტის, პანგეა 1-ის ფორმირება;

1600 მლნ. წლის წინ – კარელური ოროგენეზისი. ერთიანი კონტინენტის პანგეა 2-ის ფორმირება;

850 მლნ. წლის წინ – პანგეა 2-ის ორ კონტინენტად (ლავრაზია და გონდვანისი) გაყოფა, ხოლო მათ შორის გაჩენილ ოკეანურ ქერქზე ხმელთაშუაზღვიური (ალ-ბურ-ჰიმალაური) მოძრავი სარტყლის ფორმირება; თვით ამ მოძრავ სარტყელზე კი ოკეანე ტეთისის განთავსება;

540 მლნ. წლის წინ – ვენდური პერიოდის (და საერთოდ, პროტეროზოური ეონის) დასასრულს ბაიკალური (კადომური, პანაფრიკული, ბრაზილიური) ოროგენეზისის განვითარებით დედამიწაზე 5 კონტინენტის ფორმირება (ჩრდილო ამერიკის ანუ ლავრენციის, აღმოსავლეთ ევროპის ანუ ფენოსკანდიის, ციმბირის, ჩინეთის ანუ ჩინეთ-კორეის და სუპერკონტინენტ გონდვანისის (გონდვანის).

20.4. პრეკამბრიულის ნიაღისეული

პრეკამბრიული ნალექები ძალიან მდიდარია წიაღისეულით. მათში განსაკუთრებით მრავლადაა მეტალთა საბადოები. აქ არის რკინისა და ტიტანის საერთო მარაგების 90%, ხოლო ოქროსი, ურანისა და ნიკელის – 70%. დაგასახელოთ ზოგიერთი მეტალის საბადოები:

რკინა – ქვედაპროტეროზოური ასაკის – რუსეთი (კურსკის მაგნიტური ანომალია და სხვ.), აფრიკა, ბრაზილია, აშშ, ავსტრალია; ზედაპროტეროზოური – რუსეთი (ურალი), ჩრდილო კორეა, აფრიკა, ავსტრალია, აშშ.

სპილენძი – ქვედაპროტეროზოური – ფინეთი, კანადა, რუსეთი (ციმბირი); ზედაპროტეროზოური – ავსტრალია, კანადა, ნამიბია, ზაირი, ზამბია, აშშ.

ტყვია-თუთია – ზედაპროტეროზოური – ავსტრალია, აშშ, კანადა, ზამბია.

ტიტანი – ქვედაპროტეროზოური – სამხრეთ აფრიკა.

ოქრო – ზედაპროტეროზოური – სამხრეთ აფრიკა (ვიტვატერსრანდი – მსოფლიოში ოქროს უდიდესი საბადო), ქვედაპროტეროზოური – დასავლეთ აფრიკა; ზედაპროტეროზოური – ავსტრალია, აშშ, ზამბია.

ურანი – ზედაპროტეროზოური – კანადა, აშშ, ზაირი (მსოფლიოში უდიდესი საბადო შინკოლობვე).

ნიკელი – ქვედაპროტეროზოური – კანადა; ზედაპროტეროზოური – კანადა.

ალმასი – ქვედაპროტეროზოური – გაიანა, განა; ზედაპროტეროზოური – ინდოეთი.

გაზ-ნავთობი – რიფეული – აღმოსავლეთ ციმბირი (რუსეთი).

თავი 21. ფანეროზოული ეონი

ფანეროზოული აშკარა სიცოცხლის ხანას ნიშნავს. მის საპირისპიროდ არქეულ და პროტეროზოულ ეონებს ერთიანი სახელი „კრიპტოზოული“ (ფარული სიცოცხლის ხანა) აქვთ. ფანეროზოული უახლესი ეონია დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში. მისი ხანგრძლივობა ამ ისტორიის ბოლო 540 მილიონ წელს მოიცავს ანუ დაიწყო 540 მილიონი წლის წინ და გრძელდება დღესაც. ნიშანდობლივია, რომ არქეულ-პროტეროზოულთან (იმავე პრეკამბრიულთან) შედარებით ძალიან მცირე დროში, სულ რაღაც 540-მდე მილიონი წლის განმავლობაში ორგანულმა სამყარომ არნახული ევოლუცია განიცადა. ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ძველი კონტინენტების მოძრაობა და ურთიერთგადაადგილება, რაც დედამიწას დროდადრო საგძნობლად უცვლიდა იერსახეს.

ფანეროზოული ეონი მოიცავს სამ ერას: პალეოზოურს, მეზოზოურსა და კაინოზოურს.

21.1. პალეოზოური ერა

პალეოზოური ერა („ძველი სიცოცხლის ხანა“) დაიწყო 540 მილიონი წლის წინ და დასრულდა 250 მილიონი წლის წინ. შესაბამისად, მისი ხანგრძლივობა **290** მილიონ წელს შეადგენს. პალეოზოური ერა შედგება 6 პერიოდისაგან: კამბრიული, ორდოვიციული, სილურული, დევონური, კარბონული და პერმული. ზოგჯერ პალეოზოურს ორ ნაწილად ყოფენ – ქვედა და ზედა პალეოზოურად. ასეთ შემთხვევაში ქვედა პალეოზოური მოიცავს კამბრიულ, ორდოვიციულ და სილურულ სისტემებს, ხოლო ზედა – დევონურ, კარბონულ და პერმულ სისტემებს.

პალეოზოურს ქვევიდან საზღვრავს პროტეროზოური (კერძოდ, ვენდური სისტემა), ხოლო ზევიდან – მეზოზოური (კერძოდ, ტრიასული სისტემა).

21.1.1. სიცოცხლის განვითარება პალეოზოურში

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი უპირველესად პალეოზოური სკელეტური ფაუნის გაჩენასთან არის დაკავშირებული. პალეოზოური ერის და საერთოდ მთელი ფანეროზოული ეონის ერთ-ერთი, ფაქტობრივად, ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი არქეულ-პროტეროზოურის ანუ კრიპტოზოულისაგან (იგივე პრეკამბრიული) არის მაღალგანვითარებული ნიუარიანი ფაუნის არსებობა, რომლის მსგავსიც პრეკამბრიულში (კრიპტოზოულში) არა გვაქვს! პალეოზოური ერის დასაწყისშივე, კამბრიულ პერიოდში, ვხვდებით მაღალი ორგანიზაციის მქონე, მყარი ნიუარით წარმოდგენილ უხერხემლო ცხოველების ყველა ძირითად ტიპს. ძა-

ლიან ძნელია იმ ფაქტის ახსნა, თუ რატომ არის კამპრიულში ნიჟარიანი ცხოველების ტაქსონთა ასეთი სიუხვე, მაშინ, როცა ცოტა ხნით უფრო ადრე, ვენდური პერიოდის დასასრულს, ნიჟარიანი ორგანიზმები საერთოდ არ იყო დედამიწაზე.

კამპრიული ფაუნის ორგანიზაციის მაღალი დონე და ამავე დროს ამ პერიოდში უხერხემლო ცხოველთა, ფაქტობრივად, ყველა ტიპის არსებობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ კამპრიული პერიოდის დასაწყისისათვის ცხოველთა სამეფოს ევოლუციის მნიშვნელოვანი გზა უნდა გაევლო. მეორე მხრივ, ამგვარი ევოლუციისათვის წარმოუდგენლად მცირე დროა (გავიხსენოთ, რომ კამპრიული პერიოდი დროში უშუალოდ ენაცვლება ვენდურ პერიოდს). გამომდინარე აქედან, უნდა დავასკვნათ, რომ კამპრიულში სიცოცხლის ევოლუციის ტემპი ძალიან მაღალი იყო, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო გარემო პირობების მკვეთრ ცვლას. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ არა ჩანს კამპრიული ფაუნის უშუალო წინაპრები. ადრე ამ გარემოებას ხსნიდნენ პრეკამბრიული ნალექების ძლიერი მეტამორფიზმით, რასაც უნდა მოესპონ ქანებში ნამარხების სახით დაცული სიცოცხლე. ამასთანავე მიუთითებდნენ დროის დიდ ხარვეზზე პრეკამბრიულსა და პალეოზოურს შორის. მაგრამ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ყველა კონტინენტზე მიკვლეულ იქნა გვიანპროტეროზოური ასაკის არამეტამორფული, ჩვეულებრივი დანალექი ქანები, რომელთა ერთი ნაწილი საერთოდ უნამარხო აღმოჩნდა, ხოლო მეორე ნაწილში, როგორც უკვე ვიცით, საკმაოდ მრავალფეროვანი უნიური ფაუნა იყო (მაგალითისათვის თუნდაც „ედიაკარის ბიოტა“ გამოდგება). ამავე დროს ეს უნამარხო თუ ნამარხიანი ქანები დროში ძალიან სწრაფად ინაცვლება კამპრიული ასაკის ნალექებით. ამგვარად, ზემოთ ხსენებული შეხედულება დღის წესრიგიდან მოიხსნა.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, „კამპრიული აფეთქება“, რაც გამოიხატა ნიჟარიანი ფორმების სწრაფ წარმოქმნაში, განპირობებული იყო მტაცებელი ცხოველების გაჩენით. ამდენად, ორგანულ სამყაროში შეიქმნა ახალი ურთიერთობა – მტაცებელი-მსხვერპლი! შედეგად კი ნიჟარიანი ფორმები მივიღეთ.

ნიჟარიანი ფორმების გაჩენის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება კამპრიულ პერიოდში ზღვებში მარილიანობის მკვეთრი გაზრდა მიგვეჩნია. ზღვის გამარილიანება (ისევე როგორც განმარილიანება) ფანეროზოული ეონის სხვადასხვა პერიოდსა თუ ეპოქაში ცნობილი ფაქტია. მაგრამ ამ პროცესს ყოველთვის ლოკალური (და არა გლობალური) ხასიათი ჰქონდა. თანაც, როგორც ცნობილია, წყლის გამარილიანება ძირითადად ლაგუნებში ხდება. ხოლო იმის დაშვება, რომ ვენდურში ლაგუნები არ არსებობდა, უბრალოდ აბსურდული ჩანს! სხვა მოსაზრებით, ედიაკარ-ვენდური უნიური ფაუნა ცხოვრობდა ერთიანი კონტინენტის ირგვლივ არსებულ ზღვებში, მაღალი ტემპერატურისა და ლარიბი საკვები რესურსების პირობებში. კამპრიული ორგანიზმები კი გაჩინდნენ სუპერკონტინენტის დაშლის დროს, როცა მნიშვნელოვნად გაიზარდა სანაპირო ზოლი, თანაც მისი უდიდესი ნაწილი განთავსებული იყო არსებობისათვის ძალიან ხელსაყრელ ტროპიკული კლიმატის ზონაში. გამნედა და განიერი შელფის საზღვრებში ინტენსიური კარბონატული ნალექდაგროვება მიმდინარეობდა (როგორც ცნობილია, კარბონატული ქანების წარმოქმნა ყველაზე

ინტენსიურად ზღვის შელფურ ნაწილში, 100-200 მეტრ სიღრმეზე ხდება). სწორედ ასეთი ადგილები იყო ცხოველთათვის საცხოვრებლად იდეალური, რამდენადაც ისინი საკვების სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ.

როგორც უკვე აღინიშნა, ვენდური ასაკის „ედიაკარის ბიოტის“ შემცველ შრეებს უშუალოდ აგრძელებს ადრეეამბრიული ორგანიზმების შემცველი წყებები. ეს ფაქტი უდავოდ მიუთითებს სკელეტიანი ფორმების გაჩენის სწრაფ ტემპზე, შეიძლება უსწრაფესზეც კი, რადგანაც სკელეტიანი ფაუნის გაჩენა ერთი-ორი მილიონი, ან შეიძლება სულაც რამდენიმე ასეული ათასი წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო. თითქოს უდავოა, რომ სწორედ ევოლუციური განვითარების ტემპის აჩქარებაა სკელეტიანი ორგანიზმების გაჩენის მიზეზი. მაგრამ ორგანიზმთა სწრაფი ევოლუციისათვის ხომ მასტიმულირებელი ფაქტორია საჭირო. ასეთ ფაქტორად ზოგი მეცნიერი კოსმოსურ გამოსხივებას მიიჩნევს. დადგენილია, რომ მზის ულტრაისფერი ან მაიონიზირებელი კოსმოსური გამოსხივება ძალიან ძლიერად მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმთა გენურ და ქრომოსომულ სტრუქტურებზე და, შესაბამისად, მკვეთრად ზრდის მათი მუტაციის უნარს. მუტაციის შედეგად შეძენილ ახალ თვისებათა ერთი ნაწილი დაბლა სწევს ორგანიზმთა სიცოცხლისუნარიანობას და, შესაბამისად, იწვევს ამ ორგანიზმთა გადაშენებას. სხვანი, რომლებიც არსებულ საცხოვრებელ გარემოს კარგად ესადაგებიან, პირიქით, ორგანიზმთა გაძლიერებას (პროგრესს, ევოლუციას) განაპირობებენ. ხსენებული ორივე სახის გამოსხივება (მზის, კოსმოსური) სისტემატურ ხასიათს ატარებს. თუმცა მათი გააქტიურების პერიოდი თითქოს უკავშირდება მზის სისტემის რომელიმე ზეახალი ვარსკვლავის აფეთქებას. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარ შემთხვევასთან გვქონდა საქმე ვენდურ-კამბრიულის საზღვარზე ან, პრაქტიკულად, რაც იგივეა, კამბრიულის და-საწყისში.

რამ გამოიწვია ორგანული სამყაროს კამბიულის შემდგომი ევოლუცია? მიზეზი უნდა ვეძებოთ ალბათ, ერთი მხრივ, ორგანიზმების საცხოვრებელ გარემოს, ხოლო მეორე მხრივ, თვით ორგანიზმთა გენეტიკურ ცვლაში.

21.1.2. კამბრიული პერიოდი – ტ

სახელწოდება მოდის უელსის ძველრომაული სახელიდან – Cambria, სადაც ეს სისტემა პირველად იქნა გამოყოფილი ინგლისელი მეცნიერის ა. სეჯვიკის მიერ 1835 წელს.

საზღვრები – ქვედა საზღვარი ვენდურთან 540 მილიონი წლით ისაზღვრება, ხოლო ზედა საზღვარი ორდოვიციულთან – 500 მილიონი წლით. შესაბამისად, კამბრიული პერიოდის ხანგრძლივობა 40 მილიონ წელს მოიცავს. კამბრიული სისტემა სამ სექციად იყოფა: E_1 – ქვედა, E_2 – შუა, E_3 – ზედა.

ცოცხალი ბუნება – კამბრიულ პერიოდში იწყებს ფორმირებას თანამედროვე ზღვებსა და ოკეანეებში არსებული სიცოცხლე, პირველ რიგში, სხვადასხვაგვარი

წყალმცენარეებითა და უხერხემლო ცხოველებით, რომლებიც ნიჟარის მატარებლები იყვნენ. ზღვებში ბატონობდნენ უხერხემლოთა არქაული ჯგუფები. რაც შეეხება სმელეთს, ის პრაქტიკულად დაუსახლებელი იყო.

კამპრიული პერიოდის ცხოველები თანდათან დახელოვნდნენ მყარი ქიტი-ნოვან-ფოსფატური ან კირქვის ნიჟარის შენებაში. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **არქეოციათების** სახელით ცნობილი მეტად თავისებური ჯგუფი, რომელიც კამპრიულის დასაწყისში გაჩნდა, განვითარების მაქსიმუმს ადრეკამპრიულში მიაღწია და კამპრიულის ბოლოს გადაშენდა. არქეოციათები მიმაგრებული ბენთოსური ორგანიზმები იყვნენ, რომლებიც თბილ, წყალმარჩხს ზღვებში ცხოვრობდნენ. წყალმცენარეებთან ერთად ისინი რიფის მშენებლებიც იყვნენ.

კამპრიული პერიოდი არის **ტრილობიტების** გაჩნისა და აყვავების ხანა. ტრილობიტები ნარმოადგენს ფეხსახსრიანთა ტიპის პალეოზოურის ბოლოს გადაშენებულ ჯგუფს. ისინი ზღვიური ორგანიზმები იყო. მათი დიდი ნაწილი ბენთოსურ (შლამში ჩაფლული, ფსკერზე მღლობავი) ცხოვრებას ეწეოდა, შედარებით მცირე ნაწილი პლანქტონს მიეკუთვნებოდა, ზოგი შესაძლოა ნექტონსაც. შევნიშნავთ, რომ ტრილობიტების მეშვეობით კამპრიული სამ სექციად ნაწილდება: ქვედა (გვარი *Olenellus*), შუა (გვარი *Paradoxides*), ზედა (გვარი *Olenus*). ტრილობიტებთან ერთად კამპრიულში სხვა ფეხსახსრიანებიც გვხვდება, პირველ რიგში, **ოსტრაკოდები**.

კამპრიულ ფაუნაში დიდ როლს ასრულებს ბრაქიოპოდები, პირველ რიგში, უკლიტონი – *Obolus*, *Kutorgina* და სხვ. ამ დროიდან იწყებენ განვითარებას კლიტიანებიც.

კამპრიულის დასაწყისში ჩნდებიან **მარჯნები**. აქტიურად ვითარდებიან მოლუსკები, რომელთაგან გასტროპოდები გაჩნდნენ ადრეკამპრიულში, **ბივალვიები** – შუაკამპრიულში, ხოლო **ცეფალოპოდები** – გვიანკამპრიულში.

კანეკლიანებიდან ვხვდებით პელმატოზოების პრიმიტიულ ჯგუფებს (ცისტოიდები, თეკოიდები, კარპოიდები) და თითო-ოროლა ჰოლოთურიებს.

კამპრიულ ნალექებში ვხვდებით აგრეთვე: **ერთუჯრედიან ცხოველებს** – ფორამინიფერებსა და რადიოლარიებს; **ლრუბლებს**; **ჭიებს**; **გრაპტოლითებს**; **ციანობიონტებს**; **მწვანე წყალმცენარეებს** (ქლოროფიტებს).

ფაციესები – კამპრიულის დასაწყისისათვის უკვე სრულად არის ჩამოყალიბებული კრატონის კრისტალური ფუნდამენტი და იწყება კრატონებისათვის ტიპური დანალექი საფარის ფორმირება. ამგვარი სურათი დამახსასიათებელია თითქმის ყველა კრატონისათვის. როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, მოვიყვანოთ აღმოსავლეთ ევროპის კრატონის შემადგენელი რუსეთის ბაქნის (პლატფორმის) კამპრიულის ჭრილი.

ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლის ჭრილი

O ₁	დიქტიონემიანი თიხები (Dictyonema flabelliforme)	500 მლნ. წ.
	4. უხეშმარცვლოვანი, ხლართულშრეებრივი კვარციანი ქვიშაქვები ფურიდებით (ჭიების ხვრელები), ფერადი თიხები (ე.წ. იუორის შრეები);	100 მ
	3. ეოფიტონიანი ქვიშაქვები – თეთრი ან ჭრელი ქვიშაქვები და ქვიშები თიხების შუაშრეებით. Eophytion-ის ანაბეჭდებით;	50 მ
E ₁	2. ცისფერი თიხების ჰორიზონტი – მოლურჯო-მონაცრისფრო პლასტიკური თიხები სუსტად გამოხატული შრეებრივობით (ნამარხებიდან: გასტროპოდები, ნაუტილოიდები, რგოლოვანი ჭიები და სხვ.);	50-80 მ
	1. ლამინარიტულისზედა ჰორიზონტი – მომწვანო-ნაცრისფერი ქვიშაქვები თიხების შუაშრეებით. ქანები გაჭედილია ნამარხი ჭიებით (Serpulites);	40 მ
		540 მლნ. წ.
V ₂	ლამინარიტიანი ფურცელა თიხები (ნამარხი ნყალმცენარეებით (Laminarites)	

ძალიან საინტერესო ჭრილია. აქ კამბრიული მხოლოდ ქვედა სექციითაა წარმოდგენილი, რომელიც შემცველი ნამარხებით მეტ-ნაკლებად ნორმალურად ისაზღვრება. ქვედაკამბრიული წყებები უთანხმოდ ადევს ვენდურ ნალექებს, ე.წ. ლამინარიტიან წყებებს, ხოლო თვით უთანხმოდ იფარება ქვედაორდოვიციული დიქტიონემიანი თიხებით, რომელიც შეიცავს სწორედ ქვედა ორდოვიციულის სახელმძღვანელო ნამარხს – Dictyonema flabelliforme-ს. ბევრი რამ არის ამ ჭრილში საყურადღებო – ჯერ ერთი ის, რომ ცალკეულ წყებათა სიმძლავრეები ათეული მეტრების ფარგლებშია, ხოლო ჯამური სიმძლავრე 260 მეტრზე იდნავ მეტია. წყებები ჰორიზონტულადაა განლაგებული! წყებები მთლიანად წარმოდგენილი არის კლასტური ტერიგენული დანალექი ქანებით. მათში არათუ არსებობა, მინიშნებაც კი არ არის მეტამორფული, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მაგური ქანების (როგორც ინტრუზიულის, ისე ეფუზიურის) არსებობაზე. ყველაფერი ეს აშკარად მიუთითებს ნამდვილი კრატონული (შეიძლება ჯობდეს ვთქვათ – პლატფორმული, ბაქნური) პირობების არსებობაზე.

სულ სხვა ხასიათის კამბრიული გვაქვს იმ დროს არსებულ მოძრავ სარტყელებში. მაგალითისათვის ხმელთაშუაზღვიური(ალპურ-პიმალაური) მოძრავი სარტყელიც გამოგვადგება. ამ მოძრავი სარტყელის ფარგლებში გავრცელებული კამბრიული ნალექები ყველაგან კონტინენტის აქტიური კიდის ბუნებისაა. მაგალითისათვის საფრანგეთის ცენტრალური პლატოს სამხრეთით მდებარე მონტენუარის (Monte-Noire) მიდამოების ჭრილიც გამოგვადგება.

მონტენუარის ჭრილი


<p>O₁ მწვანე ფერის ქარსიანი ქვიშაქვები ტრემადოკული ასაკის ტრილობიტებით (Euloma)</p> <p>ε₃ ქვიშაქვები და ფიქლები ზედაკამბრიული ტრილობიტებით (Olenus)</p> <p>ε₂ კარბონატული ფიქლები ტრილობიტებით (Paradoxides) და ცისტოიდებით;</p> <p>ε₁ კირვები არქეოციათებით და ტრილობიტებით (Olenellus) ქვიშაქვები, ფიქლები, პუდინგის მაგვარი კონგლომერატები, ალაგ მუავე შედგენილობის ლავური განფენები</p>		500 მლნ. წ.
<p style="text-align: center;">PR₂ კრისტალური ფიქლები</p>		540 მლნ. წ.

ხსენებულ ჭრილში ყურადღებას იქცევს კამბრიული (და მის თავზე განლაგებული ორდოვიციული, სილურული, დევონური და კიდევ უფრო ახალგაზრდა ნალექები) წყებების ძლიერი დანაოჭება და ათასეული მეტრის სისქის ქანები; თუმცა მეტამორფული და მაგმური ქანები შედარებით უმნიშვნელოა. სუსტია მეტამორფიზმი. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს ჭრილი უდავოდ მკვეთრად განსხვავდება ზემოთ ხსენებული ბალტიური ჭრილისგან.

პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა. კამბრიულის დასაწყისისათვის კონტინენტები, უფრო ზუსტად კი კრატონები (სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ინდონეზია, ანტარქტიდა, ავსტრალია), გაერთიანებული იყო ერთ სუპერკონტინენტად, რომელსაც **გონდვანისი** (გონდვანა) ეწოდა და რომელმაც იურულ პერიოდამდე იარსება.

გონდვანისის გვერდით ამჟამინდელი ჩრდილო ორიენტაციის ოთხი კონტინენტი იყო: ჩრდილო ამერიკის (ლავრენცია), რომელიც განთავსებული იყო ეკვატორის ორივე მხარეს; **ჩინეთის**, რომელსაც ჩრდილო ნახევარსფეროს ტროპიკული (აქ და სხვაგანაც ტროპიკულ სარტყელში იგულისხმება ეკვატორული, ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყელები) და ზომიერი სარტყელები ეკავა; **ფენისკანდისის (ჯამოსავლეთ ევროპის)**, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროში იყო განთავსებული (ძირითადად ტროპიკულ, ნაწილობრივ კი ზომიერ სარტყელში) და **ციმბირის –** თითქმის მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროს ტროპიკულ სარტყელში განთავსებით და მცირე ნაწილით ეკვატორის ჩრდილოეთით. უნდა შევნიშნოთ, რომ გონდვანის დასავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრებოდა ფერნოსკანდია, ხოლო ამ უკანასკერდსა და მისგან დასავლეთით მდებარე ჩრდილო ამერიკის კონტინენტს შორის „იჯდა“ ციმბირის კონტინენტი.

ზემოთ დასახელებული კონტინენტები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო მოძრავი სარტყლებით, ხოლო მოძრავ სარტყლებზე ოკეანეები იყო განთავსებული. კამბრიულ პერიოდში კარგად იყო გამოკვეთილი ორი მოძრავი სარტყელი – ჩრდილოატლანტიური (თავზე ოკეანე იაფეტით, იმავე იაპეტუსით) და ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყელი (თავზე პალეოაზიური ოკეანით). ჩრდილოატლანტიური მოძრავი სარტყელი განთავსებული იყო ლავრენციის (ჩრდილო ამერიკის), ციმბირისა და ფენოსკანდიის (აღმოსავლეთ ევროპის) კონტინენტების სამხრეთით, ხოლო ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყელი მოქცეული იყო ციმბირის, ჩინეთისა და ფენოსკანდიის კონტინენტებს შორის. რაც შეეხება ხმელთაშუაზღვიურ მოძრავ სარტყელს (ოკეანე ტეთისითურთ), ის შედარებით ვიწრო ზოლის სახით გაიდევნებოდა, ერთი მხრივ, გონდვანისასა, ხოლო მეორე მხრივ, დარჩენილ ოთხ კონტინენტს შორის. წყარი იკეანე (პალეოპაციფიკა) გარს უვლიდა ხუთივე კონტინენტს (სურ. 21.1).



სურ. 21.1. კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება შუაკამბრიულ ეპოქაში,
დაახლ. 520 მლნ. წლის ნინ
(Хайн и др., 1997; მცირედი ცვლილებებით)

ზემოთ ხსენებული ოკეანეებით გამოყოფილი ყველა კონტინენტი ადრეკამბრიულში განთავსებული იყო დაბალ ან ზომიერ განედებში, რამაც განაპირობა თბილი (ალაგ ცხელი) კლიმატის ბატონობა და შედეგად ვენდური ზენტრული გამყინვარების მთლიანად მოსპობა. ადრეკამბრიულ ეპოქაში ჩრდილო ამერიკა ეკვატორზე იყო განთავსებული, აღმოსავლეთ ევროპა და ციმბირი – სამხრეთ ნახევარსფეროში, აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი ტროპიკულ, შედარებით მცირე კი – ზომიერ სარტყელში. რაც შეეხება ციმბირის კონტინენტს, მის უდიდეს ნაწილს სამხრეთ ტროპიკების ზოლი ეკვათონის ნაწილს კი – ჩრდილო ეკვატორული ზოლი. ჩინეთის კონტინენტი თანაბრად იყო განაწილებული ჩრდილო განედის ტროპიკულ და ზომიერ სარტყელებს შორის.

შუა- და გვიანკამბრიულ ეპოქებში პალეოტექტონიკური და პალეოგეოგრაფიული ვითარება თითქმის ადრეკამბრიულის მსგავსი იყო. ყველაზე მეტად თვალში საცემია მხოლოდ იმდროინდებული ოკეანეების (პალეოპაციფიკის გარდა) გაფართოება. გვიანკამბრიულში პალეოაზიურმა ოკეანემ სიგანეში 4000 კილომეტრს მიაღწია.

კლიმატი. ადრევენდური აციება (რასაც ზენტრული გამყინვარება მოყვა) გვიანვენდური ათბობით შეიცვალა. კამბრიულის განმავლობაში ათბობის პროცესი კვლავ გრძელდებოდა. თითქმის ყველა კონტინენტზე ტროპიკულის მსგავსი პირობები იყო. ალბათ მხოლოდ თანამედროვე სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი და აფრიკის ჩრდილო-დასავლეთი, რომლებიც იმ დროს სამხრეთ პოლუსის სიახლოვეში იყო განლაგებული, შედარებით გრილი კლიმატის პირობებში იმყოფებოდნენ. ტროპიკული გარემო საკმაოდ კარგად ფიქსირდება სულფატურ-კარბონატული და ევაპორიტული ფორმაციებით; სითბოსმოყვარული არქეოციათების, მარჯნების, ბრაქიოპოდების და წყალმცენარეების ფართო გავრცელებით; ბიოგერმული მასივების არსებობით; რკინისა და ფოსფორიტის დანალექი საბადოების გავრცელებით და სხვ.

21.1.3. ორდოვიციული პერიოდი – 0

სახელწოდება ძველად უელსში მცხოვრებ ორდოვიკთა ტომიდან მოდის. თავდაპირველად ორდოვიციული ნალექები სილურული სისტემის ქვედა ნაწილად იყო მიჩნეული (რ. მერჩისონი, 1835 წ.). მხოლოდ 1960 წელს 21-ე საერთაშორისო გეოლოგიურმა კონგრესმა დააკანონა დამოუკიდებელი ორდოვიციული სისტემის სტატუსი.

საზღვრები. ქვედა საზღვარი კამბრიულთან 500 მილიონ წელს უტოლდება, ზედა საზღვარი სილურულთან – 440 მილიონ წელს. ამდენად, ორდოვიციულის ხანგრძლივობა 60 მილიონ წელს შეადგენს.

ცოცხალი ბუნება – ორდოვიციულ ზღვებში ფართოდ იყვნენ გავრცელებული უხერხემლო ცხოველები და წყალმცენარეები. განვითარებას იწყებენ ხერხემლიანი ცხოველები – აგნატები ანუ უყბონი. ორდოვიციულის მეორე ნახევარში წყალმცენარეებიც ამოვიდნენ ხმელეთზე.

ტრილობიტები, რომლებსაც კამბრიულში წამყვანი პოზიციები ეკავათ, ორდოვიციულში რაოდენობრივად შემცირდნენ და ერთგვარად დათმეს პოზიციები. სამაგიეროდ, წინა პლანზე გამოდიან **გრაპტოლითები**, რომლებმაც ამ პერიოდში სწრაფი ეფოლუცია განიცადეს. ამის გამო ისინი ორდოვიციულის სახელმძღვანელო ნამარხებად ითვლებიან. ადრე- და შუაორდოვიციულისათვის დავასახელოთ გვარები *Phyllograptus*, *Didymograptus*, ხოლო გვიანორდოვიციულისათვის – *Diplograptus*, *Climacograptus*. **ლრუნანლავიანები** (ტიპი *Coelenterata*) წარმოდგენილია სტრომატოპოროლიდებით, პრიმიტიული ოთხქიმიანი მარჯნებით (რუგოზებით) და ტაბულატებით. შევნიშნავთ, რომ ორდოვიციული პერიოდის ლრუნანლავიანები რიფის მშენებელი ორგანიზმები იყვნენ. ორდოვიციულში გრძელდება **ბრაქიოპოდების** ევოლუცია, რომელთაგან დავასახელებთ პოპულარულ გვარებს *Obolus* და *Orthis*. **კანეკლიანები** წამყვან როლს ასრულებდნენ ბენთოსურ ორგანიზმთა შორის. ესენი იყვნენ ცისტოიდების, კრინოიდების, კარპოიდების, ასტეროიბისა და ექინოიდების წარმომადგენლები. ორდოვიციულში ფართოდ გავრცელდნენ **თავფეხიანი მოლუსკები** (ფეფალოპოდები) წაუტილოიდების, ორთოცერატოიდებისა და ენდოცერატოიდების სახით.

ორდოვიციულ ზღვებში ცხოვრობდნენ აგრეთვე ფორამინიფერები, რადიოლარიები, ლრუბლები, ჭიები, ოსტრაკონდები, ორსაგდულიანი მოლუსკები, მუცელფეხიანი მოლუსკები, ხავსცხოველები, აგრეთვე თევზების წინაპარი ხერხემლიანი ცხოველები – ე.წ. **უყბონი** (კლასი *Agnatha*).

ორდოვიციულის დანანილება

ორდოვიციულ სისტემაში სამი სექცია და ექვსი სართული გამოიყოფა. ესენია:

სისტემა	სექცია	სართული
ორდოვიციული O	ზედა O ₃	აშჯილური
	შუა O ₂	კარადოკული ლანდეილური ლანვირული
	ქვედა O ₁	არენიგული ტრემადოკული

ორდოვიციულის კამბრიულზე თანხმობით განლაგების შემთხვევაში საზღვარს მათ შორის ნამარხების მეშვეობით ატარებენ – ფიქლების ფაციესის შემთხვევაში ორდოვიციულის სულ ქვედა ნანილი (ე.ი. დასაწყისი) იქნება გრაპტოლითის *Dictyonema flabelliforme*-ს შემცველი შრები, ხოლო ქვიშაქვების ფაციესში – ტრილობიტი *Ceratopyge* (თუმცა ეს უკანასკნელი ფიქლებშიც გვხვდება). რაც შეეხება ზედა საზღვარს სილურულთან, ის ხშირად ტექტონიკური უთანხმოებით არის გამოყოფილი. ამ

ორი სისტემის თანხმობით განლაგების შემთხვევაში საზღვარი ფაუნისტური კომპლექსების ცვლას ემყარება – სილურულის სულ ქვედა სართულის (ლანდოვერული) დასაწყისს მოასწავებს ე.წ. ლერძიანი გრაპტოლითების (Axonopora) გამოჩენა.

ორდოვიციულის ფაციესები – მსგავსად კამპრიულისა, ორდოვიციული ძირითადად ორგვარი ფაციესით არის წარმოდგენილი – მოძრავი სარტყლის და პლატფორმული (ბაქნური). მოძრავი სარტყლის ტიპის ორდოვიციული ნალექები კარგად არის ცნობილი ჩრდილოატლანტურ (კალედონურ) ნაოჭა სარტყელში (იმ დროს – მოძრავ სარტყელში!), რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს უელსის დერძული როფი წარმოადგენს. გავეცნოთ ამ ჭრილს.

უელსის დერძული როფის ჭრილი

S – კონგლომერატები და ქვიშაქვები 440 მლნ. წ.

O ₃	აშჯილური	პოლიმიქტური ქვიშაქვები;	500 მ
	კარადოკული	გრაპტოლითიანი ფიქლები, კირქვები, ვულკანოკლასტოლითები, ლავები	750 მ
O ₂	ლანდეილური	დაფიქლებული კირქვები ტრილობიტებისა და ბრაქიოპოდების მდიდარი ნაშთებით;	750 მ .
	ლანვირული	ფიქლები გრაპტოლითებით, ტრილობიტებითა და ბრაქიოპოდებით; ვულკანოკლასტოლითებისა და ეფუზივების კომპლექსები	1200 მ
O ₁	არენიგული	მუავა ეფუზივები და ვულკანოკლასტოლითები. ქვიშაქვები, გრაველიტები, ფიქლები	1200 მ
	ტრემადოკული	ფიქლებრივი არგილიტები ტრილობიტებითა და გრაპტოლითებით;	500 მ
		კამპრიული გ	500 მლნ. წ.

უელსის დერძულ ზოლში ორდოვიციულის საერთო სისქე 3500-5000 მეტრია. ჭრილში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ვულკანოკლასტოლითებს და ლავურ განფენებს. მხოლოდ ორდოვიციულის დასასრულს წყდება ვულკანური აქტივობა! ქანები დანაოჭებულია და არაიმულიათად მეტამორფიზებული. აშკარაა, რომ უელ-

სის ტერიტორია ორდოვიციულ პერიოდში მოძრავ სარტყელში (ოროგენში) იყო მოქცეული და ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ უელსის ზოგ უბანში აშვილური სართული ჭრილიდან ამოვარდნილია და კარადოკულსა და სილურულის საგებს შორის კუთხური უთანხმოება აღინიშნება(!).

აღნერილი ჭრილისაგან მკვეთრად განსხვავებული ჭრილია რუსეთის ბაქანზე, ბალტიისპირეთში.

ბალტიისპირეთის (ესტონეთი) ჭრილი

S₁ – ქვედასილურული კირქვები

440 მლნ. წ

O ₃	სხვადასხვაგვარი კირქვები (დეტრიტუსიანი, ბიოგერმული, წყალმცენარეებიანი) ნამარხებიდან: ბრაქიოპოდები, გასტროპოდები, გრაპტოლითები, წყალმცენარეები	1008
----------------	---	------

O ₂	ოოლითური და თიხიანი კირქვები მდიდარი ფაუნით (გრაპტოლითები, ტრილობიტები, ბრაქიოპოდები, ოსტრაკოდები. ქანებში ჩართულია სანვავი ფიქლები (კუკერსიტები);	160 მ .
----------------	---	---------

გლაუკონიტიანი და თიხიანი კირქვები
ტრილობიტებითა და ბრაქიოპოდებით;

O ₁	შავი ფერის გრაპტოლითებიანი არგილითები (შიგ Dictyonema flabelliforme).	30 მ
----------------	--	------

ფოსფორშემცველი ჰორიზონტი
ქვიშაქვები (Obolus apollinus)

E₁ ქვედაკამბრიული

უაღრესად საინტერესო ჭრილია. ჭრილი იწყება უხეშმარცვლოვანი ტერიგენული ნალექებით (ქვიშაქვები). შემდგომ აუზის თანდათანი გაღრმავებით ჯერ თიხების (არგილითები) ფაციესში გადავდიგართ, შემდგომ კი კირქვებში. ორდოვიციულის ჯამური სიმძლავრე სამასიოდე მეტრია. ქანები ტერიგენულ-კარბონატულია. ხენებაც კი არ არის მაგმური ან მეტამორფული ქანების. წყებათა განლაგება ჰორიზონტულია! აშკარაა, რომ კრატონის ბაქნურ ნაწილში ვართ! თანაც აშკარად ჩანს აუზის დაძირვა: ჯერ ქვიშაქვები, შემდეგ არგილიტები, ბოლოს კირქვები!


ორგენეზისის თვალსაზრისით, ორდოვიციული მშვიდ ხანად უნდა ჩაითვალოს. თუმცა ერთი კი არის, რომ ორდოვიციულის მიწურულისათვის თითქოს შეიმჩნევა ტექტონიკური მოძრაობები მოძრავი სარტყლის ზოგ უბანზე. ამის მაჩვენებელია ქვედასილურულის უთანხმო განლაგება კარადოკულზე აშვილურის „ამოგდებით“ ჭრილიდან.

პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა. ორდოვიციულ პერიოდში, მსგავსად კამბრიულისა, ხუთი კონტინენტი და ოთხი ოკეანე (წყნარი ოკეანის ჩათვლით) იყო. კონტინენტებიდან უდიდესი, გონდვანისი, მსგავსად კამბრიული პერიოდისა, გადაჭიმული იყო ჩრდილო ნახევარსფეროს ტროპიკული სარტყელიდან სამხრეთ ნახევარსფეროს პოლარულ სარტყელამდე. მთელი ორდოვიციული პერიოდის განმავლობაში ის მოძრაობდა სამხრეთისაკენ და პერიოდის დასასრულს მიაღწია კიდეც სამხრეთ პოლუსამდე. გონდვანისი „მეზობელი“ ფენოსკანდია გადაადგილდებოდა დასავლეთი (მცირედ ჩრდილო-დასავლეთი) მიმართულებით და დაიკავა „ციმბირის ტერიტორია“. ამ უკანასკნელმა სამხრეთ ნახევარსფეროდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა და განთავსდა ჩრდილო ტროპიკულ და ზომიერ სარტყელებში. ჩინეთის კონტინენტი ციმბირიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით პრაქტიკულად მთლიანად ჩრდილო-ზომიერ სარტყელში მოექცა. კონტინენტთაგან ყველაზე დასავლეთით მყოფი ლავრენცია მართალია კამბრიულის მსგავსად ორდოვიციულშიც ეკატორის ორივე მხარეს იყო განთავსებული, მაგრამ აშკარად ეტყობოდა მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ. რადგან მოძრაობა ვახსენეთ, ვიტყვით, რომ კონტინენტები მოძრაობდნენ წრიულად, თანაც საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით – ჩრდილოეთიდან სამხრეთით (გონდვანისი) → დასავლეთით (ფენოსკანდია) → ჩრდილოეთით (ციმბირი, ლავრენცია) → ჩრდილო-აღმოსავლეთით (ჩინეთი).

აშკარად გაითაროეს აკვატორია ოკეანეებმა. ეს განსაკუთრებით ეხება იაფეტის და ტეთისის ოკეანეებს, ნაკლებად – პალეოაზიურს. ორდოვიციულ პერიოდში ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელი (მის თავზე განთავსებულ ოკეანე იაფეტან ერთად) მოთავსებული იყო ლავრენციასა და ფენოსკანდიას შორის; ურალ-ობოტის მოძრავი სარტყელი (პალეოაზიური ოკეანით) კვლავ სამ კონტინენტს (ფენოსკანდია, ციმბირი, ჩინეთი) შორის „იჯდა“. რაც შეეხება ხმელთაშუაზღვიურ (ალპურ-ჰიმალაურ) მოძრავ სარტყელს (ოკეანე ტეთისით), ის აპირისპირებდა გონდვანის დარჩენილ ოთხ კონტინენტთან (ფენოსკანდია, ლავრენცია, ციმბირი, ჩინეთი) (სურ. 21.2).

ადრეორდოვიციულის განმავლობაში თბილი კლიმატი იყო არიდულის ერთგვარი სიჭარბით. შუაორდოვიციულიდან კლიმატის ჰუმიდიზაცია გაძლიერდა, ხოლო გვიანორდოვიციულში კვლავ არიდიზაციაა, ოღონდ ტემპერატურის დაწევით, რამაც პოლარულ ადგილებში მყინვარის „ქუდები“ გააჩინა, ბოლოს კი – **ზეწრული გამყინვარება** განვითარდა.

მთელი ორდოვიციული პერიოდის განმავლიბაში ტროპიკული გარემო იყო ჩრდილო ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის, ციმბირისა და ავსტრალიის კრატონებზე; აგრეთვე სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთში. ამგვარი პირობები დგინდება კარბონატული წყებების ინტენსიური დაგროვებით, სულფატ-კარბონატული და ევაპორიტული ნალექებით, რიფული სხეულების არსებობით. ტროპიკული და ეკვატორული ზონების ზღვები „დასახლებული“ იყო სითბოსმოყვარული ფაუნით, რომელიც შედგებოდა მარჯნების, ბრიოზოების, სტრომატოპორატების, ბრაქიოპოდების, ტრილობიტებისა და მოლუსკებისაგან.



სურ. 21.2. კონტინენტურისა და ოკეანეების განაწილება გვიანორდოვიციულ ეპოქაში
დაახლ. 460-440 მლნ. წლის წინ

(Хашн и др., 1997; მცირედი ცვლილებებით)

ტროპიკულ სარტყელში გამოიყოფოდა არიდული და ჰემიდური ზონები. მთელი ორდოვიციულის განმავლობაში არიდული პირობები ბატონობდა აღმოსავლეთ ციმბირში, ჩინეთსა და ინდონეზიაში; აგრეთვე სამხრეთ ბალტიისპირეთსა და სკანდინავიაში. სამაგიეროდ, მთელი ორდოვიციულის განმავლიბაში ეკვატორული ნესტიანი კლიმატი ბატონობდა აღმოსავლეთ ევროპის კრატონის აღმოსავლეთ ნაწილში, ურალზე, დასავლეთ ციმბირში, ბაიკალისპირეთში, ცენტრალურ ყაზახეთში.

მყინვარული ნალექები გაჩნდა სამხრეთ ამერიკისა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ზედა ორდოვიციულში (სამხრეთ ამერიკიდან – ბრაზილიაში, ჩრდილო არგენტინასა და ბოლივიაში). ტილიტები, ფლუვიოგლაციალური ქვიშები და დამარხული მყინვარული ხეობები დამუშავებულ-გაპრიალებული ფსკერით აღმოჩენილია საპარაში და არაბეთის ნახევარკუნძულზე.

სამხრეთ ამერიკისა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის გამყინვარება ზენტრული ტიპის იყო, ხოლო სამხრეთ აფრიკის და არაბეთის ნახევარკუნძულის ფარგლებში

მთის მყინვარები არსებობდა. გამყინვარების ცენტრები იყო ბრაზილიაში (მდ. პარა-ნას ხეობა), ჩრდილო-დასავლეთ საჰარაში და არაბეთის ნახევარკუნძულზე.

21.1.4. სილურული პერიოდი – 8

სილურული სისტემა გამოყოფილია ინგლისელი გეოლოგის, რ. მერჩისონის, მიერ 1835 წ. უელსში. **სახელწოდება** ძველი კელტური ტომების – სილურებისაგან მოდის.

საზღვრები. სილურული სისტემა მოთავსებულია ორდოვიციულ (ქვედა საზღვარი) და დევონურ (ზედა საზღვარი) სისტემებს შორის. სილურული პერიოდი დაიწყო 440 მილიონი წლის წინ და დასრულდა 410 მილიონი წლის წინ. ამდენად, ამ პერიოდის ხანგრძლივობა 30 მილიონ წელს შეადგენს.

ცოცხალი ბუნება – სილურულ პერიოდში ორგანული სამყარო წინა პერიოდთან შედარებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა. ფაუნასა და ფლორას დაპყრობილი ჰქონდათ ზღვები და ოკეანები, ხოლო უმაღლესმა მცენარეებმა პერიოდის მიწურულს ხმელეთის დაპყრობა დაიწყეს.

სილურული პერიოდის ზღვებში წამყვანი პოზიციები ეკავათ ორგანიზმთა იმ ჯგუფებს, რომლებიც დომინირებდნენ კამბრიულსა და ორდოვიციულში (არქეოციათების გამოკლებით, რომლებიც, როგორც ვიცით, კამბრიულის დასასრულს გადაშენდნენ). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ **გრაპტოლითები**, რომელთა მეშვეობითაც ხდება სილურული სისტემის სართულებად და ზონებად დანაწილება. რიფისმშენებელთაგან დავასახელოთ **სტრომატოპოროიდები**, ტაბულატები (Halysites, Favosites). ევოლუციას განიცდიდნენ **ტეტრაკორალები** (ოთხეკიმიანი მარჯნები). **თავფეხიანებიდან** ისევ და ისევ ორთოცერატოიდები და ენდოცერატოიდები იყვნენ წამყვანი. **ბრაქიოპლადებიდან** სილურულში ჩნდებიან ათრიპიდები, სპირიფერიდები, რინხონელიდები, პტოდუქტიდები. სილურული პერიოდისათვის ძალიან დამახასიათებელია რთულად აგებული ხელის აპარატის მქონე ბრაქიოპლადების არსებობა.

კანეკლიანებიდან სილურულში პელმატოზოები გაბატონდნენ. მათგან წინა პლაზე წამონევას იწყებენ კრინოიდები (ზღვის შროშნები).

ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზმთა გარდა სილურული დროის ზღვიური აუზები ეკავათ: ერთუჯრედიანებს, ღრუბლებს, ჭიებს, ოსტრაკოდებს, ევრიპტერიდებს, ორსაგდულიან მოლუსკებს, ბრიოზოებს, ექინოიდებს და ზღვის ვარსკვლავებს. სილურულის მეორე ნახევარში უყბო ხერხემლიანთა ჯგუფმა მტკნარი აუზების დაპყრობა დაიწყო. გვიან სილურულში გაჩნდნენ **ნამდვილი თევზები**.

ევოლუციას განიცდიდნენ სხვადასხვაგვარი ნეალმცენარეები (წაბლა, წითელი), ასევე ციანობიონტები. ხმელეთზე გაჩნდნენ ხავსები, სოკოები, უმაღლესი მცენარეების პირველი ნარმომადგენლები – **ფსილოფიტები**.

დანაწილება – სილურული სისტემა ორი სექციისა და ოთხი სართულისაგან შედგება, თანაც ისე, რომ თითოეულ სექციაში ორ-ორი სართულია განთავსებული.

სისტემა	სექცია	სართული
სილურული S	ზედა S_2	დაუნტონური (პრუილოლის) ლუდლოური
	ქვედა S_1	უენლოკური ლანდოვერული

სილურულის ფაციესები – სილურულის ფაციესები უმეტეს შემთხვევაში მოძრავი სარტყელის ან პლატფორმული ბუნებისაა. სილურულში, მსგავსად ორდოვიცულის და კამბრიულისა, ზღვიური ფაციესები დომინირებდნენ – მოძრავი სარტყელის და ეპიკონტინენტური.

მოძრავი სარტყელის ფაციესის მაჩვენებელია **უელსის ცნობილი ჭრილი**.

D₁ – ქვედა დევონური

410 მლნ. წ

დაუნტონური	კონტინენტური წითელი ქვიშაქვები (შიგ ოსტრაკოდები, ორგვარად მსუნთქავი თევზები – Diploni). ფერადი მერგელები და ფიქლები (Lingula და სხვ.)	900გ
ლუდლოური	კირქვები (შიგ ბრაქიოპოდები, სტრომატოპორიდეები, მარჯნები), კარბონატული თიხები, არგილითები; გრაპტოლითებიანი ფიქლები);	500გ
უენლოკური	ქვიშაქვები, ფიქლები, არგილითები, კარბონატული თიხები. ნამარხებიდან – მარჯნები, ბრაქიოპოდები და სხვ.	1200 გ
ლანდოვერული	კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები (ბრაქიოპოდები)	500გ

~~~~~ 0 ორდოვიცული

440 მლნ. წ.

ამ ჭრილში სილურულის მაქსიმალური სიმძლავრე 4000 მეტრს აჭარბებს, ხოლო საშუალო სიმძლავრე 3000 მეტრის ფარგლებშია. როგორც ვხედავთ, უელსის სილურული საკმაოდ სქელია, მეტამორფული და ინტენსიურად დანაოჭებული. აშკარაა, რომ ის მოძრავ სარტყელშია ფორმირებული. ზოგ შემთხვევაში ინტენსიურად დანაოჭებულ სილურულზე კუთხური უთანხმოებით არის განლაგებული დევონური, რომელიც დაუნაოჭებელია და პრაქტიკულად ჰორიზონტული.

უელსი ჩრდილოატლანტური ვრცელი მოძრავი სარტყელის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს. ამ სარტყელის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გრამპიანების ზოლში (ამჟამინდელი სკანდინავიის მთათა სისტემა) სილურულ პერიოდში დიდი სისქის ტიპური მოძრავი სარტყელის ბუნების ტერიგენული ნალექები გროვდებოდა. სილურული აქაც ინტენსიურად არის დანაოჭებული, ხოლო მასზე კუთხური უთანხმოებით დაუნაოჭებელი დევონური დევს.

სულ სხვაგვარი ბუნებისაა სილურული აღმოსავლეთ ევროპის კრატონზე, კონკრეტულად – რუსეთის პლატფორმაზე. საინტერესო ჭრილი გვაქვს ბალტიისპირეთში, კერძოდ ესტონეთში.

### ესტონეთის ჭრილი

|                |                                                                                                                                                                       |            |
|----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|
|                | D <sub>2</sub> – შუადევონური                                                                                                                                          | 410 მლნ.წ. |
| S <sub>2</sub> | ხარვეზი                                                                                                                                                               |            |
| S <sub>1</sub> | ძირითადად კირქვები (მდიდარი ფაუნით: ტაბულატები, ტეტრაკორალები, სტრომატოპორონიდები, ბრაქიოპოდები, ბრიოზოები, კრინოიდები, ბივალვიები, ოსტრაკოდები, იქტიოფაუნა); 170 მ . |            |
| S <sub>1</sub> | ორგანოგენული კირქვები (მდიდარი ფაუნით: ტაბულატები, ტეტრაკორალები, კრინოიდები, ბრაქიოპოდები, სტრომატოპორატები, ტრილობიტები, ოსტრაკოდები, ევრიპტერიდები)                | 335 მ      |
| O <sub>3</sub> | ზედაორდოვიციული კარბონატული წყება                                                                                                                                     | 440 მლნ.წ. |

როგორც ვხედავთ, აქ სილურულის სულ ზედა ნაწილი არ არის! სილურულზე სტრატიგიული უთანხმოებით დევს შუადევონური ნალექები. სილურულის საერთო სიმძლავრე 500 მეტრამდეა. წყებები ჰორიზონტულ განლაგებაშია. მინიშნებაც კი არ არის მეტამორფულ ან მაგმურ ქანებზე. დომინირებს კარბონატული ფაციესები (ძირითადად კირქვები), რაც პლატფორმების შედარებით ღრმა აუზები-სათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამ ჭრილის ცოტა სამხრეთით, პოდოლიაში სილურულის ჭრილი თაბაშირის შრეებით მთავრდება.

აშკარაა, რომ რუსეთის პლატფორმაზე თითქმის მთელი სილურულის განმავლობაში აუზის დაძირვასთან გვაქვს საქმე, სადაც კარბონატული წყებები ილექტა. მხოლოდ გვიანი სილურულის სულ ბოლო მონაკვეთში აშკარა აზევებაა, რომლის შედეგადაც ზედასილურულის სულ ზედა ნაწილი ან საერთოდ არ არის (ესტონეთის

ჭრილი), ან ევაპორიტების (თაბაშირიანი წყება) რეგრესიული ნალექებით არის წარმოდგენილი (პოდოლის ჭრილი).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პლატფორმის სილურულის ზემოთ მოცემული სურათი პირდაპირ მიუთითებს სილურულის დასასრულს განვითარებულ ოროგენეზისზე (კალედონური ოროგენეზისი), რომელიც ჩრდილოატლანტიკურ მოძრავ სარტყელში მიმდინარეობდა, ფაქტობრივად, მთელი სილურულის განმავლობაში და რომლის „გამოძახილმაც“ სილურულის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის კრატინამდეც (რუსეთის ბაქნამდე) მიაღწია.

**ოროგენეზისი (მთათანარმოშობა)** და **პალეოგრაფიული სურათის დინამიკა** – ადრესილურულში გონდვანისი კიდევ უფრო მიუახლოვდა სამხეთ პოლუსს და ავსტრალის გამოკლებით თითქმის მთლიანად სამხრეთ პოლუსის მაღალ განედებში მოექცა. ამავე დროს სუპერკონტინენტზე ძლიერი ტრანსგრესია განვითარდა ალბათ იმის გამო, რომ გვიანორდოვიციულში ზენტრული გამყინვარების შედეგად გაჩენილმა ყინულის საფარმა დნობა დაიწყო. სხვა კონტინენტები ორდოვიციულის მსგავსად ეკვატორულ და ტროპიკულ სარტყელებში იყვნენ განლაგებული – ციმბირი და ჩინეთი ეკვატორის ჩრდილოეთით, ხოლო ჩრდილო აშერიკა და აღმოსავლეთ ევროპა – ეკვატორის ორივე მხარეს.

სილურულის მეორე ნახევარში ყველა კონტინენტზე ძლიერი რეგრესია დაიწყო, რამაც ნახევრად დახშულ აუზებში ევაპორიტების (ჰალიტი, სულფატები, დოლომიტები) ნარმოქმნა განაპირობა.

დიდი ცვლილებები ხდება მოძრავ სარტყელებშიც. **პროტოატლანტიკური ოკეანე იაფეტი** გაფართოების ნაცვლად თანდათანობით იკეტება იმის გამო, რომ ლავრენციამ და ფენოსკანდიამ (აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტმა) ერთმანეთისაკენ გადაადგილება დაიწყეს. ამას შედეგად ძლიერი ოროგენეზისი მოჰყვა სამხრეთ აპალაჩების, აღმოსავლეთ გრენლანდიის, ჩრდილო ირლანდიის, შოტლანდიის, შპიცბერგენის და სხვა ზონებში (აპალაჩების სისტემა ზომებში თითქმის ორმაგად შემცირდა). ამ ოროგენეზისს **კალედონური ოროგენეზისი** ჰქვია (კალედონია შოტლანდიის ძველორმაული სახელწოდებაა).

**ოროგენეზისი** საერთოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ათეული და მეტი მილიონი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ის ზოგადად ერთიანია, თუმცა ცალკეული სტადიებისაგან შედგება. ამ სტადიებს **ოროგენეტული ფაზისები** ჰქვია. ოროგენეტული ფაზისები ერთმანეთისგან დანაოჭების თვალსაზრისით მშვიდი პერიოდებით (არ დანაოჭებით) გამოიყოფა. ოროგენეტულ ფაზისთა ჯამი ოროგენეტულ ციკლს ან უბრალოდ ოროგენეზისს გვაძლევს (მაგალითად, იგივე კალედონური ოროგენეზისი სხვადასხვა დროს გამოვლენილ სამ ოროგენეტულ ფაზისს მოიცავს – **ტაკონიურს (O/S), არდენულსა (S<sub>1</sub>/S<sub>2</sub>) და ირიულს (S/D)**).

როგორც ცნობილია, ოროგენეზისი ხდება მოძრავ სარტყელში ერთმანეთისაკენ მოძრავი ლითოსფერული ფილების შეჯახების შედეგად. სწორედ ამგვარი შეჯახება იყო გვიანსილურულში დედამინის ქერქის სხვადასხვა ადგილში, რომლის შედეგა-


დაც კალედონური ნაოჭა სისტემები, ანუ კალედონიდები გაჩნდა. უპირველესად ეს ეხება ორი ძველი კონტინენტის – ჩრდილო ამერიკისა (ლავრენცია) და აღმოსავ-ლეთ ევროპის (ფენოსკანდია) შეჯახებას ჩრდილოატლანტურ მოძრავ სარტყელში. კოლიზიის შედეგად ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელი (ე.წ. „გრამპიანის გეოსინკლინი“) ჩაიკეტა, ხოლო შეჯახების (კოლიზიის) ადგილზე შოტლანდიისა და სკანდინავიის მთების სახით წარმოშობილმა ჩრილოატლანტურმა ნაოჭა სარტყელ-მა ზემოთ ხსენებული ორი კონტინენტი შეაერთა. მათ ნაცვლად ერთი დიდი კონტი-ნენტი – ევროამერიკა მივიღეთ.

კალედონური ოროგენეზისი მნიშვნელოვანი იყო ურალ-ოხოტის მოძრავ სარტყელშიც. ამ ოროგენეზისის შედეგად გაჩნდა მთიანი ალტაის, კუზნეცვის ალათაუს, მთიანი შორიის, დასავლეთ საიანების, ცენტრალური ყაზახეთის, ჩრდილო ტიან-შანისა და სხვა ნაოჭა სტრუქტურები. მიუხედავად ასეთი დანაოჭებისა, ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყელი შემდგომაც განაგრძობდა არსებობას, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი თვით ურალის ნაოჭა სისტემა, ჯუნგარ-ბალხაშის ნაოჭა სისტემა და სხვ.

კალედონური ოროგენეზისი შეეხო ხმელთაშუაზღვიურ და წყნაროკეანურ მოძრავ სარტყლებსაც, თუმცა არცერთი მათგანის საბოლოო ლიკვიდაცია არ მოუხდენია.

ამგვარად, სილურული პერიოდის მიწირულს დედამიწაზე ხუთის ნაცვლად ოთხი კონტინენტი იყო – ევროამერიკა, ციმბირი, ჩინეთი და გონდვანისი. მათგან ევროამერიკა ეკვატორის ორივე მხარეს იყო განთავსებული, პრაქტიკულად მთლი-ანად ტროპიკულ სარტყლებში. ციმბირს ჩრდილო განედის ზომიერი სარტყელი ეკავა, ოდნავი გადახრით ჩრდილო პოლარულისაკენ. ციმბირის აღმოსავლეთით, იმავე ჩრდილო განედის ზომიერ სარტყელში (მცირედი ქიმით ჩრდილო ტროპი-კულში) მდებარეობდა ჩინეთის კონტინენტი. რაც შეეხება გონდვანისს, ის კვლავ განთავსებული იყო ჩრდილო ტროპიკულსა და სამხრეთ ტროპიკულ, ზომიერ და პო-ლარულ სარტყლებში.

კონტინენტებს შორის არსებული სამი მოძრავი სატყლიდან ერთი (ჩრდილოატ-ლანტური) კალედონური ოროგენეზისის წყალობით ნაოჭა სარტყლად იქცა, ხოლო ორი დარჩენილიდან ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყელი (მის თავზე მდებარე პა-ლეოზიურ ოკეანესთან ერთად) განთავსებული იყო ევროამერიკის, ციმბირისა და ჩინეთის კონტინენტებს შორის. ხმელთაშუაზღვიური (ალპურ-ჰიმალაური) მო-ძრავი სარტყელი (თავზე ოკეანე ტეთისით) მოთავსებული იყო უკვე არა 4, არამედ 3 (ევროამერიკა, ციმბირი, ჩინეთი) კონტინენტსა და სუპერკონტინენტ გონდვანისს შორის. პალეოპაციფიკა (წყნარი ოკეანე) კვლავ გარსს უვლიდა კონტინენტებს (სურ. 21.3).



**სურ. 21.3.** კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება გვიანსილურულ ეპოქაში  
დაახლ. 425-410 მლნ. წლის წინ

(Хаин и др., 1997; მცირედი ცვლილებებით)

რაც შეეხება კონტინენტების მოძრაობას, როგორც ზემოთ ითქვა, ორი კონტინენტის (ლავრენცია და ფენოსკანდია) ურთიერთშეჯახება და ერთ კონტინენტად (ევროამერიკა) გადაქცევა მოხდა. ციმბირი ჩრდილოეთისაკენ, ხოლო ჩინეთი, პირიქით, სამხრეთისაკენ გადაადგილდა. გონდვანისი აშკარად წრიულად მოძრაობდა სამხრეთ – სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით.

**კლიმატი.** სილურული პერიოდის დასაწყისში შედარებით გრილი კლიმატი იყო გვიანორდოვიციული გამყინვარების რევიონებში (ზოგან მყინვარული წყებებით წარმოდგენილი – ბოლივია, არგენტინის ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი ბრაზილია). შესაძლოა, რომ საჰარის ზოგ რაიონშიც იყო ყინულის საფარი, რამდენადაც ამ ადგილებიდან ფლუვიოგლაციალური ნალექებია ცნობილი. ტილიტებისა და „წლიური თიხების“ გავრცელებით იფარგლება ყველაზე ცივი კლიმატის ოლქები – სამხრეთ ამერიკის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და ჩრდილო აფრიკა.

სილურულ პერიოდში გონდვანისი ინარჩუნებდა მონოლითობას და სუსტ აზევებას განიცდიდა.

მთელი სილურულის განმავლობაში ტროპიკული პირობები იყო ჩრდილო ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტების ტერიტორიის დიდ ნაწილში და ციმბირის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში. აյ გავრცელებული იყო ექსტრაკარბონატული ფორმაციები (ანუ კარბონატები მაგნიუმის მაღალი შემცველობით). ცნობილია აგრძელებულ სულფატური და მარილშემცველი ნალექები.

ტროპიკულ ზღვებში ყველა პირობა იყო შექმნილი მარჯნულ-ბრაქიოპოდული ფაუნის განვითარებისათვის.

## 21.1.5. დევონური პერიოდი – D

ვიდრე დევონურ პერიოდზე დავიწყებდეთ საუბარს, კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სილურულში განვითარებული კალე-დონური ოროგენეზისის შედეგად მოხდა ორი კონტინენტის – ჩრდილო ამერიკისა (ლავრენცია) და აღმოსავლეთ ევროპის (ფენოსკანდია) კრატონების შეერთება. ადვილი მისახვედრია, რომ შეერთება მოხდა ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელის ზოლში, რომელიც ხსენებული ოროგენეზისის (ოროგენეტული ციკლის) შემდეგ გადაიქცა ჩრდილოატლანტურ ნაოჭა სარტყელად. ამ ნაოჭა სარტყელის ზოლში ორი დიდი სტრუქტურა ჩამოყალიბდა სკანდინავიისა და შოტლანდიის ნაოჭა სისტემების სახით. ეს პროცესი, როგორც ვიცით, კალედონური ოროგენში განვითარდა. სწორედ ამიტომ სილურულ პერიოდში განვითარებულ ოროგენეზისა კალედონური ოროგენეზისი ეწოდება. ამ ოროგენეზისის შედეგად ორი კრატონის (კონტინენტის) შეერთებით ნარმოშობილ ერთიან დიდ კონტინენტს კი ევროამერიკა (იგივე, ჩრდილო ატლანტური კონტინენტი) ეწოდა. ამგვარად, სილურულ-დევონური პერიოდების საზღვარზე გაჩენილი კონტინენტი (ევროამერიკა, იგივე ჩრდილოატლანტური კონტინენტი) სამი დიდი მორფოსტრუქტურისაგან შედგება – ჩრდილო ამერიკის კრატონი, აღმოსავლეთ ევროპის კრატონი და მათი გამაერთიანებული ჩრდილოატლანტური ნაოჭა სარტყელი.

**დევონური სისტემა** გამოიყო 1839 წელს ინგლისელი მეცნიერების, ა. სეჯვიკისა და რ. მერჩისონის, მიერ ინგლისში, დევონშირის საგრაფოში. სახელწოდებაც აქედან მოდის.

**საზღვრები.** დევონური სისტემა მოთავსებულია სილურულ და კარბონულ სისტემებს შორის. მისი ქვედა ასაკობრივი საზღვარი (სილურულთან) 410 მილიონ წელს შეადგენს, ხოლო ზედა (კარბონულთან) – 360 მილიონ წელს. ამდენად, დევონური პერიოდის ხანგრძლივობა 50 მილიონ წელს მოიცავს.

**ცოცხალი ბუნება.** სილურულის ბოლოს მოხდა გადაშენება იმ ორგანიზმთა ბევრი ჯგუფისა, რომლებიც მანამდე ფართოდ იყო გავრცელებული დედამინაზე. დევონურის გარიურაჟზე იწყება მცენარეთა და ცხოველთა ახალი ტაქსონების გაჩენა, ანუ იმ ჯგუფებისა, რომელთა მეშვეობით ჩამოყალიბდა გვიანპალეოზოური

დროის ფლორისა და ფაუნის სახე. ამ ახალი ფლორისტულ-ფაუნისტური კომპლექსის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო ის, რომ სიცოცხლემ, ზღვისა და მტკნარი წყლის აუზების გვერდით, დამკვიდრება დაინყო ხმელეთზეც – გაჩნდა ხმელეთის ფლორა და ფაუნა! ამის პარალელურად ზღვაში გრძელდებოდა სიცოცხლის ევოლუცია – გამოჩენენ პირველი **ამონიტები** (გონიატიტები) და მათი მონათესავე ფორმები – **ბელემნიტები**. აყვავების ხანა დაუდგათ **ტეტრაკორალებს** (ოთხქიმიანი მარჯნები), **ბრიოზოებს** (ხავსცხოველები), **ფუზულინიდებს** (ერთუჯრედიანთა ცნობილი ოჯახი), **კლიტიან ბრაქიოპოდებს**.

ასეთი ევოლუციის ძირითადი მიზეზი ალბათ იყო არა თვით ევოლუციის ტემპის აჩქარება, არამედ ორგანიზმთა საცხოვრებელი გარემოს შეცვლა, რაც განპირობებული იყო ხშირი და ძლიერი ტექტონიკური მოძრაობებით, შესაბამისად, პალეოგეოგრაფიული ვითარების შეცვლით, აგრეთვე კოსმოსური ზემოქმედებით.

დევონური პერიოდი გამოიჩინა **თევზების** კლასის წარმომადგენელთა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, რის გამოც მას ხშირად „თევზების პერიოდსაც“ უწოდებენ. ამავე პერიოდში დაკინება („ჩაქრობა“) იწყეს **გრაპტოლითებმა**, ცისტოიდებმა, ტრილობიტებმა, **ნაუტილუილებმა**. სამაგიროდ, ფართოდ იყვნენ გავრცელებული: **კლიტიანი ბრაქიოპოდები**, **ტეტრაკორალები**, **ტაბულატები**, **კრინიტოიდები** (ზღვის **შროშნები**). იმდროინდელი ბრაქიოპოდები ხასიათდებოდნენ სახეობათა სიუხვით და დროში სწრაფი ცვლით, რაც მათი მეშვეობით დევონური ნალექების დეტალური დანანილების საშუალებას იძლევა. ასევე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენდნენ დევონური **ამონიტები**, რომლებმაც განვითარების ფართო ასპარეზი პოვეს. დევონურის დასაწყისშივე ჩნდებან აგონიატიტები და **გონიატიტები**. დევონურის „სრული კურსი“ გაიარეს **კლიმენტებმა**, რომლებმაც დევონურ პერიოდში მოასწრეს წარმოშობაც, აყვავებაც და გადაშენებაც. ტაბულატების დაკინების ფონზე გაძლიერდნენ **ტეტრაკორალები**. ტეტრაკორალები, ბრიოზოები და სტრომატოპოროიდები დევონურ პერიოდში რიფის მშენებლები იყვნენ. უხერხემლო ცხოველების სხვა წარმომადგენლებსაც (ოსტრაკოდები, კრინიტოიდები, ექინოიდები, სპონგიები, ბივალვიები, გასტროპოდები და სხვ.) მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დევონური სიცოცხლის იერსახის შექმნაში.

ფართოდ გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე **ხერხემლიანი ცხოველები**. პირველი რიგში, ეს **თევზებს ეხება**. დევონურში კარგად გრძნობდნენ თავს ჯავშნიანი და ხრტილიანი-თევზები. **მაჯაფარფლიანმა თევზებმა სათავე დაუდეს ამფიბიებს**.

ფიქრობენ, რომ სილურულისა და დევონურის საზღვარზე მომხდარმა რეგრესიამ ხელი შეუწყო მცენარეების ხმელეთზე ამოსვლას. ადრე- და შუადევონურში ხმელეთზე **ფსილოფიტები** ბატონობდნენ, რომლებიც უმეტესად დაჭაობებულ ადგილებში ბინადრობდნენ. დევონურის მიწურულს ისინი მთლიანად ამონიტების. შუა დევონურიდან ფსილოფიტების გვერდით დადგა **სპოროვანთა** ყველა ძირითადი ჯგუფი. დევონურში ფართო გავრცელებით სარგებლობდა გვიმრანაირთა წარმომადგენელი *Archaeopteris*, რის გამოც გვიანდევონურ ფლორას **არქეოპტერისიანს უწოდებენ**.

ხმელეთის ფლორა უმეტესად ზღვის სანაპირო ზოლში ბინადრობდა, რასაც ხელს უწყობდა თბილი და ამავე დროს ნესტიანი კლიმატი. კონტინენტურის გან დაშორებული რაიონები მცენარეულ საფარს არ შეიცავდა.

დევონურის ბოლოს ხმელეთი, განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიები, ტყით შეიმოსა.

**დანაწილება.** დევონურ სისტემაში 3 სექცია და 7 სართულიგამოიყოფა:

| სისტემა       | სექცია                  | სართული                       |
|---------------|-------------------------|-------------------------------|
| დევონური<br>D | ზედა<br>D <sub>3</sub>  | ფამენური<br>ფრანული           |
|               | შუა<br>D <sub>2</sub>   | უივეტური<br>ეიფელური          |
|               | ქვედა<br>D <sub>1</sub> | ემსის<br>ზიგენური<br>ჟედინური |

ადრე ზიგენური და ემსის სართულების ნაცვლად კობლენცური ფიგურირებდა.


დევონური სისტემის დანაწილება არდენებში (ბელგიის ტერიტორიაზე), საფრანგეთსა და რაინის ფიქლიანი მთების (გერმანია) ტერიტორიებზე მოხდა.

**დევონურის ფაცისიები.** როგორც ვიცით, კალედონურმა ოროგენეზისმა საგრძნობლად გარდაქმნა კონტინენტურის სტრუქტურა. ისიც ვიცით, რომ ეს ოროგენეზის განსაკუთრებული სიძლიერით მოქმედებდა ჩრდილოატლანტურ მოძრავ სარტყელში. თუმცა მისი ძალა სხვა მოძრავ სარტყლებშიც გამოვლინდა. შესაბამისად, იქაც გაჩნდნენ კალედონიდები. მაგრამ, ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყლის გარდა, არცერთ მოძრავ სარტყელს სრული ლიკვიდაცია არ განუცდია, ანუ ყველა ისინი კვლავ მოძრავ სარტყლებად დარჩა. თუმცა ამ მოძრავ სარტყლებში, შეიძლება ვთქვათ, კუნძულების სახით კალედონური ნაოჭა სტრუქტურები წარმოიშვა.

კალედონური ოროგენეზისით გამოწვეული აზევება კრატონებმაც განიცადეს. რეგრესიამ, რომელიც სილურულის ბოლოს დაიწყო, მაქსიმუმს ადრედევონურში მიაღწია. დენუდაციის არედ გადაიქცნენ არა მარტო ახლად წარმოქმნილი ნაოჭა სტრუქტურები (კალედონიდები), არამედ კრატონების ვრცელი ტერიტორიებიც. ამის გამო კონტინენტური ადრედევონურში მკვეთრად იკლო ზღვიურმა სედიმენტაციამ (ნალექგადაგროვებამ). ოდესლაც ვრცელი ეპიკონტინენტური ზღვის ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა და ტიპურ ანორმული მარილიანობის ლაგუნად იქცა. ამიტომ დევონურისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ღრმა ზღვისა (მოძრავი სარტყლის) და მარჩხი ზღვის (ეპიკონტინენტურზღვიური) ფაციესები, ხოლო მეორე

მხრივ, მათზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ხმელეთზე (სუბაერულ და სუბაკვატურ გარემოში) დაგროვილი დიდი სიმძლავრის (კილომეტრების რიგის) ფერადი ქანების კომპლექსები, მშრალი და ცხელი ჰავის პირობებში წარმოქმნილი, მარილებით მდიდარი ლაგუნური ფაციესები.

კონტინენტური ფაციესების გაცნობა დავიწყოთ გეოლოგიურ ლიტერატურაში ძველი წითელი-ქვიშაქვის-სახელით ცნობილი კომპლექსიდან, რომელიც თითქმის მთელი დევონური პერიოდის განმავლობაში გროვდებოდა კალედონური ოროგენზისის შემდეგ წარმოქმნილ დიდ ჩრდილოატლანტურ კონტინენტზე, რომელსაც ჩვენ ევროამერიკა ვუწოდეთ. ამ კონტინენტს არაიშვიათად ძველი წითელი ქვიშაქვის კონტინენტსაც უწოდებენ. დევონურის განმავლობაში ის წარმოადგენდა მთაგორიან ხმელეთს, რომლის მთისწინა და მთათაშუა დეპრესიებში დიდი სიმძლავრის კონტინენტური წყებები ილექტებოდა. ერთ-ერთი ასეთი დეპრესია იყო ე.წ. კალედონური როფი, რომელიც ახლად წარმოშობილ გრამპიანის (სკანდინავიის) და სამხრეთ შოტლანდიის ნაოჭა სისტემებს შორის მდებარეობდა. ეს როფი ამოვსებულია დაუნაოჭებელი (!) დევონური და კარბონული ნალექებით, რომელთა საერთო სიმძლავრე 7000-8000 მეტრია. ამ მძლავრი წყების ქვედა ნაწილი, სიმძლავრით დაახლოებით 3000-4000 მეტრი, ქვედა დევონურზე მოდის. საყურადღებოა, რომ დაუნაოჭებელი, თითქმის ჰორიზონტული განლაგების ქვედა დევონური უთანხმოდ არის განლაგებული ინტენსიურად დანაოჭებულ და მეტამორფიზებულ ორდოვიციულ-სილურულზე ან კიდევ უფრო ძველ წყებებზე (სურ. 21.4).



სურ. 21.4. შოტლანდიის დევონურის სქემატური ჭრილი:

- 1 – ქვედაკარბონული კირქვები; 2-3-4 – დევონური „ძველი წითელი ქვიშაქვა“;  
5 – დანაოჭებული სილურული

(Владимирская и др., 1985)

ის ძირითადად აგებულია უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებისა და კონგლომერატების დასტებით, რომლებთანაც მუავე ან ფუძე შედგენილობის მძლავრი ლავური განფენები მორიგეობენ. ქანები ირიბი შრეებრივობითა და მონითალო-მოყავისფრო შეფერილობით ხასიათდებიან, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ძველი წითელი

ქვიშაქვის წარმოშობა **არიდული** – მშრალი და ცხელი ჰავის პირობებში მიმდინარეობდა. ამასვე ადასტურებს ქვიშაქვებში არსებული ნამარხი ორგანიზმები, რომლებიც ზღვისაგან იზოლირებულ აუზებში – ტბებში ბინადრობდნენ. ესენია – *Estheria* ფეხსახსრიანებიდან, გიგანტური კიბო-მორიელები (*Gigantomorphae*), უყბონი (*Ag-natha*), ჯავშნიანი და მაჯაფარფლიანი თევზები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორმაგად მსუნთქავი თევზები (თანამედროვე *Neoceratodus*-ის ტიპის), რომელთა არსებობა ხმელეთზე განვითარებულ არიდულ კლიმატზე მიუთითებს.

ქვედადევონური ასაკის ძველ წითელ ქვიშაქვას გარკვეული უთანხმოებით სტრატიგრაფიულად (ასაკობრივად) ზევით აგრძელებს 600-800 მეტრის სიმძლავრის შუა- და ზედადევონური ძველი წითელი ქვიშაქვის წყება.

**ძველი წითელი ქვიშაქვის** საერთო სიმძლავრე 4000-5000, ზოგჯერ კი 8000 მეტრსაც აღწევს. ასეთი დიდი სიმძლავრის ტერიგენული ქანებისათვის საჭირო კლასტური მასალის წყარო კალედონური ოროგენეზისის შედეგად წარმოშობილი ახალგაზრდა ნაოჭა სტრუქტურებია, რომელთა ნგრევის შედეგად წარმოშობილი მასალა მდინარეებსა და დროებით ღვარებს შემოჰქონდათ მთისწინა და მთათაშუა დეპრესიებში.

ძველი წითელი ქვიშაქვის ტიპის ფაციესია გავრცელებული აგრეთვე სამხრეთ უელსსა და სამხრეთ-დასავლეთ ირლანდიაში.

ცოტა განსხვავებული ბუნებისაა **ჩრდილო ამერიკის** კონტინენტის დევონური. ქვედადევონური აქაც რეგრესიული ფაციესით (ძველი წითელი ქვიშაქვა – ?) არის წარმოდგენილი. შუადევონურიდან ზედადევონურის ჩათვლით აქ ზღვიური, ეპიკონტინენტური ნალექებია განვითარებული. ნათლად ჩანს, რომ ადრედევონური რეგრესია შუადევონურმა ტრანსგრესიამ შეცვალა – ზღვა თანდათან ფარავდა კონტინენტს. გვიანდევონურში ტრანსგრესიამ მაქსიმუმს მიაღწია. თბილი ჰავის პირობებში მარჩებოდა ეპიკონტინენტური აუზში კარბონატები გროვდებოდა, განსაკუთრებით კონტინენტის დასავლეთ ნაწილში, სადაც რიფული ნაგებობებიც (მასივები) კი შეიქმნა.

ჩრდილო ამერიკის მსგავსი სურათი გვაქვს აღმოსავლეთ ევროპის კრატონზე, კერძოდ – **რუსეთის ბაქანზე** (პლატფორმაზე). აქ ქვედადევონური ან საერთოდ არ არის (ბალტიისპირეთი), ან ტიპური კონტინენტური წყებებით არის წარმოდგენილი (ლვოვის მულდა) – უხეშმარცვლოვანი ჭრელი ქვიშაქვები თევზების (*Pteraspis, Cephalaspis*) ჩოჩჩებით. სიმძლავრე დაახლოებით 330 მეტრია. რაც შეეხება შუა- და ზედადევონურს, უმტეს შემთხვევაში ისინი ასეული მეტრის სისქის ზღვიური წარმოშობის ქვიშაქვების, თიხების, მერგელების, კირქვების წყებებით არის წარმოდგენილი. ქანებში, განსაკუთრებით კირქვებში, მრავლადაა ზღვიური ნამარხი ფაუნა – ბრიოზოები, მარჯნები, კანეკლიანები, ბრაქიოპოდები, ორსაგდულიანები, გასრტოპოდები და სხვა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ **აღმოსავლეთისაკენ (ურალისაკენ)** ქანების კარბონატულობა და სიმძლავრეები საგრძნობლად მატულობს.

## რუსეთის პლატფორმის ჭრილი

კარბონული – C

|                                |                                                                                                                                       |             |
|--------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|
|                                |                                                                                                                                       | 360 მლნ. წ. |
| D <sub>2</sub> -D <sub>3</sub> | ქვიშაქვები, თიხები, მერგელები<br>კირქვები (შიგ: მარჯნები, ექინოდერმატები,<br>ბრიოზობი, ბრაქიოპოდები, ორსაგდულიანები,<br>გასტროპოდები) | 700 მ       |
| D <sub>1</sub>                 | უხეშმარცვლოვანი ჭრელი ქვიშაქვები (ნამარხი<br>თევზებით Pteraspis, Cephalaspis)                                                         | 330 მ       |
|                                |                                                                                                                                       | 410 მლნ. წ. |
|                                | სილურული – S                                                                                                                          |             |

ზემოთ აღნერილთან შედარებით სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს ჩრდილოატლანტური კონტინენტის სამხრეთით არსებულ ამჟამინდელ ცენტრალურ და სამხრეთ ევროპის ტერიტორიებზე. ეს ტერიტორიები დევონურ პერიოდში (ის-ევე, როგორც დევონურზე უფრო ადრეულ სილურულ, ორდოვიციულ და კამბრიულ პერიოდებშიც) ჩვენთვის კარგად ცნობილ ხმელთამუაზღვიურ მოძრავ სარტყელს მიეკუთვნებოდა. მათში ნალექვადა გროვების სამი ზოლი გამოიყოფოდა (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) – 1. არდენების, 2. ბრეტან-ბოპემის და 3. სამხრეთ ევროპის. ამ ზოლთაგან ყველაზე ჩრდილოეთით იყო არდენების ზოლი, რომელიც სამხრეთიდან საზღვრავდა ჩრდილოატლანტურ კონტინენტს.

**არდენების ზოლი** დღევანდელი არდენების გარდა მოიცავდა კუნძულ დედი ბრიტანეთის განაპირა სამხრეთ ნაწილს – კორნუელსის ნახევარკუნძულს, რაინის ფიქლებიან მასივს, მადნიან მთებს, ჰარცსა და სუდეტებს. არდენების სამხრეთით იყო **ბრეტან-ბოპემის ზოლი**, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: არმორიკული მასივი, საფრანგეთის ცენტრალური პლატო, ვოგეზები, შვარცვალდი და ბოპემის მასივი. ბრეტან-ბოპემის ზოლის სამხრეთით განლაგებული იყო ხმელთამუაზღვიური(ალპურ-ჰიმალაური) მოძრავი სარტყლის მესამე, დამაგვირგვინებელი **სამხრეთ ევროპის ზოლი**, რომელიც დღევანდელი პირენეებიდან ალპების კარპატების და სხვათა გავლით კავკასიამდე აღწევდა (ე.წ. ხმელთამუაზღვიური ნაოჭა სარტყლის დასავლეთი სეგმენტი).

ხსენებული სამი ზოლიდან ნაოჭა სარტყლისათვის დამახასიათებელი თვისებების განსაკუთრებულობით [დიდი სიმძლავრეები, ინტენსიური დანაოჭება, ძლიერი მეტამორფიზმი, მაგმური ქანების (როგორც ინტრუზიულის, ისე ეფუზიურის) შემცველობა] სამხრეთ ევროპის ზოლი გამოირჩევა. ამ ზოლში დევონური ნალექები ესპანეთიდან კავკასიამდეა ცნობილი. ეს ნალექები ყველგან თანხმობით აგრძელებს სილურულს და თანხმობითვე იფარება კარბონულით. ფაციესი მრავალფეროვანია, მაგრამ ჭარბობს ფიქლები, ქვიშაქვები, ვულკანოკლასტოლითები. გაშლილი ზღვის ნალექებში ხშირია გონიატიტები. ნალექების სიმძლავრეები 3-4 ათას მეტრზე მეტია.

საინტერესოდ გვერდენება აგრეთვე დევონური ნალექების ჭრილი არდენების ზოლში.

### არდენების ჭრილი

ქვედაკარბონული – C<sub>1</sub>

360 მლნ.წ.

|                |          |                                                                                                                                    |
|----------------|----------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| D <sub>3</sub> | ფამენური | ლაგუნურ – კონტინენტური თიხები და ქვიშაქვები. ფიქლები                                                                               |
| D <sub>2</sub> | ფრანული  | კირქვების და ფიქლების მორიგეობა;                                                                                                   |
|                | ჟივეტური | ფიქლები კირქვების შუაშრეებით; კირქვები (ე.წ. ჟივეს კირქვები მარჯნების, ბივალვიების, ბრაქიოპოდების და გასტროპოდების მდიდარი ფაუნით) |
|                | ეიფელური | ნითელი ქვიშაქვები, ფიქლები                                                                                                         |
|                | ემსის    | მუქი ფერის ფიქლები, ქვიშაქვები (ბრაქიოპოდებით)                                                                                     |
| D <sub>1</sub> | ზიგენური | ფერადი ფიქლები, ქვიშაქვები                                                                                                         |
|                | ჟედინური | კონგლომერატები, ქვიშაქვები                                                                                                         |

კვაზულისაშიძლაველ 10000 გ

დანაოჭებული E-O-S

410 მლნ.წ.

წყებები ძლიერ დანაოჭებულია, მეტამორფიზებული; გაკვეთილია ინტრუზიული მაგმური სხეულებით.

ამ ჭრილში დევონური უთანხმოდ დევს დანაოჭებულ კამბრიულ-სილურულ წყებებზე. ეს უთანხმო განლაგება გამოწვეულია დევონურის წინა პერიოდებში ამ ადგილზე კორდილიერების გაჩენით, რომელთა დენუდირებულ ზედაპირზე დაინიო დევონური ნალექდაგროვება. მთელი დევონურის განმავლობაში ამ ზოლში, ფაქტობრივად, უწყვეტი სედიმენტაცია მიღიოდა. ამიტომაც დაგროვდა მძლავრი, 10 კმ-მდე სისქის წყებები. წყებებში საკმაოდ ხშირად ნითელი ფერის მასალაც ერევა, რაც არდენების ჩრდილოეთით მდებარე ძველი ატლანტური კონტინენტის გადარეცხვაზე მიუთითებს – იგრძნობა ზღვიური და კონტინენტური ფაციესების ჭიდილი! თუმცა ეს ძირითადად ადრედევონურსა და ეიფელურს ეხება მხოლოდ. შემდგომში აუზი ისე გაღრმავდა, რომ ჩრდილოატლანტური კონტინენტის კვალი სრულიად გაქრა.

**ციმბირის კრატონზე დევონური ნალექების გავრცელება დიდი არ არის.** ადრედევონურში ის თითქმის მთლიანად ხმელეთს წარმოადგენდა. შუა- და გვიან-დევონურში ნალექდაგროვება უმეტესად მშრალი და ცხელი ჰავის პირობებში მიმდინარეობდა ხმელეთზე, ანირმული მარილიანობის ლაგუნებსა და მარჩხი (თხელი) ზღვის უბეებში. ამას მოწმობს წითელი ფერის ქანების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი, აგრეთვე ქვამარილის, თაბაშირისა და ანჭიდრიტის არსებობა ქანებში.

დევონურის განმავლობაში გონდვანისის უდიდესი ნაწილი აზევებული იყო. ზღვიური გარემო მხოლოდ სუპერკონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო (ანდების ზოლი; დასავლეთ აკსტრალია – ?).


**ოროგენეზისი (მთათანარმობობა)** და **პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.** როგორც ალვნიშნეთ, კალედონური ოროგენეზისის შედეგად ორი ძველი კონტინენტი, ლავრენცია და ფენისკანდია, ერთან კონტინენტად – ევროამერიკად იქცა. **ადრედევონურში** ევროამერიკა ეკვატორზე იყო განლაგენული (თითქმის თანაბრად ჩრდილო და სამხრეთ განედებზე). დარჩენილი კონტინენტებიდან ციმბირი ჩრდილო ზომიერ სარტყელში იყო, ჩინეთი ასევე ჩრდილო განედის ზომიერ და ტროპიკულ სარტყელებში. რაც შეეხება გონდვანისს, ის, ფაქტობრივად, მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროში განთავსდა – მის ტროპიკულ, ზომიერ და პოლარულ სარტყელებში.

შუა- და გვიანდევონურ ეპოქებში **ევროამერიკის** კონტინენტი კვლავ ეკვატორის ორივე მხარეზე იყო განთავსებული. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩრდილო განედის ზომიერ სარტყელში იყო **ციმბირის** კონტინენტი. ეს ორი კონტინენტი ერთ-მანეთისაგან პალეოაზიური ოკეანით იყო გაყოფილი.

**სუპერკონტინენტი გონდვანისი** კვლავ ინარჩუნებდა თავის მონოლითურობას და აზევებით ტენდენციებს.

გონდვანისი და ჩრდილოეთის ჯგუფი კონტინენტებისა ერთმანეთისაგან **ტე-თისით** იყო გაყოფილი. ტეთისის სამხრეთი პერიფერია პასიურ კიდეს, ხოლო ჩრდილო – აქტიურ კიდეს წარმოადგენდა (მიკროკონტინენტებით, კუნძულთა რკალებითა და განაპირო ზღვებით). პალეოტეთისის მაქსიმალური სიგანე აღინიშნებოდა დასავლეთ ნაწილში ჩრდილო ამერიკასა და სამხრეთ ამერიკა-აფრიკას შორის, ხოლო მინიმალური – დასავლეთ ევროპასა და აფრიკას შორის.

გვიანდევონურში ევროამერიკისა და ციმბირის კონტინენტებმა ერთმანეთთან დაახლოება დაინტეს, რამაც პალეოაზიური ოკეანის შევიწროება გამოიწვია. ამის საპირისპირო პალეოტეთისის აზიური ნაწილი ფართოვდებოდა. თუმცა იმავე პალეოტეთისის დასავლეთ სეგმენტში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და აფრიკას შორის, კონტინენტების დაახლოება ხდებოდა. ერთმანეთს უახლოვდებოდნენ დასავლეთ გონდვანისი და ევროამერიკა, თუმცა დევონურის მიწურულისათვის მათ შორის 2500 კმ-ნი მანძილი იყო (სურ. 21.5).



**სურ. 21.5.** კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება დევონურ პერიოდში  
410-360 მლნ. წლის წინ

(Хаин и др., 1997; მცირედი ცვლილებებით)

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დევონურ პერიოდში ოთხივე კონტინენტი განაგრძობდა აქტიურ მოძრაობას. ამგვარი მოძრაობის შედეგად გონდვანის მთლიანად განთავსდა სამხრეთ ნახევარსფეროს სამივე (ტროპიკულ, ზომიერ და პოლარულ) სარტყელში. ევროამერიკა ისევ ეკვატორის ორივე მხარის ტროპიკულ ზოლში იყო მოთავსებული, თუმცა, სილურული პერიოდისაგან განსხვავებით, ჩრდილო ტროპიკული ზოლის გაცილებით დიდი ნაწილი ეკვავა. ჩრდილო ზომიერ სარტყელში განთავსებული ციმბირი ჯიუტად (თუმცა ნაკლები ეფექტურობით) მიიწევდა ჩრდილო – ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით. ჩინეთმა, რომელიც სილურულში თითქმის მთლიანად ჩრდილო ზომიერ სარტყელში მდებარეობდა, დევონურ პერიოდში თავისი დიდი ნაწილით სამხრეთისაკენ – ჩრდილო ტროპიკულ სარტყელში გადმოინაცვლა.

დევონურში აშკარად იკვეთება კონტინენტების მოძრაობის ზოგადი სურათი. კონტინენტები მოძრაობდნენ წრიულად, თანაც საათის ისრის მოძრაობის მიმარ-

თულებით – სამხრეთ – სამხრეთ-დასავლეთ – ჩრდილო-დასავლეთ (გონდვანისი) – ჩრდილოეთ (ევროამერიკა) – ჩრდილო-აღმოსავლეთ (ციმბირი) – სამხრეთი (ჩინეთი) მიმართულებით. ამავე დროს ისიც კარგად ჩანს, რომ სილურულ პერიოდთან შედარებით დევონურში საგრძნობლად მცირდება კონტინენტებსშორისი მანძილი. ეს განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული გონდვანის – ევროამერიკა – ციმბირის კონტინენტებთან მიმართებაში (სურ. 21.5).

ოროგენეზისის მხრივ დევონური მშვიდ პერიოდად ითვლება. შესაბამისად, იმ-დროისათვის დაძირვითი ტენდეციები დომინირებდა, რის გამოც დევონურს შეიძლება თალასოკრატული პერიოდი ვუწოდოთ.

**კლიმატი.** ფაქტობრივად, მთელი დევონური პერიოდის განმავლობაში ყველა მატერიკზე მაღალი ტემპერატურული რეჟიმის სუფევდა. ევროამერიკის ეკვატორულ ნაწილში საშუალოწლიური ტემპერატურა 28-31°C-ს შეადგენდა, ამიერკავკასიაში 23-28°C-ს. გამოირჩეოდნენ არიდული და ჰუმიდური ზონები. არიდულ ზონებში განვითარებული იყო კონტინენტური თაბაშირიანი და კარბონატული ნალექები, ეოლური ნალექები, აგრეთვე დოლომიტები და ევაპორიტები.

### 21.1.6. კარბონული პერიოდი – C

კარბონული პერიოდი ხასიათდება დედამიწაზე ქვანახშირის პირველი დიდი საბადოების ფართო გავრცელებით. პერიოდის სახელწოდებაც სწორედ ქვანახშირთან არის დაკავშირებული.

**საზღვრები.** კარბონული სისტემა გამოიყო 1822 წელს ინგლისელი გეოლოგების, უ. კონიბირისა და უ. ფილიპსის, მიერ. სტრატოგრაფული ჭრილები დასავლეთ ევროპაშია.

კარბონული პერიოდი დაიწყო 360 მილიონი წლის წინ და დასრულდა 300 მილიონი წლის წინ. შესაბამისად, მისი ხანგრძლივობა 60 მილიონ წელს შეადგენს.

**ცოცხალი ბუნება –** კარბონულში მკვეთრად მცირდება როლი იმ ორგანიზმებისა, რომლებიც ადრეპალეოზოურში აღმავლობას განიცდიდნენ. კარბონულის დასაწყისამდე, დევონური პერიოდის მინურულს, გადაშენდნენ ფსილოფიტები – ხმელეთის ფლორის უძველესი ნარმომადგენლები. კარბონულის დასაწყისში გრაპტოლითების უკანასკნელი სახეობები ამონტდა. ამ პერიოდში ნამყვანი პოზიციები დათმეს ტრილობიტებმა და გიგანტურმა კიბონაირებმა. შემცირდა ნაუტილოიდეების რაოდენობა.

ერთ დროს ფლორისა და ფაუნის მაღალგანვითარებულ ჯგუფებს კარბონულ-ში სხვა ჯგუფები ენაცვლება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხემცენარეების სწრაფი ევოლუცია, რაც გახდა საფუძველი ქვანახშირის უმდიდრესი საბადოების ფორმირებისა. ისიც აღსანიშნავია, რომ შუაკარბონულ ეპოქაში ხერხემლიან ცხოველთა ახალი კლასი გაჩნდა **რეპტილიების (ქვენარმავლები)** სახით. მაგრამ ხემცენარეებიცა და ქვენარმავლებიც (დიდი ნაწილი) ხმელეთის ბიოსს მიეკუთვნება.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ხდებოდა სიცოცხლის ევოლუციის თვალსაზრისით ზღვებსა და ოკეანეებში.

ამ პერიოდში დიდ განვითარებას მიაღწიეს ფორამინიფერებმა (ერთუჯრედი-ანებიდან), კლიტიანმა ბრაქიოპოდებმა, გონიატიტებმა, ოთხემიანმა მარჯნებმა, ხავსცხოველებმა, ზღვის შროშნებმა და ზღვის ზღარბებმა. მიუხედავად უფრო ძველი დროის ორგანიზმებთან საკმაო მსგავსებისა, ჩამოთვლილი ჯგუფები წარმოგვიდგნენ ახალი ოჯახებით, გვარებითა და სახეობებით.

ფორამინიფერებიდან უნდა აღვინიშნოთ მსხვილი (დიდტანიანი) ფუზულინიდები (*Fusulina, Triticites*), რომლებიც კარბონულ პერიოდში ქანმაშენ ორგანიზმებს წარმოადგენდნენ და ამავე დროს შეიძინეს დიდი ბიოსტრატიგრაფიული ღირებულებაც.

კლიტიანი ბრაქიოპოდებიდან უნდა დავასახელოთ სპირიფერიდებისა და განსაკუთრებით – პროდუქტიდების წარმომადგენლები (მათ შორის *Gigantoprotus*, რომელიც სიგრძეში 40 სანტიმეტრამდე აღწევდა), რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ კარბონული დროის პალეობიოგეოგრაფიასა და ბიოსტრატიგრაფიაში. ბიოსტრატიგრაფიის თვალსაზრისით დიდი ღირებულება აქვს გონიატიტებსაც. აყვავებას განიცდიდნენ ოთხემიანი მარჯნებიც (*Caninia, Lonsdaleia* და სხვ.), რომლებიც ხეტეტიდებთან, ტაბულატებთან და ხავსცხოველებთან ერთად რიფების შენებაში მონანილეობდნენ. კანეკლიანებიდან დავასახელოთ ზღვის შროშნები და ზღვის ზღარბები. ზღვებში ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი სხვა უხერხემლოებიც (ლრუბლები, ოსტრაკოდები, გასტროპოდები, ბივალვიები, კონოდონტები).

ხმელეთის მცენარეულობის დიდ განვითარებას უნდა დავუკავშიროთ ალბათ მწერების ევოლუციაც, რომლებიც იმ დროისათვის ერთადერთ მფრინავ ორგანიზმებს წარმოადგენდნენ. ზოგმა მათგანმა გიგანტურ ზომებსაც კი მიაღწია (70 სმ. გაშლილი ფრთებით).

კარბონულის დასაწყისისათვის იქტიოფაუნაში მკვეთრად მცირდება ჯავშნიანი თევზების ხვედრითი წილი და წინა პლანზე გამოდიან ხრტილიანი თევზები ზოგენ-ისმაგვართა ჯგუფიდან. ამ დროს არიან აგრეთვე ცნობილი ამფიბიები – სტეგოფეფალები, რომლებიც ნესტიან ტყეებში და ჭაობებში ცხოვრობდნენ.

შუაკარბონულში ჩნდებიან ქვენარმავლები (კოტილოზავრები, რომელთაც რქოვანი ტყავი ჰქონდათ გადაკრული). ამფიბიებისაგან განსხვავებით, რეპტილიებს გამრავლებისათვის არ სჭირდებოდათ წყლიანი გარემო – ისინი დებდნენ კვერცხებს, რომლებსაც კირქვის ნაჭუჭი ჰქონდა. ქვენარმავლებს შორის იყვნენ მტაცებლები, ბალახისმჭამელნი და მწერიჭამიებიც.

კარბონული პერიოდი ახალი ეტაპია მცენარეთა ევოლუციაში. აღმავლობას განიცდიან დევონურში გაჩენილი ჯგუფები:

**ლიკოპოდიუმები** – კარბონული ფლორის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომლის წამყვან ნაწილს ლეპიდოდენდრონები შეადგენდნენ. ზოგი მათგანი სიმაღლეში 40 მეტრს აღწევდა, ხოლო ტანის განვკვეთი – 1-2 მეტრს. ლიკოპოდიუმები უმაღლეს სპოროვან მცენარეებს მიეკუთვნებოდნენ.

უმაღლეს სპორტოვანთა ჯგუფში შედის აგრეთვე გვიმრები, კალამიტები, რომელიც სხვების მსგავსად ამშვენებდნენ კარბონული პერიოდის ტყეებს. ამ პერიოდში გაჩნდნენ პრიმიტიული **შიშველთესლიანები**. ისინი თესლით მრავლდებოდნენ, რაც საშუალებას აძლევდა ზღვის სანაპირო ზონიდან ღრმად „შეჭრილიყვნენ“ ხმელეთზე. მათგან უპირველესად აღვნიშნოთ კორდაიტები. პერიოდის მიწურულს გაჩნდნენ გინკვები. კორდაიტების (გადაშენებული ჯგუფი) ზოგი წარმომადგენელი (გვ. Cordaites) 30 მ. სიმაღლესაც კი აღწევდა. ისინი ლეპიდოდენდრონებსა და სიგილარიებთან ერთად მონაწილეობდნენ ქვანახშირის საბადოთა წარმოქმნაში. ქვანახშირშემქმნელი მცენარეულობის დიდი განვითარება აშკარად მიუთითებს კარბონულ პერიოდში თბილი და ნესტიანი (ჰუმიდური) კლიმატის არსებობაზე.

**კარბონულის დანაწილება.** კარბონულის დანაწილების რამდენიმე სქემა არსებობს – დასავლეთევროპული, რუსული, ამერიკული, საერთაშორისო სტრატიგრაფიული სკალის (რომელიც პრაქტიკულად რუსული სქემის განმეორებაა).

| სისტემა        | სექცია         | სართული                     |                            |               |                                      |
|----------------|----------------|-----------------------------|----------------------------|---------------|--------------------------------------|
|                |                | რუსეთი                      | დასავლეთ ევროპა            | აშშ           | ISC                                  |
| კარბონული<br>C | C <sub>3</sub> | გულური კასიმოვის            | სტეფანური                  | პენსილვანიური | გულური კასიმოვის მოსკოვური ბაშკირული |
|                | C <sub>2</sub> | მოსკოვური ბაშკირული         | ვესტფალური                 |               |                                      |
|                | C <sub>1</sub> | სერპუხოვის ვიზეური ტურნეული | ნამიურული ვიზეური ტურნეული | მისისიპური    | სერპუხოვის ვიზეური ტურნეული          |

**ფაციესები.** კარბონული პერიოდის (ისევე, როგორც პერმულის) ფაციესების ხასიათზე დიდი გავლენა იქნია პერცინულმა ოროგენეზისმა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ამ დროის პალეოგეოგრაფიული სურათი. თუმცა პერიოდის დასაწყისში გვიანდევობონურის მსგავსი სურათი იყო – არსებობას განაგძობდა 4 დიდი კონტინენტი (ჩრდილოატლანტიკური ანუ ევროპერიკა, ციმბირი, ჩინეთი და სუპერკონტინენტი გონდვანისი), რომელთა შორის იყო ურალ-ოხოტისა და ხმელთაშუაზღვიური (ალპურ-ჰიმალაური) მოძრავი სარტყელები. ფაციესთა ხასიათიც ამგვარი პალეოგეოგრაფიული სურათით არის განპირობებული – ერთი მხრივ, ვხვდებით კონტინენტურ (ხმელეთის) ნალექებს, ხოლო მეორე მხრივ, მოძრავი სარტყელის და პლატფორმულ წყებებს.

**ადრეკარბონულში** აშკარად დომინირებდა ზღვიური ნალექდაგროვება, რაც ძლიერმა ტრანსგრესიამ განაპირობა. ზღვებსა და ოკეანეებს ეკავათ როგორც მოძრავი სარტყელის, ისე კონტინენტის ცალკეული ნაწილები. ერთადერთი გამონაკლისი


სუბერკონტინენტი გონდვანისი იყო, რომელიც მთლიანად ხმელეთს წარმოადგენდა (ზღვა მხოლოდ მის პერიფერიულ ზე).

**პლატფორმული ბუნების კარბონული კარგად არის წარმოდგენილი მოსკოვის სინეკლიზაში** (აღმოსავლეთ ევროპის კრატონი). აქ მთელი კარბონულის განმავლობაში დომინირებდა კარბონატული ფაციესი (კირქვები, დოლომიტები, მერგელები), რომელიც დაცულია ფორამინიფერების, ბრაქიოპოდების, მარჯნების, ორსაგდულიანების, გასტროპოდების, კანეკლიანების (ძირითადად ექინოდების), ლრუბლების, დიატომების ნამარხი წარმომადგენლები. იშვიათად გვხვდება გონიატიტებიც. ზღვიური გარემო კონტინენტურით მხოლოდ ორჯერ შეიცვალა – ვიზეურ საუკუნეში (ნახშირიანი წყების წარმოქმნის დრო) და შუა კარბონულის დასაწყისში, რომელიც ბაშკირული სართულის ჭრილიდან ამოვარდნით გამოიხატა.

მოსკოვის სინეკლიზაში ფაუნით დათარიღებულ ფამენურ კირქვებს თანხმობით აგრძელებს 50-100 მ. სიმძლავრის **ტურნეული** სართულის შედარებით თხელშრეებრივი კირქვები, რომელიც მდიდარი ფაუნით (ძირითადად ბრაქიოპოდები) არის დახასიათებული. ტურნეულის გადარეცხილ ზედაპირზე უთანხმოდ (სტრატიგრაფიული უთანხმოება) განლაგებულია **ვიზეური** ასაკის ნახშირიანი წყება, რომელიც წარმოდგენილია ხლართულშრეებრივი ქვიშაქვებითა და თიხებით და მურა ნახშირის ლინზისებური შუაშრეებით. ნახშირიანი წყება რამდენიმე რიტ-მითაა წარმოდგენილი. ფაუნისტური ნაშთები იშვიათია. სამაგიეროდ, ბევრია ნამარხი ფლორა (უმეტესად Lepidodendron). სიმძლავრე 60 მეტრი. ნახშირიანი წყება ხმელეთის ზღვისპირა ზოლში გროვდებოდა.

ნახშირიან წყებას აგრძელებს ასევე **ვიზეური** ასაკის კირქვების წყება (სიმძლავრით 150 მ.), მდიდარი ზღვიური ფაუნით, რომელშიც პროდუქტუსები ჭარბობს (Gigantopproductus giganteus და სხვ.). სტრატიგრაფიულად ზევით **სერპუხოვის** სართულის გიგანტოპროდუქტუსიანი კარბონატული წყება გამოდის, სიმძლავრით 100მ-მდე. უფრო ზევით, სტრატიგრაფიული ხარვეზით (რომელიც **ბაშკირული** სართულის შესატყვისია), ქვიშაქვებით ფუძეში და კირქვებით თავზე, სერპუხოვის სართულს აგრძელებს ფაუნისტურად დათარიღებული **მოსკოვური** სართულის ქანები, სიმძლავრით 150 მეტრი. ამ უკანასკნელის თავზე **ზედაკარბონული** კარბონატული წყებაა, სიმძლავრით 170 მეტრი. ზედაკარბონული ზევიდან გადაფარულია (ფუძის კონგლომერატით) ზედაიურული ნალექებით (სურ. 21.6).

მოსკოვის სინეკლიზაში კარბონულის საერთო სიმძლავრე 600-700 მეტრის ფარგლებშია. წყებები ჰორიზონტალურადაა (!) განლაგებული. არა გვაქვს მაგმური და მეტამორფული ქანები. ნაოჭა დისლოკაციაზე შორეული მინიშნებაც კი არ არის. ტიპური პლატფორმა! მთელი კარბონული, ფაქტობრივად, კარბონატული წყებებით (უმეტესად კირქვები) არის წარმოდგენილი, რომელთა არსებობაც პლატფორმაზე ყოველთვის მაქსიმალური დაძირვის მაჩვენებელია.



სურ. 21.6. მოსკოვის სინეკლიზის კარბონულის ჭრილი  
(Владимирская и др., 1985)

ჩრდილოატლანტური კონტინენტის დასავლურ ნაწილში (დასავლეთ ევროპა, ჩრდილო ამერიკა) კარბონულის დასაწყისში გვიანდევორნურის მსგავსი პირობები შემორჩა. ტურნეული და ვიზეური ძირითადად ზღვიური კარბონატული წყებებით არის ნარმოდგენილი. ადრეკარბონულსა და შუაკარბონულის საზღვარზე ჰერცინული ოროგენეზისის გავლენით, რომელიც ხმელთაშუაზღვიურ და აპალაჩების მოძრავ სარტყლებში გამოვლინდა, ლავრენციაში მკვეთრად შეიცვალა ნალექდაგროვების ხასიათი. ციმბირის პლატფორმაზე, ფაქტობრივად, მთელი კარბონულის განმავლობაში კონტინენტური პირობები იყო გაბატონებული. ზღვიური გარემო იყო მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიებზე, სადაც საკმაოდ მძლავრი (ასეული მეტრები) კარბონატული ნალექდაგროვება მიღიოდა. კონტინენტური ფაციესებიდან კი გაბატონებული იყო ქვიშები, ალევრიტები, თიხები, ტორფნარი, რომლებმაც შემდგომ ქვანახშირის შუაშრეები მოგვცეს. ხმელეთი დაფარული იყო მდიდარი მცენარეული საფარით, რომელშიც კორდაიტები დომინირებდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ციმბირისა და მეზობელი რაიონების კარბონული ფლორა ძალიან თავისებურია, რაც აძნელებს ციმბირის პლატფორმის კარბონული ნალექების შეპირისპირებას დასავლეთ ევროპის და რუსეთის ევროპული ნაწილის სტრატოტიპულ ჭრილებთან.

**გონდვანისის** დიდი ნაწილი მთელი კარბონულის განმავლობაში, ისევე, როგორც დევონულში, აზევებული იყო. დაძირვას მხოლოდ სუპერკონტინენტის პერიფერიული ნაწილები განიცდიდა (ადრეკარბონულში!). ამ დროისათვის ზღვიური გარემო იყო გონდვანისის აფრიკულ ნაწილში, სადაც ტრანსგრესია ოკეანე ტეთი-სიდან წამოვიდა.

**გვიანი კარბონი** გონდვანისზე საყოველთაო გამყინვარებით ხასიათდება. ტილიტები ცნობილია აფრიკაში, მადაგასკარზე, ინდოსტანში, აესტრალიაში, სამხრეთ ამერიკაში, ანტარქტიდაში, სადაც ისინი შედიან კონტინენტური ბუნების **გონდვანის სერიის** (C<sub>3</sub>-K) შემადგენლობაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკასა და მადაგასკარზე ტილიტები (სიმძლავრით 400 მ.) აგებულია სხვადასხვა ხარისხით დამუშავებული, დაუხარისხებული კენჭებითა და 2 მეტრამდე დიამეტრის მქონე ბლოკებით (ლოდებით) წარმოდგენილი პრეკამბრიული ასაკის ქანებით, რომლებიც დაფარულია მყინვარისეული შტრიხებით და შეცემენტებულია ქვიშიან-თიხიანი მასალით. თიხების შუაშრეებში გვხვდება ნამარხები თევზების, მოლუსკების და კრინოიდების სახით, რაც დროის გარკვეულ მონაკვეთში კონტინენტზე ზღვის შემოჭრის უტყვარი საბუთია.

კარბონულში (და შემდგომ დროშიც აღბათ) გონდვანისის ერთიანობაზე კლიმატური პირობების გარდა გვიანპალეოზოური ფლორისა და რეპტილიების კომპლექსებიც მიუთითებენ.

პლატფორმებისაგან მკვეთრად განსხვავებული ბუნებისაა კონტინენტების აქტიურ კიდეებზე განვითარებული კარბონული. ამ ტიპის კარბონული ნალექები გავრცელებულია დასავლეთ და ცენტრალურ ეკროპაში, ჩვენ მიერ ადრე დასახელებული ხმელთაშუაზღვიური (ალპურ-ჰიმალაური) მოძრავი სარტყლის სამივე ზოლში – **არდენების, ბრეგან-ბოჰემიისა და სამხრეთ ევროპის.**

მოძრავ სარტყელთან დაკავშირებული კარბონულის ბუნება განსაკუთრებით კარგად არის გამოკვეთილი დღევანდელ **ურალის ნაოჭა სისტემაში**, რომელიც, როგორც ცნობილია, ურალ-ოხოტის ნაოჭა სარტყელში ერთიანდება. კარბონული პერიოდის განმავლობაში ურალი წარმოადგენდა ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყლის მერიდიონალური მიმართების მქონე ზოლს, რომელშიც კარგად იკვეთებოდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნების მქონე აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონები.

**ურალის დასავლეთ ფერდზე** კარბონულის სრული ჭრილია, რომელიც ამ სისტემის სამივე სექციით არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ სამივე სექცია ძირითადად ორგანოგენული კირქვებითაა დახასიათებული.

კარბონულის ჯამური სიმძლავრე 1300 მეტრამდეა. წყებები არ შეიცავს მაგმურ ქანებს (როგორც ინტრუზიულს, ისე ეფუზიურს). სუსტია დანაოჭება. ასევე სუსტია მეტამორფიზმიც.

დასავლეთ ურალის კარბონული მდიდარი და მრავალფეროვანი ფაუნით არის დახასიათებული, რაც მის სართულებად დანაწილების საშუალებას იძლევა. ამავე მიზეზით ის შეიძლება ზღვიური კარბონულის ეტალონადაც მივიჩნიოთ.

სულ სხვაგვარი სურათია აღმოსავლეთ ურალზე. ქვედა კარბონული აქტიულავრი ვულკანური, ვულკანოგენური, დანალექი და მათთან ერთად მეტამორფული ქანებით არის დახასიათებული. ქანებში ბევრია ტუფები, ტუფიტები, კაუიანი ფიქლები, იაშმები. წყებებში შუაშრეებისა და ლინზების სახით ჩართულია ზღვიური ფაუნის შემცველი კირქვები. წყებათა საერთო სიმძლავრე 3500 მეტრია. **შუაკარბონული** კლასტური (ნამსხვრევი) მასალით ნაგები ქანებია, რომლებშიც შუაშრეების სახით კარბონატული წყებები გამოერევა. აღნიშნება აგრეთვე დიდი სიმძლავრის კონგლომერატებიც. სიმძლავრე 1000 მეტრს შეადგენს.

ურალის აღმოსავლეთ ფერდზე ქვედა- და შუაკარბონული წყებები ძლიერ დანაოჭებულია, ზედაურარბონული კი საერთოდ არ არის!

### ურალის აღმოსავლეთი ფერდის ჭრილი

მეზოზოურ-კაინოზოური

C<sub>2</sub> კლასტური (ნამსხვრევი) დანალექი ქანები  
კონგლომერატების, კირქვებისა და სხვა კარბონატული 1000 გ  
ქანების შუაშრეებით

C<sub>1</sub> ვულკანური, ვულკანოგენური, კლასტური და  
მეტამორფული ქანები (ტუფები, ტუფიტები, კაუიანი  
ფიქლები, იასპისი და სხვ.), შუაშრეებისა და ლინზების 3500 გ  
სახით ჩართული კირქვებით. კირქვებში ბევრია  
ზღვიური ფაუნა

360 მლნ. წ.  
დევონური – D

წყებები ძლიერ დანაოჭებულია.

თუ შევადარებთ ურალის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდების ჭრილებს, დავინახავთ, რომ **ადრეკარბონულში** ურალის დასავლეთ ნაწილში კონტინენტის პასიური კიდის პირობები იყო კარბონატული ნალექდაგროვებით, ხოლო აღმოსავლეთში – კონტინენტის აქტიური კიდის გარემო, რომელშიც დიდი სიმძლავრის ვულკანოგენ-დანალექი ფორმაციების ფორმირება მიმდინარეობა. **შუაკარბონულში** ურალის დასავლეთ ფერდზე მდგომარეობა პრაქტიკულად არ შეცვლილა – კვლავ კონტინენტის პასიური კიდის გარემო კარბონატული ნალექდაგროვებით. სამაგიეროდ, მკვეთრად იცვლება სურათი ურალის აღმოსავლეთ ფერდზე, რაც გამოწვეული იყო ამ ზოლში ჰერცინული ოროგენეზისის განვითარებით. ურალის აღმოსავლეთ ფერდის კარბონულის ჭრილი შუაკარბონული ნალექებით მთავრდება, რომლებზეც კუთხური უთანხმოებით არის განლაგებული მეზოზოურ-კაინოზოური წყებები. ამ ზოლში ზედაურარბონულ-პერმული ნალექების ამოვარდნა ჭრილიდან და შუაკარბონულზე მეზოზოურ-კაინოზოური წყებების განლაგების ხასიათი მიგვანიშნებს იმაზე, რომ შუაკარბონულის ბოლოს ურალის აღმოსავლეთ ნაწილში დასრულდა

ჰერცინული ოროგენეზისი. სამაგიეროდ, გვიანკარბონულში განაგრძობდა არსებობას დასავლეთ ურალის (კონტინენტის პასიური კიდე) ზოლი, რომლის საბოლოო დანაოჭება, როგორც ჩანს, კარბონულ-პერმულის საზღვარზე მოხდა.

ამგვარად, ურალის ნაოჭა სისტემა ჰერცინული ოროგენეზისის ნაყოფია. მისი საბოლოო ფორმირება ურალური ოროფაზისით (C/P) არის განპირობებული.

**ოროგენეზისი (მთათანარმოშობა)** და **პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა**. დევონური და კარბონული ჰერიოდების საზღვარზე განვითარება დაიწყო ჰერცინულმა ოროგენეზისმა. დევონური ჰერიოდის დასასრულს დედამიწაზე ოთხი დიდი კონტინენტი იყო, რომლებიც ერთმანეთისაგან მოძრავი სარტყლებით და მათ თავზე განლაგებული ოკეანური აუზებით იყო გამოყოფილი.

კარბონულ ჰერიოდში კონტინენტთა შორის უდიდესი, გონდვანისი, კარგა ხნის დაბინავებული იყო სამხრეთ ნახევარსფეროში, დიდი ნანილით სამხრეთ პოლუსის მიდამოებში. თუმცა ის ხსენებულ ეპიქაში ჩრდილოეთისაკენ მოძრაობდა და საგრძნობლად მიუახლოვდა კიდეც ევროამერიკას.

**ევროამერიკა** თვითონაც გადაადგილდებოდა ჩრდილოეთისაკენ. ამავე დროს, ბრუნავდა რა საათის ისრის მიმართულებით, უახლოვდებოდა **ციმბირს**.

ევროამერიკის მსგავსად, ციმბირის კონტინენტიც გადაადგილდებოდა ჩრდილოეთისაკენ და სულ უფრო უახლოვდებოდა ჩრდილო პოლუსს. რაც შეეხება ჩინეთის კონტინენტს, ის, პირიქით, სამხრეთისაკენ (სამხრეთ-დასავლეთისაკენ) მიიწვდა და ამგვარად უახლოვდებოდა ევროამერიკასა და ციმბირს.


კონტინენტთა ამგვარმა მიახლოვებამ საგრძნობლად შეამცირა **პალეოაზიური თკეანის** აკვატორია, რომლის სიგანეც (განსაკუთრებით ურალის ზოლში) 2000 კილომეტრამდე შემცირდა. აშკარაა, რომ მომზადდა პირობები ამ ოკეანის ჩასაკეტად.

რაც შეეხება **ტეთისს**, ის თითქმის მთლიანად დაიხურა დასავლეთ ნანილში, რაც გამოიწვია გონდვანისის ევროამერიკისაკენ გადაადგილებამ. სამაგიეროდ, ტეთისის აღმოსავლეთი ნანილი სულ უფრო ფართოვდებოდა აღმოსავლეთისაკენ, სადაც „უერთდებოდა“ კიდეც პალეოპაციფიკას (წყნარ ოკეანეს). ტეთისის სამხრეთი (გონდვანისი) კიდე კვლავ პასიურ კიდედ რჩებოდა, ხოლო ჩრდილო – აქტიურად (ჩრდილო კიდეზე ძალიან რთული სურათი იყო, რაც განაპირობა გარე ზღვების, კუნძულთა რკალებისა და ოკეანური ღრმულების განლაგებამ) (სურ. 21.7).

კარბონულის მიწურულს კონტინენტთა შეჯახება მოხდა: დასავლეთ გონდვანისისა ევროამერიკის კონტინენტის ამერიკულ ნანილთან (ყოფილ ლავრენციასთან), ხოლო ევროამერიკის ჩრდილოევროპული ნანილისა – აღმოსავლეთ ევროპასთან. შეჯახებულ კონტინენტებს შორის მხოლოდ ვიწრო ზოლი იყო მთისწინა როფების სახით, რომლებშიც ფლიშური და მოლასური ნალექების ფორმირება მიმდინარეობდა.

ახლად შექმნილი ჰერცინიდების „ზურგის მხარეზე“ მთათაშუა მოლასური დეპრესიები გაჩნდა (მაგალითად, არდენებსა და ბრეტან-ბოპერის შორის).

**გონდვანისი** ინარჩუნებდა კავშირს ევროამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნანილთან. ფაქტობრივად, ამ კავშირით დაიწყო პანგეა 3-ის ფორმირება.



**სურ. 21.7. კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება გვიანკარბონულ ეპოქაში  
315-300 მლნ. წლის წინ**

(Хаин и др., 1997; მცირედი ცვლილებებით)

სამაგიეროდ, კარბონულის მიწურულს გონდვანისის სამხრეთ (აფრიკულ) და ინდოსტანის ნაწილებში განვითარდა გრაბენული დეპრესიების სისტემები, რომელშიც ილექ्जებოდა გადარეცხილი მყინვარული მასალა. ასე გაჩნდა ბაზალური ფენები კარუს (აფრიკა) და გონდვანის (ინდოსტანი) მყინვარული კომპლექსებისა. მყინვარული ნალექები ცნობილია აგრეთვე არაბეთში, ანტარქტიდაში, სამხრეთ ამერიკაში. ამ ნალექების ფართო გეოგრაფიული გავრცელება დასტურია იმისა, რომ საქმე გვაქვს ზენრულ (მატერიკულ) გამყინვარებასთან.

ჩრდილო ამერიკაში, ავსტრალიაში, ანტარქტიდაში, ჩრდილო აფრიკაში მთელი შეუ და გვიანი კარბონის განმავლობაში აზევებითი ტენდენციები ჭარბობდა.

ოკეანეებთან დაკავშირებით ვიტყვით, რომ ტეთისი, რომელიც დასავლეთ ნაწილში ორი დიდი კონტინენტის (გონდვანისისა და ევროამერიკის დასავლეთი ნაწილის – ლავრენციის) შეერთებით, ფაქტობრივად, მთლიანად დაკეტილი იყო, სულ უფრო და უფრო იხსნებოდა აღმოსავლეთისაკენ.

კარბონულ ჟერიოდში კარგად იყო გამოხატული კლიმატური ზონალობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი სხვაობაა ადრეკარბონულ და შუა- და გვიანკარბონულ ეპოქებს შორის.

**ადრეკარბონულ ეპოქაში** მთელ დედამიწაზე ტროპიკული კლიმატი ბატონობდა. ამის დამადასტურებელი არის კირქვების, ქვანახშირიანი წყებების, ბოქსიტების და სითბოსა და ტენის მოყვარული სხვა ქანების ფართო გავრცელება. ამაზევე მეტყველებს სითბოსმოყვარული ზღვისა და ხმელეთის ბიოსის სიმრავლე. ტროპიკული პირობები იყო პრაქტიკულად ჩრდილო ამერიკის მთელ კონტინენტზე, დასავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპის კრატონზე, ციმბირში, ჩინეთში, აფრიკის დიდ ნაწილში, ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიაში, ტეთისის აღმოსავლეთ ნაწილში.

გარემოს ტემპერატურა ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-30°C-ს შეადგენდა, ამიერკავკასიაში – 20-24°C-ს, ურალზე კი 22-24°C-ს (პალეოტემპერატურები გამოთვლილია ნამარხი ბრაქიოპოდების მიხედვით).

კლიმატი მკვეთრად შეიცვალა შუა- და განსაკუთრებით გვიანკარბონულში. კლიმატის შეცვლის მთავარი მაჩვენებელი იყო ძლიერი აცივება დედამიწაზე, რამაც მაღალ განედებში ზენრული გამყინვარება გამოიწვია. ეკვატორულ სარტყელშიც კი საშუალონლიური ტემპერატურა 3-5°-ით დაეცა, ხოლო დედამიწის საშუალო გლობალური ტემპერატურა გვიანკარბონულში 10-15°-ით ნაკლები იყო ადრე კარბონულთან შედარებით.

აცივების ერთ-ერთი კარგი მაჩვენებელია მარჯნების გავრცელების არეალის მკვეთრი შევიწროება და თავმოყრა ეკვატორის მიმდებარე ვიწრო ზოლში. ძლიერი აცივების საბუთები გვაქვს სამხრეთ ნახევარსფეროში – სამხრეთ ამერიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში, ინდოეთში.

კარბონული პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო ქვანახშირის საბადოების ფორმირება. ქვანახშირი ინტენსიურად გროვდებოდა როგორც პლატფორმებზე, ისე ზღვის სანაპირო ზონებში. საქვეყნოდ ცნობილია დონეცის, ყარაგანდის, ეკიბასტუზის, პოლონეთის, ჩეხეთის, გერმანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის და კიდევ სხვათა უმდიდრესი საბადოები.

კარბონული ასაკის საბადოებზე მოდის ქვანახშირის მსოფლიო მარაგების 30%.

### 21.1.7. პერმული პერიოდი – P

**სახელწოდება** რუსეთის ევროპული ნაწილის უკიდურეს აღმოსავლეთში, ურალისპირა ზოლში მდებარე ქალაქ პერმიდან მოდის. სწორედ აქ აღმოაჩინა ინგლისელმა გეოლოგმა, რ. მერჩისონმა, კარბონულ და ტრიასულ სისტემებს შორის მოქცეული ნალექთა კომპლექსი, რომელსაც პერმული უწოდა. ევროპაში, უპირველესად კი გერმანიაში, პერმულს ადრე დიას უწოდებდნენ იმის გამო, რომ ის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ორი ნაწილისაგან შედგებოდა – ქვედას, ასაკობრივად უფრო ძველს, რომელიც კონტინენტური წყებებით იყო ნარმოდგენილი,

**როტლიგენდე ერქვა,** ხოლო ზედას, უფრო ახალგაზრდასა და ზღვიური ფაციესე-ბით დახასიათებულს – **ცეხშტაინი.**

**საზღვრები.** პერმული პერიოდი დაიწყო დაახლოებით 300 მილიონი წლის წინ და დასრულდა 250 მილიონი წლის წინ. შესაბამისად, ამ პერიოდის ხანგრძლივობა 50 მილიონ წელს მოიცავს.

**ცოცხალი ბჟენება.** პერმული პერიოდი უაღრესად საინტერესო დროა სიცოცხლის ევოლუციის თვალსაზრისით. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ამ პერიოდის დასასრულს მოხდა ერთ-ერთი უდიდესი გადაშენება ორგანულ სამყაროში, რამაც განაპირობა პალეოზოური ბიოსის (პირველ რიგში აქ ცხოველთა სამეფო იგულისხმება) მოსპობა და მისი ჩანაცვლება უფრო ახალი და უფრო განვითარებული მეზოზოური ბიოსით.

პერმულ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა მცენარეთა სამეფო. თუ პერიოდის პირველ ნახევარში, ადრეპერმულ ეპოქაში, ფლორა თითქმის არ განსხვავდებოდა გვიანკარბონული ფლორისაგან, გვიანპერმულში ამ თვალსაზრისით გაკეთდა მნიშვნელოვანი ევოლუციური ნახტომი. შედეგად კი ადრე- და გვიანპერმულის საზღვარზე **მეზოფიტის** დასაწყისი მივიღეთ. მეზოფიტი გულისხმობს მეზოზოური ერისათვის დამახასიათებელი ფლორის – შიშველთესლიანი მცენარეების (პირველ რიგში, წინვოვანთა, ციკადინებისა და გინკგოების) ბატონობას. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „პერმული მეზოფიტი“ მოიცავდა მხოლოდ ტროპიკული კლიმატის ზონას. სხვა კლიმატურ ზონებში მეზოფიტი ცოტა მოგვიანებით დადგა – მაგალითად, ციმბირში – პერმულისა და ტრიასულის საზღვარზე, ხოლო გონდვანისზე კიდევ უფრო გვიან – ადრე- და შუატრიასულის საზღვარზე.

მეზოფიტური ფლორის გაჩენა გვიანპერმულში არიდული კლიმატის გაბატონებამ განაპირობა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ფაუნის განვითარებაშიც. ეს განსაკუთრებით ზღვაში მცხოვრებ ორგანიზმებს ესება. **ზღვიური უხერხემლო ცხოველებიდან** პერმულ პერიოდში მაღალ განვითარებას მიაღწიეს ფორამინიფერებმა (ფუზულინიდები, შვაგერინები), ბრაქიოპოდებმა (არტიკულატების ქვეტიპიდან) და გონიატიტებმა (თავფეხიანი მოლუსკებიდან). გონიატიტებმა, რომლებიც პერმულის მიწურულს გადაშენდნენ, დასაბამი დაუდეს ამონიტების მომდევნო ევოლუციურ ჯგუფს – ცერატიტებს (ამ უკანასკნელთა არსებობის ხანა ტრიასული პერიოდია).

დავასახელოთ ზოგი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ზემოთ ხსენებული ჯგუფებიდან: *Pseudofusulina*, *Schwagerina*, *Pseudoschwagerina*, *Neoschwagerina* (ფორამინიფერები); *Productus*, *Spirifer*, *Richthofenia* (ბრაქიოპოდები); *Medlicottia*, *Paragastrioceras* (გონიატიტები).

განაგრძობდნენ განვითარებას და რიფების შენებაში მონაწილეობას კირქვიანი წყალმცენარეები, ხავსცხოველები და მარჯნები.

განვითარების ტემპს მოუმატეს ორსაგდულიანმა და მუცელფეხიანმა მოლუსკებმა, რომლებიც, ნორმულმარილიანი აუზების გარდა, როგორც ირკვევა, განმარილიანებულ და მტკნარ აუზებშიც ბინადრობდნენ.

უხერხემლოთა ყველა სხვა იმ ტიპთა წარმომადგენლებიც იყვნენ, რომლებიც ზემოთ არ დაგვისახელებია.

**ხერხემლიანი ცხოველებიდან** პერმულის დასაწყისში კვლავ **თევზების** მრავალფეროვნება იგრძნობა. თუმცა პერიოდის მიწურულისათვის საგრძნობლად მცირდება ზვიგენისებრთა, მაჯაფარფლიანების, ორგვარად მსუნთქავი თევზების რაოდენობა. **ამფიბიებიდან** სტეგოცეფალებმა განვითარების მაქსიმუმს მიაღწიეს. თანდათან ვითარდებიან **ქვეწარმავლები**. უპირველესად ეს ეხება ბალახისამჭამელ კოტილოზავრებს. რეპტილიების ერთი ნაწილი წყალში ცხოვრებას იწყებს.

პერმული პერიოდის დასასრულს დედამიწაზე მოხდა ორგანული სამყაროს წარმომადგენელთა ერთ-ერთი უძლიერესი გადაშენება (ამონ्पვეტა). აღიგავენ პირი-საგან მიწისა ფუზულინიდები, ტეტრაკორალები (ოთხეიმიანი მარჯნები), ტაბულატები, გონიატიტები (ამონიტებიდან), სწორნიჟარიანი (ამართულნიჟარიანი) ნაუ-ტილოიდები, ტრილობიტები; თითქმის მთლიანად გადაშენდნენ ბრაქიოპიდები (მხარფეხიანები), კრინოიდები (ზღვის შროშნები), ექინოიდები (ზღვის ზღარბები); დიდი რაოდენობით ამონ्पვეტები და სხვა ხერხემლიანები.

უნდა ითქვას, რომ ამ გრანდიოზული გადაშენების ნამდვილი მიზეზი დღემდე, ფაქტობრივად, უცნობია.

### პერმულის დანაწილება

| სისტემა      | სექცია                  | სართული                                         |                 |
|--------------|-------------------------|-------------------------------------------------|-----------------|
|              |                         | რუსეთი                                          | დასავლეთ ევროპა |
| პერმული<br>P | ზედა<br>P <sub>2</sub>  | თათრული<br>ყაზანური<br>უფური                    | ცეხშტაინი       |
|              | ქვედა<br>P <sub>1</sub> | კუნგურული<br>ართინსკული<br>საკმარული<br>ასელური | როტლიგენდე      |

პერმული სისტემა ორ სექციად (ქვედა როტლიგენდე, ზედა ცეხშტაინი) და 7 სართულად იყოფა. სართულებიდან პირველი ოთხეული (ასელური, საკმარული, ართინსკული და კუნგურული) ქვედაპერმულ სექციას ანუ როტლიგენდეს მიეკუთვნება, ხოლო დარჩენილი სამი (უფური, ყაზანური, თათრული) – ზედა პერმულს ანუ ცეხშტაინს.

**ფაციესები.** პერმული ფაციესების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პერცინულმა ოროგენეზისმა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საფუძვლიანად შეცვალა იმდროინდელი გეოტექტილნიკური ვითარება და, შესაბამისად, პალეოგეო-გრაფიული გარემო. ამიტომაც არის, რომ პერმული ასაკის ფაციესებში ზღვიური

ეპიკონტინენტური და ორმა ზღვის ნალექების გვერდით ფართოდ არის წარმოდგენილი ლაგუნური და კონტინენტური წყებებიც.

ეპიკონტინენტური (პლატფორმული) პერმულის ტიპად საუკეთესოა ურალის მთათა სისტემის დასავლეთ ფერდობსა და მის უშუალო დასავლურ გაგრძელებაზე, რუსეთის პლატფორმის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებული ნალექები. ეს განსაკუთრებით ქვედაპერმულს ეხება (საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სტრატიგიკულ სკალაში უკლებლივ არის შეტანილი ამ რეგიონში გამოყოფილი ქვედაპერმულის ყველა სართული ასელურიდან კუნგურულის ჩათვლით). ვფიქრობთ, რომ დასახელებული რეგიონის ზედაპერმულიც ძალიან დიდ ყურადღებას იმსახურებს.

### მოსკოვის სინეკლიზა – ვოლგისპირეთის ჭრილი

250 მლნ. წ.

|                |                                                                                                                                                                                                                                              |                              |
|----------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|
|                | წითელი და ჭრელი ქვიშაქვები,<br>ალევროლითები, თიხები – კონტინენტური<br>წყება ფაუნისტური და ფლორისტული<br>ნაშთებით (იშვიათად ზღვიური ნალექების<br>შუაშრებით).<br>{წყებათა სიმძლავრეები დასავლეთიდან<br>აღმოსავლეთისაკენ (ურალისაკენ) იზრდება!} | სიმძლავრე<br>ასეული<br>მეტრი |
| P <sub>2</sub> |                                                                                                                                                                                                                                              |                              |

|                 |                                                                                                                                                        |                                                 |
|-----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|
| P <sub>1k</sub> | მარილის ფორმაცია – ანჰიდრიტი, თაბაშირი,<br>ჰალიტი, დოლომიტები, თიხები.<br>{წყებათა სიმძლავრეები დასავლეთიდან<br>აღმოსავლეთისაკენ (ურალისაკენ) იზრდება} | სიმძლავრე<br>ათეული<br>მეტრებიდან<br>1600 მ-მდე |
|-----------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|

|                          |                                                                                                                                                                           |                                                       |
|--------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| P <sub>1</sub><br>a-s-ar | W→O<br>კირქვები → რიფოგენული კირქვები → თიხები<br>→ ალევრიტები → მსხვილკენფიანი ნალექები.<br>{წყებათა სიმძლავრეები დასავლეთიდან<br>აღმოსავლეთისაკენ (ურალისაკენ) იზრდება} | სიმძლავრე<br>ათეული<br>მეტრებიდან<br>ათასეულ<br>მ-მდე |
|--------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------|

კარბონული C

300 მლნ. წ.

გთავაზობთ პერმულის სტრატოტიპული რეგიონის ზოგად ჭრილს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებულ ყურადღებას ჭრილის ქვედა ნაწილი – ასელურ-საკმარულ-ართინსკული წყებები იმსახურებს, რომლებიც სამი ტიპის ფაციესითაა წარმოდგენილი. ფაციესები თანმიმდევრულად იცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ურალის დასავლეთ კალთისაკენ). სტრატოტიპული რეგიონის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში თხელი ზღვის კარბონატული ნალექებია განვითარებული, რომლებიც აღმოსავლეთით რიფოგენული მასივებით იცვლება.

კიდევ უფრო აღმოსავლეთით, უშუალოდ ურალის ქედის დასავლეთ ფერდობსა და მის წინა ზოლში ტერიგენული ნალექების მძლავრი კომპლექსია, თანაც ფაციესთა კანონზომიერი ცვლით (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) წმინდა და წვრილ-მარცვლოვანი ნალექებიდან უხეშმარცვლოვან (მსხვილკენჭიან) ნალექებამდე. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ მასალის მომცემი წყარო ახა-ლამოზიდული ურალის ნაოჭა სისტემა იყო, რომლის ნგრევის შედეგადაც მასალა ილექტონდა მთისწინა დეპრესიებში მასალის სიმსხოს თანდათანი შემცირებით (უხ-ეშნატეხოვანიდან წმინდამარცვლოვანამდე) ურალიდან დასავლეთი მიმართულე-ბით. ამასვე ადასტურებს დასავლეთი მიმართულებით წყებათა სიმძლავრეების შემ-ცირებაც.

რადგან სიმძლავრეები ვახსენეთ, დავძენთ იმასაც, რომ დასავლეთიდან აღ-მოსავლეთი მიმართულებით ასელურ-საკმარულ-ართინსკული წყებების სისქე ათეული მეტრებიდან ათასეულ მეტრებამდე იზრდება! სიმძლავრეების თვალსაზ-რისით ზუსტად იგივე სურათი გვაქვს კუნგურულ სართულთან მიმართებაშიც, რომლის მაქსიმალური სიმძლავრეები სტრატოტიპული რეგიონის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე 1200-1600 მეტრს შეადგენს (ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კუნგურუ-ლი ასაკის მარილიანი ფორმაციები დედამინის ბევრ რეგიონშია ცნობილი).

რაც შეეხება ზედაპერმულს, სტრატოტიპულ რეგიონში ის წარმოდგენილია კონტინენტური ფაციესით, რომლის სიმძლავრეებიც ასეული მეტრებით იზომება. მსგავსად ქვედაპერმულისა, სიმძლავრეთა მატება აქაც აღმოსავლეთი მიმართულე-ბით (ურალისკენ) ხდება!

პერმულის ჯამური სიმძლავრე ურალისწინა როფში 3000-4000 მეტრამდე აღწევს!

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სტრატოტიპული რეგიონის ვერტიკალურ ჭრილში ასელურ-საკმარულ-ართინსკული ასაკის ზლვიური ნალექები იცვლება კუნგურული ასაკის ლაგუნური მარილიანი ფორმაციით, ხოლო ეს უკანასკნელი – ზედაპერმული (უფურ-ყაზანურ-თათრული) კონტინენტური ფერადი წყებით.

პლატფორმული ბუნების პერმული განვითარებულია გერმანიის ქვაბულში, სადაც გამოიყო ე.ნ. გერმანული პერმული როტლიგენდესა (P<sub>1</sub>) და ცეხშტაინის (P<sub>2</sub>) ფორმაციებით. ასეთივე ბუნებისაა პერმული სისტემა ციმბირის კრატონზე, რომ-ლის პლატფორმულ ნაწილში განვითარებული პერმული წარმოდგენილია ნახში-რიანი და ვულკანოგენური წყებებით. პლატფორმული ტიპისაა ჩინეთის კრატონის პერმულიც.

როტლი სურათია გონდვანისზე, რომლის დიდ ნაწილში, როგორც ჩანს, პერმუ-ლის განმავლობაში უმთავრესად კონტინენტური გარემო იყო, რაც, პირველ რიგში, ზენტრულ გამყინვარებაში გამოიხატა. ფორმირებას განაგრძობდნენ გონდვანის (ინდოსტანის კრატონზე) და კარუს (აფრიკის კრატონზე) მყინვარული ფორმაციე-ბი, რომლებიც უმეტესად ტილიტების სახით შემორჩნენ დედამინისეულ ისტორიას („ტილიტები“ – „განამარხებული“ მორენული ნალექები).

**ოროგენული პერმულის** ერთ-ერთ კლასიკურ რეგიონად აღმოსავლეთ ალ-პების სამხრული განშტოება, ე.წ. **კარნიული ალპები** ითვლება (სამხრეთ ავსტრია; ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიასთან საზღვარზე).

ვიდრე კარნიული ალპების ჭრილს გავეცნობით, გვინდა შეგახსენოთ, რომ ხმელთაშუაზღვიური (ალპურ-ჰიმალაური) მოძრავი სარტყელი პერცინული ოროგენეზისის გავლენით კარბონულ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა არდენებისა და ბრეტან-ბორემისის ზოლების დანაოჭებისა და მათი ჩრდილოატლანტურ კონტინენტზე მიზრდის გამო. შესაბამისად, მოძრავი სარტყელი დარჩა მხოლოდ ბრეტან-ბორემისის ზოლის სამხრეთით. ეს არის ე.წ. **სამხრეთ ევროპის ზოლი**, რომელსაც პერმულსა და შემდეგ პერიოდებში ტეთისის სახელით მოიხსენიებენ („ტეთისი“ – ზღვის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; ოკეანოსის ცოლი). გავიხსენოთ, რომ ეს ის ზოლია, სადაც დღეს პირენები, ალპები, კარპატები, დინარიდები, ბალკანები, კავკასიონი, მცირე კავკასიონი (ანტიკავკასიონი) და სხვა ნაოჭა სისტემებია მოქმედული.

### კარნიული ალპების ჭრილი

#### ტრიასული – T

250 მლნ. წ.

|                |                                                                                                                                                                                                                                                                                   |       |
|----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------|
|                | ქვიშაქვები (ე.წ. <b>ვერუკანოს ქვიშაქვები</b> ), თიხიანი<br>ფიქლები, კირქვები (ე.წ. <b>ბელეროფონიანი კირქვები</b> ),<br>დოლომიტები, ბიტუმიზირებული კირქვები.<br>წყებებში საკმაოდ მდიდარი ორგანიკაა დაცული<br>(გონიატიტები, ბრაქიოპოდები, გასტროპოდები,<br>კირქვიანი წყალმცენარეები | 600გ  |
| P <sub>2</sub> | ფერადი (წითელი) ქვიშაქვები და ფიქლები, ეფუზივების<br>განფენები, არის ინტრუზიული მაგმური ქანებიც;                                                                                                                                                                                  | 330გ  |
| P <sub>1</sub> | კირქვები, რიფოგენული კირქვები მდიდარი ფაუნით<br>[გონიატიტები, ფორამინიფერები (Schwagerina),<br>ბრაქიოპოდები და სხვ.]                                                                                                                                                              | 600 გ |

300 მლნ. წ.

#### კარბონული – C

კარნიული ალპების პერმული ინტენსიურად არის დანაოჭებული, სუსტად მეტამორფული, შეიცავს მაგმურ (როგორც ინტრუზიულ, ისე ეფუზიურ) სხეულებს. სიმძლავრეები საკმაოდ დიდია. აშკარად ოროგენულ ზოლთან გვაქვს საქმე.

პერმულის მეტად საინტერესო ჭრილია სიცილიაში, რომელიც კარნიული ალპების სამხრეთით, 1000კმ-ის დაშორებით არის. პერმული სიცილიაში საკმაოდ დიდი სიმძლავრისაა, ინტენსიურადაა დანაოჭებული; აგებულია კირქვებით, რომელიც

ბლომად არის გონიატიტები და, რაც მთავარია, თბილი ზღვების მოყვარული ბრაქ-იოპოდები – Richthofenia და სხვ.

ტიპური ოროგენული ბუნებისაა ჯულფის (ნახიჭევანის ავტ. რესპუბლიკა, ირანის საზღვართან ახლოს) მიდამოების ჰერმული, რომელიც ინტენსიურად დანაოჭებული, მძლავრი კირქვებით არის წარმოდგენილი. ქანებში დაცულია ბრაქიოპოდების, გონიატიტების, ორსაგდულიანი მოლუსების მდიდარი ფაუნა. პერმული კირქვები ამ რეგიონში სრული თანხმობით ანაცვლებენ ქვეშმდებარე კარბონულ წყებებს და თვით ასევე თანხმურად გადადიან ტრიასულ ნალექებში.

ოროგენული ტიპის პერმული ცნობილია აგრეთვე დღევანდელი წყნაროკეანური ნაოჭა სარტყლის აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილო (კორდილიერები) და სამხრულ (ანდები) ზოლებში.


**კლიმატი.** კლიმატური ზონალობის თვალსაზრისით ადრე- და გვიანპერმული ეპოქები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ორივე შემთხვევაში კარგად გამოიყოფოდა ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ტრიაპიკული, ზომიერი და პოლარული სარტყლები.

ზღვიურ ფაუნისტურ კომპლექსებზე დაყრდნობით შეიძლება გამოიყოს სამი პალეობიოგეოგრაფიული ოლქი – ბორეალური, ანტიბორეალური და მათ შორის მდებარე – სმელთაშუაზღვიური. **ბორეალურ ოლქები** ეკავა ჩრდილო განედის ზომიერი და პოლარული სარტყლები, **სმელთაშუაზღვიურის** – ტეთისის ზოლი, ხოლო **ანტიბორეალური ოლქი** განთავსებული იყო სამხრეთ ზომიერ და პოლარულ სარტყლებში. ტეთისის ზღვებში ფორამინიფერების, ბრაქიოპოდების, მარჯნებისა და მარჯნებისმაგვარი ორსაგდულიანების (რუდისტების) მდიდარი ფაუნა ცხოვრობდა.

**ჰერცინული ოროგენეზისი.** დედამინის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი უძლიერესი, ჰერცინული ოროგენეზისი მიმდინარეობდა მთელი კარბონულ-პერმული დროის განმავლობაში.

ჰერცინული ოროგენეზისი ან სხვაგვარად ჰერცინული ოროგენეტული ციკლი (სახელწოდება მოდის გერმანიაში არსებული ჰერცის მთების ძველი სახელწოდები-დან – ჰერცინია) ექვსი ოროფაზისისაგან შედგება. მათგან უძველესი – **ბრეტონული**, დევონური და კარბონული ჰერიოდების მიჯნაზე მოხდა (D/C). მისი გავლენით ჩაიკეთა ინუის ოროგენი. უძლიერესი იყო **სუდეტური** ფაზისი, რომელიც ადრე და შუა კარბონის საზღვარზე განვითარდა ( $C_1/C_2$ ). ის მთელი სიძლიერით გამოვლინდა სმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყლის ჩრდილო ზოლში, აპალაჩების ოროგენსა და ურალ-ობოტის მოძრავ სარტყელში. მათგან ბოლო ორი გეოტექტონიკური ერთეულის მთლიანი, ხოლო პირველის ნაწილობრივი კონსოლიდაცია გამოიწვია. შუა-და გვიანი კარბონულის საზღვარზე ( $C_2/C_3$ ) **ასტურიული** ფაზისი განვითარდა (ასტურიის ნაოჭა სისტემის ფორმირებით). პერმულის დასაწყისში **ურალური** ფაზისია ( $C_3/P_1$ ), ხოლო ადრე და გვიანი პერმულის საზღვარზე ( $P_1/P_2$ ) – **ზაალური**. რაც შეეხება **პფალცურ** ოროფაზისს, პერმულ-ტრიასულის საზღვარზე (P/T) განვითარებით, ის აგვირგვინებს ჰერცინულ ოროგენეტულ ციკლს.

ჰერცინულმა ოროგენეზისმა მნიშვნელოვნად (შეიძლება ითქვას, მკვეთრად) შეცვალა დედამიწაზე არსებული ჰალეოგეოგრაფიული სურათი. ადრეპერმულ ეპოქაში გონდვანისისა და ევროამერიკის კონტინენტების გაერთიანებით დედამიწაზე ოთხის ნაცვლად სამი კონტინენტი დარჩა (ევროამერიკა+გონდვანისი, ციმბირი, ჩინეთი). მათგან ევროამერიკა – გონდვანისს სამხრეთ ნახევარსფეროს სამივე სარტყელი, ხოლო ჩრდილო ნახევარსფეროს ტროპიკული და ზომიერი სარტყელები ეკავა.




**სურ. 21.8.** კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება ადრეპერმულ ეპოქაში  
დაახლ. 290-270 მლნ. წლის წინ  
(Хаин и др., 1997; მცირედი ცვლილებებით)

ძალიან ახლოს იყო მასთან ჩრდილოზომიერ და ჩრდილოპოლარულ სარტყელები განთავსებული ციმბირის კონტინენტი. ჩრდილო-ტროპიკული სარტყელის აღმოსავლეთი მხრიდან მათ უახლოვდებოდა ჩინეთის კონტინენტი (სურ. 21.8.). ჰერცინული ოროგენეზისის დასასრულს, ჰერმული და ტრიასული ჰერიოდების მიჯნაზე, დაახლოებით 250 მილიონი წლის წინ, ჩამოყალიბდა რამდენიმე დიდი ნაოჭა სტრუქტურა, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, მანამდე არსებული ოთხი დიდი კონტინენტი

ერთ მთლიან სუპერკონტინენტად, პანგეა 3-ად აქცია. შერცინული ოროგენეზისას შედეგად მთლიანად დანაოჭდა (და, შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკურ კონტინენტს მიეზარდა) არდენებისა და ბრეტან-ბოკების ზოლები, აგრეთვე აპალაჩები. ასევე ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყლის სრული დანაოჭების გამო, რომლის შედეგადაც მთლიანად „ამოიგსო“ პალეოაზიური ოკეანე, მოხდა მანამდე ცალკე არსებული ციმბირისა და ჩინეთის კონტინენტების მიერთება ჩრდილოატლანტიკურ კონტინენტთან. ჩრდილოატლანტიკური კონტინენტის ლავრენციულ ნაწილს სამხრეთიდან შეუერთდა გონდვანის დასავლეთი ნაწილი, რამაც ტეთისის დასავლეთი ზოლის დახურვა გამოიწვია.

ამგვარად, პერმულის დასასრულისათვის გაჩნდა მერიდიონალურად ორივე პოლუსზე გადაჭიმული ერთიანი კონტინენტი, რომელსაც გარს უვლიდა პალეოპაციფიკა (წყნარი ოკეანე). დარჩენილი იყო აგრეთვე ოკეანე ტეთისის აღმოსავლეთი ნაწილი (აღმოსავლეთ ტეთისი), რომელიც ლავრაზის აღმოსავლეთ ნაწილსა და გონდვანის შორის იყო მოქცეული (მაქსიმალური სიგანით 4000 კმ-მდე). ოკეანე ტეთისი აღმოსავლეთით პალეოპაციფიკას უკავშირდებოდა (სურ. 21.9).



სურ. 21.9. კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება  
პალეოზოური და მეზოზოური ერების საზღვარზე

250 მლნ. წლის წინ

### პანგეა-3

(Хаин и др., 1997 მცირედი ცვლილებებით)

### 21.1.8. დედამიწის გეოლოგიური განვითარების პალეოზოური ისტორია

დაბოლოს, თვალი გადავავლოთ პალეოზოურ ერაში სიცოცხლის ევოლუციურ განვითარებას და ამასთანავე იმასაც, თუ როგორ იცვლებოდა პალეოგეოგრაფიული სურათი იმ დროს მიმდინარე გეოლოგიური პროცესების მეშვეობით.

როგორც უკვე ითქვა, პალეოზოური ერის დასაწყისი (კამბრიული პერიოდი) ხა-სიათდება იმით, რომ განვითარება დაიწყო ნიუარის მატარებელმა ორგანიზმებმა (აქ იგულისხმება როგორც მცენარეები, ისე უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველები). **მცენარეებიდან** კამბრიული, ორდოვიციული და სილურული პერიოდების განმავ-ლობაში (540-410 მილიონი წლის წინ) არსებობდა მხოლოდ უმდაბლესი მცენარეები ანუ წყალმცენარეები. პრაქტიკულად სილურული და დევონური პერიოდების საზ-ლვარზე (დაახლოებით 415-410 მილიონი წლის წინ) გაჩნდა უმაღლესი მცენარეების პირველი წარმომადგენლები სპოროვანი ფსილოფიტების სახით. ფსილოფიტები არსებობდნენ მთელი დევონური პერიოდის განმავლობაში, რომლის მიწურულსაც გადაშენდნენ. როგორც ცნობილია, ფსილოფიტებმა მცენარეებიდან პირველმა და-ტოვეს ზღვიური გარემო და გადაინაცვლეს ხმელეთის ზღვისპირა ზოლში, რითაც საფუძველი დაუდეს უმაღლეს მცენარეთა ხმელეთზე დასახლებას. დევონურის და-საწყისში განვითარებას იწყებენ უმაღლეს სპოროვანთა ცნობილი წარმომადგენ-ლები – **გვიმრანაირები**, ხოლო კარბონულ პერიოდში ჩნდებიან **შიშველთესლიანე-ბი**. პალეოზოური ერა დასრულდა უმაღლესი მცენარეების მესამე ჯგუფის – ფა-რულთესლიანების გარეშე, რომლებიც სიცოცხლის ევოლუციის პროცესში ჩაებმე-ბიან უფრო გვიან (მეზოზოური ერის თითქმის დასასრულს).

პალეოზოური უაღრესად საინტერესო ერაა **უხერხემლო ცხოველების** განვი-თარების თვალსაზრისით. ამ ერის დასაწყისში (კამბრიული პერიოდი) უკვე გვაქვს ყველა თანამედროვე ტიპის წარმომადგენელი. უფრო მეტიც, მათ დაემატა კიდევ ერთი ტიპი *Archaeocyatha* (არქეოციათები), რომელიც გაჩნდა კამბრიულის დასაწყის-ში, ევოლუციას განიცდიდა მთელი კამბრიულის განმავლობაში და გადაშენდა ამავე პერიოდის დასასრულს. პალეოზოური ერის განმავლობაში აღმავლობას განიც-დიდნენ **მხარფებიანები** (ტიპი *Brachiopoda*), **მოლუსკები** (ტიპი *Mollusca*), **მარჯნები** (ოთხემიანი მარჯნები და ტაბულატომორფები. ტიპი *Coelenterata*, კლასი *Anthozoa*), **ტრილობიტები** (ტიპი *Arthropoda*), **გრაპტოლითები** (ტიპი *Hemichordata*) და სხვა.

ერთობ საინტერესო სურათი გვაქვს ხერხემლიან ცხოველთა ევოლუციაში. მათი პირველი წარმომადგენლები ე.წ. **უყბო თევზები**, იგივე **უყბონი** (კლასი *Ag-natha*) ორდოვიციულში გაჩნდნენ. სილურულ პერიოდში უყბო თევზებიდან **ნამდ-ვილი თევზები** (კლასი *Pisces*) წარმოიშვა, ხოლო სილურულის მომდევნო დევონურ პერიოდში თევზების მემკვიდრე **ამფიბიები** (კლასი *Amphibia*) მოევლინა ორგანულ სამყაროს. კარბონულ პერიოდში ამფიბიებიდან **ქვენარმავლები** (კლასი *Reptilia*) განვითარდნენ. პალეოზოური ერა დასრულდა ხერხემლიანი ცხოველების ორი უმ-ნიშვნელოვანებისა – ფრინველებისა და ძუძუმწოვრების გარეშე. ისინი ცოტა მოგვიანებით, მეზოზოურ ერაში, მოევლინებიან ცხოველთა სამეფოს. ამგვარად,

სახეზე გვაქვს პალეოზოურ ერაში ხერხემლიან ცხოველთა განვითარების ევოლუციური რიგი: ორდოვიციულში – უყბონი → სილურულში – თევზები → დევონურში – ამფიბიები → კარბონულში – ქვეწარმავლები (რეპტილიები).

დასასარულ უნდა ითქვას, რომ სიცოცხლის ევოლუციასთან დაკავშირებით პალეოზოური შეიძლება ჩაითვალოს მცენარეებთან დაკავშირებით უმაღლეს **სპორიანთა ერად**, უხერხემლო ცხოველებთან მიმართებაში – თანმიმდევრულად **არქეოციათების**, **გრაპტოლითების**, **გონიატიტების**, **ბრაქიოპოდების ერად**. რაც შეეხება ხერხემლიან ცხოველებს, აქ წინა პლანზე თევზები უნდა წამოვწიოთ.

**ოროგენეზისის** (მთათა წარმოშობა) თვალსაზრისით პალეოზოური შეიძლება ერთობ შემოქმედ ერად ჩაითვალოს. ხსენებული ერის განმავლობაში, როგორც ზევით უკვე იყო აღნიშნული, ორ ძალიან მნიშვნელოვან ოროგენეზისს ჰქონდა ადგილი – **კალედონურსა და ჰერცინულს**. საერთოდ ოროგენეზისი ცალკეული ფაზისებისაგან შედგება. ოროგენეტული ფაზისის დროს დანაოჭება მიმდინარეობს, ხოლო ფაზისებს შორის პერიოდში ამ თვალსაზრისით სიმშვიდეა („არდანაოჭება“). სწორედ ამ თვისების გამო (დანაოჭება-არდანაოჭება) ოროგენეზისს მეორე სახელითაც მოიხსენიებენ ხოლმე – **ოროგენეტული ციკლი**.

**კალედონური ოროგენეზისი** (იგივე **კალედონური ოროგენეტული ციკლი**) მიმდინარეობდა მთელი სილურული პერიოდის განმავლობაში – დაინყო ორდოვიციულისა და სილურულის საზღვარზე (440 მილიონი წლის წინ) და დასრულდა სილურულის მიწურულს, ანუ სილურულისა და დევონურის საზღვარზე (410 მილიონი წლის წინ). კალედონური ოროგენეზისი სამი ოროფაზისისაგან შედგება: **ტაკუნიური (O/S), არდენული (S<sub>1</sub>/S<sub>2</sub>) და ირიული (S/D)**. კალედონური ოროგენეზისის შედეგად წარმოშობილ ნაოჭა სისტემებს კალედონიდებს უწოდებენ.

**ჰერცინული ოროგენეზისი (ჰერცინული ოროგენეტული ციკლი)** მოიცავს პალეოზოურ ერის ორ დამაგვირგვინებელ ჰერიოდს – კარბონულსა და ჰერმულს. ეს ოროგენეზისი დაინყო დევონურისა და კარბონულის საზღვარზე (360 მილიონი წლის წინ) და დასრულდა ჰერმული და ტრიასული ჰერიოდების (ანუ პალეოზოურ და მეზოზოურ ერათა) საზღვარზე (დაახლოებით 250 მილიონი წლის წინ). შესაბამისად, ჰერცინული ოროგენეზისი მიმდინარეობდა 110 მილიონი წლის განმავლობაში.

ჰერცინული ოროგენეზისი 6 ოროფაზისისაგან შედგება: **ბრეტონული (D/C), სუდეტური (C<sub>1</sub>/C<sub>2</sub>), ასტურიული (C<sub>2</sub>/C<sub>3</sub>), ურალური (C<sub>3</sub>/P<sub>1</sub>), ზაალური (P<sub>1</sub>/P<sub>2</sub>) და პფალცური (P/T, ან რაც იგივე შინაარსისაა – პალეოზოურ/მეზოზოურ PZ/MZ)**.

### პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა

პალეოზოურ ერაში შესანიშნავად იკვეთება **პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა**, რომელსაც ზოგადად ასეთი სახე აქვს: ერის დასაწყისში (**კამბრიული ჰერიოდი**) დედამინაზე იყო ხუთი კონტინენტი (ჩრდილო ამერიკა ანუ ლავრენცია), აღმოსავლეთ ევროპა (ფენოსკანდია), ციმბირი, ჩინეთი (იგივე ჩინეთ-კორეა) და სუპერკონტინენტი გონდვანის (გონდვანა). ამ კონტინენტებს ერთმანეთისა-

გან გამოყოფდა სამი მოძრავი სარტყელი, მათზე განთავსებული ოკეანეებითურთ: ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელი (ოკეანე იაფეტით); ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყელი (პალეოზიური ოკეანით) და ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელი (ოკეანე პალეოტეიტისით ან უბრალოდ ტეთისით). პალეოპაციფიკა (წყნარი ოკეანე) გარს უვლიდა ყველა კონტინენტს. **ჩრდილო ამერიკის კონტინენტი (ლავრენცია)** გადაჭიმული იყო ეკვატორის ორივე მხარეს და მთლიანად მოიცავდა სამხრეთ ტროპიკულ სარტყელს და ჩრდილო ტროპიკულის ნაწილს. **აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტი (ფენოსკანდია)** განთავსებული იყო სამხრეთ ნახევარს-ფეროს ტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში. **ჩინეთი (ჩინეთ-კორეა)** თანაბრად იყო განანილებული ჩრდილო ტროპიკულსა და ზომიერ სარტყლებს შორის. **ციმბირის კონტინენტის უდიდესი ნაწილი** სამხრეთ ტროპიკებში იყო განთავსებული. მისი მხოლოდ მცირე ნაწილი მოიცავდა ჩრდილო ტროპიკულ სარტყელს (პრაქტიკულად ჩრდილო ეკვატორულ ზოლს). სუპერკონტინენტი **გონდვანა** თითქმის მერიდიონალურად იყო გადაჭიმული ჩრდილო ტროპიკული სარტყლიდან სამხრეთ ტროპიკული და ზომიერი სარტყლების გავლით პოლარულ სარტყლამდე. თუმცა ჯერ კიდევ არ იყო მისული სამხრეთ პოლუსამდე.

ხუთივე კონტინენტს გარს უვლიდა **პალეოპაციფიკა (წყნარი ოკეანე)** (სურ. 21.1).

**ორდოვიციულ პერიოდში** კვლავ ხუთი კონტინენტი გვაქვს, მაგრამ კამბრიულ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვანი ადგილგადანაცვლებით. აშკარაა, რომ ამ პერიოდში **გონდვანისი** მოძრაობდა სამხრეთ – სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით. მართალია, ის კვლავ კამბრიულის დროინდელ სარტყლებში იყო მოქცეული (ჩრდილო ტროპიკული, სამხრეთ ტროპიკულ – ზომიერ-პოლარული), მაგრამ უკვე სამხრეთ პოლუსზეც იყო განთავსებული. გონდვანისის დასავლეთით მდებარე **აღმოსავლეთ ევროპის (ფენოსკანია)** კონტინენტმა ორდოვიციულში გადაინაცვლა დასავლეთი (სუსტად – ჩრდილო-დასავლეთი) მიმართულებით და პრაქტიკულად დაიკავა **ციმბირის** ადგილი. ამ უკანასკნელმა თავისი ადგილსაყოფელიდან „გააძევა“ **ჩინეთის** კონტინენტი, რომელმაც ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით გადაინაცვლა და ფაქტობრივად ჩრდილო ზომიერ სარტყელში „დასახლდა“. აშკარად იგრძნობა ამ ოთხი კონტინენტის წრიული მოძრაობა საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით (**გონდვანისი** – სამხრეთ – სამხრეთ-დასავლეთით, **აღმოსავლეთ ევროპა** – დასავლეთ – სუსტად ჩრდილო-დასავლეთით, **ციმბირი** – ჩრდილო-ეთით, **ჩინეთი** – ჩრდილო-აღმოსავლეთით). ზემოთ ხსენებული ოთხი კონტინენტის ამგვარ წრიულ მოძრაობას უერთდება **ჩრდილო ამერიკის კონტინენტი (ლავრენცია)**, რომელსაც კვლავ უკავია ჩრდილო და სამხრეთი განედების ტროპიკული სარტყელი. კარგად იკვეთება კონტინენტებს შორისი მოძრავი სარტყლების განლაგება – ლავრენციასა და ფენოსკანდიას შორის განთავსებულია **ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელი** (მასზე მდებარე ოკეანე იაფეტით); აღმოსავლეთ ევროპის, ციმბირისა და ჩინეთის კონტინენტებს შორის ურალ-ოხოტის მოძრავი სარტყელია (**პალეოაზიური ოკეანით**); გონდვანისი „უპირისპირდება“ ოთხივე ზემოთ

ხსენებულ კონტინენტს ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელით (ამ უკანასკნელზე მდებარე ოკეანე ტეთისით). წყნარი ოკეანე (პალეოპაციფიკა) კვლავ გარს ეკვრის ხუთივე კონტინენტს (სურ. 21.2).

**სილურულში** განვითარებულმა კალედონურმა ოროგენეზისმა მანამდე ხუთი კონტინენტისაგან შემდგარი დედამიწა ათხოვნტინენტიანად აქცია – ჩრდილო ამერიკის (ლავრენცია) და აღმოსავლეთ ევროპის (ფენოსკანდია) კონტინენტების შეერთებით მივიღეთ ევროამერიკის კონტინენტი. ამ კონტინენტების გაერთიანება მოხდა ჩრდილოატლანტურ მოძრავ სარტყელში ზემოთ ხსენებული ორი კონტინენტის ურთიერთშეჯახების შედეგად. ამ შეჯახებამ ძლიერი დანაოჭება გამოიწვია, ხოლო შედეგად ჩრდილოატლანტური მოძრავი სარტყელის ნაცვლად ჩრდილოატლანტური ნაოჭა სარტყელი მივიღეთ (ნაოჭა სარტყელი არის ნაოჭა სისტემების ანუ მთათა სისტემების ერთობლიობა. კონკრეტულ შემთხვევაში – სკანდინავიისა და შოტლანდიის ნაოჭა (მთათა სისტემების ერთიანობა).

როგორც ვიცით, მოძრავ სარტყელზე ზევიდან ყოველთვის ოკეანეა განთავსებული. ამიტომ სავსებით ბუნებრივად უღერს ლამაზი გამოთქმა – „**ოკეანე მთების აკვანიაო**“.

სილურულ პერიოდში არსებულ სამი კონტინენტთშორისი მოძრავი სარტყელი-დან სილურულის მიწურულისათვის მხოლოდ ორი დარჩა – **ურალ-ოხოტის**, მასზე განთავსებული პალეოაზიური-ოკეანით და ხმელთაშუაზღვიური (თავზე ოკეანე ტეთისით).

ოთხივე კონტინენტზე გარედან იყო შემორტყმული პალეოპაციფიკა (წყნარი ოკეანე).

ოთხივე კონტინენტი მოძრაობდა წრიულად, საათის ისრის მიმართულებით – **გონდვანისი** (რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებში იყო, მოიცავდა ჩრდილო ტროპიკულ და სამხრეთ ტროპიკულ, ზომიერ და პოლარულ სარტყელებს) გადაადგილდებოდა სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით; **ევროამერიკა** (ჩრდილო და სამხრეთ ტროპიკულ სარტყელებში მდებარე) – ნელი ტემპით მოძრაობდა ჩრდილო მიმართულებით; ჩრდილოზომიერ და მცირე ნაწილით ჩრდილო – პოლარულ სარტყელში განთავსებული ციმბირი – ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ციმბირისგან აღმოსავლეთით, ჩრდილო ზომიერში მდებარე **ჩინეთის** კონტინენტი – სამხრეთისაკენ (სურ. 21.3).

**დევონურ პერიოდში** ოთხივე კონტინენტს სილურულის მსგავსი პოზიციები ეკავა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ **გონდვანისი** პრაქტიკულად მთლიანად მოქცეული იყო ეკვატორის სამხრეთით არსებულ სამივე სარტყელში და მოძრაობდა ჩრდილო მიმართულებით. ეკვატორის ორივე მხარის ტროპიკულ სარტყელში არსებული ევროამერიკა კვლავ ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა, ხოლო ციმბირი ჯიუტად მინევდა ჩრდილო პოლუსისაკენ (თუმცა უმთავრესად ზომიერ სარტყელში განთავსებული, საკმაოდ მცირე ნაწილით იყო გადასული პოლარულ სარტყელში). რაც შეეხება **ჩინეთს**, ის შესამჩნევად იყო სამხრეთით გადმონაცვლებული ჩრდილო-ზომიერიდან ჩრდილო-ტროპიკულ სარტყელში.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აშკარად მცირდებოდა მანძილი კონტინენტებს შორის (სურ. 21.5).

**კარბონულ პერიოდში გონდვანისი** მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროს მაღალ განედებში (ზომიერი და პოლარული სარტყელები, მცირე „ქიმით“ ტროპიკულ სარტყელებში) „დასახლდა.“ ეკვატორის ორივე მხარეს მყოფმა ევროამერიკამ მნიშვნელოვნად წაინია ჩრდილოეთისაკენ და მცირე ნანილით ჩრდილო ზომიერ სარტყელშიც კი შეაღნია. **ციმბირი „სრული სვლით“** მიიწევდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და უახლოვდებოდა ჩრდილო პოლუსს. **ჩინეთი** სამხრეთისკენ (მცირედ სამხრეთ-დასავლეთით) მოძრაობით თითქმის მთლიანად განთავსდა ჩრდილო ტროპიკულ სარტყელში. კონტინენტები სულ უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. გონდვანისი თავისი „ტროპიკული ქიმით“ პრაქტიკულად შეუერთდა ევროამერიკას. გონდვანისის ამგვარმა ქმედებამ ხელი შეუწყო ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყლის ორად გაყოფას და ამ უკანასკნელის დასავლეთ ნანილში ოროგენეტული პროცესების განვითარებას. ყველაფერ ამას შედეგად მოჰყვა ტეთისის დასავლეთ ნანილში არდენებისა და ბრეტან-ბოჰემიის ზოლების ლიკვიდაცია და მათ ადგილზე ნაოჭა სტრუქტურების განვითარება. ზომებში შემცირება დაეტყო პალეოაზიურ ოკანესაც. სამაგიეროდ, სულ უფრო ფართოვდებოდა (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) აღმოსავლეთ ტეთისი, რომელიც მაქსიმალურ სიგანეს პალეოპაციფიკის (წყნარი ოკეანის) სიახლოვეს აღწევდა (სურ. 21.7).

როგორც ვიცით, პერიონული ოროგენეზისი პერმულ პერიოდთან ერთად დასრულდა ერთიანი კონტინენტის – პანგეა 3-ის ფორმირებით. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს პერმული დროის პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.

**პერმულში** ოთხის ნაცვლად მხოლოდ სამი კონტინენტი გვაქვს. მათგან ერთი სუპერკონტინენტ გონდვანისისა და ევროამერიკის შეერთების შედეგად მივიღეთ. დარჩენილი ორი კონტინენტიდან ერთი ციმბირია, მეორე კი – ჩინეთი. **გონდვანის-ევროამერიკის კონტინენტი** სამხრეთის მაღალი განედებიდან (პოლარული და ზომიერი სარტყლები) გადაჭიმული იყო სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტროპიკულ და ჩრდილო განედის ზომიერ სარტყლებში. **ციმბირმა** აისრულა თავისი ოცნება და თითქმის მთლიანად განთავსდა ჩრდილო პოლარულ სარტყელში. **ჩინეთი** სამხრეთ-დასავლური მოძრაობით უახლოვდებოდა გონდვანა-ევროამერიკის კონტინენტის ევროამერიკულ ნანილს (სურ. 21.8).

კონტინენტების ამგვარი მოძრაობით კიდევ უფრო შემცირდა პალეოაზიური ოკეანის ფართობი. ამის საპირისპიროდ სულ უფრო ფართოვდებოდა აღმოსავლეთ ტეთისის აღმოსავლეთი (წყნარი ოკეანის შემსვედრი) ნანილი, რომელმაც გვიან-პერმულში 3000-4000 კილომეტრს მიაღწია სიგანეში.

250 მილიონი წლის წინ, პერმული და ტრიასული პერიოდების (ან რაც იგივეა, პალეოზოური და მეზოზოური ერების) საზღვარზე, იმ დროს არსებული სამივე კონტინენტი გაერთიანდა, შედეგად კი ერთიანი კონტინენტი – პანგეა 3 მივიღეთ (სურ. 21.9).

რაც შეეხება **კლიმატს**, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი პალეოზოური დროის განმავლობაში დომინირებდა **თბილი ტროპიკული კლიმატი**. საშუალონ-ლიური ტემპერატურა 20-30°-ის ფარგლებში მერყეობდა. ზოგჯერ უფრო მაღალიც იყო (მაგალითისათვის – თითქმის მთელი დევონური პერიოდის განმავლობაში ევ-როამერიკის ეკვატორულ ნაწილში საშუალონლიური ტემპერატურა 28-31°-ს შეადგენდა).

თბილი ტროპიკული კლიმატის ინდიკატორები ორგანული სამყაროდან იყვნენ: პირველ რიგში მარჯნები (უფრო ზუსტად, მარჯნების კოლონიური ფორმები), არქეოციათები, ფორმამინიფერები (ერთუჯრედიანების წარმომადგენლები), ხავს-ცხოველები, ბრაქიოპოდები და სხვა. ქანებიდან: ორგანოგენული და ოოლითური კირქვები, ბიოგერმული მასივები, ქვანახშირი, ევაპორიტები, თაბაშირიანი წყებები, ეოლური ნალექები და ბევრი სხვა.

ყურადღებას იმსახურებს **მყინვარული ნალექები**, რომლებიც გვიანორდოვიცულ-სილურულ და შუა- და გვიანკარბონულში იყო. გვიანორდოვიცულ-სილურულში, როგორც ჩანს, იყო ძლიერი გამყინვარება, რომელიც მოიცავდა სამხრეთ ამერიკისა (აღმოსავლეთ ბრაზილია, ჩრდილო არგენტინა, ბოლივია) და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის (საპარა) ტერიტორიებს. გვიანკარბონული გამყინვარება უფრო მასშტაბური იყო და ძირითადად ისევ გონდვანის სუპერკონტინენტში შემავალ რეგიონებში ვრცელდებოდა (სამხრეთ ამერიკა, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ინდოსტანი). ძველი გამყინვარების დამადასტურებელი ფაქტები შემორჩენილია მყინვარული ნალექების (ტილიტები, ფლუვიოგლაციალური ქვიშები), დამარხული მყინვარული ხეობების (ტროგების) და სხვათა სახით. ძლიერი აცივების საუკეთესო ინდიკატორია მარჯნების გავრცელების არეალის მკვეთრი შევიწროება და ამ ორგანიზმთა თავმოყრა ეკვატორული სარტყელის ვიწრო ზოლში.

### 21.1.9. პალეოზოურის ნიალისეული

პალეოზოური მდიდარია როგორც მადნეული, ისე არამადნეული ნიალისეულით.

**ნავთობის** საბადოები უკვე კამბრიულიდანვე ცნობილი (ბალტიისპირეთი, რუსეთი). უდიდესი საბადოებია ალჟირში, რომელთა ასაკი კამბრიულ-ორდოვიცულია. ორდოვიცულში დიდი საბადოებია ცნობილი აშშ-ში. ამავე ქვეყნებშია სილურული ასაკის საბადოებიც. ფართოდ გავრცელებულია ნავთობის დევონური (კანადა, აშშ, რუსეთი, ბრაზილია, ალჟირი), კარბონული (რუსეთი) და პერმული (აშშ, რუსეთი) ასაკის საბადოები.

პერმული ასაკის **გაზის** უმდლავრესი საბადოებია ცნობილი პოლანდიასა და აშშ-ში, აგრეთვე ირანში, უკრაინასა და რუსეთში.

**ქვანახშირის** პირველი საბადოები უკვე დევონურში გვხვდება (რუსეთი, ნორვეგია). კარბონულში „შავი ოქროს“ საერთო მარაგების 30%-ია ცნობილი – უკრაინა, პოლონეთი, რუსეთი, ჩეხეთი, გერმანია, ბელგია, საფრანგეთი,

ინგლისი, ესპანეთი, აშშ. პერმულია ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საბადოები.

**საწვავი ფიქლები** ცნობილია ესტონეთის ორდოვიციულსა და რუსეთის დევონურში.

**ფოსფატები** კამბრიულ (ყაზახეთი, ჩინეთი, ვიეტნამი) და ორდოვიციულ (შვედეთი, ინგლისი, რუსეთი) ნალექებს უკავშირდება.

**ქვამარილი** გვხვდება რუსეთისა და პაკისტანის კამბრიულში, აშშ-ის სილურულში. განსაკუთრებით მძლავრი საბადოა ცნობილი უკრაინაში (დონბასი; დევონური).

**კალიუმის მარილები** – დევონური (ბელარუსი), პერმული (გერმანია, აშშ, რუსეთი).

**ბოქსიტები** – კამბრიული (რუსეთი), დევონური (რუსეთი), კარბონული (აშშ, ჩინეთი, რუსეთი).

**რკინა** – კამბრიული (რუსეთი), დევონური (აშშ, ესპანეთი, რუსეთი, თურქეთი, ყაზახეთი), კარბონული (რუსეთი).

**სპილენძი** – კამბრიული (ნორვეგია, ყაზახეთი), ორდოვიციული (ნორვეგია), დევონური (რუსეთი), პერმული (გერმანია).

**ტყვია-თუთა** – კამბრიულ-ორდოვიციული (რუსეთი), დევონური (ყაზახეთი), კარბონული (აშშ, ყაზახეთი, რუსეთი).

**ოქრო** – ორდოვიციულ-სილურული (ყაზახეთი), სილურული და კარბონული (რუსეთი).

**ალმასი** – დევონური (რუსეთი).

**ურანი** – ორდოვიციული (შვედეთი), პერმული (გერმანია, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

**ვოლფრამი** – კამბრიული (რუსეთი).

**კობალტი** – კამბრიულ-ორდოვიციული (ნორვეგია).

## 21.2. მეზოზოური ერა

მეზოზოური ერა (შუა სიცოცხლის ხანა) დაიწყო 250 მლნ. წლის წინ და დასრულდა 65 მლნ. წლის წინ. ამდენად, მისი ხანგრძლივობა 185 მლნ. წელს შეადგენს. ის სამი პერიოდისაგან შედგება: ტრიასული, იურული და ცარცული.

### 21.2.1. ტრიასული პერიოდი – T

ტრიასული პერიოდით იწყება მეზოზოური ერა. ტრიასული სისტემა გამოყოფილ იქნა გერმანიაში, სადაც ის წარმოდგენილია სამი კომპლექსით – **ბუნტანდშტაინი, მუშელკალკი და კეიპერი**. სახელწოდებაც აქედან მიეცა. აღნიშნული პე-

რიოდი დაიწყო 250 მლნ. წინ და დასრულდა 205 მლნ. წინ, ე.ი. მისი ხანგრძლივობა 45 მლნ. წელია.

**ცოცხალი ბუნება.** შეიძლება ითქვას, რომ ბიოსის განვითარებაში ტრიასული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარდატების პერიოდია. აქ დასრულდა ბიოსის განვითარების პალეოზოური ეტაპი და დაიწყო მეზოზოური ეტაპი, თანაც ამ უკანასკნელის აშვარა დომინირებით. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ტრიასულში ვეგდებით პალეოზოურისათვის ერთობ დამახასიათებელ ფორმებს, ისეთებს, როგორიცაა: ამართული ნაუტილური დები (თავფეხიანი მოლუსკებიდან); სპირიფერიდები (ბრაქიოპოდებიდან); სტეგოცეფალები (ამფიბიებიდან); კალამიტები, გვიმრები და შვიტები (უმაღლესი მცენარეებიდან). ტრიასულში ფართოდ იყო გავრცელებული ქვენარმავლების ცნობილი წარმომადგენელი *Lystrosaurus*.

**მცენარეებიდან** ტრიასულში განვითარებას აგრძელებენ (თანაც უფრო მაღალი ტემპით) **შიშველთესლიანები**, რომლებიც, ფაქტობრივად, მთელი მეზოზოური ერის განმავლობაში ბატონობდნენ – გინკგოები, ციკადინები, ბენეტიტისნაირნი, ნინვოვანები (ფიჭვისებრნი, კვიპაროსისებრნი).

**უხერხემლო ცხოველებიდან**, პირველ რიგში, ცერატიტები უნდა დავასახელოთ. როგორც ვიცით, ცერატიტები თავფეხიანი მოლუსკების – ამონიტების ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენენ. ცერატიტები პერმულ-ტრიასულის საზღვარზე გაჩნდნენ, თუმცა მათი აყვავება-განვითარებისა და შემდგომ გადაშენების ხანად ტრიასული პერიოდი ითვლება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მარჯნების კლასში – პალეოზოურის მინულს გადაშენებულმა ტეტრაკორალებმა გზა დაულიცეს **ჰექსაკორალებს**, რომლებმაც ადრეტრიასულიდან დაიწყეს არსებობა. ტრიასულიდან იწყება აღმასვლა ორსაგდულიანი და **მუცელფეხიანი მოლუსკებისა**, რომლებიც მართალია, პალეოზოურის დასაწყისში გაჩნდნენ, მაგრამ მათ შესამჩნევ ევოლუციას სწორედ ტრიასულში დაედო საფუძველი.

ტრიასულში იყვნენ უხერხემლო ცხოველთა სხვა ტიპების წარმომადგენლები, თუმცა მათი ევოლუციის ტემპი იმ დროისათვის საკმაოდ დაბალი იყო. დავასახელოთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ჯგუფები: ნაუტილოიდები, ორთოცერატიდები, ბელემნიტები (თავფეხიანი მოლუსკებიდან), ზღვის შროშნები და ზღვის ზღაპრები (კანეკლიანებიდან), ფეხსახსრიანებისა და ფორამინიფერების (ერთუჯრედიანები) ზოგი წარმომადგენელი.

**ხერხემლიანი ცხოველებიდან** საკმაოდ მრავლადაა **თევზები** – ძვლიანი თევზები, მაჯაფარფლიანები (Crossopterygii), ხრტილიანები.

როგორც ზევით აღინიშნა, **ამფიბიები** წარმოდგენილია სტეგოცეფალებით.

ტრიასულში გრძელდება **ქვენარმავლების ევოლუცია**. ჩნდება ახალი ჯგუფები – იქთიოზავრები ( $T_1$ -ში), პლეზიოზავრები ( $T_2$ -ში), ნიანგები ( $T_3$ -ში). გვიანტრიასულში ჩნდებიან **დინოზავრები**. ასევე  $T_3$ -ში იწყებენ არსებობას **ძუძუმწოვრები** (რომელთა ნამარხები ცნობილია ინგლისში, შვეიცარიაში, ჩინეთსა და სამხრეთ აფრიკაში).

ტრიასული პერიოდის მიწურულს გადაშენდნენ ცერატიტები, აგრეთვე ბრიოზობისა და ბრაქიოპოდების მნიშვნელოვანი ნაწილი (უხერხემლოებიდან) და ამფიბიები და ქვენარმავლები (ხერხემლიანებიდან); მცენარეებიდან კი ლეპიდოდენ-დრონები, კორდაიტები და გლოსოპტერისები.

### ტრიასულის დანაწილება

| სისტემა       | სექცია                  | სართული        |                               |
|---------------|-------------------------|----------------|-------------------------------|
|               |                         | გერმანია       | აღმოსავლეთ ალპები და აზია     |
| ტრიასული<br>T | ზედა<br>T <sub>3</sub>  | კეიპერი        | რეტული<br>ნორიული<br>კარნიული |
|               | შუა<br>T <sub>2</sub>   | მუშელკალკი     | ლადინური<br>ანიზური           |
|               | ქვედა<br>T <sub>1</sub> | ბუნგზანდშტაინი | ოლენიოკური<br>ინდური          |

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტრიასული სისტემა გამოყოფილ იქნა გერმანიაში, სადაც სამ სექციად არის დაყოფილი: ბუნგზანდშტაინი (T<sub>1</sub>), მუშელკალკი (T<sub>2</sub>) და კეიპერი (T<sub>3</sub>). მოგვიანებით, ხმელთაშუაზღვიურ ნაოჭა სარტყელში, კერძოდ აღმოსავლეთ ალპებში დადგინდა ოროგენული ტიპის (მოძრავი სარტყელის ბუნების) ტრიასი (აღმოსავლეთ ალპებად მიჩნეულია ალპური ნაოჭა სისტემის ზოლი მდ.რაინის სათავეებიდან აღმოსავლეთით. მასში შედის შვეიცარიის ალპების დიდი ნაწილი, ავსტრიისა და იტალიის ალპებთან ერთად). ოროგენული ტიპის ტრიასული, როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილშიც კარგად ჩანს, სართულებად არის დანაწილებული – სულ გამოყოფილია 7 სართული, ორ-ორი ქვედა- და შუატრიასულში და სამი – ზედატრიასულში. დავძენთ იმასაც, რომ ტრიასულის ყველა სართული კარგად გამოიყოფა მდიდარი ფაუნის შემცველობის გამო.

**ტრიასულის ფაციესები.** ტრიასულის ფაციესების ფორმირება დაკავშირებულია ჰერცინული ოროგენეზისის შემდგომ განვითარებულ გეოლოგიურ პროცესებთან. პირველ რიგში აქ რიფტოგენეზი იგულისხმება, რომლის შედეგადაც ახლად ჩამოყალიბებულ ნაოჭა სტრუქტურებში ალაგ რიფტული დეპრესიები განვითარდა. ამგვარ დეპრესიებს მიეკუთვნება, მაგალითად, პარიზის აუზი, ლონდონის აუზი, გერმანული აუზი და სხვა. ამ აუზებში ტრიასულ პერიოდში და შემდგომაც ზღვიური და კონტინენტური პირობების მონაცვლეობა იყო, რამაც აუზის ამგებ ქანებშიც პოვა ასახვა.

ამგვარი ტიპის ტრიასული ყველაზე კარგად გერმანიაშია განვითარებული, რის გამოც მას **გერმანული ტიპის ტრიასის სახელით** მოიხსენიებენ. ტრიასის სტრატოტიპული ჭრილიც აქედან მოდის.

## გერმანული ტრიასულის ჭრილი

I – იურული

205 მლნ. წ.

|                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |             |
|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|
| <b>T<sub>3</sub></b><br><b>კუიპერი</b>        | <p>ნითელი და მწვანე მერგელების, ქვიშაქვების,<br/>თაბაშირის, თიხების მორიგეობა. ქვედა ნაწილში<br/>ქვანახშირის ფენები (კოლენკეიპერი) ნამარხი<br/>მცენარეების, კიბონაირების, თევზების, ამფიბიების,<br/>რეპტილიების შემცველობით</p>                                                                                                                                                                                                          | 300-700 გ.  |
| <b>T<sub>2</sub></b><br><b>ბუშელეკალები</b>   | <p>c. ორგანოგენული კირქვები (ცერატიტებით,<br/>კრინოიდებით, ბივალვიებით)<br/>b. კირქვები და დოლომიტები თაბაშირის,<br/>ანჰიდრიტის, ჰალიტის შუაშრეები (უმთავრესად<br/>ზღვიური ბივალვიებით)<br/>a. ოოლითური კირქვები (შიგ: ცერატიტები,<br/>კრინოიდები, ბივალვიები, ბრაქიოპოდები)<br/>ფუძის კონგლომერატი</p>                                                                                                                                  | 300-400 გ.  |
| <b>T<sub>1</sub></b><br><b>ბუნგტანდშტაინი</b> | <p>ფერადი (ნითელი და იისფერი) ქვიშაქვები,<br/>კონგლომერატები, არგილითები. ქანების<br/>ზედაპირზე გვალვის ნასკდომები, რიპელმარკები,<br/>წვიმის წვეთების ანაბეჭდები, სტეგოცეფალების,<br/>რეპტილიების ტერფის ანაბეჭდები. ქანები შეიცავენ:<br/>ოსტრაკოდებს, Estheria-ს, ამფიბიებს, გვიმრებსა და<br/>წინვოვან მცენარეებს.<br/>ხლართული შრეებრივობა!<br/>წყების ზედა ნაწილში – კირქვის შუაშრეები<br/>ცერატიტებისა და ბივალვიების ჩანართებით</p> | 200-1000 გ. |
|                                               | <p>ზედა პერმული – P<sub>2</sub></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      | 250 მლნ. წ. |

**გერმანულ აუზში პერმული ასაკის ტერიგენულ წყებაზე ხარვეზით განლაგებულია ქვედა ტრიასი (ბუნგტანდშტაინი – ჭრელი ქვიშაქვები), რომელიც აგებულია ფერადი (ნითელი და იისფერი) ქვიშაქვებით, კონგლომერატებით და არგილიტებით. ქანების ზედაპირზე ბევრია გვალვის ნასკდომები, რიპელმარკები (შრეების ტალღებრივი ზედაპირები), წვიმის წვეთების ანაბეჭდები, ტონგალები (ქვიშაქვებში განამარხებული მილისებურად დახვეული თიხის თხელი ფირფიტები). აქვე ხშირად პოულობენ ამფიბიებისა (სტეგოცეფალები) და რეპტილიების ტერფების ანაბეჭდებს. ქანებში დაცულია ოსტრაკოდების, ამფიბიების, გვიმრებისა და წინვიანი მცენარეების განამარხებული ნარჩენები, ორმხრივ მსუნთქავი თევზი Estheria. წყებები ხშირად ხლართული შრეებრივობით ხასიათდება.**

მხოლოდ წყების ზედა ნაწილებში გამოერევა კირქვის შუაშრეები ამონოიდეებითა (ცერატიტები) და პელეციპოდებით (ორსაგდულიანებით).

ყველა ზემოთ ნახსენებ თვისებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ბუნტზანდშტაინი ეოლურ-ტბიური წარმოშობისაა. მის ზედა ნაწილში ზღვიური კირქვების შუაშრეების გამოჩენა (რაც ამონოიდეების არ-სებობით მტკიცდება) ზღვის ინგრესის მაჩვენებელი უნდა იყოს (ინგრესია – ზღვის შექრა პლატფორმულ, დადაბლებულ ზედაპირზე).

ბუნტზანდშტაინის სიმძლავრე 200-1000 მეტრის ფარგლებშია

ბუნტზანდშტაინზე ტრანსგრესიულად, ფუძის კონგლომერატით განლაგებულია შუატრიასული ასაკის **მუშელკალკი** (ნიუარიანი კირქვა). მუშელკალკი სამი ნაწილისაგან შედგება. ქვედა ნაწილი წარმოდგენილია ოოლითური კირქვებით, რომლებშიც კრინოიდების (Encrinus), პელეციპოდების, ბრაქიოპოდების, ცერატიტების ფაუნაა დაცული. შუა ნაწილი აგებულია კირქვებითა და დოლომიტებით, რომლებშიც თაბაშირის, ანჰიდრიტის და საჭმელი მარილის (ჰალიტის) ფენები გამოერევა. აქ აშკარად იგრძნობა შესუსტებული კავშირი გაშლილ ზღვასთან, თუმცა მიუხედავად ამისა, შუა მუშელკალკის კირქვებში ზღვიური ფაუნა მაინც აღინიშნება (ძირითადად ორსაგდულიანები). ზედა მუშელკალკი ძირითადად ორგანოგენული კირქვებით არის დახასიათებული. აშკარად იგრძნობა შუა მუშელკალკის ლაგუნური პირობების კვლავ ზღვიური გარემოთი შეცვლა. ამას ქანებში დაცული მდიდარი ფაუნაც ადასტურებს (კრინოიდები, პელეციპოდები, ბრაქიოპოდები, ცერატიტები).

შუა ტრიასის სიმძლავრე 300-400 მეტრია.

კეიპერი (ზედატრიასული) წარმოდგენილია წითელი და მწვანე მერგელების, ქვიშაქვების, თაბაშირის, თიხების მორიგეობით. ქანებში ბევრია მცენარეების, კიბონაირების, თევზების, რეპტილიების, ამფიბიების ნამარხები. როგორც ქანების ხასიათი, ისე ნამარხი ორგანიზმების კომპლექსები აშკარად მიუთითებს აუზში ლაგუნურ-კონტინენტური პირობების დაბრუნებაზე. ქვედა კეიპერში ნახშირის ფენებიც არის, რის გამოც მას კოლენკეიპერს უწოდებენ.

კეიპერის სიმძლავრე 300-700 მეტრია.

ზემოთქმულის გაანალიზებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრეტრიასულში გერმანულ აუზში კონტინენტური პირობები იყო. ნალექდაგროვება მიღიოდა უდაბნოებსა და მათ ტერიტორიაზე არსებულ ტბებში. და ყველაფერი ეს ხდებოდა ცხელი და მშრალი კლიმატის პირობებში.

შუატრიასულში, როგორც ჩანს, ზღვა შემოიჭრა გერმანულ აუზში. ამის დასტურია, ალბათ, საკმაოდ მრავალფეროვანი ტიპური ზღვიური ფაუნის არსებობა და მასთან ერთად კირქვების ფაციესის ბატონობა. სავარაუდოდ, ზღვა ხმელთაშუაზღვიური ოროგენიდან უნდა შემოსულიყო.

გვიანტრიასულში ზღვამ კვლავ დატოვა გერმანული აუზი. შედეგად ისევ და ისევ ლაგუნურ-კონტინენტური პირობები გაბატონდა. თუმცა არიდული კლიმატი შესაძლოა ჰუმიდურით შეიცვალა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ გერმანულ აუზში წყებათა განლაგება ჰორიზონტულია (ე.ი. არ გვაქვს დანაოჭება), არ არის წყვეტითი დისლოკაციები, არც ინტრუზიული მაგმური ქანები. აშკარაა, რომ ვიმყოფებით პლატფორმაზე (ბაქანზე). ისიც უნდა ითქვას, რომ ტრიასული ნალექების ჯამური სიმძლავრე აქ 2000 მეტრს აღწევს, რაც პლატფორმისათვის საკმაოდ დიდი ჩანს. თუმცა თუ გავიხსენებთ გერმანული აუზისა და მისი მსგავსი სხვა აუზების ნარმოშობას, იქ განვითარებული დიდი სიმძლავრები გასაკვირი არ უნდა იყოს.

ტრიასულში ერთიანი კონტინენტის არსებობამ განაპირობა კიდეც მასზე კონტინენტური ნალექდაგროვება, მით უფრო, რომ ეს კონტინენტი, ფაქტობრივად, მთელი ამ დროის განმავლობაში აზევებას განიცდიდა. მოძრავი სარტყელებიდან ტრიასულში არსებითად მხოლოდ ორი – სმელთაშუაზღვიური და წყნაროკეანური შემორჩა. აქ, რა თქმა უნდა, პანგეასგან განსხვავებული ნალექდაგროვება მიმდინარეობდა.

როგორც ვიცით, ჰერცინული ოროგენეზისის შედეგად სმელთაშუაზღვიურ მოძრავ სარტყელში ალაგ მთათა ნარმოშობა მოხდა. ტრიასულში ჰერცინული ნაოჭა სისტემების ინტენსიური დენუდაცია – მოსწორება მიმდინარეობდა. რიფტინგის განვითარებით ზოგ ამ სტრუქტურაში დეპრესიები გაჩნდა (მაგალითად, ლონდონ-პარიზის, გერმანიის), სადაც ტრიასულ და შემდგომ პერიოდებში ნალექდაგროვებით დანალექი საფარი განვითარდა. მივიღეთ პლატფორმული სტრუქტურა, ოდონდ ნამდვილი, ძველი პლატფორმისაგან განსხვავებით, რომლის კრისტალური ფუნდამენტი ასაკი, როგორც ვიცით, არქეულ-პროტეროზოურია, აქ ქვედა სტრუქტურული სართული (კრისტალური ფუნდამენტი) პალეოზოურია, ხოლო დანალექი საფარი ტრიასული და უფრო ახალგაზრდა. ასეთ პლატფორმებს, ჩვეულებრივ, **ახალგაზრდა პლატფორმებს** უწოდებენ (განსხვავებით კრატონების პლატფორმებისგან). სხვაგვარად კი მათ ეპიჰერცინული პლატფორმები ჰქვია (ჰერცინული ოროგენეზისის შემდგომ ნარმოშობილი). ასეთი უნდა იყოს სკვითური ეპიჰერცინული პლატფორმაც, რომელიც სმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელის კავკასიის სეგმენტში განვითარდა.

ამგვარ პლატფორმებზე განვითარებული დანალექი საფარი კრატონული (პლატფორმული) ტიპისაა.

არც შეეხება **კრატონებს**, იქ მთელი ტრიასულის განმავლობაში აზევება იყო, დაძირვა და ზღვის შემოჭრა მხოლოდ მცირე დროით და ძალიან იშვიათად თუ ხდებოდა. შესაბამისი იყო ნალექდაგროვებაც. **რუსეთის პლატფორმაზე**, მაგალითად, ტრიასის ქვედა ნაწილი ჭრელი ქვიშაქვებითა ნარმოდგენილი, რომელშიც ხმელეთის ფაუნისა და ფლორის ნამარხი ფორმები გვხვდება (ოსტრაკოდები, ამფიბიები, გვიმრები, ნინვოვანები), ზევით მას მოსდევს ზღვიური კირქვების წყება კრინიდებით, ცერატიტებითა და ბრაქიოპოდებით. შემდეგ მოდის თაბაშირის, ანჰიდრიტისა და ქვამარილის წყებები, რომელსაც თავზე ფერადი (წითელი და მწვანე) მერგელების, ქვიშაქვების, თაბაშირისა და თიხების მორიგეობით დახასიათებული წყება ედება. წყებაში ნაპოვნია ხმელეთის კიბონაირები, თევზები, ამფიბიები, რეპტილიები.

ტრიასულის სიმძლავრე აქ 2000მ-მდეა. აღსანიშნავია, რომ წყებები ჰორიზონ-ტალურადა განლაგებული. არ არის წყვეტითი დისლოკაციები, არც მაგმური ქანები. ტიპურ პლატფორმულ ფაციესთან გვაქვს საქმე.

ერთობ საინტერესო სურათია **ციმბირის კრატონზე**. აქაც ტრიასულში კონტინენტური პირობები იყო. თუმცა უფრო საინტერესო ის არის, რომ ტრიასული, ფაქტობრივად, მთლიანად ტრაპებითაა წარმოდგენილი. **ტრაპები** არის დიდ ფართობზე გაშლილი მძლავრი ვულკანური ზენრები, რომლებიც რელიეფში საფეხურებს ქმნიან („ტრაპი“ შვედურად საფეხურს, კიბეს ნიშნავს). ტრაპები აგებულია ბაზალტური ლავებითა და პიროკლასტებით.

**გონდვანისზეც** კონტინენტური პირობებია. ილექტა კონტინენტური ტერიგენული წყებები ხმელეთის მცენარეებით, უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველების ნამარხი ნაშთებით. აღსანიშნავია, რომ ნამარხთა კომპლექსები გონდვანისის შემადგენელ ყველა კონტინენტზე (სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ინდოსტანი, ავსტრალია, ანტარქტიდა) ერთნაირია, რაც იმ დროს ერთიანი კონტინენტის არსებობაზე მიუთითებს. ის კი არა, რეპტილიის ერთი გვარი *Lystrosaurus* ზემოთ ჩამოთვლილი კონტინენტების გარდა ლავრაზიაშიც არის ცნობილი. ეს კი პანგეას არსებობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

ტრიასულში **ტეთისის ზოლი** ნამდვილ მოძრავ სარტყელს წარმოადგენდა, უფრო ზუსტად კი – ლავრაზიას კონტინენტის სამხრეთ, აქტიურ კიდეს. ნალექთა ფაციესები აქ ტიპური მოძრავი სარტყლისაა, მაგმურ-დანალექი კომპლექსით, დიდი სიმძლავრეებითა და ინტენსიური დანაოჭებით. ამ ტიპის საინტერესო ჭრილია ინდოჩინეთში.

### ინდოჩინეთის ჭრილი

#### ნორიულ-ცარცული წყება – T<sub>3</sub>n – K

|                  |                                                                                                                |        |
|------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| T <sub>3</sub> k | შავი თიხიანი ფიქლები, რიფოგენული<br>კირქვები მარჯნებით, ბივალვიებით, კირქვიანი<br>წყალმცენარეებით, ცერატიტებით | 1200 მ |
|------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|

|                |                                                                                                   |        |
|----------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| T <sub>2</sub> | კირქვები (შიგ – ცერატიტები, ბივალვიები)<br>ბაზალტური განფენებისა და თიხიანი ქანების<br>მორიგეობით | 2200 მ |
|----------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|--------|

|                |                                                                                                                                               |        |
|----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| T <sub>1</sub> | მოწითალო თიხიან-ქვიშიანი ქანები ბაზალტის<br>ზენრებით და მათი ტუფებით. ზედა ნაწილში ზღვიური<br>ფაუნის შემცველი კირქვების და ფიქლების შუაშრეები | 2000 მ |
|----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|

250 მლნ. წ.

აქ ტრიასული იწყება ქვიშიან-თიხიანი ნალექებით, რომელშიც ბაზალტებისა და მისი ტუფების განფენები გამოერევა, ზედა ნაწილში კირქვებისა და ფიქლების შუაშრებით (შიგ ზღვიური ფაუნით). წყებათა ამ კომპლექსს ზევით თანხმობით აგრძელებს ცერატიტებისა და ორსაგდულიანების შემცველი კირქვები თიხების შუაშრებით და ბაზალტების განფენებით. სტრატიგრაფიულად უფრო ზევით შავი ფერის თიხიანი ფიქლები და რიფოგენული კირქვებია ორსაგდულიანებით, ცერატიტებით, მარჯნებითა და კირქვიანი წყალმცენარეებით.

მთელი ეს მძლავრი, თითქმის 6 კმ-იანი წყება ინტენსიურადაა დანაოჭებული, ხოლო მის თავზე კუთხური უთანხმოებით განლაგებულია ტერიგენული ნალექების სქელი წყება ნორიულ-ცარცული ასაკისა.

ტრიასული ნალექების ამგვარი ხასიათი იმის მაჩვენებელია, რომ ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყლის ამ ნაწილში ტრიასულის ბოლოს მოხდა ძლიერი დანაოჭება, რომელიც ინდოსინიური დანაოჭების სახელითაა ცნობილი.

მოძრავი სარტყლის ტრიასული კარგადაა განვითარებული კავკასიონის ნაოჭა სისტემაში (სვანეთში).

**ოროგენეზისი.** ტრიასული პერიოდის დასასრულს მოხდა ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა – მთათანარმოშობა, რომელიც ინდოსინიური ოროგენეზისის სახელითაა ცნობილი (სახელწოდება ინდოჩინეთიდან მოდის). ეს ოროგენეზისი განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა აზიის აღმოსავლეთ ნაწილში იმიერბაიკალისპირეთიდან ინდოჩინეთამდე და უმეტესად მოიცვა ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელი. უფრო დასავლეთით ამ ოროგენეზისმა გამოიწვია ირან-ავღანეთის და ამიერკავკასიის კონტინენტური ბლოკების შეჯახება ევრაზიის კონტინენტის სამხრულ კიდევსთან.

საბოლოოდ ინდოსინიურმა ოროგენეზისმა მნიშვნელოვნად შეცვალა ევრაზიის კონტინენტის სამხრეთი კიდის იერსახე, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე.

დღეისათვის ინდოსინიური ოროგენეზისი „რანგით ჩამოქვეითებულია“ და გეოლოგიურ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც კიმერიული ოროგენეზისის (ან კიმერიული ოროგენეტული ციკლის) შემადგენელი ერთ-ერთი ოროგენეტული ფაზისი. ევროპაში მას ძველკიმერიული ოროფაზისის სახელით იცნობენ.

**პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.** ტრიასული პერიოდი, მსგავსად პერმულისა, აშკარად გეოკრატული იყო. მართალია პერცინული მთათანარმოშობის ბოლო, პფალცური ოროფაზისი, პერმულისა და ტრიასულის საზღვარზე მოხდა, მაგრამ აზევება და, შესაბამისად, კონტინენტური (ხმელეთის) პირობები მთელი ტრიასულის განმავლობაში გრძელდებოდა.

ტრიასულ პერიოდში პანგეა 3 კვლავ ინარჩუნებდა თავის მონოლითურობას, გადაჭიმული იყო რა მერიდიონალურად, ფაქტობრივად, ჩრდილო პოლუსიდან (რომლის ფარგლებში იმ დროს ციმბირის კონტინენტი იმყოფებოდა) სამხრეთ პოლუსამდე (კუნძ. ტასმანია). ამგვარი განცხადების მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ პანგეა 3-ში დიდ ფართობზე (აზიის აღმოსავლეთ სანაპიროდან ატლანტის

ოკეანის აღმოსავლეთ კიდემდე) შექრილი იყო ოკეანე ტეთისი. შესაბამისად, პანგეა 3-ში კარგად გამოყოფილი – **ლავრაზიული** და **გონდვანური** ნაწილი (სურ. 21.9).

ტრიასული პერიოდის განმავლობაში ჩრდილო ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის, ციმბირის, ჩინეთ-კორეის, გონდვანისის უდიდესი ნაწილი ხმელეთს წარმოადგენდა და, შესაბამისად, აქტიური დენუდაციის არე იყო.

**კლიმატი** საკმაოდ ცხელი იყო მთელი ტრიასულის განმავლობაში. ამავე დროს სულაც არ იყო დიდი ტემპერატურული სხვაობა ეკვატორსა და პოლუსებს შორის. სამაგიეროდ, გამოყოფილი არიდული და ჰუმიდური ზონები, ხოლო ექსტრაარიდულ ზონებში უდაბნოები იყო განვითარებული. უდაბნოს პირობები იყო ჩრდილო ამერიკაში, ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, არაბეთში, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. ყველა ამ რეგიონში უდაბნოებისათვის დამახასიათებელი ევაპორიტებისა და ჭრელი და წითელი ტერიგენული ნალექების კომპლექსებია გავრცელებული.

გვიანტრიასულში საშუალონლიური ტემპერატურა ავსტრალიაში შეადგენდა  $21\text{--}25^{\circ}\text{C}$ -ს, გერმანიაში  $25\text{--}26^{\circ}\text{C}$ -ს, ხოლო კავკასიაში –  $24\text{--}26^{\circ}\text{C}$ -ს.

ტრიასულში დედამინის უმეტეს ნაწილებში ძირითადად აზევება, „ხმელეთნარმოქმნა“ მიმდინარეობდა. ამიტომ ამ პერიოდს, როგორც ზევითი ითქვა, გეოკრატულს უწოდებენ. გეოკრატულის საპირისპიროდ, როგორც ვიცით, არსებობს **თალასოკრატული** დრო, როცა აზევების ნაცვლად ქერქის საყოველთაო დაძირვასთან და, შესაბამისად, პლანეტარულ ტრანსგრესიასთან გვაქვს საქმე.

ცნობილ თალასოკრატულ ხანას მიეკუთვნებიან იურული და ცარცული პერიოდები.

## 21.2.2. იურული პერიოდი – I

**სახელნოდება** იურის მთებიდან (შვეიცარია-საფრანგეთი) მოდის. იურული პერიოდი დაიწყო 205 მლნ. წლის წინ, დასრულდა 145 მლნ. წლის წინ. მისი ხანგრძლივობა 60 მლნ. წელს შეადგენს.

**ცოცხალი ბუნება.** იურულ პერიოდში სიცოცხლემ ნამდვილი მეზოზოური იერი მიიღო, რადგანაც მის დასაწყისში პალეოზოური ბიოსის უკანასკნელი რელიეფებიც გადაშენდა. შეიძლება ითქვას, რომ იურულ ზღვებში ბატონობდნენ ამონიტები, ხოლო ხმელეთზე – ქვეწარმავლები. ზღვებში ამონიტების გვერდით მრავლად იყვნენ ბელემნიტები, ორსაგდულიანები (ინოცერამები, რუდისტები და სხვ.), ფორამინიფერები, ექინოიდები, ექვსქიმიანი მარჯნები, ბრიოზოები, ბრაქიოპლები, კრინოიდები, ნაუტილოიდები, კიბონაირები, სტრომატოპორატები (სტრომატოპოროიდები), წყალმცენარეები. ეს ორი უკანასკნელი ჰექსაკორალებსა და ბრიოზოებთან ერთად რიფებს აგებდნენ. **ხერხემლიანებიდან** ფართოდ იყო გავრცელებული თევზები. იყვნენ ამფიბიებიც, მაგრამ ბატონობდნენ ქვეწარმავლები, რომელთა წარმომადგენლები არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაშიც (იქ-

თიოზავრები, პლეზიოზავრები) ბინადრობდნენ. ხმელეთის რისხვას კი **დინოზავრები** წარმოადგენდნენ, რომლებმაც გიგანტურ ზომებს მიაღწიეს (სიგრძით 30-40 მეტრამდე, ხოლო წონით 40-50 ტონაზე მეტიც). განსაკუთრებით შთამბეჭდავი ზომები ჰქონდათ ბალაზისმჭამელ დინოზავრებს (დიპლოდოკი, ბრონტოზაფრი). შედარებით პატარა ტანის (და წონის) იყვნენ მტაცებელი დინოზავრები (ცერატოზავრი, კარნოზავრი და სხვ.). გაჩნდნენ პირველი ხვლიკებიც.

იურულში ქვენარმავლებმა ჰაერიც დაიყყრეს, გაჩნდნენ ე.წ. „მფრინავი ხვლიკები“ – **პტეროზავრები**. გვიან იურულში „მფრინავ ხვლიკებს“ ნამდვილი **ფრინველებიც** მიემატა (Archaeopteryx), რომელთაც ქვენარმავლების ნიშნებიც ჰქონდათ.

იურულში განაგრძობდნენ განვითარებას ძუძუმწოვრები, თუმცა ისინი ევოლუციის ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე იყვნენ.

მცენარეებიდან **შიშველთესლიანები** ბატონობდნენ (გინკგოები, ნინკვოვანები, ბენეტიტისნაირნი, საგოვანები). ამ პერიოდში სიცოცხლე დედამიწაზე ერთობ მრავალფეროვანი იყო.

### იურულის დანანილება

იურული სისტემა სამ სექციად იყოფა, რომელსაც ინგლისური სქემის მიხედვით ასეთი სახე აქვს: **ლიასი (ქვედა)**, **დოგერი (შუა)** და **მალმი (ზედა)**. გერმანული სქემის მიხედვით ეს იქნება – **შავი (I<sub>1</sub>)**, **მურა (I<sub>2</sub>)**, და **თეთრი (I<sub>3</sub>)** იურა. სექციების დანაწილება სართულებად და ამ უკანასკნელთა – ზონებად ფაუნის მეშვეობით ხორციელდება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი ღირებულებით გამოირჩევიან **ამონიტები**, თუმცა მათთან ერთად გამოყოფილია ბიოზონები **ინოცერამების**, **ბელემნიტების** და სხვათა მეშვეობით. დღეს არსებული 11 სართულიდან დიდი უმეტესობა ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ა.დორბინის, მიერ არის დადგენილი. სართულების სტრატოგენების უმეტესობა **ლონდონ-პარიზის აუზიდან** არის ცნობილი.

| სისტემა     | სექცია                                  | სართული                                             |
|-------------|-----------------------------------------|-----------------------------------------------------|
| იურული<br>I | ზედა (მალმი)<br>თეთრი<br>I <sub>3</sub> | ტიტონური<br>კიმერიჯული<br>ოქსფორდული                |
|             | შუა (დოგერი)<br>მურა<br>I <sub>2</sub>  | კალვიური<br>ბათური<br>ბაიოსური<br>აალენური          |
|             | ქვედა (ლიასი)<br>შავი<br>I <sub>1</sub> | ტოარსული<br>პლინსბახური<br>სინემიურული<br>ჰეტანგური |

**ფაციესები.** იურული პერიოდის დასაწყისისათვის დედამიწაზე არსებული პალეოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე ვასკენით, რომ ამ სისტემის ნალექები ძირითადად ორგვარი ფაციესით უნდა იყოს წარმოდგენილი – ეპიკონტინენტური და ლრმა ზღვის (იმავე მოძრავი სარტყელის). ამ ორივე ტიპის ფაციესის გავრცელების კლასიკური რეგიონი ევროპაა.

როდესაც ტრიასულისა და შემდგომი პერიოდების ეპიკონტინენტურ ფაციესებზეა ლაპარაკი, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ ამგვარი ტიპის ნალექდაგროვება ხდებოდა როგორც ძველი პლატფორმების ზედა სტრუქტურულ სართულში, ისე ჰერცინული ორგენეზისის შედეგად შექმნილ ახალგაზრდა ნაოჭა სტრუქტურების (ჰერცინიდების) პენეპლენიზაციის მეოხებით გაჩენილ დეპრესიულ უბნებში. ეს უკანასკნელი, მსგავსად პლატფორმებისა, უმეტესწილად ზღვიური აუზების სახით გვევლინებოდნენ.

ამგვარ აუზთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ტიპური **გერმანული** აუზია. იურული ნალექების სრული ჭრილი გვაქვს სენებული აუზის ე.წ. „შვაბეთის ალბის“ პლატოს მიდამოებში. ამ ჭრილში იურული სრული თანხმობით აგრძელებს ტრიასულს. ნამარხი ფაუნის მიხედვით კარგად გამოიყოფა როგორც ქვედა, ისე შუა და ზედა იურა.

### შვაბეთის ჭრილი (გერმანული აუზი)

#### K – ცარცული

145 მლნ. წ.

|                |        |                                                                                                                                                                                                                                                                                         |           |
|----------------|--------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| I <sub>3</sub> | მალმი  | სხვადასხვა ტიპის თეთრი კირქვები,<br>მერგელები, დოლომიტები,<br>ლითოგრაფიული ქვა (ზოლენპოფენში, შიგ<br>– Archaeopteryx და ბევრი სხვა.)                                                                                                                                                    | 300-500 მ |
| I <sub>2</sub> | დოგერი | მურა ფერის ოოლითური კირქვები,<br>ქვიშიანი კირქვები, მერგელები, ქვიშიანი<br>თიხები. ნამარხებიდან ამონიტები<br>(Parkinsonia, Oppelia და სხვ.), ინოცერამები<br>და სხვ.                                                                                                                     | 150 მ     |
| I <sub>1</sub> | ლიასი  | შავი ფერის თიხიანი ფიქლები კირქვების<br>შუაშრეებით, მერგელები, ტუფები.<br>ქანებში, განსაკუთრებით კირქვებში,<br>დაცულია მდიდარი ფაუნა – ამონიტები<br>(Amaltheus margaritatus და სხვ.),<br>ბივალვიები (თხელნიჟარიანი პოსიდონია,<br>ინოცერამები), ზღვის შროშნები<br>(Pentacrinus) და სხვა. | 50-100 მ  |

ტრიასული – T

205 მლნ. წ.

**ქვედა იურა** (იგივე შავი იურა ანუ ლიასი) ძირითადად შავი ფერის თიხიანი ფიქლებით არის წარმოდგენილი. წყება მდიდარია ნამარხი ორგანიზმებით. ეს განსაკუთრებით ამონიტებს ეხება, რომელთა შორის ქვედა იურულის სხვადასხვა სართულის სახელმძღვანელო ნამარხებს ვხვდებით (მაგალითად, *Amaltheus margaritatus*). ამონიტებთან ერთად ბევრია ბივალვიები (ინოცერამები), ბრაქიოპოდები, კრინოიდები (ზღვის შროშნები), ზღვიური ქვენარმავლები (იქთიოზავრები, პლეზიოზავრები).

ქვედა იურას თანხმობით აგრძელებს **შუა იურა** (მურა იურა, ანუ დოგერი), რომელიც ძირითადად კარბონატული ფაციესით არის წარმოდგენილი. წყება შეიცავს შუა იურისათვის დამსხასიათებელ ამონიტურ ფაუნას (*Parkinsonia*, *Oppelia* და სხვ.).

**ზედა იურა** (იგივე თეთრი იურა ანუ მალმი) ძირითადად სხვადასხვა ტიპის კირქვებით არის დახასიათებული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქ. ზოლენჰოფენის მახლობლად წმინდამარცვლოვან კირქვებში, რომელთაც ლითოგრაფიულ ქვას უნდებენ, ნაპოვნია მრავალფეროვანი ფაუნის ნაშთები (ცხადია, ნამარხების სახით), მათ შორის ფრინველების პირველი წარმომადგენელი – **არქეოპტერიქსი (Archaeopteryx)**. ფაუნიდან აღსანიშნავია აგრეთვე მარჯნები და ღრუბლები, რომლებიც რიფის მშენებლებად გვევლინებიან.

შვაბეთის იურული უდავოდ ზღვიური ნალექებით არის დახასიათებული, რასაც მდიდარი ზღვიური ფაუნა (ამონიტები, მარჯნები, ღრუბლები, ორსაგდულიანი მოლუსკები) გვიდასტურებს.

ქანები ჰორიზონტულ განლაგებაშია. არ არის არავითარი კვალი მაგმური ქანებისა. წყებათა ჯამური სიმძლავრე 470 მეტრამდეა. ყველაფერი ეს უდავოდ მიუთითებს შვაბეთის იურულის ეპიკონტინენტურ ბუნებაზე.

ეპიკონტინენტური ბუნების იურული ცნობილია: ლონდონის აუზში, პარიზის აუზში, ვოგეზებში, შვარცვალდში, პოლონეთში, ლიტვაში, უკრაინაში, რუსეთის პლატფორმაზე, აკვიტანურ და რონის აუზებში.

ღრმა ზღვის ანუ ოროგენული ფაციესის იურული დაკავშირებულია იმდროინდელ მოძრავ სარტყლებთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელი, სადაც იურული გავრცელებულია ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიამდე (რათქმა უნდა, არა უწყვეტი ზოლის სახით). ოროგენული იურულის გავრცელების ერთერთი საუკეთესო რეგიონი კავკასია, კერძოდ კავკასიონის ნაოჭა სისტემაა.

**კავკასიონის ჩრდილო ფერდის ჭრილი**

K – ცარცული

145 მლნ. წ.

|                |        |                                                                                                                                        |        |
|----------------|--------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| I <sub>3</sub> | მაღმი  | თეთრი რიფოგენული კირქვები<br>და მერგელები (ამონიტებითა და<br>ექინოდენებით). წყების ზედა ნანილში –<br>თაბაშირიანი და დოლომიტიანი შრეები | 2000 გ |
| I <sub>2</sub> | დოგერი | მურა – ყავისფერი ქვიშაქვებისა და<br>ფიქლების მორიგეობა. ნამარხებიდან<br>ალსანიშნავია ამონიტები (Parkinsonia<br>parkinsoni და სხვა).    | 5000 გ |
| I <sub>1</sub> | ლიასი  | შავი ფერის მეტამორფიზებული<br>ფიქლები ქვიშაქვების შუაშრეებით.<br>წყებაში ნაპოვნია ამონიტები (Amaltheus<br>margaritatus და სხვ).        | 7000 გ |

ჯამური  
სიმძლავრე  
14000 გ

იურულის ჯამური სიმძლავრე ჩრდილო ფერდზე 14 000 მეტრს შეადგენს.

მეორე ჭრილი კავკასიონის სამხრეთ ფერდზეა და გაიდენება დარიალის ხეობიდან ჯვრის ულელტეხილამდე. ამ ჭრილში, მსგავსად ჩრდილო ფერდისა, თანმიმდევრულად გამოიყოფა: ქვედა ლიასი (შავი იურა), შუა დოგერი (მურა იურა) და ზედა მაღმი (თეთრი იურა). გთავაზობთ ამ ჭრილის განზოგადებულ ვარიანტს.

**კავკასიონის სამხრეთი ფერდის ჭრილი**

K – ცარცული

145 მლნ. წ.

|                |               |                                                                                                   |        |
|----------------|---------------|---------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| I <sub>3</sub> | თეთრი<br>იურა | კირქვების, კარბონატული ქვიშაქვების,<br>მერგელების, ფიქლების მორიგეობა<br>(ე.წ. კარბონატული ფლიში) | 550 გ  |
| I <sub>2</sub> | მურა<br>იურა  | პორფირიტული სერია – პორფირიტები,<br>ტუფოქვიშაქვები და სხვა;                                       | 3400 გ |
| I <sub>1</sub> | შავი<br>იურა  | ასპიდური ფიქლები<br>PZ                                                                            | 2500 გ |

ჯამური  
სიმძლავრე  
6450 გ

205 მლნ. წ.

ორივე ჭრილში წყებათა ჯამური სიმძლავრეები, მეტამორფული და მაგმური ქანების არსებობა, ძლიერი დანაოჭება (სამხრეთ ფერდზე შეცოცებებით გართულებული) მიანიშნებენ იმაზე, რომ ქანთა ამ კომპლექსების ფორმირება მოძრავ სარტყელში, კონტინენტის აქტიურ კიდეზე ხდებოდა.

**ოროგენეზისი (მთათანარმოშობა).** გვიან იურულში, უფრო ზუსტად კი იურული და ცარცული პერიოდების საზღვარზე (145 მლნ. წლის წინ), დასრულდა კიმერიული ოროგენეზისი. ეს ოროგენეზისი (ანუ ოროგენეტული ციკლი) გვიან-ტრიასულში დაიწყო **ძველკიმერიული** (იგივე **ინდოსინიური**) ოროგენეტული ფაზისით – **T<sub>3</sub>/I<sub>1</sub>**, რომელსაც ადრე- და შუაიურულის საზღვარზე **დონეცური** ოროფაზისი – **I<sub>1</sub>/I<sub>2</sub>** მოჰყვა, ეს უკანასკნელი შუა- და გვიანიურულის საზღვარზე **ბათურმა** ოროფაზისმა – **I<sub>2</sub>/I<sub>3</sub>** შეცვალა. კიმერიული ოროგენეზისის დამაგვირგვინებელი იყო **ახალკიმერიული (ნევადური)** ოროფაზისი – **I/K**, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იურულ-ცარცულის გასაყარზე განვითარდა.

**პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.** იურული დროის პალეოგეოგრაფიული სურათი გარკვეულწილად განაპირობა გვიანტრიასულში განვითარებულმა ძველკიმერიულმა (იმავე ინდოსინიურმა) ოროფაზისმა, რომელიც მნიშვნელოვნად გამოვლინდა ხმელთაშუაზღვიურ და ურალ-ოხოტის მოძრავ სარტყლებსა და ჩრდილო ამერიკის კორდილიერების ზოლში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ადრეიურული დრო იყო სუპერკონტინენტ პანგეა 3-ის არსებობის უკანასკნელი ეპოქა. ამ დროისათვის გრძელდებოდა ინტენსიური რიფტოგენეზი ცენტრალური ატლანტიკისა და დასავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონებში, რამაც საფუძველი დაუდო ატლანტისა და ტეთისის ოკეანეების ფორმირებას.

პალეოგეოგრაფიული ცვლილებების თვალსაზრისით გარდამტები იყო შუაიურული ეპოქა, რომლის დასაწყისშიც განვითარებულმა **ტრანსგრესიამ** მაქსიმუმს ბაიოსურ საუკუნეში მიაღწია. ტრანსგრესია გლობალური (საყოველთაო) იყო, ამიტომ ფიქრობენ, რომ მას ევსტაზიური ხასიათი ჰქონდა.

ახალი ოკეანის ფორმირება ცენტრალურ ატლანტიკაში ბათურ საუკუნეში დაიწყო. ცოტა მოგვიანებით, შუაიურულის დასასრულს, თუ გვიანი იურულის დასაწყისში ფორმირებას იწყებს ინდოეთის ოკეანეც. გვიანიურულის განმავლობაში ეს პროცესი უფრო ფართო ხასიათს იძენს. ხსენებულ პროცესში ებმება დასავლეთ ტეთისიც. შესაბამისად, კარიბის აუზის გახსნით მყარდება კავშირი ატლანტიკურ და წყნარ ოკეანეებს შორის. გვიანი იურულის მიწურულს, ნევადური ოროფაზისის გავლენით, დასაბამი მიეცა ჩრდილო ამერიკის კორდილიერების ფორმირებას.

**გვიანიურულში** იწყება სუპერკონტინენტ გონდვანისის დესტრუქცია – სპრედინგის ზოლი ჩნდება მოზამბიკის ქვაბულში. შედეგად ერთმანეთს შორდება გონდვანის დასავლეთი (სამხრეთ ამერიკა და აფრიკა) და აღმოსავლეთი (ინდოსტანი, ავსტრალია, ანტარქტიდა) ნაწილები. როგორც ვიცით, ამან განაპირობა ინდოეთის ოკეანის ფორმირება.

იურული პერიოდის დასასრულს ერთ კონტინენტად იყო წარმოდგენილი: სამხრეთ ამერიკა და აფრიკა; ანტარქტიდა და ავსტრალია; ინდოსტანი, ლავრაზია.

## გეოლოგიური საფუძვლები

ამდენად, ხსენებული დროისათვის (დაახლ. 150 მლნ. წლის წინ) დედამიწაზე იყო იმავე კონტინენტი: **ლავრაზია**, **სამხრეთ ამერიკა + აფრიკა**, **ანტარქტიდა+ავსტრალია**, **ინდოეთი (ინდოსტ्रანი)**. ამ კონტინენტებს შორის იყო: **ატლანტის ოკეანე**, **ინდოეთის ოკეანე**, **ოკეანე ტეთისი**. ფორმირება დაიწყო ჩრდილო ყინულოვანმა ოკეანემ. წყნარი ოკეანე გარს უვლიდა კონტინენტებს (სურ. 21.10).



სურ. 21.10. კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილება იურული პერიოდის მინურულს 150 მლნ. წლის წინ

(საფუძვლად აღებულია Xaini u dr., 1997-ის პალეოგეოგრაფიული სქემა)

**კლიმატი.** იურული პერიოდი ზოგადად კლიმატის ჰუმიდიზაციით ხასიათდება. ამან განაპირობა მცენარეთა სამეფოში ტენის მოყვარული ფორმების სწრაფი განვითარება ნაცვლად ქსეროფიტული ტაქსონებისა. ჰუმიდიზაციის პროცესს თან ახლდა ტემპერატურის მატება (განსაკუთრებით პერიოდის დასაწყისსა და ბაიოსურ საუკუნეში). ყველაფერმა ამან შექმნა ქვანახშირის საბადოების ფორმირების საუკეთესო პირობები.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით გამოიყოფოდა **ეკვატორული, სუბტროპიკული** და **ზომიერი სარტყელები**. თბილი ჰუმიდური კლიმატი, როგორც ჩანს, ქმნიდა კარგ საცხოვრებელ გარემოს **დინოზავრებისათვის**, რომლებიც საცხოვრებლად ზღვის სანაპირო ზოლის დაბლობებს ირჩევდნენ და რომლებმაც იურულ პერიოდში სწრაფი და მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადეს.

იურულ პერიოდში სამი პალეობიოგეოგრაფიული ოლქი გამოიყოფოდა: ბორეალური (ჩრდილო ზომიერი), ტეთისის და ნოტალური (სამხრეთ ზომიერი).

**სასარგებლო წიაღისეული.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილმა ჰუმიდურმა კლიმატმა განაპირობა იურულ პერიოდში ქვანახშირის საბადოების წარმოქმნა. ამ თვალსაზრისით ეს პერიოდი ჩამორჩება მხოლოდ გვიანპალეოზოურ (კარბონულ-პერმულ) და გვიანცარცულ – პალეოგენურ პერიოდებს. იურულ ნალექებში თავმოყრილია ქვანახშირის მსოფლიო მარაგების 16% (შუა იურული(ბათური) ასაკისაა ტყიბულისა და ტყვარჩელის საბადოები).

იურულ პერიოდს უკავშირდება ნავთობისა და გაზის მსოფლიო მნიშვნელობის საბადოები, ისეთები, როგორიცაა საუდის არაბეთის ნავთობის უმდიდრესი საბადოები.

### 21.2.3. ცარცული პერიოდი – K

ცარცული სისტემა გამოყოფილ იქნა ბელგიელი მეცნიერის, უ.ომალიუს დალუას, მიერ 1922 წელს. **სახელწოდება** განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეს სისტემა ძირითადად აგებულია სხვადასხვა ტიპის კირქვებით, მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვნად – სანერი ცარცით.

ცარცული პერიოდის ასაკობრივი დიაპაზონი შემოსაზღვრულია 145-65 მილიონი წლებით. შესაბამისად, მისი ხანგძლივობა 80 მილიონ წელს მოიცავს.

**ცოცხალი ბუნება.** ცარცული პერიოდი ერთობ საყურადღებო დროა დედამინაზე სიცოცხლის განვითარების თვალსაზრისით. ეს ეხება როგორც ფლორას, ისე განსაკუთრებით ფაუნას. ერთობ მნიშვნელოვან მოვლენა, ორგანიზმთა ე.წ. „დიდი მეზოზოური გადაშენება“ (ამ გადაშენების შესახებ საუბარი გვქონდა მე-16 თავში) ცარცული პერიოდის დასასრულს მოხდა.

ცარცული პერიოდის განმავლობაში განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნარმატებას მიაღწიეს უხერხემლო ცხოველებმა. ასეთი რამ უპირველესად ითქმის მოლუსკების სამ კლასზე (თავფეხიანები, ორსაგდულიანები, მუცელფეხიანები). ევოლუციის ფერხულში იყვნენ ჩაბმული აგრეთვე ექინოიდები (ზღვის ზღარბები), ბრაქიოპოდები, ღრუბლები, ხავსცხოველები, ექსექიმიანი მარჯნები, ფორამინიფერები (ერთუჯრედიანებიდან). ამ პერიოდში გრძელდებოდა ევოლუცია ამონიტებისა (თავფეხიანები). ცარცულ ამონიტებს შორის გიგანტური ფორმებიც გვხვდება, რომელთა ნიუარა განივევეთში 2 მეტრს აჭარბებს. ამონიტების გვერდით ვხვდებით თავფეხიანების მეორე ჯგუფის – ბელემნიტების წარმომადგენლებს, რომლებიც, ამონიტების მსგავსად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცარცული დროის პალეოგეოგრაფიასა და ბიოსტრატიგრაფიაში.

ორსაგდულიანი მოლუსკებიდან უნდა გამოვყოთ ინოცერამები, რომლებიც მსგავსად ამონიტების და ბელემნიტებისა, ასევე დიდ როლს ასრულებენ ცარცული სისტემის ბიოსტრატიგრაფიაში. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ორსაგდულიანების მეორე ჯგუფი – რუდისტები, რომლებიც, როგორც ჩანს, ტროპიკულ

ზღვებში ბინადრობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ რიფოგენული მასივების შენებაში. ცარცული პერიოდი, უფრო ზუსტად გვიანცარცული ეპოქა, ითვლება ექინოიდების აყვავების ხანად. შესაბამისად, დიდია ამ უხერხემლო ცხოველთა როგორც ბალეოგეოგრაფიული, ისე ბიოსტრატიგრაფიული მნიშვნელობა. ცარცულ პერიოდში რიფის მშენებლებად რუდისტების გვერდით იყვნენ ექვსქიმიანი მარჯნები და ხავსცხოველები.

ცარცულ პერიოდში ერთგვარად დათმეს პოზიციები ბრაქიოპოდებმა (მხარფებიანები).

**ხერხემლიანი ცხოველებიდან** ცარცულ პერიოდში განვითარებას განაგრძობდნენ **თევზები**, რომელთა შორის გამოიჩინდნენ **ძვლიანი თევზები**. ევოლუციას აგრძელებდნენ **ამფიბიები**. ცარცული პერიოდით სრულდება **რეპტილიების** (ქვენარმავლები) ბატონობის ხანა. ადრე ცარცულის დასასრულს გადაშენდნენ იურული ზღვების ყველაზე პოპულარული ქვენარმავლები – **იქთიოზავრები**, რომელთა ნაცვლად გვიანცარცულ ზღვებში **მოზაზავრები** გაბატონდნენ. ხმელეთზე მცხოვრები რეპტილიებიდან წამყვანი პოზიციები დინოზავრებს ეკავათ, რომელთა შორის იყვნენ როგორც ბალაზის მჭამელი, ისე მტაცებელი ფორმები. ცადაპყრობილი ჰქონდათ **პტეროზავრებს**, რომელთა გაშლილი ფრთების სიგრძე 15-21 მეტრს აღწევდა.

ცარცულ პერიოდში განვითარებას აგრძელებენ **ფრინველები**, თუმცა მათ ამ დროისათვის თითქოს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკარგული კბილები. ცარცულში ჩნდებიან **პლაცენტიანი ძუძუმნოვრები**.

**მცენარეთა სამეფოდან** ცარცული პერიოდი ზღვიური წყალმცენარეების – ერთუჯრედიანი, მიკროსკოპული ზომების ნანოპლანქტონის, კირქვის სკელეტის მქონე **კოკოლითოფორმიდებისა** და კაუის სკელეტის მქონე **დიატომების** მაღალი განვითარებით ხასიათდება (სხვათა შორის, კოკოლითოფორმიდებისა და, მათსავე მსგავსად, ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ზომების მქონე ფორმინიფერების ნაშთების დაგროვების შედეგად მიიღება ცნობილი დანალექი ქანი – **სანერი ცარცი**, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია (ცარცული სისტემისათვის). ფაქტობრივად, მთელი ადრეცარცული ეპოქის განმავლობაში ვითარდებოდნენ ციკადინები, გინკ-გონები, გვიმრისებრნი, ბენეტიტისმაგვარნი. ბარემულში ჩნდებიან პირველი წარმომადგენლები ფარულთესლიანებისა, რომლებმაც გვიანცარცულში საგრძნობი ევოლუცია განიცადეს.

გვიანცარცული ეპოქის დასასრულს (მაასტრიხტული საუკუნის ბოლოს) ორგანულ სამყაროში მოხდა ძლიერი **გადაშენება**. ამ გადაშენებამ შეინირა ისეთი ცნობილი ორგანიზმები, როგორებიც იყვნენ: ამონიტები, ბელემნიტები, ინოცერამები, რუდისტები (უხერხემლო ცხოველებიდან); დინოზავრები, ჰლეზიოზავრები, მოზაზავრები, პტეროზავრები (ხერხემლიანებიდან). არ გადაშენებულან, მაგრამ მნიშვნელოვნად დაზარალდნენ: ექინოიდები, კრინოიდები, პლანქტონური ფორმინიფერები, ბრაქიოპოდები და სხვები.

ცარცული სისტემა ორ სექციად (ქვედა და ზედა) იყოფა. თითოეულ სექციაში 6-6 სართულია. სართულთა დიდი უმეტესობის სტრატოტიპული ჭრილი საფრანგეთშია. როგორც მეტად სასიამოვნო ფაქტი, უნდა აღინიშნოს, რომ ცარცული სისტემის ყველა სართული მდიდარი ფაუნისტური კომპლექსით არის დახასიათებული – ამონიტები, ბელემნიტები, ინოცერამები, ექინოდენები, ოსტრეები, რუდისტები, ბრაქიოპოდები, გასტროპოდები, ფორამინიფერები, ოსტრაკოდები, ბრიოზოები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ამონიტური კომპლექსების არსებობა ყველა სართულის (გარდა სანტონურისა) სტრატოტიპულ ჭრილში. ამონიტების გვერდით ცალკეული სართულების ფაუნისტურ დახასიათებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბელემნიტები, ინოცერამები, ექინოდენები, ფორამინიფერები და სხვ., რაც შესაბამისი სართულების სხვა რეგიონებში გამოყოფის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

### ცარცულის დანაწილება

| სისტემა      | სექცია                  | სართული                                                                       |
|--------------|-------------------------|-------------------------------------------------------------------------------|
| ცარცული<br>K | ზედა<br>K <sub>2</sub>  | მაასტრიხტული<br>კამპანური<br>სანტონური<br>კონიაკური<br>ტურონული<br>სენომანური |
|              | ქვედა<br>K <sub>1</sub> | ალბური<br>აპტური<br>ბარემული<br>ჰოტრივული<br>ვალანჟინური<br>ბერიასული         |

**ფაციესები.** ცარცული პერიოდი ნამდვილი თალასოკრატული ხანაა დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში. ეს განსაკუთრებით გვიანცარცულ ეპოქას ეხება, როდესაც განვითარდა ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი გლობალური ტრანსგრესია. მხოლოდ პერიოდის მიზურულს დაინტერირებულ მნიშვნელოვანი რეგრესია, რომელიც **ლარამულმა** ოროგენეტულმა ფაზისმა გამოიწვია. ამიტომ საგებით ბუნებრივია, რომ ცარცულში ფართოდ იყო გავრცელებული ზღვიური ნალექები როგორც პლატფორმებზე, ისე მოძრავ სარტყელებში.

ცარცული სისტემის გავრცელების კლასიკურ ადგილად ევროპა ითვლება, ხოლო ცარცულის **პლატფორმული** (იგივე ეპიკონტინენტური) ფაციესებისა – რონისა და პარიზის აუზები. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ პერცინული ორო-

გენეზისის გავლენით კალედონური მთათანარმოშობის შედეგად გაჩენილ ჩრდილო-ატლანტურ კონტინენტს სამხრეთიდან არდენებისა და ბრეტან-ბორჯემის ზღვები მიეზარდა. ცარცული პერიოდის დასაწყისში ამ ერთ დროს ახალგაზრდა ნაოჭა სტრუქტურამ საგრძნობი დენუდაცია (მოსწორება) განიცადა, რაშიც, როგორც ჩანს, ალაგ მნიშვნელოვანი რიფტოგენეზი მონაწილეობდა. რიფტოგენეზის შედეგად წარმოქმნილ დეპრესიებში მიდიოდა პლატფორმული (ეპიკონტინენტური) ტიპის ნალექდაგროვება. ამგვარი დეპრესიები ცარცულის დროინდელ ევროპაში, როგორც ვიცით, რამდენიმე იყო (მათ შორის რონისა და პარიზის აუზები). ცარცული ასაკის ნალექები სწორედ ორ ზემოთ დასახელებულ აუზშია კარგად წარმოდგენილი: **რონის აუზში – ქვედა ცარცი, ხოლო პარიზის აუზში – ზედა ცარცი.**

### რონის აუზის ჭრილი

|                  |             | K <sub>2</sub>                                                         | 95 მლნ. წ.             |
|------------------|-------------|------------------------------------------------------------------------|------------------------|
| K <sub>1al</sub> | ალბური      | მერგელები (ამონიტური ფაუნით)                                           |                        |
| K <sub>1a</sub>  | აპტური      | მერგელოვანი კირქვები (ამონიტები: დეეზიტები, ოპელიები);                 |                        |
| K <sub>1br</sub> | ბარემული    | მერგელოვანი კირქვები (მდიდარი ამონიტური ფაუნით);                       |                        |
| K <sub>1h</sub>  | ჰოტრივული   | მერგელები მერგელოვანი კირქვების შუაშრეებით (მდიდარი ამონიტური ფაუნით); | ჯავახი სიმძლავე 2000 გ |
| K <sub>1v</sub>  | ვალანჟინური | მერგელები (ამონიტებიდან ჰოპლიტიდები – Neocomites და სხვ.               |                        |
| K <sub>1b</sub>  | ბერიასული   | მერგელოვანი კირქვები (Hoplites boissieri)                              | 145 მლნ. წ.            |
|                  |             | PZ                                                                     |                        |

ქვედა ცარცის სიმძლავრე აქ (ე.ნ. ვოკონციურ ორმოში) 2000 მ-ია, თუმცა პერიფერიებისაკენ თხელი ზღვის ნალექებში გადავდივართ.

### პარიზის აუზის ჭრილი

E

65 მლნ. წ.

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|-----------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| $K_{2k-m}$<br>კონიაკურ –<br>მასტრიხტული | კაჟიანი თეთრი ცარცი ამონიტებით<br>(იშვიათია), მიკრასტერებით,<br>ბელემნიტებით. ქანებში დაცულია<br>აგრეთვე – პროტოზოები, ღრუბლები,<br>ბივალვიები                                                                                                                                                                  |
| $K_{2t}$<br>ტურონული                    | ქვიშიანი მერგელები, სანერი ცარცი,<br>მერგელები. ქანებში გვხვდება:<br><i>Inoceramus labiatus</i> , <i>Holaster planus</i> ,<br>ინოცერამებისა და ექინოიდეების სხვა<br>სახეობები, ბელემნიტები                                                                                                                      |
| $K_{2s}$<br>სენომანური                  | გლაუკონიტიანი ქვიშაქვები, ქვიშიანი<br>მერგელები, გლაუკონიტიანი კირქვები,<br>კირქვიანი მერგელები (ქანები შეიცავს<br>მდიდარ ამონიტურ ფაუნას, რომელშიც<br>დომინირებენ გვარები: <i>Acanthoceras</i> ,<br><i>Mantelliceras</i> , <i>Schloenbachia</i> . მათ გარდა<br>ვხვდებით – ექინოიდეებს, ოსტრეებს,<br>რუდისტებს) |

 $K_1$  ალბური

95 მლნ. წ.

კირქვების ასავლა სამძლავრებელი სამძლავრებელი კირქვების ასავლა

პლატფორმული ცარცულის ნიმუშად შეიძლება **ალმოსავლეთ ევროპის** კრატონი ავირჩიოთ, სადაც კარგადაა განვითარებული როგორც ქვედა-, ისე ზედაცარცული წყებები. ქვედა ცარცი აქ ნარმოდგენილია ზღვიური, ძირითადად ტერიგენული ან ნაწილობრივ ტერიგენულ-კარბონატული ფაციისებით, ხოლო ზედა ცარცი – კარბონატული და კაჟიანი წყებებით. აღსანიშნავია, რომ ზედა ცარცში აქ სხვა წყებებთან ერთად თეთრი სანერი ცარციც გვხვდება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ევროპის და ჩრდილო ამერიკის ამ ასაკის ნალექებისათვის და რომელიც ფართო ზოლის სახით გადაჭიმულია მთელ ევროპაში ინგლის-გერმანიიდან ურალამდე.

როგორც ქვედა-, ისე ზედაცარცული ნალექები ძალიან მდიდარია მრავალფეროვანი ნამარხი ორგანიზმებით, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას, არა მარტო განვსაზღვროთ მათი შემცველი ქანების ასაკი, არამედ აღვადგინოთ იმდროინდელი პალეოგეოგრაფიული სურათიც.

ასევე პლატფორმული ბუნებისაა **დასავლეთ ციმბირის ეპიცერციინული ბაქნის** ცარცული ნალექები. აქაც ზღვიურია როგორც ქვედა-, ისე ზედაცარცული,

ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქვედაცარცული ნალექები შედარებით ცივი კლიმატის პირობებშია დალექილი, ხოლო ზედასი – თბილი კლიმატის.

უფრო აღმოსავლეთით, **მონილეთში** უკვე კონტინენტურ ცარცულ წყებებთან გვაქვს საქმე, რომლებშიც მრავლადაა შემორჩენილი დინოზავრის თუ სხვა ხერხემლიანი ცხოველების ნაშთები.

**ჩრდილო ამერიკის კრატონის** პლატფორმულ ნაწილში ზღვიური ცარცული წყებების ფართო ზოლია განვითარებული. ბაქნის ჩრდილო მონაკვეთზე ტერიგენული ფაციესები დომინირებს ე.წ. **ბორეალური** („ბორეას“ – ჩრდილოეთის ცივი ქარის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში) შედარებით გრილი წყლის მოყვარული ბიოსით, ხოლო სამხრეთ მონაკვეთზე თბილი წყლის მოყვარული ფორმების შემცველი კარბონატულ-ტერიგენული წყებებია განვითარებული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცარცულის სულ ზედა ნაწილები აქ კონტინენტური ნახშირშემცველი წყებებით არის წარმოდგენილი, რომელშიც განამარხებული მცენარეები და დინოზავრების ძვლები გვხვდება. კონტინენტური წყებების გაჩენა უდავოდ ლარამული დანაოჭების „დამსახურება“.

**განდვანისზე** ქვედა ცარცი თითქმის ყველგან კონტინენტურია. ზღვიური ნალექები განვითარებულია აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში, მაღაგასკარის დასავლეთ ნაწილში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ინდოსტანის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაპირებზე, ავსტრალიის დასავლეთში, ანუ ძირითადად იმ ადგილებში, სადაც, როგორც ვიცით, იურულ პერიოდში რიფტოგენეზი მიდიოდა და ქერქი გაიხლიჩა.

რაც შეეხება ზედაცარცულს, ის მთელ გონდვანისზე (გამონაკლისი მხოლოდ ავსტრალია), ფაქტობრივად, მხოლოდ ზღვიური კარბონატული ან კარბონატულ-ტერიგენული ნალექებითაა დახასიათებული. ესეც გვიანცარცული გლობალური ტრანსგრესიის აშკარა დასტურია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცარცულ პერიოდში პლატფორმებზე ფართოდ იყო გავრცელებული ტრაპული ვულკანიზმი (ინდოსტანი, დასავლეთ აფრიკა, მადაგასკარი, სამხრეთ ამერიკა, ციმბირი).

მოძრავი სარტყელებიდან აღსანიშნავია **ხმელთაშუაზღვიური სარტყელი**, სადაც ცარცული წყებები რამდენიმე ზოლს ქმნიან. ამ თვალსაზრისით შეიძლება კვლავ კავკასია დავასახელოთ, კერძოდ კი კავკასიონი. კავკასიონის მეგანტიკულინორიუმის ჩრდილო ფერდზე ქვედა ცარცი მძლავრი (1100 მ), ფაუნით მდიდარი ტერიგენულ-კარბონატული ფაციესითაა წარმოდგენილი, ხოლო ზედა ცარცი ასევე ფაუნისტურად მდიდარი კირქვებითაა დახასიათებული. კავკასიონის სამხრეთ ფერდზე ცარცული ასაკის მძლავრი (50000 მ) ტერიგენულ-კარბონატული ფლიშია განვითარებული (ტიპური მოძრავი სარტყელის ანუ ოროგენული ფაციესი).

კავკასიონის სამხრეთ ფერდზე ცარცული ნალექების გაშიშვლება ჯვრის უღელტეხილზე იწყება და გრძელდება მდ. არაგვის ხეობაში ფასანაურის გავლით ანანურის მიდამოებამდე. აქ ცარცული წყებები ფლიშური ნალექებით არის წარმოდგენილი, ზოგადად ქვედაცარცული ტერიგენული ფლიშით, ხოლო ზედა – კარბონატული ფლიშით.

ქვევით გთავაზობთ ზედაცარცულის ჭრილს.

### კავკასიონის სამხრეთი ფერდის ზედაცარცულის ჭრილი

კვეტერის წყება – E<sub>1d</sub>

|                |                                 |                                                                                                                                                                                                                                                           |           |
|----------------|---------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| $K_{2m}$       | მაასტრიხტული                    | საბუეს (ორბიტოიდეებიანი) წყება –<br>მონაცრისფრო კირქვებისა და თხელ და<br>საშუალოშრეებრივი ფერადი მერგელების<br>მორიგეობა, ფუძეში კონგლომერატ-<br>ბრექჩიების დასტეპით. ნამარხებიდან<br>აღსანიშნავია: ორბიტოიდეები,<br>მიკროფონამირიფერები, ნანოპლანქტონი   | 25-300 მ  |
| $K_{2km}$      | კამპანური                       | ჯორჭის წყება – მარცვლოვანი<br>მოთეთრო-ლიანაცრისფერი კირქვების,<br>ფერადი მერგელების და კარბონატული<br>არგილიტების მორიგეობა. ნამარხი<br>ფაუნიდან აღსანიშნავია ინოცერამები და<br>მიკროფორამინიფერები                                                       | 40-150 მ  |
| $K_{2st}$      | სანტონური                       | ეშმაკისხევის წყება – ლითოგრაფიული<br>ტიპის თეთრი და ღია რუხი კირქვებისა<br>და მომწვანო-ნაცრისფერი, იშვიათად<br>მოვარდისფრო თხელშრეებრივი<br>მერგელების მორიგეობა. ნამარხებიდან<br>– ინოცერამები, მიკროფორამინიფერები,<br>ნანოპლანქტონი                    | 200-250 მ |
| $K_{2t_{2-k}}$ | ზედატურონულ-<br>კუნიაკური       | მარგალიტისკლდის წყება – წითელი და<br>ვარდისფერი კირქვების, მერგელებისა<br>და გრაველიტების მორიგეობა.<br>მაკროფაუნიდან აღსანიშნავია<br>ინოცერამები – <i>Inoceramus brongniarti</i> ,<br><i>I.inconstans</i> , რომელთა გვერდით არის<br>მიკროფორამინიფერებიც | 10-90 მ   |
| $K_{2s_2-t_1}$ | ზედასენომანურ-<br>ქვედატურონული | ანანურის წყება – გაკაჟებული ფიქლები,<br>ქვიშაქვები; შავი ფერის სილიციტები;<br>გაკაჟებული კირქვები, მერგელები,<br>ქვიშაქვები. წყების ზედა ნანილში<br>ნაპოვნია, <i>Inoceramus labiatus</i> , რომელიც<br>ქვედა ტურონის სახელმძღვანელო<br>ნამარხს წარმოადგენს | 25-140 მ  |

$K_{2s_1}$  ქვედა სენომანი

**უკულმართის წყება** – პოლიმიქტური  
ქვიშაქვების, არგილიტების, მერგელებისა  
და თიხა-ფიქლების მორიგეობა.  
ქანებში დაცულია როგორც მაკრო-,  
ისე მიკროფაუნა (Inoceramus crippsi,  
მიკროფორამინიფერები და სხვ.)

100-180 მ


ნავთისხევის (პავლეურის) წყება  $K_{1al}$

**ოროგენეზისი და პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.** ცარცული პე-  
რიოდი უაღრესად მნიშვნელოვანია ლითოსფერული ფილების მოძრაობის თვალ-  
საზრისით. ამ მოძრაობათა საფუძველზე მნიშვნელოვნად იცვლება დედამინის  
გარეგნული იერი. პანგეას დაშლის ფონზე გრძელდებოდა ინდოეთისა და ატლანტის  
ოკეანების ფორმირება. ადრეცარცულში ფართოვდება ცენტრალური ატლან-  
ტიკა. ამავე ეპოქაში ყალიბდება **სამხრეთი ატლანტიკაც.** ხოლო გვიანცარცულში  
ამ პროცესში ჩრდილო ატლანტიკაც ერთვება. სულ უფრო ფართოვდება ინდოე-  
თის ოკეანე. ადრეცარცულში ჩამოყალიბებას აგრძელებს ჩრდილო ყინულოვანი  
ოკეანის დეპრესიაც.

**გვიანცარცულში ძლიერდება გონდვანისის დესტრუქცია.** ცალკე გადის  
სამხრეთ ამერიკის კონტინენტი. ინდოსტანი გამოყოფილია აფრიკის, მადაგასკარის  
და ავსტრალიისაგან და ჩრდილოეთისაკენ მიიწევს. ასევე ჩრდილოეთით გადაადგილ-  
დება აფრიკაც. ორივე ეს გადაადგილება ხმელთაშუაზღვიური სარტყლის შევიწროე-  
ბას იწვევს. თითქმის ამავე მიმართულებით მოძრაობს ანტარქტიდა-ავსტრალიაც.  
დაშლას იწყებს ლავრაზიაც.

ამგვარად, ცარცული პერიოდის მიწურულს (დაახლოებით 65 მლნ. წლის წინ)  
დედამინა წარმოდგენილი იყო 5 კონტინენტით – **ლავრაზია, სამხრეთ ამერიკა, აფ-  
რიკა, ინდოეთი (ინდოსტანი)** და **ანტარქტიდა +ავსტრალია.**

**ატლანტის ოკეანე** სამხრეთით ანტარქტიდამდე იყო გასული, ხოლო ჩრდილო-  
ეთით ლავრაზიაში საქმაოდ ღრმად იყო შეჭრილი. **ინდოეთის ოკეანეს** იურულ პერი-  
ოდთან შედარებით აშკარად ეტყობოდა გაფართოება. **ოკეანე ტეთისი** ფართოდ  
იშლებოდა აღმოსავლეთ ნანილში, ხოლო დასავლეთ ნანილში ვინწო ზოლის სახით  
გაიდევნებოდა ევრაზიისა და აფრიკის კონტინენტებს შორის. წყნარ ოკეანეს არ  
შეუცვლია თავისი პოზიცია – კვლავ გარს უვლიდა კონტინენტებს (სურ. 21.11).



**სურ. 21.11.** კონტინენტებისა და ოკეანების განაწილება ცარცულისა და პალეოგენის  
საზოვარზე 65 მლნ. წლის წინ

(საფუძვლად აღებულია *Xanis* ს მიერ, 1997-ის პალეოგეოგრაფიული სქემა)

აღრე- და გვიანცარცული ეპოქების საზღვარზე განვითარდა ალპური ორო-  
გენეზისის საწყისი – **ავსტრიული ოროფაზისი**, რომელიც განსაკუთრებით ძლი-  
ერად ხმელთაშუაზღვიურ და აღმოსავლეთ წყნაროკეანურ სარტყლებში გამოვ-  
ლინდა, თუმცა მას მთათაწარმოშობა არ მოჰყოლია. ავსტრიულის მომდევნო, **სუბ-პერცინული ოროფაზისი** მიმდინარეობდა სანტონური და კამპანური საუკუნეების  
მიჯნაზე. ძლიერი დანაოჭება იყო ცარცული პერიოდის დასასრულს (**ლარამული ოროფაზისი**), რომელმაც აღმოსავლეთ წყნაროკეანური სარტყლის ჩრდილო  
ნაწილში (კანადა, აშშ) **კლდოვანი მთების** სახით ახალგაზრდა ნაოჭა სისტემა წარ-  
მოშვა. ამერიკულები ამ ოროფაზისს „ლარამულ რევოლუციასაკ“ უწოდებენ.

**კლიმატი.** ცარცულ პერიოდში კლიმატი დედამიწაზე თბილი და ტენიანი იყო. ეს განსაკუთრებით გვიანცარცულ ეპოქაზე ითქმის, როდესაც ძალიან მცირე იყო ტემპერატურული განსხვავება ეკვატორულ სარტყელსა და მაღალ განედებს შორის. გ. ლოუენსტამის მიხედვით სენომანურ, სანტონურ და მაასტრინისტულ საუკენეებში ზღვის ზედაპირზე წყლის ტემპერატურა პოლარულ წრესთან ისეთივე იყო,

როგორც სუბტროპიკულ სარტყელში, ხოლო იმავე სანტონურში სიღრმეში წყლის ტემპერატურა  $+16-17^{\circ}\text{C}$ -ს შეადგენდა. სხვა მონაცემებით, გვიანცარცულ ეპოქაში ზღვის წყლის ტემპერატურა გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს – საშუალო განედზე  $10^{\circ}$ -ით მეტი, ეკვატორზე  $3-5^{\circ}$ -ით, პოლუსებზე –  $8^{\circ}$ -ით, ხოლო ფსკერზე –  $8-10^{\circ}$ -ით.

მიუხედავად თითქმის ერთგვაროვანი პირობებისა, ცარცულში მეტ-ნაკლებად კარგად იყო გამოხატული კლიმატური სარტყლები (ეკვატორული, ტროპიკული, სუბტროპიკული, ზომიერი).

#### 21.2.4. დედამინის გეოლოგიური განვითარების მეზოზოური ისტორია

ეს ისტორია, როგორც წინა შემთვევებში, ფაუნისა და ფლორის ევოლუციური განვითარებით უნდა დავიწყოთ. ზოგადად უნდა ითქვას, რომ პალეოზოურ ერასთან შედარებით, მეზოზოურში გაცილებით მაღალ განვითარებას მიაღწიეს როგორც უხერხემლო და ხერხემლიანმა ცხოველებმა, ისე მცენარეებმა (განსაკუთრებით უმაღლესმა მცენარეებმა).

**უხერხემლო ცხოველებიდან** პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თავ-ფეხიანების კლასში შემავალი ამონიფები ანუ ამონიტები. როგორც ვიცით, ამონიტები დევონურ პერიოდში გაჩნდნენ, თუმცა განვითარების მაღალ დონეს მეზოზოურში, განსაკუთრებით იურულ და ცარცულ პერიოდებში მიაღწიეს. ცარცულის ბოლოს კი (უფრო ზუსტად, ცარც-პალეოგენის საზღვარზე, 65 მლნ. წლის წინ) ისინი მთლიანად გადაშენდნენ. ამონიტების მსგავსად მეზოზოურ ზღვებში „ბატონობდნენ“ **ბელემნიტები** (ამონიტების მონათესავე ორგანიზმები). მეზოზოურში დიდ განვითარებას მიაღწიეს **ექსეიმიანმა მარჯნებმა (ჰექსაკორალებმა)**, რომელთა პირველი წარმომადგენლები ტრიასულის დასაწყისში გაჩნდნენ (მათ მემკვიდრეობით ჩაანაცვლეს პალეოზოურის მიწურულს გადაშენებული ოთხქიმიანი მარჯნები – ტეტრაკორალები). ჰექსაკორალები მეზოზოურში (განსაკუთრებით იურულ და ცარცულ პერიოდებში) რიფის მშენებლებადაც გვევლინებოდნენ. მეზოზოურის წამყვან ჯგუფთა შორის, ამონიტებისა და ბელემნიტების გვერდით უნდა დავასახელოთ ორსაგდულიანი მოლუსკების ცნობილი წარმომადგენლები – **ინოცერამები**. იურულ-ცარცულში ევოლუციის მაღალ დონეს გვიჩვენებენ **ექინოიდები** (განსაკუთრებით ე.წ. არანესიერი ექინოიდები). მთელი მეზოზოური ერის განმავლობაში ვითარდებოდა უხერხემლო ცხოველთა ყველა ზემოთ არდასახელებული ტიპის წარმომადგენლები (ფორამინიფერები (პროტოზოებიდან), რუდისტები (მოლუსკებიდან), ხავსცხოველები, მხარფებიანები და სხვ.).

**ხერხემლიანი ცხოველებიდან** მეზოზოურის წამყვანი ჯგუფი ქვენარმავლები (რეპტილიები) იყო. მათგან პირველ რიგში დინოზავრები უნდა დავასახელოთ. მათ გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ზღვაში მცხოვრები იქთიოზავრები და პლეზიოზავრები, ცაში „მონაგარდე“ პტეროზავრები (ე.წ. მფრინავი ხვლიკები). მეზო-

ზოურშივე (იურულის დასასრულს) ჩნდება პირველი ფრინველი არქეოპტეერიქსის სახით. მეზოზოურში კარგად გრძნობდნენ თავს ხერხემლიანთა სხვა კლასების (უყბონი, თევზები, ამფიბიები, ძუძუმწოვრები) წარმომადგენლები, განსაკუთრებით – თევზები.

**მცენარეებიდან** განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ **შიშველთესლიანები** (გინკგოები, წინვოვანები, ბენეტიტისნაირნი, საგოვანები). როგორც ვიცით, შიშველთესლიანები უმაღლეს მცენარეებს მიეკუთვნება. მათგან განსხვავებით უმდაბლესი მცენარეებიდან მეზოზოურ ზღვებში გვხვდებოდნენ **ნანოპლანქტონის (ჯუჯა პლანქტონი)** წარმომადგენლები – **კოკოლითოფორიდები**.

ამდენად, მეზოზოური დროის **ზღვებში** ბატონობდნენ **ამონიტები** (უხერხემლო ცხოველებიდან) და **კოკოლითოფორიდები** (უმდაბლესი მცენარეებიდან), ხოლო **ხმელეთზე – ქვენარმავლები** (ხერხემლიანი ცხოველებიდან) და **შიშველთესლიანები** (უმაღლესი მცენარეებიდან).

**ოროგენეზისის** თვალსაზრისით მეზოზოური მაინცდამაინც აქტიურ ერად ვერ ჩაითვლება. თუმცა ამ ერის ტრიასულ და იურულ პერიოდებში განვითარდა **კიმერიული ოროგენეზისი**, რომლის უძველესმა ოროფაზისმა (ძველკიმერიული, იგივე ინდოსინიური) განაპირობა მთათა წარმოშობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო უახლესმა (ახალკიმერიული ანუ ნევადური) – ჩრდილო ამერიკის კორდილიერების ზოლში. ცარცულში იწყებს განვითარებას ყველაზე ახალგაზრდა – **ალპური ოროგენეზისი**.

ერთობ საინტერესოა **პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა** მეზოზოური ერის განმავლობაში. გავიხსენოთ, რომ პალეოზოურის დასასრულს დედამინაზე არ-სებობდა **ერთიანი კონტინენტი – პანგეა 3.** ეს კონტინენტი მერიდიონალურად იყო გადაჭიმული ჩრდილო პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე. იმავდროულად ის ერთგვარად „შეზნექილი“ იყო დასავლეთი მიმართულებით ოკეანე ტეთისის აღმოსავლეთ ნანილში, რაც ნიშნავს იმას, რომ **დასავლეთ ტეთისი** (ყოფილი არდენებისა და ბრეტან-ბოჰემიის ზოლები) პრაქტიკულად აღარ არსებობდა. დარჩა მხოლოდ **აღმოსავლეთ ტეთისი**, რომელიც აღმოსავლეთი მიმართულებით თანდათან ფართოვდებოდა და მაქსიმუმს აღწევდა წყნარ ოკეანესთან უშუალო კონტაქტის ზოლში.

მთელი ტრიასული და **ადრეიურული დროის განმავლობაში** პანგეა 3-ის იერ-სახე არ შეცვლილა. მართალია, ამ ხნის განმავლობაში სიღრმული რღვევების განვითარების ბევრი შემთხვევა იყო გამოვლენილი, მაგრამ ამ რღვევებს დედამინის ქერქი (ან საერთოდ ლითოსფერო) არ დაუყვითა ცალკეულ ნაწილებად, რამაც განაპირობა კიდეც დედამინის ერთიანობა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია შუა- და, განსაკუთრებით, გვიანიურულ პერიოდებში. ჯერ „გაიხსნა“ ახლანდელი ატლანტის ოკეანის ცენტრალური ნაწილი, რით-აც ფორმირება დაიწყო ატლანტის ოკეანემ. ცოტა მოგვიანებით (გვიანიურული) მას „მიბაძა“ ინდოეთის ოკეანემაც. შეიძლება ითქვას, რომ **გვიანიურული დროისათვის** დედამინაზე იყო ოთხი კონტინენტი: **ლავრაზია, სამხრეთ ამერიკა + აფრიკა**

(ერთად), ანტარქტიდა+ავსტრალია (ერთად) და ინდოსტანი. ოკეანეებიდან: ატ-ლანტის (მხოლოდ ცენტრალური ნაწილი), ინდოეთის (სამხრეთ ამერიკა+აფრიკის, ანტარქტიდა + ავსტრალიის და ინდოსტანის კონტინენტებს შორის), ტეთისის, რომელიც პრაქტიკულად განედურად იყო გადაჭიმული ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ კიდედან წყნარი ოკეანის დასავლეთ კიდემდე და ლავრაზიას ყოფდა ეკვატორის სამხრეთით მდებარე კონტინენტებისაგან (სამხრეთ ამერიკა+აფრიკა, ინდოსტანი, ანტარქტიდა+ავსტრალია).

ცარცულის მინურულს (უფრო ზუსტად ცარც-პალეოგენის საზღვარზე) სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის კონტინენტები საბოლოოდ განცალკევდნენ მათ შორის ატლანტის ოკეანის განთავსების გამო. ატლანტის ოკეანე ჩრდილო მიმართულებითაც წავიდა და ნაწილობრივ (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ) გაკვეთა ლავრაზია. მსგავსად ატლანტის ოკეანისა, სულ უფრო ფართოვდებოდნენ ინდოეთისა და ტეთისის ოკეანები. ცარც-პალეოგენის საზღვარზე დედამიწაზე იყო ხუთი კონტინენტი: ლავრაზია, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ინდოსტანი და ანტარქტიდა+ავსტრალია. ყველა კონტინენტს გარს კვლავ წყნარი ოკეანე უვლიდა.

**კლიმატი.** კლიმატი ტრიასულ, იურულ და ცარცულ პერიოდებს შორის საკმაოდ განსხვავებული იყო. **ტრიასულში** ცხელი კლიმატი დომინირებდა. იმავდროულად მცირე იყო ტემპერატურის სხვაობა ეკვატორსა და პოლუსებს შორის. გამოიყოფოდა არიდული (მშრალი) და ჰუმიდური (ტენიანი) ზონები. ექსტრაარიდულ ზონებში უდაბნოების ფორმირება მიმდინარეობდა (უდაბნოს პირობები იყო ჩრდილო ამერიკის, ევროპის, ჩრდილო აფრიკის, არაბეთის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ ამერიკისა და ავსტრალიის ტერიტორიებზე).

იურულ პერიოდში ტრიასულისაგან განსხვავებული, თბილი და ტენიანი კლიმატი იყო, რამაც ზღვებში კარბონატული ნალექდაგროვება გაააქტიურა; ზღვებისა და ხმელეთის გარდამავალ ზონებში კი აქტიურად მიმდინარეობდა ნახშირიანი წყებების ფორმირება.

კლიმატური ზონალობის თვალსაზრისით იურულ პერიოდში გამოიყოფოდა ეკვატორული, ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყელები.

**ცარცულ პერიოდში,** მსგავსად იურულისა, თბილი და ტენიანი კლიმატი იყო. ეს განსაკუთრებით გვიანცარცულ ეპოქას ეხება. მცირე იყო ტემპერატურული სხვაობა ეკვატორულსა და მაღალ განედებს შორის (მაგალითად, სენომანურ, სანტიონურ და მაასტრიხტულ საუკუნეებში ზღვის ზედაპირზე პოლარული სარტყელის ტემპერატურა სუბტროპიკულის იდენტური იყო.

მსგავსად იურული პერიოდისა, ცარცულშიც გამოიყოფოდა: ეკვატორული, ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყელები.

**ტრიასულში** დედამიწის უმეტეს ნაწილში ქერქის აზევება ანუ ხმელეთწარმოქმნა მიმდინარეობდა, მაშინ როცა **იურულსა** და **ცარცულში**, პირიქით, დაძირვა სჭარბობდა აზევებას. სწორედ ამ მიზეზის გამო, ტრიასულ პერიოდს გეოკრატულს უწოდებენ, ხოლო იურულ და ცარცულ პერიოდებს – **თალასოკრატულს** (ბერძნ. თალასა – ზღვა).

## 21.2.5. მეზოზოურის წიაღისეული

მეზოზოურის წიაღისეული საკმაოდ მრავალფეროვანია.

**ნაგთობის** საბადოები მთელ მეზოზოურშია „გაფანტული“. ტრიასულია ალჟირის, კანადის, რუსეთის, ავსტრალიის, ალასკის საბადოები, იურული – საუდის არაბეთი, რუსეთი, თურქმენეთი და ნორვეგია; ცარცული – ლიბია, ქუვეითი, ნიგერია, გაბონი, კანადა, აშშ.

**გაზი** – იურული – რუსეთი; ცარცული – ლიბია, ქუვეითი, ნიგერია, გაბონი, კანადა, რუსეთი.

**ქვანახშირი** – ტრიასული – ჩინეთი, ავსტრალია, რუსეთი; იურული – საქართველო, ჩინეთი, ავსტრალია, რუსეთი; ცარცული – აშშ, რუსეთი.

**ფოსფორიტები** – ცარცული – მაროკო, სირია, რუსეთი.

**ბოქსიტები** – იურული – რუსეთი; ცარცული – საფრანგეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, ირანი

**რკინა** – ტრიასული – რუსეთი; იურული – საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, რუსეთი, პოლონეთი; ცარცული – რუსეთი.

**სპილენდი** – ტრიასული – ავსტრალია, რუსეთი; იურული – სომხეთი.

**ტყვია-თუთია** – ტრიასული – ავსტრალია; იურული – ინდონეზია, აშშ, რუსეთი; ცარცული – აშშ, რუსეთი.

**ოქრო** – ტრიასული – ავსტრალია; იურული – რუსეთი, ინდონეზია, აშშ; ცარცული – აშშ, რუსეთი.

**ვერცხლი** – ტრიასული – ავსტრალია; იურული – რუსეთი, ინდონეზია, აშშ.

**ალმასი** – ცარცული – სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი.

**ურანი** – ტრიასული – აშშ.

**ვოლფრამი** – იურული – რუსეთი, ინდონეზია, აშშ; ცარცული – ჩინეთი, კორეა.

**კალა** – ტრიასული – ავსტრალია; იურული – რუსეთი, ინდონეზია, აშშ; ცარცული – აშშ, მალაიზია, რუსეთი, ტაილანდი, ინდონეზია, ჩინეთი, კორეა.

**ნიკელი და კობალტი** – ტრიასული – რუსეთი.

## 21.3. კაინოზოური ერა

კაინოზოური ერა (ახალი სიცოცხლის ხანა) დაიწყო 65 მლნ. წლის წინ და გრძელდება დღესაც. ის სამი პერიოდისაგან შედგება: ჰალეოგენური, ნეოგენური და ანთოპოგენური (მეოთხეული).

კაინოზოური ერა მრავალმხრივ არის საინტერესო. თუმცა უპირველესად ეს ეხება ალპურ ოროგენეზისა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა დედამიწის იერსახე. ეს უკანასკნელი კი მთელი კაინოზოური ერის განმავლობაში თანდათან იცვლებოდა, ვიდრე არ მიიღო თანამედროვე იერი.

### 21.3.1. პალეოგენური პერიოდი – E

პალეოგენური პერიოდი ყველაზე ადრეულია კაინოზოურ ერაში, ამავე დროს ყველაზე ხანგრძლივი – ის გრძელდებოდა 40 მლნ. წლის განმავლობაში – დაიწყო 65 მლნ. წლის წინ და დასრულდა 25 მლნ. წლის წინ. პალეოგენი მოიცავს სამ ეპოქას: პალეოცენს (65-55 მლნ. წ.), ეოცენსა (55-35 მლნ. წ.) და ოლიგოცენს (35-25 მლნ. წ.).

**ცოცხალი ბუნება.** პალეოგენით იწყება ახალი ერა დედამინაზე. როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, პალეოგენის საზღვარზე, 65 მილიონი წლის წინ, ორგანულ სამყაროში მოხდა დიდი გადაშენება, რომლის შედეგადაც ჩაესვენა მზე მეზოზოური განვითარებისა და დასაბამი მიეცა სიცოცხლის ევოლუციის კაინოზოურ ეტაპს. ყველაფერი ეს ნათლად ჩანს მცენარეთა და ცხოველთა სამეფოების განვითარებაში. მცენარეებიდან მეზოზოურ ერაში დომინანტი შიშველთესლიანების ნაცვლად ხმელეთს ეუფლებიან ფარულთესლიანები (შიშველთესლიანი მცენარეებიდან მრავალ-ფეროვნება მხოლოდ წინვოვანებს შემორჩათ). დიდი ცვლილებები ხდება ცხოველთა სამეფოშიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარე-მოება, რომ ცარც-პალეოგენის (იმავე მეზოზოურ-კაინოზოურის) საზღვარი ვერ გა-დაკვეთეს მეზოზოური ფაუნის როგორც უხერხემლოთა, ისე ხერხემლიანთა ისეთმა მაღალგანვითარებულმა ჯგუფებმა, როგორებიც იყვნენ: ამონიტები, ბელემნიტები, ინოცერამები, რუდისტები, იხტიოზავრები, პლეზიოზავრები, მოზაზავრები, დინო-ზავრები, პტეროზავრები (ე.წ. „მფრინავი ხვლიკები“) და კიდევ სხვა. პალეოგენში მათი ჩანაცვლება მოხდა ბევრი სხვა ჯგუფით, რომელთაგან განსაკუთრებით აღ-სანიშნავია ორსაგდულიანი და მუცელფეხიანი მოლუსკები (უხერხემლოებიდან) და ძუძუმწოვრები (ხერხემლიანებიდან). მუცელფეხიანმა მოლუსკებმა (გასტრო-პიდებმა) არათუ წყლიანი გარემო (ზღვები და ოკეანები, ლაგუნები, მდინარეები, ტბები და ჭაობები) დაიპყრეს, არამედ საკუთრივ ხმელეთზეც კი დაიდეს ბინა. პა-ლეოგენში ევოლუციის ისეთ მაღალ დონეს მიაღწიეს როგორც პლანქტონურმა, ისე ბენთოსურმა ფორამინიფერებმა, რომ მეცნიერებმა ამ პერიოდს განვითარების თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული ჯგუფის – ნუმულიტების ეპოქა უწოდეს.

**მცენარეთა** სხვა ჯგუფებიდან განვითარების ტემპს ინარჩუნებდნენ ერთუ-ჯრედიანი მიკროსკოპული ოქროსფერი წყალმცენარეები – კოკოლითოფორიდები, რომელთაც ზღვიური აკვატორიები ეკავათ. ხმელეთის ფლორიდან განვითარებას განაგრძობდნენ ფარულთესლიანები – ტროპიკულსა და სუბტროპიკულ ტყეებში წამყვანი ადგილი ეკავათ: პალმას, ფიკუსს, მაგნოლიას, გიგანტურ სეკვოიას, კვიპ-აროსს. შედარებით ზომიერ კლიმატს წარმოაჩენდნენ: მუხა, წიფელი, წაბლი, ალვის ხე, არყი და ბევრი სხვა.

**უხერხემლო ცხოველებიდან,** ზემოთ დასახელებული ჯგუფების გარდა (ორ-საგდულიანი და მუცელფეხიანი მოლუსკები, ფორამინიფერები), განვითარებას გა-ნაგრძობდნენ ლრუბლები, ექვსქიმიანი მარჯნები, ხავსცხოველები, ფეხსახსრიანე-

ბი (ოსტრაკოდები, კიბოები, კრევეტები). ბრაქიოპოდები, არანესიერი ექინოდეები. ყველა ამ ჯგუფს ზღვიური აკვატორია ეკავა (ფეხსახსრიანებს – ნაწილობრივ).

**ხერხემლიანი ცხოველებიდან პალეოგენურ ზღვებში განსაკუთრებით კარგად გრძნობდნენ თავს ძვლიანი თევზები, ნაკლებად კომფორტულად – ხრტილიანი თევზები (მაგალითად, ზვიგენისმაგვარნი). ზღვებში გამოჩნდნენ ვეშაპების უძველესი წარმომადგენლები – დელფინები, სირენები.**

პალეოგენურ პერიოდში ძირეული ცვლილებები მოხდა **ხმელეთის ფაუნაში**. მთელი მეზოზოური ერის განმავლობაში ხმელეთის ბატონ-პატრონი ქვენარმავლებიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ ნიანგები, ხვლიკები, გველები და კუ თუ შემორჩა. მათ გვერდით ამფიბიებიდან იყვნენ გიგანტური სალამანდრები, ბაყაყები, გომბე-შოები. ცაში ბატონობდნენ ფრინველები.

მრავალფეროვანი იყო ძუძუმწოვართა ფაუნა – მღრღნელები, მტაცებლები, კენჭჩლიქიანები, წყვილჩლიქიანები, კურდღლისმაგვარნი, მწერიჭამიები. ოლიგოცენურ ეპოქაში გამოჩნდა იმ დროის ყველაზე დიდტანიანი ძუძუმწოვარი, **ინ-დრიკოთერიუმი** – უძველესი მარტორქების წარმომადგენელი (რომელიც სიმაღლეში 5 მეტრს აღწევდა). ოლიგოცენშივე გაჩნდნენ ლორები, აქლემები, ირმები.

პალეოგენის დასაწყისიდან გვხვდებიან პრიმატების ყველაზე პრიმიტიული წარმომადგენლები – **ლემურები**, რომლებიც ნახევრად მაიმუნებად იწოდებიან. ნამდვილი მაიმუნები კი **ანთროპოიდების** სახით ეოცენის მიწურულს გაჩნდნენ. ამავე დროისაა პირველი ხორთუმიანები (მასტოდონტი, დინოთერიუმი) და ჩანთოსნები. ამ უკანასკნელთაგან ცნობილია როგორც მცენარეებით მკვებავი, ისე მტაცებელი ფორმები.

### პალეოგენის დანაწილება

| სისტემა        | სექცია                      | სართული    |
|----------------|-----------------------------|------------|
| პალეოგენი<br>E | ოლიგოცენი<br>E <sub>3</sub> | ქატური     |
|                |                             | რუპელური   |
|                | ეოცენი<br>E <sub>2</sub>    | პრიაპონული |
|                |                             | ბარტონული  |
|                |                             | ლუტეციური  |
|                |                             | იპრული     |
|                | პალეოცენი<br>E <sub>1</sub> | თანეტური   |
|                |                             | ზელანდიური |
|                |                             | დანიური    |

**ფაციესები.** პალეოგენური პერიოდი, მსგავსად ცარცულისა, შედარებით მშვიდ პერიოდად მოიაზრება. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ერთი-ორი ორო-ფაზისის ფონზე ამ პერიოდში ზოგადად დაძირვითი ტენდენციებია მოჭარბებული. დაძირვითი ტენდენციების დომინირება კარგად აისახა ნალექდაგროვებაშიც, რამ-დენადაც სახეზეა დიდი სიჭარბე ზღვიური ნალექებისა, რომელშიც ვევდებით რო-გორც ეპიკონტინენტურ-ზღვიურ, ისე ღრმა ზღვის ანუ ოროგენულ (იმავე მოძრავი სარტყელის) ფაციესებს. ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ პალეოგენური პერიოდი ხა-სიათდება ორი ტიპის ფაციესით – პლატფორმული და ღრმა ზღვის.

პლატფორმული ტიპის ფაციესი გავრცელებული იყო იმ დროს არსებულ ყველა კონტინენტზე (ჩრდილო ამერიკა, ევრაზია, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ინდოსტანი, ანტარქტიდა, ავსტრალია). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ევრაზიის კონტინენტი, კერძოდ ამ კონტინენტის ევროპული ნაწილი (პალეოგენური სისტემა პირველად ხომ სწორებ ევროპაში იქნა გამოყოფილი).

როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, ჰერცინული ოროგენეზისის შედეგად წარმოშობილ ევრაზის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში (ანუ ევროპის კონტინენტურ პლატფორმაზე) ტრიასულის მიწურულიდან ან იურულის დასაწყისიდან რამდენიმე პლატფორმული დეპრესია განვითარდა. ეს დეპრესიები პალეოგენური პერიოდის განმავლობაში ეკავა ეპიკონტინენტურ, არალრმა ზღვას, სადაც პლატფორმული ტიპის ფაციესთა ფორმირება მიმდინარეობდა (ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პარიზის აუზი).

## პარიზის აუზის ჭრილი

|                                     |                                                                                                                                                                                                                                     |
|-------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ქატური<br>a                         | <b>ტბიური ნალექები</b> – კირქვები (ნამარხებიდან Helix და<br>სხვ.)                                                                                                                                                                   |
| E <sub>3</sub><br><br>რუპელური<br>r | <b>ზღვიური ნალექები</b> – ფონტენებლოს ქვიშები<br>და ქვიშაქვები, რომლებიც შეიცავენ საკმაოდ<br>მრავალფეროვან მოლუსკურ (ორსაგდულიანი<br>მოლუსკები, იგივე ბივალვიები) ფაუნას – Pectunculus,<br>Cyrena და სხვა.<br>ოსტრუქციანი მერგელები |

|                |   |                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|----------------|---|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                |   | ლაგუნური ფაციესი – თაბაშირიანი წყება (ე.ნ.<br>„მონმარტრის თაბაშირები“);<br>ზღვიური ფაციესი – ფოლადომიანი შრეები;                                                                                                                                                                                                |
|                | b | ტბიური ნალექები – Planorbis (გასტროპოდი)და სხვა<br>ფაუნა(განმარილიანებული აუზი)<br>ზღვიური ნალექები – მსხვილმარცვლოვანი<br>კირქვები(„ტლანქი კირქვები“ [შიგ – Nummulites<br>laevigatus და სხვა ნუმულიტები, ექინოდეები,<br>ბივალვიები (ორსაგდულიანი მოლუსკები),<br>გასტროპოდები(მუცელფეხიანი მოლუსკები) და სხვ.]. |
| E <sub>2</sub> | i | ზღვიური ფაციესი – კიზის კირქვები (sable de<br>Cuisse) თბილი ზღვის ფაუნით (Nummulites planulatus,<br>სქელნიუარიანი გასტროპოდები);<br>ლაგუნურ-კონტინენტური ნალექები – უმეტესად<br>პლასტიური თიხები;                                                                                                               |
|                | t | ზღვიური ნალექები – ე.ნ. ბრაშოს კირქვები [შიგ<br>ბივალვიები(Venericardia, Ostrea, Cucullea crassatina,<br>ასტრატიდები, ციპრინიდები), კოლონიური მარჯნები,<br>კირქვიანი წყალმცენარეები                                                                                                                             |
| E <sub>1</sub> | z | ზღვიური ნალექები – პიზოლითური კირქვები (იგივე<br>ლითოთამნიუმიანი კირქვები), ზედა ნანილში: Turritella<br>montensis, Cerithium, Lima; მარჯნები, ზღვის ზღარბები,<br>Lithothamnium (ნითელი წყალმცენარე)                                                                                                             |
|                | d | ოსტრაკუდები, ლითოთამნიუმები, თავფეხიანი<br>Hercoglossa danica                                                                                                                                                                                                                                                   |

ზედაცარცული – K<sub>2</sub> km<sub>2</sub>-m<sub>1</sub>

წყებათა ჰორიზონტული განლაგება, მცირე სიმძლავრეები, მაგმური და  
მეტამორფული ქანების არარსებობა აშკარად მიუთითებს წყებათა კომპლექსის  
პლატფორმულ ბუნებაზე.

ოროგენული ტიპის ფაციესების ფორმირება იმ დროს არსებულ მოძრავ სარ-  
ტყლებში ხდებოდა. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითად შეიძლება მცირე კავკასიონის  
ნაოჭა სისტემაში შემავალი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ამგები პალეოგენური  
ნალექები გამოდგეს.

წყებათა ჯამური სიმძლავრე ასეული მეტრები

**ბორჯომ-ბაკურიანის განზოგადებული ჭრილი**

|                                                          |                                     |                                                                                                                                                                                                                  |                   |
|----------------------------------------------------------|-------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
| E <sub>3</sub>                                           | ოლიგოცენი                           | <b>მაიკოპის სერია:</b> შოკოლადისფერი თიხები<br>იაროზიტით, თაბაშირით და თევზის<br>ქერცლებით                                                                                                                       | 400 გ             |
| E <sub>2</sub> <sup>3</sup>                              | ზედა ეოცენი                         | ქვიშაქვები და თიხები;                                                                                                                                                                                            | 300-500 გ         |
| E <sub>2</sub> <sup>2</sup>                              | შუა ეოცენი                          | ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაცია –<br>ფერადი ტუფოგენების, სქელშრეებრივი<br>ტუფბრექჩიების, ტუფქვიშაქვების, ლავების,<br>ანდეზიტების, კარბონატული ტუფებისა და<br>მერგელების მორიგეობა (წუმულიტებით და<br>სხვა ფაუნით) | 6000 გ            |
| E <sub>1</sub> <sup>2</sup> -E <sub>2</sub> <sup>1</sup> | შუა<br>პალეოცენ-<br>ქვედა<br>ეოცენი | მერგელოვანი თიხების, მერგელების, კირქვიანი<br>ქვიშაქვების და მერგელოვანი კირქვების<br>მორიგეობა – ე.წ. „ბორჯომის ფლიში“                                                                                          | 1700 გ            |
| E <sub>1</sub> <sup>1d</sup>                             | დანიური                             | ფერადი მერგელების წყება<br>ნაუტილუიდეებისა (Eutrephoceras bellerophon) და<br>ექინოდეების (Echinocorys renngarteni, E.edhemi,<br>Coraster sphaericus, Orthaster moskvini, Homoeaster<br>abichi) მდიდარი ფაუნით    | ათეული<br>მეტრები |

ყველა ნიშანი [წყებათა დიდი სიმძლავრეები (ჯამური სიმძლავრე 9000 მეტრამდე არის), ინტენსიური დანაოჭება, მაგმური ქანები] ოროგენში ნალექდაგროვებაზე მიუთითებს.

**ოროგენეზისი (მთათანარმოშობა)** და **პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა**. პალეოგენურ პერიოდში ყველა თანამედროვე კონტინენტი თითქმის განცალკევებული იყო. მხოლოდ ჩრდილო ამერიკა და ევრაზია არ იყო გათიშული ბოლომდე, ე.ი. სრულად არ იყო ჩამოყალიბებული ატლანტის ოკეანე. სახეზე იყო ოთხივე თანამედროვე ოკეანე. „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთს“, როგორც წინა პერიოდში, ერთმანეთისგან ყოფდა ოკეანე ტეთისი, რომლის ფარგლებშიც მოთავსებული იყო ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელი. მეორე მოძრავი სარტყელი (წყნაროკეანური) გარს უვლიდა წყნაროკეანისპირა კონტინენტებს – ევრაზიისა და ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროებს (სარტყლის დასავლური ზოლი) და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროებს (სარტყლის აღმოსავლური ზოლი).

ამგვარად, პალეოგენური პერიოდის დასასრულს (დაახლოებით 25 მლნ. წლის წინ) დედამიწაზე იყო 6 კონტინენტი: ლავრაზია (ჩრდილო ამერიკა + ევრაზია), სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ინდონეზიანი (ინდოეთი), ავსტრალია და ანტარქტიდა. აღსანიშნავია, რომ ინდონეზიანი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ჩრდილო ნახევარსფეროში განთავსებულ ლავრაზიას აზიურ ნაწილს. ფაქტობრივად, ყველა კონტინენტის უდიდესი ნაწილი ხმელეთს წარმოადგენდა. თუმცა ზოგან, უმეტეს


შემთხვევაში კონტინენტების პერიფერიულ ნაწილებში, ზღვიური გარემო იყო. აზევებული იყო, მაგალითად, **ევრაზია**.

ყოფილი გონდვანისის კონტინენტებზეც მთელი პალეოგენი უმეტესად კონტინენტურია.

ხმელთაშუაზღვიური მოძრავი სარტყელი პალეოცენ-ეოცენის განმავლობაში ერთგვარად განცალკევებული ზღვიური აუზების სისტემა იყო, რომლებიც ერთმანეთისაგან მთათაშუა მასივებით იყო გათიშული. მძლავრმა ეოცენურმა ჭრანს-გრესიამ ეს აუზები კიდევ უფრო გააღრმავა, სადაც უმეტესად ოროგენული ტიპის ნალექდაგროვება მიდიოდა.

**პირენეული ოროფაზისის შემდეგ**, რომელიც ეოცენისა და ოლიგოცენის საზღვარზე განვითარდა, ტეთისის დასავლეთ ნაწილში ზღვის ორი ზოლი შემორჩა მხოლოდ – **ხმელთაშუაზღვიური** (დასავლეთ ნაწილში) და **პარატეთისი** (აღმოსავლეთ ნაწილში) (სურ. 21.12.). პარატეთისმა განვითარება დაიწყო აღპების, კარპატების, დინარიდების და სხვა ახალგაზრდა ნაოჭა მთების მთისწინა და მთათაშუა დეპრესიებში. ის აღპებიდან აღმოსავლეთით გაიდევნებოდა და მოიცავდა პანონურ, ვალახურ და პონტო-კასპიურ აუზებს.

პალეოგენში გრძელდებოდა ჯერ კიდევ ცარცულ პერიოდში დაწყებული ყველაზე ახალგაზრდა ოროგენეზისი (დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში ცნობილ ოროგენეზისთა შორის) – **ალპური ოროგენეზისი**.



სურ. 21.12. კონტინენტებისა და ოკენეების განაწილება ეოცენურ ეპოქაში  
55-35 მლნ. წლის წინ

(საფუძვლად აღებულია Xauh u dr., 1997-ის პალეოგეოგრაფიული სქემა)

**კლიმატი.** პალეოცენ-ეოცენში თბილი კლიმატი იყო. გამოიყოფოდა ეკვატორული, ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყელები. განსაკუთრებით თბილი იყო ეოცენური ეპოქა, რამაც ტროპიკულ-სუბტროპიკული სარტყელის საზღვრების პოლუსებისაკენ მიგრაცია გამოიწვია. ასევე პოლუსებისაკენ გადაიწიეს სითბოს მოყვარულმა ისეთმა ორგანიზმებმა, როგორებიც იყვნენ მარჯნები და ნუმულიტები. ამავე მიმართულებით მოხდა აგრეთვე კარბონატული ნალექდაგროვების „მიგრაციაც“. **ოლიგოცენში,** პირიქით, გლობალური აცივებაა, ალბათ, ხმელეთის აზევებით გამოწვეული. აცივება იმდენად შორს წავიდა, რომ ანტარქტიდაზე გამყინვარებაც კი დაიწყო.

### 21.3.2. ნეოგენური პერიოდი – N

ნეოგენური პერიოდი დაიწყო 25 მლნ. წ. წინ და დასრულდა 2.5 მლნ. წ. წინ. ის მოთავსებულია პალეოგენურ და ანთროპოგენურ (მეოთხეულ) პერიოდებს შორის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე არ არსებობს ნეოგენის სტრატიგრაფიული დანაწილების (სართულებად დანაწილების) ერთიანი სქემა. მარტო ევროპაში ამგვარი სამი სქემა „მუშაობს“. ეს სავსებით გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მთელი ნეოგენი ალპური ოროგენეზისის დამაგვირგვინებელი ეტაპია. ამან კი განაპირობა ნეოგენში ნალექდაგროვების ერთიანი აუზების არარსებობა. ნეოგენურ პერიოდში პატარ-პატარა, პრაქტიკულად ურთიერთგანმხოლებული აუზები იყო, რომლებშიც მცხოვრები ფაუნა (და ფლორაც) ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ შეუძლებელია მათი მეშვეობით ცალკეულ აუზთა ნალექების ერთმანეთთან შეპირისპირება (კორელაცია).

ნეოგენი ორ სექციად იყოფა: **მიოცენი (N<sub>1</sub>)** და **პლიოცენი (N<sub>2</sub>)**. მიოცენში სამი ქვესექცია გამოიყოფა – ქვედა, შუა და ზედა, ხოლო პლიოცენში ორი – ქვედა და ზედა.

ზემოთ ხსენებული ნეოგენის სართულებად დანაწილების სამი ევროპული სქემიდან (ხმელთაშუაზღვიური, დასავლეთ პარატეთისისა და აღმოსავლეთ პარატეთისის) გთავაზობთ აღმოსავლეთ პარატეთისის სქემას, რომელიც ზუსტად ესადაგება ჩვენთვის უკვე ცნობილ პონტო-კასპიურ აუზს (ანუ აღმოსავლეთ პარატეთისს).

**ცოცხალი ბუნება.** ნეოგენური პერიოდის განმავლობაში თანდათანობით ხდება ფაუნისა და ფლორის „გათანამედროვება“. ამ პერიოდის წამყვან ფაუნას ზღვაში მცხოვრები უხერხემლობიდან ორსაგდულიანი და **მუცელფეხიანი მოლუსკები** წარმოადგენდნენ, თუმცა მათ მსგავსად აყვავებას განიცდიდნენ პროტოზოები და ოსტრაკოდები. შესაბამისად, მაღალია ყველა ხსენებული ჯგუფის ბიოსტრატიგრაფიული მნიშვნელობა. მათ გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ხავსცხოველები, მარჯნები, ბრაქიოპოდები, ღრუბლები, კანეკლიანები, თევზები და ზღვებში მცხოვრები ძუძუმწოვრები.

**ერთუჯრედიანებიდან,** მართალია, გადაშენდნენ ნუმულიტები და სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფები, მაგრამ ევოლუციის თვალსაზრისით წინა პლანზე წამოიწიქეს პლანქტონურმა ფორამინიფერებმა. ბივალვიებიდან და გასტროპოდებიდან ნორმულმარილიან ზღვებში „ბატონბდნენ“: Nucula, Cardita, Venus, Turritella, Cerithium, Conus, ხოლო ისეთ დახშულ აუზებში, როგორიც პარატეთისი იყო, მრავლად იყო განმარილიანებული აუზისთვის დამახასიათებელი – Mactra, Congeria, Ervilia, Mytilus, Dreissena, Didacna. დიდი ადგილი ეკავა გამტკნარებული აუზებისა და ხმელეთისათვის დამახასიათებელ ფორმებს: Unio, Planorbis, Helix, Viviparus. ნეოგენის მიწურულისთვის მოლუსკური ფაუნა პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა თანამედროვესაგან. ასეთივე სურათი გვაქვს რადიოლარიების, ღრუბლების, კანეკლიანების, ხავსცხოველების, მხარფეხიანების შემთხვევაშიც.

საყურადღებოა, რომ ნეოგენში დაიწყო რიფის მშენებელი მარჯნების ( და სითბოს მოყვარული სხვა ორგანიზმების) არეალის შევიწროება, შედეგად კი რიფების განვითარების საზღვრებმა თანდათანობით ეკვატორისაკენ გადაინაცვლა.

ზღვაში მცხოვრები ხერხემლიანი ცხოველებიდან ძვლიანი თევზები ბატონობდნენ; მათ თითქმის ყველა ტიპის (ნორმულმარილიანი, განმარილიანებული, მტკნარი) აუზი ეკავათ.

ნეოგენის დასაწყისში გაჩნდნენ ფეხფარფლიანები, სელაპები, ლომვეშაპები. ნეოგენური პერიოდის ზღვები მდიდარი იყო ერთუჯრედიანი წყალმცენარეებით – დიატომებითა და კოკოლითოფორიდებით.

**ხმელეთზე** ბატონობდნენ ძუძუმწოვრები, რომლებმაც საცხოვრებლად უღრანი ტყვები, ტყესტეპები და ნახევრად უდაბნოები აითვისეს. ნეოგენში ჩნდებიან მტაცებლების, ჩლიქოსანთა და ხორთუმიანთა თანამედროვე ოჯახები და გვარები. მაგალითად, **მიოცენში** გაჩნდნენ დათვები, აფთრები, კვერნები, ძალლები, მაჩვები, მარტორქები, ხარები, ცხვრები, ხოლო **პლიოცენში** – თრითინები (სინდიოფალა), სამურავები, სპილოები, ჰიპოპოტამები, ჰიპარიონები (სამთითა ცხენები) და ნამდვილი ცხენები (Equus).

პრიმატები გამოვიდნენ ტყიდან და დაიწყეს გაშლილი მიდამოების ათვისება. მიოცენისა და პლიოცენის საზღვარზე გაჩნდნენ **ჰომინიდები**, რომელთა შორის უძველესად აკსტრალოპითეკია მიჩნეული. ჰომინიდების ნამარხი ფაუნა აღნერილია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ზედაპლიოცენურ ნალექებში. ყველა ისინი ავსტრალოპითეკის სახესხვაობებია (ავსტრალოპითეკი, პარანტროპი, ზინჯანტროპი). მათი ჩონჩხის ნაწილები გაცილებით უფრო ახლოსაა ადამიანის ჩონჩხთან, ვიდრე ნებისმიერი თანამედროვე ადამიანისმსგავსი მაიმუნისა.

შედარებით ნაკლებად შესამჩნევია სხვაობა პალეოგენურ და ნეოგენურ ხმელეთის ფლორას შორის, თუმცა ნეოგენურ ფლორაში შეიმჩნევა თანამედროვეს მსგავსი ასოციაციები. აცივების გამო სითბოს მოყვარულმა ფორმებმა (პალმა, დაფნა) ეკვატორისაკენ გადაიწიქეს. ზომიერ განედებში მაღალ განვითარებას აღნევენ: ალვის ხე, არყის ხე, ტირიფი, ნეკერჩალი, კაკალი (კაკლის ხე), ნაძვი, ფიჭვი, სოჭი და სხვ.

**ნეოგენის დანაწილება**

| სისტემა      | სექცია                     | ქვესექცია | სართული     |                             |
|--------------|----------------------------|-----------|-------------|-----------------------------|
|              |                            |           | ICHCH       | აღმ.პარატეთისი              |
| ნეოგენი<br>N | პლიოცენი<br>N <sub>2</sub> | ზედა      | პიაჩენცური  | აღჩაგილური<br>(კუიალნიკური) |
|              |                            | ქვედა     | ზანკლიური   | კიმერიული                   |
|              |                            | ზედა      | მესინური    | პონტური                     |
|              |                            |           | ტორტონული   | მეოტური                     |
|              |                            | შუა       | სერავალიური | სარმატული                   |
|              | მიოცენი<br>N <sub>1</sub>  |           | კონკური     | კონკური                     |
|              |                            |           | კარაგანული  | კარაგანული                  |
|              |                            |           | ლანგიური    | ჩიკრაკული                   |
|              |                            | ქვედა     | ბურდიგალური | თარხნული                    |
|              |                            |           | აქვიტანური  | კონახურის                   |
|              |                            |           |             | საყარაულოს                  |
|              |                            |           |             | კავკასიური                  |

მოყვანილი სქემიდან კარგად ჩანს, რომ **ქვედა მიოცენს** მიეკუთვნება: კავკა-სიური, საყარაულოს, კონახურის და თარხნული სართულები, შუა მიოცენი აერთიანებს ჩიკრაკულ, კარაგანულ, კონკურ და სარმატულ სართულებს, ხოლო **ზედა მიოცენი** მეოტურ და პონტურ სართულებს. **პლიოცენი** ორად იყოფა – ქვედა და ზედა პლიოცენად. **ქვედა პლიოცენში** ერთი, კიმერიული სართული გვაქვს. ასევე ერთი სართულია **ზედა პლიოცენშიც** – აღჩაგილური (კუიალნიკური).

**ნეოგენის ფაციესები.** როგორც აღვნიშნეთ, ნეოგენური პერიოდი აქტიური ოროგენეზისის დროა, თანაც ამ პროცესის დამავარგვინებული სტადიისა, რაზე-დაც მოლასური ნალექები მიგვანიშნებს. **მოლასები** ორგვარი წარმოშობისაა – ზღვიური და კონტინენტური, თანაც, როგორც წესი, ჯერ ზღვიური მოლასები წარმოიქმნება, ხოლო შემდგომ – კონტინენტური. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოლასების ფორმირების ადგილი მთისწინა და მთათაშუა დეპრესიებია. ერთ-ერთი ასეთი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემებს შორის მდებარე ამიერკავკასიის მთათაშუეთია. სანიმუშო ჭრილს სწორედ ამ რეგიონიდან ვიძლევით (ოღონდ მხოლოდ მიოცენის – N<sub>1</sub>), რომელიც საყარაულოს სართულით იწყება და მეოტურ-პონტურით მთავრდება.

**გრაკალის მიდამოების ჭრილი  
N<sub>2</sub>-პლიოცენი**

|                                |                   |                                                                                                                                                                                                                                                              |         |
|--------------------------------|-------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|
| N <sub>1</sub> m-p             | მეოტურ-პონტური    | <b>დუშეთის წყება – ნაჭდევებიანი</b><br>კონგლომერატები ქვიშაქვების თხელი<br>შუაშრეებით (ირმისებრთა ოჯახის ფაუნით)                                                                                                                                             | 1700 გ  |
| N <sub>1</sub> sr <sub>3</sub> | ზედა<br>სარმატული | <b>ნაცხორის წყება – ღია მოყვითალო ქვიშაქვები</b><br>(კონტინენტური ფაციესი)                                                                                                                                                                                   | 1500 გ  |
| N <sub>1</sub> sr <sub>2</sub> | შუა<br>სარმატული  | მოლურჯო ფერის თიხები და მერგელები,<br>მოთეთრო ფერის ოოლითური კირქვები (შიგ<br>დიდტანიანი მოლუსკები: Cardium, Tapes, Mactra,<br>Modiola, Syndesmya და ბევრი სხვა)                                                                                             | 150 გ   |
| N <sub>1</sub> sr <sub>1</sub> | ქვედა<br>არმატული | ღია ნაცრისფერი თიხებისა და მერგელების<br>მორიგეობა (შიგ „მომცრო ტანის“ მოლუსკური<br>ფაუნა: Cardium, Tapes, Mactra, Modiola, Syndesmya<br>და ბევრი სხვა)                                                                                                      | 140 გ   |
| N <sub>1</sub> kn              | კონკური           | მოთეთრო-ნაცრისფერი თიხიან-ქვიშიანი<br>კირქვები. ბლომად Pholas, Ervilia (ბივალვიები)                                                                                                                                                                          | 15 გ    |
| N <sub>1</sub> kr              | კარაგანული        | ქვიშიანი კირქვები და კარბონატული ქვიშაქვები<br>Spaniodontella-ებით (ორსაგდულიანები)                                                                                                                                                                          | 18 გ    |
| N <sub>1</sub> tsch            | ჩოკრაკული         | ფერადი თიხები (Ostrea-ებით)<br>ქვიშიანი თიხები და ქვიშაქვები (ოსტრეებითა<br>და ბეკტენებით)<br>ფუძის კონგლომერატი (კვარცის, ქალცედონის,<br>ოპალის, კირქვების კენჭებით; მცენარეთა<br>გაკაუებული ლეროებით; კონახურის სართულის<br>გადანარეცხი ქანებითა და ფაუნით | 60-70 გ |
| N <sub>1</sub> kz              | კონახური          | მუქი ყავისფერი სქელ- ან მასიურშრეებრივი<br>კვარციანი არაკარბონატული ქვიშაქვები<br>კაუის დიდი ლინზებით (წყებისათვის<br>დამახასიათებელი ფაუნით – Oncophora,<br>Eoprosodacna და სხვა)                                                                           | 170 გ   |

|                               |           |                                                                                                                                                                                                                                                                                          |       |
|-------------------------------|-----------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------|
| N <sub>1</sub> s              | საყარაულო | მოყვითალო-რუხი საშუალომარცვლოვანი,<br>მკვრივი არაკარბონატული კვარციან-<br>ქარსიანი ქვიშაქვები კარბონატული<br>ქვიშაქვების კონკრეციებით. ქანები<br>თხელი ან საშუალოშრეებრივია. მდიდარი<br>მოლუსკური ფაუნა, რომელშიც დომინირებენ<br>პეკტუნკულუსები (Pectunculus) და კარდიუმები<br>(Cardium) | 130 გ |
| N <sub>1</sub> k – კავკასიური |           |                                                                                                                                                                                                                                                                                          |       |

მოცემულ ჭრილში საყარაულო-ზედასარმატულის „მონაკვეთი“ ზღვიური ფაციესით არის წარმოდგენილი, ხოლო მეოტურ-პონტური – კონტინენტურით. ყურადსალებია, რომ წყებათა ჯამური სიმძლავრე 4000 მეტრს უახლოვდება. წყებები დანაოჭებულია; მხოლოდ დანალექი ქანებით არის წარმოდგენილი, ვერ ვხვდებით მაგმურ და მეტამორფულ ქანებს. ტიპურ მოლასურ წალექებთან გვაქვს საქმე!

**ოროგენეზისი (მთათანარმოშობა) და პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.** ნეოგენური პერიოდი ნამდვილი გეოკრატული ხანაა დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი ნეოგენის განმავლობაში დედამიწაზე დანაოჭება და მთათა წარმოშობა მიმდინარეობდა. ეს არის ალპური ოროგენეზისი – ყველაზე ახალგაზრდა ცნობილ ოროგენეზისთა შორის, რომელიც (როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ) ცარცულში დაიწყო და მთელი კაინოზოურის განმავლობაში გრძელდებოდა. მისმა შემადგენელმა ფაზისებმა, განსაკუთრებით პირენეულმა (ეოცენისა და ოლიგოცენის საზღვარზე), სავურმა (ოლიგოცენის და მიოცენის საზღვარზე), შტირიულმა (შუა და ზედა მიოცენის საზღვარზე), ატიკურმა (მიოცენის და პლიოცენის საზღვარზე), კავკასიურმა (ალჩაგილურ-მეოთხეული) დიდი როლი შეასრულა არა მარტო მოძრავი სარტყელების განვითარებაში, არამედ ე.წ. ეპიპლატფორმული ოროგენეზისის წარმართვაშიც. შედეგად კი ნაოჭა-ზენრული და თაღურ-ბელტური მთათა სისტემები მივიღეთ.

ალპური ოროგენეზისი მიმდინარეობდა არა მარტო ხმელთაშუაზღვიურ და წყნაროკეანურ (როგორც დასავლეურ, ისე აღმოსავლეურ) მოძრავ სარტყელებში, არა-ამედ იმ დროისათვის უკვე პენეპლენიზირებულ (მოსწორებულ), „გაპლატფორმებულ“ უბნებში (როგორიცაა, ვთქვათ, ტიბეტი). ინდოსტანის ევრაზიასთან შეჯახებით გამოწვეული დანაოჭება არა მარტო მოძრავ სარტყელებს შეეხო და შედეგად ჰიმალაების ნაოჭა სისტემა მოგვცა, არამედ ის უფრო შორს, სტაბილურ უბანზეც გავრცელდა და ტიბეტის ზეგნის სახით „მეორეული წარმოშობის“ თაღური — ბლოკური სტრუქტურა განავითარა. როგორც ფიქრობენ, ეს მოხდა შუა და გვიან მიოცენის შესაყარზე (შტირიული ოროფაზისი).

**ხმელთაშუაზღვიურ სარტყელიდან ალპიდებს მიეკუთვნება:** პირენეები, ანდა-ლუზიის მთები, ატლასის მთები, ალპები, აპენინები, კარპატები, დინარიდები, ელინ-

იდები, მთიანი ყირიმი, პონტიდები, თავრიდები, კავკასიონი, მცირე კავკასიონი, ელ-ბურსი, ზაგროსი, კოპეტდალი, ყარაყორუმი, ჰიმალაები.

**დასავლეთ წყნაროკეანურ სარტყელში** ალპური ოროგენეზისის შედეგად წარმოიშვა კორიაკიის მთიანეთი, კამჩატკა, სახალინი, კურილის, იაპონიის, ფილი-პინების კუნძულები და სხვ.

**აღმოსავლეთ წყნაროკეანური სარტყელიდან** აღსანიშნავია სამხრეთ ალასკა, კალიფორნიის სანაპირო ქედი, ჩრდილო ამერიკის კორდილიერები, ცენტრალური ამერიკის მთები, დიდი და მცირე ანტილიის კუნძულები, ანდები.

**განმეორებითი ოროგენეზისის („ეპიპლატფორმული ოროგენეზისი“)** შედე-გად ჩამოყალიბდა თალურ-ბელტური მთათა სისტემები: ტიბეტი, ტიანშანი, ალტაი, საიანები, პამირი, ჰინდუქუში, კუნლუნი.

დანაოჭებამ და საყოველთაო აზევებამ კრატონებსა და ახალგაზრდა პლატ-ფორმებზე კონტინენტური რეჟიმი განაპირობა. ნალექდაგროვება ძირითადად ტბებში, ჭაობებსა და მდინარეთა ხეობებში მიმდინარეობდა. მხოლოდ პლატფორ-მათა პერიფერიებზე თუ იყო თხელი ზღვის ან ლაგუნური პირობები.

ასეთისურათი იყო, კერძოდ, აღმოსავლეთევროპისა და ციმბირის პლატფორმებ-ზე. აღმოსავლეთ ევროპის პლატფორმის დიდი ნაწილი ხმელეთს წარმოადგენდა. მარჩხი, თხელი ზღვის პირობები იყო მხოლოდ პლატფორმის უკიდურეს სამხრეთ კიდეზე შავიზღვისპირა და კასპიისპირა ზოლებში, სადაც ილექტოდა მცირე სიმ-ძლავრის ტერიგენულ-კარბონატული წყებები, შიგადაშიგ კონტინენტური წყებების შუაშრებით.

მთელი ნეოგენის განმავლობაში კონტინენტური პირობები იყო ჩრდილო ამერი-კაში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ინდოსტანსა და ავსტრალიაში. საინტერესო სურათია **ანტარქტიდაში**, სადაც თანდათან ძლიერდება და ვრცელდება გამყინვა-რება, ჯერ მთის მყინვარების, ხოლო მიოცენის მინურულიდან მთელი პლიოცენის ჩათვლით – ზენრული გამყინვარების სახით. პლიოცენის მინურულს ყინულის საფა-რმა საგრძნობლად იმატა. პლიოცენშივე გაჩნდა შელფური მყინვარებიც.

ძლიერი მთათანარმოშობითი პროცესები მიღის ხმელთაშუაზღვიურ სარტყ-ელში. დანაოჭებასა და აზევებას თან სდევს მთისწინიანა და მთათაშუაროფების გაჩენა, სადაც ჯერ ზღვიური, შემდეგ კი კონტინენტური მოლასები ილექტა. საინტერესო ნალექდაგროვებაა პარატეთისში, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, ე.წ. პონტო-კასპიურ აუზში, რომელსაც სხვაგარად აღმოსავლეთ პარატეთისსაც უწოდებენ. ამ აუზში, რომელიც მიო-პლიოცენში დროდადრო ორადაც კი იყო ხოლმე გაყოფილი (შავი და კასპიის ზღვის აუზებად), როგორც ვნახეთ, ქვედა და შუა მიოცენი ზღვი-ური მოლასებით, ხოლო ზედა მიოცენ-პლიოცენი კონტინენტური მოლასებით არის წარმოდგენილი.


აღმოსავლეთ წყნაროკეანურ ზოლში მოძრავი სარტყლის პირობებია ჩრდილო ამერიკის კონტინენტის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში – წყნაროკეანისპირა ზოლ-ში, სადაც პლიოცენში დანაოჭება და მთათა წარმოშობა ხდება სამხრეთ ალასკიდან კალიფორნიამდე. ამ სარტყლის სამხრეთამერიკულ ნაწილში მთელი ნეოგენის გან-მავლობაში მიმდინარეობდა ანდების მთათა სისტემის ფორმირება.

ძლიერი მთათანარმოშობაა აგრეთვე დასავლეთ წყნაროკეანური სარტყლის უკიდურეს აღმოსავლეთ ზოლში.

დანაოჭება და მთათა წარმოშობა, როგორც ცნობილია, ლითოსფერული ფილების შეჯახების შედეგად ხდება. ალბიდების ფორმირების შემთხვევაში ხმელთაშუაზღვიური წაოჭა სარტყლისა და „ეპიპლატფორმული“ მთათა სისტემის წარმოქმნა გამოიწვია, ერთი მხრივ, ევრაზიის ფილისა, ხოლო მეორე მხრივ, აფრიკა-არაბეთის და ინდოსტანის ფილების კოლიზიამ, დასავლეთ წყნაროკეანური სარტყლისა – წყნარი ოკეანისა და ევრაზია-ავსტრალიის ფილების, ხოლო აღმოსავლეთ წყნაროკეანური სარტყლისა – წყნარი ოკეანისა და ორივე ამერიკის ფილების შეჯახებამ.

მთელი წეოგენის განმავლობაში კონტინენტებზე რიფტოგენეზი მიმდინარეობდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა აფრიკის კონტინენტი, სადაც ინტენსიურად ყალიბდება აღმოსავლეთ აფრიკის რიფტული სისტემა (6500 კმ სიგრძის). ამ რიფტოგენეზის წყალობით არაბეთი მოწყდა აფრიკას, გრაბენული დეპრესიების დიდი ნაწილი კი დაიკავა წითელმა ზღვამ, მკვდარმა ზღვამ, აღმოსავლეთ აფრიკის ტბებმა (ვიქტორია, ტანგანიკა, ნიასა და სხვ.), ადენისა და სუეცის უბეებმა.

ატლანტის იკენე სულ უფრო მიიწვდა ჩრდილოეთისაკენ. მიოცენური ეპოქის დასასრულს მან ბოლოს და ბოლოს მოახერხა ლავრაზიის კონტინენტის ორად, დასავლეთ და აღმოსავლეთ წანილებად, გაყოფა. დასავლეთი წანილი წარმოდგენილი იყო ჩრდილო ამერიკის კონტინენტითა და კუნძულ გრენლანდით, ხოლო აღმოსავლეთი წანილი მთლიანად ევრაზიამ დაისაკუთრა (სურ. 21.13).



**სურ. 21.13. კონტინენტებისა და იკენეების განაწილება  
გვიან მიოცენში**

დაახლ. 10-5 მლნ. წლის წინ

(საფუძვლად აღებულია Xaini ი ძр., 1997-ის პალეოგეოგრაფორული სქემა)

**კლიმატი.** ოლიგოცენში დაწყებული აცივება ნეოგენში კიდევ უფრო გაძლიერდა. შესაბამისად შევიწროება და ეკვატორისკენ გადანაცვლება დაიწყო ტროპიკულმა სარტყელმა. ასევე დაბალი განედებისაკენ გავრცელდნენ სიცივის მოყვარული მცენარეები. ეს განსაკუთრებით პლიოცენის ბოლოს შეიმჩნეოდა, როცა ტაიგის საზღვარმა კასპიის ჩრდილო სანაპირომდე მიაღწია. აცივების გამო ანტარქტიდაში გაჩენილ ყინულოვან საფარო ჩრდილო ნახევარსფეროში მთის მყინვარების გაჩენაც დაემატა. ნეოგენურ პერიოდში აცივების მაქსიმუმი პლიოცენის მიწურულზე მოდიოდა.

### 21.3.3. მეოთხეული (ანთროპოგენური) პერიოდი – Q

დედამიწის გეოლოგიური განვითარების დამაგვირგვინებელი მეოთხეული, ანუ ანთროპოგენური პერიოდი დაიწყო დაახლოებით 2 მილიონ 500 ათასი წლის წინ და გრძელდება დღესაც. დედამიწის ქერქის ამგებ ქანებში ადრე გამოყოფდნენ პირველადს, მეორეულს, მესამეულსა და მეოთხეულს. ამ სახელთაგან დღეისათვის მხოლოდ უკანასკნელი შემორჩა. მეოთხეულს **ანთროპოგენურსაც უწოდებენ**, რაც ადამიანის წარმოშობისა და მოღვაწეობის პერიოდს გულისხმობს. როგორც ვხედავთ, ეს არის ყველაზე ხანმოკლე პერიოდი ყველა სხვა პერიოდს შორის. ამ ნიშნის გარდა ეს პერიოდი მრავალი სხვა ნიშნითაც გამოირჩევა, რომელთაგნ განსაკუთრებით აღსანიშნავია **ძლიერი გამყინვარება**, ფაქტობრივად, მთელი პერიოდის განმავლობაში და კიდევ უფრო მეტად – **ადამიანის დაკვიდრება** დედამიწაზე.

მეოთხეულის ქვედა ასაკობრივი საზღვარი დღემდე დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ყველაზე უფრო მიღებული თვალსაზრისით, ეს საზღვარი 2 500 000 წელს შესაბამება.

მეოთხეულს ორად ანაწილებენ – ქვედას ეწოდება **პლეიისტოცენი** (2. 50 მლნ. წ. – 10000 წ.), ხოლო ზედას – **ჰოლოცენი** (10000 წ. – დღემდე).

მეოთხეულის ამ და უფრო დეტალური დანაწილების საფუძვლად აღებულია არა ბიოსტრატიგრაფიული (პალეონტოლოგიური) მეთოდი, რომელსაც ანთროპოგენურის სტრატიგრაფიაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს, არამედ, პირველ რიგში, კლიმატოსტრატიგრაფიული მეთოდი, რომელიც დამყარებულია გამყინვარებათა და გამყინვარებათშორისი (ანუ გლაციალურ და ინტერგლაციალურ) ნალექების შესწავლაზე. სხვა მეთოდებიდან ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება: **მორფოლოგიური** (ზღვიური და მდინარეული ტერასების შესწავლის) და **პალინოლოგიური** (სპორებისა და მტვრიანების შესწავლის) მეთოდებს; არანაკლები მნიშვნელობა აქვთ **არქეოლოგიური** (შრომის იარაღების შესწავლის) და **რადიოლოგიური** (რადიო-აქტიური <sup>14</sup>C-ის) მეთოდებს.

**სიცოცხლე მეოთხეულში.** მეოთხეულის ორგანული სამყარო თითქმის თანამედროვეა, რაც სრულიადაც არ არის გასაკვირი. **ზღვებში** ბინადრობდნენ ფორა-მინიფერები, მოლუსკები (განსაკუთრებით ორსაგდულიანები და გასტროპოდები),

ოსტრაკოდები, წყალმცენარეები და სხვ. **ხმელეთზე** მცხოვრები ფაუნიდან წამყვანი ძუძუმწოვრებია; თანაც გამოირჩევიან სიცივის ან, პირიქით, სითბოს მოყვარული ფორმები. პირველთაგან შეიძლება დავასახელოთ ჩრდილოეთის ირემი, ხარვერძი, ლემინგი, მამონტი, ბენვიანი მარტორქა და სხვ., ხოლო მეორეთაგან – სპილოები, ირმები, მარტორქები, ბიზონები, ცხენები, აქლემები, ხმალკბილა ვეფხვი (*Machairodus cultridens*), გამოქვაბულის ლომი (*Felis leo speleus*), ჰიპოპოტამები და სხვ.

და მაინც, მეოთხეულის ცოცხალი ბუნების მშვენება ადამიანია. მართალია, პირველი ჰომინიდი, ავსტრალიპითეკი, გაცილებით ადრე, დაახლოებით 5.5 მილიონი წლის წინ გაჩნდა და თვით პირველი ადამიანი *Homo habilis* მეოთხეულზე ცოტა ადრე წარმოიშვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეოთხეული ის პერიოდია, როცა ადამიანმა განვლო სრულყოფილი ევოლუციის რთული გზა *Homo sapiens*-ად ანუ შემოქმედ ადამიანად ფორმირებამდე.

მეოთხეული პერიოდისათვის ერთობ დამახასიათებელია ძლიერი გამყინვარება. ამ გამყინვარებას მრავალგზისი ხასიათი ჰქონდა, სწორედ ამიტომ გამოიყოფა გამყინვარებათა და გამყინვარებათშორისი პერიოდები შესატყვისი ცოცხალი ბუნებითა და ნალექდაგროვების ხასიათით. თუ ევროპაში მეოთხეულის ოთხ გამყინვარებას გამოყოფენ, ჩრდილო ამერიკაში 4-დან 6-მდეა.


ჩრდილო ნახევარსფეროს ზენრული გამყინვარების ცენტრები ბალტიისა და კანალის ფარებზე იყო. ყინულის საფარი ევროპაში ჩრდილო განედის 50°-მდე, ხოლო ამერიკაში ჩრდილო განედის 40° -მდეც ჩამოდიოდა. ზენრული გამყინვარების გვერდით ძლიერი მთის მყინვარებიც იყო (მაგალითად, ალპებში).

გამყინვარება იყო სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის მთიან მხარეებში (ანდები, ატლასის მთები და სხვ.), რომ აღარაფერი ვთქვათ ანტარქტიდაზე, სადაც ზენრული გამყინვარება მძლავრობდა. მთის მყინვარები იყო ეკვატორული სარტყლის მაღალ მთებშიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რატომ უკავიათ მყინვარულ ნალექებს მეოთხეულ წყებებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი. თუმცა მათ გვერდით უნდა დავასახელოთ აგრეთვე ზღვიური ნალექები (ზღვიურ ტერასებზე განვითარებული) და კონტინენტური წყებები (ალუვიური, ტბიური, ჭაობის, ეოლური).

მეოთხეულში შესამჩნევი იყო დედამიწის ქერქის ვერტიკალური მოძრაობა, ალაგ აღმავალი (ჰიმალაიები, ანდები, კორდილიერები და სხვ.), ალაგ კი დაღმავალი (მავი ზღვა, კასპიის ზღვის სამხრეთი ნაწილი, ეგეოსის ზღვა, მექსიკის უბე და ა.შ.) მოძრაობით.

ჰოლოცენის დასაწყისში (10000 წლის წინ) მატერიკების კონფიგურაცია თანამე-დროვე სახეს იღებს (სურ. 21.14). იმავდროულად მთავრდება ბოლო გამყინვარება და იწყება ათბობის პერიოდი.



**სურ. 21.14.** კონტინენტებისა და ოკეანეების განაწილების თანამედროვე სურათი

#### 21.3.4. დედამიწის გეოლოგიური განვითარების კაინოზოური ისტორია

კაინოზოური ერა უაღრესად მნიშვნელოვანია სიცოცხლის ევოლუციის, ოროგენეზისის (მთათა წარმოშობის) თუ პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკის თვალსაზრისით.

**ცოცხალი ბუნებიდან** დიდ ყურადღებას კვლავ ცხოველები და მცენარეები იმსახურებენ, ხსენებულ ერაში მათი მაღალი ევოლუციის გამო.

**უხერხემლო ცხოველებიდან**, პირველ რიგში, ორსაგდულიანი (ბივალვიები) და მუცელფეხიანი (გასტროპოდები) მოლუსკები უნდა დავასახელოთ, რომლებმაც დაიპყრეს ზღვა და ხმელეთი. **ზღვაში** მცხოვრები ორგანიზმებიდან ასევე დიდ ყურადღებას იმსახურებენ (უპირველესად პალეოგენური პერიოდისათვის) ერთუ-ჯრედიანი ცხოველების ცნობილი წარმომადგენლები – **ნუმულიტიდები**. კომფორტულად გრძნობდნენ კაინოზოურ ზღვებში თავს – ექვსექიმიანი მარჯნები (ჰექსაკორალები), ხავსცხოველები, ღრუბლები, ბრაქიოპოდები, ექინოდეები, ოსტრაკოდები და სხვ.

ზღვაში მცხოვრები **ხერხემლიანებიდან** განსაკუთრებულ ყურადღებას **თევზები** იმსახურებენ, რომელთაც მხარს უმშვენებდნენ ძუძუმწოვართა წარმომადგენლები (ვეშაპები, დელფინები, სირენები, ლომვეშაპები).

**მცენარეებიდან** წამყვან როლს ერთუჯრედიანი წყალმცენარეები – კოკოლი-თოფორიდები ასრულებენ.

**ხმელეთზე** ბატონობდნენ ძუძუმწოვრები და ფარულთესლიანი მცენარეები.

**უხერხემლო ცხოველებიდან** ხმელეთის წყლიან აუზებში გვხვდებოდნენ ორსაგდულიანები, გასტროპოდები (მუცელფეხიანები) და სხვ.

**ხერხემლიანი ცხოველებიდან,** როგორც უკვე ითქვა, დომინირებდნენ ძუძუმწნოვრები: მტაცებლები, ხორთუმიანები, ჩლიქოსნები, მღრღნელები, მწერიჭამიები და სხვა.

პალეოგენურ პერიოდში ცხოვრობდნენ გიგანტური ზომის მქონე ძუძუმწნოვრები – ინდრიკოთერიუმები. ამავე პერიოდის დასაწყისში გაჩნდნენ პირველი პრიმატები – ლემურები (რომელთაც ნახევრად მაიმუნებად მოიხსენიებენ). ცოტა უფრო გვიან, ეოცენური ეპოქის დასასრულს, მათ მიემატნენ ნამდვილი მაიმუნები. მიოცენისა და პლიოცენის საზღვარზე ჩნდებიან ჰომინიდები.

მეზოზოურთან შედარებით კაინოზოურ ერაში ძალიან გაღარიბებულად გამოიყურებიან ამფიბიები და რეპტილიები (ქვენარმავლები). **ამფიბიებიდან** ძირითადად ვხვდებით მხოლოდ სალამანდრებს, გომბეშოებსა და ბაყაყებს, ხოლო **ქვენარმავლებიდან** – ხვლიკებს, გველებს, ნიანგებსა და კუებს.

ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული **ფარულთესლიანი მცენარეები**, რომელთაც უმთავრესად ეკვატორული, ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყელები ეკავათ. ეკვატორულ, ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელებში „ბინადრობდნენ“ პალმები, ფიკუსები, მაგნოლიები და სხვა, ხოლო ზომიერში – მუხა, ნიფელი, ნაბლი, ალვის ხე და მრავალი სხვა. **შიშველთესლიანები** ძირითადად ნარმოდგენილი იყო ნინვოვანი მცენარეებით (ნაძვი, ფიჭვი, კედარი და სხვა).

კაინოზოურ ერაში გვხვდება აგრეთვე უმაღლესი მცენარეების ერთ-ერთი ჯგუფის, უმაღლესი სპოროვანების ნარმომადგენლებიც.

კაინოზოური ერის ცოცხალი ბუნების დახასიათებისას, ჩვენ ყურადღება არ გავიმახვილებია ამ ერის დამაგვირგვინებელი პერიოდის – **მეოთხეულის (იმავე ანთროპოგენურის)** ორგანულ სამყაროზე. მიზეზი სავსებით მარტივია – მეოთხეულის ორგანული სამყარო თითქმის არ განსხვავდება თანამედროვესაგან. მეოთხეულთან შედარებით დღეს უკვე აღარ გვხვდება: მამონტი, ხმალებილა ვეფხვი, გამოქვაბულის დათვი, გამოქვაბულის ლომი და ზოგი სხვა.

**ალპური ოროგენეზისი.** რაც შეეხება ოროგენეზისს (მთათანარმოშობას), მთელი კაინოზოური ერის განმავლობაში მიმდინარეობდა დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში ცნობილ ოროგენეზისთა შორის ყველაზე უფრო ახალგაზრდა – **ალპური ოროგენეზისი**, რომლის საწყისი ფაზისები ჯერ კიდევ ცარცულ პერიოდში იყო. ამ ოროგენეზისის შედეგად ჩამოყალიბდა დასავლეთ და ალმოსავლეთ წყნაროკეანური, აგრეთვე ხმელთაშუაზღვიური ნაოჭა სარტყელები. ხმელთაშუაზღვიურ ნაოჭა სარტყელს სხვაგვარად **ალპურ-ჰიმალაურსაც** უწოდებენ. ამ ნაოჭა სარტყელში შედის: პირენების, ალპების, კარპატების, ბალკანების, კავკასიონის, მცირე კავკასიონის, ჰიმალაების და სხვა ნაოჭა სისტემები (მთათა სისტემები).

როგორი იყო **პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა** კაინოზოური ერის განმავლობაში?

კაინოზოურის პირველ ნახევარში – **პალეოგენურ პერიოდში** დედამიწაზე იყო 6 კონტინენტი: ლავრაზია, აფრიკა, ინდოსტანი, ავსტრალია, სამხრეთ ამერიკა, ანტარქტიდა. მათგან **ლავრაზია** განთავსებული იყო ჩრდილო ნახევარსფეროს ზომი-

ერ და პოლარულ სარტყელებში. **აფრიკა** დაახლოებით თანაბრად იყო გადანანილებული ჩრდილო და სამხრეთ ეკვატორულ და ტროპიკულ სარტყელებს შორის, მცირედი ნაწილით სამხრეთ ზომიერ სარტყელში. აშკარად არ იყო გამოკვეთილი, მაგრამ იგრძნობოდა აფრიკის კონტინენტის მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მთელი პალეოგენური პერიოდის (პალეოცენური, ეოცენური და ოლიგოცენური ეპოქები) განმავლობაში. სამაგიეროდ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაადგილება შესანიშნავად არის გამოკვეთილი მიკროკონტინენტი **ინდოსტანის** (ინდოეთის) შემთხვევაში, რომელმაც სამხრეთ ტროპიკული (ეკვატორულისა და სუბტროპიკულის ჩათვლით) სარტყლიდან (პალეოცენური ეპოქა) თანდათან ჩრდილო ტროპიკულში (ეოცენური და ოლიგოცენური ეპოქები) გადაინაცვლა და პერიოდის დასასრულს (უფრო ზუსტად ნეოგენური პერიოდის დასაწყისში) აზიურ ნაწილში შეეჯახა სუპერკონტინენტ ლავრაზიას. ამ მოვლენამ საფუძველი დაუდო **ჰიმალაების** ნაოჭა სისტემის (მთათა სისტემის) განვითარებას (სურ. 21.12 და 21.13.). ინდოსტანის შეჯახება ევრაზიის აზიურ ნაწილთან იმდენად ძლიერი იყო, რომ მან დაანაოჭა აგრეთვე ჰიმალაების ჩრდილოეთით არსებული, იმ დროისათვის უკვე პენეპლენიზირებული („გაპლატფორმებული“) ტიბეტის ზეგანი და მისგან „მეორეული წარმოშობის“ წყვეტილ-ნაოჭა სტრუქტურა შექმნა. ასევე კარგად ჩანს ავსტრალიის გადაადგილება სამხრეთ ზომიერიდან სამხრეთ ტროპიკულამდე. **სამხრეთ ამერიკა** მთელი პალეოგენური პერიოდის განმავლობაში სამხრეთ ტროპიკულ და ზომიერ სარტყელებში იყო განთავსებული, ხოლო **ანტარქტიდა** – სამხრეთ პოლარულში.

პალეოგენური პერიოდის ოკეანებიდან ატლანტის օკეანე მერიდიონალურად იყო გადაჭიმული, ერთი მხრივ, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, ხოლო მეორე მხრივ – ევრაზიისა და აფრიკის კონტინენტებს შორის. ჩრდილოეთი ის გრენლანდის სამხრეთ კიდეს აწყდებოდა. **ინდოეთის օკეანე** მოიცავდა სამხრეთის ტრიპიკულ, ზომიერ და პოლარულ სარტყელებს. ის მოქცეული იყო აფრიკის, ინდონეზიანის, ავსტრალიისა და ანტარქტიდის კონტინენტებს შორის.

პალეოგენური პერიოდის განმავლობაში მიღიოდა ატლანტის და ინდოეთის ოკეანეების აკვატორიის გაფართოება. ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, ფაქტობრივად, ფორმირების პროცესში იყო.

პალეოგენის მომდევნო, ნეოგენური პერიოდის მიოცენურ ეპოქაში უკვე საგრძნობლად გაფართოვდნენ **ატლანტისა** და **ინდოეთის** ოკეანები.

ატლანტის ოკეანემ „გადაკვეთა“ ლავრაზია გრენლანდის აღმოსავლეთი კი-დის გასწვრივ, რის შედეგადაც ერთიანი სუბპერკონტინენტიდან ორი კონტინენტი მივიღეთ: დასავლეთ ნაწილში – ჩრდილო ამერიკა გრენლანდითურთ, ხოლო აღმოსავლეთში – ევრაზია (ინდოსტანთან ერთად). ავსტრალის კონტინენტი თავისი უდიდესი ნაწილით სამხრეთ ტროპიკულ სარტყელში განთავსდა.

**პლიოცენურ ეპოქაში** კვლავ ჩრდილო ამერიკის (გრენლანდითურთ), ევრაზიის, აფრიკის, ავსტრალიის, სამხრეთ ამერიკისა და ანტარქტიდის კონტინენტები გვაქვს. მათგან ჩრდილო ამერიკა და ევრაზია ჩრდილო ნახევარსფეროშია, აფრიკა – ჩრდილო და სამხრეთ ტროპიკულ სარტყლებში, სამხრეთი ამერიკა – სამხრეთ

ტროპიკულ და ზომიერ სარტყელებში, **ავსტრალია** – სამხრეთ ტროპიკულ სარტყელში, ხოლო **ანტარქტიდა** – სამხრეთ პოლარულ სარტყელში.

ამ ეპოქაში კიდევ უფრო გააფართოეს აკვატორიები **ატლანტის** და **ინდოეთის** ოკეანეებში.

დაბოლოს, **მეოთხეული (ანთროპოგენულ)** პერიოდში დედამიწამ მიიღო თანამე-დროვე სახე.

### 21.3.5. კაინოზოურის წიაღისეული

კაინოზოური განსაკუთრებით განთქმულია გაზ-ნავთობის საბადოებით, რომ-ლებიც პალეოგენურ-ნეოგენურ ნალექებთანაა კავშირში.

**ნავთობი** – პალეოგენური – ირანი, ერაყი, ვენესუელა, ავღანეთი, რუსეთი, უკრაინა; ნეოგენური – ირანი, ერაყი, საუდის არაბეთი, ქუვეითი, კატარი, მექსიკა, ვენესუელა, აშშ, რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უკრაინა.

**გაზი** – პალეოგენური – რუსეთი; ნეოგენური – ირანი, ერაყი, საუდის არა-ბეთი, ქუვეითი, კატარი, მექსიკა, ვენესუელა, აშშ, რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უკრაინა.

**ქვანახშირი** – პალეოგენური – რუსეთი, იაპონია, ჩინეთი, გერმანია, აშშ, საქა-რთველო (მურა ნახშირი).

**ფოსფორიტები** – პალეოგენური – ავსტრალია, გვინეა, იამაიკა, სურინამი, გა-იანა, რუსეთი, აშშ, ბრაზილია, უკრაინა, ყაზახეთი; ნეოგენური – ცენტრალური ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ინდოეთი, ავსტრალია.

**რკინა** – პალეოგენური – აშშ, რუსეთი, ყაზახეთი; ნეოგენური – რუსეთი, სამხრეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა, აფრიკა, ინდოეთი, ავსტრალია.

**სპილენძი** – პალეოგენური – აშშ, ჩილე, ბოლივია, პერუ; ნეოგენური – ცენტრალური ამერიკა.

**ოქრო** – პალეოგენური – რუსეთი; ნეოგენური – ცენტრალური ამერიკა.

**ურანი** – პალეოგენური – აშშ.

**ნიკელი** – ნეოგენური – ცენტრალური ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია.

**კობალტი** – ნეოგენური – ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია.

**მანგანუმი** – ოლიგოცენური – საქართველო, რუსეთი, აფრიკა; ნეოგენური – სამხრეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა, ინდოეთი, ავსტრალია.

**გრაფიტი** – პალეოგენური – მექსიკა.

**ვერცხლისნყალი** – პალეოგენური – ესპანეთი, იტალია, იუგოსლავია.

**თვითნაბადი გოგირდი** – პალეოგენური – ირანი, აშშ, ბოლივია, არგენტინა, ჩილე.

მეოთხეულში სხვადასხვა სახის წიაღისეულია ქვიშრობულ ნალექებში (ოქრო, პლატინა, ალმასი და ა.შ.) და დანალექ წარმონაქმნებში (რკინა, ფოსფორიტები და

სხვ.). აქ ვხვდებით არამეტალურ საბადოებს (ლიგნიტი, ტორფი, ქვამარილი და სხვ.).

ასეთია დედამიწის გეოლოგიური განვითარების ოთხმილიარდწლიანი ისტორია. რა მიმართულებით მოხდება მისი შემდგომი განვითარება? ამის პროგნოზირება გარკვეული ალბათობით არის შესაძლებელი და დღეს ამგვარი პროგნოზი არსებობს კიდეც, რის საშუალებასაც ამჟამად უკვე საყოველთაოდ აღიარებული ლითოსფერული ფილების ტექტონიკის კონცეფცია იძლევა. ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, დედამიწის მომავალი იერსახის საინტერესო სურათს გვიხატავენ რ. დიცი და ჯ. ჰოლდენი – 50 მილიონი წლის შემდეგ სულ უფრო გაფართოვდება ატლანტის და ინდოეთის ოკეანები, პირველ რიგში, წყნარი ოკეანის შემცირების ხარჯზე; ავსტრალია შორს წაიწევს ჩრდილოეთისაკენ და მიუახლოვდება ევრაზიის დიდ ფილას; აფრიკას „ჩამოატყუდება“ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დღეს უკვე კარგად გამოხატული რიფტული რღვევის ზოლში; თვით აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთისაკენ ლტოლვით და მისი შეჯახებით ევრაზიის ფილასთან, ფაქტობრივად, მოისპობა ხმელთაშუა ზღვის დეპრესია; ზღვიური აუზი მოისპობა აგრეთვე კარიბის აკვატორიაშიც, რომლის ფსკერიც ხმელეთად გადაიქცევა; კალიფორნიის ნახევარკუნძული მოწყდება ჩრდილო ამერიკის კონტინენტს და გადაადგილდება ჩრდილო-დასავალეთი მიმართულებით. დაახლოებით 60 მილიონი წლის შემდეგ სან-ფრანცისკოს განედამდე „ასული“ ლოს-ანჯელესი დაიწყებს ჩაძირვას ალეუტის ლრმულში. და იმ დროს ჩვენ უკვე ვიქენებით ახალ, ფსიქოზოურ (შეგნების) ერაში, ნაცვლად დღევანდელი კაინოზოურისა.

მაგრამ ვიქენებით კი? დღეს ხომ სიცოცხლის ევოლუციის შორეული პროგნოზი არ არსებობს. არადა, მართლაც რა საინტერესოა, თუ როგორი იქნება სიცოცხლე დედამიწაზე თუნდაც 50 მილიონი წლის შემდეგ. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ვისურვოთ, რომ ადამიანი კიდევ დიდხანს შემორჩეს ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის განვითარების ულამაზეს ისტორიას.

## პირითადი საკითხები

დედამიწის წარმოშობა. ჰიპოთეზები.

### სიცოცხლე დედამიწაზე

- ✓ ჰიპოთეზები დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის შესახებ. ა. ოპარინის ჰიპოთეზა „პანსპერმიის თეორია“;
- ✓ ნამარხი ორგანიზმები; ფოსილიზაცია;
- ✓ პალეონტოლოგია და მისი კვლევის მიმართულებები /პალეოეკოლოგია, პალეობიოგეოგრაფია, ბიოსტრატიგრაფია/;
- ✓ ორგანული სამყაროს კლასიფიკაცია / სამეფო, ტიპი, კლასი, რიგი, ოჯახი, გვარი, სახეობა(სახე)/;
- ✓ ორგანული სამყაროს სამეფოები /ბაქტერიები, ციანობიონტები, სოკოები, მცენარეები, ცხოველები/ და მათი დახასიათება.

### სიცოცხლის ევოლუცია და ორგანიზმთა გადაშენება

#### პალეოგეოგრაფია

- ✓ ფაციესური ანალიზი: ლითოფაციესური და ბიოფაციესური ანალიზი
- ✓ „აქტუალისტური მეთოდი“.

#### გეოქრონოლოგია (გეოლოგიური წელთაღრიცხვა)

- ✓ შეფარდებითი გეოქრონოლოგია; შეფარდებითი გეოქრონოლოგიის მეთოდები: ბიოსტრატიგრაფიული (პალეონტოლოგიური), გეოლოგიური, გეოფიზიკური;
- ✓ აბსოლუტური გეოქრონოლოგია;

#### გეოქრონოლოგიური სკალა

#### დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორია

#### არქეულიდან დღემდე

**არქეული ეონი (ეონოთემა) –** სახელწოდება; ასაკობრივი საზღვრები; ცოცხალი ბუნება; დანაწილება; ფაციესები; ოროგენეზისი (მთათანარმოშობა); პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა;

**პროტეროზოური ეონი (ეონოთემა) –** სახელწოდება; ასაკობრივი საზღვრები; ცოცხალი ბუნება; დანაწილება /ადრეპროტეროზოური და გვიანპროტეროზოური ერები/; ფაციესები; ოროგენეზისი (მთათანარმოშობა); პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა;

### **ფანეროზოული ეონი (ეონოთემა)**

- ✓ პალეოზოური ერა (ერათემა) – სახელწოდება; ასაკობრივი საზღვრები; ცოცხალი ბუნება; დანანილება/კამბრიული, ორდოვიციული, სილურული, დევონური, კარბონული, პერმული პერიოდები/; ფაციესები; ოროგენეზისი (მთათაწარმოშობა); პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა;
- ✓ მეზოზოური ერა (ერათემა) – სახელწოდება; ასაკობრივი საზღვრები; ცოცხალი ბუნება; დანანილება/ტრიასული, იურული, ცარცული პერიოდები/; ფაციესები; ოროგენეზისი (მთათაწარმოშობა); პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა;
- ✓ კაინოზოური ერა (ერათემა) – სახელწოდება; ასაკობრივი საზღვრები; ცოცხალი ბუნება; დანანილება/პალეოგენური, ნეოგენური, ანთროპოგენური (მეოთხეული) პერიოდები/; ფაციესები; ოროგენეზისი (მთათაწარმოშობა); პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა.

## საკონტროლო კითხვები

1. როგორ წარმოგიდგენიათ პლანეტა „დედამიწის“ ფორმირება;
2. რას შეისწავლის ისტორიული გეოლოგია? დაასახელეთ ისტორიული გეოლოგიის მიმართულებები;
3. რა შეხედულებები არსებობს დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის შესახებ?
4. რას შეისწავლის პალეონტოლოგია /პალეოეკოლოგია, პალეობიოგეოგრაფია, ბიოსტრატიგრაფია/?
5. რა არის ნამარხი?
6. რა ვიცით ორგანული სამყაროს კლასიფიკაციის შესახებ?
7. როდის მოხდა ორგანიზმთა დიდი გადაშენება? დაასახელეთ მიზეზები/ჰიპოთეზები/;
8. რაში მდგომარეობს „აქტუალისტური მეთოდის“ არსი?
9. დაასახელეთ შეფარდებითი ასაკის განსაზღვრის მეთოდები;
10. როგორ ხდება აბსოლუტური ასაკის განსაზღვრა;
11. დაასახელეთ ძირითადი გეოქრონოლოგიური ერთეულები;
12. როდის გაჩნდა სიცოცხლე დედამიწაზე;
13. როდის მოხდა პანგეა 1-ის, პანგეა 2-ისა და პანგეა 3-ის ფორმირება?
14. როდის გაჩნდნენ უმაღლესი მცენარეების პირველი წარმომადგენლები?
15. როდის გაჩნდნენ ხერხემლიან ცხოველთა პირველი წარმომადგენლები /Agnatha – უყბონი/;
16. რომელი ოროგენეტული ციკლები აღინიშნება პალეოზოურში? დაასახელეთ ოროგენეზისის შედეგად წარმოშობილი ნაოჭა სარტყელები და სისტემები;
17. როგორია პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა პალეოზოურში?
18. როდის გაჩნდა პირველი ფრინველი?
19. დაასახელეთ მეზოზოური ერის ზღვებსა და ხმელეთზე გაბატონებული მცენარეები და ცხოველები;
20. როგორია პალეოგეოგრაფიული სურათის დინამიკა კაინოზოურ ერაში?
21. როგორია მეოთხეული გამყინვარების გავრცელების არეალი?
22. რომელია დედამიწის გეოლოგიური განვითარების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოროგენეზისი? დაასახელეთ აღნიშნული ოროგენეზისის შედეგად ჩამოყალიბებული ნაოჭა სისტემები.

## ტერმინთა საპირალი

პ

აბისალური 29, 103, 114  
აბისოპელაგური 108  
აბისალური ვაკე 103  
აბლაცია 93  
აბრაზია 108  
აერაციის ზონა 73  
ავგიტი 26  
ავლაკოგენი 209  
ავტოქტონი 47  
აკუმულაცია 68, 83, 94  
ალევრიტები 33  
ალევროლითები 33, 35  
ალმასი 28  
ალოქტონი 47  
ალპიდები 150, 304  
ალუვიონი 83  
ამეთვისტო 22  
ამონიტები 181  
ამფიბიები 186  
ამფიბოლები 26  
ანაპიოზი 161  
ანდეზიტი 30, 31  
ანთრაციტი 37  
ანტეკლიზა 140  
ანტეცედენტური ხეობა 85  
ანტიკლინი 42-45  
ანტიკლინორიუმი 45  
აპატიტი 28  
აპოფიზი 39  
არგილიტები 36  
არტეზიული 74  
არქეოზოული 201  
არქეოპტერიქსი 189

არქეოციათები 174  
არქეული 201  
ასთენოსფერო 16  
ასპიდური ფიქალი 37  
ასტეროზოები 222  
ასტრობლემები 131  
ატოლი 113  
აფანიტური 29  
აქტუალისტური მეთოდი 194  
აქცესორული 25

ბ

ბაზალტი 30, 31  
ბათიალური 108, 114  
ბათიპელაგური 108  
ბათოლითი 38  
ბარი 111  
ბარხანი 68  
ბაქანი 139, 140  
ბაქტერიები 165  
ბელემნიტები 181  
ბენეტიტისნაირნი 170  
ბენთოსი 106, 107  
ბენტონიტური 36  
ბიოგენური 32, 36  
ბიოსტრატიგრაფია 163, 197  
ბიოტიტი 26  
ბიოტოპი 163  
ბიოცენოზი 163  
ბირთვი 17  
ბირთვიანები 165  
ბლასტოიდები 184  
ბრექჩია 34  
ბრუნვითი ელიფსოიდი 13

**გ**

გაპრო 30, 31  
გადაშენება 190-192  
გაიოტები 103  
გალაქტიკა 159  
გალენიტი 28  
გამოზიდვის კონუსი 80, 81  
გამოფიტვის ქერქი 58  
გამოყენებითი გეოლოგია 11  
გამყინვარება 90, 97, 99  
განამარხებული წყალი 72  
განტვირთვის არე 73  
გარედინამიკური 53  
გარენიუარიანები 180  
გასტროპოდები 178  
გახსნა 56  
გაჯერების ზონა 73  
გეიზერი 124, 125  
გეიზერიტი 124  
გეოდინამიკური 53  
გეოიდი 13, 14  
გეოლოგია 11  
გეოსინკლინი 150  
გეოსფერობა 15, 16  
გეოქიმია 19  
გეოქრონოლოგია 160, 196-200  
გვარი 164  
გვიმრისმაგვარნი 170  
გლაუკონიტი 35  
გლეტჩერი 89  
გლოსოპტერისი 170  
გნაისი 37  
გოგირდი 28  
გონდვანისი 98  
გონიატიტები 181  
გრაბენი 48  
გრავილიტი 34  
გრავიტაციული 60-64  
გრანატები 26

გრანიტი 29, 30  
გრაპტოლითები 185  
გრაუვაკური 35  
გრაფიტი 28  
გრუნტის წყალი 72-74  
გუტენბერგის ზედაპირი 16

**დ**

დაიკი 38, 39  
დაუანგვა 55  
დედამიწის ქერქი 16, 137  
დევის ქვაბები 83  
დეზინტეგრაცია 53  
დელუვიონი 80  
დესქვამაცია 54, 55  
დეფლაცია 65, 66  
დეფლაციური ქვაბულები 66  
დიაგენეზისი 114  
დიატომები 106, 167  
დიატომიტი 36  
დიატრემა 123  
დივერგენტული 145  
დიზუნქტიური 41, 46  
დინამიკური გეოლოგია 11  
დინოზავრები 187, 188  
დიორიტი 30  
დიპნოები 186  
დისლოკაცია 41  
დიუნა 68, 69  
დოლინები 76, 77  
დოლომიტი 28, 37  
დრაიკანტერები 67  
დრუმლინები 95  
დუნიტი 30

**ჟ**

ეგზარაცია 93  
ეგზოგენური 25, 53  
ევაპორიტები 37

- ე**
- ევერზიული ქვაბები 83
  - ევრიბიონტური 107
  - ევრიპტერიდები 183
  - ეკოსისტემა 163
  - ელემენტი 19
  - ელუვიონი 58
  - ენდოგენური 25, 53, 116
  - ეოლური 65, 66
  - ეოლური ქვაფენილი 66
  - ეონი 199
  - ეონოთემა 199
  - ეპეიროგენეზისი 150
  - ეპიკონტინენტური 108
  - ეპიპელაგური 108
  - ეპიპლატფორმული 305
  - ეპიცენტრი 133
  - ეპიცერცინული პლატფორმები 271
  - ერა 199
  - ერათემა 199
  - ერატული ლოდები 95
  - ერგი 65, 66
  - ერთლებნიანები 171
  - ერთუჯრედიანები 172
  - ეროზია 80, 81
    - გვერდითი 82
    - სიღრმითი 82
    - ფართობული 80
    - ხაზობრივი 80
  - ეროზიის ბაზისი 82
  - ეფუზიური 29
  - ექინოიდები 184
  - ექსფოლიაცია 54
- ქ**
- გენდური 205, 207
  - გერცხლი 28
  - გერძის შუბლი 94
  - გულკანიზმი 117
  - გულკანოგენურ-დანალექი 32
- გ**
- გულკანური გუმბათი 40
  - გულკანური ზენარი 40
  - გულკანური მინა 29
  - გულკანური ფერფლი 119
- ზ**
- ზანდრები 96
  - ზოოგენური 36
- თ**
- თაბაშირი 28
  - თავფეხიანები 179
  - თალასოკრატონი 139
  - თევზები 185, 186
  - თერმები 124
  - თიხაფიქალი 37
  - თიხები 32, 36
- ი**
- იაპეტუსი 220
  - იარდანგები 68
  - იაფეტი 220
  - იზომორფიზმი 26
  - იზოსეისტები 133
  - იზოსტაზია 150, 151
  - იმპაქტური 192
  - ინდოსინიური 273
  - ინოსილიკატები 26
  - ინტრაგლაციალური 96
  - ინტრუზიული 29
  - ინფილტრაციული 72
  - ისლანდიური შპატი 28
  - ისტორიული გეოლოგია 160
  - იუვენური 72
- ო**
- ოპერატორი 220
  - ორდანგები 68
  - ოფეტი 220
  - ოზომორფიზმი 26
  - ოზოსეისტები 133
  - ოზოსტაზია 150, 151
  - ომპაქტური 192
  - ონდოსინიური 273
  - ონოსილიკატები 26
  - ონტრაგლაციალური 96
  - ონტრუზიული 29
  - ონფილტრაციული 72
  - ოსლანდიური შპატი 28
  - ოსტორიული გეოლოგია 160
  - ოუვენური 72
- ჟ**
- კალამიტისნაირნი 169
  - კალდერა 121
  - კალედონიდები 150, 231

- კალციტი 28  
 კამები 96  
 კანეკლიანები 183  
 კაოლინური თიხები 36  
 კარბონატები 28  
 კარელური 209  
 კარკასული სილიკატები 26  
 კარრები 76  
 კარსტი 76  
 კარსტული მდვიმეები 77-79  
 კარსტული ძაბრები 77  
 კარუს კომპლექსი 250  
 კატაგენეზისი 114  
 კატარქეული 201  
 კვარცი 26  
 კვარციტი 37  
 კიმბერლიტი 123  
 კიმერიდები 150  
 კირქვის ტუფი 78, 124  
 კლარკი 19  
 კლასი 164  
 კლდეზვავი 61  
 კლიფი 109, 110  
 კოკოლითოფორიდები 167  
 კოლიზია 147  
 კონგლომერატი 34  
 კონდენსაციური 72  
 კონვერგენტული 145  
 კონტინენტური ბექმბი 101, 102  
 კოპროლიტი 162  
 კორაზია 65, 66  
 კრატერი 121  
 კრატონი 139-141  
 კრინოიდეები 184  
 კრიპტი 60-62  
 კრიპტოზოული 214  
 კრისტალური ფიქალი 37
- ლ**  
 ლაბრადორიტი 128  
 ლავა 29, 118  
 აა-ლავა 119  
 ბალიშა ლავა (პილოუ ლავა) 119  
 დაბანრული ლავა 119  
 პაჰოჰეჰო ლავა 119  
 ლავრაზია 212, 213  
 ლავრენცია 212, 219  
 ლავური ნაკადი 40  
 ლაკოლიტი 39  
 ლამინარიები 167  
 ლარამული 283, 286, 289  
 ლატერიტული 58  
 ლახარი 63  
 ლეპიდოდენდრონები 169  
 ლითოსფერო 17  
 ლიკოპოდიუმისმაგვარნი 168, 169  
 ლიმნოგლაციალური 96  
 ლინზა 41  
 ლიოსი 35, 36, 68  
 ლიტორალური 108  
 ლუმაშული 36
- მ**  
 მაარი 124  
 მაგმა 29  
 მაგმატიზმი 116  
 მაგმური 29  
 მაგნეტიტი 28  
 მაგნიტოსტრატიგრაფია 197  
 მაგნიტუდა 133  
 მაგნიტური ანომალია 213  
 მანტია 16  
 მარგალიტი 179  
 მარმარილო 37  
 მარჯნები 175, 176  
 მარჯნიანი კირქვა 36  
 მარჯნის რიფები 112, 113

- ბარიერული 113  
 სანაპირო 113  
 ატოლი 113  
 მეანდრი 84, 85  
 მეზოსფერო 16  
 მეტამორფიზმი 129-131  
 მეტამორფული ქანები 37, 130  
 მელოდი 61  
 მეწყერი 62  
 მთის ბროლი 22  
 მინდვრის შპატები 26  
 მინერალი 20  
 მინერალოგია 20  
 მინერალური წყლები 75  
 მინისქვეშა წყალი 71  
 მიწისძვრა 132  
 მობილიზმი 142  
 მოლასები 302  
 მოლუსკები 177  
 მონოკლინი 42, 43  
 მონომინერალური 29, 35  
 მოოსის სკალა 23  
 მორენები 94  
 მორიონი 22  
 მოძრავი სარტყელი 150  
 მოპოროვიჩიჩის ზედაპირი 16  
 მჟავე ქანები 30  
 მუსკოვიტი 26  
 მუცელფეხიანები 178  
 მცენარეები 166  
 მხარფეხიანები 176
- 6**  
 ნაკვალევი 162  
 ნამარხი 162  
 ნამზღვლევი 61  
 ნანოპლანქტონი 167  
 ნაოჭა სარტყელი 140  
 ნაოჭები:
- ამართული 43  
 დახრილი 43  
 დაწოლილი 43  
 გადაბრუნებული 43  
 იზოკლინური 43  
 მარაოსებური 43, 44  
 კოლოფური 43, 44  
 დიაპირული 43  
 დიაბირული 43, 44  
 ხაზობრივი 44, 45  
 ბრაქიმორფული 44, 45  
 თაღისებური 44, 45  
 მულდა 44, 45  
 ნარიონალი 85  
 ნასხლეტი 46-48  
 ღრუნანლავიანები 172, 175  
 ნახევრადქორდიანები 185  
 ნეზოსილიკატები 26  
 ნერიტული 108  
 ნექტონი 106  
 ნიადაგის წყალი 72  
 ნუმულიტიდები 173  
 ნუნატაკები 91
- მ**  
 ობსიდიანი 29, 30  
 ოზები 96  
 ოკეანური ღრმაობი (ღრმული) 147  
 ოლივინი 26  
 ოლისტოსტრომები 47  
 ორგანოგენული 36, 56, 57  
 ორთოკლაზი 26  
 ორიქტოცენოზი 164  
 ორლეპნიანები 171  
 ოროგენეზისი 149, 150  
 ბელომორული 204, 212  
 კარელური 212  
 ბაიკალური 212, 213  
 კალედონური 150, 230

ჰერცინული 150, 257  
კიმერიული 150, 273  
ალპური 150, 304  
ოროგენი 139, 140  
ორსაგდულიანები 178, 179  
ოფიოლიტი 138  
ოფიუროიდები 184  
ოქრო 28  
ოჯახი 164

**პ**

პალეობიოგეოგრაფია 163, 164  
პალეოგეოგრაფია 160, 193  
პალეოეკოლოგია 163  
პალეოზოური 214  
პალეომაგნეტიზმი 146  
პალეონტოლოგია 162  
პალეოტეთისი 240, 262  
პანგეა 143, 259  
პანსპერმია 161  
პარატეთისი 299  
პელაგური 108  
პელიტები 33  
პელიტოლითები 33, 36  
პემზა 120  
პენეპლენიზაცია 86  
პერიგლაციალური 96  
პერიდოტიტი 30  
პირიტი 28  
პიროკლასტები 119, 120  
ვულკანური ლოდები 120  
ვულკანური ყუმბარა 120  
ლაპილი 120  
ვულკანური ქვიშა 120  
ვულკანური ფერფლი 120  
ვულკანური მტვერი 120  
ვულკანური წილა 120  
პიროქსენები 26  
პიროქსენიტი 30

პლაგიოკლაზები 26  
პლანქტონი 106, 107  
ზოოპლანქტონი 106, 107  
ფიტოპლანქტონი 106  
პლატინა 28  
პლატფორმა 140  
პლეისტოსეისტური არე 133  
პლიკატური დისლოკაცია 42  
პნევმატოლიზური 117  
პოლიმინერალური 29, 36  
პოლიმორფიზმი 21  
პონორები 76, 77  
პორფირიტი 278  
პორფირული 29  
პრიმატები 190  
პროლუვიონი 81  
პროტეროზოური 205  
პუდინგი 34  
პტერიდაქტილუსი 189  
პტეროზავრები 188, 189

**ჟ**

ჟანგები და ჰიდროჟანგები 28

**რ**

რადიოლარიები 107, 173  
რამფორინქუსი 189  
რბილტანიანები 177  
რეგოლითი 58  
რელიქტური წყალი 72  
რიოლითი 30  
რიფეული 209  
რიფტი 48  
რქატყუარა 26

**ს**

საგოვანები 170  
სამეფო 164, 165  
სანაპირო ბურცობი 111

- საშუალო ქანები 30, 31  
 საწერი ცარცი 37  
 სახე (სახეობა) 164  
 სედიმენტაციური წყალი 72  
 სედიმენტოგენეზის 114  
 სეისმოგრამა 133  
 სეისმოგრაფი 132, 133  
 სეისმოფოკალური 135  
 სეისმური ტალღები 16  
 სეკვოია 170  
 სელები 62  
 სელენიტი 21, 22  
 სვეტი 78  
 სიგილარიები 169  
 სიენიტი 31  
 სილი 39, 40  
 სილიკატები 26  
     კარკასული 26  
     კუნძულისებრი 26  
     შრეებრივი 26  
     ძენჯვისებრი 26  
 სიმღვრივის ნაკადები 64, 102  
 სინგონია 20  
 სინეკლიზა 140  
 სინკლინი 42  
 სინკლინორიუმი 45  
 სოკოები 172  
 სოლიფლუქცია 62  
 სომა 121  
 სპილენძი 28  
 სპრედინგი 147  
 სტალაგმიტი 78  
 სტალაქტიტი 78  
 სტარიცა 85  
 სტეგოცეფალები 186  
 სტენობიონტური 107  
 სტრატიგრაფია 196  
 სტრატისფერო 32  
 სტრატოვულკანი 122, 123  
 სტრომატოლითები 166

სტრუქტურა 29  
 სუბდუქცია 147  
 სუბლიტორალური 108  
 სულფატები 28  
 სულფიდები 28  
 სფალერიტი 28  
 სფეროიდი 13, 14  
 სფერული გამოფიტვა 54

**ტ**

ტაბულატები 175, 176  
 ტალახის ნაკადები 64  
 ტალკი 26  
 ტაქსონი 164  
 ტეთისი 212  
 ტერასები 85, 87, 110  
 ტერრა როსსა 78  
 ტეფრა 119  
 ტექტონისფერო 17  
 ტექტონიკური 26  
 ტეშენიტი 128  
 ტილიტები 99  
 ტიპი 164  
 ტკეჩადობა 23, 24  
 ტომბოლო 111  
 ტრავერტინი 78  
 ტრანსფორმული 103, 145  
 ტრაპები 272  
 ტრილობიტები 182  
 ტროგი 93, 94  
 ტურბიდიტები 102, 114  
 ტუტე ქანები 30, 31  
 ტუფები 32  
 ტუფიტები 32  
 ტუფოგენური 32, 35

**ჟ**

უადები 65  
 უბირთვონი 165

უდაბნო 65-70  
უდაბნოს ნამზეური 65  
ულტრაბისალური 108  
ულტრაბისოპელაგური 108  
ულტრამაფიტები 137  
ულტრაფუძე ქანები 30, 31  
უმაღლესი მცენარეები 168  
შიშველთესლიანები 168  
ფარულთესლიანები 168  
სპოროვანები 310

### ვ

ფანგლომერატი 34  
ფანეროზოული 214  
ფარი 139  
ფაცეტიანი ქვები 67  
ფაციესი 193, 195  
ფელდშპატები 25, 26  
ფელდშპატოდები 26, 31  
ფენოკრისტალები 29  
ფენოსკანდია 212  
ფეხსახსრიანები 182  
ფილების ტექტონიკა 142  
ფილიტი 37  
ფილოსილიკატები 26  
ფირნი 89  
ფიტვა 53  
ფიზიკური 54  
ქიმიური 55  
თერმული 54  
მექანიკური 54  
ორგანოგენული 56

ფიტოგენური 36, 37  
ფიქსიზმი 142  
ფლექსურა 42, 43  
ფლიში 114  
ფლუვიოგლაციალური 95  
ფლუიდები 129  
ფლუორიტი 28

ფოკუსი 133  
ფორამინიფერები 172, 173  
ფოსფატები 28  
ფრინველები 189  
ფსამიტები 30  
ფსამიტოლითები 33, 35  
ფსეფიტები 33, 35  
ფსეფიტოლითები 33, 34  
ფუმაროლები 120  
მშრალი ფუმაროლები 120  
სოლფატარები 120  
მოფეტები 120  
ფურცელა თიხები 97  
ფუძე ქანები 30, 31

### ძ

ქალცედონი 22, 24  
ქანები 28  
ქანაშენი მინერალები 25  
ქარსები 22, 24-26  
ქემოგენური 32, 37  
ქემოსინთეზური 165  
ქვანახშირი 36  
ქვების ცვენა 60  
ქვენარმავლები 187  
ქვიშა 34, 35  
ქვიშაქვა 34, 35  
ქლორიტი 36  
ქორდიანები 185  
ქსენოლითი 117

### ღ

ღვარცოფი 62

### ყ

ყუმი 65

### გ

გარიაზი 47

- შელფი 101  
 შესხლეტა 46, 47  
 შეცოცება 47  
 შიგანიუარიანები 181  
 შრე 40  
 შტოკი 38, 39  
 შუაოცეანური ქედი 103, 145
- ც**  
 ცელა 111  
 ცეოლითები 26  
 ცერატიტები 181  
 ციანობიონტები 165  
 ცისტოიდები 184  
 ციტრინი 22  
 ცუნამი 134  
 „ცხელი ლაქები“ 148, 149  
 ცხოველები 172
- ძ**  
 ძუძუმწოვრები 190
- ნ**  
 ნინვოვანები 170  
 ნევიანი ნყალი 75  
 ნონასნორობის პროფილი 82  
 ნყალმცენარეები 166  
     ოქროსფერი 167  
     ნითელი (ძონეული) 167  
     ყვითელ-მწვანე 167
- ნყალქვეშა კანიონი 102  
 ნყვეტითი დისლოკაციები 271, 272  
     ნასხლეტი 46-48, 51  
     შესხლეტა 46, 47  
     შეცოცება 47  
     ვერტიკალური ნასხლეტი 46, 47  
     ნაწვი 46, 47  
     შარიაჟი 47  
     საფეხურისებრი ნასხლეტი 48  
     გრაბენი 48  
     ჰორსტი 48
- ბ**  
 ხალასი ელემენტები 50  
 ხერხემლიანები 185  
 ხუჭუჭა კლდები 94
- ჰ**  
 ჰალიტი 28, 56  
 ჰალოგენიდები 28  
 ჰამადა 65, 66  
 ჰემატიტი 28  
 ჰერცინიდები 150  
 ჰიდრატაცია 55  
 ჰიდროგეოლოგია 71  
 ჰიდროლიზი 56  
 ჰიპაბისალური 30  
 ჰიპოცენტრი 133  
 ჰოლოთურიები 217  
 ჰორსტი 48

## ლიტერატურა

- შ. ადამია, ვ. ალფაიძე, ა. ჭაბუკიანი, გეოტექტონიკა. თსუ გამომცემლობა, 2000.
- ბ. თუთხერიძე, მინერალოგია. თსუ გამომცემლობა, 2010.
6. მრევლიშვილი, საქართველოს გეოლოგია. თსუ გამომცემლობა, 1997.
6. მრევლიშვილი, ისტორიული გეოლოგია. წიგნი I. თსუ გამომცემლობა, 2003.
6. მრევლიშვილი, ისტორიული გეოლოგია. წიგნი II. თსუ გამომცემლობა, 2009
6. სხირტლაძე, პეტროგრაფია მინერალოგიის საფუძვლებით. თსუ გამომცემლობა, 1984.  
საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენები-  
სა და რისკების ატლასი, <http://drm.cenn.org/index.php/ka/2012-03-28-07-09-00/2012-06-08-06-42-47>
- ვ. ქოიავა, ლითოლოგია. თსუ გამომცემლობა, 1988.
- ვ. ღონიაძე, პალეონტოლოგია. თსუ გამომცემლობა, 2008.
- ალ. ჯანელიძე, ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი. „ცოდნა“, 1963.
- ალ. ჯანელიძე, ზოგადი გეოლოგიის მოკლე კურსი. „ცოდნა“, 1972.
- Аллисон А., Палмер Д., Геология. „Мир“, 1984.
- Апродов В.А., Вулканы. „Мысль“, 1982.
- Бейли Дж., Седдон Т., Доисторический мир. Оксфордская библиотека. „Росмэн“, 1998.
- Богданов Ю.А., Каплин П.А., Николаев С.Д., Происхождение и развитие океана. „Мысль“, 1978.
- Болт Б., Хорн У., Макдоналд Г., Скотт Р., Геологические стихии. „Мысль“, 1978.
- Владимирская Е.В. и др., Историческая геология с основами палеонтологии. „Недра“, 1985.
- Гамкелидзе И.П., Вновь о тектоническом расчленении территории Грузии, Труды геологического ин-та Грузии, нов. сер., вып. 115, Тбилиси, 2000.
- Диц Р., Холден Дж. Распад Пангеи., В кн.: «Новая глобальная тектоника». М. 1974.
- Добровольский В.В., Якушова А.Ф., Геология. „Просвещение“, 1979.
- Животные и растения залива Петра Великого. Отв. редактор А.В. Жирмунский. „Наука“, 1976.
- Катастрофы и история земли. Под редакцией У. Берггрена и Дж. Ван Кауверинга. „Мир“, 1986.
- Константинов А.С., Общая гидробиология. „Высшая школа“, 1986.
- Короновский Н.В., Якушова А.Ф., Основы геологии. „Высшая школа“, 1991.
- Левитес Я.М., Общая геология с основами исторической геологии СССР. „Недра“, 1986.
- Леонов Г.П., Историческая геология. Изд-во МГУ, 1980.,
- Лоуэнстам Г., В кн.: «Проблемы палеоклиматологии». „Мир“, 1968.
- Михайлова И.А., Бондаренко О.Б., Палеонтология. МГУ, 2006
- Михайлова И.А., Бондаренко О.Б., Обручева О.П., Общая палеонтология. МГУ, 1989.
- Опарин А.И., Происхождение жизни. „Мечниереба“, 1985.
- Рауп Д., Стенли С., Основы палеонтологии. „Мир“, 1974.
- Симпсон Д., Темпы и формы эволюции. «Иностранный Литература», 1948.
- Тинтилов З.К., Карстовые пещеры Грузии. „Мечниереба“, 1976.

- Ушаков С.А., Ясаманов Н.А., Дрейф материков и климаты Земли. «Мысль», 1984.
- Фейрбридж Р., Чилингар Д., Бисселл Д., В кн.: «Карбонатные пароды», т. 1, «Мир», 1970.
- Ферхуген Дж., Тернер Ф. и др., Земля. Введение в общую геологию. т.1-2. «Мир», 1974.
- Хайн В.Е., Ломизе М.Г., Геотектоника с основами геодинамики МГУ, 1995.
- Хайн В.Е., Короновский Н.В., Ясаманов Н.А., Историческая геология. МГУ, 1997.
- Якушова А.Ф., Славин В.И., Хайн В.Е., Общая геология. МГУ, 1988.
- Frederick K. Lutgens., Edvard J. Tarbuck., Illustrated by Dennis Tasa., Essentials of Geology, Pearson., 2015.
- Plummer Charles C., Mc Geary Dawid., Physical Geology. WCB, 1993.
- <http://www.stratigraphy.org/ICSchart/ChronostratChart2016-12.pdf>
- <http://nea.gov.ge/uploads/slides/55acefac5dd4d.pdf>
- <http://www.webmineral.com/>
- <https://www.mindat.org/>
- <http://ngm.nationalgeographic.com/2008/11/crystal-giants/shear-text>
- <http://www.brooklyncollegegeology.com/fourth/images/glassy.jpg>
- [http://www.ecosistema.ru/08nature/min/2\\_5\\_2\\_1=1.jpg](http://www.ecosistema.ru/08nature/min/2_5_2_1=1.jpg)
- <http://pirate.shu.edu/~schoenma/images/breccia..1JPG.jpg>
- <http://mavdisk.mnsu.edu/larsop2/geog101/MassWasting/CreepNoaa.jpg>
- [http://web.archive.org/web/20090419132349im\\_//http://www.volcano.si.edu/images/full/017019.jpg](http://web.archive.org/web/20090419132349im_//http://www.volcano.si.edu/images/full/017019.jpg)
- [http://www.globalgeopark.org/UploadFiles/2012\\_5\\_4/Alxa%20\\_B.jpg](http://www.globalgeopark.org/UploadFiles/2012_5_4/Alxa%20_B.jpg)
- <https://www.viajejet.com/wp-content/viajes/la-transformacion-del-desierto-del-sahara.jpg>
- [https://commons.wikimedia.org/wiki/File:Karst\\_Dent-de-Crolle-8.jpg](https://commons.wikimedia.org/wiki/File:Karst_Dent-de-Crolle-8.jpg)
- <http://yznaj-ka.ru/nauka/kak-ustroena-vselennaya/peshhera-speleolog-stalaktity-stalagmity-otlichiya-samye-glubokie-peshhery/#>
- [http://www.water.ca.gov/floodsafe/ca-flood-preparedness/images/santarosa\\_mtns800.jpg](http://www.water.ca.gov/floodsafe/ca-flood-preparedness/images/santarosa_mtns800.jpg)
- <http://www.daviddarling.info/images2/meander.gif>
- <https://classconnection.s3.amazonaws.com/613/flashcards/977613/jpg/glacice1323512659935.jpg>
- <https://glaciers101lr1.wikispaces.com/Firn>
- [http://images.slideplayer.com/32/9833538/slides/slide\\_7.jpg](http://images.slideplayer.com/32/9833538/slides/slide_7.jpg)
- <http://luirig.altervista.org/cpm/albums/geolus-46/27590-Alaska-Glaciers--Folds-in-Malaspina-Glacier--which-is-northwest.jpg>
- <http://www.jchl.co.uk/photos/greenland/Valley.jpg.htm>
- <https://cdn.travel2next.com/wp-content/uploads/kluane-national-park-11.jpg>
- <http://www.uh.edu/~jbutler/physical/plates1.gif>
- [http://geoggers.weebly.com/uploads/2/0/8/6/20867924/3225659\\_orig.jpg?159](http://geoggers.weebly.com/uploads/2/0/8/6/20867924/3225659_orig.jpg?159)
- [http://geo.web.ru/druza/l-Cypr\\_Boolyubov.jpg](http://geo.web.ru/druza/l-Cypr_Boolyubov.jpg)
- [http://www.bestourism.com/img/items/big/7610/The-Blue-Lagoon-in-Turkey\\_Superb-view\\_13178.jpg](http://www.bestourism.com/img/items/big/7610/The-Blue-Lagoon-in-Turkey_Superb-view_13178.jpg)
- <https://s-media-cache-ak0.pinimg.com/236x/86/94/cd/8694cdfbd691825eaf4c637d293bcf6a.jpg>
- <http://www.lpi.usra.edu/publications/slidesets/hawaiivolcanoes/images/hawaii05.jpg>

[https://lh5.googleusercontent.com/-chFO\\_1hyKqA/VCARIT9\\_kHI/AAAAAAAFAoQ/D6U\\_pwI9j3s/w878-h659-no/VS\\_001.jpg](https://lh5.googleusercontent.com/-chFO_1hyKqA/VCARIT9_kHI/AAAAAAAFAoQ/D6U_pwI9j3s/w878-h659-no/VS_001.jpg)  
<http://geoman.ru/books/item/f00/s00/z0000077/pic/000158.jpg>  
[https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/4/47/Yellowstone\\_Castle\\_Geysir\\_Edit.jpg/399px-Yellowstone\\_Castle\\_Geysir\\_Edit.jpg](https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/4/47/Yellowstone_Castle_Geysir_Edit.jpg/399px-Yellowstone_Castle_Geysir_Edit.jpg)  
<http://geoman.ru/books/item/f00/s00/z0000077/pic/000108.jpg>  
<http://academic.brooklyn.cuny.edu/geology/grocha/plates/images/distribution.jpg>  
<http://3.bp.blogspot.com/-iNkkvtgYyIs/T7qSgB-XMKI/AAAAAAAIFI/pCypehpDa0g/s1600/seismografi.png>  
<http://otvetprost.com/files/uploaded/u594/pochemu-vymerli-dinozavry-2.jpg>  
<http://www.miketaylor.org.uk/dino/history/extras.html#1>  
<http://www.newswise.com/images/uploads/2016/08/29/Pterosaurflying.jpg>  
[https://www.amnh.org/var/ezflow\\_site/storage/images/media/amnh/images/dinosaurs-landing-pages/archaeopteryx-700x350/2230988-1-eng-US/archaeopteryx-700x350\\_imagelarge.jpg](https://www.amnh.org/var/ezflow_site/storage/images/media/amnh/images/dinosaurs-landing-pages/archaeopteryx-700x350/2230988-1-eng-US/archaeopteryx-700x350_imagelarge.jpg)  
<http://planetpixelemporium.com/images/mappreviews/earthmapthumb.jpg>



## გურამ ღოდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ემერიტუს-პროფესორი, გეოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, წოდებით – პროფესორი. გ. ღოდება ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა ბიოსტრატიგრაფია და პალეონტოლოგია. მის კალამს ეკუთვნის სამოცამდე სამეცნიერო სტატია, მათ შორის ერთი მონოგრაფია. 1968 წლიდან კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებთან გეოლოგის ძალზე მნიშვნელოვან არაერთ საგანმი. გამოქვეყნებული აქვს ორი სახელმძღვანელო („გეოლოგის საფუძვლები“ და „პალეონტოლოგია“). ორგზის მოპოვებული აქვს თსუ-ს სამეცნიერო პრემია.



## მარიამ ახალკაციშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მ. ახალკაციშვილი 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. სამეცნიერო ინტერესების სფეროებია: კრისტალოგრაფია, მინერალოგია, პეტროლოგია, ვულკანოლოგია. 2008 წლიდან კითხულობს ლექციებს, ატარებს პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და სემინარებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

**გამომცემლობის რედაქტორი** ცირა ჯიშვარიანი  
**გარეკანის დიზაინი** მარიამ ებრალიძე  
მაკეტის დიზაინი  
და დაკაბადონება ნინო ვაჩეიშვილი  
**გამოცემის მენეჯერი** მარიკა ერქომაიშვილი

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel: 995(32) 2 25 14 32

[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)

